.494
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესხეთი

ისტორია და თანამედროვეობა

ახალციხე-2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეკანზე: ვარძია, თამარ მეფის ფრესკული გამოსახულება (ფრაგმენტი).
ასლი *კარლო ბაკურაძისა.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალციხის ფილიალი

К 25494
4

მესხეთი

ისტორია და თანამედროვეობა

ახალციხე-2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალციხის ფილიალის 10 წლისთავს.

სარედაქციო საბჭო: დოც. მერაბ ბერიძე (თავმჯდომარე), დოც. ანზორ ბერულავა, პროფ. თინა იველაშვილი, დოც. ვასილ კუზიბაბაშვილი, დოც. სერგო მელიქიძე, პროფ. ვალერი სილოგავა, დოც. რევაზ ჭიღლაძე, დოც. ჯემალ ხარიტონაშვილი.

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წ ი ნ ა თ ქ მ ა

რეგიონალური მმართველობის პირობებში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ინტელექტუალური და სამეცნიერო ლიდერობა მხარეში. სამცხე-ჯავახეთი, რომელიც მხოლოდ ნაწილია ისტორიული მესხეთისა, დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საქართველოს შექმნასა და გამარჯვებაში. მრავალბრძოლაგამოვლილი, ხელიდან ხელში გადასული, დაქუცმაცებული და აღდგენილი, კვლავ დაკარგული და იმედის ამარა დარჩენილი მესხეთი ყოველთვის ამბობდა და კვლავაც იტყვის თავის სიტყვას დედასამშობლოს წინაშე. ისტორიულად მესხური დიალექტი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას. ამავე ტერიტორიას ემთხვევა ის ონომასტიკური მასალა, რომელიც შექმნილია ათასწლეულების განმავლობაში, რომელშიც იკითხება ჩვენი უძველესი და უახლოესი ისტორია. მას მხარში უდგას არქეოლოგია, უცხოური უძველესი წარწერები და ასევე ბევრი უძველესი ავტორი. ამიტომაც ჩვენამდე მოღწეული მესხური დიალექტის და მისი ისტორიული განფენილობის კვლევა საშური საქმეა.

მესხური დიალექტი გამორჩეულია თავისი კავშირით, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტურ წრეებთან, რაც ისტორიული მიგრაციების შედეგიც უნდა იყოს. საკვლევია თანამედროვე დიალექტური მრავალფეროვნება სამხრეთისა, ზოგიერთი დიალექტის, ვთქვათ, იმერულის, მთიულურის ენობრივ (დიალექტურ) კუნძულად ჩამოყალიბება.

ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში კარგახანია ჩაერთო. იზრდება მეზობელი სახელმწიფოების ინტერესი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალისადმი, რომელმაც, როგორც სასწავლო ცენტრმა, თავისი კვალი დაჩინა სამხრეთ საქართველოს. გვყავს სერიოზული სამეცნიერო კადრები. ათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო შესაძლებლობებიც. სამეცნიერო საქმიანობას ფილიალში 9 კათედრა ემსახურება.

1998 წელს გამოვიდა თსუ ახალციხის ფილიალის შრომების პირველი კრებული. მეორე კრებულზე მუშაობის ჟამს იშვა იდეა თემატური კონფერენციის ჩატარებისა, რომ ფილიალის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეცნიერო მიმართულების ძიების გზაზე მეტი მხარდაჭერა გვეგრძნო. მოკლე დროში მომზადდა კონფერენცია — „მესხეთი — ისტორია და თანამედროვეობა“, რომლის მონაწილეთა შრომები შევიდა წინამდებარე წიგნში. გვინდა მადლობა მოვახსენოთ ყველა მონაწილეს. ასევე მადლობის ღირსია კრებულის სარედაქციო საბჭო და ფილიალთან არსებული ა. ო. „პროგრესი“, მისი წევრები: ლ. ინასარიძე, ლ. გოზალიშვილი, მ. ბერიძე, დ. ზედგინიძე, მ. მურჯიკნელი, მ. ბალასანიანი, ლ. გზირიშვილი, მ. ტაბატაძე, რომელთაც უზრუნველყვეს კრებულის კომპიუტერული დამუშავება და გამოცემა. ინგლისური რეზიუმეები მოგვიმზადა გ. ჯანოვამ.

მერაბ ბერიძე
10 იანვარი 2000 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

გრიგოლ გიორგაძე

„მუშქაია; მუშქი“ და *„დაიანელი; დაიანი“* ასურულ ლურსმულ ტექსტებში*

ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით, ჩრდილო–აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რაიონები ძველთაგანვე ცნობილი იყო ტომთა სიმრავლით. არაინდოევროპული წარმოშობის ხათების (პროტოხეთების) გარდა მდ. ჰალისისა და მდ. ევფრატის ზემო დინების რაიონებში ბინადრობდნენ ასევე არაინდოევროპული წარმოშობის სხვა ტომები. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ *ხეთები* (ძვ. წ. XVI-XIIIსს.) და ასურული (ძვ. წ. XIIს.) ლურსმული ტექსტების *ქაშქები* (ქაშქები), ასურული წარწერების *აპეშლაელები*, ისევე როგორც *მუშქები*, *დაიანელები* და სხვანი. როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, არ გამორიცხება რომ ყველა ესენი ძირითადად ქართველური წარმოშობის ტომები იყვნენ.

ხეთების სამეფოს დაცემამ, ჩრდილოეთ სირიის წვრილ სამთავროთა დასუსტებამ, ამასთანავე, ეგვიპტისა და ბაბილონის დაუძლურებამ, საშუალება მისცა ასურეთს ძვ. წ. XII საუკუნიდან გამხდარიყო ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო მთელს წინა აზიაში. ამ დროიდან იწყება ტიგლათფალასარ I-ის დაპყრობითი ლაშქრობები. მისი „ანალები“ და ზოგიერთი სხვა წარწერა წარმოადგენს ძირითად წყაროს ჩვენთვის საინტერესო ხანის *მუშქებისა* და *დაიანელების* ისტორიისათვის.

როგორც ცნობილია, ასურული წყაროების „მუშქია, მუშქი“ სახელწოდებას, რომელთანაც დაბოლოებების მიხედვით ადარებენ ხეთური და ასურული წყაროების „ქასქა, ქასქაიას“ (შდრ. ქასქური წარმომავლობის „დუდუშქა“, „ციანთიშქა“, „ხუმინთეშქა“ და სხვა) მკვლევარები აკავშირებენ ქართული წყაროების „მესხების“, ბერძნულ-რომაული ტექსტების „მოსხებისა“ და ბიბლიის „მოსოხ-მეშეხ“ სახელწოდებებთან (დაწვრილებით იხ. *გ. მელიქიშვილის*, *ნ. ხაზარაძის* და სხვათა ნაშრომები). მუშქების ეთნოგენეზისის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის წარმომავლობის პრობლემასთან.

ძვ. წ. XII ს-ის ასურული ლურსმული ტექსტების მონაცემთა მიხედვით, *მუშქები* აქტიურობას იწყებენ ტიგლათფალასარ I-ის მეფობის დაწყებამდე, როდესაც უკვე აღარ არსებობდა ოდესღაც ძლიერი ხეთები სამეფო. ტიგლათფალასარ I-მდე 50 წლით ადრე (დაახლ. ძვ. წ. 1165 წლისათვის) *მუშქები* ღრმად შეჭრილან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში („სუბართუში“) დაუპყრიათ რა *ალზი* და *ფურულუმზი*, რომელთაგან მათ ხარკიც უნდა მიეღოთ. მუშქები კვლავ გამოჩენილან ჩრდილოეთ შუამდინარეთში იმავე ასურელი

* ნაწყვეტი მონოგრაფიიდან: „ქართველური და ახლოაღმოსავლური ეთნოსები ძვ. წ. III-II ათასწლეულებში“, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

მეფის მმართველობის პირველსავე წელს (ძვ. წ. 1115), როდესაც მათ მიუტაცნიათ *ქათმუხის ქვეყანაც*. სწორედ მუშქების ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით ასურეთის მეფემ განახორციელა დიდი სამხედრო ოპერაცია, თავისი მეფობის დასაწყისშივე შეეტაკა რა მუშქების 20000-იან ლაშქარს მუშქების 5 „მეფის" ჩათვლით. ასურელებს ბევრი მუშქელი გაუნადგურებიათ, 6000 მეომარი კი ასურელებს დანებებიან, რომლებიც ასურეთში გადაუსახლებიათ.

მკვლევარნი მუშქების მიწა-წყალს ათავსებენ ზემონახსენები *ალზის, ფურულუმზის* და *ქათმუხის* ქვეყნებისა (სუბართუს) ჩრდილოეთით, მდ. ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით, ქაშიარის მთების ჩრდილოეთით, მდ. ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მისი ზემო დინების მხარეში. ყოველივე ეს დამაჯერებლად ხდის მოსაზრებას, რომლის მიხედვით მუშქების ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო, საიდანაც უნდა გამოსულიყო მუშქების 20000 ლაშქარი და მათი 5 „მეფე".

მუშქების ქვეყანა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა. ამას ადასტურებს ფაქტი, რომლის მიხედვით მუშქებს შეეძლოთ 20000-იანი ლაშქრის გამოყვანა ძლიერი ასურეთის ჩრდილოეთ სამფლობელოთა დასაპყრობად. ამასვე მეტყველებს მუშქების 50-წლიანი ბატონობის ფაქტიც *ალზის, ფურულუმზისა* და *ქათმუხის* ქვეყნებზე. ტყულად არ უნდა ყოფილიყო ტიგლათფალასარ I-ის ანალებში ნათქვამი: მუშქები თავიანთ ძლიერებაზე ამყარებდნენ იმედსო, ისინი ვერცერთ მეფეს ვერ დაუმარცხებიაო.

როგორც ჩანს, მუშქების ქვეყანა შედგებოდა 5 სამეფოსაგან (თუ სამთავროსაგან), რომელთაც „მეფეები" (თუ მთავრები) განაგებდნენ (სამწუხაროდ, ისინი წყაროში თავიანთი სახელებით არ მოიხსენიებიან). თუკი ამ შემთხვევაში ნამდვილ მეფეებთან გვაქვს საქმე (ლურსმულ ტექსტებში ზოგჯერ „მეფე" ნახმარია ტომის ბელადის მნიშვნელობითაც), მაშინ მუშქების საზოგადოება შეიძლება ჩავთვალოთ ადრესახელმწიფოებრივ („ქალაქ - სახელმწიფოს" ტიპის) წარმონაქმნად, რაც გარდაუვალი საფეხურია განვითარებული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნისათვის. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების სათავეები დასაწყები იქნება ძვ. წ. XII საუკუნიდან.

ზემოაღნიშნული ხანის ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ძვ. წ. XII-VIII სს-ის ასურულ ლურსმულ ტექსტებშია დასახელებული „დაიაენის", ზოგჯერ „დაიანის" ფორმითაც. სწორედ ამ ქვეყნის სახელწოდებას მკვლევარები დიდი ხანია აკავშირებენ ურარტული ლურსმული ტექსტების „დიაუხი"-ს, ბერძნული წყაროების „ტაოხოი"-ს, ძველი სომხური წყაროების „ტაიქ"-ისა და ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ოლქის–„ტაო"-ს სახელწოდებებთან.

ჯერ კიდევ *ედ. მაიერი, ს. ლემან-ჰაუპტი, დ. ბელკი* და სხვანი ვარაუდობდნენ, რომ *დაიაენის* (დაიანის) მცხოვრებნი დასაკავშირებელი იყვნენ იმ ტომებთან, რომლებსაც *ქსენოფონტი* „ტაოხებს" უწოდებდა. მოგვიანებით კი გამოითქვა მოსაზრება „დაიაენის"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიგივებისა ურარტული წყაროების „დიაუხი“-სთან, რასაც მხარს უმაგრებდა ამ ორი ქვეყნის მოთავსება დაახლოებით ერთსა და იმავე რეგიონში. მართალია, ამ ორი ქვეყნის სახელწოდებიდან ამგვარი დასკვნის გამოტანა ძნელდება თუნდაც იმის გამო, რომ ისინი გაფორმებული არიან ტოპონიმების მაწარმოებელი ორი სხვადასხვა სუფიქსით—*ენი* (*-ნი*) და *-ხი* სუფიქსით, თანაც, ამ სახელწოდებათა ძირებიც („დაია-“ და „დიაუ-“) არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა მაინც მხარს უჭერს მოსაზრებას „დაიაენი“-„დიაუხის“ იგივეობის შესახებ, იქედან გამომდინარე, რომ მკვლევართა ნაწილი ტერიტორიულად ამ ორ ქვეყანას ათავსებს მდ. ჭოროხის რაიონში. საგულისხმოა, რომ *დაიანი* იხსენიება ასურულ წყაროებში. მათში არსად ჩანს *დიაუხი*. ეს უკანასკნელი მოიხსენიება მხოლოდ ურარტულ ტექსტებში, რომლებშიც *დაიენი* საერთოდ არ იხსენიება.

„დაიაენი“/„დაიანი“ სახელწოდების „დაია“- ძირთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასურეთის მეფის თუქულთი-ნინურთა II-ის (ძვ. წ. IX ს-ის პირველი ნახევარი) „ანალებში“ მოხსენიებული ტოპონიმები „დაიაშეთი“, რომელიც ქართული წარმომავლობის *-ეთ-* სუფიქსს უნდა შეიცავდეს. *დაიშეთი* საძებნია მდ. ევფრატის ზემო დინების რაიონში (ამის შესახებ სხვაგან დაწვრილებით) სადაც ივარაუდება ქართველურ ტომთა განსახლება. ეს ტოპონიმი თავისი დაბოლოებით გვაგონებს ურარტული წყაროების „შეშეთს“—დიაუხის ქვეყნის ერთ-ერთ ოლქს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა საძებნი და გაიგივებულია ქართულ ტოპონიმ „შავშეთთან“, ქართულ ტოპონიმს „ერუშეთს“ და სხვ.

ასურული ლურსმული ტექსტებიდან გამომდინარე, *დაიაენი* განივრცობოდა ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც მოიცავდა ამავე წყაროების „ნაირის ქვეყნები“. როგორც ვარაუდობენ, *დაიაენი* მდებარეობდა ერზერუმის რაიონისა და ყარა-სუს (დასავლეთ ევფრატის) ზემო წელის ტერიტორიაზე და ვრცელდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით, ანდა, იგი საძებნია მდ. ჭოროხის ბასეინში, სახელდობრ, ერზერუმის რაიონიდან ჭოროხის ველამდე (ან თანამ. ბაიბურთთან), მდ. ევფრატის სათავეებთან და ა. შ. *დაიაენის* ტერიტორიას უნდა მიეწია „ზემო ზღვამდე“, ე. ი. შავ ზღვამდე.

ასურელთა ლაშქრობა *დაიაენიში* იწყება ტიგრათფალასარ I-ის მეფობის (ძვ. წ. 1115-1077) მესამე წლიდან, როდესაც ასურეთის მეფემ გაილაშქრა დიდი კოალიციის წინააღმდეგ ნაირის ქვეყნებში. ტიგლათფალასარი შეებრძოლა „ნაირის 23 მეფის“ (მათ შორის *დაიაენის*) გაერთიანებულ ლაშქარს, ხელთ იგდო 120 საომარი ეტლი, ხოლო ნაირის მეფენი თავისი შუბით განდევნა „ზემო ზღვამდე“. ასურელებმა დაიპყრეს მტრის „დიდი ქალაქები“, გაანადგურეს და დაანგრიეს რა ისინი, ცოცხლად ხელთ იგდეს ნაირის ქვეყნის ყველა მეფე, თუმცა, ტიგლათფალასარმა შეიწყალა ისინი, დააფიცა რა მისადმი მორჩილებაზე, დააკისრა მათ ხარკი 1200 ცხენისა და 2000 მსხვილფეხა საქონლის ოდენობით. მათგან მხოლოდ ერთი დაიტოვა—დაიაენის მეფე *სიენი* (*სენი*), რომელიც შემდგომ ქ. აშურიდან გაუშვა დიდი ღვთაებისადმი მორჩილების ფიცით.

დაიაენი თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით ნაირის ქვეყნებს აღემატებოდა. იგი უნდა ყოფილიყო მეთაური ტომთა დიდი კოალიციისა ასურეთის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ. ამ ქვეყნის დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყო მის სიმდიდრეს სხვადასხვა ლითონის საბადოებით, რამაც გამოიწვია ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონში მეტალურგიის განვითარება. *დაიანის* ტერიტორიაზე არსებობდა დიდი დასახლებანი, რომლებიც გაძარცვეს ასურელმა მეომრებმა. მათგან მკვეთრად გამოყოფენ *შაშილუს, ზუაინას, უთუხას.*

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ *დაიაენი* ძვ. წ. XII საუკუნიდან უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, ანდა სახელმწიფოდ გადაქცევის მიჯნაზე იმყოფებოდა. ამაზე მიუთითებს საწარმოო ძალთა მაღალი განვითარება, ძვირფასი ლითონების სიუხვე, საუკუნეთა მანძილზე მისი არსებობა მყარი გაერთიანების სახით, ძველი ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ახლო მეზობლობა და მათთან ინტენსიური ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა. სიმპტომატურია, რომ მის სათავეში იდგა ერთი პირი—მეფე (თუკი იგი ნამდვილად მეფეა და არა ტომის ბელადი), რომელიც განასახიერებდა ძვ. წ. XII საუკუნიდან მაინც თავისი ქვეყნის სუვერენიტეტს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

ამგვარად, როგორც *მუშქების* ასევე *დაიანელთა* საზოგადოება შეიძლება ჩავთვალოთ ადრესახელმწიფოებრივ („ქალაქ-სახელმწიფოს" ტიპის) წარმონაქმნებად, რომლებსაც სათავეში მეფე ედგათ (თუკი იგი ნამდვილი მეფეა და არა ტომის ბელადი). ეს გარდაუვალი საფეხურია განვითარებული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობისათვის. ასეთ შემთხვევაში ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების სათავეები შეიძლება დაწყებულ იქნას ძვ. წ. XII საუკუნიდან. მაგრამ თუკი ასურული წყაროების „მეფეში" (წარწერებში ზოგჯერ იხსენიება რეგიონის 33 ასეთი „მეფე", ზოგჯერ კი 60 და ა. შ.) ნაგულისხმევია არა ნამდვილი მეფენი, არამედ ტომთა ბელადები, მაშინ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების სათავე უნდა გადავიტანოთ ძვ. წ. IX ს-ის დასასრულსა და ძვ. წ. VIII ს-ის I ნახევრისათვის, როდესაც ისტორიის ასპარეზზე *დიაუხისა* და *კულხას* ძლიერი სამეფოები გამოდიან (ურარტუს მეფეთა—მენუას, არგიშთი I-ისა და სარდური II-ის დროს).

ლიტერატურა:

1. *ასათიანი შ.*, სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ასურული წყაროების მიხედვით, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", IX, თბ., 1998.

2. *მელიქიშვილი გ.*, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.

3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

4. *ხაზარაძე ნ.*, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Gregoryl Giorgadze

"MUSHKAJA; MUSHKI" AND *"DAIAENI; DAIANI"* IN THE ASSYRIAN CUNEIFORM TEXTS

(Summary)

According to the Assyrian cuneiform text sources, both Mushkean and Daiaenian societies can be considered as prestate ("city-state" type) formations, which were headed by a king (if a "king" indeed and not the tribal chief). This is an inevitable step for forming a state and developed class society. In this case state development origins in historical south Georgia could have begun from XII century B.C. But if in Assyrian "king" (in the texts sometimes are mentioned 23 such ;kings~, sometimes even 60 and so on) is meant not the real king but a tribal chief, then state development origin in historical south Georgia has to be transfered to the and of IX century B.C. and first half of VIII century B.C., when on the historical arena the strong states of Diaukhi and Kulkha (Kolkheti) appear.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ხაზარაძე

ბიბლია და მესხების ძველი ისტორია

XIX ს-დან მოყოლებული უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლტერატურაში ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი ბიბლიურ *მოსოხ-მეშეხთან* ქართველი *მოსხებ-მესხების* იდენტიფიკაციის შესახებ [1,14; 2,57-58; 3, 48-49, 74].

შესაქმესა და *ნეშტთა წიგნის* პირველი რედაქციის თანახმად, *მოსოხ-მეშეხი* ნოეს სამ ვაჟთაგან ერთ-ერთის –იაფეტის–შთამომავალი იყო. *შესაქმე* გვამცნობს: „ძენი იაფეთისანი: ღამერ, და მაგოგ, და მადიმ, და ავან, და ელიოსან, და თობელ, და მოსოქ, და თირას“ (*შესაქმე*, 10:2)[4,62]. მოსოხი-მეშეხის „ძების“ სია დაახლოებით ასეთივეა *ნეშტთა წიგნის* პირველ რედაქციაში, იმ განსხვავებით, რომ აქ *ავანის* ნაცვლად *ოვიგანია* მოხსენიებული: „ძენი იაფეთისნი: გამერ, მიაგოგ, მადაი, ოვიგან, ელისან, თობელ, მოსოქ და თირას“ (1 *ნეშტთა*, 1,5) [5, 244].

ბიბლიის ცნობების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ *მოსოხ-მეშეხითა* და *თობელით* განსახიერებული ეთნოსები მეზობლები იყვნენ. ამას მოყვანილ ცნობებთან ერთად, *ესაიას* და *ეზეკიელის* წინასწარმეტყველებათა წიგნებიც ადასტურებენ.

ესაია: „*და დაუტევო მათ თანა სასწაული და განვავლინნე მათგან ცხორებულნი წარმართთა მიმართ თარშიდ და ფუდდ, და ლუდდ, და მოსოხდ, და თოველდ, და ელლადად მიმართ და ჭალაკთა მიმართ შორიელთა, რომელთა არა ესმა სახელი ჩემი, არცა იხილეს დიდებაი ჩემი წარმართთა შორის*“ (ესაია, 66, 19) [6, 154].

ეზეკიელის წინასწარმეტყველებათა ტექსტებშიც *მოსოხ-მეშეხი* და *თობელი*, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით არიან მოხსენიებულნი. ასე, მაგალითად: „*ესენ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა, საფლავისა მისისა გარემოისთაგანისა, ყოველნი წყლულნი მათნი, ყოველნი წინადაუცვეთელნი, წყლულნი მახჯლისა მიერ, მიმცემელნი შიშსა მათსა ქვეყანასა ზედა ცხორებისასა*“ (ეზეკიელი, 32,26) [6, 340]. ტვიროსის გოდებაში იგივე ეზეკიელი ამბობს: „*იონია, თობელი და მოსოხი ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცეს სავაჭროდ შენდა*“ (ეზეკიელი, 36,1,2,3; 39,1 [7, 144]. გოგის საწინააღმდეგო სიტყვა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ლიდია-მიდიის ომის დროს (ძვ. წ. 590-585 წწ.) დაიწერა, ეზეკიელი გვამცნობს: „და იყო სიტყუჲ უფლისჲ ჩემდა მომართ და თქუა: ძეო კაცისაო, განამტკიცე პირი შენი გოგის ზედა, ქუეყანასა მაგოგისსა, მთავრისა მის როს, მოსოქ და თუბელისა. და წინასწარმეტყველებდ მის ზედა“ (38, 1,2) [7, 140]. ამ წინასწარმეტყველების მთელ ტექსტში *მოსოხი-მეშეხი* და *თობელი* ერთიმეორის გვერდით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ რამდენიმეგზის იხსენიებიან: „*და არქუ მას: ამას იტყჳს ადონაი უფალი: აჰა ესერა მე შენ ზედა, გოგ, მთავრისა როს, მოსოქ და თობელისა*“ (ეზეკიელი, *38,3)*; „*და შენ ძო კაცისაო, წინასწარმეტყველებდ გოგის ზედა და არქუ: ამას იტყჳს ადონაი უფალი: აჰა ესერა მე შენ ზედა, გოგ, მთავრისა როსისა, მოსოქ და თობელისა*“ (ეზიკიელი, 39,1) [7, 141, 144].

ბუნებრივია, იბადება კითხვა, სად ვეძიოთ ბიბლიის წიგნებში მოხსენიებული იაფეტისა და მის შთამომავალთა, მათ შორის *მოსოხ-მეშეხების*, ადგილ-საცხოვრისი?

ამ კითხვაზე ახ. წ. I ს-ის ებრაელი ისტორიკოსის *იოსებ ფლავიოსის* თვალსაზრისი ასეთია: „ნოეს შვილებს ეყოლათ ვაჟები, რომელთა პატივისცემით სახელები დაარქვეს ტომებს, რომელთა მიწაც ამათ დაიჭირეს. იაფთას (იაფეთს–ნ.ხ.), ნოეს შვილს ჰყავდა შვიდი ვაჟი. ისინი ცხოვრობდნენ ტავროსისა და ამანის მთებიდან დაწყებული და აღწევდნენ აზიაში მდ. ტანაისამდე, ხოლო ევროპაში–გადეირამდე. აი, ეს მიწა მათ ეჭირათ. უწინ ამ მიწაზე არავის უცხოვრია და ტომებს მათ მიხედვით დაერქვათ სახელები“ [8, 62]. იოსებ ფლავიოსის კვალდაკვალ *ევსტათი ანტიოქელი* აღნიშნავს: „ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი: სემი, ქამი, და იაფეთი; ისინი დასახლდნენ დაწყებული ტავრისა და ამანის მთებიდან და მივიდნენ აზიაში მდინარე ტანაისამდე, ხოლო ევროპაში ვიდრე ღადირთამდე“ [9, 34-35]. ბიზანტიელი მოღვაწე *იოანე ზონარაც* (XI–XII სს.) დასძენს: „იაფეტს ჰყავდა შვიდი ძე, რომლებიც ტავროსისა და ამანის მთებიდან გამოვიდნენ და [დასახლდნენ] აზიაში ტანაისის მდინარემდე, ხოლო ევროპაში–ღადირთ [ქვეყნამდე]. მათი სახელების მიხედვით წოდებულ იქმნენ ხალხები...“[10,182].

იგივე *იოსებ ფლავიოსი* მნიშვნელონად აზუსტებს ჩვენთვის საინტერესო *მოსოხ-მეშეხების* კუთვნილ ტერიტორიას, როდესაც დასძენს: „მესხოსმა (ანუ მოსოხმა–ნ.ხ.) დააფუძნა მესხენები, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათ, ხოლო მათი ძველი სახელწოდების საბუთი ასეთია: მათ [ტერიტორიაზე] ახლაც არის ქალაქი მაზაკა, რაც ცხადყოფს მათთვის, ვისაც მიხვედრა შეუძლია, რომ ოდესღაც მთელ ტომს ასე ერქვა“ [11,271-273].

იოსებ ფლავიოსის მოყვანილ მოსაზრებას სხვა ავტორებიც იზიარებენ. ასე, მაგალითად, უკვე მოხსენიებული *ევსტათი ანტიოქელი* (280-360 წწ.) გვამცნობს: „ოსოხი (იგივე მოსოხი–ნ. ხ.), რომლისგან არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები“ [9, 34-35]. *ლეონ გრამატიკოსი* (XI ს.) დაახლოებით იგივეს იმეორებს. იგი აცხადებს: „იაფეთის ვაჟთაგან მომდინარეობენ:... მესხოსაგან (იგივე მოსოხისაგან–ნ.ხ.) მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდათ, საიდანაც არის მაზაკა, მათი დედაქალაქი“ [12, 4]. *იოანე ზონარაც* (XI-XII სს.) აღნიშნავს: „მოსოხისაგან წარმოიშვა მესხინთა ტომი, ესენი აწ კაბადოკიელებად სახელიდებიან“ [10, 182] და სხვ.

ამგვარად, იოსებ ფლავიოსი და მისი მიმდევრები მნიშვნელოვნად აზუსტებენ ჩვენთვის ბიბლიური მოსოხ-მეშეხების განსახლების ტერიტორიას, როდესაც მოსოხებს (მესხენებს, მესხებს) კაბადოკიას უკავშირებენ.

თუ გავიზიარებთ სამეცნიერო ლიტარატურაში გამოთქმულ და საკმაოდ არგუმენტირებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ბიბლიური *მოსოხ-მეშეხი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენეტურადაა დასაკავშირებელი ძველაღმოსავლური წერილობითი ძეგლების (ასურული, იეროგლიფურ-ლუვიური, ურარტული) *მუშქებთან, მუსქებთან, მუსქასთან* და ბერძენ რომაელ ავტორთა (*ჰეკათე მილეტელი, ჰეროდოტე, სტრაბონი* და სხვ.) მოსხებთან–მესხებთან, მაშინ იოსეფ ფლავიოსის კონცეფციაც კაპადოკიის ტერიტორიაზე ბიბლიური *მოსოხ-მეშეხის* ლოკალიზების შესახებ სავსებით რეალური საფუძველი ეძებნება.

საქმე ისაა, რომ იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების ჩვენებით, ძვ. წ. X ს-ში *მოსოხ-მეშეხებს* (*მოსქებს*) მდ. ყიზილ-ირმაკის შუა დინების სამხრეთით, ყიზილ-დაღისა და ყარა-დაღის მთიანეთში, კილიკიის კარის დასავლეთით, ქუე-ხიდაქუ-ათუნა-შინუხთუ-თბალის (დღევ. სულთან-ხან-კაისერი-სუვასა-ტოპადა-ჩიფლიქ-ბორის) დასავლეთით ძლიერი პოლიტიკური ერთეული შეუქმნიათ. ამ სამეფოს სათავეში *ხართაფუ* მდგარა. იგი „დიდ მეფედ", „გმირად", „ღვთაება თარხუნზასის საყვარელ კაცად" მოიხსენიება [1, 106; 14, 84-93].

კაპადოკიის რეგიონში მდებარე *თაბალის* მეზობლად ლოკალიზდება *მოსოხ-მეშეხის* („მუსქების ქვეყნის") მიწა-წყალი ასურული წერილობითი წყაროების ცნობებითაც. ასურული წყაროების მოწმობით, ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედში ცენტრალურ ანატოლიაში ძლიერი სამეფო წარმოქმნილა. მოსოხ-მეშეხ-მუსქები (მესხები) მის აღმოსავლეთით პერიფერიაზე აღმოჩნდნენ. ასურელები ამ პოლიტიკურ ერთეულს „მუსქების ქვეყანას" (ანუ „მოსოხების ქვეყანას") უწოდებდნენ, ძველი ბერძნები კი–„ფრიგიას". ამ ქვეყნის მეფეს ასურელები *მითას* სახელით იცნობდნენ, ძველი ბერძნები–*მიდასის*. მითა-მიდასი ანტიასურული კოალიციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ყოფილა. მან შესძლო დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა ურარტუსთან, თაბალთან (თობელელთა ქვეყანასთან), ქუესთან (კილიკია) და სხვა მცირე სამეფო-სამთავროებთან. ბერძნული წერილობითი ტრადიციით, *მითა-მიდასი* ფრიგიაში კიმერიელების შემოსევის მსხვერპლი გამხდარა: როდესაც ფრიგიაში კიმერიელთა თარეშის შედეგების შესახებ შეუტყვია, თვითმკვლელობით დაუსრულებია სიცოცხლე [14,72-105].

კაპადოკიაში *მოსოხ-მეშეხების* (მოსხებ-მესხების) განსახლების იოსებ ფლავიოსისეული კონცეფციის მართებულობაზე შემდეგიც უნდა მიუთითებდეს: ჩვენს მიერ ადრე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ ძვ. წ. VI-V სს-ში მოსხების-მესხების კუთვნილი მიწა-წყალი მაინცდამაინც იმ მხარეშია საძიებელი, სადაც იოსებ ფლავიოსი და მისი მიმდევრები ბიბლიური *მოსოხ-მეშეხის* შთამომავლების კუთვნილ მიწა-წყალს ათავსებდნენ. *ჰეკატე მილეტელისა* (ძვ. წ. VI ს.) და *ჰეროდოტე ჰალიკარნასელის* (ძვ. წ. Vს.) ცნობების ანალიზმა და ურთიერთშეჯერებამ ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენა, რომ ჰეკატესეული და ჰეროდოტესეული *მოსხები-მესხები* ძვ. წ. VI-V სს-ში კაპადოკიაში, მდ. *ჰალისის* (დღევ. ყიზილ-ირმაკის) აუზში მცხოვრები ტომების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, დღევ. *ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმუშხანეს* სანახებში, ხოლო ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედში ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს რეგიონში (*სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, ეგრი, შავშეთი, ერუშეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ბასიანი*) ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის სამხრეთი საზღვარი დღევ. ერზინჯანთან გადიოდა [13, 16-35]. *სტრაბონი* (ძვ. წ. I–ახ წ. I სს.) ამ გაერთიანებას „მოსხების ქვეყანას" („მოსხიკეს") უწოდებს, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორი, ჩვენი ვარაუდით, მას „არიან-ქართლის" სახელით იცნობს [13, 36; 15,389].

გამოყენებული წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. *ბაზარაძე ნ.* საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984.

2. *მისივე,* ბიბლიური „მოსოხის" იდენტიფიკაციისათვის, *ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო,* კონცეფცია, მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1994.

3. *მისივე,* ბიბლია და ქართველი ტომების განსახლების ისტორია ძვ. წ. I ათასწლეულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-იერუსალიმი, 2", მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1998.

4. *მცხეთური ხელნაწერი* (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *ელ. დოჩანაშვილმა,* თბ., 1981.

5. *მცხეთური ხელნაწერი* (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა *ელ. დოჩანაშვილმა,* თბ., 1982.

6. *მცხეთური ხელნაწერი* (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები-ესაია, იერემია, ბაჭური, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა *ელ. დოჩანაშვილმა,* თბ., 1985.

7. *ეზეკიელის წიგნის ქართული ვერსიები,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *თ. ცქიტიშვილმა,* თბ., 1976.

8. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა-საძიებლები დაურთო *თ. ყაუხჩიშვილმა,* თბ., 1983.

9. გეორგიკა, I., ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს *ალ. გამყრელიძემ* და *ს. ყაუხჩიშვილმა,* თბ., 1961.

10. გეორგიკა, VI, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა,* თბ., 1966.

11. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V. თარგმანისათვის შდრ. გეორგიკა I.

12. გეორგიკა, V, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა,* თბ., 1963.

13. *H. Хазарадзе,* Лувийско-иероглифические надписи Хартапу, *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული,* VIII, თბ., 1988.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Nana Khazaradze

THE BIBLE AND THE ANCIENT HISTORY OF MESKHS
(Summary)

Since the XIX c. the opinion about identity of Gerogian Moskh-Meskhs and Biblical Mosokh-Meshekh is widely spread in foreign and Georgian scientific literature.

According to the Genesis Mosokh-Meshekh (etnarchos of Moskh-Meskhs) was the descendent of Japheth, one of Noah's sons.

The intercomparison of information of Genesis and Chronicles shows that the nearest ethnic neighbours of Mosokh_Meshekh were Tobels (resp., Tabalels). The validity of such conclusion is proved by the corresponding contexts of Books of Prophecy of Esaiah and Ezechiel (Esaiah 66; 19 Ezechiel 32: 26; 38:3; 39:1)

Josephus Flavius (Ic.) and the later commentators of Biblical genealogical chart put the mountains of Tavrosus and Aman, the river Tanais and country of Gadies as the natural borders to the lands of Mosokh-Meshkh „brothers".

Josephus Flavius and the followers of his conception: Eustasius the Antiochian (III-IV cc.), Leon Gramaticos (XI c.), John Zonarah (XI-XII cc.) and others considerably localise the area of Mosokh-Meshekh (Moskh-Meskhs) residence and connect it with Cappadocia.

The opinion of the Bible, of Joseph Flavius and of the later commentators of Biblical genealogical charts about Mosokh_Meshekh (Moskh-Meskhs) residence in Cappadocia is supported by ancient East (Assyrian, Urartian Hierogliphic-luwian) inscriptions and by information of ancient (VI-V cc. B.C.)authors (Hecateos of Miletus, Herodotus of Halicarnasus).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

მანანა სანაძე

ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე
(პოლიტიკური ისტორიიდან)

VII-VIII საუკუნეების ქართლის პოლიტიკური ისტორიისათვის აუცილებელია წყაროებში არსებული რამდენიმე ერისმთავრის საგვარეულო კუთვნილების და ზეობის წლების გარკვევა. ეს პირველ რიგში ეხება ერისმთავარ ნერსე I-ს. ქართლის ეს ერისმთავარი მოიხსენიება IX-X სს-ის მიჯნის სომეხი ისტორიკოსის *იოანე დრასხანასკერტელის* „სომხეთის ისტორიაში", სომეხთა კათალიკოსის *ისრაელის* ზეობაში (667-677). ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ქართლის მთავარს ნერსეს გაუდევნია ქართლში შემოსული არაბთა ლაშქარი, რომელსაც არაბი სარდალი *ბარაბა* სარდლობდა [3,14]. ნერსე ერისმთავარი თავისი შვილებით *ფილიპე, სტეფანოზი, ადარნასე* და *გუარამი* გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკის ერისმთავართა ჩამონათვალშიც. ნერსე სუმბატ დავითის ძის „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაში" ბაგრატიონად და სტეფანოზ II-ის შვილთაშვილადაა (სტეფანოზ II, გუარამ კურაპალატი, ვარაზ-ბაკური - ძე მისი ანთიპატოსი და შემდგომ ნერსე) დასახელებული [8,376]. ქართლის ერისმთავრის ნერსეს იდენტიფიცირება მოხდა ატენის სიონის წარწერაში სტეფანოზ მამფლის მამა ნერსესთან [1,162]. ამისდა მიუხედავად, ამ პიროვნებასთან და მის საგვარეულო კუთვნილებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასაზუსტებელი. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ნერსე ერისმთავრობდა ქართლში VII ს-ის II ნახ-ში, დაახლ. 667-685 წწ-ში.

ვისი შვილი იყო ნერსე I?

„ქართლის ცხოვრების" და „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტები (იგულისხმება „მოქცევაჲს" ქრონიკა) თავდაპირველად სტეფანოზ II-ზე თავდებოდა. „ქართლის ცხოვრების" გამგრძელებელმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა „მირისა და არჩილის ცხოვრება", სადაც ეს ძმები სტეფანოზის ძეებად იყვნენ სახლდებულნი, აღნიშნული თხზულება სტეფანოზ II-ის შემდგომ მოათავსა და მირი და არჩილი სტეფანოზ II-ის ძეებად გამოაცხადა. „მოქცევაჲს" ქრონიკის შემვსებს კი ხელთ ჰქონია სტეფანოზ II-ის შემდგომ ერისმთავართა სია, რომელიც კიდეც დაურთო ქრონიკას ბოლოში და ამით ქრონიკის ტექსტი სტეფანოზ II-ის ხანიდან მის დრომდე მიიყვანა: „და მისა შემდგომად (იგულისხმება სტეფანოზ II) ერისთავობდა გუარამ კურაპალატი და გუარამ ყრმაჲ და მერე არშუშა კურაპალატი და ვარაზ ბაკურ აპაი პატრიკიოზი, რომელმან გარდაბნელნი მოაქცივნა, და მერმე ნერსე დიდი და ძენი მისნი ფილიპე, სტეფანოზ, ადარნასე, გუარამი ბაკურეანი;

ძე ბალდადისი და ძენი ადარნასესნი: სტეფანოზ, აშოტ კურაპალატი და გუარამ"... [9,97].

სუმბატ დავითის ძე, თავის თხზულების ამ ნაწილში, როგორც ცნობილია მთლიანად დამოკიდებულია „მოქცევაჲს" ქრონიკაზე, თუმცა მას, როგორც ჩანს, ამ თხზულების ჩვენთვის უცნობი ნუსხა აქვს გამოყენებული: „ამის სტეფანოზის შემდგომად ერისთავობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ ძე მისი ანთიპატოსი, რომელმან გარდაბნელი მოაქცივნა და მერმე ნერსე და ძენი მისნი: ფილიპე და სტეფანოზი და ადარნასე და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი" [8, 376].

XI ს-ის ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძისათვის ეჭვს გარეშეა, რომ აქ ჩამოთვლილი პიროვნებები ერთმანეთის მამა-შვილებია და, ამგვარად, მისი აზრით, უწყვეტი მემკვიდრეობითი ხაზი მოდის სტეფანოზ II-დან (და შესაბამისად, გუარამ-გურგენ II-დან). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გურგენ (გუარამ) I-ად მივიჩნევთ კლარჯეთული შტოს წარმომადგენელს 523 წ. ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ გურგენს [10,119] აშოტ კურაპალატამდე. სინამდვილეში, სუმბატ დავითის ძის ზემომოყვანილ ტექსტს თუ შევადარებთ „მოქცევაჲს" ჭელიშური და შატბერდული ნუსხების შესაბამის ადგილებს, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში ხელთა გვაქვს „მოქცევაჲს" მესამე ნუსხა, სადაც გამოტოვებულია რამდენიმე ერისმთავარი: გუარამ ყრმაი, არშუშა კურაპალატი და ვინმე ძე ბალდადისი. გუარამ ყრმაი და გუარამ კურაპალატი, ჩვენი აზრით, ერთი პიროვნებაა და გადამწერთა მიერ მოხდა მისი გაორება. არშუშა კურაპალატი კი აშკარად შემთხვევითაა გამოტოვებული და შესაძლოა არა უშუალოდ სუმბატ დავითის ძის, არამედ მისი თხზულების გადამწერთა მიერ. ამდენად, ჩვენი აზრით, ვარაზ-ბაკური არშუშას ძე უნდა იყოს და არა გუარამ კურაპალატისა. ახლა, თუ ჩვენ სუმბატის ტექსტში არშუშას აღვადგენთ, მაშინ ის უფრო დაუახლოვდება „მოქცევაჲს" ქრონიკას, საიდანაც სრულიად აშკარადაა გადმოწერილი. ზემოაღნიშნული ნუსხების ურთიერთშეჯერება გვაფიქრებინებს, რომ „მოქცევაჲს" ქრონიკის ამ ჩამონათვალში ჩვენ გვაქვს არა ერთი უწყვეტი გენეალოგიური ხაზი, არამედ რამდენიმე ოჯახი:

I. სტეფანოზ II-ის ძე გუარამ III კურაპალატი (იგივე გუარამ ყრმაი), ანუ გურგენ II-ის შტო, გორგასლიანთა კლარჯეთული შტო ქალის ხაზით, ბაგრატიონ-ფარნავაზიანები;

II. ნერსე და მისი ძეები: ფილიპე, სტეფანოზ, ადარნასე, გურგენ-გუარამი ბაკურეანი, ანუ ფარნავაზიანთა მთავარი შტოს (ბაკურის) შთამომავალნი - გორგასლიან-ბაკურეანნი;

III. არშუშა კურაპალატი და მისი ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატოსი ფეროზიან-ფარნავაზიანები;

IV. ადარნასე თავისი ძეებით, აშოტით და გურგენით. ამ უკანასკნელის ძე უნდა იყოს სტეფანოზ გურგენის ძე, რომელმაც იოანე საბანისძის მიხედვით ნერსე II-ის შემდეგ არაბებისაგან მიიღო ქართლის ერისმთავრობა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვევლია თუ ვის გულისხმობს „მოქცევაჲს" „ძე ბალდადისი".

როგორც მოსე კალაკატუელის მიერ ალვანთა მთავრის ჯუანშერის ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლების აღწერიდან ჩანს, ქართლის ერისმთავარი ადარნასე (სტეფანოზ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I-ის ძე) ცოცხალი იყო ჯერ კიდევ VII ს-ის 40-იანი წლების დასასრულს. შესაბამისად სტეფანოზ II, მისი ვაჟი 650-655 წწ.-ში უნდა გაერისმთავრებულიყო. ამ დროს იწყება არაბთა მძლავრი შემოსევები სომეხთსა და ქართლის სამეფოში. იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, არაბებს დაუმორჩილებიათ სომხეთის სპარაპეტი *თეოდოროს რშტუნი* (გარდ. 658 წ.); ხოლო 654 წ. ქართლის ერისმთავარმა, ალბათ, უკვე სტეფანოზ II ადარნასეს ძემ ცნო არაბთა უზენაესობა (*ჰაბიბ იბნ მასლამის* დაცვის სიგელი). ამის საპასუხოდ ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინ (641-668) სომხეთისა და ქართლის წინააღმდეგ გამოილაშქრა. სომხეთი არ დაემორჩილა კეისარს და არ განუდგა არაბებს. ქართლმა კი, როგორც ირკვევა, კვლავ ბიზანტიის უზენაესობა აღიარა [3, 13]. ჩვენი აზრით, სტეფანოზ II-ის ერისმთავრობა VII ს-ის 60-იანი წლების დასასრულამდე გაგრძელდა. სტეფანოზ II-ის შემდგომ ქართლის ერისმთავარი მისი ძე გუარამ III (გურგენ III) გახდა, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ ახალგაზრდა იყო, რადგან მეტსახელად „ყრმა" დაიმკვიდრა. მისი ერისმთავრობა დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ჰერაკლე კეისარმა ხაზართა დახმარებით თბილისის აღების შემდეგ „მოუწოდა ძესა ბაკურისა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთავობდა კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა" [8,225]. ჩვენი აზრით, ეს ცნობა სრულიად რეალურია, ოღონდ მემატიანეს VIIს-ის 70-იანი წლების ამბავი შეცდომით ნახევარი საუკუნის წინ, ჰერაკლე კეისრის ხანაში გადააქვს და ქართლში ერისმთავართა კახური შტოს წარმომადგენლად ადარნასეს - სტეფანოზ II-ის მამას მიიჩნევს. სინამდვილეში, როგორც ამას მცხეთის ჯვრის წარწერებიც მეტყველებენ, ეს ადარნასე სტეფანოზ I-ის ვაჟია და გორგასლიანთა კლარჯეთული შტოს წარმომადგენელი. ჩვენი აზრით, ამ დინასტიურ ცვლილებას ადგილი ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე IV-ის (668-685) მეფობის დასაწყისში. ხოლო პირველი ერისმთავრი კახური შტოდან იყო ნერსე და არა ადარნასე. რაც შეეხება სტეფანოზ II-ის ვაჟს გუარამ (გურგენ III) კურაპალატს, ის გადავიდა კლარჯეთში თავის საგვარეულო მამულში: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა და სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი, და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა, და ერისთავნი იგი თვის-თვისთა საერისთავოსა შინა მკვიდრობდეს შეუცვლებელად და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა"- მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება" [8,226].

მართალც, გუარამ III კურაპალატი რომ სტეფანოზ II-ისა ძეა, ამაზე მოგვითხრობს „მოქცევაჲს" ქრონიკა და სუმბატ დავითის ძე, რომელიც ამ შემთხვევაში „მოქცევაჲს" ქრონიკით სარგებლობს. გუარამი (ჩვენის აზრით, ამ პიროვნების ნამდვილი სახელი, ისევე როგორც გურამ II-ის შემთხვევაში, გურგენი იყო) რომ VII-VIII სს-ის მიჯნაზე კლარჯეთში რეალურად მთავრობს, ამაზე მეტყველებს „მირის და არჩილის ცხოვრებაც". „ცხოვრების" მიხედვით, არჩილს ცოლად ჰყავდა გურამ კურაპალატის ასული, „რომელ იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა" [8,243]. არჩილმაც თავისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმისწული, მირის ასული მისცა: „მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი“ [8,241]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „არჩილის ცხოვრების“ ამ ფრაზის მიხედვით, გ. მამულიას გუარამ კურაპალატი მირის და არჩილის მესამე ძმად მიაჩნია [6,123]. სინამდვილეში, გამოთქმა „მამის ძმისწული“ ეხება არჩილს და არა მირის ასულს, ანუ მემატიანეს უნდა თქვას, რომ არჩილმა მისცა მირის ასული თავისი (ე.ი. არჩილის) მამის ძმისწულს. აღნიშნული ადგილის პირდაპირი გაგების შემთხვევაში გუარამ კურაპალატი არჩილის ბიძად, მამის ძმად გვევლინება. აქ, ჩვენი აზრით, ისევე როგორც, ჩვეულებრივ, „ქართლის ცხოვრებაში“, „მამა“ და „მამის ძმისწული“ ფართე მნიშვნელობითაა ნახმარი და წინაპარს და წინაპრის ძმას, უფრო ზუსტად, გვერდით შტოს აღნიშნავს. ამის კარგი ნიმუშია ერთი ადგილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან“: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი–ათქმევინებს მემატიანე ვახტანგს - დაი ჩემი ხვარამზე შეირთოს მირიან, რომელი ეყვიდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა“ [8,151].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემატიანე ერთმანეთში ურევს ნერსეს და ადარნასეს. ადარნასე ბაკურის ძე სხვა წყაროებში არ დასტურდება, ნერსე ბაკურის ძე კი, როგორც კახეთის მთავარი, მოიხსენიება სუმბატ დავითის ძესთან. ეს უკანასკნელი ბაგრატიონების კახეთში მოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ხოლო სამნი ესე ძმანი წარმოვიდეს კახეთს და საჰაკ დაემზახა ბაკურის ძესა ნერსეს, ხოლო ასამ და ვარაზ-ვარდ წარვიდეს კამბეჩოანს“ [8,373]. ეს ინფორმაცია სუმბატ დავითის ძეს და „მირის და არჩილის ცხოვრების“ ავტორს ერთი საერთო წყაროდან აქვთ აღებული, ოღონდ სუმბატი, როგორც ჩანს, ამ წყაროში მოხსენიებულ გუარამ კურაპალატს გუარამ II-თან აიგივებს და ამიტომ ეს ამბავი VI ს-ის II ნახევარში გადააქვს. „მირისა და არჩილის“ ცხოვრების ავტორი უფრო ახლოა სინამდვილესთან, თუმცა, გარკვეულ ქრონოლოგიურ აღრევას მის თხზულებაშიც აქვს ადგილი–ის ამ ამბავს არჩილის ცხოვრების ხანას უკავშირებს [8,244]. თუ ჩვენ აღნიშნულ ინფორმაციას მოსე კალანკატუელის თხზულებაში დაცულ ერთ ცნობას შევადარებთ, იოლად დავრწმუნდებით, რომ ქართველი და სომეხი მემატიანეები ერთიდაიგივე ამბავს მოგვითხრობენ.

ალბანეთში ქალკედონიტობაზე გადასვლის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 700-703 წწ.-ში, ქალკედონიტი (საფიქრებელია, ქართველი) კათალიკოსის ნერსეს დროს, არაბებმა ალბანელ ნაჰარარებს დაადებინეს აღქმა მონოფიზიტობის ერთგულებაზე. ამასთან დაკავშირებით, მოსე კალანკატუელის მოჰყავს ამ პერიოდის ალბანელ დიდებულთა სია, სადაც დასახელებულია ვაჰან და ვარაზ იოვანიანები, მადიანელთა გვარიდან იაკობინელთა სარწმუნოებისა. ამ პირებთან დაკავშირებით მემატიანე აკეთებს შემდეგ კომენტარს: „ესენი მოვიდნენ და კამბეჩანში დასახლდნენ“ [4,144]. ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ეს ვაჰან და ვარაზ იოვანიანები ქართული წყაროების ბაკურის ძის ნერსეს დროს კამბეჩოვანში დასახლებული ასამ და ვარაზ-ვარდი უნდა იყვნენ. ამგვარად, ქართველ და სომეხ მემატიანეთა ცნობები ამ შემთხვევაში ერთმანეთს ავსებენ და ესადაგებიან. მართლაც, VII ს-ის II ნახევარში ორი ძმა იოვანიანი (რომელთაც, როგორც ვხედავთ, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ ადარნასე (აშოტ) ბრმასთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბაგრატიონებთან, თუ თავისთავად იოვანიანები ბაგრატიონთა განშტოებას არ წარმოადგენდნენ) თავიანთი ქალკედონიტური-„იაკობინური" აღმსარებლობის გამო, წამოსულან ალბანეთიდან და კამბეჩოვანში დასახლებულან. ამ დროს კამბეჩოვანზე, სუმბატ დავითის ძის ცნობით, კახეთის მთავრის ნერსე ბაკურის ძის იურისდიქცია (ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც) ვრცელდებოდა. ამიტომ, მათ ნერსესთან მიულიათ კამბეჩოვანში დამკვიდრების ფორმალური უფლება. როგორც სუმბატი აღნიშნავს, ეს დამკვიდრება მშვიდობიანი არ ყოფილა: მათ კამბეჩოვანი ბრძოლით დაუპყრიათ [8,374].

VII ს-ის 70-იან წლებში კი ნერსე ბაკურის ძე უკვე ქართლის ერისმთავარია, ხოლო 711 წლიდან ამავე პატივში კეისარ ვარდან ფილიპისკოსს (711-713) აუყვანია მისი ძე სტეფანოზ მამფალი, რომელიც ეპიტაფიაში „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლის" ტიტულს ატარებს [7,90].

სწორედ ამ სტეფანოზის, ანუ სტეფანოზ II-ის ვაჟები არიან მირი და არჩილი. ამათგან არჩილი ქართლის ერისმთავარია 740 წლიდან, სტეფანოზ III-ის გარდაცვალების შემდეგ. მის შემდგომ კი ერისმთავრობას მისი ვაჟი ჯუანშერი ეუფლება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გ. აბრამიშვილი ცდება, როდესაც ზემოხსენებული სტეფანოზის ძედ ვინმე გიორგი სტეფანოზის ძე მესხს მიიჩნევს [1,167]. ამ მოსახსენებელი წარწერის ხასიათიდან და შინაარსიდან ეს სრულიად გამორიცხულია. ჩვენი აზრით, არჩილის ძე ჯუანშერი ქართლის ერისმთავარი იყო VIII ს-ის 60-იან წლებში. მის დროს მოხდა ხაზართა ის შემოსევა ქართლში, რომელსაც 764 წლით ათარიღებს თეოფანე ჟამთააღმწერელი [2,117]. ასევე ცდებიან გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე როდესაც სტეფანოზ ერისმთავრის ეპიტაფიაში აღნიშნული „ღვთივ გვირგვინოსანი და კეთილად მსახური" არჩილი ჰგონიათ [7,90]. აქ, უთუოდ, ბიზანტიის იმპერატორი ლეონ III ისავრელი იგულისხმება, რომელიც ტახტზე 718 წ. ავიდა. შესაბამისად ამისა უნდა გასწორდეს წარწერის ტექსტის წაკითხვაც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, VII-VIII სს-ის მიჯნაზე და VIII ს-ში ქართლის ერისმთავრობისათვის ერთმანეთს ებრძვის ქართლის წარჩინებულთა რამდენიმე საგვარეულო. პირველ რიგში, გორგასლიანთა ორი შტო - I. *კახური შტო*, ანუ ბაკურიანები: ნერსე ბაკურის ძე (დახლ. 670-685), მისი ვაჟი სტეფანოზ III (711-740), მისი ვაჟი არჩილი (740-დაახლ. 760), მისი ვაჟი ჯუანშერი (VII ს-ის 60-იანი წწ.). ამავე შტოს წარმომადგენელი უნდა იყოს „აბო ტფილელის მარტვილობიდან" ცნობილი ნერსე II ადარნასეს ძე, რომელიც, ჩვენი აზრით, იყო ნერსე I-ის უმცროსი ვაჟის ადარნასეს ძე; და II. *კლარჯეთული შტო*, გუარამ III (გურგენ III) და მისი მემკვიდრეები–მასთან ჩასიძებული ადარნასე და მისი შვილები გურგენი და აშოტი. გარდა ამისა, ერისმთავრობისათვის ბრძოლაში VII ს-ის ბოლოს ჩაება ქართლის პიტიახშთა საგვარეულო - ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები არშუშა კურაპალატი და მისი ვაჟი ვარაზ-ბაკურ ანთიპატოსი. პიტიახშთა ფეროზიანთა საგვარეულოს,რომელიც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მირიან მეფის სიძის, ირანელი მოხელე-პიტიახშის ფეროზის შთამომავლები იყვნენ, კლარჯეთულ ფრანავაზიან-ბაგრატოვანთა შტოზე ნაკლები უფლებები არ გააჩნიათ

ქართლის ერისმთავრის ტახტზე. VII-VIII სს-ის მიჯნაზე ფეროზიანები ფრიად გაძლიერებულები არიან, რაც კარგად ჩანს იმ „მზითვის" მიხედვით, რომელიც „მირის და არჩილის ცხოვრებით", ვითომდა არჩილ მეფისაგან ამ საგვარეულოს წარმომადგენლებმა მიიღეს (ჩვენი აზრით, აღნიშნული თხზულების ავტორი მზითვის წილების სახით მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის ქართლის სამეფოს დანაწილების სავსებით რეალურ სურათს გვიხატავს): „მისცა პიტიახშსა ნათესავსა ფეროზისა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს" [8,241]. ამგვარად, ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს, გარდაბნის გარდა, ალგეთის ხეობის ქვემოთ, ამის გარდა აბოცს და თრიალეთს, ფეროზიანები ფლობდნენ. მათი მფლობელობა სამცხეშიც ვრცელდებოდა. ამას უნდა მოწმობდეს აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა [5,103]. როგორც ჩანს, ამ საგვარეულოს წარმომადგენელია „მოქცევაჲს" ქრონიკის არშუშა კურაპალატი, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. არშუშას ქართლის ერისმთავრობა და პატრიკიოსის (და არა „მოქცევაჲსეული" კურაპალატის) ტიტული უნდა მიეღო იუსტინიანე II კეისრის მეფობის პირველ ეტაპზე, ანუ 685-695 წწ. (ცნობილია, რომ იუსტინიანე II ორჯერ, 685-695 და 705-711 წწ-ში იყო კეისრად). ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, იუსტინიანე II-ემ ნერსეს შემდგომ, ქართლის ერისმთავრობა და პატრიკიოსობა პიტიახშთა ფეროზიანთა საგვარეულოს წარმომადგენელს არშუშას გადასცა. ამ პერიოდში (დაახლ. 685-700 წწ.) არშუშას ერისმთავრობას, „მოქცევაჲს" ქრონიკის გარდა, უცილობელს ხდის აბასთუმნის უკვე ზემოხსენებული წარწერა, სადაც ის „ვიპატოსად" და „ქართლის ერისთავად" იწოდება. არშუშას შემდგომ ერისმთავარი გახდა მისი ვაჟი ვარაზ-ბაკური [700-711].

ვარაზ-ბაკური რომ სტეფანოზ III-ის პაპა და ნერსეს მამა (მისი მამა სრულიად გარკვეულად იყო ბაკური) არ შეიძლება ყოფილიყო, ეს ჩვენი აზრით, არშუშას და ვარაზ-ბაკურის ირგვლივ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდანაც აშკარაა. დამატებით გვინდა მოვიშველიოთ კიდევ ერთი არგუმენტი. სამშვილდის სიონის კტიტორებს შორის VIII-ს-ის II ნახევარში მოიხსენიება ვარაზ-ბაკური „ნათესავით პიტიახში", ანუ პიტიახშთა საგვარეულოს წარმომადგენელი [5,236]. ცნობილია, რომ შვილიშვილები ხშირად ატარებდნენ პაპის სახელს. ასე რომ, სამშვილდის სიონის მაშენებლის ვარაზ-ბაკურის პაპა VIIIს-ის დასაწყისის არშუშას ძე ვარაზ-ბაკური უნდა იყოს. ვარაზ-ბაკურის ერისმთავრობის ხანასთან დაკავშირებით „მოქცევაჲს" ქრონიკაში გვაქვს ფრიად საყურადღებო მინიშნება: „ვარაზ-ბაკურ...ანტიპათოსი, რომელმან გარდაბნელნი მოაქცივნა" [9,97].

რას ნიშნავს „გარდაბნელთა მოქცევა" და როდის მოხდა ის?

„მირის და არჩილის ცხოვრებაში" ვკითხულობთ, რომ მირის ერთი ასული არჩილმა მიათხოვა „ვარზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდის-ხევამდე; იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა, ბარდაველისა, რომელ იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა" [8,242].

ტერიტორია კოტმანიდან ქურდის-ხევამდე, ხუნანიდან მდ. დებედას ქვემო წელამდე, ფაქტიურად ქართლის სამეფოს ხუნანის საერისთავოს უდიდეს ნაწილს, ანუ ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნავაზიანები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდაბანს წარმოადგენდა.

ვინ იყო ვარზმანი და როდის გადავიდა მის ხელში აღნიშნული ტერიტორია? როგორც ვნახავთ, ამ შემთხვევაშიც „ქართლის ცხოვრება" სრულიად სწორ ინფორმაციას იძლევა – მცირედი ქრონოლოგიური აღრევით „ქართლის ცხოვრება" გვეუბნება, რომ ვარზმანი იყო ბარდაველი ერისთავის, ანუ რანის მმართველ მიჰრანიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი. მართლაც, რანის ვარაზ-გრიგოლს (მთავრობდა 636 წ-მდე, თუმცა, 650-იან წწ-შიც ცოცხალია) ჰყავდა ოთხი ვაჟი: ვარაზ-ფეროჟი, ჯუანშერი, იეზუტ-ხოსროვი და ვარზმანი. ამათგან გამთავრდა ჯერ ჯუანშერი, ხოლო VII ს-ის ბოლოს ვარაზ-ფეროჟის ვაჟი ვარაზ-თრდატი, რომელმაც 700-705 წწ. ბიზანტიაში ვაჟიშვილებთან ერთად პატიმრობაში გაატარა. ამგვარად, „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს ვარაზმანის მიერ ქართლის ერისმთავრის ძმისწულის შერთვაზე და მზითვში მისთვის გარდაბნის (კოტმანიდან ქურდის-ხევამდე) ალბანეთის მთავრის ხელში გადასვლაზე. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქართლის ერისმთავრის ასული (ან კიდევ ძმისწული) შეირთო არა ვარზმანმა, არამედ მისმა ძმისშვილმა, ალბანეთის მთავარმა, ზემოთ უკვე მოხსენიებულმა ვარაზ-თრდატმა. მოსე კალანკატუელი აღნიშნავს, რომ ვარაზ-თრდატის მეუღლე იყო ქალკედონიტი სპარამი [4,137]. ამ ცნობის შეჯერება „ქართლის ცხოვრების" მონაცემებთან აშკარას ხდის, რომ სპარამი ქართლის ერისმთავართა სახლის წარმომადგენელი იყო, ოღონდ არა მირის ასული, არამედ VII-VIII სს-ის მიჯნაზე მცხოვრები პიროვნება. შესაბამისად, ის შეიძლება ყოფილიყო ნერსე I-ის ასული და სტეფანოზ III-ის და, ან ნერსეს შვილიშვილი, სტეფანოზ III-ის ძმისწული (ფილიპეს ასული).

ქართული გარდაბანი, რომელსაც კალანკატუელი „გარდმანს" უწოდებს, ალბანურ გარდამანთან ახალი შეერთებული და მისი მოსახლეობის უმეტესობა ქალკედონიტი იყო. ამას მოწმობს ერთი ადგილი კალანკატუელის თხზულებიდან: „ალვანეთის კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ ვინმე ქალკედონიტი, სახელად ბაკური, რომელიც გარდმანის ეპისკოპოსი იყო და ნერსედ იწოდებოდა, შეუთანხმდა ალვანეთის დედოფალს, ვარაზ თრდატის მეუღლეს სპარამს" [4,137].

ფაქტია რომ, ბაკურ-ნერსე ქალკედონიტი ეპისკოპოსი იყო ქალკედონურ მხარეში. როდესაც ეს ტერიტორია სპარამის ვარაზ-თრდატზე გათხოვების შემდეგ ალბანთა მთავრის ხელში გადავიდა, მას, თავის აღმსარებლობის გამო, მონოფიზიტურ სამთავროში საეპისკოპოსო კათედრა უნდა დაეკარგა, მაგრამ დედოფლის დიდი მცდელობის შედეგად მოხდა საპირისპირო: მოსე კალანკატუელის ცნობით, ბაკურ-ნერსე „მოტყუებით" ალბანეთის კათალიკოსი გახდა და ეს კათედრა 17 წელი ეპყრა. თავისი კათალიკოსობის ბოლო სამი წელი ბაკურ-ნერსე სპარამს აქტიურ ხელშეწყობით ალბანეთის ქალკედონიტობაზე გადაყვანას შეეცადა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ ვარაზ-თრდატის კონსტანტინოპოლში პატიმრობის გამო, სამთავროს დედოფალი სპარამი განაგებდა. ვარაზ-თრდატი ბიზანტიის ტყვეობაში იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 700-705 წწ-ში. ხალიფა აბდ-ალ მალიქი, რომელსაც სომხეთის კათალიკოსმა ელიამ მიმართა დახმარებისათვის, ტახტზე 705 წ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდე იჯდა, ხოლო თვით ელია 703 წ-ს გარდაიცვალა. ასე რომ, „გარდაბნელთა მოქცევას" ადგილი ჰქონდა 700-703 წწ-ში. ეს ხანმოკლე პერიოდი ალბანეთის ეკლესიის ისტორიაში მეტად მწვავე ყოფილა. ალბანეთის კათალიკოსს ბაკურ ნერსეს დედოფალ სპარმას აქტიური მხარდაჭერით დაუნგრევია „საკურთხეველი ბევრი ეკლესიისა, სადაც უკვე გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული. ეკლესიის ღირსეულ მემკვიდრე ყრმებს უცხო ქვეყნებში აძევებდა. უწინარეს ყოვლისა მან განდევნა მეწ კოღმანქის საკვირველ-მოქმედი ეპისკოპოსი, ნეტარი ისრაელი,... მასთან ერთად განდევნა გარდაბნის ეპისკოპოსი ელიაზარიც" [4,138].

ამ ამბავს უნდა გულისხმობდეს „გარდბანელთა მოქცევაში" „მოქცევაჲს" ქრონიკა. ალბანეთის ქართველი დედოფალი, საფიქრებელია, დიდ დახმარებას იღებდა ქართლის ერისმთავარ ვარაზ-ბაკურიდან. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „გარდბანელთა მოქცევაში".

მონოფიზიტების რეაქცია აღმოჩნდა სწრაფი და დაუნდობელი. კათალიკოსი ბაკურ-ნერსე ამ ამბავს გადაყვა, სასტიკად აწამეს დედოფალი სპარმიც, თუმცა დედოფლის სიკვდილზე „ალვანთა ისტორიაში" არაფერია ნათქვამი. აღმწერ-კომპილატორთა მოკლე ქრონიკებში, რომლებიც დანართის სახით კალანკატუელის თხზულებაში არიან დაცულნი, გვამცნობენ, რომ ვარაზ-თრდატის მეუღლე ქმრის სიკვდილის შემდეგაც ცოცხალია და თავის ქალიშვილს სპარამს ათხოვებს ერთ-ერთ დიდებულზე [4,166]. ქრონიკა აქ ქრონოლოგიურად უნდა ურევდეს ვარაზ-თრდატის სიკვდილისა და მისი ქალიშვილის დაქორწინების ამბავს. გარდა ამისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ დედას და ქალიშვილს ერთი სახელი რქმეოდათ, თანაც ასეთი იშვიათი. უფრო სავარაუდოა, რომ აქ დედის სახელი ქალიშვილზეა გადატანილი. ის რომ, ვარაზ-თრდატის მეუღლე სპარამი ქმრის მოკვლის დროისათვის ალბანეთში არ იმყოფებოდა, ამას თვით მთავრის მკვლელობის დეტალებიც მოწმობენ. წყაროს მიხედვით, ვარაზ-თრდატს და მის ვაჟს დასხმია მათი ნათესავი ვინმე უფალი ნერსე ფილიაპიანი [4,166]. ჩვენის აზრით, აქ მოხსენიებული ნერსე ფილიპიანი ქართლის ერისმთავრის ნერსე I-ის შვილიშვილი, ფილიპე ნერსეს ძის ვაჟი უნდა იყოს. მან, როგორც სპარამის ძმამ, თუ ძმისშვილმა თავისი საგვარეულოს შეურაცყოფისათვის იძია შური.

გენეალოგიურ ტაბულაზე წარმოდგენილია, VII-VIII სს-ის ზემოაღნიშნულ საგვარეულოთა ის წარმომადგენლები, რომლებსაც აღნიშნულ პერიოდში ეკავათ ქართლის ერისმთავართა ტახტი (იხ. გვ. 21).

ლიტარატურა:

1. *აბრამიშვილი გ.* ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი", 1984, №9.

2. გეორგიკა, ტ IV, ნაკვ. I, თბ., 1941.

3. *დრაბანკერტელი იოანე,* სომხეთის ისტორია. თარგმანი შენიშვნებით და ს�იებლითურთ *ილია აბულაძისა,* თბ., 1937.

4. *კალანკატუაცი მოვსეს,* ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხური თარგმანი, შესავალი, შენიშვნები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და საძიებელი დაურთო *ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა*, თბ., 1985.

5. ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980.

6. *მამულია გ.* ბატონყმობა, თბ., 1987.

7. ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს *გურამ აბრამიშვილმა* და *ზაზა ალექსიძემ*, თბ., 1989.

8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955.

9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I. *ილ. აბულაძის* რედაქციით, თბ., 1963.

10. *სანაძე მ.*, ქართლის სამეფო VI ს-ში (პოლიტიკური ისტორიიდან), „მაცნე", ისტორიის... სერია, 1997.

Manana Sanadze

KARTLI ON THE JUNCTION OF THE VII-VIII CENTURIES.

(From the political history)

The general point of this article is a description of political struggle between three large feudal houses of Kartli on the junction of the VII-VIII cc. and the prize was a crown of the Prince (Erismtavari) Those great families are as follows: Bagration-Pharnavasids (the descent of Vakhtang Gorgasali in Klarjeti), Pharnavazid-Bacurids (the cardinal line of Gorgasali in Kakheti) and Perozid-Pharnavazids-the Vitaxes of Kartli. The principle sources are that of Georgian and Armenian origin. The line of Klarjeti loses "Erismtavroba" at the beginning of the 670 s. To be more precise the son of the Prince Stephanos II, Guaram-Gurgen III is forced to move back to his domain in Klarjeti/ His son-in law was certain Adarnase who had a daughter Latavra, and two sons-Ashot and Gurgen. When Guaram-Gurgen had to fly off in Klarjeti, the throne was occupied by Nerse, son of Bacuri, a representative of the Kakhetian line. He ruled in 670-685. Later Arshusha Patricios (685-690) and after, his son-Varaz Bacur Anthipatos (700-711) occupied the throne of Kartli.

Then we have again the Kakhetian line with Stephanos III, son of Nerses. He was a supreme pewer up to 740.

He had his sons-Miri, the duke of Egrisi (the 20s.-30s of the VIII c.), and Archil, who was the prince of Kartli in 740-750. This line prolonged by Nerses II, who we consider ro be the son of Adarnase.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

გივი გაფრინდაშვილი

თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა

I. 1988 წელს ქართველმა სტუდენტებმა ეროვნული თვითშეგნება ძველი ქართული კულტურის ძეგლებისადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოხატეს– ბევრმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო არქეოლოგიურ ექსპედიციებში. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი რაზმი „თმოგვი" (ხელმძღვანელი *ე. უგრელიძე)* თმოგვის ციხის გუმბათიანი ეკლესიის აღდგენით სამუშაოებში და ძეგლის არქეოლოგიურ შესწავლაში მონაწილეობდა. პროექტის ავტორ გ. ციციშვილთან ერთად, მონაწილეობდნენ სტუდენტები: ი. გველესიანი, ზ. ბაღლოციშვილი, ი. კუპრაშვილი, კ. გულიკაშვილი, პ. ღაბაძე, ხ. ღამბაშიძე, ტ. შარიქაშვილი, ნ. კუხალაშვილი, მ. ჭეიშვილი, გ. პარუნაშვილი, არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა კომისიამ მე დამავალა. ჩატარებულ სამუშაოს ანგარიში ინახება კომისიის არქივში.

2. არქეოლოგიური გათხრების დროს ეკლესიის დასავლეთის კედლის ნანგრევებში მივაკვლიეთ თორმეტსტრიქონიან სამშენებლო წარწერას. წარწერა ამოკვეთილია ადგილობრივ ტუფობრეკჩიის კლდის გათლილ ღია ვარდისფერ ფილაზე; მისი ზომებია: 8I X 6I X I8. წარწერიანი ფილა ჩაჭედილი იყო ვერტიკალურად. თითქმის მთლიანად დაზიანებულია პირველი, მეორე, მესამე სტრიქონების დასაწყისი და ბოლო; ამის გამო წარწერის ტექსტი ამ ნაწილებში არ იკითხება. აქ ღვთაებისადმი მიმართვა და მისი დამსახურება უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ასევე დაზიანებულია მეთერთმეტე და მეთორმეტე სტრიქონები; მეთერთმეტე სტრიქონის ბოლო სიტყვა–„ყაზა", რომლის გაგრძელება მეთორმეტე სტრიქონშია შემორჩენილი–„ნისსა", ასოებით და ისტორიული წყაროთა ჩვენებებით ადვილად აღდგა.

აღსანიშნავია, რომ მეთორმეტე სტრიქონი მთლიანად მოცლილი იყო ფილიდან და იქვე იყო ჩაშლილი. ეს სტრიქონი აღვადგინე და დავაწებე თავის ადგილზე. დანესტიანების გამო წარწერის ზედაპირი იფშვნებოდა, ამიტომ ფილა მთლიანად გავჟღინთეთ წებოთი, რითაც უზრუნველვყავით ქვის მდგრადობა. წარწერიანი ფილა დამუშავდა სპელეისტიკის ბაზაზე ვარძიაში; ამჟამად დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკის განყოფილებაში.

3. წარწერა მთავრული ასოებითაა შესრულებული ორხაზოვანი ბადის სისტემით სტრიქონთა ჰორიზონტალობის დაცვით. წარწერის ფართობია–75 X 58; ასოთა სიმაღლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3,5-4. სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორწერტილოვანი განკვეთილობის ნიშნით. სიტყვების ერთი ნაწილი დაქარაგმებულია სწორი, მოკლე განივი ხაზით. პალეოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია: ანი-ზედა განივი ხაზი დაშორებულია ბუნისაგან, რომელიც კუთხეს ქმნის ქვედა განივ ხაზთან. ბანი–ხასიათდება ბუნისქვედა განივი ხაზის მარცხნივ მოკაუჭებით. დონი–მსხლისებურია და ორხაზოვანი ყელითაა შეერთებული ზედა განივ ხაზთან. მანი–ასოს მუცლის შემკვრელი ხაზი არ გადის მარჯვნივ. ნარი–მოცემულია გრძელი დაბლა დაშვებული ბუნით. ონი–ამოკვეთილია ქვემოთ დაშვებული განივი ხაზით ან მარჯვნივ მოკაუჭებული ფეხით. ეს ნიშნები ნუსხურის გავლენაა მთავრულ დამწერლობაში.



წარწერა თარიღიანია: ეკლესია აშენდა ხელმწიფობასა მონღოლი ყაზან ყაენისა და აღ. საქართველოს მეფის დავით VIII დროს–ქორონიკონსა 523X780=1303.

4. წარწერის ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:

I. .....IლითაI.....

II. .....დაბდებლთაგნ: მIიIოIცI.....

III. ენსა მიოცთომლობსა: და: ძლსა: შ.....

IV. საIტIე მოიცთომლად: შეცოდებოლი: დაბნადIეI

V. ბლი: შნი: სამინამ: რომლისათის: არა: ვინ: ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI. რს: ხელისაპყრ̃ბლი: თოინიერ: შ̃ნ: ღ̃თებ̃ეის̃გნ:
VII. კიდე: წ̃ო: მარინა: მ̃დლსა: მს: სღ̃თსა: რ̃ლისათო სა სხ
VIII. ლნი: დსთხიენ: ს̃ხელსა: შ̃ნსა: ზა: აღმ.შენებია: ესე
IX. მცირე: ეკლესიაი: მნასა: შ̃ნსა: სამ̃ინმს: მეოხ IმIეIყI
X. ავ:ორსავე:შინა:ცხორებასა: აღეშეIნაI
XI. ეკლესიაი: ქ̃ენსა: ფ̃ვ̃ვ̃: ხელმწიფობა IსაI: IყაზაI
XII. ნისსა: IდაI მეფობასა დავითისსა:

I. IსახეIლითა:ღვთისაითაI.....
II. .....დაბ /ა/ დებულთ/ა/ვ/ა/ნ: მIიIუIცთომელიI
III. IმIენსა მიუცთომლობ/ა/სა: დაძ/ა/ლსა:მIემოქმედI
IV. სა:ტე:მიუცთომლად: შეცოდებული: დაბადIეI
V. ბ/უ/ლი: შ/ე/ნი: სამინამ: რომლისათ/უ/ის: არა :ვინ:ა
VI. რს:ხელისაბპყრო /ო/ბელი:თუინიერ: შ/ე/ნ:ღ/ვ/თ/ა/ების/ა/ვ/ა/ნ:
VII. კიდე: წ/მიდა/ო: მარინა: მ/ა/დლისა: მ/ა/ს:ს/ა/ღ/ვ/თ/ოი/სა:რ/ომ/ლი/ათუ/ი/სა/ სი/ ის/ხ
VIII. ლნი:დ/ასთხიენ:ს/ა/ხელსა: შ/ე/ნსა:ზ/ედ/ა:აღმიშენებია:ესე
IX. მცირე:ეკლესიაი:მ/ო/ნასა:შ/ე/ნსა:სამინ/ა/მს: მეოხ:მე/ყ/
X. ავ: ორსავე:შინა: ცხორებასა: აღეშენ/ა/ /ესე/
XI. ეკლესიაი: ქ/ორონი/კ/ო/ნსა:ფ̃:ვ̃:ვ̃: ხელმწიფობასა IსაI IყაზაI
XII.ნის/ა/სა: IდაI მეფობასა დავითის/ა/სა: IამენI
წარწერამ მოგვცა:
1. ეკლესიის წმინდანის სახელი–მარინა, რაც უცნობი იყო.
2. მშენებელი ქტიტორის სახელი–სამინამი, წყაროებით უცნობი ფეოდალი., თმოგველთა ფეოდალური სახლის მიერ XIII ს. ბოლოს თმოგვის მიტოვების შემდეგ.
3. ეკლესიის აშენება; მისი ზომებია: 4, 85X6,61; სიმაღლე-9,13 აღდგენითი პროექტი.
4. აშენების თარიღი–1303 წ.
5. მონღოლი ყაენის სახელი–ყაზანი.
6. ქართველი მეფის სახელი–დავით.

წარწერა მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული საისტორიო წყაროა, სადაც დადასტურებულია აღ. საქართველოს იურიდიული დამოკიდებულების ვასალური ფორმა დამპყრობელ მონღოლებთან-უზენაესი სიუზერენი მონღოლი ყაენი ყაზანი/ხელმწიფე და პოლიტიკურად უუფლებო მეფე დავითი.

1303 წ. დავითის მეფობა სხვა წყაროებით უცნობია; ამიტომ ილხანთან დავითის დამოკიდებულების, სამეფო სახლის პოლიტიკური აშლილობის–ძმათა მეფეებად მონაცვლეობის და ალასტნურ პროვინციის მეფეთა სახლის ჩამოყალიბების შეფასება ახალ გააზრებას იძენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Givi Gaprindaschvili

DIE BAUSCHRIFTEN DER KUPPELKIRCHE VONJNMOGWI DES JANRES 1303

(Resüme)

Die in jahre 1988 von der infoegedessen archäologischen Ausgrabungen der Kirche entdeckte Aufschrifti ist eine wichtige epigraphisch-historische Ouelle, in der es kiridische Vassalform Ostgeorgiens vom Erobern-Mongolen gibt. das sind der Suzeränmongole yasan khan (Machthaber-ხელმწიფე) and ein politsch rechtloser Herracher David Jm Jahre 1303 ist davids Reguren in anderen Ouellen unbekannt. In den Aufschriften wurden den Namen der Kirchenheiligen Maria und den Namem des Eroberes Ktitoz Ssaminami gekenzeichnet.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

ვალერი სილოგავა

ეკლესიის მოდელი საფარიდან ხუროთმოძღვრის გამოსახულებით და წარწერით

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების – ტაძრებისა და ეკლესიების სახურავის კეხზე ხშირად წამოდგმულია ეკლესიის მოდელები (*სვეტიცხოველი, სამთავისი, ზარზმა...*). ზოგან ისინი შერჩენილია, ზოგან–არა. სახურავიდან მოხსნილი ორი ასეთი მოდელი დაცული ყოფილა საფარაშიც. ერთი ინახებოდა მიძინების ტაძარში[1] და ამჟამად იგი არსად ჩანს[2], ხოლო–მეორე წმ. საბას ტაძარში[3] და ამჟამად გადატანილია ახალციხეში – სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში (საინვენტარო №3237).

ზოგჯერ ამ მოდელებზე ცალკეული გამოსახულებანი და წარწერებიცაა მოთავსებული. წარწერები ყოფილა საფარაში დაცულ ორივე მოდელზე[4]. იყო თუ არა რაიმე გამოსახულება მიძინების ტაძარში დაცულ და ამჟამად დაკარგულ მოდელზე – უცნობია, რადგან მისი აღწერილობა არ გაგვაჩნია (შემორჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილის ფოტო[5]), ხოლო წმ. საბას ტაძარში დაცულ მოდელზე, მის ოთხივე მხარეს, ასე ვთქვათ – ოთხივე ფასადზე, მოიპოვება რელიეფური გამოსახულებანი, ხოლო ერთ მხარეს წარწერაცაა ამოკვეთილი. ამჯერად საუბარი გვექნება საფარის მონასტრიდან ახალცხის მუზეუმში გადატანილ ამ მოდელზე, მის გამოსახულებებსა და წარწერაზე.

სურ. 1. აღმოსავლეთის ფასადი

თავის დროზე, ჯერ კიდევ წმ. საბას ტაძარში არსებობისას, ეკლესიის ამ მოდელს გასცნობია აკად. ვ. ბერიძე. მან თავის ცნობილ მონოგრაფიაში სამცხის XIII-XVI სს. ხუროთმოძღვრების შესახებ, გამოაქვეყნა მისი მოკლე აღწერილობა, წარწერა და ფოტოსურათი. მისი ცნობები ამ ძეგლის შესახებ იმდენად მოკლეა და ლაკონური, რომ, ვფიქრობ, შეიძლება მთლიანად მოვიყვანოთ:

„საფარაშივე დარჩენილია კიდევ ერთი წარწერა – წერს იგი, რომელიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე ფარეზასძესთანაა დაკავშირებული: იგი ამოკვეთილია კეხის ქვაზე, რომელიც ამჟამად ეკლესიის შიგნით დევს. ქვა ეკლესიის მოდელს მიემსგავსება ჩვეულებისამებრ. ერთ-ერთ ფართო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 2. სამხრეთის ფასადი

მხარეს – წყვილლილვიან თაღოვან ჩარჩოში – წვერიანი მამაკაცის ფიგურაა წელზევით. მამაკაცს ცალ ხელში გონიო უჭირავს, მეორეში რაღაც იარაღი, თითქოს ჩაქუჩი. მის თავს შარავანდი ამკობს, ხოლო გვერდით, თავისუფალ არეში, გაჭირვებით იკითხება:

Φ
ᲫᲗ[ ]
ᲡᲪ̄ Հ
Ո̄Հ

მე მგონია, სრული უფლება გვაქვს, ეს ასოები ასე ამოვშიფროთ: „ფარეზს შეუნდვენ ღმერთმან". იქნებ ეს ფარეზი ტაძრის აშენებლის მამაა, იმ დროს უკვე გარდაცვლილი. მშენებლობის იარაღები მის ხელში უთუოდ დამახასიათებელია. ხელოსნობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა და სავსებით ბუნებრივია, რომ საფარელ ხუროთმოძღვრის მამაც ხუროთმოძღვრი ყოფილიყო"[6].

ეს მსჯელობა რომ გასაგები იყოს, მოკლედ მაინც, თვით წმ. საბას ტაძრის აგების ისტორიის შესახებაც უნდა აღინიშნოს. ჯერ კიდევ *მ. ბროსეს* (1850)[7] და *ე. თაყაიშვილის* (1907)[8] დროიდან ცნობილია, რომ საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარი აუშენებია ვინმე ფარეზას ძეს. ამის შესახებ აღნიშნულია ტაძრის დასავლეთის ფასადის ცენტრალური სარკმლის საპირეს ზემოთ ამოკვეთილ და წითელი საღებავით ამოვლებულ ასომთავრულ წარწერაში: „†სრ(უ)ლ იქ(მ)ნა ს(ა)ყდ(ა)რი ესე საძირკუ(ე)ლითვე –ყოვ□ლითა ფ(ე)რ(ი)თა ჰელითა ფარეზას ძისათა, შ(უნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ"[9]. თვით ტაძარი, როგორც ეს ვ. ბერიძემ გაარკვია, აშენებულია სამცხის ათაბაგის ბექა სარგისის ძე ჯაყელის მიერ XIII ს-ის მიწურულში, უფრო კონკრეტულად – ამ საუკუნის 80-იან წლებში[10]. ცხადია, ამ დროს განეკუთვნება ეკლესიის მოდელიც.

აი, ამ ზემომოყვანილ წარწერაში დასახელებულ *ფარეზს* მიიჩნევს ვ.ბერიძე ეკლესიის მოდელზე გამოსახულ *ფარეზად*, რომელსაც, სავარაუდოდ, ტაძრის ხუროთმოძღვრის მამად თვლის[11]; ე.ი. ცნობილი იყო და არის, რომ ტაძრის ხუროთმოძღვარია ვინმე *ფარეზას ძე*, მაგრამ უცნობია მისი სახელი.

ეს ისედაც უცნაური ჩანს, რომ პიროვნება, ისიც ასეთი მნიშვნელოვანი საქმის შემსრულებელი – დიდი ზომის ტაძრის აშენებელი, მოხსენიებულია წარწერაში მხოლოდ გვარით, ან მამის სახელით (თუმცა, ამის შესახებ მსჯელობა არავის გაუმართავს), მაშინ, როდესაც გვარით და მითუმეტეს – სახელით, ადამიანის მოხსენიება XIII ს-ში და ამაზე ბევრად ადრეც და შემდეგშიც საყოველთაოდ გავრცელებული და აუცილებელი წესი იყო საქართველოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალციხის მუზეუმში მე საშუალება მქონდა ამ მრავალმხივ მნიშვნელოვან ძეგლს – ეკლესიის მოდელს, მასზე მოთავსებულ გამოსახულებებს და ამოკვეთილ წარწერას, დეტალურად გავცნობოდი და დაწვრილებით შემესწავლა იგი.

სურ. 3. დასავლეთის ფასადი

ეკლესიის მოდელი, როგორც ეს სხვა შემთხვევებშია, გამოთლილია ერთი მთლიანი ქვისაგან. თავის დროზე ეს ეკლესია გუმბათიანი ყოფილა, მაგრამ ამჟამად გუმბათი მთლიანად გადატეხილია და მოდელის სახურავის ადგილზე მისი მხოლოდ კვალი ჩანს. საერთოდ, ზემოდან მოდელი ცერადაა გადატეხილი და მისი საერთო სიმაღლე მერყეობს 67-72 სმ. შორის. იგი წაგრძელებული ფორმისაა, ამიტომ ორ გვერდით მხარეს მისი სიგრძეა 30-35 სმ, ხოლო კიდევ ორ მხარეს –35-48 სმ. ქვემოდან მთელს სიგრძეზე შვერილი დაუყვება, რომელიც ერთ მხარეს „კედლის"გარეთაც გამოდის. ამ შვერილით იქნებოდა მოდელი ტაძრის სახურავის კეხში ჩადგმულ-ჩამაგრებული.

მართალია, ზედა ნაწილში მოდელი ძლიერ დაზიანებულ–გადამტვრეულია, მაგრამ ორ მხარეს გარკვევით ჩანს ეკლესიის გადახურვა. იგი გადმოცემულია დიდი ზომის ლორფინების ქვის ფილების აღნიშვნით – მათი მსხვილი, შვეული რელიეფური ხაზები ქვის ზედაპირს ამჟამადაც ეტყობა.

ოთხკუთხა მოდელის ერთი მხარე, რომელზედაც მაღლა ამოკვეთილი სწორკუთხა მოყვანილობის სარკმელი და მის ზემოთ ფართო თაღოვანი „წარბია" ასევე ამოკვეთილი, ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადად უნდა მივიჩნიოთ (*სურ.* 1).

შესაბამისად, სამხრეთის იქნება ის ფასადი, რომელზედაც გამოსახულია სასულიერო პირი, წელზევით, პირდაპირ, ტანის გარდიგარდმო გრძელი კვერთხით, რომელიც მარცხენა ხელით უჭირავს, ხოლო მაკურთხებელი მარჯვენა მაყურებლისაკენ აქვს მიმართული (*სურ.* 2). მისი გამოსახულება გამოყვანილია ქვის ზედაპირის ჩაჭრით, ჩაღრმავებით, თუმცა, თვით გამოსახულება რელიეფურია. თაღი, რომელშიც იგია ჩასმული, ზემოთ წაწვეტებულია. აქ გამოსახული სასულიერო პირი მამაკაცია, წვეროსანი, თავის გარშემო ფართო ნიმბით. ვფიქრობ, ეს წმ. საბას გამოსახულება უნდა იყოს. ამის მაჩვენებელია მისი გამოსახვა კვერთხით, რომელიც წინამძღვრის კვერთხი უნდა იყოს – წმ. საბა ხომ პალესტინის სახელგანთქმული საბაწმინდის ლავრის დამაარსებელი და წინამძღვარი იყო[12]. როგორც ცნობილია, საფარის მონასტრის მთავარი ტაძარი წმ. საბას სახელობისაა, რომლის სახელიც მიიღო ბერობაში სარგის ჯაყელმა, სამცხის პირველმა ათაბაგმა, ტაძრის ამშენებლის – ბექას მამამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 4 ჩრდილოეთის ფასადი

აღწერილი გამოსახულების ზემოთ ეკლესიის ფასადზე წარმოდგენილია რელიეფური თაღი, ფართო ჰორიზონტალური საყრდენებით, ე.წ. სარკმლის წარბი, ისეთივე ფორმისა, როგორც აღმოსავლეთის ფასადზეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი (აღმ. ფასადისა) ჩაჭრილია.

რიგით შესაბამის დასავლეთის ფასადზე წარმოდგენილია მამაკაცის გამოსახულება წელზევით, პირდაპირ, გულზე დაკრეფილი ხელებით, რომელთა გაშლილი მტევნები მაყურებლისაკენ აქვს მიმართული თუ ხელებით რაღაც საგანი უჭირავს, არ ჩანს გარკვევით, ფილის ზედაპირის ამ ადგილას დაზიანება-ამომტვრევის გამო. იგი წვეროსანია, თავის გარშემო ნიმბით. გამოსახულება მთლიანად ავსებს ფასადის ზედაპირს, იგი, თითქოს, „ჩაჭედილია" წყვილლილვიან თაღოვან ჩარჩოში, რომლის ზედა მომრგვალებული ნაწილი და მარჯვენა სვეტის გარეთა ლილვი მოტეხილია (*სურ.* 3).

სამივე ზემოაღწერილი გამოსახულება მეტ-ნაკლებად დაზიანებულია – ამომტვრეულია ან თაღის ნაწილი, ან სახე, ან ხელები, შუბლი, თავი და სხვ. სამაგიეროდ, დაუზიანებლადაა შემონახული გამოსახულება, რომელიც ჩრდილოეთის ფასადზეა წარმოდგენილი (*სურ.*4).

აქაც გამოსახულია მამაკაცი, წელზევით, მოკლე წვერებით, თავის გარშემო ნიმბით. იგი წარმოდგენილია მარცხნივ მიბრუნებით. მას მარცხენა ხელში გონიო, ხოლო მარჯვენაში ჩაქუჩი უჭირავს. მთელი გამოსახულება ჩასმულია კარგად შემონახულ წყვილლილვიან თაღოვან ჩარჩოში, რომელიც მხოლოდ ორ ადგილასაა უმნიშვნელოდ ამოტეხილი.

გამოსახულების მარჯვნივ, თითქოს მის ზურგს უკან, და მაყურებლისაგან მარცხნივ ფილის თავისუფალი ზედაპირი შევსებულია ოთხ სტრიქონად ამოკვეთილი ასოთმთავრული წარწერით (ასოების სიმაღლე: 1-2,5-4 სმ). იგი, მართალია, „გაჭირვებით", მაგრამ მაინც მთლიანად იკითხება (სურ. 6):



ⲫⲣ
ⲁⲩⲅⲃ
ⲓⲑⲏⲛ
ⲟⲛ

ე.ი. ფარეზს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 5. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე

ფილის ზედაპირის მარჯვენა ნაწილში, გამოსახულების კისრის გასწვრივ, ისე, რომ შევსებული აქვს აქ დარჩენილი მთელი თავისუფალი ფართობი, ამოკვეთილია ორი, ქარაგმის ხაზის ქვეშ-დასმული, მოზრდილი ასომთავრული ასო: ⌊⌉ ე.ი. გ(იორგ)ი. ეს ორი ასო, რომელიც გადმოსცემს სახელს *გიორგი*, ვ. ბერიძეს, ეკლესიის ამ მოდელის პირველ და ერთადერთ გამომცემელს, რატომღაც, შეუმჩნეველი დარჩენია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მის მიერ გამოქვეყნებულ მოდელის ფოტოზეც გარკვევით ჩანს და თავისუფლად იკითხება.

ამრიგად, ეკლესიის მოდელის ჩრდილოეთის ფასადზე გამოსახული ხუროთმოძღვრის თავის გარშემო იკითხება შემდეგი წარწერა: „ფარეზს შეუნდვენ ღმერთმან. გიორგი“.

მაშასადამე, ფილის ამ მხარეს გამოსახულია ფარეზი, თუ ფარეზა შესაბამისი წარწერით. ვ. ბერიძის ვარაუდით, იგი ტაძრის ხუროთმოძღვრის მამაა. მაშინ ვინ არის გიორგი და ვის სახელს აღნიშნავს წარწერა ფილის ამ ზედაპირზე? ვფიქრობ, რომ გიორგი უნდა იყოს ხუროთმოძღვარ ფარეზას შვილი, თვითონაც ხუროთმოძღვარი, რომელიც ტაძრის დასავლეთის ფასადის ზემომოყვანილ წარწერაში მხოლოდ მამის ძეობითაა („ფარეზას ძეს“) მოხსენიებული, როგორც ჩანს, ან თავმდაბლობის გამო (თავი არ ჩათვალა სახელით მოხსენიების ღირსად, რაც ნაკლებ სავარაუდოა) ან იმის გამო, რომ წარწერის შემსრულებელს, თუ ტექსტის ავტორს გამორჩა სახელი *გიორგი*.

სურ. 6. ფარეზის და გიორგის წარწერა

მეორე ვარაუდს შესაძლებელს ხდის ის გარემოება, რომ ამ წარწერის ტექსტში ისედაც გამორჩენიათ ერთი სიტყვა –„ფერითა“ („ყოველთა ფერითას“ მეორე ნახევარი), რომელიც წითელი საღებავით მიუწერიათ უკვე არა სარკმლის თაღის, არამედ კედლის ზედაპირზე[13], განივად, დაკლებული ადგილის გასწვრივ, მაშინ როდესაც მთელი წარწერა ამოკვეთილია და

ნახევარწრიულადაა განლაგებული.

შეიძლება გიორგის, ჩემი ვარაუდით, გამოჩენილი სახელის მიწერა სურდათ კიდეც შესაბამის ადგილას კედლის ზედაპირზე, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც ტექსტის ეს ადგილი მეორე სტრიქონზე მოდის, რომელიც სარკმლის შიდა თაღზეა ამოკვეთილი და მას ზემოდან და გარშემოც ფართო ჩუქურთმოვანი არშია დაუყვება[14]. როგორც ჩანს, ამის სანაცვლოდ გიორგის სახელი ამოკვეთეს მისი მამის, ხუროთმოძღვარ ფარეზას გამოსახულებასა და სახელთან ერთად.

თუ ზემოწარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძრის მშენებელია ხუროთმოძღვარი *გიორგი ფარეზას ძე* და არა უბრალოდ *ფარეზას ძე*, როგორც აქამდე იყო მიღებული. ვფიქრობ, მისი გამოსახულება წარმოდგენილია ეკლესიის მოდელის დასავლეთის ფასადებზე, მამამისის გამოსახულების გვერდით. მაშასადამე, გამოდის რომ საფარის ეკლესიის მოდელის ფასადზე გვაქვს სამი პირის გამოსახულება: სამხრეთის ფასადზე *წმ. საბანი*, დასავლეთის ფასადზე - ხუროთმოძღვარ *გიორგი ფარეზას ძის* და ჩრდილოეთის ფასადზე - ხუროთმოძღვარ *ფარეზანი*; მეოთხე - აღმოსავლეთის ფასადი გამოსახულებათაგან თავისუფალია და აქ მხოლოდ სარკმლის ჭრილი და მის ზემოთ „წარბია" წარმოდგენილი.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1 *Е.Такайшвили*, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тиф.,1907, с.100.

2 *ვ. ბერიძე*, სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII -XVI საუკუნეები, თბ., 1955, გვ.44, შენ.1.

3 იქვე, გვ.52, ტაბ. 33:1.

4 საერთოდ, წარწერები ეკლესიების ასეთ მოდელებზე ძალზე იშვიათია. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (ლაპიდარიუმში) ინახება ეკლესიის ქვის მოდელი წარწერით (საინვენტარო № 696), რომელიც გადმოტანილია ბორჯომის ხეობის სახალდაბიდან. მასზე ამოკვეთილია XII ს-ის დასასრულის წარწერა, ამირსპასალარ *გამრეკელ თორელის* მეუღლის დედოფალთა დედოფალ *ანენისა*. ეს ძვირფასი ძეგლი ჯერ კიდევ ელოდება თავის პუბლიკაციას. ეკლესიის მოდელები, როგორც გუმბათიანები, ისე უგუმბათოები -„ბაზილიკები" გვხვდება საფლავის ქვებადაც. სამწუხაროდ, არც ისინია ჯერაც შესწავლილი - აღრიცხული და კატალოგიზირებული. ზოგჯერ ეკლესიის მოდელი წამოდგმულია საფლავებზე დადგმულ ვერძის ქვის ქანდაკებებზეც (*ე. ნადირაძე*, საქართველოს ზოომორფული ძეგლები, თბ., 1996, გვ. 109, *სურ.* 6).

რადგან დედოფალთა დედოფალ ანენის წარწერიანი ეკლესიის მოდელი ახალდაბის სასაფლაოდანაა გადმოტანილი, სადაც ძველი ეკლესიის კვალიც არ ჩანს, ძნელია დაბეჯითებით ითქვას - ეს მოდელი საფლავზე იდგა თუ ეკლესიის სახურავის კეხზე იყო წამოდგმული. ეს, ალბათ, მომავალმა კვლევამ უნდა გამოარკვიოს. ტაძრის სახურავის კეხზე ეკლესიის მოდელის დადგმა გავრცელებული იყო სომხეთშიც (*Н.Марр*, Ани.Книжная история города и раскопки на месте городища, М-Л., 1934, с.119; *Н.М.Токарский*, По страницам истории армянской архитектуры, Ереван, 1973, с.22, таб. 30; *О.Х. Халпахчьян*, Архитектурные ансамбли Армении, М.,1980, с.269,271,284...; Armenien. Wiederentdeckung einer alter Kulturlandschaft, Museum Bochum, 14 .I-17.IV, 1995, № 126-129). ეკლესიების ქვის მოდელებს დიდი ტაძრების მოსართავად იყენებდნენ დასავლეთ ევროპაშიც (H.-J. Mrusek, B.Klaus, G.Beyer, Drei sachsische Kathedralen, Merseburg - Naumburg - Meisen, Dresden, 1976, ტაბ. 183,187, 189, 190, 192).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5 Материалы по археологии Кавказа, т.IV, М., 1894, таб.XXXV. ამ მოდელის წარწერა გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა: „ქრისტე, ადიდე სულითა გაბრიელ დეკანოზი. ბაგრატმან განაშენა ესე, ამინ"(*Е.Такайшвили,* Указ. работа, с.100), ხოლო მისი მიხედვით - ვ. ბერიძემ (იხ. *მისი,* დასახ. ნაშრომი, გვ. 44, შენ. 1). ძეგლის თარიღის შესახებ მათ არაფერი აქვთ ნათქვამი.

6 *ვ. ბერიძე,* დასახ. ნაშრომი, გვ.52.

7 *M.Brosset*, Rapports sur un voyages archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie t.II, SPb.,1850, p.121-122.

8 *Е.Такайшвили*, Указ. работа, с.88. როგორც მ. ბროსე, ისე ე. თაყაიშვილი ტაძრის ხუროთმოძღვრის გვარს კითხულობდნენ, როგორც „ფარელასძეს". პირველად მისი სწორი წაკითხვა, როგორც „ფარეზასძე" წარმოადგინა ვ. ბერიძემ (იხ. *მისი,* დასახ. ნაშრომი, გვ.51-52).

9 *ვ. ბერიძე,* დასახ. ნაშრომი, გვ. 51, ტაბ.II:1.

10 იქვე, გვ. 55-56.

11 იქვე, გვ. 86-200.

12 *J.Patrich*, Sabas, Leader of Palestinian Monasticism (*Dumbarton Oaks Studies*, XXXII), Washington, D.C.,1995.

13 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.52, შენ.1.

14 ფოტო იხ. : *ვ. ბერიძე,* დასახ. ნაშრომი, ტაბ.II:1.

Valeri Silogava

THE MODEL OF THE CHURCH FROM SAPHARA WITH THE REPRESENTATION OF THE ARCHITECT AND THE INSCRIPTION

(Summary)

The stone-made model of the church (size 72+48+35 cm) having brought from St. Saba's temple, Saphara is kept in Akhaltsikhe museum. On the east facade of the temple there is the representation of the window..."eyebrow" on the south - St. Saba, on the west - an unknown person and on the north-the architect of the temple-Father Pareza (V. Beridze). The last one has the inscription: "Lord forgive Parez". One word was unnoticed till now. It is the proper name "Giorgi" which is carved on the tile before this representation. To our mind it would be the name of the architect of the temple who was known by his father's name and the surname which was formed from it - Parezas dze. So St. Saba's temple of Saphara monastery was built in 80 s of the XIII century not by Parezasdze as it was confirmed in the inscription given on the western facade but by Giorgi Parezasdze. I think exactly his representation is given on the western facade of the model of the church.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირა მესხიშვილი

ნასოფლარ მოღნისის ისტორიიდან

ახალციხის დასავლეთით, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა სანაპიროზე, ნავანების ფერდობზე მოღნისის ნასოფლარია, სადაც დღემდე მხოლოდ ორი პატარა ეკლესია შემორჩენილა. აღნიშნული სოფლის ისტორია, სახელწოდების ეტიმოლოგია, ოვით ძეგლებიც ნაკლებადაა შესწავლილი.

მოღნისის ნასოფლარის შესახებ საგულისხმო ცნობებია შემორჩენილი, როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ხალხურ გადმოცემებსა და საარქივო მასალებში.

ყველაზე ადრეულ ცნობას მოღნისის შესახებ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" გვაწვდის, რომლის მიხედვითაც იგი ახალციხის *გარშემო* არსებული ზოგიერთი სოფლის — *ზემო და ქვემო მარდის, ლაშიხევის, ნავანების* მსგავსად ჩრდილის რაიონში შედიოდა და ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამდე ჯაყელთა კუთვნილებას წარმოადგენდა. აღნიშნული სოფლების „ვენახი, ბაღი, მიწები და წყარო ჯაყელისა — როგორც დავთარში აღინიშნება სამეფო ჩავუშის — ყაიას მფლობელობაში იყო თავისი სახნავ-სათესებით"[1,39].

ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებისაგან განსხვავებით, დავთარში აღნიშნული მოღნისის მხოლოდ ეკლესია აღინიშნება, რომელიც იხდის გარკვეულ გადასახადს (ჯამი მარცვლეულისა და სხვათა 1000) [1,40]. როგორც ს. ჯიქია აღნიშნავს, „მოღნისის ეკლესია დავთარში მოიხსენიება, როგორც სოფელი, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებელი სოფელია, არამედ იმიტომ, რომ სოფელი აქ ტექნიკურ საგადასახადო ტერმინადაა გამოყენებული"[1,41].

„ვინმე მესხის", ივ. გვარამაძის პუბლიკაციებში აღნიშნული სოფელი ახალციხის გარეუბნადაა მოხსენიებული: „მდგმურნი აჰყარეს და გარეთუბნებში გარდაასახლეს: მარდას, ხვანა მარდას, ჭალას, ლაშიხევის, მოღნისს, ივლიტას, სხვილისს, კვანჯღას, წყრუთს"[2].

საყურადღებო ცნობებს მოღნისის შესახებ ვპოულობთ გ. ბოჭორიძის „მოგზაურობაში". თვითონ სოფლის შესახებ იგი არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდის. სამაგიეროდ, დიდ ყურადღებას ამახვილებს მოღნისის ორივე ეკლესიაზე. „ორივე ეკლესია, აღნიშნავს იგი, პატარა, ერთნავიან შენობას წარმოადგენს. ერთი სახურავის გარეშეა, პირის ქვა შემოცლილი აქვს, დასავლეთის მხარე კი ჩამონგრეული, ნაგებია ქვიტკირისაგან ჩაკირვით, მეორე კი 10 მეტრის დაშორებით მდებარეობს, განახლებულია მისი დასავლეთის კედელი და კარი, გადაკეთებულია სომხურ ყაიდაზე. ეკლესიას აქვს თაღი და შიგნიდან გალესილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კირით"[3,190]. მოღნისის ტერიტორიაზე სოფლის არსებობას ადასტურებს ეკლესიების მახლობლად შემორჩენილი ბაღები, სასაფლაოები, ხოლო გ. ბოჭორიძე თავის „მოგზაურობაში" მოღნისში ჯერ კიდევ შემორჩენილ ყორეებსა და ნასახლარებზე, პურის ხაროებზე და ერთ-ერთ ეკლესიასთან ზეთის სახდელი გელაზის ქვის არსებობაზეც მიუთითებს.

რაც შეეხება მოღნისის ეკლესიების სიძველეს, ამის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ „ვინმე მესხი" ივანე გვარამაძის, დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და გიორგი ბოჭორიძის მიმოწერებსა და აღწერებში. ამ უკანასკნელის გადმოცემით, ახალციხის, რაბათის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მოღნისის ეკლესიების სამი ქვა ყოფილა შენახული–ერთი ასომთავრული წარწერით, ორი კი ჯვრის გამოსახულებით. გ. ბოჭორიძეს წარწერის ამოკითხვაც უცდია და გვაძლევს ასეთ ტექსტს:„სახელითა[ა ღმრთისა თა] შეაბ"[3,191]. აღნიშნულ წარწერას ბევრად უფრო ადრე ივანე გვარამაძემ მიაქცია ყურადღება და თავის წერილებში ექვთიმე თაყაიშვილს მიანიშნებდა მის სიძველესა და მნიშვნელობაზე. ამავე წარწერით დაინტერესებული დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი, თავის ერთ-ერთ წერილში 1896 წელს ივანე გვარამაძეს წერდა: „თქვენა ბრძანეთ რამდენჯერმე [ნასოფლარის და ეკლესიის მოღნისის შესახებ], რომ იქიდან არის გამოტანილი ხუცურად წარწერიანი ქვა და ინახება იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში"[4]. აღნიშნული წარწერა იმდენად მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა, რომ როგორც მ. ბოჭორიძე აღნიშნავდა, „მოსკოვის მუზეუმის წარმომადგენელს, ვინმე კუპჩინს გამოუხატავს სურვილი მოღნისის ქვების რუსეთში წაღების შესახებ".

სამწუხაროდ, მოღნისის სამივე ქვა დაკარგულია და ამდენად მისი მეცნიერული შესწავლა და ზუსტი დათარიღება შეუძლებელია.

მოღნისის ეკლესიების სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტია შემორჩენილი ადგილობრივ მოსახლეობაში. მაგ.: *და-ძმის ეკლესია*. აღნიშნული ტოპონიმი საკმაოდ გავრცელებულია, როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთში. თქმულებები და-ძმის ეკლესიების შესახებ ხშირად უკავშირდება ორ ერთნაირ სალოცავს (ქვას ან ეკლესიას). 1829 წელს არზრუმიდან ჩამოსახლებულმა სომხებმა კი, რომელთა ნაწილიც მოღნისის მახლობლად დასახლდა, ეკლესიებს უწოდებს „ვანქ" (ნიშნავს მონასტერს), ხოლო ერთ-ერთი ეკლესია, როგორც ზემოთ აღინიშნა, განაახლეს და სომხურ ყაიდაზე გადააკეთეს[3,91].

მოღნისის ისტორიული წარსულის შესწავლასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელწოდების ეტიმოლოგიის დადგენის საკითხიც. აღნიშნულ ტოპონიმზე თავისი გარკვეული მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა მკვლევარმა *ილია მაისურაძემ*. მისი აზრით, სახელი მოღნისი საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო საქართველოში, მაგ.: თბილისში *მოღნისის უბანი* და გვიანფეოდალური ხანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა. მოღნისი – წერდა ილია მაისურაძე –ძველი დროიდან ქალაქის დროსტარებისა და გართობის ადგილად იყო მიჩნეული. მოღნისის ფუძედ იგი მიიჩნევს სიტყვას მოღნი-მულნი, რომელიც მრავალსიმიანი საკრავის აღმნიშვნელ არაბულ სიტყვას – *მულნს* უკავშირდება. „მულნი, სხვა აღმოსავლურ საკრავებთან ერთად (ჩანგი, ბარბითი, უდი, ყანუმი, ებანი) საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული. ეს სიტყვა აღინიშნება

საბას ლექსიკონში, „ზააქიანში", „იოსებ ზილიხანიანში"[5]. ივ. ჯავახიშვილი ქართულ *მულნს* – არაბული წარმოშობის *მოლნს* უკავშირებდა, რაც *სასიამოვნოს* ნიშნავს. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში გხვდება სიტყვა მემულნე (მულანზე დამკვრელი/) რაკი განხილული სიტყვის შინაარსი ასე გარკვევით უკავშირდება მუსიკა-სიმღერას, გართობისა და სიამოვნების ცნებებს – აღნიშნავს ილ. მაისურაძე, საკვირველი არ არის მისი ტოპონიმად გადაქცევის ფაქტი. ამ გარემოებით შეიძლება *მოლნისი* მიუთითებდა სადღესასწაულო და გასართობ ადგილზე, რომლის არსებობა ძველი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ატრიბუტი იყო[5].

ზემოაღნიშნული ტოპონიმის განმარტება მისაღებად მიგვაჩნია *ახალციხის მოლნისის* ეტიმოლოგიის ასახსნელადაც, რადგან ისევე, როგორც *თბილისის მოლნისი*, ახალციხის მოლნისიც დროსტარებისა და გართობის ადგილად იყო მიჩნეული წლების განმავლობაში. ამას ადასტურებს მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი ხალხური ტრადიციები. მოლნისის ეკლესიასთან მაისის თვეში ყოველწლიურად იმართებოდა ე. წ. „მოლნისობის" დღესასწაული. ადგილობრივი მოსახლეობა მოდიოდა აქ საკლავით გასართობად და დროს სატარებლად, მაგრამ არა მარტო საეკლესიო დღეობებზე, არამედ სხვა დღეებშიც. უქმეებში აქ საგანგებოდ მოდიოდნენ ოჯახები, სანთლებს აანთებდნენ, პურ-მარილს გაშლიდნენ და მუსიკის თანხლებით ცეკვა-თამაშს გააჩაღებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოლნისობას მაისობა (რუს. Майовка) უწოდეს. 2 მაისს საგანგებოდ ემზადებოდა ქალაქის მოსახლეობა მოლნისის ეკლესიასთან დროს გასატარებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალციხის მახლობლად არსებული, მოლნისად წოდებული ნასოფლარი ერთ დროს ჯაყელების მფლობელობაში შემავალი, ერთ-ერთ უძველეს დასახლებას წარმოადგენდა, ამჟამად კი მხოლოდ ორი ეკლესია და რამდენიმე საფლავის ქვა გვიდასტურებს მის არსებობას. მოლნისის ეკლესიებს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და-ძმის ეკლესიად მოიხსენიებს, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია სამცხე-ჯავახეთში.

მოლნისის ეკლესიასთან ყოველწლიურად, მაისის თვეში აღინიშნებოდა ე. წ. „მოლნისობის" დღესასწაული, რომელიც ახალციხელებისათვის საყვარელ გასართობ და დასვენების ადგილს წარმოადგენდა.

რაც შეეხება სოფლის სახელის ეტიმოლოგიას, ჩვენ ვიზიარებთ ილია მაისურაძის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ სიტყვა *მოლნი-მულნი* სალხინო, გასართობ ადგილს უკავშირდება და ამდენად ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ტოპონიმ *მოლნისის* წარმოშობას შეიძლება ანალოგიური ახსნა მოეძებნოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, თბ. 1941.
2. *ივ. გვარამაძე*, ახალციხური ფელეტონი, ჟურნალი „დროება", №171, 1897.
3. *გ. ბოჭორიძე*, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
4. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №2053.
5. *ილ. მაისურაძე*, „მოლნისი", გაზ. „თბილისი", 1978, 17/XI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Tsira Meskhishvili

FROM THE HISTORY OF OLD SETTLEMENT -MOGHNISI

Summary

The old settlement-Moghnisi near town Akhaltsikhe was one of the oldest settlements in Jakelis' propriatorship. Now only two churches and several tombstones confirm its existence.

The local population call them the `Churches of Sister and Brother. This toponym is widely spread in Samtskhe-Javakheti. Moghnisi Holiday was celebrated near these churhes every year in May. It was a lovely place for Akhaltsikhians.

We share Ilia Maisuradze's point of view who thinks that the word Moghnisi-Moghni means a place for feast and amusement.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევი ბერძენიშვილი

სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან
(ლომსიანთა)

ციხე ლომსიანთა ძველ ქართულ წყაროებში ერთხელ იხსენიება, ესაა „მატიანე ქართლისას" ცნობა IX ს-ის ამბებთან დაკავშირებით: „ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კონსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფემ ლაშქარი, და მოგზავნა ზღვით და ნავითა, შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი, და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი, და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა ცოლის ძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრა შეიპყრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჯე, ჯურისციხე და ლომსიანთა, გუარამისავე აღშენებული [(აღშენებულნი –ს)]. მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი, უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა, იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყთარ ოვსი, და ერისთავი აფხაზთა" [1, 261].

საინტერესოა, რომ იმავე ამბების აღწერისას სუმბატ დავითის ძე, სიძე-ცოლის-ძმის ლაშქრის გაერთიანებას ეგრის-აფხაზეთში გულისხმობს და უმატებს: „მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს", მაგრამ აღებულ ციხეებს ავტორი არ ასახელებს. ცხადია, ეგრის-აფხაზეთიდან სამცხეში გადმოსვლა იმერეთის უღელტეხილებით მოხდებოდა.ამის შემდგომ უკვე ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს ლომსიანთას თავის ძველ ისტორიაში. იგი იმეორებს „მატიანის" ზემოთ მოყვანილ ცნობას მცირე ნიუანსებით და ამატებს სუმბატ დავითის ძის სიტყვებსაც: „ამან ბაგრატ გამოიყვანა ნასრე ცოლის-ძმა თვისი, მისცა სპანი და აშუელნა ოვსნი. გარდმოვიდნენ სამცხეს და დაიპყრეს ციხენი ოძრა ე, ჯუარისციხე და ლომსიათი" [2, 132]. როგორც ვხედავთ, „მატიანის" ლომსიანთა აქ შეცვლილია სიტყვით ლომსიათი, ასევე აკლია ცნობა გუვარამის მიერ ამ ციხეთა აშენების შესახებ.

სამცხის სახელწოდებაზე მსჯელობის დროს ვახუშტი ამბობს: „კუალად იტყვიან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათვის: ლომსიასა ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამცხეთა, ამით ეწოდა სამცხე"[2. 658]. გამოდის, რომ ავტორს აქ უკვე ციხე ლომსისა, ისეთი სიძველისად მიუჩნევია, როგორც ოძრახეა და დემოთი. ამიტომაც ქვეყანას სახელი ამ სამი ციხისაგან შეერქვაო.

რამდენიმე გვერდის შემდეგ ვახუშტი წერს: „ქვაბის-ჴევის დასავლეთ, მტკურის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვგონებ ამას დემოთის ციხედ, რომელი აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან და განავსნა სპითა, შემწედ წუნისთავის, და შურად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოძრახოსა და ლომსიასათვის“ [2. 662]. გადმოცემა სუმბატ ბივრიტიანის შესახებ ვახუშტის აღებული უნდა ჰქონდეს ლეონტი მროველისაგან, რომელიც ახ. წ. I ს-ის ამბებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სომეხთა მხედართმთავარმა სუმბატ ბივრიტიანმა „აღაშენა ციხე ქუეყანასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვიან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა, და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მაბრძოლად ოძრ ეველთა და წარვიდა“. „და ოძრ ეს ქალაქსა შეეწეოდეს მეფრელნი. ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანერთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს“.. [1, 47-48].

როგორც ვხედავთ, ლეონტისთან ლომსიანთა საერთოდ არ იხსენიება, ვახუშტი კი, აქაც ისევე, როგორც ზევით, ლომსის ციხეს (ლომსიას) ყურმოკრულ ცნობად უმატებს – „იტყვიანო“. იგი არც დემოთის მდებარეობაშია დარწმუნებული და ლეონტის ნიშანდობლივ მითითებას, რომ დემოთი ღადოს მთის კალთაზეა („მოკიდებულად მთასა ღადოსსა“), ამ ციხეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ვარაუდობს, დაახლ. დღევანდელ სლესის ციხესთან. ასევე დამახასიათებელია ლომსიანთის ძველი სახელწოდების ვახუშტისთან თავჩენილი ცვლილებანი: მას ჯერ უწერია „ლომსიათი“, მერე „ციხე ლომსიასი“, ბოლოს კი „ლომსია“.

მომდევნო გვერდზე ვახუშტი წერს: „ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომის ევი, აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულსა კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინაითგან ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიკსენიების მერმე ლომსია)“ [2, 663]. სამცხე-ჯავახეთის შესახებ ვახუშტის ხელთ არსებული ცნობების ნაკლოვანება-უზუსტობანი კარგა ხანია შემჩნეულია და აღნიშნულიც. ამიტომაა, რომ მისი ვარაუდი აქაც მცდარი წანამძღვრიდან ამოდის: რაკი ლომსიანთა მას ოძრახის თანადროული ჰგონია, ის უგულვებელყოფს „მატიანის“ ცნობას, რომ ლომსიანთა ჯვარისციხესთან ერთად გუარამის აშენებულია, ან ისე ესმის, რომ ეს „აღშენება“ ლომსიანთა და ჯვარისციხის მეორედ აღაშენებას გულისხმოს ოძრახის მსგავსად. სინამდვილეში ოძრახე უძველესი ციხე-ქალაქია, წყაროებით დამოწმებული, მაშინ, როდესაც ჯვარისციხე და ლომსიანთა „მატიანესი“ ჩნდება პირველად და ბუნებრივად იგულისხმება, რომ ისინი თავიდანვე გურამ მამფლის მიერაა აღშენებული. დაახლ. ამავე დროს -IX–X სს. დაარსდა ახალციხეც. იქ აღმოჩენილი ქტიტრული რელიეფი, წარწერები, თუ მონეტების ცალები, არცერთი IX–X ს-ზე ადრინდელი არაა. მაშასადამე, ლომსიანთა და ახალციხე ერთ პერიოდში წარმოშობილი ციხეებია. ამრიგად ძნელი სარწმუნო ხდება ვახუშტის აზრი ახალციხემ შეცვალა ლომსიანთაო. საქართველოში ახალქალაქებსა და ახალციხეებს ძველი სახელწოდებანი არ უჩანთ, სწორედ ამით არიან ისინი „ახალნი“.

ვახუშტის ვარაუდს არ იზიარებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი და თვლიდა, რომ გურამ მამფლის მიერ აგებული ციხე ლომსიანთა, რომელიც ახლანდელ ლომიანთას უდრის, მდებარეობს ოძრხისა და ქვაბლიანის წყლების სანახებში [3, 57]. აღნიშნულ ადგილებში მსგავსი სახელწოდება არ დასტურდება. საქმე ისაა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა საძიებლით, რომელიც თან ერთვის რუსეთის სამხედრო შტაბის

მიერ შედგენილ ხუთვერსიან რუკას. იქ გვხვდება მთა და სოფელი ლომისი, ასევე ლომისხევი–ყველა დუშეთის მაზრაში. აღნიშნულია ლომის მთაც ღადო-ფერსათზე. ლომსიანთა კი, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ქვაბლიან-ოძრახის წყალს შორის ვარაუდობს, საძიებლის მიხედვით, ყარსის ოლქის არტაანის უეზდშია. ასეთი ტოპონიმი ვერ დაადასტურა ვერც ჩვენმა დაზვერვითმა ექსპედიციამ. ჩანს, საძიებელში რაღაც შეცდომა გაიპარა. წყაროთა ამგვარი სიმწირის პირობებში, ლომსიანთის ციხის ლოკალიზაციისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს მსგავსი სახელწოდების მთა, რომელსაც ვახუშტი ზემოაღნიშნულ სამ შემთხვევაში ციხის სახელისაგან არ განასხვავებს და ლომსიას უწოდებს. სამცხის ჩრდილოეთ საზღვრად მას დასახელებული აქვს „მთა ფერსათი, არამედ პირველწოდებული ღადო და ლომსია და ქართლის კერძოდ ეწოდების მახვილო... და სიმაღლე-სიწრილისათვის ეწოდა მახვილო.და ძევს მთანი ესე აღმოსავ-ლეთიდამ დასავლეთად, ქართლის ჟეობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი... ბალახოვანი, შამბნოვანი, ყვავილოვანი, წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი მრავლობით. ჩრილოთ აქუს იმერეთი და სამჯრით სამცხე“ [2. 668]. როგორც ვხედავთ, ფერსათის ქედზე ავტორს გამოყოფილი აქვს „პირველ წოდებული“ სახელები მთებისა -ღადო და ლომსია, აღმ. კიდეზე კი – მახვილო. სიტყვები „და ძევს მთანი ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ქართლის ჟეობიდამ გურიის მთამდე“, მიგვანიშნებს ამ მთების თანმიმდევრობასაც: მახვილო, ლომსია, ღადო (სურ. 1).

სხვაგან, საჩხეიძოზე საუბრისას, ვახუშტი წერს, რომ მას სამხრეთიდან ესაზღვრება „მთა ფერსათი, ანუ ღადო, ანუ ლომსიათ წოდებული, ხოლო დაბისაგან აწ ფერსათად... დასავლით მზღვრის საჩინო-სალომინაოს სამზღვრის ხაზი. არამედ სვირს ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ-ჟევს“ [2, 772].

ყველა ამ ცნობებიდან გამომდინარე, შეიძლება მივიღოთ, რომ ფერსათის ქედის ერთ ნაწილს, ვახუშტის მიხედვით ერქვა ლომსია. ბუნებრივი იქნება, თუ სწორედ მას დაუკავშირებთ „მატიანის“ ლომსიანთას, (შდრ.: გურია-გურიანთა), ვახუშტისეულ ლომსიას ციხეს. საძიებელი არეალის შესაზღუდად, ჟამთააღმწერელის კიდევ ერთი ცნობა ივარგებს, რომელსაც იგი XIII ს-ის 60-ან წლებს უკავშირებს. მისი სიტყვით, მონგოლთა მხედართმთავრები „მოვიდეს და დადგეს მთასა ზედა... რომელ არს ლიხი. და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო. რომელსა უწოდენ ღადოდ, და ამათსა შსაყარსა დემოთისასა, დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი, და მიერ არბევდეს ჯავახეთსა, ვიდრე ფარავნამდე. მაშინ მუნ მდგომთა თათართა ჩამოვლეს ეკერის ევი, და განვლეს აწყუერს ფონი მტკურისა და განვიდეს ჯავახეთს“ [4, 265]. ამ ნიშანდობლივი ჩვენების მიხედვით, მონგოლები გაჩერებულან ღადოს მთაზე იქ, სადაც დემოთისხევი იღებს სათავეს, მას თურმე ლომისთავი ერქვა. ეკერის ჟევი ამჟამად არ ჩანს. აკად. ივ. ჯავახიშვილი მას თავის რუკაზე სლესისა და წინუბნისხევებს შორის ვარაუდობდა, მდინარეზე, რომლის სათავეშიაც არის მთა სახელწოდებით საღალატო... ჟამთააღმწერელთან ხსენებული ლომისთავი დღევანდელი ლომის მთაა, რომელზედაც მართლაც მიემართება გზა ქვაბისხევ-დემოთის გავლით. იქ აისვლება ასევე ბანისხევითა და ლიკანისხევითაც (ჩვენმა ექსპედიციამ ამ უკანასკნელით იარა, რადგან სხვა გზები მაშინ ნიაღვრებს



სურ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაეღოთ).

ლომის მთა ახლაც სწორედ ისეთია, როგორც ვახუშტის მიერ აღწერილი ლომსია: „ბალახოვანი... წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი". იქ მთიბავები შემოგვხვდნენ, ამოსულები იმერეთიდან, ბორჯომის ხეობიდან. ლომის მთის წმ. გიორგი ქედის ყველაზე მაღალ ადგილზეა. ეკლესია დარბაზული ტიპის გვიანი შენობაა, ნაგლეჯი ქვებით მშრალად ნაგები. შეიძლება ძველი იყოს შირიმის რამდენიმე გათლილი ქვა, წყობაში რომაა ჩაყოლებული. ჯვარ-ხატები და ჭურჭელი სულ ერთიანად ახალია, ლომის მთის წმინდა გიორგის საკუთარი დღეობა არ აქვს, მოდიან შეწირულებით. ეკლესიის დასავლეთით ქედი თანდათან ფართოდ იშლება. აქ იქნებოდნენ კარვებში დაბანაკებული მონღოლი მხედრები, რომლებიც ადგილობრივ ფეოდალთა საქონელსა და ცხვრის ფარებს იტაცებდნენ. აქედან საურმე გზებია ბანისხევზე, ლიკნისხევზე, ქვაბისხევზე, ვახანში, მარელისში კიბილიკი. სწორედ ამ გზით უნდა ჩასულიყო ახალციხიდან ვახანში ომარ-ხანი 1785 წ, როდესაც მან ვახანის ციხე აიღო და თავად აბაშიძის ცოლშვილი ტყვედ წამოიყვანა ახალციხეს [5,100]. 1947 წ. ისტორიულ გეოგრაფიულ ექსპედიციაში ყოფნისას, ნ. ბერძენიშვილმა ადგილობრივი მოხუცების მოწმობით დაადასტურა, რომ ლომის მთა, როგორც ჩანს, ერთ პუნქტს კი არ ეწოდება, არამედ მთაგრეხილის მოზრდილ ნაწილს [6,253]. ასეთ შემთხვევაში, მისი მეორე, დას. ნაწილის გამოსავლენად, შესაძლოა გამოდგეს ლომსიანთასთან ჟღერადობით ახლოს მდგარი ლომსიათხევი. ვახუშტი მას ასახელებს საჩხეიძეოს აღწერისას: „ხოლო კუალად ყვირილისავე მოერთვის სვირის ჰევი და ლომსიათ ევის ჰევი, ჩოლაბურის შესართავს ზეით, გამოსდის ფერსათს, დის სამ რიდამ ჩრდილოთ" [2, 757]. ადრე მოტანილი ვახუსტისავე ციტატიდან ჩანდა, რომ 'სვირის ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ- ჰევს". გამოდის, რომ ლომსიათ ჰევი ტერიტორიაა, რომელზედაც მოედინება „ლომსიათ ჰევის ჰევი". აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „უეჭველია სახელი ლომსიანთა მაშინ არ გაჩენილა, როცა გუარამმა ეს ციხე ააშენა. აქ ამ ადგილს ერქვა ლომსიანთა... იყო „ლომი", შეიქმნა „ლომისი", აქედან „ლომისიანი", აქედან „ლომისიანთ-ხევი", ლომსიათხევი, ლომსიანთხევი... დარჩა ლომსიანთა და გუარამმა ამ ადგილას ააშენა ციხე" [7, 648]. ლომსიათხევის კავშირი ლომსიანთასთან გამოწვეული უნდა იყოს იმითაც, რომ აქ უნდა გასულიყო გზა ლომსაის ქედისაკენ. აკი ხაზგასმით ამბობს ვახუშტი, რომ ლომსითხევის ხევი გამოსდის ფერსათსო. მართლაც ვარდციხიდან მომავალი მთავარი მაგისტრალი დიმ-ფერსათ-ძაღდათის გამოვლით, შემდეგ სამად იტოტებოდა და ასე მოდიოდა ფერსათ-ლომსიას ქედისაკენ: ერთი გზა იყო ქარშავეთის ხევით და ზეკარის უღელტეხილით ოძრხეზე, მეორე – ხანითა და ხანისწყალით ციხის ჯვარზე (ამჟამად ციხისძირი), მესამე კი – ლომსიათხევით, შემდეგ საკრაულასწყლით და ქედებით ლომსიასკენ მომავალი...

როგორც „მატიანის" ზემოხსენებული ცნობიდან ჩანს, აშოტ კურაპალატის ძეს - გუარამ მამფალს, სამცხეში განუახლებია მურვან ყრუს მიერ დანგრეული ოძრხის ციხე, აუშენებია ჯვარისციხე (ჩანს აქ ადრე ჯვარი იდგა ზეკარის რკინისჯვარივით, (შემდგომში ციხისჯვარად წოდებული, ასევე აუგია ლომსიანთა, მემეტიანის ჩამოთვლაში, თითქოს ციხეების გეოგრაფიული თანმიმდევრობაც შეინიშნება დას-დან აღმ-კენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატის მემკვიდრეთა შორის, ქართული მიწების შემოერთების საქმეში გუარამ მამფალმა თავის ძმებს გადააჭარბა. იგი წარმატებით ებრძოდა აღმ. საქართველოში გაბატონებულ არაბებს, მატიანის ცნობით, მას დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი [1, 257]. როგორც ჩანს, გუარამს სამცხეც ემორჩილებოდა, რისი მოწმობაა მის მიერ ოძრხის, ჯვარისციხისა და ლომსიანთის აშენება IX ს-ის 60-70-ან წლებში. ამავე პერიოდში თავის სამფლობელოებს ენერგიულად აფართოებენ ეგრის-აფხაზეთის მეფეებიც. ისინი აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების სამხრ. ქართული სამეფოს მეტოქეობას აწყდებიან. სწორედ ამის შედეგი ჩანს გუარამ მამფლის მიერ, ეგრის-აფხაზეთიდან მომავალი გზების მაკონტროლებელი ციხეების მშენებლობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ლომსიანთის ციხე უნდა ვიგულოთ ლომსიის ქედზე, იმერეთიდან მომავალი ერთ-ერთი გზის ყელში, ისევე როგორც ციხისჯვარი და ოძრხე. ამგვარად შემოფარგლულ არეალში, ერთადერთი ციხე, რომელიც შეიძლება ლომსიანთად მივიღოთ, ესაა ამჟამად ლეკნარის სახელით ცნობილი ციხე (სურ. 2). იგი მდებარეობს წინუბნისხევის აღმ. ტოტის სათავეებთან, მაღალმთიან ტაფობში. ორი წყლის ხერთვისში ამოზიდულ კლდეზე, მიუვალი ციხე მოჩანს. მისასვლელი მხოლოდ აღმოსავლეთიდან აქვს, სადაც კლდეგაჭრილში ბილიკი მიდის,. კლდეზე ასასვლელი ჩამონგრეულია და ახლა მხოლოდ ცოცვით აისვლება. ფართო შესასვლელი დიდი ლოდით გადახურული კარიბჭეა. აქვეა ეპოქის დამახასიათებელი, კუთხეებმომრგვალებული კოშკი, დაახლ. 3მX3მ. აქ კედლის წყობაში ჩანს საშუალო ზომის ქვათა, კირზე ნაწყობი რეგულარული მწკრივები. კედლის სისქე ორი მ-ია. დას.-ის კოშკამდე დაახლ. 50 მ-ია, მაგრამ ორი კოშკის დამაკავშირებელი კედელი მხოლოდ 14 მ-ზე შემორჩენილა. დას. კოშკის წყობაში ჩანს გადაკეთების კვალი. იქ შერჩენილია სამი ქვევრი და ერთი ხარო. კლდის თხემზე, ორ კოშკს შორის ფართობი, დაახლ. 40მX50მ-ზე მოუზღუდავია. კლდე იმდენად მიუვალია, რომ კედლები ყველგან ეგების არც იყო თავიდან. შეიმჩნევა სწორკუთხა ნაგებობის ნაშთიც. ციხის აღმოსავლეთით უღელტეხილისაკენ მიმავალი გზა მოჩანს, დას.-ით კი ციხისჯვრის მაღალი კლდეები. სამხრეთით ლეკნარის ნასოფლარია: ქვის გროვებად შერჩენილი ნასახლართა ბუდეები. ეკლესია, ან სასაფლაო აღარსად ჩანს. დას.-ით და ჩრდ.-ით შედარებით გაშლილი ველებია, სადაც ახლა მესაქონლეთა



სურ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბინებია, ძველად კი სათიბები იქნებოდა. ნიშანდობლივია ციხისჯვრისა და ლეკნარის ციხის მსგავსებაც: ერთნაირია მდებარეობა, გეგმარება, დანიშნულება. ესაა ეგრის-აფხაზეთიდან მომავალი (ასევე იქით მიმავალი) გზების მაკონტროლებლი, მიუვალი სიმაგრეები, რომლებიც ალბათ სეზონურად ფუნქციონირებდნენ (სურ. 3). ესეც უნდა ემოწმებოდეს ვარაუდს, რომ ოძრხის განახლებასთან ერთად ამ სიმაგრეთა აგებით, გუარამ მამფალი მთლიან სისტემას ჰქმნიდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოსთან ურთიერთობის



სურ. 3

მოსაგვარებლად.

ლეკნარის ციხის მიდამოებში საყურადღებოდ მოჩანს მთათა სახელები: რაბათი, საღალატო, ოჩჯვარი, საკრეულას სათავეში გადასულ გზასთან კი – მეორე რკინისჯვარი... ასევე მნიშვნელოვანია ნასოფლარი სახელწოდებით სტამბუხი. იგი ლეკნარის დასავლეთითაა, ციხისძირისაკენ (ძვ. ციხისჯვარი) მიმავალ გზაზე. იქ ორწყალშუა, ოთხ ტერასად განლაგებული, დიდი ნასახლარებია ალპური საძოვრების ზღვარზე. მშრალი წყობის სადგომები შექმნილია სიმაღლეზე დაყენებული დიდი ლოდებით, რომლებიც შევსებულია წვრილი ქვებით. ეს იქნებოდა მესაქონლეთა სეზონური სადგომები, რომლის სახელი სხვა წყაროებით უცნობია. ასეთ გარემოში უნდა აეშენებინა გუარამ მამფალს ჯვარისციხე და ლომსიანთა, თავისი ბატონობის სამცხეზე განსამტკიცებლად. ეს ის დრო იყო, როდესაც აშოტ ბაგრატიონის მემკვიდრეები, მიწების დაპატრონებისათვის სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდნენ არაბებთან, სომხებთან, თავის საგვარეულოს წევრებთან. 881წ. გუარამის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძე ნასრმა საკუთარი ბიძაშვილი – დავით ბაგრატის ძე შეტყუებით მოკლა თრიალეთის გამო. მემეტიანის ცნობით, გუარამ მამფალს ამ ბოროტმოქმედებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ნასრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ქართველები, არაბები, სომხები, დაამარცხეს იგი და წაართვეს ციხეები. დევნილი ნასრა კონსტანტინეპოლს გადაიხვეწა. მისთვის წართმეულ ციხეებში უნდა ყოფილიყო ჯვარისციხე და ლომსიანთაც... 882 წ. გარდაიცვალა გუარამ მამაფალი და მისი სამფლობელო ქვეყნები მის ძმიშვილებს დარჩათ. შვიდი წლის განმავლობაში ნასრა ბიზანტიაში იმყოფებოდა. იქვე იყო ბაგრატი, ეგრის-აფხაზთა მეფის დემეტრეს ძე. როდესაც იგი დას. საქართველოში გაბატონდა, თავისი ცოლისძმა – ნასრსე ბიზანტიიდან გამოიხმო, ლაშქარი დაახმარა და მამისეული სამცხის დასაბრუნებლად გამოისტუმრა. ნასრა 888 წ. გადმოვიდა სამცხეში. დაიბრუნა წართმეული ციხეები – ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანთა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა... და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და მოკლეს ნასრა ევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძასა... და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიკოცა საკსენებელი მისი". ამის შემდგომ ლომსიანთა ძველი წყაროებში აღარ იხსენიება. როგორც ჩანს, ციხე მოიშალა, იქ გამავალმა გზამ დაკარგა ძველი მნიშვნელობა, ლომსიანთა მაშინ აღარ აღადგინეს და დავიწყებას მიეცა თვით სახელწოდებაც. ამის მერე დარჩა ლომისთავი, ლომის მთა, ლომსია და ლომსიათხევი.

ჩვენ არ ვიცით როდის ჩნდება სახელწოდება ლეკნარი, მაგრამ 1578 წ. მუსტაფა ლალა ფაშას საქართველოში ლაშქრობის დროს, „მესხური მატიანე" გვამცნობს: „აწყუერს ვიდეგით. პატრონი მანუჩარ გამოეშუა, წინათ მოვიდა. სამშაბათს პატრონი ყუარყუარე წინ მიეგება – თუითან ლალა-ფაშაც მოვიდა, და გაღმა ლეკზე დადგა.

ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამ და ლალაფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო" [8. 51]. წყაროდან მოტანილ ამონარიდში ეს აწყურს გაღმა ლეკი, სადაც ოსმალთა ჯარი დადგა, ზემოხსენებული ლეკნარი უნდა იყოს. მოგვიანებით, საფიქრებელია, ციხეს აღადგენდნენ, თან ჯარის დასაბანაკებელი ადგილიც ყოფილა. ამას ემოწმება 1595 წ-ის გურჯისტანის ვილიაეთის დიდი დავთარი. იქ აწყურის რაიონში დასახლებულია სოფ. ლეკნარის რაბათი. სოფელი მოსახლეობისაგან მაშინ დაცლილი ყოფილა, თუმც კი გადასახადი მარცვლეულისა და სხვათაგან 3000 ახჩას შეადგენდა. დავთარში ლეკნარი ციხედ აღარ იხსენიება, მაგრამ იგულისხმება, რომ იქ ციხე უნდა ყოფილიყო, რადგან ლეკნართან დასახელებულია რაბათი. ეს უკანასკნელი კი, საერთოდ ციხეებთან არსებობდა. ხუთვერსიან რუკაზედაც ლეკნარის ციხის მახლობლად, რაბათის მთაა აღნიშვული. ტოპონიმი ლეკნარი არის ქვაბლიანის ხეობაში კიკიბოსთან, გვხვდება იგი რაჭაშიც. სახელწოდება დაკავშირებულია ხის სახეობასთან. ესაა ლეკა (ლეკი), ანუ ლეკის ხე. აქედან ლეკნარი – ადგილი, სადაც ლეკის ხეებია (შდრ.: ფიჭვნარი, კოპიტნარი) [9.II, 110; III, 148]. ლეკნარის შეკვეცილი ფორმებია ლეკნა ხუთვერსიან რუკაზე და ლეკი „მესხურ მატიანეში". ლეკნარის ციხის მიდამოებში, წიწოვანი ტყის გარემოცვაში, მართლაც გამოირჩევა ფოთლოვანი ლეკნარის კორომები. სახელწოდება ლომსიანთის მივიწყება, შემეგ მისი შეცვლა ლეკნარით, დაკავშირებული იქნებოდა ციხის მოგვიანო აღდგენასთან, რაც კარგად ეტყობა დასავლეთით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდგარ კოშკს. თითქმის ასევე დაემართა მეზობელ ჯვარისციხესცა: XI ს-ში მას უკვე ციხისჯვარი ერქვა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი მას საერთოდ არ იხსენიებს, ახლა კი ციხისძირი ეწოდება.

ლომიდან წარმოებული ტოპონიმები საქართველოში ხშირად გვხვდება: ლომის მთა, ლომისთავი, ლომისხევი, ლომისის წმ. გიორგი – ყველა ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზეა. კახეთში არის ლომის ციხე, ლომთაგორის ციხე კი – ქვემო ქართლში. ლომსიანთას უნდა უკავშირდებოდეს „მატიანე ქართლისაში" XI ს-ში მოხსენიებული „გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი"[1,299], აგრეთვე ვინმე ივანე ლომსიანისძე, დამანისხევის ერთ წარწერაში რომ გვხვდება. ამ უკანასკნელის მიხედვით გამოდის, რომ ლომსიანი კაცის სახელი ყოფილა (შდრ.: გვარი ლომსიანიძე). ლიკანისა და დღვაშისხევის მიდამოებში ყოფილა კიდევ სოფ. ლომსათუბანი. ის ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს გვართან ლომსაძე (ლომსაანთუბანი) და ვახუშტისეულ მთა ლომსიასთან (9,II,476). როგორც ვხედავთ, მიუხედავად ტოპონიმ ლომსიანთის დაკარგვისა, მისი ნაკვალევი, სხვადასხვა გზითა და სახით, მაინც შემოგვრჩა.

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება I, *ს. ყაუხჩიშვილის* გამოც. თბ., 1955;
2. ქართლის ცხოვრება IV, *სიმ ყაუხჩიშვილის* გამოც. თბ., 1973.
3. ივ. ჯავახიშვილი. თხზ. II, თბ., 1983.
4. ქართლის ცხოვრება II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1959.
5. *ომან ხერხეულიძე* მეფობა ირაკლი მეორისა, *ლ. მიქაშვილს* გამოც. თბ., 1983.
6. *ნ. ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.
7. *ნ. ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990.
8. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI სს. *ქრ. შარაშიძის* გამოც. თბ., 1961.
9. *ს. ჯიქია,* გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, იგივე III, თბ., 1958.

Devi Berdzenishvili

FROM HISTORIC GEOGRAPHY OF SAMTSKHE

(Lomsianta)

(Summary)

Castle "Lomsianta" is mentioned in "The Chronicle of Kartli"-in old Georgian written sources only once. According to Vakhushti Batonishvili (XVIII c) one part of the range Persati in Samtskhe was called Lomsia. We should connect it to "Lomsianta" given in the Cvronicles. The toponyms derived from "lomi" often meet us in Georgia: lomismta, Lomistavi, Lomiskhevi. St. Giorgi of Lomisi. The trace of toponym Lomsianta meets us in Samtskhe in different ways.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

რომან გოგოლაური

დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობების ისტორიიდან XVIII საუკუნის 20–40-იან წლებში

დაღესტნისა და ჩრდილო კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულთა საქართველოსთან ურთიერთობის ისტორია კარგადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა, ჩვენ მიერ განსახილველად გამოტანილი კონკრეტული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომდე არაა შესწავლილი. ამ მხრივ არც ჩვენს სტატიას აქვს პრობლემის სრულად ამოწურვის პრეტენზია. ამჯერად ჩვენს მიზანს, აღნიშნული საკითხის, ქართულ-რუსულ წყაროებსა თუ საარქივო მასალების გამოყენებით.

დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობა სათავეს ჯერ კიდევ XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს, კონკრეტულად ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროიდან. 1612 წლის სტამბოლის ზავით კი ირანმა ცნო თურქეთის ინტერესები დაღესტანზე.

დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთმა ჩრდილო კავკასიის კასპიისპირეთი და დერბენტი დაიკავა. ამასთან დაკავშირებით ლეკების ბელადმა ჰაჯი დაუდმა და ყაზი-ყუმუხის მფლობელმა სურხაი-ხანმა 1722 წლის ზაფხულში მფარველობაში შესვლა სთხოვეს თურქეთს. თურქეთმაც, რომლის ინტერესებში შედიოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება დასუსტებული ირანის ხარჯზე, არ დააყოვნა და 1723 წლის 9 თებერვალს სპეციალურად მოწვეულ დივანზე გამოაცხადა ჰაჯი დაუდის მფარველობაში მიღება. ამასთანავე, არზრუმის სერასკირს იბრაჰიმ ფაშას უბრძანეს ჯარი შეეგროვებინა და დახმარება აღმოეჩინა დაღესტნელი ბელადებისათვის. ამ დროს პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში ძალზე დაძაბული იყო. თურქეთის ხელისუფალნი ფრთხილად ადევნებდნენ თვალს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარებას. ვახტანგ VI -ის რუსეთზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. 1723 წლის 4 მაისს კახეთის მეფე კონსტანტინემ 17 ათასი ლეკის დახმარებით თბილისი აიღო და გაძარცვა. ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში იბრაჰიმ-ფაშას 50-ათასიანმა ლაშქარმა თბილისი უბრძოლველად დაიკავა.

აქედან მოყოლებული ქართლ-კახეთში მყარდება „ოსმალობა", რომელიც 1735 წლამდე გრძელდება. სულთანმა საქართველოს გამგებლად ახალციხელი ისაყ-ფაშა დანიშნა. ვახუშტიც ადასტურებს ამ ფაქტს: „არამედ იქნა ესე ისაყ-ფაშა, შემდგომად იესეს სიკვდილისა მპყრობელი და განმგებელი ხონთქრისაგან სრულიადისა ძალითა ყოვლისა საქართველოსი, სახელით სამცხე-საათაბაგოსი, სრულიად იმერეთისა, ქართლის ლორე-ყაზახ-შამშადილისა და კახეთისა" [1, 738].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია 1771 წ. ერეკლე II-ის მიწერილი წერილი ქერიმ ხანისადმი, სადაც საუბარია, რომ „მოყოლებული ნადირ-შაჰის გარდაცვალების დროიდან, თურქეთის ქვეშერდომი ახალციხელი ფაშები მიწვეულ ლეკ აბრაგთა დიდ პარტიებთან ერთად საქართველოს დღენიადაგ ესხმოდნენ თავს და მას საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდნენ"[2,143]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა, ჩვენი აზრით, „ოსმალობის" დამყარებისთანავე უნდა დაწყებულიყო.

ოსმალთა ბატონობის პირველ პერიოდში, როცა კახეთი ჯერ კიდევ დაუპყრობელი იყო, დაღესტნელთა თარეში კახეთზე ისაყ-ფაშასთან კავშირშიც უნდა ყოფილიყო. მომდევნო ხანაში წყაროთა ცნობით (*სეხნია ჩხეიძე, ვახუშტი*) ლეკები ქართლზეც ლაშქრობენ. ამაში კი, ჩვენი აზრით, კახეთის მეფის ხელი ერია, რომელსაც თავისთავად არ სურდა ისაყ-ფაშას გაძლიერება, რომელიც, თავის მხრივ, კახეთის დამორჩილებისათვის იბრძოდა.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა მაშინ, როდესაც 1731 წელს თურქებმა შეძლეს კონსტანტინე კახთა მეფის მოკვლა. ამავე წელს კახეთის დასაუძლურებლად მათ კახეთი ყაზი-ყუმუხის მფლობელ სურხაი-ხანს დაალაშქრინეს და შემდეგ თვით დაიპყრეს. ყოველივე ეს კი ისაყ-ფაშისა და სურხაი-ხანის გარიგების შედეგად მოხდა, მაშინ, როდესაც კონსტანტინემ უარყო მოლაპარაკება უსუფ-ფაშასთან. ამას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს „და უკეთუ არა მივიდეს მაჰმად-ყულიხან (კონსტანტინე–რ.გ.), მოვიდეს მუნით სულხავი (სურხაი-ხანი–რ.გ.). და აქათ ოსმალნი და მოსრან კახეთი და მერმე ხელთ გიგდონ შენცა" [1, 624]. როგორც ჩანს, კონსტანტინე არ ენდო ისაყ-ფაშას შვილს უსუფ-ფაშას, რომელიც შუამავლობას ჰპირდებოდა ხონთქართან „რათა დაუმტკიცოს კახეთი და მივიდეს მის თანა და მწეცა ეყოს ლეკთა ზედა" [1, 624]. სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, ძნელია იმის თქმა, მისცემდა თუ არა ხონთქარი კახეთს კონსტანტინეს საბატონოდ, მაგრამ ერთი რამის თქმა შეიძლება, რომ ქართლის დაკავების შემდეგ ისაყ-ფაშამ ქართლი დაიპყრო და თავიანთ მფლობელებს დაუტოვა საბატონოდ ხარკის გადახდის უფლებით. თურქებმა ყარაღაჯის ციხეც აიღეს და შიგ თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენეს, ოსმალთ ხელთ მოქცეული ყარაღაჯის ციხე, თავის მხრივ ზღუდავდა ლეკთა თარეშს ქართლ-კახეთზე. ეს კი არ მოსწონდათ ლეკებს და „მრავალგზის ეკითრებოდნენ". მაგრამ, ბოლოს ლეკები იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ ამ ამბავს ვახუშტის სიტყვით, რომ ვთქვათ „მიერითგან ველარა იკადრეს რბევად და კირთებად" [1, 625].

როგორც ზემოთ დავინახეთ, ახალციხელი ისაყ-ფაშა თუ ადრე ხელს უწყობდა და ახალისებდა ლეკების ლაშქრობას კახეთზე, ახლა, კახეთის დაკავების შემდეგ, იგი სასტიკი წინააღმდეგია ლეკთა თარეშისა ქართლ-კახეთზე. მაგრამ ქართული წყაროების ცნობით, თავისუფლებისმოყვარე და ძარცვა-რბევას მიჩვეული ლეკების ალაგმვა ცოტა არ იყოს რთული საქმე იყო. ჯერ კიდევ კახეთის დაჭერამდე ლეკები არა მარტო კახეთს სჯერდებოდნენ, არამედ ქართლში იჭრებოდნენ და სამცხე-საათაბაგომდეც აღწევდნენ. ამაზე ვახუშტიც მიუთითებს: „გაძლიერდნენ ესრეთ, რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბევა და ტყუნვა ლეკთა“ [1,512]. 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავი ვახტანგ VI აცნობებდა, რომ „ათი ათასი ლეკი სნოსა და არშას მოხდომოდათო, ხევსურეთი გადმოევლოთ და სნოზედ ჩამოსულ იყო“ [3, 191]. 1732 წ. კი სეხნია ჩხეიძის მიხედვით საქართველოში ჩამოსულ ლეკებს სამცხე-ჯავახეთი, სომხითი, სააბაშიო, საჩხეიძო, საციციანო და სხვა „ბევრი სოფელი“ მოურბევათ [4,41-43]. იმდენად ძლიერი ყოფილა იმხანად დაღესტნელი ფეოდალების შემოსევები საქართველოში და კერძოდ იმერეთში, რომ ალექსანდრე იმერთა მეფე მოსკოვის სამეფო კარზე პირადაპირ წერს საქართველოში „ლეკთა მძლავრობაა“ [3,195]. როგორც დავინახეთ, ძარცვა-რბევის მოყვარული ლეკები არც თავის მოკავშირე სამცხე-სათაბაგოს აოხრებას ერიდებიან. ამაში, ჩვენი აზრით, მათ ახალციხის საფაშოს მდიდარი რაიონები იზიდავდა. ამ დროისათვის მთელი ქართლ-კახეთი გაპარტახებული იყო, ხოლო სამცხე-სათაბაგო ჰყვაოდა, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს ვახუშტისთანაც ვკითხულობთ: „არამედ ვინაითგან იყო ქართლი ჭირსა დიდსა, აღშენდა ჯავახეთი და სამცხე მუნიდამ ვინაითგან გარდმოშენდებოდნენ და გამდიდრდენცა ბეგნი, ალაიბეგნი, აღანი და ფაშანი ხუეჭითა მათითა... შემდგომად გარდმოვლეს ქართლი ლეკთა და სტყუვნიდნენ სამცხე-ჯავახეთსა, ვიდრე კოლამდე და მიაქუნდათ ნატყუენავნი უამრავნი“ [1,738]. ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევარ თ. ბოცვაძის მოსაზრებას, რომ ლეკ-ოსმალთა შეჯახებანი საქართველოს ტერიტორიაზე სისტემატურ ხასიათს ატარებდა [5, 152]. ნაწილობრივ გასაზიარებელია დ. მეგრელაძის დებულება: რომ „მიუხედავად იმისა, რომ აქ გაბატონებული ოსმალები საკმაოდ ენერგიულად გამოდიოდნენ ლეკების წინააღმდეგ, სავარაუდოა ეს შეჯახებანი ოსმალ-ლეკთა შორის ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა [6, 109]. ამასთანავე დავსძენთ, რომ მსგავს შეტაკებებს ლეკ-ოსმალთა შორის ადგილი უნდა ჰქონოდა, მხოლოდ „ოსმალობის“ პირველ ეტაპზე, 1723-1731 წლებს შორის. ე. ი. ოსმალთა მიერ კახეთის დაპყრობამდე.

XVIII საუკუნის 30-იან წლებიდან ძლიერდება ირანი, რომლის ნიჭიერმა სარდალმა ნადირმა ჯერ ავღანელები განდევნა ირანიდან, ხოლო შემდეგ კი ენერგიულად შეუტია თავის ისტორიულ მეტოქეს ოსმალეთს. როგორც მკვლევარი ო. მარკოვა აღნიშნავს, „ირანის მომძლავრება და მისი წარმატებები თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იმდენად შესამჩნევი იყო, რომ პეტრე დიდის მემკვიდრეები იმთავითვე ირანის მიმართ თავისებური „დათმობის“ პოლიტიკას დაადგნენ, ხოლო მთელი მათი მცდელობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ „დათმობის“ საფასურად რაც შეიძლება მეტი ღირებულების ფასეულობა მიეღოთ—კავშირი შესაძლებელ რუსეთ-თურქეთის ომში, ან სულ მცირე ნეიტრალიტეტი მაინც“ [7,121]. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია სავსებით კანონზომიერ შედეგად სჩანს 1732 წ. ჯერ რეშტის ტრაქტატი, ხოლო შემდეგ 1735 წ. განჯისა, რომლის მიხედვით ირანმა ფაქტიურად უბრძოლველად დაიბრუნა ყველაფერი ის, რაც პეტრე I მოიპოვა ლაშქრობით [8, 502]. ე. ი. ამ ზავით დაღესტანი ირანის გავლენის სფეროდ იქნა მიჩნეული.

1735 წელს ირანელებმა თურქები განდევნეს აღმოსავლეთ საქართველოდან, შექმნილ სიტუაციაში ქართველები თურქების წინააღმდეგ მებრძოლ ყიზილბაშთა მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო ლეკები თავიანთი ძველი მოკავშირის თურქების მხარეზე. ომან

ხერხეულიძე ამაზე საგანგებოდ მიუთითებს: „რა იხილეს ოსმალთა უკუდგომა ქართველთა, ამისათვის გაიერთიანეს ლეკნი და მოიმწეს მუნით სპანი და აოხრებდნენ ქართლ-კახეთს და უფროსად სომხით-საბარათიანოს“ [9, 39]. ვახუშტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლეკები განსაკუთრებით სომხით-საბარათიანოს არბევდნენ. ბუნებრივად იბადება კითხვა–რატომ მაინცდამაინც სომხით-საბარათიანოს? ჩვენი აზრით ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო, ჯერ ერთი, ქვემო ქართლის მდიდარი რაიონები, სადაც დაღესტნელები გაპარტახებული კახეთის გავლით იოლად აღწევდნენ. მეორეც, სომხით-საბარათიანოს უშუალო მეზობლობა ლეკების მოკავშირე ახალციხის საფაშოსთან, სადაც საშიშროების შემთხვევაში იოლად და მოხერხებულად შეიძლებოდა გადასვლა.

1736 წელს არზრუმში ირანსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თურქეთმა ცნო ირანის უპირატესობა აღმ. ამიერკავკასიაზე.აქედან მოყოლებული XVIII საუკუნის 40-იანი წლების დამდეგამდე დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობების შესახებ, სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობის გამო, არაფერის თქმა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ჭარის მხრიდან ადგილი ჰქონდა ლეკთა პატარა რაზმების თარეშს ქართლსა და იმერეთში.

1741-1742 წლებში, როცა ნადირ-შაჰი დაკავებული იყო დაღესტანის წინააღმდეგ ბრძოლით, ქართლში დაიწყო ანტიირანული ამბოხება გივი ამილახვრის მეთაურობით. ნადირ-შაჰის ბრძოლებმა დაღესტან-ჭარში, მართალია, რამდენადმე შეანელეს ლეკთა თარეში საქართველოზე, მაგრამ, როგორც წყაროებიდან ჩანს, იგი სულ არ შეუწყვეტიათ. როგორც თ. ბოცვაძე აღნიშნავს: „ლეკები „ყიზილბაშობის“ დროსაც 1735-1747 წწ. კვლავაც განაგრძობდნენ თავდასხმებს, რასაც ისინი ნაწილობრივ თავისით ახორციელებდნენ და უმეტესწილად კი თურქეთის წაქეზებით“[10,175]. თურქეთი ყოველნაირად ცდილობდა ყიზილბაშები განედევნა საქართველოდან და თავისი ბატონობა კვლავ აღედგინა. თურქეთის ამ პოლიტიკის გამტარებელი ამიერკავკასიაში, რაღა თქმა უნდა, ახალციხის საფაშო იყო, რომელსაც საამისოდ დიდი თანხა ეძლეოდა, 1743 წლის ნოემბერში ოსმალათა ლაშქარი ამილახვართან მოვიდა: ამის შესახებ პაპუნა ორბელიანი წერს: „მოსცა ხონთქარმა ჯარი და ხაზინა და: „ვინც ჩვენს სამსახურზე ხმალს იქნევდეს იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო“ [11,72]. მაგრამ აჩაბეთთან ერკლემ მოახერხა მათი დამარცხება.

1734-1746 წლებში კვლავ განახლდა 1736 წელს შეწყვეტილი ირან-ოსმალეთის ომი. ამ დროისათვის კიდევ უფრო გაფართოვდა დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობები აქვთ პაპუნა ორბელიანსა და ომან ხერხეულიძეს.

1744 წელს დაღესტნიდან გადმოსულმა მალაჩი ბელადმა მოარბია ორბელიანთ მამული და დიდი ნადავლით დატვირთული ჯავახეთში გადავიდა [11,78].

1744 წელს სულთანმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს დაკავება, მან ამ ამოცანის გადაჭრა ახალციხელ უსუფ-ფაშას დაავალა: „ხოლო წელსა 1744 წარმოავლინა ხონთქარმან უსუფ-ფაშა სპითა დიდითა და წარმოიტანა ხაზინა, რათა წარგზავნოს იგი დაღესტანსა შინა და მით გადმოიყვანოს ჯარი [9,44]. ფაშას პირველი ცდა ერეკლემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაშალა. მეორედ უსუფ-ფაშა უფრო სერიოზულად მოემზადა: „მაშინ მოიყვანეს დაღესტნის ბელადი მალაჩი და მიაბარეს დაღესტნის პირველი ბელადი და ყოველნი დაღესტნელნი მორჩილ იყვნენ მისა“ [9, 44]. მალაჩი ბელადს თან ახლდა ორი ათასი ლეკი და ამდენივე ოსმალო. ერეკლემ მათ არაგვისპირი შეუკრა და ამჯერადაც სასტიკად დაამარცხა ისინი, ხოლო გადარჩენილთა მცირე ნაწილმა თავი ისევ ახალციხის საფაშოს შეაფარა, ამან, რასაკვირველია, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობაზე გავლენა ვერ იქონია. ლეკ-ოსმალთა თარეშები ქართლ-კახეთზე კვლავ გრძელდებოდა.

1747 წლიდან, ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ო. მარკოვას თქმით „ლეკური საკითხი საქართველოს საშინაო ცხოვრების ძირითად ნაწილად გადაიქცა [7,127], ხოლო თ. ბოცვაძის შენიშვნით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მისი საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა [10,172].

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა XVIII ს-ის 20–40-იან წლებში შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:

I. 1723-1731 წწ. ამ დროს დაღესტან-ახალციხის საფაშოს შორის ადგილი აქვს ეპიზოდური ხასიათის დაპირისპირებას.

II. 1731 წლიდან 40-იანი წლების დასაწყისამდე. როდესაც კახეთის დაპყრობის შემდეგ ურთიერთობა დაღესტანსა და ახალციხის საფაშოს შორის სტაბილური ხდება.

III. 40-იანი წლების დასაწყისიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე–როდესაც დაღესტან-ახალციხის საფაშოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და ლეკ-ოსმალთა თარეშმა ქართლ-კახეთზე სისტემატური ხასიათი მიიღო.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება, რომელმაც თავისებური ასახვა ჰპოვა არა მარტო საქართველო-დაღესტნის, არამედ რუსეთ-საქართვლოსა და რუსეთ-დაღესტნის ურთიერთობაში.

გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის სია:

1 *ვახუშტი*, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973.

2 *ი. ციცაძე*, XVII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების არქივიდან, თბ., 1953.

3. *M. Бросе*, Переписка грузинский царей с россискими государами., II.

4. *ს. ჩხეიძე*, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913.

5. *თ. ბოცვაძე*, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან XV-XVIII სს. თბ., 1968.

6. *Д. Мегреладзе*, Из истории Грузино-Дагестанскых взаимоотношении, Автореферат Кандидатской диссертации, Тб., 1954.

7. *О. П. Маркова*. Россия, Закавказье и международные отнощения в XVIII веке. М., 1966.

8. *Т. Юзифович*, Договоры России с Востоком, Политические и торговые, СПб., 1869.

9. *ომან ხერხეულიძე*, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989.

10. *თ. ბოცვაძე*, ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართვლოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს..) თბ., 1989.

11. *პაპუნა ორბელიანი*, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაურთო ელენე ცაცარეიშვილმა, თბ., 1981.
12. *Н. А. Смирнов*, Политика России на Кавказе, Нальчик, 1948.
13. *В. Г. Гаджиев*, Роль России в истории Дагестана, М., 1965.

Roman Gogolauri

THE DAGESTAN AKHALTSIKHE SAPASHO RELATIONS IN 20S-40S OF THE XVIII CENTURY

Summary

Less known in the scientific literature in 20s-40s of the XVIII century Dagestan-Akhaltsikhe Sapasho relations are touched in this work. Some doubtful questions about above mentioned one are cleared up in sources and archives materials.The author of the work has his own opinion, he didn't share T. Botsvadze's views, who had his own word about Leck- Osmals raids in that period. He partly agrees with D. Megreladze, who thinks that the Leck-Osmals raids had periodical character. The author of this work thinks that those raids could take place only during the Osmal-Georgian ruling period.

In the end the named period is divided into three stages.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

ზურაბ ცინცაძე

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფია XIX საუკუნეში

სამცხე-ჯავახეთის ერთიანად ისტორიულ გეოგრაფიული მიმოხილვა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეს ქვეყნები ერთმანეთიდან გეოგრაფიულად და ეკონომიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული და XIX ს. დიდ მონაკვეთებზე ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში – *ახალციხის მაზრაში* იყვნენ გაერთიანებულნი.

ქართული ისტორიული ტრადიციის თანახმად, სამცხე და ჯავახეთი, ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დროს, სამცხე-ჯავახეთს მეფის მოხელეები–ერისთავები განაგებდნენ.

XIV სს. მიჯნაზე მთელ ისტორიულ ზემო ქართლს, მესხეთის ფეოდალური გვარის წარმომადგენლები – *ჯაყელები* ეუფლებიან და სამცხე-ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ ერთეულში ექცევა.

XVI-XVII სს. მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთი ოსმალეთმა დანარჩენ მესხეთთან ერთად დედა სამშობლოს – საქართველოს წააგლიჯა. დამპყრობლებმა მათ მიერ ინკორპორირებულ მხარეში თურქული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები – ლივები შექმნეს. თითოეული ლივა უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულად–საჯანყებად იყოფა.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომის წინა სამცხე-ჯავახეთი ახალციხის, აწყურის, ოცხის (აბასთუმანი), ქვაბლიანის, ახალქალაქის, ხერთვისის, ასპინძის, ჭაჭარაქის და ფოცხოვის სანჯაყებად იყოფოდა.

XIX საუკუნის 20-იანი წლების რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მიერ შედგენილი ახალციხის საფაშოს რუკის დეტალურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ საერთოდ მთელი საფაშოსა და მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სანჯაყები, ძირითადად, მაინც მკვეთრად გამოხატულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და, შესაბამისად, მეურნეობრივადაც ერთიან ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ.

თურქების მიერ ქვეყნის ადმინიტრაციული დაყოფა, ნებისმიერი არ ყოფილა, ვინაიდან ძირითადად მაინც გათვალისწინებული იყო ქვეყანაში არსებული ვითარება–ოსმალური ერთეულები, არსებითად, ძველი ქართული მიკროქვეყნების საფუძველზე იყო შექმნილი.

1828-1829 წწ. ოსმალეთის პორტის წინააღმდეგ წარმატებით წარმოებული ომის შედეგად, რუსეთმა სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი შემოიერთა. ახლად შემოერთებულ ტერიტორიას *ახალციხის პროვინცია* ეწოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1840 წლის 10 აპრილის დებულებით ახალციხის პროვინცია, ახალციხის მაზრად გადაკეთდა და საქართველო-იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა.

ამიერკავკასიის მხარის მართველობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, ახალციხის მაზრა სამ – ახალქალაქის (ყოფილი ახალქალაქის სანჯაყი), ხერთვისის (ყოფილი ხერთვისის, ასპინძის, ჭაჭარაქის სანჯაყები) და აბასთუმნის (ყოფილი აბასთუმნის, ახალციხის, აწყურის და ქვაბლიანის) უბნებად დაიყო.

1843 წ. ახალციხის მაზრაში დიდი ცვლილებები ჩატარდა, რაც იმით გამოიხატა, რომ სოფლების მთელი ჯგუფი ერთი უბნიდან მეორე უბანს გადეცა, ვინაიდან ახალციხის მაზრის უბნებად დაყოფის ადრეული სისტემა არ შეესაბამებოდა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას, მოუხერხებელი იყო და დიდი სიძნელეების წინაშე აყენებდა უბნის მსაჯულებს.

1846 წ. 14 დეკემბრის დებულების თანახმად ახალციხის მაზრის აბასთუმნისა და ხერთვისის უბნები ახლად შექმნილი ქუთაისის გუბერნიის შემადგელობაში შეიყვანეს. ახალქალაქის უბანი კი თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრას გადასცეს.

ახალაქლაქის მაზრა (სამცხე-ჯავახეთის უდიდესი ნაწილი), რომელიც ჩრდილოეთიდან ქედების სისტემით იყო შემოზღუდული, ერთიან გეოგრაფიულ რეგიონს წარმოადგენდა და მისი განაწილება ორ გუბერნიას შორის უსწორო იყო.

ახალციხის მაზრისაგან ახალქლაქის უბნის ჩამოცილება და მისი თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრისადმი გადაცემა თუ რით იყო გამოწვეული, ამის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. შესაძლებელია იმის გამო, რომ ახალქალაქის უბანი, ისევე როგორც ალექსანდროპოლის მაზრა, ძირითადად სომხებით იყო დასახლებული და ალბათ მთავრობამ თბილისის გუბერნიაში ერთიანი ეთნიკური სომხური მაზრის შექმნა მოიწადინა. მიუხედავად ამისა, ჯავახეთის გეოგრაფიული და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა მცდარი და ხელოვნური იყო. ახალქალაქის უბანი, რომელიც ჯავახეთის პლატოზე იყო გაშლილი, მტკვრის აუზში მდებარეობდა და ალექსანდროპოლის მაზრისგან (ყოფილი შურაგელი) ნიალისყურის მთაგრეხილით იყო მოწყვეტილი. ამას გარდა, ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი გზა უვარგისი და ძნელად სავალი იყო.

ალექსადროპოლიდან ახალქალაქის უბნის მართვა-გამგეობამ არ გაამართლა და 1849 წ., როდესაც ერევნის გუბერნია შეიქმნა, ახალქალაქის უბანი ჩამოაცილეს ერევნის გუბერნიის ალექსადროპოლის მაზრას და ქუთაისის გუბერნიის ახალციხის მაზრას შეუერთეს.

ახალციხის მაზრის ქუთაისის გუბერნიისათვის გადაცემა, შესაძლებელია იმ დროს არსებული ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად იყო გამოწვეული.

XVIII ს. შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად, შედარებით ძნელად გადასასვლელი ზეკარისა და გოდერძის უღელტეხილები უფრო მნიშვნელოვანი გახდნენ, ვიდრე სამცხე-ჯავახეთიდან ქვემო და შიდა ქართლისაკენ მიმავალი პირველხარისხოვანი სატრანზიტო გზები, რამაც ახალციხის საფაშოს, განსაკუთრებით სამცხის, იმერეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერება განაპირობა.

1867 წლის 9 დეკემბერს ახალციხის მაზრა ჩამოაშორეს ქუთაისის გუბერნიას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს. ახალციხის მაზრის ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოშორება და მისი თბილისის გუბერნიისადმი გადაცემა სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა გარემოებამ განაპირობა.

სამოციანი წლების დასასრულს, როდესაც ბორჯომ-ახალციხის გზა შეაკეთეს, იგი მთავარ სატრასრასანსპორტო გზად იქცა. ზეკარის უღელტეხილს ყურადღება აღარ ექცეოდა და ის თანდათანობით „დაყრუვდა". ზეკარის უღელტეხილზე მგზავრობა იმდენად გართულდა, რომ ზამთრობით ახალციხისა და ქუთაისის ურთიერთობა რიკოთის უღელტეხილის საშუალებით ხორციელდება. ბორჯომ-ახალციხის გაცხოველებამ ახალციხის მაზრა ეკონომიკურად თბილისის გუბერნიასთან დააკავშირა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობა ოდითგანვე ჯავახეთთან იყო დაკავშირებული.

XIX ს. მოერე ნახევარში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გააქტიურდა. თბილისის გუბერნიის მთებზე შეფენილ საძოვრებსაც იყენებდნენ. XIX ს. 60-იან წლების რეფორმების დროს, როდესაც ამიერკავკასიაში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ჩატარდა, გაითვალისწინეს არსებული გეოგრაფიულ-ეკონომიკური რეალობა და ალბათ ისიც, რომ ახალციხის მაზრა მტკვრის აუზში მდებარეობდა, ჩამოაშორეს ქუთაისის გუბერნიას და თბილისის გუბერნიას შეუერთეს.

1867 წ. 9/II რეფორმის საფუძველზე ახალციხის მაზრაში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში, მაზრის უბნებად დაყოფა გაუქმდა.

1868 19/II ახალციხის მაზრის შემადგენლობაში ახალი ადმინისტრაციული ერთეული – ახალქალაქის საპრისტაო გამოიყო. ახალქლაქის საპრისტაო ყოფილი ახალქალაქის უბნის ბაზაზე შეიქმნა.

სამცხე-ჯავახეთის (ახალციხის მაზრა) ასეთმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1868 თებერვლიდან 1874 წლამდე იარსება.

1874 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა სახელმწიფო საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც თბილისის გუბერნიის შემადგელობაში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული—ახალაქალაქის მაზრა უნდა შექმნილიყო.

ახალაქალაქის მაზრა ახალციხის მაზრაში შემავალი ყოფილი ახალქალაქის საპრისტაოსაგან შეიქმნა. ამავე მაზრას გადასცეს, აგრეთვე, ახალციხის მაზრის უფროსის რეზიდენციიდან დაშორებული ხერთვისის უბნის ათი სოფელი: *ხერთვისი, კვარშა, ალჯუა, სარო, ნაქალაქევი, გულსუნდა, მარგასტანი, შადრევანი, წუნდა, მირაშხანი* და გორის მაზრის ბორჯომის მამულის ორი სოფელი – *მოლითი და წითელი საყდარი* (ყიზილ-ქილისა). 1875 წ. ახალქლაქის მაზრა ოფიციალურად გაიხსნა.

1888 წელს, როდესაც ამიერკავკასიის უბნებად დაყოფა აღადგინეს, სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები – ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები საპოლიციო უბნებად დაყვეს.

ახალციხის მაზრაში გამოყვეს სამი საპოლიციო უბანი: აწყურის, ქვაბლიანისა და ურაველის.

ახალქალაქის მაზრა ორ - ახალქალაქისა (შემდეგში ბოგდანოვკის) და ბარალეთის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საპოლიციო უბნებად დაყვეს.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების საპოლიციო უბნები თავის მხრივ სასოფლო საზოგადოებებად იყოფოდნენ.

ასეთი იყო სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ვიდრე 1917 წ.

ახალციხის მაზრა თბილისის გუბერნიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და მტკვრის ხეობის ზემო წელსა და დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა მისი შემდინარე წყლების აუზს (ფოცხოვი, ქვაბლიანი, ოცხისწყალი, უარაველი) მოიცავდა. ახალციხის მაზრა სამ უბნად იყოფოდა: აწყურის, ქვაბლიანისა და ურავლის. აწყურის საბოქაულოს ცენტრი აწყურში იმყოფებოდა, ქვაბლიანისა უდეში, ურავლისა – ზრველში.

ყოველმხრივ მთებითა და მდ. მტკვრის ხეობით შემოზღუდული ახალციხის მაზრა ერთიანი გეოგრაფიული ერთეული იყო. ეს მაზრა, რომელიც, ძირითადად, მეხილეობის რეგიონს წარმოადგენდა, ეკონომიური თვალსაზრისითაც ერთ მთლიან ერთეულად განიხილებოდა. ასევე, შეიძლება ითქვას, ახალციხის მაზრა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც წარმოადგენდა მთლიან ერთეულს, ვინაიდან ამ მაზრის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას გამაჰმადიანებული ქართველები (მესხები) შეადგენდნენ.

ახალციხის მაზრამ ისტორიული სამცხის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი მოიცვა და მხოლოდ მდ. ფოცხოვის წყლის ხეობის ზემო წელი არ შემოდიოდა მის შემადგენლობაში, რომელიც ადმინისტრაციულად ყარსის ოლქის არტაანის უბანს ეკუთვნოდა, მაგრამ მას მაინც რუსი გეოგრაფები, ტოპოგრაფიული თვალსაზრისით, ახალციხის მაზრის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ და დიდ შეცდომად უთვლიდნენ მაშინდელ ადმინისტრაციას, ფოცხოვის მხარე ახალციხის მაზრაში რომ არ იყო შესული.

ასეთივე ერთეულს წარმოადგენდა ახალციხის მაზრა, რომელიც ჯავახეთის ზეგანს (ჯავახეთის ზეგანს ახალქალაქის უდიდესი ნაწილი ეკავა) და მდინარეების – ახალქალაქის მტკვრისა და ხერთვისის წყლის ხეობებს მოიცავდა. ახალქალაქის მაზრა ბარალეთისა და ბოგდანოვკის უბნებად იყოფოდა. საბოქაულო ცენტრები ბარალეთსა და ბოგდანოვკაში იყო მოთავსებული.

ბუნებრივი სასაზღვრო ხაზებით (მთები, მდ. მტკვრის ხეობა) შემოსაზღვრული ახალქალაქის მაზრა ერთი მთლიანი გეოგრაფიული ერთეული იყო.

ახალქალაქის მაზრის უბნებად დაყოფაც კი ქვეყნის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ დარაიონებას შეესაბამებოდა.

ბოგდანოვკის უბანი, რომელიც ჯავახეთის პლატოს უდიდეს ნაწილს მოიცავდა, მემინდვრეობის რეგიონს წარმოადგენდა და, ამდენად, მეურნეობრივი თვალსაზრისითაც ერთი მთლიანი ერთეული იყო.

ასევე შეიძლება ითქვას ბარალეთის საპოლიციო უბანზედაც, ვინაიდან ამ უბანს, ძირითადად, მტკვრის კანიონი ეკავა, წარმოადგენდა მებაღეობის რეგიონს და, შესაბამისად, მეურნეობრივი თვალსაზრისითაც მთლიანი ერთეული იყო.

ტერიტორიული მოცულობის მხრივ ახალქალაქის მაზრა ზუსტად დაემთხვა ისტორიულ ჯავახეთს.

ასეთი გახლდათ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება XIX საუკუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეში.

როგორც დარწმუნდით, ჯერ თურქული, შემდეგ რუსული ხელისუფლება, ამ მხარის ადმინისტრაციული დაყოფის დროს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა და მაინც, მიუხედავად ამისა, ორივენი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ სამცხე-ჯავახეთის ქართული ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული დაყოფისათვის. ეს ფაქტი უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ ძველი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები საოცარი სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდებოდნენ.

Zurab Tsintsadze

HISTORICAL GEOGRAPHY OF SAMTSKHE-JAVAKHETI IN THE XIX CENTURY

(Summary)

The work is about historical-geography of Samtskhe-Javakheti in the XIX c. First Turkish (Anjaks), then Russian administrative-territorial units - Mazras, police districts, the village communities of the XIX c. are studied. The settled regions, their territorial volumes, and borders are also established.

It is shown that administrative-territorial changes are the result of political and economical-geographical situations in the country. It is established that Turkish at first and then Russian administrative-territorial units are the same as in old Georgian countries.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როინ ყავრელიშვილი

თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ

ფრონტის მოშლის შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების დაწყება და ცენტრის სახელმწიფოების (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი) წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს შეხვდნენ [1 გვ. 18] ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება სამ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი სხდომა გაიხსნა 1917 წლის 22 დეკემბერს და უმთავრესად ეხებოდა საერთო პრინციპებს,რომელზეც ზავი უნდა აგებულიყო. შესავალი სიტყვა ჩრდილოეთის ჯარების სარდალმა ბავარიის პრინცმა ლეოპოლდმა წარმოსთქვა.

მოლაპარაკების მეორე ეტაპი 1918 წლის 2 იანვარს დაიწყო, რომლის შედეგად გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ბულგარეთმა და თურქეთმა უკრაინის რესპუბლიკასთან მოაწერეს ხელი სამშვიდობო ზავს, რითაც აღიარეს უკრაინის დამოუკიდებლობა. ამასთანავე გერმანელებმა მოითხოვეს მათ მიერვე შემუშავებული საზღვრების აღიარება. ბოლშევიკების დელეგაცია იძულებული გახდა მოლაპარაკება შეეწყვიტა და კონსულტაციებისათვის პეტროგრადში გამგზავრებულიყო. რადგანაც გერმანელთა მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული, მათ ავსტრია-უნგრეთთან ერთად 18 თებერვალს პეტროგრადს ულტიმატუმი წაუყენეს და პარალელურად საომარი მოქმედებანი განაახლეს.

კრიტიკულმა მდგომარეობამ აიძულა ბოლშევიკები დაეწყოთ მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი, რომელიც 27/28 თებერვალს განახლდა. მათ დააკმაყოფილეს გერმანელთა მოთხოვნები, მიიღეს მათ მიერ შემოთავაზებული საზღვრების გეგმა, რითაც ბათუმი, ყარსი და არტაანი მოექცა ოსმალეთის საზღვრებში. ზავს ხელი მოეწერა 1918 წლის 3 მარტს.

კავკასიური საზღვრების საკითხი მოლაპარაკების პირველ პერიოდში არ წამოჭრილა. ხოლო მეორე პერიოდში, 1918 წ. 18 იანვარს პოლიტიკური კომისიის სხდომაზე, ლ. ტროცკის განცხადების შემდეგ კავკასიის არმია არის ბოლშევიკების დაქვემდებარებაშიო, ნიშნავდა იმას, რომ კავკასიური ჯარების მიერ დაკავებული ოსმალური ფართო ტერიტორიების დაცლასაც მასვე მოსთხოვდნენ. სწორედ ასეც მოხდა. რამაც შემდეგ გამოიწვია ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლი, რომელიც კავკასიას ეხებოდა. მისი ძალით ყარსის, არტაანის და ბათუმის მხარეები რუსეთს დაუყონებლივ უნდა დაეცალა და ამ მხარეთა ბედი თვითგამორკვევის სახით უნდა გარკვეულიყო. [1, 18]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსმალეთის სულთნის მთავრობა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი თალაათ ფაშა, ერთობისა და პროგრესის პარტიის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც 1917 წლის 5 ოქტომბრიდან 1918 წლის 14 ნოემბრამდე პრემიერ-მინისტრი (დიდი ვეზირი) იყო [2, 291].

თურქეთის დელეგაციის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ხელმძღვანელი დიდი ვეზირი თალაათ ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ ნესიმი ბეი, სამხედრო მრჩეველი აჰმეთ იზზეთ ფაშა. თურქეთის დელეგაციის ბრესტ-ლიტოვსკში ჩასვლამდე, სამშვიდობო მოლაპარაკებებში თურქეთის სახელით მონაწილეობდა უნდა მიეღოთ თურქეთის ელჩს ბერლინში ჰაქი ფაშას და სამხედრო ატაშეს ზეკი ფაშას. [3]

თურქი ისტორიკოსების აზრით, ბრესტ-ლიტოვსკი თურქული დიპლომატიის გამარჯვებაა, რადგან შესაძლებელი გახდა 1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების „ელვიე ი სელასეს" (ბათუმი, ყარსი, არტაანი) დაბრუნება.

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენაციაზე თურქეთის დელეგაციის პოზიცის შესასწავლად მეტად საყურადღებო თურქული დოკუმენტები გამოაქვეყნა თულაი დურანმა. ესაა თურქეთის დელეგაციის წევრების მიმოწერა ენვერ ფაშასთან და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმეთ ნესიმი ბეისთან. მიუხედავად ამ დოკუმენტების ცალმხრივ, ტენდეციურად შერჩევისა, მათი ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს თურქი დიპლომატების ზრახვები კავკასიის მიმართ. თულაი დურანი თვლის, რომ ბრესტ-ლიტოვსკში თურქეთის დელეგაციამ დიდ გამარჯვებას მოაღწია. „ოამალეთის იმპერიამ, წერს იგი, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველად შეძლო წარმატების მოპოვება და დაიბრუნა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი დამარცხდა რუსეთთან ომში, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ის გამარჯვებული სახელმწიფოს მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონი—ყარსი, არტაანი და ბათუმი ხელახლა მოექცა თურქეთის საზღვრებში"[3,20].

გამოქვეყნებულია 31 დოკუმენტი და ბრესტის ზავის სრული ტექსტი თურქულ ენაზე. თვითონ თულაი დურანის განმარტებით აქამდე ეს ტექსტი მთლიანად არ იყო ცნობილი; ნაწილი გამოსცა პროფესორმა აქდეს ნიმედ ქურათმა. თულაი დურანის მიერ სრულად იქნა გამოქვეყნებული ბრესტის ზავის სრული თურქული ტექსტი და თურქეთის დელეგაციის წევრების მიმოწერის დოკუმნტები [3, 13].

ამ დოკუმენტთაგან ხუთი დოკუმენტის თარგმანი მოცემულია წინამდებარე ნაშრომში. მოძიებული მასალიდან ჩანს, რომ თურქეთი მოკავშირეთა ხელით ცდილობს თავისი ინტერესების გატარებას; თუმცა, მათ შორისაც არსებობს გარკვეული წინააღმდეგობანი.

კონფერენციის გახსნის მეორე დღეს, 23 დეკემბერს, თურქეთის დელეგაციის მეთაურმა თალაათ ფაშამ მოითხოვა, რომ რუსეთის ჯარებს დაუყონებლივ დაეტოვებინათ კავკასია. ასეთი მოთხოვნა მიუღებელი იყო გერმანიისათვის, რადგან, აქედან გამომდინარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანელებსაც უნდა გაეთავისუფლებინათ პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია (ფინეთი). დიდი ძალისხმევის შედეგად გერმანელებმა დაარწმუნეს თურქეთი, უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნაზე. თურქები, აგრეთვე, მოითხოვდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებაში ხაზგასმული ყოფილიყო, რომ რუსეთს აეღო ვალდებულება არ ჩარეულიყო სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ამ საკითხშიც თურქეთის დელეგაციას მხარი არ დაუჭირეს მისმა მოკავშირეებმა და იგი იძულებული გახდა უკან წაეღო თავისი წინადადება [3,17].

თურქეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მას დაბრუნებოდა 1877-1878 წ.წ. რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები. კერძოდ, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები.

I დოკუმენტი. 1917 წლის 21 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი ნესიმი ბეი საგარეო საქმეთა სამინისტროს სწერდა:

„ამ სალამოს მე და მუსიე კულმანმა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში ვისაუბრეთ.

I. გერმანელები დაჟინებით მოითხოვენ სამშვიდობო მოლაპარაკების სამ ნაწილად დაყოფას: ა) საერთაშორისო საკითხების ერთობლივად განხილვა. ბ) რამდენიმე ქვეყანას შორის არსებული საკითხების უშუალოდ ამ სახელმწიფოებს შორის გადაწყვეტა. გ) ორ სახელმწიფოს შორის არსებული გასარკვევი საკითხების უშუალოდ მათივე მხრიდან მოგვარება.

შევეხე რა საკუთრივ ჩვენს მდგომარეობას, ავუხსენი, რომ მოლაპარაკებების ცალ-ცალკე ჩატარებამ შეიძლება გარკვეული სიძნელეები წარმოშვას. განსაკუთრებით, როდესაც ჩვენმა ხალხმა საერთო მიზნების მისაღწევად დიდი თავგანწირვა გამოიჩინა. ამის გამო, მოკავშირეთა მხრიდან სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდაზე არ უნდა ვიყოთ მიტოვებულნი, რადგან ეს საერთო სამშვიდობო მოლაპარაკების პერიოდში ცუდ მაგალითად აღიქმება. ამ საკითხთან დაკავშირებით მუსიე დე კულმანმა განმიცხადა, რომ თუ მოკავშირე ქვეყნები ოფიციალური მოლაპარაკების პერიოდში ხალხებს შორის არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს ერთობლივად გადაწყვეტენ, ანდა თუ მათი წარმომადგენლები ერთად მიიღებენ მონაწილეობას მოლაპარაკებებში, მაშინ მოსალოდნელი რისკი თავისთავად იქნება თავიდან აცილებული. მაგალითად, ტერიტორიების ევაკუაციის, კაპიტულაციების, ხელშეკრულებების და სხვა შესაძლო მოსაგვარებელი საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია, ერთი მხრივ, გერმანიასა და ავსტრიასთან ერთად, ხოლო სხვა საკითხები, რომლებიც ყველა ქვეყნის ინტერესების სფეროში შედის, მაგალითად, სრუტეების საკითხი, შეიძლება ერთობლივად განიხილოს მონაწილე ქვეყნებს შორის ბულგარეთის ჩათვლით. ცოცხალი ძალით ზარალის ანაზღაურების საკითხში გერმანია საფრანგეთის გამო მოლაპარაკებებიდან ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მიიღებს, ამიტომაც ის ვერავითარ მოთხოვნილებას ვერ წამოაყენებს. თუმცა, მუსიე კულმანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხში თქვენდამი დახმარებისაგან უკან არ დავიხევთო. კულმანმა ისიც აღნიშნა, რომ ზავის დადება აუცილებელია იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც გაწყვეტილი გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიმყოფებით საომარ მდგომარეობაში, მავრამ არა ფორმალურად, რადგან მოლაპარაკებანი გაჭიანურდება და თვით მოკავშირეთა შორის არსებული სხვადასხვა მოსაზრებების გამოც კი ეგი უაზროდ ჩაივლის და ფაქტიურად არავითარი შედეგი არ ექნება.

ჩემი აზრით, ტერიტორიების ევაკუაციის, კაპიტულაციების, სრუტეების, ხელშეკრულებების საკითხები, ის საერთო საკითხები, რომლებიც შედის ჩვენი ხელისუფლების ინტერესების სფეროში, ავრეთვე, გერმანელების წინადადება ცალ-ცალკე ზავის დადების შესახებ, რომელიც ჩვენ ადრევე გვქონდა ჩაფიქრებული და თუ ვენდობით იმასაც, რომ გერმანელები არ შეიცვლიან აზრს ყველაფერ ამასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, თუ სხვა გადასაჭრელ საკითხებთან ერთად ცოცხალი ძალის ზარალის ანაზღაურების საკითხსაც დადებითად გადავწყვეტთ, მაშინ გერმანელების ეს ეკვივალენტური წინადადებები უყოყმანოდ უნდა მივიღოთ.

თუ გერმანელებმა მოითხოვეს ცოცხალი ძალის ზარალის ანაზღაურების ცალკე საკითხად განხილვა, მაშინ ყველანაირად შეეცდებით ამ საკითხში მათი გავლენის გამოყენებას და კონკრეტულ დახმარებას ჩვენდამი. მოსალოდნელია, რომ საფრანგეთში მყენებული ზარალის გამო, გერმანელებმა დაუშვებლად ჩათვალონ თავისივე მოკავშირეების სასარგებლოდ რუსეთის მიერ ცოცხალი ძალის ზარალის ანაზღაურება, რადგან სამშვიდობო პროტოკოლში შეტანილი პრეტენზიები მომავალში ძირითადი ზავის დადებისას საფრანგეთის წარმომადგენლებმა შეიძლება გერმანელთა საწინააღმდეგოდ გამოიყენონ. ხვალ საღამოს ბრესტ-ლიტოვსკში მივემგზავრებით. სანამ აღნიშნულ საკითხს პირველივე სხდომაზე გავიტანდეთ, მანამ გთხოვთ კენტ ნომრიანი დეპეშით გამოგვიგზავნოთ ინსტრუქციები ბრესტ-ლიტოვსკში და განსაზღვროთ ჩვენი მოქმედების ფორმა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე იმ პირობების მიხედვით, თუ ჩვენი მაღალამატებული მთავრობა მიიღებს გერმანელების მიერ შემოთავაზებულ პროგრამას.

2) მუსიე დე კულმანს ვუთხარი, რომ ეს არის ჩვენთვის ხელსაყრელი შემთხვევა რუსეთთან ომის შედეგად კონტრიბუციის სახით დაკარგული ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად. კულმანმა მიპასუხა „ამგვარად გაფართოების ტენდენცია ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა და თუ თქვენ ამ ტერიტორიებს მიიერთებთ, ჩვენც კმაყოფილები დავრჩებით, თუმცა ეს ძალიან რთულია". მუსიე კულმანის ამ საუბრიდან ჩანს, რომ საკითხი ჩვენ მოგვანდეს და არავითარ დახმარებას არ გაგვიწევენ. როგორც კი მომეცემა ხელსაყრელი მომენტი, აღნიშნულ საკითხზე ვიმუშავებ.

3) კულმანი ეცდება არ ჩარიოს რუმინეთი რუსეთთან მოლაპარაკების მსვლელობაში. მანვე აღნიშნა, რომ თუ ეს ასე არ მოხდა მაშინ საჭიროა ისეთი გზით მოქმედება, როგორც აქვს აღნიშნული მის აღმატებულება ჰაქქი ფაშას თავისსავე დეპეშაში. ჩემს განცხადებაზე, ბულგარელებმა ტერიტორიები არ უნდა მიიღონ, კულმანმა მიპასუხა: „ჩვენ სამნი ვართ, ისინი მარტონი არიან, ვერაფერს გააკეთებენ, იძულებული იქნებიან დათანხმდნენ". გამომდინარე აქედან, რაიმეს დამატება საჭიროდ აღარ ჩავთვალე.

4) მუსიე კულმანს გადავეცი კავკასიის არმიის მთავარსარდლის წინადადება, ხელი მოეწერა ზავის პირობებზე კავკასიის რესპუბლიკის სახელით. საბოლოოდ ჩვენ ორივე

ასეთ აზრზე შევთანხმდით, რომ აღნიშნული თემა რუსეთთან ერთად ბრესტ-ლიტოვსკში განვიხილა და თუ კავკასიის მთავრობა თავის გადაწყვეტილებას ვერ გვაცნობებდა, არ მოხდებოდა კავკასიის რესპუბლიკის აღიარება. ამ პირობით იძულებულნი გავხდებით კავკასიის არმიის მთავარსალდალს ზავზე ხელი მოვაწერინოთ. ჩვენი აზრით, ამგვარმა ინფორმაციამ უნდა დააკმაყოფილოს ისინი და ეს უნდა იყოს მათთვის მისაღები, რადგან სხვა გამოსავალი არც არის. ამ საკითხთან დაკავშირებით ველოდებით თქვენს წინადადებას.

ხვალ საღამოს მუსიე დე კულმანი ბრესტ-ლიტოვსკში მიემგზავრება. კონტ ჩზერნინი დღეს გაემგზავრა. ჰაქი ფაშა ხვალ დილით ბერლინში იქნება, საღამოს ერთად გავემგზავრებით ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენი მოკავშირეების, როგორც მუსიე დე კულმანის, ასევე იმ საღამოს ბანკეტზე მყოფი ფინანსთა მინისტრის მუსიე ჰელფერინის აზრები გავაანალიზე, ვფიქრობ, რომ ზავის დადებისას მათი მხრიდან არავითარი დაბრკოლებები არ შეიქმნება. მუსიე კულმანმა ჩემს კითხვაზე ასეთი პასუხიც კი გამცა: „ყოველ შემთხვევაში, რუსები ვერსად წაგვივლენ“[3, 45-46].

II დოკუმენტი. ნესიბი ბეის მიერ გაგზავნილი დეპეშა თურქეთის მთავრობამ გააანალიზა. ჰალილ ბეიმ 1917 წლის 22 დეკემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნესიმი ბეის ასეთი პასუხი გაუგზავნა:

„მინისტრთა საბჭომ დიდი ხნის განმავლობაში იმსჯელა გერმანელთა წინადადებების თაობაზე, რომელიც აღნიშნული იყო ჰაქი ფაშას 15 დეკემბრის დეპეშაში, თუ როგორი სახით უნდა ჩატარებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები და დაეთანხმა აღნიშნული საკითხების მოლაპარაკებებზე განხილვას. გარდა ამისა, მივიღეთ რა თქვენი აღმატებულების დეპეშა, საკითხი კიდევ ერთხელ იქნა შესწავლილი. ჩვენი და გერმანიის ერთობლივად მოსალაპარაკებელ საკითხებში, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენსა და რუსეთს შორის გადასაწყვეტი საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარად შეიძლება ჩვენი ძირითადი ინტერესების ერთობლივად დაცვა, თუმცა, ჩვენს მოწინააღმდეგეებს შემდეგ მოლაპარაკებებში რა მოთხოვნებს წავუყენებთ, წინასწარ არ იქნება ცნობილი. თუ მივიღებთ გერმანელთა წინადადებას და ვერ დავუპირისპირდებით ინგლისელებს, ველარ მივიღებთ ჩვენი მოკავშირეებისაგან საგრძნობ დახმარებას იმ საკითხებში, რომლებიც ერთად უნდა განვიხილოთ, მაშინ ეს მდგომარეობა გაათამებს ჩვენს მოწინააღმდეგეებს. ამგვარად ჩვენი ბრძოლა თავიდანვე წაგებულად ჩაითვლება და შედეგიც ჩვენთვის საშიში იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში იგივე კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რა კანონებითაც ერთმანეთს ომის სხვადასხვა ფრონტებზე ვეხმარებით. ყველასათვის საშიშია სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იმ საფუძვლების მოშლა, რომელიც უზრუნველყოფს გამარჯვებას მსოფლიოში ყველა ჩვენს მტერზე. მუსიე კულმანზე ადრინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებული წინადადებების მუსიე კულმანის მხრიდან უარყოფა, ძალიან სამწუხაროა. გერმანელები გვპირდებიან, რომ მხარს დაგვიჭერენ ისეთ საკითხებში, რომლებიც პირველი ეტაპის ხელშეკრულებაში არ შევა, მაგრამ მოლაპარაკებების პერიოდში წამოიჭრება და შემდეგ ცალ-ცალკე დაიყოფა, მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი მდგომარეობა ჩვენ ჩვენი საბოლოო ზავისათვის მიულებლად მიგვაჩნია და ამგვარ კავშირურთიერთობებს ვერ დავეყრდნობით. ეს ხელშეკრულება ადრევე რომ არ ყოფილიყო ხელმოწერილი, მაშინ ჩვენ დღეს ჩვენი მტრების წინააღმდეგ ჩვენი მოკავშირეების მხოლოდ ფორმალურად დაცვას უნდა დავყრდნობოდით? ისმება კითხვა და ამ კითხვაზე პასუხს მუსიე კულმანისაგან ველოდებით.

ზემოთხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭომ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: კვლავ იქნას მოთხოვნილი მოლაპარაკებების ერთობლივად ჩატარება, თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ განსაკუთრებული საკითხების მონაწილეთა შორის გადაწყვეტა, მაგრამ მათი დაცვა ძირითადი მოლაპარაკების პერიოდში, როგორც ყველა მონაწილის ინტერესების სფეროში შემავალი საკითხისა, თუ ამ წინადადებას ვერ მივაღებინებთ, მაშინ ჩვენი მხრიდან იგი მაინც უნდა იქნეს დაცული და უარყოფილ იქნეს ჩვენი წინადადებების ყოველგვარი პროტესტი, შესაძლებლობების ფარგლებში მომავლის გარანტიის აღების პირობით ერთობლივი საკითხების განხილვის დაწყება.

თუ გერმანელები და ავსტრიელები მიიღებენ ტერიტორიებს, მაშინ ჩვენი მოთხოვნები ტერიტორიების თაობაზე აუცილებელი და გამართლებულია. ამ ჩვენი უფლების ერთობლივად დაცვა გათვალისწინებულია ჩვენს შორის დადებულ მოლაპარაკებების მუხლებში. თუ ჩვენი მოკავშირეები ზავის შედეგად ტერიტორიული თვალსაზრისით სარგებელს ნახავენ, ხოლო ჩვენ არ მოგვეცემა საშუალება მივიღოთ ტერიტორიები, მაშინ ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა წამოაყენონ წინადადება ჩვენი ვალების გაუქმების შესახებ, რაც კონპენსაციად ჩაითვლება.

ეს საკითხი უნდა წამოიჭრას მაშინ, როდესაც გაჩნდება ეკონომიკური ინტერესები და ჩვენს მოკავშირეებს შორის ურთიერთმისაღები სავაჭრო ხელშეკრულება დაიდება.

აუცილებელია შემდეგი გარანტიის მიღება, რომ სანამ ავსტრიისა და გერმანიის ჯარები დაიწყებენ რუსეთის დაკავებული ტერიტორიების დაცლას, მანამდე რუსეთმა უნდა დაცალოს თურქეთის დაკავებული ტერიტორიები.

გერმანელებმა იციან, რომ თუ მოითხოვენ ცოცხალი ძალის ზარალის ანაზღაურებას, მაშინ იძულებული იქნებიან დაკავებული ტერიტორიების მიხედვით უფრო მეტი კონტრიბუცია გადაიხადონ, ამიტომ შეიძლება მათ ეს თემა არც კი განიხილონ. მაგრამ, აღნიშნული საკითხი ჩვენთვის სხვაგვარად დგას. ოსმალეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ტერიტორია თავდასხმების არედ იქცა. გერმანელებს ნამდვილად აქვთ უფლება აქ განცდილი ზარალის გამო კონტრიბუციიდან კომპენსაცია მიიღონ, რასაც ისინი იმედოვნებენ და ფიქრობენ, რომ ისარგებლონ ჩვენი საერთო გამარჯვების შედეგით. მაგრამ, თუ ჩვენ ვერ შევძელით კონტრიბუციის რუსებისაგან აღება, მაშინ იგი მოკავშირეებმა თავიანთ თავზე უნდა აიღონ"[3, 46].

აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თურქეთის პოლიტიკური წრეები ფრთხილობენ გერმანიასთან ურთიერთობაში, მიუხედავად მათ შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, ეშინიათ და იციან, რომ მოლაპარაკებების პერიოდში მარტოდ დარჩენა მათი პოლიტიკის კრახს მოასწავებს. თუმცა, არა თუ მოწინააღმდეგეებისათვის, არამედ გერმანიისთვისაც

არაფრის დათმობას არ აპირებენ და ცდილობენ მიიღონ შესაძლებლობების მაქსიმუმი.

III დოკუმენტი. ქვემოთ მოგვყავს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნესიმი ბეის 1917წ. 26 დეკემბრით დათარიღებული წერილი ჰალილ ბეისადმი:

„რუსებსა და მოკავშირეებს შორის ხელი მოეწერა ცალკე ხელშეკრულებას. რუსეთსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილი სასიკეთოდ დასრულდა. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე საკითხი დარჩა გადასაწყვეტი. ხელშეკრულების მიხედვით, გერმანიის მიერ დაკავებული ტერიტორიის ერთი ნაწილი რუსეთს უნდა გადაეცეს, ხოლო მეორე ნაწილში (კურლანდიაში) მთელს ლიტვაში, ლიფლანდიაში, ესტლანდიაში, პოლონეშთი უნდა ჩატარებულიყო პლებისციტი. ორივე მხარემ დაადგინა, რომ აღნიშნული პლებიცისტი უნდა ჩატარდეს ან გერმანიის ჯარების მიერ ამ ტერიტორიების დატოვებამდე, ან კიდევ დატოვების შემდეგ, რადგანაც ხელშეკრულების მუხლები შემუშავებულია, ამიტომ მოსალოდნელია, რომ იგი ძალაში შევიდეს. რუსეთსა და ავსტრიას შორის მოლაპარაკებების უმეტესი ნაწილი ხელშეკრულებით დასრულდა, თუმცა, ავსტრიის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაცლის საკითხი დამოკიდებულია რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკებების შესრულებაზე. გერმანელებმა ტერიტორიების შესახებ წამოაყენეს პირობა, რისი არსიც მდგომარეობს შემდეგში, რომ თურქეთისა და ავსტრიის დაკავებული ტერიტორიები დაუბრუნდეთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ბულგარეთსა და რუსეთს შორის არ არსებული გადასაწყვეტი საკითხების გამო, მათი მოლაპარაკებანი ძალიან მალე დასრულდა.

ჩვენთან მოლაპარაკებების პერიოდში საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაწყდა. ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რუსებს სურთ ჩვენში განახორციელონ ისეთივე მეთოდი, როგორც თავიანთთან აქვთ განხორციელებული; ე.ი. ტერიტორიების დღევანდელი მდგომარეობების გასარკვევად ისინი გვთავაზობენ პლებიცისტის ჩატარებას ჩვენს დაკავებულ აღმოსავლეთის ვილაეთებში. ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენთან არ არსებობს სომხური საკითხი, ჩვენი თქვენთან (მთავრობასთან) ერთად მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ავუხსენით, რომ ეს არის ჩვენი საშიანო საკითხი, რომელიც მოწესრიგდება ჩვენივე კონსტიტუციის მიხედვით და მათი წინადადება ამგვარად უარვყავით. რადგან ეს პირობა საერთოა ჩვენთვისაც და გერმანელებისთვისაც, ამიტომ გერმანელებმა თავიდანვე შეგვატყობინეს, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ჩვენს პასუხს. რუსებმა კონკრეტულად ვერაფერი გვიპასუხეს, ამიტომ ეს თემა გადაიდო. ფაქტიურად ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე ჩაიარა ხელშეკრულების ყველა საკითხის მოგვარებამ.

დღეს საღამოთი ჩატარდა საერთო სხდომა, სადაც წარმოითქვა გამოსამშვიდობებელი ტექსტები. შემდეგ რუსეთის დელეგაცია პეტერბურგს გაეშგზავრა, ბრესტ-ლიოტოვსკში დაბრუნდება 4 იანვარს. მათ მოლაპარაკებების პერიოდში შემუშავებული მუხლები უნდა წარუდგინონ თავიანთ მთავრობას განსახილველად და შესასწავლად. დაბრუნდებიან და მოლაპარაკებები გაგრძელდება. ჩვენ გერმანელებთან და ბულგარელებთან ერთად ბერლინში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივემგზავრებით რამდენიმე დღით. ავსტრიელებმა არდადაგები ვენაში უნდა გაატარონ.

ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში მოკავშირეებთან ერთად ვიხილავდით სამი ვილაეთის საკითხს, რომლებიც ბერლინის ზავით რუსეთს გადაეცა. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსებმა შემოგვთავაზეს, რომ ჩატარებულიყო პლებისციტი ჩვენს აღმოსავლეთ ვილაეთებში. ჩვენ ამ საკითხზე შევჩერდით და პასუხი არ გავეცით, რადგან საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს საკითხი განგვეხილა მოკავშირეებთან ერთად. კონკრეტულ წინადადებებს, ამ საკითხის ჩვენთვის მისაღებ ფორმაში გადაწყვეტასთან დაკავშირებით, გაცნობებთ უმოკლეს ვადაში" [3,22-23].

ცხადია, რუსეთი არ აპირებდა თურქეთთან წინა ომში დაკავებული ტერიტორიების დათმობას.

1917 წლის ნოემბერში, როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც იგი აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა ეს პრინციპი გამოეყენებინა თავისი მიზნების განსახორციელებლად: 1977-1978 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკავებული ტერიტორიებიდან უნდა გამოყვანილიყო რუსეთის ჯარები და ამ რეგიონში, რეფერენდუმის ჩატარების გზით გარკვეულიყო მისი სტატუსი [2, 293].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღარებით, ოსმალეთს მისცა იარაღი მისივე წინააღმდეგ სამოქმედოდ.

IV დოკუმენტი. 1918 წლის 17 იანვარს ენვერ ფაშასადმი გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ:

„გუშინ კულმანმა ჩვენი წინადადებების თანახმად მოიწვია მოკავშირეები და გააკეთა მოხსენება რუსებთან ჩატარებული მოლაპარაკების საკითხებისა და ზოგიერთი თემის თაობაზე. დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე გამოსაგზავნ დეპეშებში ამ მოხსენებას უცვლელად გაცნობებთ, ველოდებით ასლის გადმოცემას მათი მხრიდან.

დღეს სადილზე სტუმრად ვიმყოფებოდით კულმანთან და პრინცთან. იქ ყოფნის პერიოდში ტროცკიმ შეხვედრა მოითხოვა, ალბათ მოლაპარაკებების გაგრძელება სურს. არის ცნობები, რომ ორივე მხარე დაჟინებით დგას თავიანთ პოზიციებზე, რომელიც გამოხატეს წერილობითი სახით, ხოლო ბოლშევიკებს აქვთ სურვილი მოლაპარაკებების გაჭიანურებისა. დისკუსიების პერიოდში მათ მიერ ნალაპარაკევი, ხოლო შემდეგ გავრცელებული აზრებით სურთ მსოფლიო რევოლუციის მოხდენა. ასეთ სიტუაციაში გერმანელები მოლაპარაკებიდან არავითარ სასურველ შედეგს არ ელიან. ჩზერნინი უკვე ორი დღეა ავად არის, კულმანმა ისარგებლა ამით და მის გამოჯანმრთელებამდე რუსებთან მოლაპარაკების გაგრძელება არ ისურვა, დაიწყო მოლაპარაკებები უკრაინასთან. მისი მიზანია უკრაინასთან ხელშეკრულების დადება და თუ ამას მიაღწევს, ამგვარად გავლენას მოახდენს ბოლშევიკებზე. უკრაინელები მოითხოვენ გალიციის დამოუკიდებლობას. ჩზერნინი შეპირდა, რომ თუ დაიდება ხელშეკრულება, მათ ავსტრიის იურისდიქციის ქვეშ მიეცემათ ავტონომია. კულმანი ამის თაობაზე იმედიანადაა, თუ შევეხებით ჩვენს საკითხს, მოვახსენებთ,

რომ თქვენი გუშინდელი დეპეშიდან, აგრეთვე „პრავდის“ პუბლიკაციებიდან ნათელი გახდა, რომ რუსებს სურთ სომხებს მისცენ დამოუკიდებლობა. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ რუსეთმა პირველი მოლაპარაკების დროს არ მოითხოვა ჩვენი ტერიტორიები. საღამოს ჩვენ ჩავატარეთ თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იზზეთ ფაშამ (სამხედრო მრჩეველი). საკითხი ორ ნაწილად დავყავით. პირველი–რადგან ბოლშევიკებთან ზავს ხელი მოვაწერეთ, რუსებისაგან და გერმანელებისაგან უნდა მოვითხოვოთ ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანის გარანტია, რომელსაც გერმანელები მოგვცემენ იქნებ იმისათვის, რომ არ მოხდეს ევაკუაცია რუსეთის ტერიტორიიდან, რუსები კი შემოგვთავაზებენ დაცდას. ჩვენ ვფიქრობთ, არ დავკმაყოფილდეთ ამით. სხვა გზა არაა, გარდა იმისა, რომ გერმანელებს საჭირო ძალები ვთხოვოთ, შავი ზღვიდან ბათუმში ჯარი გადავსხათ და თუ შესაძლებელი იქნება, მუსლიმებთან გაერთიანებით განვახორციელოთ ის იდეა, რომელიც ომის დასაწყისში გვქონდა. რადგანაც რუსებმა ზავს ხელი მოაწერეს მთელი რუსეთის სახელით, მათ საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეთ ამ ოპერაციისა ფორმალურად კავკასიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მეამბოხე მდგომარეობაშია.

მეორე–თუ გავწყვეტთ არსებულ ურთიერთობას ბოლსევიკებთან, მაშინ მხოლოდ უკრაინასთან უნდა მოვაწეროთ ხელი სამშვიდობო ზავს. ასეთ პირობებში უკრაინასთან მოლაპარაკების გზით იგივე სამხედრო შეტევის განხორციელება შეიძლება. მაგრამ აუცილებელია რუსული საჯარისო ფორმირებების (თეთრების) ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. აქ მყოფი უკრაინელების თქმით, (თეთრები) მათ ემორჩილებიან. მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ეს საკითხი იზზეთ ფაშასთან არის შესათანხმებელი. მდგომარეობის გადასაწყვეტად რამდენიმე ვარიანტი მესახება და თუ რომელიღაცა გზა გამოჩნდება, კიდევ მოგწერთ. მაგრამ ამგვარი მოქმედების თუ უმოქმედობის დონე თქვენი მხრიდან უნდა განისაზღვროს, გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი აზრები ამის თაობაზე, ანდა თქვენი თანხმობა, რადგან სხვაგვარ გარანტიას არავითარი საფუძველი არ ექნება“[3,25-26].

მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ თურქეთის მესვეურებს სურდათ, გერმანელთა დახმარებით ზღვიდან ბათუმში ჯარები გადაესხათ, იქიდან შეჭრილიყვნენ კავკასიაში და შეექმნათ მუსლიმური სახელმწიფო თავიანთი ეგიდით. ეს კი ნიშნავდა პანთურქისტული გეგმების განხორციელებას, რომელიც მათ მსოფლიო ომის დასაწყისში ჰქონდათ. თურქი დიპლომატების აზრით,ეს აქცია მიმართული იქნებოდა „კავკასიის მეამბოხე რესპუბლიკის“ წინააღმდეგ და რუსეთს ამის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს თურქი პოლიტიკოსები უკვე გეგმავდნენ „მეამბოხე რესპუბლიკების“, ე.ი. ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ სამხედრო აქციას.

V დოკუმენტი. 1918 წლის 1 თებერვალს ენვერ ფაშასადმი გაგზავნილ წერილში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნულია, რომ გერმანელებს ჰქონდათ სურვილი, ზავი დაედოთ უკრაინასთან, ამის შემდეგ გაელაშქრათ რუსეთის წინააღმდეგ თვით პეტერბურგამდე და იძულებული გაეხადათ რუსეთი დადედო ზავი. ეს ვითარება ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით თურქეთის დელეგაციისათვის ხელსაყრელი იყო. დოკუმენტებში ნათქვამია:

„დღეს დილით ნესმი ბეის, ჰაქი და იზზეთ ფაშებთან ერთად შევხდით კულმანს. განვუმარტეთ მდგომარეობა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და თქვენს მიერ გამოგზავნილი დეპეშების ტექსტი იდენტურად გადავუთარგმნეთ. კულმანმა აღნიშნა, რომ ვერ ხედავს ბოლშევიკებთან სამშვიდობო ზავის დადების ვერავითარ საშუალებას, ახლო მომავალში შესაძლებელია მდგომარეობის შეცვლა. ამიტომ, ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად საჭიროა შეტევის ახლავე დაწყება. ამრიგად, ტერიტორიულ საკითხებში პოლიტიკური წინააღმდეგობა აღარ უნდა დარჩეს. ასეთ მდგომარეობაში მოველაპარაკეთ გერმანიის გენერალურ შტაბს და განვუმარტეთ, რომ, თუმცა, თქვენ შეტევისათვის ჩვენი არმიის მომზადება გიბრძანებიათ, მაგრამ შავი ზღვის ფლოტის უფრო მეტი ნაწილი ბოლშევიკური არმიის ხელშია, ამიტომ ზღვა არ არის საიმედო. საჭიროა ასეთ საკითხებს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს. ღმერთმა დაგვიფაროს სომხების წინაშე წარუმატებლობისაგან, ეს ფაქტი მსოფლიოს თვალში ამაზრზენი და ჩვენი ქვეყნის შიგნით ძლიან საშიში გახდება. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და ძირითადი საკითხის ირგვლივ დიდხანს ვისაუბრეთ. გერმანელები საბოლოოდ დარწმუნდნენ ბოლშევიკების არასწორ მოქმედებაში, რადგან მათ ვენაში, ბერლინში აჯანყებების და რევოლუციის მცდელობა დააპირეს. ამასთანავე, ჩვენი აზრით, მოლაპარაკებათა წინსვლას ბერლინის და ვენის აჯანყებანიც უწყობენ ხელს.

უეჭველია, ასეთი მიზეზებით ბოლშევიკებს ზავის შემდეგ სურთ გერმანიაც და ავსტრიაც თავიანთ ქვეყანას დაამსგავსონ. მიუხედავად ამისა, ჩვენ რუსეთთან ზავის დადებით ბოლშევიკურ საფრთხეს თავიდან ავიცილებთ, ამასთანავე, უკრაინასთან დაკავშირებით და ზავის დადებით ვამჯობინებთ მათდამი ფარული დახმარების გაწევას.

მეორე მხრივ, ბოლშევიკებს სურთ რუმინეთის მეფის გადაბირება. ჩზერნინმა ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილი საბუთის შესახებ საიდუმლოდაც კი მითხრა. ქვემოთ გაცნობებთ, რომ უკრაინასთან ზავის დადების შემდეგ გერმანელებმა ბოლშევიკებს უნდა შეუტიონ და პეტერბურგამდე მივიდნენ, ამით აიძულებენ მათ, რომ ზავზე ხელი მოაწერონ. ამ საქმისათვის საჭირო ზომები უკვე მიღებულია.

ამ მდგომარეობას ჩვენ, ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ხელსაყრელად ვთვლით. ბოლშევიკების პროგრამაში გატარებულია აზრი (ოღონდ სხვა ფორმით) ძველი დიდი რუსეთის ხელახალი აღორძინების შესახებ. რუსეთი წინააღმდეგია ფინეთისა და უკრაინის დამოუკიდებლობისა: თუ შეიქმნება უკრაინის რესპუბლიკა, შეიქმნება ყირიმის სახელმწიფოც და შემდეგ კი კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნაც გახდება შესაძლებელი. ყირიმიდან უშუალოდ მიღებულ ორ წერილს დეპეშით გამოვგზავნით. მასში აღნიშნულია, რომ იქ შეიქმნება ისლამური სახელმწიფო. ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში უკრაინელებთან ზავი დაიდება და

უკრაინელებს პირველი დახმარების სახით ავსტრიიდან და გერმანიიდან ორმოცი ათასზე მეტი სამხედრო ტყვე გადაეცემათ. თუ აქაურმა უკრაინულმა დელეგაციამ ვერ მიიღო ხელსაყრელი გადაწყვეტილებანი, ამ შემთხვევაში მე ჩემი აზრი გამაჩნია. მაგალითად, როგორც ინგლისელები მოიქცნენ სპერძნეთში, ასევე შესაძლებელია გერმანული არმის ერთი ნაწილი გაიგზავნოს უკრაინაში, ერთ-ერთ გავლენიან უკრაინელ პირს მიანიჭონ ვენიზელოსის ტიტული და უკრაინა გაანთავისუფლონ. ჩემი აზრები გავუზიარე ორივე მინისტრსა და გენერალს. უკრაინელებს ეშიანიათ იმისა, რომ ეს ქმედება მათ სამშობლოს ზიანს მოუტანს. მაგრამ მოსალოდნელია, შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა დაარწმუნონ ისინი ამაში. ახლა ექვსის ნახევარზე ჩატარდება სხდომა. ამ მოლაპარაკების თაობაზე ხვალე ცალკე მოგახსენებთ'[3,22].

აშკარად ჩანს, რომ თურქები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი გერმანია-რუსეთის ომის განახლებით, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა უკრაინის, ყირიმისა და კავკასიის სახელმწიფოს შექმნა.

სწორედ ვანთურქისტული იდეების ნაყოფი გახდა შემდეგში ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ანუ ყარსის მთავრობა". იგი დაარსდა 1919 წ. იანვარს ქ. ყარსში და მისი მთავრობისვე შედგენილი რუქით მოიცავდა ყარსის, ბათუმის, არტაანის ოლქებს და სურმელის, ეჩმიაძინის მხარეებს. ეს იყო შედეგი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლისა. როგორც ვხედავთ, მოვლენები კავკასიის საკითხის მიმართ სწრაფად იცვლებოდა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ბრესტში აუცილებლად დაისმებოდა კავკასიური საზღვრების საკითხი. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა ამ კონფერენციისადმი. მართალია, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მიიწვია ამიერკავკასიის დელეგაცია კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მას შეეძლო პროტესტი განეცხადებინა, ანდა მეთვალყურეები გაეგზავნა.

ჩვენი აზრით, კავკასიის მთავრობის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის სრული იგნორირება აშკარა შეცდომა იყო. ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები და სომხები შეადგენდნენ და ისტორიულადაც ეს რეგიონი ოსმალეთს არ ეკუთვნოდა. ყოველივე ამის გამო, ოსმალეთის პრეტენზიები უსაფუძვლო იყო და ამის დასაბუთებას კონფერენციაზე ყველაზე უფრო დამაჯერებლად ამიერკავკასიის დელეგაცია შეძლებდა [2,303].

ამრიგად, 1 მარტს კონფერენციის ბოლო სხდომაზე, ულტიმატუმის პირობებში განხილვის გარეშე, გერმანიის მიერ საზავო ხელსეკრულებაში შეტანილ იქნა ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც რუსეთს უნდა გამოეყვანა თავისი ჯარები არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან. ცხადია, ეს მოხდა თურქეთის დელეგაციის მოთხოვნით. 3 მარტს ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. იმედია, ჩვენს მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი დოკუმენტი წყაროები გაამდიდრებენ იმ პერიოდის ისტორიოგრაფიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1 *ვ. ნოზაძე*, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1989.

2 *ბ. სვანიძე*, ბრესტის ზავი და საქართველო. *კრ. ქართული დიპლომატია* (წელიწდეული), ტ. III თბ., 1996.

3 T. Duran, Trk. Diplomasisinin ilk Başarısı, Brest-Litousk Hazırlıklar, Istanbul 1973.

Roin Kavrelisvili

THE SOURCES OF TURKISH ACHIVAL DOCUMENTS ABOUT BREST-LITOVSKY PEACE-CONFERENCE.

(Summary)

The work contains the translation of five Turkish documents touching the materials about Brest-Litovsky peace conference. In fact these are letters and instructions of the Turkish Government and the analysis of the course of talk.

A lot of unknown interesting facts are shown out.

The work will be the novelity for the Georgian historiography.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორია

ნიკო ჯავახიშვილი

ჯონ მალხაზ შალიკაშვილი–წარჩინებული მესხური გვარის ღირსეული შთამოავალი

შალიკაშვილთა პირვანდელი გვარი *როჭიკაშვილი* ყოფილა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავდა: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“[1,34].

ძმები ელიზბარ და იოთამ შალიკაშვილები ქართულ ისტორიულ წყაროებში დაახლოებით 1400 წლისათვის ჩანან.

XVI საუკუნის მიწურულიდან, ოსმალთა მიერ სამცხის დაკავების შემდეგ, შალიკაშვილთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი ქართლში გადასახლდა. ასე დაარსდა ქართლში ფეოდალური სენიორია საშაკილაშვილო.

შალიკაშვილთა სათავადო ღირსება აღიარებულ იქნა ქართლის მეფეების ლუარსაბ მეორისა (1606-1615) და ვახტანგ მეექვსის (1703-1724) მიერ 1611 და 1724 წლებში გაცემული სიგელებით.

სამცხიდან მოსული ქართლის თავადები–შალიკაშვილები იხსენიებიან ქართველ თავადაზნაურთა იმ ცნობილ სიაში, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ 1783 წელს წარუდგინა რუსეთის საიმპერიო მთავრობას.

იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ვკითხულობთ: შალიკაშვილნი „არიან საათაბაგოდანვე მოსრულნი შემდგომად განდგომისა ათაბეგისა და არიან მონათესავენი შორიელნი ათაბეგისა და ესენი მიღებულ იყვნენ პატივით დროსა სვიმონ მეფისასა წელსა 1550-სა და ესრეთვე უწოდებენ როჭიკაშვილებად სახელისა გამო ამათ წინაპარსა. ესენი სცხოვრობდნენ გაღმა მხარს ქართლისა სკრად წოდებულისა და არიან აწ ორ სახლად: 1)ვილახლას შვილები, 2)ბეციას შვილები. გვართა ამათგანნი, რომელნიმე გარდასახლებულ არიან რუსეთსა შინა ადრითვე და რომელნიმე სახლობენ ახალციხესა შინა“ [2,30].

შემორჩენილია შალიკაშვილთა საგვარეულო გერბის რამდენიმე ვარიანტი. ერთი მათგანი შეტანილია რუსი მკვლევარის ვ. ციხინსკის ნაშრომში [4,23]. მის ცენტრში მოთავსებულ საბრძოლო ფარზე ზემოთ ნახევარმთვარე და ექსვქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული, ხოლო ქვემოთ–მახვილის, შუბისა და ისრის კომბინაცია.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, 1826 წლის 26 მარტს, რუსეთის იმპერიის სენატმა ოფიციალურად აღიარა შალიკაშვილთა (შალიკოვთა) სათავადო ღირსება. 1864 წლის 26 თებერვალს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით, აღნიშნული ღირსება კვლავ აღიარებულ იქნა [3,7].

შალიკაშვილთა ერთი შტო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ თავადი ედიშერ ვახუშტის ძე და მისი ვაჟები დიმიტრი და დავით, 1724 წელს ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს გაჰყვნენ რუსეთში. სწორედ დიმიტრი შალიკაშვილის შვილიშვილი იყო რუსეთში ცნობილ მწერლად აღიარებული პეტრე ივანეს ზე შალიკოვი (1767-1852), რომელიც ალექსანდრე პუშკინთან მეგობრობდა.

შალიკაშვილთა ერთი შტო გვიანფეოდალურ ხანაში კახეთში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი) დამკვიდრდა. სწორედ ამ შტოს წარმომადგენელია ამჟამად თადარიგში მყოფი „ოთხვარსკვლავიანი" გენერალი (აშშ-ში ეს უმაღლეს სამხედრო წოდებად ითვლება) ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, რომელმაც თავის მესხური წარმოშობის გვარიდან ყველაზე მეტად გაითქვა სახელი.

ჯონ შალიკაშვილს შესანიშნავი წინაპრები ჰყავდა. იგი პირდაპირი შთამომავალია XVI საუკუნის შუა ხანების მესხი ფეოდალის *ოთარ შალიკაშვილისა.*

ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარის იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვით, ჯონ შალიკაშვილის უშუალო წინაპრები იყვნენ: *ოთარ-ვარაზ-კოკოლა-ჯუანშერ-როჭიკა-ვახუშტი-ზურაბ-ოთარ-ივანე-იოსებ-ივანე-იოსებ* და *დიმიტრი შალიკაშვილები.*

ჯ. შალიკაშვილის პაპის მამა *ივანე იოსების ძე შალიკაშვილი* (1813-1866) რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორი იყო. მას ცოლად ჰყავდა გულბაათ ჭავჭავაძის ასული დარია.

ჯ. შალიკაშვილის პაპა იოსებ ივანეს ზე შალიკაშვილი (1847-1904) სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა. მამის გარდაცვალების გამო, 18 წლის იოსები იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. შემდეგ იგი ჯერ ოდესის ე.წ. რიშელიეს ლიცეუმში სწავლობდა, ხოლო შემდეგ კავკასიაში დისლოცირებულ რუსეთის ჯარებსა და ადმინისტრაციაში მსახურობდა. მას ცოლად ჰყავდა პოლონელი არისტოკრატის დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკის (1832-1884) და ეკატერინე თადეოზის ასულ გურამიშვილის ქალიშვილი ნინო. მასთან იოსებს სამი შვილი: დავით (1886-1940), თამარ (1888-1955) და დიმიტრი (1896-1978) შალიკაშვილები შეეძინა. აქვე დავძენთ, რომ ეკატერინეს დის ოლღას მეუღლე, ანუ იოსებ შალიკაშვილის სიმამრის ქვისლი, დიდი ილია ჭავჭავაძე (1837/1907) იყო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ *დიმიტრი იოსების ძე შალიკაშვილი* პეტერბურგის პაჟთა კორპუსის სამხედრო სასწავლებელსაც ამთავრებს და ოფიცრის წოდებით მონაწილეობს I მსოფლიო ომში. იგი რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ დიმიტრი სამშობლოში დაბრუნდა. მან თავის უფროს ძმასთან, დავითთან, ერთად ქართულ არმიაში დაიწყო სამსახური.

1921 წლის დასაწყისში დიმიტრი შალიკაშვილი ანკარაში მოქმედი საქართველოს საელჩოს თანამშრომელი ხდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ დიმიტრი ძმასთან ერთად ემიგრაციაში მიემგზავრება. დავითმა თავი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონს, ხოლო დიმიტრიმ პოლონეთის არმიას („არმია კრაიოვა") შეაფარეს.

1932 წელს დიმიტრი შალიკაშვილმა ცოლად შეირთო რუსეთიდან პოლონეთში ემიგრირებული მეფის გენერლის, თავადის ასული, დედით გერმანელი გრაფინიას შთამომავალი მარია რუდიგერ-ბელიაევა. მასთან დიმიტრის ორი ვაჟი–ოთარ და ჯონ შალიკაშვილები შეეძინა.

ჯონ შალიკაშვილი 1936 წლის 27 ივნისს დაიბადა ვარშავაში.

პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ გერმანელებმა თავის სამსახურში მიიღეს პოლკოვნიკი დიმიტრი შალიკაშვილი, რომელიც „ქართულ ლეგიონში" ჩარიცხეს.

1944 წლის ივნისამდე იგი ნორმანდიაში (ჩრდილოეთ საფრანგეთში), ხოლო ივნისიდან-1945 წლის მაისამდე ჩრდილოეთ იტალიაში მსახურობდა. იგი ტყვედ ინგლისელებს ჩაუვარდა, რომლებმაც 1946 წელს გაათავისუფლეს.

1944 წელს, საბჭოთა არმიის პოლონეთის ტერიტორიაზე შეჭრის გამო, შალიკაშვილების ოჯახმა დატოვა ვარშავა და თავი ბავარიაში მცხოვრებ გერმანელ ნათესავებს შეაფარა. აქ მათ 1952 წლამდე დაჰყვეს, შემდეგ კი აშშ-ში გადასახლდნენ და ილინოისის შტატში, პეორიაში დაბინავდნენ.

ჯონ შალიკაშვილმა, რომელიც აშშ-ში 16 წლისა ჩავიდა, ინგლისური მალევე შეისწავლა. მან წარჩინებით დაამთავრა ბრედლის უნივერსიტეტის საინჟინრო-მექანიკური ფაკულტეტი და ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ჯ. შალიკაშვილს საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი ენიჭება.

ახალგაზრდა შალიკაშვილი უდიდესი ინტერესითა და მონდომებით იწყებს სამხედრო საქმის დაუფლებას, რაშიც, ცხადია, დიდ როლს თამაშობს შალიკაშვილთა სახელოვანი საგვარეულოს ძირძველი მხედრული ტრადიციები. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გავადევნებთ გენერალ შალიკაშვილის მიერ ღირსეულად განვლილ გზას საველე-საარტილერიო სკოლის მსმენელიდან აშშ-ის სამხედრო პირამდე. აქვე დავძენთ, რომ ქვემოთ მოტანილი ცნობები იმ მონაცემებიდან არის ამოკრებილი, რომელიც 1996 წლის 3 იანვარს გენერალმა შალიკაშვილმა პირადად გამოგვიგზავნა.

აშშ-ის უმაღლესი სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებლის, შტაბის კოლეჯისა და არმიის სამხედრო კოლეჯის დასრულების შემდეგ, 1959 წელს ჯ. შალიკაშვილი ოფიცერთა საკანდიდატო სკოლასაც ამთავრებს. მას მიენიჭა არტილერიის „მეორე ლეიტენატის" (შეესაბამება ჩვენში მოქმედ „ლეიტენატს") სამხედრო წოდება. მომდევნო 23 წლის განმავლობაში იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურებდა, არა მხოლოდ ალიასკაზე და კონტინენტურ აშშ-ში, არამედ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, გერმანიაში, იტალიაში, ვიეტნამსა და სამხრეთ კორეაში.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, ჯონ შალიკაშვილის სამხედრო კარიერა ერთობ წარმატებით ვითარდება. 1962 წლის 7 ივლისს–კაპიტანი, 1973 წლის 7 ივლისს–მაიორი, 1980 წლის 7 ივლისს–ლეიტენატ-კოლონელი (ვიცე-პოლკოვნიკი),

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო 1982 წლის 15 მარტს–კოლონელი.

1982 წელს ჯ. შალიკაშვილი ბრიგადის გენერლად დააწინაურეს და აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობაში ასრულებდა: დირექტორის მოადგილის, სტრატეგისა და პოლიტიკური დამგეგმავის მოვალეობებს.

1984 წელს ჯ. შალიკაშვილი გერმანიაში ბრუნდება და პირველ ჯავშან-სატანკო დივიზიაში მისი მეთაურის ასისტენტად ინიშნება.

1986 წლის 1 სექტემბერს 50 წლის ჯ. შალიკაშვილის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. იგი ბრუნდება აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობაში და ამ უწყების ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწედ ინიშნება.

1987-89 წლებში ჯ. შალიკაშვილი ვაშინგტონის შტატის ქალაქ ფორტ ლევისში დისლოცირებულ ინფანტერიის მეცხრე მოტორიზებულ დივიზიაში მსახურებდა. 1989 წლის აგვისტოდან კი კვლავ გერმანიაში გადაჰყავთ და ევროპაში დისცოლირებული აშშ-ის მეშვიდე არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ ინიშნება. ამავე წლის 1 ოქტომბერს მას გენერალ-ლეიტენანტობას ანიჭებენ.

1991 წლის აპრილში ჯ. შალიკაშვილი სათავეში ედგა ოპერაციას „Provide Komfort"-ს ანუ „ნუგეშისცემას", რომლის წარმატებით განხორციელების შედეგად ჩრდილოეთ ერაყში ასათასობით ლტოლვილი ქურთი დაბრუნდა.

1991 წლის აგვისტოში ჯ. შალიკაშვილი ვაშინგტონში გაიწვიეს და აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწედ დანიშნეს.

1992 წლის ივნისიდან 1993 წლის ოქტომბრამდე გენერალი შალიკაშვილი ევროპაში განლაგებული ნატოს ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი იყო. იმავდროულად იგი აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის კომანდის მეთაურობასაც ითავსებდა.

ჯ. შალიკაშვილი ამერიკა-კორეის, ამერიკა-ვიეტნამის და ერაყ-ქუვეითის ომების აქტიური მონაწილეა. სპარსეთის ყურეში ომის დროს მან თავი გამოიჩინა რთული სამხედრო და დიპლომატიური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტით. ამასთანავე,თავისი მრავალწლიანი თავდადებული სამხედრო სამსახურის განმავლობაში, გენერალმა „შალიმ" (ასე უწოდებდნენ მას აშს-ის შეიარაღებულ ძალებში) დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც უბრალო ჯარისკაცებს, ასევე მაღალი რანგის სამხედრო პირთა შორის. გენერალმა სახელი გაითქვა პოლიტიკოსთა შორისაც. მან გამორჩეული წვლილი შეიტანა აშშ-ის სამხედრო ძალთა სტრატეგიისა და დაგეგმვის საკითხთა სათანადოდ დამუშავებაში.

სწორედ ზემოხსენებულ თვისებათა გამო, 1993 წლის 25 ოქტომბერს, პრეზიდენტმა ბილ კლინთონმა ჯ. შალიკაშვილი აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის რიგით მეცამეტე თავმჯდომარედ დანიშნა. ამ თანამდებობაზე იგი 1997 წლის ოქტომბრამდე ანუ ორი ვადით იმყოფებოდა.

ამრიგად, 1993-97 წლებში გენერალი ჯონ შალიკაშვილი მსოფლიოს უმძლავრესი ქვეყნის უმაღლესი სამხედრო პირი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროები და ლიტერატურა:

1. *ვახუშტი ბატონიშვილი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *სიმონ ყაუხჩიშვილის* მიერ თბ., 1973.

2. *იოანე ბაგრატიონი*, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, მასალა ისტორიისათვის, თბ., 1997.

3. *ნიკო ჯავახიშვილი*, შალიკაშვილები, „ტრადიციები, დღევანდელობა", თბ., 1997.

4. Цихинский В., Кавказский Гербовник, часть I, Тавадские роды, Петроград, 1992 (рукопись).

Niko Javakhishvili

JOHN MALKHAZ SHALIKASHVILI-THE WORTHY DESCENDANT OF THE FAMOUS MESKHETIAN SURNAME

(Summary)

The article gives a brief account of the story of Joh Malkhaz Shalikasvili, which is the worthy descendant of the famous Meskhetian surname.

In thelate faudal period one branch of the Shalikashvilis settled in Kakheti. General J. M. Shalikashvili, which was the chairman of the Joint Chiefs of Staff of USA (1993-97), is one of the representative of the Kakhetian branch of the Shalikashvili house.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქეოლოგია

მანანა გაბუნია

უძველესი ადამიანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში

საქართველოს ტერიტორიაზე ძველიქვის ხანის მრავალრიცხოვანი სადგომი არათანაბრადაა განაწილებული. გამოყოფენ ამ ძეგლების გავრცელების ექვს რაიონს [12, 13], რომელთაგან ორი–მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დაბალმთიანი ნაწილი (ქვემო ქართლი) და ჯავახეთის ზეგანი, სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ფარგლებშია მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ძველიქვის ხანის ძეგლებით ყველაზე ღარიბად სწორედ ეს ბოლო რეგიონი იყო წარმოდგენილი.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ამ რეგიონისადმი ინტერესის გაძლიერება გამოიწვია, ერთი მხრივ, მისმა სუსტმა შესწავლილობამ და, მეორე მხრივ, დღეს უკვე კარგად ცნობილი დმანისის ძველიქვის ხანის სადგომის აღმოჩენამ [9, 36-46; 14, 93-107], რომელიც იზოტოპური ასაკისა (1,8+0,1 მლნ. წელი) და პალეომაგნეტიზმის მონაცემებით (ოლდუვაის ეპიზოდი–1,9 მლნ. წელი) ქვედა პლეისტოცენის დასაწყისს შეესაბამება [10, 3-53; 11 36-46; 14, 93-107]. აქ აღმოჩენილი ნამარხი ადამიანის ნაშთები Homo erectus-ის ჯგუფს მიეკუთვნება, და, როგორც ირკვევა, ერთ-ერთი უძველესია ევრაზიაში [10, 3-53; 11, 36-46]. ახლა ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ თუ ჯავახეთის ზეგანზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება დმანისის რეგიონს, დღემდე ცნობილი ძეგლები–*ახალქალაქი* I-IV, *დილისკა*, *ჭიქიანი* და სხვ. მხოლოდ ზედაპირულად აკრეფილი მასალით იყო წარმოდგენილი და შესაბამისად სრულიად მოკლებული ლითოლოგიურ-სტრატიგრაფიულ დახასიათებას [4, 5-9; 2, 2-3; 3, 3-19], დღეს ამ რეგიონშიც იქნა გამოვლენილი ბიოსტრატიგრაფიული მონაცემებით კარგად დასაბუთებული უძველესი ქვის ხანის ადგილსაპოვებელი–ახალქალაქის ამირანის გორა, წინათ ცნობილი როგორც ადრეპლეისტოცენურ ხერხემლიანთა ნაშთების მდიდარი ადგილსამყოფელი [5, 5-176; 15, 237-239]. აქ მოპოვებული ფაუნის საერთო იერმა და მისი ადგილსამყოფელის ტაფონომიურმა პირობებმა საფუძველი მოგვცეს გვევარაუდა, რომ მასთან შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ძველი ადამიანის სადგომი. საყურადღებოა, რომ პირველმა სადაზვერვო თხრილმა ჩვენი ვარაუდის სისწორე დაადასტურა. მას შემდეგ, 1992 წლიდან 1999 წლის ჩათვლით, იქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა.

ამირანისგორაზე გამოვლენილ კულტურულ ფენაში, თანამედროვე ნიადაგური საფარველიდან 0, 85–0, 91 მეტრის და „0"-ის დონიდან 1,10–1,12 მ სიღრმეზე ერთდროულად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვხვდება ნამარხი ძვლები და არქეოლოგიური ნაშთები [15, 237-239].

წარმოებული გათხრების შედეგად ქვედა პლეისტოცენისათვის დამახასიათებელ ნამარხ ხერხემლიანთა ისეთი ფორმები იქნა მიკვლეული, როგორიცაა თროგონთერიული და სამხრეთის სპილოები (Mammunthus aff. trogontherii, Archidiscodon meridionalis), ჰიპარიონოიდული და ზიუსენბორნული ცხენები (Equus hipparionoides, Equus siissenbornensis), ეტრუსკული მარტორქა (Dicerorhinus etruscus), გარეული კატა (Felis silvestrus), ნამარხი ძროხა (Bison sp.), ხმალკბილა ვეფხვი (Homotherium) და სხვ.[6, 1-10;15, 237-239].

აღმოჩენილი ფაუნისტური კომპლექსის ეკოლოგიური შედგენილობა მოწმობს იმას, რომ ახალქალაქის მიდამოებში და მის მიმდებარე უბნებში ქვედა პლეისტოცენის დასასრულსა და შუაპლეისტოცენის დასაწყისში (აღმოსავლეთ ევროპის სკალის მიხედვით) უმთავრესად გაბატონებული უნდა ყოფილიყო ნახევრად-სტეპური ლანდშაფტი. ჰავა, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ზომიერად ცხელი, ისეთი, როგორიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის დიდი ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი [5, 5-176; 1, 56-57; 3, 3-19].

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ბუნებრივი გარემოს ჩამოყალიბება სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში უკვე პლეისტოცენის სულ დასაწყისში აღინიშნება. ამაზე მეტყველებს დმანისის უძველესი ქვისხანის სადგომის პალეონტოლოგიური კომპლექსი, რომელთანაც ამირანისგორის ფაუნა გარკველ ეკოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს.

ბუნებრივი გარემოს მეტ-ნაკლები მსგავსება აისახა, აგრეთვე, პალეობოტანიკურ მონაცემებშიც, რომლებიც სავანური ტიპის ლანდშაფტის არსებობაზე მიუთითებს [11, 36-46; 1, 56-57; 7, 3-5].

დაახლოებით მსგავს სურათს ვხედავთ პლეისტოცენის დასაწყისში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ პალესტინაში, ლიბანსა და სირიაში [17, 93-94; 18, 351-389; 16, 19-20].

ამგვარად, პლიოცენის მიწურულსა და ადრეპლეისტოცენში ჯავახეთის ზეგნის მსგავსი პალეოლანდშაფტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელი წინა აზიის ტერიტორიაზე [8, 5-7; 16, 19-10; 13, 5-37; 5, 174-175; 3, 3-19]. ამიტომ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დროის აღნიშნულ მონაკვეთში წინა აზია და მთელი ახლო აღმოსავლეთი ამიერკავკასიის, ყოველშემთხვევაში, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიის ჩათვლით შეადგენდა ერთ ზოოგეოგრაფიულ პროვინციას [5, 17-174; 3, 3-19; 11, 36-46], რომლის ცალკეულ უბნებში ამ დროს დამკვიდრებუული იყო უკვე უძველესი ადამიანის დასახლებისათვის ხელსაყრელი პალეოკლიმატური და ლანდშაფტური პირობები. ამაზე მეტყველებს აღნიშნული ტერიტორიების პალეონტოლოგიურ-არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური კომპლექსები, როგორიცაა დმანისის ახალქალაქის, ლენინაკანის, ბეთლემის, უბეიდიის და ზოგიერთი სხვა, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუმცა მათ ბევრი აქვთ საერთო (ე. წ. ვილაფრანკული ფაუნის ელემენტები), მაგრამ ადრე პლეისტოცენის სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნებიან [3, 3-19].

ამ პალეოლანდშაფტური პირობების მოკლე მიმოხოლვის შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ ამირანისგორას, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ნამარხ ხერხემლიანთა ნაშთებთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვის (ანდეზიტ-ბაზალტი) რამდენიმე არტეფაქტიც იყო მოპოვებული. ახლა ჩვენს კოლექციას უკვე 20 ნივთი შეადგენს; ესენია: საფხეკი, საჩეხ-საჭრელისებური იარაღები, წვეტანისებური იარაღი, ნუკლეუსები, სხვადასხვა სახის ანატკეცები და სხვადასხვა ზომის ქვარგვალები (ტაბ. I-III). გარდა ჩამოთვლილისა აქ მოპოვებულია წითელი ფერის ჟანგმიწის–ოხრის ფრაგმენტი და რამდენიმე აშკარა მანუპორტი.

მართალია, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ საკმაოდ მეტყველი,რადგან ეჭნევა აშკარად გამოხატული არქაული ნიშნები,როგორც ტიპოლოგიაში, ისე პირველადი ატკეცის ტექნიკაში, მეორადი დამუშავების სახეებში, რაც ნამდვილად ადრეპალეოლითისთვის არის დამახასათებელი.

ამირანისგორის დათარიღებასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს ვულკანური ნალექების სტრატიგრაფია, ძირითადად, აქ გავრცელებული ტერიგენულ ნალექებში ნანახ ხერხემლიანთა ფაუნაზეა დაფუძნებული, რომელთა გეოლოგიური ასაკი ადრე პლეისტოცენის მიწურულია ან შუა პლეისტოცენის დასაწყისი და შესაბამისად, არქეოლოგიური მასალაც ადრეულ აშელს უნდა მიეკუთვნოს.

ამირანისგორა, როგორც აშელური ხანის ადრეული საფეხურის ძეგლი, იმითაც არის საყურადღებო, რომ თუ ფაუნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მისმა შესწავლამ შეიძლება თვალი გაგვადევნინოს უძველესი ადამიანის გარემოსა და ყოფის იმ ცვლილებებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დმანისის გვიანვილაფრანკული ეტაპის შემდგომ პერიოდში.

დმანისისა და ახალქალაქის ფაუნებში ისეთი საერთო ფორმების არსებობა, როგორიცაა *სამხრეთის სპილო, ეტრუსკული მარტორქა, ზაზუნა, ხმალკბილა ვეფხი* და ზოგიერთი სხვა, უნდა მიუთითებდეს გარკვეულ მემკვიდრეობითობას, თუმცა, ზოგიერთი ბიოსტრატიგრაფიული ხარვეზი მათ შორის სრულიად აშკარაა [11, 36-46; 3, 3-19].

ამირანისგორის ადგილსაპოვებლის არქეოლოგიური კომპლექსი ისევე, როგორც მისი კალთებიდან აკრეფილი ზედაპირული მასალა– *საჩეხი იარაღები, ჩოპერები, სახოკები, ბიფასი* და სხვ. და ჯავახეთის ზეგანზე ადრე აღმოჩენილი ღია სადგომებიდან ახალქალაქი I-IV, ჭიქიანი, დილის კამომდინარე ქვის იარაღები და წარმოების ნაშთები, აგრეთვე, სამცხის ტერიტორიაზე მოპოვებული ხაკის, ამხერისგორის, ფერსის კომპლექსები და უამრავი იზოლირებული მონაპოვარი, რომლებიც აშელის ეპოქის სხვადასხვა საფეხურს მიეკუთვნება, დღეს უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ტერიტორიაზე ძველი ადამიანის განსახლების ფართო მასშტაბებსა და ინტენსივობაზე.

ლიტერატურა:

1. *გაბუნია მ., ვეკუა ა.* პატარა ხრამის პეტროგლიფები, თბ., „მეცნიერება", 1980.

2. *გაბუნია მ., კალანდაძე კ., ბუგიანიშვილი თ.*, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, ПАИ, თბ., 1980.

3. *გაბუნია მ*, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ძველიქვის ხანა. „სადისერტაციო მაცნე", „მეცნიერება",თბ., 1989.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. *გრიგოლია გ.*, ჯავახეთის ქვედაპალეოლითური ძეგლები, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“ ტ. IV, თბ., 1965.

5. *ვაკუა ა.*, ახალქალაქის ქვედაპლეისტოცენურ ძუძუმწოვართა ფაუნა. თბ., 1962.

6. *ვაკუა ა.*, ახალქალაქის ამირანისგორაზე 1992-1996 წლების გათხრების შედეგად მოპოვებული ფაუნა (ხელნაწერი), გვ. 1-10.

7. *Аваков Г.С.*, О находке каркаса и воробуйника в нижнечетвертичных озерных отложениях Южной Грузии. ДАНАНГ ССР, 135, №ТБ 1960.

8. *Врещагик Н.К.* Млекопитающие Кавказаза Москва, 1959.

9. *Габуния Л.К.* Векуа А.К. , букиашвили Т.В. среда обитания древнейших ископаемых модей Кавказа Известия АНГССРР, серия биологическая Т14, №5 Тб., 1988.

10 *Габуния Л.К.*, Векуа А.К., Дманиский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных, Тб., 1993.

11. *Габуния Л.К., Векуа А.К., Лорткипанидзе Д.О.*, Природная обстановка первичного проникновения древнего человека в умеренные широты, "Известия АНГ", серия географическая, №6, 1996.

12 . *Каландадзе А.Н.*, Разыскания по археологии доантичной Грузии., Автореферат дисс. на соиск уч. ст. докт. ист. наук., "Наука", 1969.

13. *Фюрон Р.*, Введение в геологию и гидрологию Турции. М-Л., 1955.

14. Bosinski G., Bugianisvili, Mgeladze N. et al Der Altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). *Iarbuch der Röm-Germ. Zentralmug.*, 36, Meinz, 1989.

15 *Gabunia M., Vekua A., Tvalčselidze M.* Der altpaläolitische Fundplatz Achalkalaki am Amiranis-Berg in Dzavacheti-Gebiet Archeologische Korrsespondent platz, 24, Heft 3, Mainz.

16 *Coon C.* Cave excploration in Iran. Philadelphia, 1951.

17. *Hooijer O.* Early Pleistocene mammalian fauna from Bethleem. Bull of the Britisch Museum Natuzal Histiry and Geology,N3. 1958.

18. *Tchernov E., Guesin C.* et a. Des mammifieres du pleistocene inferieur de la Valleé du Hordan a Ubeidiyen. Memoires at travo du Centre de recherche Français de Jerusalem N5 Jerusalem, 1986.

Manana Gabunia

AN ANCIENT MAN IN THE VOLCANIC MOUNTAINOUS REGION OF GEORGIA

Summary

For some time last the grouth of interest was due to the fact that on the one hand, Volcanic Mountainous Region of Georgia had barely been investigated at all, and on the other hand the discovery of the now well-known old Stone Age Site of Dmanisi which according to its isotopic age (1,8 +_0,1 millenium) and paleomagnetic data (the so-called Olduvai episode -1,9 millenium) is related to the early Pleistocene, Fossil

ეროვნული
ბიბლიოთეკა

man remains found here belong to the group of Homo erectus, and evidenty one of the oldest in Eurasia. The aforesaid allows scholars to regard this region as a possible hearth of the original settlement of known sites distributed on the Javakheti plateau directlly adjacent to Dmanisi region-Akhalkalaki I, II, III, IV, Diliska, Chikianey etc. Where represented only by the material gathered on the surface and this, lacked lytholographical-stratigraphical chracteristics, today we have discovered here ancient sites rich in biostratigraphic data-Amiranis-Gora in Akhalkalaki.

Although the obtained archaeologial data is quite poor as yet, it neverthless is rather significant, as it bears obvious archaic traits, both in the technique of its original splitting, and in the lines of secondary processing, typology, which is characteristic of the early paleolythic, Biostratigraphic facts show that thearchuaeological materials discovered there must be related with the most early Ashelian (1 millenium).

So the archaelogical complex located near Amiranis-Gora and the surface staffs which were found now and before say that in Javakheti the early open settlements were in Akhalkalaki I-II, they are Diliska, Chikianey, in Samtskhe-Amkhereys-Gora, Khakey, Persatey, Persa and a large number of finds data of which is earlier than Ashilian Period make us think that the Volcanic Mountainous Region of South Georgia was settled with ancient men.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინა ღამბაშიძე

სამცხე-ჯავახეთი ძვ. წ. II ათასწლეულში

საქართველოს ისტორიაში სამცხე-ჯავახეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კულტურულად დაწინაურებული პროვინცია იყო, რომელიც ისტორიული მესხეთის შემადგენლობაში შედიოდა და საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ეკავა.

მესხეთის გეოგრაფიული მდებარეობა უძველესი დროიდან ხელსაყრელ პირობას ქმნიდა კულტურულ-ეკონომიკური ერთიერთობების განვითარებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ ძველ კულტურებსა და მცირე აზია-მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ცენტრებს შორის კავშირების დამყარების საქმეში.

მტკვრის ხეობა კი იმთავითვე ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი იყო, რომლის საშუალებითაც ხდებოდა სწორედ ეს ურთიერთობები.

ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, იმ დროს როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს შუა ბრინჯაოს ხანის „თრიალეთური დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა", სამცხე-ჯავახეთი ამ კულტურის გავლენის სფეროში ექცევა და ყალიბდება ამ ბრწყინვალე კულტურის მესხური ლოკალური ვარიანტი [1, 169].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამცხე-ჯავახეთში ნიალა-ზველის მონაკვეთზე შესწავლილი ყორღანული სამარხები. ყორღანული სამარხები-კამერები ბაზალტის ქვისგან მშრალი წყობით ნაგები და ცრუთაღურად გადახურულ მიწაში ჩადგმულ აკლდამებს წარმოადგენს, რომელთაც ყველა შემთხვევაში შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს მოწყობილი. სამცხე-ჯავახეთში ასეთი დასაკრძალავი ნაგებობების ორი ტიპი დასტურდება: ერთი (სოფ. ზველის) სამსაფეხურიანი ჩასასვლელი კიბით [2, 13], სადაც ძირითადად 1,3-1,5 მეტრის სისქის კულტურულ ფენებში დაფიქსირდა უამრავი მიცვალებულის ინჰუმაციურად და კრემაციულად დაკრძალული ადამიანის ჩონჩხის ნაშთი და, ამასთანავე, მრავალრიცხოვანი თიხისა და ლითონის ინვენტარი (ტაბ. I).

მეორე შემთხვევაში კი (ახჩია-დუმეილა-ბერთაყანები)აკლდამაში შესასვლელი დრომოსით (დერეფანი) სამარხი კამერისაგან ტიხარით არის გამოყოფილი, სადაც ცენტრალურ ნაწილში ერთი მიცვალებულის ჩონჩხია დასვენებული [1, 18; 3, 10-11].

სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, სამსაფეხურიანი აკლდამები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეკონომიკურად მძლავრი დიდი ცალკე ოჯახების საძვალეებად [2, 15], რომელშიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იკრძალებოდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ოჯახის წევრები. ეს გარემოება თავისთავად იწვევდა მათში მძლავრი კულტურული ფენების წარმოშობასა და მიცვალებულთა ჩონჩხების აღრევას. მეორე ტიპის აკლდამაში კი ჩასვენებული უნდა ყოფილიყო გვარში ან ტომში დაწინაურებული პირი. მიუხედავად იმისა, რომ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის უმრავლესობა ადგილობრივი ლოკალურობით ხასიათდება (ტაბ.II), მეორე ნაწილი ფართო სატომთაშორისო ურთიერთობებზე მეტყველებს, რომელიც მიგვანიშნებს თავისებური კავშირების არსებობაზე კოლხეთის დაბლობის, შიდა ქართლის, სომხეთის ხეთურ-მცირეაზიულ და ეგეოსურ თანადროულ კულტურებთან. ყორღანულ სამარხ-კამერებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, ოქროსა და ვერცხლის მძივსამკაული, მაღალგანვითარებული, ესთეტიკური მოთხოვნილების საზოგადოების არსებობას ადასტურებს.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, როდესაც შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა წყვეტს არსებობას და მისი გავლენით მესხეთში უკვე აღარ წარმოებს ყორღანული სამარხების აგება და აღარ მზადდება მესხური კერამიკა, სამცხე-ჯავახეთში იწყება ბრინჯაოს ხანის ახალი ეტაპი—გვიანბრინჯაოს ხანა. შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი ამ რეგიონში მკვეთრი ცვლილებებით გამოირჩევა. შუა ბრინჯაოს ხანის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებით იწყება ფართო ხასიათისა და რთულპროფილიანი სამელითონეო ხელოსნობა და ეს მხარე ერთ-ერთი მაღალგანვითარებული მეტალურგიული პროვინცია ხდება [4, 77].

მეტალურგიის განვითარებამ გამოიწვია ლითონის დამზადებაში ლოკალური თავისებურებების წარმოქმნა, რაც სრულიად ნათლად გამოვლინდა დისკოსებრი გულსაკიდების (ტაბ.III), სხვადასხვა ტიპის საკინძებისა (ტაბ.IV) და სატევრების მესხური ტიპის ჩამოყალიბებაში.

სამეცნიერო კვლევის დროს გამოიკვეთა სამცხეში მომხდარი ცვლილებების ამსახველი ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, ძვ. წ. II ათასწ. შუა ხანებში სამხრეთული კულტურების გავლენით საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაში იცვლება წამყვანი მეურნეობის პროფილი, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენასთან, რომელნიც არ იცნობენ შუა ბრინჯაოს ხანის მესხური კერამიკის დამზადების ტრადიციებს და ძირითადად ლითონწარმოების რთული ტექნოლოგიები ჰქონდათ კარგად ათვისებული. ამ პერიოდში პირველად ჩნდება ამ ტერიტორიაზე კოლხური ცული, როგორც სარიტუალო შტანდარტი. ამ შემთხვევაში ეს ცულები იმ უძველესთაგანია, რომელნიც კოლხური კულტურის გამოჩენასთან ერთად იწყებენ არსებობას. მეცნიერულმა კვლევამ საშუალება მოგვცა ახლებურად დაგვენახა კოლხური კულტურის ჩასახვის პერიოდში კოლხური ცულებისა და მათი პროტოტიპების ფუნქციონალური დანიშნულება და დამზადების მეტალურგიულ-ტექნოლოგიური თავისებურებანი, რაც შუა ბრინჯაოს ხანის ტრადიციების გავლენით უნდა ყოფილიყო განპირობებული (ტაბ.V1).

ამ მხრივ მნიშვნელოვანი ძეგლებია გამოვლენილი ბორჯომის ხეობაში, როგორიცაა რველის, ჩითახევის, კვირაცხოველის, ბორნიღელესა და გორნას სამაროვნები. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა და მისი მომდევნო პერიოდების (ძვ. წ. XV-XIV სს.) სხვადასხვა სახეობის ორმოსამარხებთან, სადაც უმთავრესად

კიდურებმოხრილი თითო მიცვალებულის ნაშთი დადასტურდა. ნიშანდობლივია ქალების დაკრძალვა მარცხენა გვერდზე, მამაკაცებისა კი მარჯვენაზე.

დაკრძალვის წესისა და სამარხული ინვენტარის ზოგიერთი თავისებურებანი ნათლად ასახავს ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერობას, თვალნათლივ შეიმჩნევა საზოგადოების მკვეთრი დიფერენცირებული ხასიათი, რასაც ადასტურებს მდიდარი და ღარიბი სამარხების არსებობა.

ბორნიღელის სამაროვანი, შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის სამარხების მაგალითზე, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ დიდგვაროვანთა და, ამავე დროს, კულტმსახურებაში დაწინაურებული პირებისათვის. როგორც სამარხეული კომპლექსების შეჯერებით დადგინდა, არსებობს წარჩინებულ პირთა ანუ ქურუმთა ფენა, რომელიც ხელისუფლებისა და კულტმსახურების ინსიგნიებით არის აღჭურვილი. დიდგვაროვან მამაკაცთა დაკრძალვის წესთან დაკავშირებით სრულდება აუცილებელი რიტუალი—აღაპი, რაც სამარხებში ხარის თავის ჩატანებით გამოიხატება, ხოლო ერთ შემთხვევაში მიცვალებული კევრზეა დაკრძალული [5, 10-11] (ტაბ. V).

რაც შეეხება ქალის სამარხებს, ლითონის სამკაულის სიმრავლე და ნაირსახეობა აშკარად მათ დაწინაურებულ მდგომარეობაზე მეტყველებს (ტაბ.VI).

სარიტუალო ნივთების შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედასტურებინა დიფერენცირებული რელიგიური პანთეონის არსებობაც, სადაც ერთმანეთისაგან გამიჯნული ქალი-მზე და მამაკაცი-ცისა და ამინდის ღვთაებები. ამასთან, თუ ქალი-ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალის დროს გამოიყენებოდა მზის დისკოსებრი გულსაკიდი, მამაკაცი ღვთაების რიტუალში კოლხური ცული და კვერთხი ერთად ფუნქციონირებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიაზე სამცხეში ჯერ კიდევ არსებობს ყორღანული სამარხები და არ არის დაკარგული მათი ფუნქცია და მნიშვნელობა (ზველის ყორღანები), სადაც შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის მეორე ფენაში ერთადაა თავმოყრილი ინჰუმაციურად და კრემაციულად დაკრძალულ მიცვალებულთა ჩონჩხების ნაშთები, უეჭველია ვივარაუდოთ, რომ ზველის ყორღანული და ბორჯომის ხეობის ორმოსამარხები ერთიანი, ქრონოლოგიურად თანმიმდევრული კულტურის ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ. ხოლო გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე კოლექტიური ყორღანული სამარხების შეცვლა ინდივიდუალური ორმოსამარხებით, საზოგადოებაში მკვეთრი დიფერენციის დასაწყისის მანიშნებელი უნდა იყოს, როდესაც გვარებსა და დიდ ოჯახებში ხდება ქონებრივად და სოციალურად დაწინაურებული ფენის გაჩენა, რაც თვალნათლივ აისახა მიცვალებულთა დაკრძალვის წესში.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის პერიოდში უკვე შესამჩნევი ხდება თავისებური სიახლეების გაჩენა. ორმოსამარხების კედლები ქვისგან შენდება, სამარხების თავზე გვხვდება ხელოვნური ზვინულები, იწყება წყვილადი დაკრძალვები და სხვ. ამ პერიოდში ძლიერდება აღმოსავლური ანუ შიდა ქართლური ტენდენციები. მაგრამ მიუხედავად ამისა, მასალებში კოლხური კულტურის ელემენტებიც არსებობს და ეს ტერიტორია გახდა აღმოსავლური და დასავლური კულტურების თანმხვედრის პლაცდარმი.

ამ მხრივ საყურადღებოა სოფ. უდეში აღმოჩენილი განძები, სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ სამცხეში რკინის ფართო ათვისების საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ბრინჯაოს მეტალურგიული საწარმოო ჩვევები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ რომელ ეთნიკურ ერთეულს ეკუთვნოდა აქ მცხოვრები საზოგადოება, ჯერ-კერებით ძნელი სათქმელია. ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევრიდან სამცხეში იწყება მოსახლეობის ინტენსიური განსახლება. რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო თემის დაშლითა და საზოგადოებაში ცალკე ოჯახების გაჩენით.

ამდენად, მეცნიერულმა კვლევამ შედეგად მოგვცა განგვესაზღვრა მესხური, ლოკალური და თვითმყოფადი კულტურის ხასიათი და თავისებურებები უძველეს კულტურებთან ურთიერთობაში და მისი როლი ძვ. წ. II ათასწ. კავკასია-მახლობელი აღმოსავლეთის ერთიან ისტორიულ პროცესში.

ლიტერატურა:

1. *ოთ. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი,* მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981.

2. *ოთ. ღამბაშიძე,* ახალი მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. წინა აზია-ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის „ძეგლის მეგობარი", №63, 1983.

3. *ირ. ღამბაშიძე, ოთ. ღამბაშიძე,* გავუფრთხილდეთ მესხეთის არქეოლოგიურ ძეგლებს „ძეგლის მეგობარი", №1, 1990.

4. *ირ. ღამბაშიძე,* სამცხე ძვ. წ. II ათასწ. შუა ხანებში, სადიცერტაციო ნაშრომი 1999 (ხელნაწერი).

5. *ირ. ღამბაშიძე,* წარჩინებულ პირთა სამარხები ბორნიღელეს სამაროვანზე, „ძეგლის მეგობარი", №4, 1996.

ტაბულების აღწერილობა

I– სოფ. ზველი, ყორღანული სამარხი №I. სტრატიგრაფიული ჭრილი და გეგმა.
II– შუა ბრინჯაოს ხანის მესხური კერამიკა.
III– სამცხე-ჯავახეთში აღმოჩენილი დისკოსებრი გულსაკიდები.
IV– სამცხე-ჯავახეთში აღმოჩენილი საკინძები.
V–წარჩინებული მამაკაცის სამარხის ინვენტარი ბორნიღელეს სამაროვნიდან.
VI–ჭურეში ქალის სამარხის ინვენტარი ბორნიღელეს სამაროვნიდან.

Irine Ghambashidze

SAMTSKHE-JAVAKHETI IN THE 2 nd MILL B.C.

Summary

Part of the Samtskhe-Javakheti expedition materials dating from the end of the Middle Bronze Age shows traces of a clear influence of the Asia Minor-Aegean culture. In this regard note should be taken of the coxistence in burials of the village of Zveli (Aspindza

ეროვნული
ბიბლიოთეკა

district) of collective in humaticnal and cremational customs of interment as well as the structural similarity of these burial chambers with that of the Aegean word. The custom of cremational burial in a vessel representnig a large earthenware olergi, is also characteristic, for it is traceable to Hittite influences of the period of the Midde Kingolom the clay two-handled vessel in Kurgans 1 and 2 must be genetically related to Minoan culture.

The Monuments, unerthed recently in Aspindza region-tumuli of the 17 th-16 th cc. B.C. which belong to the Trialeti culture, though they are characterized by the peculiar "meskhetian" traits.

The graveard is located near the resort Borjomi, being a multi-layar monuments of the 15 th-14th cc. B.C. One group of tombs considering them to be the tombs of noble priestesses. Big heavy bronze pectoral and other ritual and cult objects connected with the diety of Sun were unearthed in these tombs. Second group is formed by the tombs of man. Ritual Axe and Staff, unearthed in these tombs, seem to be connected with the Hittite diety Taros.

The obtained material makes it possible to speak about close connections of the population of the region with the Hittite world in the middle of 2 nd mill. B.C.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I





ეროვნული
ბიბლიოთეკა

II



ეროვნული ბიბლიოთეკა

III



ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV



ეროვნული
ბიბლიოთეკა

V



ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვირკვაია

რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ. წ. VIII-VI სს.) სამარხები ბორჯომის ხეობაში

1969-1990 წლებში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (შემდგომში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის) მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ისტ. მეცნ. კანდ. *ო. ღამბაშიძე*)ისტორიულ სამცხეში, ბორჯომის ხეობაში შესწავლილ იქნა ოთხი სამაროვანი: *რველის, ჩითახევის, კვირაცხოველის* და *ბორნიღელის*. ისინი მდებარეობენ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სოფ. რველიდან სოფ. ქვაბისხევამდე, ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლოს.

ყველა სამაროვანი მრავალფენიანია და მოიცავს დროის ძალზე ვრცელ მონაკვეთ–შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან (ძვ. წ. XV-XIVსს.) ვიდრე ანტიკურ ხანამდე (ძვ. წ. Vს.).

ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ სამარხთა ერთ ჯგუფზე, რომელიც ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით, ანუ რკინის ფართო ათვისების ხანით თარიღდება. ისინი საკმაო რაოდენობითაა გათხრილი: კერძოდ, რველის სამაროვანზე 21; ჩითახევის სამაროვანზე–34; კვირაცხოველზე–5; ბორნიღელეზე–62.

აგებულების მხრივ სამარხები ორ ჯგუფად იყოფა: *ორმოსამარხებად* და *ქვისსამარხებად*. მათი რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვა სამაროვანზე სხვადასხვაა: მაგ. თუ ბორნიღელის სამაროვანზე მხოლოდ ორი ქვითნაგები სამარხი გვხვდება, რველის სამაროვანზე ამ პერიოდის ყველა სამარხი ქვითნაგებია, კვირაცხოველზე კი მხოლოდ ორმოსამარხები.

ქვისსამარხები ნაგებია საგანგებოდ შერჩეული ბაზალტის ან რიყის ქვებით, მშრალი წყობით. გადახურული ყოფილა ბრტყელი ფილაქვებით ან ხის ძელებით.

ზოგ შემთხვევაში, როგორც ორმოსამარხები, ისე ქვისსამარხების თავზე დაფიქსირდა წვრილი და საშუალო ზომის ქვებისაგან შექმნილი ყრილი.

დაკრძალვის წესის მხრივ სამარხები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) ინჰუმაციური, 2) კრემაციული და 3) სამარხები, სადაც დაფიქსირდა დაკრძალვის ორივე ზემოაღნიშნული წესი, ანუ ე.წ. „შერეული“ სამარხები. სხვადასხვა სამაროვანზე ამ ტიპის სამარხთა რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვაა, რველის სამაროვანზე კი გვხვდება მხოლოდ ინჰუმაციური დაკრძალვის წესი.

ოთხივე სამაროვანზე არის, როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური სამარხები. მიცვალებულები უმეტესად დაკრძალული იყვნენ კიდურებმოხრილ (მოკრუნჩხულ) მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე [ტაბ., I 1]. დამხრობაში რაიმე კანონზომიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შეინიშნება.

კრემაციულ ურნებად გამოყენებულია *საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელი*, ძირითადად, *ქოთნები და ტოლჩები*. ისინი ზოგჯერ ჯამებით, ზოგჯერ ბრტყელი ქვით იყო თავდახურული [ტაბ. I,2]. ძვალი ტვინისაგან გაცლილი არაა და აშკარად ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ნაწილობრივ კრემაციასთან.

ძალზე იშვიათია სამარხი სამარხეული ინვენტარის გარეშე. იგი წარმოდგენილია ძირითადად კერამიკული ჭურჭლის, საბრძოლო იარაღის, სამკაულის და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების სახით.

კერამიკული ჭურჭლიდან განსაკუთრების უხვადაა ჯამები [ტაბ. II 1,2,3], ქოთნები [ტაბ. II, 10-13], სასმისები [ტაბ. II 4,5,6,7], ტოლჩები, კოჭბები და ა. შ. თითოეულ მათგანს ახასიათებს ფორმათა ნაირგვარობა და მათში რამდენიმე ტიპის გამოყოფა შეიძლება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჭურჭლები, რომლებიც სპეციალურად იყო გახვრეტილი–ჩითახევის №13 სამარხში აღმოჩენილი ქოთანი და ბორნიღელის №23 და № 24 სამარხებში აღმოჩენილი ე. წ. „სარკმლიანი" სასმისები, ანუ სასმისები, რომელთა კედლებშიც ობსიდიანის ნატეხია ჩასმული. გ. ნიორაძე ასეთ ჭურჭელს მზის კულტს უკავშირებდა [5, 52-53]. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ქვემო ქართლში, დმანისის ნეკროპოლზე [5, 52-53] და ჭალის სამაროვანზე. ბორჯომის ხეობაში სოლარულ ღვთაებათა კულტს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ბრინჯაოს ეპოქაში. ამაზე მეტყველებს ზემოაღნიშნული სამაროვნების ადრეულ სამარხებში აღმოჩენილი ისეთი ნივთები, როგორიცაა ბრინჯაოს დისკოსებური გულსაკიდები, დისკოსებურთავიანი საკინძები და სხვ. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია მზის თაყვანისცემის მომდევნო პერიოდშიც გრძელდებოდა და ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას.

ძალზე განვითარებული ჩანს ამ პერიოდის კერამიკული წარმოება. ჭურჭელი ძირითადად სამეთუნეო ჩარხზე მზადდებოდა, თუმცა კი გვაქვს ხელით ნაძერწი რამდენიმე ჭურჭელი, მაგრამ ისინი, წინა პერიოდის ანალოგიური ჭურჭლებისაგან განსხვავებით ძალზე ტლანქად და უხეშადაა ნაკეთები. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ხელით ძერწვის ტრადიცია უკვე აღარ არსებობდა. კარგად ჩანს, აგრეთვე, სერიული წარმოების კვალიც. თუმცა, ხშირად ვხვდებით ისეთ ჭურჭელსაც, რომელიც გამოირჩევა ფორმის ორიგინალობათა იშვიათობით. ჭურჭლის ზედაპირი, ძირითადად, შავად და ყავისფრადაა ნაპრიალები. კეცში ხშირადაა გარეული კვარცისა და ქარსის კრისტალები. ეს იმდენად ხშირი მოვლენაა, რომ შესაძლოა ბორჯომის ხეობის კერამიკული წარმოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნადაც მივიჩნიოთ. ასევე მრავალფეროვანია ორნამენტი, რომლითაც შემკულია ჭურჭელი, მრავალფეროვანი, როგორც ფორმის (რთული გეომეტრიული ფიგურები, წიწვოვანი, ტალღოვანი და ა. შ. ორნამენტი), ისე შესრულების ტექნიკის მხრივ (ნაკაწრი, რელიეფური, წნევით დატანილი).

ზემოაღნიშნულ სამარხებში აღმოჩნდა იმდროინდელი საბრძოლო იარაღის თითქმის ყველა სახეობა: მახვილები [ტაბ. III, 1,2], საუტევრები [ტაბ. III, 4,5,6], შუბისპირები [ტაბ. III, 7-12], ისრისწვერები [ტაბ. III, 13] (ამ მხრივ გამონაკლისს რველის სამაროვანი წარმოადგენს, სადაც გარდა ორი „სკვითური" ისპისპირისა, იარაღი არ აღმოჩენილა). ამ პერიოდის იარაღის წარმოებაში, ძირითადად, მასალად რკინა გამოიყენებოდა. ბორჯომის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეობაში აღმოჩენილი იარაღის უმეტესობაც რკინისგანაა დამზადებული, თუმცა, ვხვდებით ბრინჯაოს [ტაბ. II, 6,11] და ე.წ. „ბიმეტალურ" იარაღსაც, ანუ ისეთ იარაღს, რომელიც ორივე ლითონისგანაა დამზადებული. მაგ., ბორნიღელის №8 სამარხში აღმოჩენილ რკინის მახვილს [ტაბ. III, 1] ამშვენებს ბრინჯაოს ტარი. ბრინჯაოს ტარი უნდა ჰქონოდა ჩითახევის №22 სამარხში აღმოჩენილ მახვილსაც [ტაბ. III, 2] (შემორჩენილია მისი მშვენივრად ორნამენტირებული ბრინჯაოს სალტე). ამავე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ქარქაში [ტაბ. III, 3], რომელიც ალბათ ზემოაღნიშნულ მახვილს ეკუთვნოდა. საბრძოლო იარაღიც გამოირჩევა ფორმათა ნაირგვარობით. აქაც ჩანს სერიული წარმოების კვალი, თუმცა, გვხვდება საგანგებოდ დამზადებული იარაღიც. მაგ., ბორნიღელის №8 სამარხში აღმოჩენილი შესანიშნავად გრავირებული შუბისპირი [ტაბ. III, 11]. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ იარაღი (მახვილები, სატევრები, შუბისპირები) ხშირ შემთხვევაში საგანგებოდ იყო მოღუნული.

საკმაოდ მდიდარია აღნიშნული სამარხები სამკაულითა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საკინძები [ტაბ. IV, 1-7], სამაჯურები [ტაბ. IV, 8-14], საყურეები [ტაბ. IV, 15], ბეჭდები [ტაბ. IV, 16], ხატისუღლები [ტაბ. IV, 19-20], ბალთები [ტაბ. IV, 17, 18], მძივები. იარაღისაგან განსხვავებით, ეს ნივთები (გარდა მძივებსა) ძირითადად ბრინჯაოსგან მზადდებოდა; თუმცა, გვაქვს რკინის საკინძები, სამაჯურები, ხატისუღლები და ა. შ. გვაქვს ვერცხლის მავთულისაგან დამზადებული რამდენიმე საყურეც. ეს ნივთებიც ფორმათა საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და თითოეულ მათგანში შეიძლება რამდენიმე ტიპის გამოყოფა.

ზემოთ ჩამოთვლილი არქეოლოგიური მასალა ბევრ პარალელს პოულობს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ და ზოგჯერ უფრო ადრეული პერიოდის მასალებთან. მაგ., სწორპირა, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული ჯამები [ტაბ. II, 1] გვხვდება დას. საქართველოში, ურეკის საკულტო მოედანზე [1, 15-18]. სწორპირიანი გვერდამოყვანილი ცალყურა სასმისები [ტაბ. II, 5,7 აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორაზე, თრიალეთის სამაროვანზე [4, 100], სამთავროს № 176 და №268 სამარხებში [3. 98, 111] და ა. შ. ბორნიღელის №8 სამარხში აღმოჩენილი მახვილის ტარი განეკუთვნება ე.წ. „სოკოსებურთავიან" ტარებს, რომელიც, ძირითადად, კოლხური კულტურისთვისაა დამახასიათებელი (თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული). ბორნიღელის მახვილის ტარი ყველაზე მეტად წააგავს თრიალეთში ბეშთაშენის №11 სამარხში აღმოჩენილ მახვილის ტარს [9, 69] და ჭიათურის რაიონის სოფ. ნიგოზეთში აღმოჩენილ ბრწყინვალედ ორნამენტირებულ სატევრის ტარს. მათ ბ. კუფტინი „კოლხურ-ყობანურ" კულტურულ წრეს მიაკუთვნებს.

საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდის სამარხებში თავხვია საკინძების [ტაბ. IV,1,2] აღმოჩენის სახით, ვინაიდან ამ ტიპის საკინძები საკმაოდ არქაულია. ისინი ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან არსებობენ და მათი ამ დრომდე მოღწევა მიანიშნებს ბორჯომის ხეობაში გარკვეული ტრადიციების შენარჩუნებაზე. წმინდა კოლხურ კულტურულ წრეს მიეკუთვნება, აგრეთვე, ე. წ. „ფრთისებრი" ბალთები [ტაბ. IV, 17, 18] და გრეხილღეროიანი ხატისუღლები [ტაბ. IV, 19, 20], რასაც ვერ ვიტყვით ფოთლისებურ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიწროპირიან შუბისპირებზე [ტაბ. III, 8,9], რომლებიც, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი.

მოპოვებული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ბორჯომის ხეობა განიცდის, როგორც კოლხურ, ისე აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ კულტურათა მძლავრ გავლენას. თუმცა, ჩვენი აზრით, კოლხური კულტურის ელემენტები უფრო მძლავრია (ყოველ შემთხვევაში ეს ნათლად ჩანს ჩითახევის, კვირაცხოვლის და ბორნიღელის სამაროვნებზე). ამასვე უნდა მიუთითებდეს მეგრულ-ზანურ ტოპონიმთა სიუხვე ამ რეგიონში.

ორიოდე სიტყვით შევეხებით დაკრძალვის ე. წ. კრემაციულ წესს. ო. ღამბაშიძე მას მცირე აზიიდან შემოტანილად მიიჩნევდა და კიმერიელთა ლაშქრობის შედეგად ფრიგიის სამეფოს დაცემას და იქედან „ხეთიზებული მესხი ტომების“ *(ვ. მელიქიშვილი)* ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლებას უკავშირებდა. ამის დასტურად მას ბორნიღელის №32 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე ზომის ითიფალური ქანდაკება მიაჩნია, რომელსაც მცირეაზიული მუზარადის მსგავსი თავსაბური ჰხურავს. ამ მოსაზრებას ამაგრებს, აგრეთვე, № 50 სამარხში აღმოჩენილი ჩაიდნისებრი ჭურჭელიც, რომელიც დამახასიათებელია ფრიგიისათვის. მაგრამ, გარდა ამ ორი ნივთისა, ბორჯომის ხეობაში რაიმე მნიშვნელოვანი მცირეაზიული ელემენტი არ შეინიშნება. მეორეს მხრივ, ამ პერიოდის კოლხურ სამყაროში საყოველთაოდაა გავრცელებული მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით. ბორჯომის ხეობის სამაროვნები საგრძნობლად განსხვავდებიან კოლხური სამაროვნებისაგან: აქ არ გვხვდება დიდი კოლექტიური სამარხები, ე.წ. „საძვალეები“, ისე როგორც პალურში [7, 96-97], ნიგვზიანში, ან ურეკში [1, 15-18,71]; ისინი არც ბრილისა [8, 191] და წითელი შუქურას [1, 149-150] სამაროვნებს ჰგვანან, სადაც მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით დადასტურებულია ურნების გარეშე და სადაც კრემაციას პირდაპირ სამარხ ორმოებში ხდებოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კოლხურ სამყაროში ამ მხრივ არაა ერთგვაროვანი სურათი და მისი ცალკეული რეგიონები (ცენტრალური კოლხეთი, ჩრდ-დასავლეთი კოლხეთი, ბრილი) საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ ბორჯომის ხეობაში დადასტურებული დაკრძალვის კრემაციული წესიც სწორედ კოლხური ტრადიციის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყოს.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის თავისებურებანი, რაც რველის სამაროვანს დანარჩენი სამაროვნებისაგან განასხვავებს. აქ ყველა სამარხი ქვითნაგებია. არ დადასტურდა კრემაციული დაკრძალვის არც ერთი შემთხვევა, სამარხეულ ინვენტარში თუმცა საკმაოა კოლხური ელემენტი, მაგრამ მაინც აღმოსავლურ-კავკასიური ელემენტი დომინირებს (განსაკუთრებით კერამიკულ ნაწარმში). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად დანარჩენ სამაროვნებთან გეოგრაფიული სიახლოვისა, ეს სამაროვანი შესაძლოა სხვა რწმენისა და ტრადიციების მატარებელ ხალხს ეკუთვნოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. *თ. მიქელაძე,* კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.

2 *ც. დავლიანიძე,* თრიალეთის კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში, თბ., 1983.

3. მცხეთა IV, თბ., 1980.

4. თბილისი I, თბ., 1978.

5. *გ. ნიორაძე,* დმანისი, ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, საქ. სახ. მუზ. „მოამბე", ტ. XIV თბ., 1947.

6. *ო. ღამბაშიძე,* ი. ღამბაშიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან, „ძეგლის მეგობარი", 1987, №4.

7. *ნ. ოქროპირიძე,* მ. ბარამიძე, პალურის სამარხი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის", VI, თბ., 1877.

8. *გ. გობეჯიშვილი,* განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებთან, „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1950.

9. *Б. А. Куфтин,* Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.

10. *М. Трапш,* Труды, т. 2, Сухуми, 1969.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I–1) ბორნიღელეს №21 ინჰუმაციური ქვისამარხი.

2) კრემაციული ურნა. ბორნიღელეს № 91 სამარხი.

ტაბ. II–კერამიკული ჭურჭელი ბორჯომის ხეობის ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების სამარხებიდან.

ტაბ. III–საბრძოლო იარაღი ბორჯომის ხეობის ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების სამარხებიდან.

ტაბ. IV–სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები ბორჯომის ხეობის ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების სამარხებიდან.

Revaz Kvirkvaia

BURIALS OF THE VIII-VI C.C. B.C. FROM BORJOMI GORGE

Summary

On the territory of the historical region of Geoirgia Meskheti, is Borjomi gorge In 1969-1990 Meskheti archaeological expedition (guided O. Ghambashidze) had unearthed 4 multilayer burial grounds: Rveli, Chitakhevi, Kviratskhoveli and Bornigele. A

large number of graves on these burial grounds are dated by VIII-VI c.c. B.C.

These graves are attributed to potgraves and stonegraves, where cramation (partial cramation) or inhumation is identified. It should be noted that in some graves both inhumation and cremation are met. This fact occures very rarely out ot Mesrkheti and is a characteristic feature af this region.

Most of graves included inventory: pottery, tools and weapons, ornaments. Based on analyses of items we can note a nigh level of pottery production and bronze and iron metalurgy during VIII-VI c.c. B.C. and the region reflects the influence of Colhis and East Caucasus cultures.

The special influence of Colhis Culture is met on Chitakhevi, Kviratskhoveli, and Bornigele burial grounds. As to Rveli inspite of fact that it is geographycally very close to other burial grounds, the archaeological date from this burial ground is different and occures as in burial cuntoms (we don't meet here cremation), as in inventory which is related to East Caucasus culture. This makes us to think-that Rveli burial ground may be belonged to the people of different religion and culture.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

0 10 20



2

0 2 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

II



ეროვნული ბიბლიოთეკა

III



ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქეოლოგია

ციური ლაფაჩი

ადრებრინჯაოს ხანის გორანამოსახლარები ბარალეთის ტერიტორიაზე

ჯავახეთის ისტორიულ სოფელთა შორის ბარალეთი თავისი წარსულითა და ბედის ცვალებადობით შეიძლება საინტერესო კვლევის ობიექტად ჩაითვალოს. სადღეისოდ იგი ჯავახეთის ტიპური სოფელია, სადაც შემორჩენილია განსახლების ძველებური იერი, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი [1,36]. სწორედ ამის გამოა, რომ სოფლის დასახლების სტრუქტურასა და მატერიალური კულტურის ძეგლებში წარსულის კვალი მეტად ძლიერადაა შემორჩენილი. ეს უკანასკნელი კი სოფლის ყოფის მრავალი მხარის, მისი ადრეული ფორმების განვითარებისათვის თვალის გადევნებისა და რეკონსტრუქციის შესწავლისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის [2, 2]. აქედან გამომდინარე, ჩვენს ხელთ არსებული (1988-1989 წლების ექსპედიციის) მასალები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სოფელი ბარალეთი ისტორიული ძეგლების სიმრავლითა და სიძველით ერთ-ერთი გამორჩეული დასახლებაა ჯავახეთში [3,25]. როცა ხაზს ვუსვამთ ბარალეთში ძეგლთა სიმრავლესა და სიძველეს, მხედველობაში გვაქვს ამ სოფლის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გორანამოსახლარები, ადრეული ხანის ნასოფლარები. მატერიალური კულტურის ძეგლები: *ამაღლების სვეტი, ეკლესიები, სტელები, ნიშები, ქვაჯვარები* და სხვა.

სოფელ ბარალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევისას სხვა ისტორიულ ძეგლებთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიპყრო სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულმა გორანამოსახლარებმა: *გრძელი გოხი, სირგვი, საყარაულოს მთა, ნაცარგორა, ამაღლების გორა*. დასახლებული გორანამოსახლარებიდან ჩვენ მხოლოდ *საყარაულოს, ნაცარგორისა* და *ამაღლების გორას* შევეხებით.

საყარაულოს მთა ბარალეთის ჩრდილოეთით დაახლოებით 1,5 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, დღეისათვის იგი საძოვარი მთაა, მაგრამ, სამეურნეო დანიშნულებით საგრძნობლად ჩამოუვარდება სირგვისა და გრძელი გოხის გორებს. მთას აღნიშნული სახელი მიუღია იმის გამო, რომ იქ ყარაული იდგა... ანძაზე დამაგრებულ გოდორს ძირს დაუშვებდა, სოფელი მტრის შემოსევას შეიტყობდა და მოსახლეობა სოფლის ციხეში შეიხიზნებოდა. ლეკიანობის დროს კი ყარაული თოფს სამჯერ გაისროდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ სოფელს მტერი ემუქრებოდა.

გეოლოგიური თვალსაზრისით მთა თეთრი, კიროვანი მიწისაგან შედგება. ამიტომ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარალეთისა და ახლო-მახლო სოფლების მაცხოვრებლები ამ მიწით ბინებს ლესავდნენ და ათეთრებდნენ კიდეც.

სწორედ ამ მიზნით წარმოებული სამუშაოების შესრულების დროს გლეხებს შეუნიშნავთ ძველი შენობის ნაშთები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. როგორც ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა *არსენ კარაპეტიანმა* განაცხადა, საყარაულოს მთაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იდენტური იყო შემდგომ ნაცარგორისა და ამაღლების გორაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა. სამწუხაროდ, საყარაულოს მთაზე აღმოჩენილი შენობის ნაშთებისაგან ადგილობრივ მოსახლეობას თავისი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აუშენებიათ...

სოფელ ბარალეთის მოსაზღვრე მთებსა და გორებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული, საყარაულოს მთასთან ერთად, ნაცარგორაა. იგი სოფლის დასავლეთით მდებარეობს. იგი მოზრდილი გორაა, მის გარშემო მრავალი სახნავ-სათესი მინდორია. ეს ფართობები განთქმულია უხვი მოსავლით, თვით გორის თავი იმდენად მოვაკებულია, რომ ზემოთა ადგილიც სახნავად აქვთ გამოყენებული. ბარალეთს ორი ნაცარგორა აქვს: დიდი ნაცარგორა და პატარა ნაცარგორა. მთხრობელთა გადმოცემით აქ ნასოფლარი ყოფილა. ნიადაგის დამუშავების დროს უნახავთ ნაშენი კედლები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას საყარაულოს მთაზე აღმოჩენილ შენობათა ნაშთების მსგავსად საკუთარი მშენებლობისათვის გამოუყენებია. ნაცარგორაზე ქვის მტვრევის დროს უნახავთ ბრინჯაოს დისკო, რომელზედაც საინტერესო ორნამენტებია მოცემული [სურ. 1]. აღნიშნულ დისკოს იცნობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი და აღნიშნავდა, რომ რელიგიური ან უფრო მეტად კალენდარული ჩანაფიქრი უნდა იყოსო [4, 53]. შემდგომ ამ აზრს იზიარებდა ოთარ ღამბაშიძეც [5, 38]. ბრინჯაოს დისკოსთან ერთად ნაცარგორის მიდამოებში უნახავთ ბრინჯაოს ისრის წვერი და სამაჯურები. ეს უკანასკნელი უყურადღებობის გამო დაკარგულია ისე, როგორც სამცხეშიც და ჯავახეთშიც დღესაც ბევრი რამ იკარგება და აღიგვება პირისაგან მიწისა...

სურ. 1.

საერთოდ, ნაცარგორასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ „ნამოსახლარი გორები“ ხშირად ადამიანთა უწყვეტი ცხოვრების მანიშნებელნი არიან და შესაბამისად სხვადასხვა არქეოლოგიურ ფენებს შეიცავენ [6, 35].

ამდენად, ბარალეთის ნაცარგორის სახით საქმე უნდა გვქონდეს ბრინჯაოს ეპოქის მეტად საინტერესო ძეგლთან, რომლის არქეოლოგიური გათხრები მეცნიერებს ბევრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინტერსო ცნობას მიაწვდის.

სოფელ ბარალეთის მოსახლეობა დიდი პატივისცემით ეპყრობა ამაღლების მთაზე აღმართულ *ქვის სვეტს* (სურ.2). სვეტი ბაზისში ზის, რომელიც შემკულია საკმაოდ მოზრდილი ბოლნური ჯვრის ორნამენტით. ამაღლების დღესასწაულზე აქ დღესაც უამრავი ხალხი მოდის ახალქალაქის რაიონის სხვადასხვა სოფლიდან...

ამაღლების სვეტის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, მაგრამ ერთი კია, რომ ბარალეთის ამაღლების გორანამოსახლარი ჩვენი ექსპედიციის წევრებისათვის მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა. ამაღლების სვეტის ჩრდილოეთით 100-150 მ-ის მოშორებით



სურ. 2.

დაფიქსირდა ორმოები, სადაც ზედაპირულად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა აიკრიფა. მათ შორის: ნავისებური ხელსაფქვავები, რელიგიური კულტის დანიშნულების, სხვადასხვა ფერისა და ზომის შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის სწორი რელიეფური ზედაპირის მქონე ნატეხები; მეტად საინტერესო თიხის ოთხკუთხა ჭურჭლის ნაწილი და სხვა [7, 10-11].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1988 წლის ექსპედიციამდე სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში დაცული იყო მასალა, რომელიც ბარალეთიდან სოფელ ალათუბნისაკენ მიმავალი გზის მონაკვეთის გაყვანის დროს იქნა მოპოვებული. ეს მასალები, რა თქმა უნდა, გაგრძელებაა ჩვენს მიერ ამაღლების გორანამოსახლარზე დაფიქსირებული მასალისა. აქედან გამომდინარე ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალებიდან

ირკვევა, რომ ბარალეთის მიდამოები ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის დროიდან ჩანს ათვისებული, რის საფუძველსაც იძლევა ბარალეთის საყარაულოს, ნაცარგორისა და ამაღლების გორანმოსახლარებზე სხვადასხვა დროს აკრეფილი კერამიკული მასალის ერთი ნაწილი, რომლებიც ძირითადად ფრაგმენტების სახითაა მოცემული. უფრო მეტიც, ამავე ნამოსახლარზე, ზედაპირულად აკრეფილ მასალათა შორის, განსაკუთრებულად საყურადღებოა ობსიდიანის იარაღი, რომელიც ბარალეთის მიდამოებში ქვის ხანის ადამიანის საქმიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

დასახელებულ გორანამოსახლარებზე უწყვეტად შეინიშნება მომდევნო საფეხურების კულტურების მანიშნებელი კვალი (თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს გულსაკიდი, სამარხები, ქვაჯვარები, სტელები, ნიშები და სხვა).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენ მიერ მიღებულ დასკვნებს ამაგრებს და ადასტურებს ბარალეთის ამაღლების გორანამოსახლარზე 1993 წ. საქართველო – აშშ-ის ერთობლივი ექსპედიციის წევრების (ზაალ ქიქოძე,ფილიპ კოლი,გიორგი მინდორაშვილი, ალექსანდრე ორჯონიკიძე) ძეგლით დაინტერესება, რომლებმაც მიზანშეწონილად ჩათვალეს ამაღლების გორანამოსახლარის ტოპოგრაფილი გეგმის შედგენა, გეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, ხოლო 1995 წელს მისი არქეოლოგიური დამუშავება და ჩვენ მიერ ზედაპირულად აკრეფილ მასალაზე დაყრდნობით მიღებული შედეგების დადასტურება [8, 43]. უფრო მეტიც, ჩვენი ვარაუდის სისწორეს კვლავ ხაზს უსვამს ქ-ნ მანანა გაბუნიას მიერ მიღებული დასკვნები დმანისისა და ახალქალაქის ფაუნაში საერთო ფორმების არსებობისა და გარკვეული მემკვიდრეობის შესახებ, დასკვნები სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ტერიტორიაზე ძველი ადამიანის განსახლების ფართო მაშტაბებსა და ინტენსივობაზე [8,6].

ამდენად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბარლეთის გორანამოსახლარებიდან შემთხვევით და ზედაპირულად მოპოვებული, ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამტკიცებს ვარაუდს, რომ მომავალი არქეოლოგიური გათხრები უთუოდ დაადასტურებენ ამ ტერიტორიაზე ცხოვრების უფრო ადრეულ კვალს.

ლიტერატურა:

1. *თ. ჩიქოვანი.* ჯავახეთი. თბ., 1982.

2. *ც. ლაფაჩი,* სოფელი ბარალეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). სადისერტაციო შრომა. 1993.

3. *ივ.* ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი. 1988-1989 წლების ექსპედიციის მასალები.

4. *ნ. ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ., 1964.

5. *ო. ღამბაშიძე,* ბრინჯაოს გულსაკიდი. „ძეგლის მეგობარი". თბ. , 1987. №4.

6. *ლ. ჭილაშვილი,* ძველი გავაზი. თბ., 1975.

7. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ფონდი №1551. 1988. გვ. 10-11.

8. *ძიებანი,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბ., 1998.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Tsiuri Lapachi

BARALETI SETTLEMENT-SITES OF EARLY BRONZE AGE

Summary

Baraleti belongs to those historic villages which are distinguished by the antiquity and a number of historic monuments. According to official, casual or archaeological investigations of settlement sites, situated on the territory of Baraleti (Grdzeli Kokhi, Sirgvi, Sakaraulo, Natsargora, Amaghlebis Gora), the author concludes that Baraleti environment was quite a strong settlement of early Broze Age. The archaeological materials, discovered in Baraleti during the archaelogical excavations prove it.

Noteworth is the existence of materials belonged to the Middle Bronze Age and the other stages of class and social development. The archaeological materials consist of obsidian tools as well as stone and metal items, showing us the activities of the population of the Stone Age.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქეოლოგია

ვახტანგ ლიჩელი

ანდრია მოციქული სამცხეში – არქეოლოგიური რეალობა

საუკუნეთა მანძილზე სამცხე ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. ამ მძლავრი რეგიონის ადმინისტრაციული და რელიგიურ-კულტურული ცენტრი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო *აწყური*, რომელსაც ძველი ქართული ქრონიკები სოსანგეთის სახელით მოიხსენიებენ.

აწყურის ქალაქობას საფუძველი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე V ს-ში ჩაეყარა, როდესაც აქ ქვის არქიტექტურამ იჩინა თავი და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს დასახლება დაიწყო. როგორც ჩანს, სულ მალე ამ დასახლებამ, რომელსაც მშვენიერი ბუნებრივი პირობები ჰქონდა მეურნეობის ყველა დარგის განსავითარებლად და დიდად გამოსადეგ სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, თანდათან დაიმკვიდრა სამცხის უპირველესი ქალაქის სტატუსი. ამას უთუოდ შეუწყო ხელი იმან, რომ აწყური უშუალოდ ბორჯომის ხეობის დასაწყისშია განლაგებული და შიდა ქართლში აღმოსავლეთ ანატოლიიდან და კაპადოკიიდან მდინარეების ხეობებში (მდ. მტკვარი) გამავალი სავაჭრო გზები სწორედ აქ იყრიდა თავს. აწყურშივე გადმოდიოდა შავი ზღვიდან გოდერძისა და რკინის ჯვრის გადასასვლელებზე გაკვალული მარშრუტები, რომლებიც შიდა (ან ქვემო) ქართლსა და სომხეთისაკენ მიემართებოდა. ამ თვალსაზრისით სრულიად უნიკალურია აწყურის ნაქალაქარის გათხრების შედეგად აღმოჩენილი იონიური თასები. ესაა მცირე აზიაში, ქ. მილეტის ჩრდილოეთით მდებარე ბერძნულ საწარმოო ცენტრებში ქრ.შ-მდე VI ს-ში დამზადებული თიხის მოხატული ნაწარმი, რომელიც, როგორც წესი, ზღვისპირა ქალაქებშია თავმოყრილი. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მომდევნო პერიოდის – ქრ. შ-მდე V ს-ში ათენში დამზადებული მხატვრული კერამიკა. ორივე ეს სახეობა ძველ დროში საკმაოდ ძვირად ფასობდა და მისი ზღვასთან ასე მოშორებით, ხეობაში აღმოჩენა იმის მაუწყებელია, რომ აწყურის შესახებ უკვე ამ ხანაში იცოდნენ ძველმა ვაჭრებმა და ეს ნატიფი კერამიკა იქნებ ძღვნადაც მოართვეს სამცხის მმართველს, რომელიც აწყურში სახლობდა. ასეთი საჩუქრების შეთავაზება მიღებული იყო ძველ სამყაროში. იგი გზას უხსნიდა ვაჭრებს და თავისუფალი საქმიანობის საშუალებას აძლევდა.

არ შეწყვეტილა ინტერესი სოსანგეთ-აწყურის მიმართ ქრ. შ-მდე IV-I ს-შიც. იგი კვლავ წამყვან პოზიციას ინარჩუნებს, რისი დასტურიც გახლავთ თანამედროვე სოფლის ცენტრთან ახლოს, 6 მ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი სამარხი, რომელიც ქრ. შ-მდე III ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. აქ იმდენად მნიშვნელოვანია არა ოქროსა და ვერცხლის ნივთებისა და ათასობით პატარა მძივების აღმოჩენის ფაქტი; გაცილებით მეტ ინფორმაციას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იძლევა ასევე მიცვალებულისათვის ჩაყოლებული საბეჭდავი ბეჭდების ანალიზი. ისინი ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული. ყველა მათგანის ფარაკზე გამოსახულებაა: თევზი, ცხენი, ფრინველი, მზე, მთვარე. მთვარე და მზე ამ სიუჟეტების აუცილებელი ატრიბუტია და გააზრებულია მითრასა და ანაჰიტის კულტების სიმბოლოებად და ამიტომ, ვფიქრობ, რომ წარმართული ხანის მესხთა რელიგიურ რწმენაში განსაკუთრებული ადგილი მითრას კულტს ეკავა. ამასთან, ასეთი საბეჭდავი ბეჭდები წარმოადგენს ინსიგნიას ანუ ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლებს. მესხური ელიტის კუთვნილი სამარხები პირველად დადასტურდა სამცხეში.

ამდენად, აშკარაა, რომ ამ ხანაში აწყურ-სოსანგეთში გარკვეული რანგის მმართველი, ხელისუფალი ზის.

აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რამდენად დაწინაურებული იყო ეს ქალაქი ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში და რამდენად ფართო საერთაშორისო ურთიერთობები ჰქონდა. შესაბამისად, ის. რომ ისტორიული ქრონიკები ქრისტეს შობის შემდეგ I საუკუნეში აქ სამცხის მთავრის, სამძივართა ფეოდალური გვარის საცხოვრისს და ბერძნულ ტაძარს (აპოლონისა და არტემიდესი) იხსენიებენ, გასაკვირი არ უნდა იყოს.

ამდენად, ჩემი აზრით, სრულად ბუნებრივია, რომ ანდრია მოციქული სამხრეთ საქართველოში, კერძოდ კი სამცხეში, ქრისტიანობის ქადაგებას სწორედ სოსანგეთ-აწყურიდან იწყებს.

მაგრამ არის კი საკმარისი ობიექტური ნივთიერი მასალა ანუ ნივთმტკიცება იმისა, რომ სამცხის გაქრისტიანება თუ არა ესოდენ ადრეულ ხანაში, წმინდა მოციქულის მოსვლა მაინც ვივარაუდოთ სოსანგეთ-აწყურში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთადერთი საშუალება გახლავთ ამ მოკლე წერილობითი ცნობებისა და კვლავ არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლების ანალიზი.

თუ „ქართლის ცხოვრების" ჩანართს გავანალიზებთ, გამოიკვეთება ოთხი კომპონენტი, რომელთაც მატერიალური სახე აქვთ და თუ ეს თხრობა სინამდვილეს შეეფერება, მათი კვალი შემორჩენილი უნდა იყოს.

ეს კომპონენტებია:

1. ანდრია მოციქულის დროინდელი ქალაქის არსებობა, სადაც ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად ძლიერია ელინისტურიც (აპოლონისა და არტემიდეს ტაძარი).

2. მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის არსებობა.

3. წარმართული ხანის ციხის (აკროპოლის) არსებობა.

4. მარიამ ღვთისმშობლის ხატის არსებობა.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ანალიზი უჩვენებს, რომ ყველა ამ კომპონენტის მატერიალური ნაშთი გამოვლენილია. შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების" ჩანართის ცნობა ანდრია მოციქულის სამცხეში და კერძოდ, აწყურში მოსვლის შესახებ რეალურია. ვფიქრობ, აგრეთვე, რომ ცხადია კიდევ ორი მთავარი მომენტი – ის, ვინც ქრონიკას წერდა, ზედმიწევნით კარგად იყო ინფორმირებული აწყურის შესახებ (თუ საერთოდაც, ამ თხრობის ძირითადი ნაწილი აქვე არ ჩასწორდა!); ავტორი იყენებდა იმდენად ძველ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროს, რომ I საუკუნის მოვლენებიც კი ზუსტად აღწერა.

Vakhtang Licheli

ANDRIA-MEDIATOR IN SAMTSKHE - THE ARCHAEOLOGICAL REALITY

Summary

According to the historical tradition south-west Georgia was converted to christianity by Andria-mediator, The legend tells us that he has stopped in Atskuri, Old Sosangeti where pagan gods- Apolo's and Artemid's temples were standing. These temples were overthrown with the power of the icon of the Virgin, having brought by the mediator. The archaeological excavations of this territory showed out the components having the face of matter, as if they confirm the information of narative sources.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

როლანდ თოფჩიშვილი

ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიიდან

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი—ჯავახეთი დღეს ძირითადად არაქართული ეთნოსითაა დასახლებული. სომხებისა და რუსი სექტანტების ჯავახეთში მიგრაცია რუსეთმა 1830 და მომდევნო წლებში განახორციელა აქედან გასახლებულ ქართველთა ნასახლარ-ნასოფლარებზე. ცნობილია, რომ ქართველი მაჰმადიანები ჯავახეთიდან თურქეთში გადასახლდნენ. ქართული საისტორიო წყაროებით ისიც ცნობილია, რომ XVIII საუკუნესა და XIXს-ის დასაწყისში ჯავახეთში კვლავ დიდი რაოდენობით მკვიდრდება მართმადიდებელი ქართველობა. ჯავახეთის მოსახლეობის შესახებ *ვახუშტი ბაგრატიონი* წერდა: „სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვით მწყემსი ეპისკოპოსი, გარნა ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჲს ოსმალთა“[3]. ასეთსავე ეთნიკურ-ენობრივ სიტუაციას აგვიწერს გიულდენშტედტი[1]. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჯავახეთში რომ მრავალი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა, ამის შესახებ ცნობას ისტორიკოს ომან ხერხეულიძესთანაც ვხვდებით: „ამასვე წელსა (1760 წელს – რ. თ.) ლეკებმა ჯავახეთი მოარბიეს და მრავალი ქრისტიანე დაატყვევეს. დახვდა მეფე ირაკლი ყარაიაზედ ღამე, ეს ლეკის ჯარი დაამარცხა, მრავალი ლეკი მოჰკლა და ტყვე, საქონელი სულ გააყრევინა. და მისცა ნება ყოველსა თვისსავე ქვეყანასა წასვლისა“[5].

ვახუშტის დროს მცირე რაოდენობით სომეხნი და ურიანი მხოლოდ ორ მცირე ქალაქში – გოკიაში და ბარალეთში მკვიდრობდნენ ქართველებთან ერთად[3]. უფრო ადრეც, XVI ს-ის ბოლოს ჯავახეთი ეთნიკურად ქართული იყო, რასაც ადასტურებს 1595 წელს შედგენილი გურჯისტანის ვალაიეთის დიდი დავთარი. მასში აღწერილი მამაკაცთა სახელები და მამის სახელები მთლიანად მართმადიდებლური და ქართულია[2]. ქართული იყო ოიკონიმების ძირითადი ნაწილიც. ჯავახეთში XVI ს. დასასრულს მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო შემორეული მუსლიმი და სომხური მოსახლეობა. ამასთანავე, ამ დროს საქართველოს ამ პროვინციაში მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია იყო. სოფლების 10 % ნასოფლარებად იყო ქცეული. მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობამ მაინც იმატა, ბუნებრივი გამრავლების გზით. თუმცა, ყოველივე ეს ქრისტიანული რელიგიიდან მაჰმადიანობაზე გადასვლის ფონზე მიმდინარეობდა.

ჯავახეთში ქართული მოსახლეობა დღეს მინიმუმამდეა დასული. ისმის კითხვა: სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის

საშუალებას ქართული საბუთები და საარქივო მონაცემები გვაძლევენ. თურქთა აგრესიამ და ოკუპაცია-დაპყრობამ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესები განაპირობა. საისტორიო საბუთებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ სამცხელთა გადასახლებანი, ძირითადად, დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი) იყო მიმართული, ჯავახები კი აღმოსავლეთ საქართველოში მიგრირდებოდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ჯავახეთის მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლების არაერთი ფაქტია ფიქსირებული ქართულ საისტორიო საბუთებში. მხოლოდ რამდენიმე საბუთიდან მოვიყვან ამონაწერებს. 1751 წელს წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან თქვენმან თარხანმან იორამ...ჩვენსა ყმათ ხიზაბავრელთ თევდორეს, ოქროასა, მაღრაძესა მახარასა, ადუასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა; ასე რომე, ჯავახეთიდამ გადმოხვედით და ჩვენ ყმათ დაგვისახლდით, სართო და მამული გვთხოვეთ და ჩვენ გიბოძეთ თვალზედ ჩვენის ყმის ბასილაშვილის მამული“[6].

თარხნიშვილებს ჯავახეთიდან სხვა გლეხებიც მოსვლიათ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1768 წლის მოსამართლეთა განაჩენი. ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულ გლეხებზე ფეოდალებს ცილობა შეექმნათ: „ქ. აბულაძე თამაზა ჯავახეთიდამ აყრილიყო და ზაზა თარხნიშვილს მისლოდა. რამდენიმე წელიწადს მის ყმათ ყოფილიყო. მერე მიროტაძე ტყუილათ წასდავებოდა...“ „ახლა სამართლით აბულაძის თამაზას შვილი ბერი თარხნიშვილებს დარჩათ, ამისთვის რომ ჯავახეთიდამ ზაზას მოსლოდა, მკვიდრი ჯავახი იყო და ზაზას ყმობოდა...“[6].

1769 წ. არზით ირკვევა, რომ ჯავახეთიდან ქართლში გადმოსახლებულა დანდურიშვილების ოჯახი, რომელიც თხუთმეტი სულისაგან შედგებოდა. 1776 წლის ერთ-ერთი განაჩენიდან ჩანს, რომ ქართლელი თავადები ჯავახეთიდან ძალით ყრიდნენ სოფლებს და ქართლში გადმოჰყავდათ[6]. ასეთივე მცდელობას ჰქონია ადგილი 1811 წელს, როცა რუისელები, ქარელელები და სხვები ყოფილან ჯავახეთში გადასული, რათა სოფელი კოთელია აეყარათ. ამის შესახებ ცნობა დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებაში[6].

ჯავახეთიდან ქართლში მიგრაციაა ასახული 1785 წლის ყმის დაყენების წიგნში, რომელშიც ვკითხულობთ: „...აწაყა ამ ივანე მჭედლის მამა ჯავახეთიდამ გადმოსული იყო“[6].

სამხრეთ საქართველოდან ქართლში მოსახლეობის მიგრაციას XVII ს-ის დოკუმენტებიც გვიდასტურებენ. მაგალითად, 1695 წლის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...ახლა ეს მამული კიდევ ჩვენ შემოგიმატეთ და გიბოძეთ კავთისხეველს თელათუბანს ჯავახი მექანარაშვილი და დათუნასშვილი თევდორა...“ 1654 წელს როსტომ მეფემ სვეტიცხოველს თრიალეთში შესწირა სახასო სოფელი ზემო ბეშქენაშენი იმ პირობით, რომ თუ ზემო ბეშქენაშენში ჯავახეთიდან აყრილი კაცი შეეხიზნებოდა. 1656 წლის საბუთით ელიაშვილი პაპუნა და მისი შვილები: ზაზუტა, ბერიკა, გიორგი ელისე თბილელს ჯავახეთიდან მოუყვანია და წინარეხში დაუსახლებია. მოგვიანებით ისინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახეთის სოფელ კისისხევში მიგრირებულან. 1773 წლის ერთი საბუთით ისიც ირკვევა, რომ კახეთის სოფელ ჩუმლაყში მოსახლეთა ნახევარი ჯავახეთიდან ყოფილა გადმოსახლებული[6].

ჯავახეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით ქართლში) მოსახლეობის მიგრაციის ამსახველი სხვა საბუთებიდან შეიძლება ამონაწერების მოყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ ერთი ციტატაღა შემოგთავაზოთ 1766 წლის არზიდან: „ჯავახეთი აიყარა, წამოვიდა. ორჯონიკიძეს პაპუნას მოსლოდა. თათრები ყოფილიყო, პაპუნას დაენათლა"[6]. ეს საბუთი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში საუბარია ჯავახეთიდან მოსახლეობის აყრაზე. როგორც ჩანს, ქართლში ჯავახეთიდან მხოლოდ ქრისტიანები როდი გადმოსახლდებოდნენ. მაჰმადიანი ქართველებიც მიგრირდებოდნენ და გადმოსახლების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდნენ მამა-პაპათა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ირკვევა, რომ ჯავახეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლებულები ეკლესიის ყმობას არჩევდნენ. 1784 წლის ერთ-ერთი არზით მიგრანტ ჯავახს ქვათახევის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს თავი: „ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჭირი მოსცეს ქვათახევის ღვთისმშობლის ყმას ნარიაშვილს თევდორეს. ორმოცი წელიწადი არის (ე. ი. 1744 წელს – რ. თ.) მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულა და ღვთისმშობლისათვის თავი შეუწირავს"[6].

საბუთებიდან ჩანს, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ჯავახეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს ქართველი თავადაზნაურები, რომ, რაიმე შემთხვევის გამო, უკან არ წასულიყვნენ და არ გათათრებულიყვნენ. ამ შემთხვევაში, ალბათ, მაინც მთავარი ის იყო, რომ ქართლში დემოგრაფიული სიტუაცია უაღრესად კრიტიკული იყო და ბევრ ბატონს ყმა, მუშახელი ფაქტობრივად აღარ ყავდა.

შიდა ქართლში ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია ასახულია XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს 1818 წლის გორის მაზრის სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების აღწერის დავთრები. 1818 წლის კამერალური აღწერის დავთრებში ფიქსირებულია ქართლში ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაცია დროის მითითებით. მიგრირებულებს, უფრო ხშირად მათ შთამომავლებს ასეთი მინაწერები აქვთ (მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს): სოფელ ნადარბაზევში ჯავახეთიდან გადმოსახლებული არაერთი კომლი მკვიდრობდა. სახელმწიფო აღწერაში სამადაშვილების ორ კომლს მიწერილი აქვს, რომ „ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 17 წლის წინ" (ე. ი. 1801 წელს). სოფელ სვენეთში ზერეკიძეების სამი ოჯახი მკვიდრობდა, რომლებსაც მიწერილი აქვთ: „ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ გადმოსახლებულები". 1818 წლის აღწერა უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში დაფიქსირებულია ჯავახეთიდან ქართლში რამდენიმე ათეული წლის წინ მიგრაცია. ასეთი დიდი ხნის წინ გადმოსახლებული გვარები მკვიდრობდნენ კარალეთში, ძევერაში, მარანაში... კარალეთში აღრიცხულ დავით ჭილაძის ოჯახს მიწერილი აქვს: „40 წლის წინ ჯავახეთიდან გადმოსახლებულები", ე. ი. 1778 წელს. ამავე სოფელში მცხოვრებ თევდორე ოქრუაშვილს მიწერილი აქვს: „50 წელია ჯავახეთიდან გადმოსახლებულია" ე. ი. 1768 წელს. 1818 წელს სოფ. მარანაში აღრიცხული იყო „მახაუ ჯავახი გოდერძიშვილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელსაც მიწერილი აქვს, რომ „წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლდნე 100 წლის წინ“[6]. ე. ი. აღნიშნული ოჯახის წინაპარი ჯავახეთიდან ქართლში 1718 წელს მიგრირებულა.

საინტერესო მინაწერი აქვს ივანე ვარძელაშვილის 29 სულიან ოჯახს სოფელ ახალუბანში: „ამისი მამა 100 წლის წინ წამოვიდა ჯავახეთიდან. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში და გადადიოდა ხელიდან ხელში“[6]. ასეთი საარქივო მასალების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება გავაგრძელოთ. ასე რომ, ჯავახეთიდან მიგრირებულები ქართლის თითქმის ყველა სოფელში ცხოვრობდნენ. კამერალური აღწერების მიხედვით ჯავახთა ქართლში მიგრაცია მთელი XVIII ს-ის მანძილზე გრძელდებოდა, აგრეთვე – XIX ს-ის პირველ ორ ათეულ წელს. ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები დადასტურებულია XVII ს-ის აღწერის დავთრებშიც.

აღმოსავლეთ საქართველოში ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელი არაერთი ეთნოგრაფიული მასალაც შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, შიდა ქართლის სოფელ მერეთში მცხოვრები მემცხვარიშვილების წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლებულან. მათი ადრინდელი გვარი ლომსაძე ყოფილა. გადმოცემით ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებულნი სოფ. დიღომში მცხოვრები ხმალაძეები, ბროლაძეები და ხოსიტაშვილები. ეს უკანასკნელი გვარი გოგაშენიდან ყოფილა მიგრირებული, რომელთა ნაწილი გარე კახეთის სოფელ გიორგიწმინდაშიც დასახლებულა. ჯავახეთიდან ყოფილან გადმოსახლებული დუშეთის სიახლოვეს სოფელ არღუნში მცხოვრები ჯავახიშვილები. მათი ადრინდელი გვარი მიქელაძე ყოფილა. ასევე მიქელაძეობას და ჯავახეთიდან მოსულობას ამბობენ სოფელ აბანოში მცხოვრებნი კოკოლაშვილები. გადმოცემით ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებული ხოვლელი ილარიონები (ადრინდელი გვარი ნუსხელაძე), ჯალალები (ძირი-გვარი ხმალაძე), დიდ თონეთელი თაქთაქიშვილები და ლონდარიძეები, ნოსტელი ხიზამბარელები (ძირი-გვარი ტატურაშვილი), თელათგორელი მუხიგულაშვილები, ფშავის სოფელ ხოშარაში მცხოვრები ნაკვეთაურები, პატარა ლილოელი ყარყარაშვილები (ადრინდელი გვარი ნიკაშაშვილი)...

ამრიგად, XV-XVIII საუკუნეებში და XIX ს-ის პირველ ორ ათეულ წელს ინტენსიური იყო ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაცია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მაჰმადიანი ქართველები თურქეთში განსახლდნენ. ასე დაიცალა საქართველოს ძირძველი პროვინცია – ჯავახეთი ქართული მოსახლეობისაგან. შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლში არაა სოფელი, რომ ჯავახეთიდან მიგრირებული ორი-სამი გვარი მაინც არ მოსახლეობდეს. ჯავახეთიდან მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაციის ძირითადი მიზეზი თურქთაგან ამ მხარის დაპყრობა და მართლმადიდებელ ქრისტიანთა ნაძალადევი გამაჰმადიანება იყო. ჯავახეთიდან გადმოსახლებულებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი ფეოდალები, რადგან მოსახლეობისაგან, მწარმოებლისაგან შეთხელებული მათი სამფლობელოები შევსებას საჭიროებდნენ. მიგრაციის ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში წახდენილი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჯავახეთიდან ქართველების გადასახლებით აქ ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია უარესდებოდა. ჯავახთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ გადასახლებებმა საქართველოს ამ კუთხისათვის კატასტროფული შედეგები გამოიღო, რასაც საბოლოოდ აქ სხვა ეთნოსების (სომხების, სექტანტი რუსების) დამკვიდრება მოყვა.

ლიტერატურა:

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1961.
2. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, ტ. II. თბ., 1948.
3. *ვახუშტი ბაგრატიონი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
4. *თეიმურაზ ბაგრატიონი*, ახალი ისტორია, თბ., 1983.
5. *ომან ხერხეულიძე*, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1983.
6. სცსსა ფონდი 254, საქ. № 542, 544.

Roland Topchishvili

ON THE MIGRATION HISTORY OF JAVAKHETI'S POPULATION
(Summary)

One of the important historical-geographical regions of Georgia - Javakheti, in the present time is inhabited mainly by the non-Georgian ethnoses. The settlement of Armenians and Russian sectants in Javakheti was carried out in 1830 and the following years. They settled in the villages having deserted by Moslem Georgians who were migrated to Turkey.

The Christian Georgians moved to East Georgia during the XVII-XVIII cc. and the first two decades of the XIX century.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

თინა იველაშვილი

მიწათსარგებლობის ფორმები სამხრეთ საქართველოში

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში არსებობდა როგორც მიწათმფლობელობა, ისე მიწათსარგებლობა. შეიძლება ითქვას, რომ მიწათმფლობელობის ფორმას შეადგენდა ოჯახის საკუთრებაში მყოფი სახნავ-სათესი, ხოლო იმ სოფელში სადაც ხეხილი ხარობდა – ბაღებიც. აღნიშნული ფორმა თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა და ოჯახის გაყოფის დროს ძმებზე ნაწილდებოდა თანაბრად. მიწათმფლობელობას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ნამზითვი მიწა (ქალისათვის მშობლების სახლიდან მზითევში გატანებული მიწა), რომელიც, ქალი ვიდრე ცოცხალი იყო, მის პირად საკუთრებას შეადგენდა, ოჯახის გაყოფის დროს წილში არ შედიოდა. ნამზითვი მიწა, დედის გარდაცვალების შემდეგ, შედიოდა საოჯახო მფლობელობაში და მხოლოდ მის შვილებს შორის ნაწილდებოდა მათი გაყრის დროს. ქალის უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში ნამზვითი მიწა მის მშობლებს უკან უბრუნდებოდა.

მიწათმფლობელობა ცოტა განსხვავებული სახით იყო საბატონო და თავისუფალ (შემდეგი კი სახელმწიფო) სოფლებს შორის. თავისუფალ სოფლებში (რომლებიც შეიძლება ითქვას საკმაოდ ბევრი იყო ჯავახეთში), მიწა ოჯახის კერძო საკუთრებას შეადგენდა, ოჯახს შეეძლო გაეყიდა, გაესხვისებინა და ა. შ. ისე რომ გარეშეს ნებართვა არ სჭირდებოდა. ხოლო საბატონო სოფლებში მიწა, მართალია, ოჯახში თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა მაგრამ მისი გაყიდვა-გასხვისება მიწის ფორმალური მფლობელის ნებართვით უნდა მომხდარიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ბექას სამართალში მითითებულია: „თუ გლეხმა მისისა პატრონის ხელჩაურთველად გაყიდოს რაიმე ანუ დაწინდოს სამამულო, მართალი არ არის, ადგილი პატრონის არის, მან კაცმან ფასი ამღებსა სთხოოს“ [6, 454].

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში ისტორიული ხანიდან მიწა უკვე კერძო საკუთრებად ითვლებოდა. ქართულ სამართლის ძეგლებში (ბექა-აღბუღას სამართალი) არაერთი მუხლი მიწით სარგებლობის, მიწის დაწინდისა თუ მისი დროებით გასხვისების საკითხებს ეხება [1, 440-441]. მიწაზე კერძო საკუთრება სამემკვიდრეო უფლების მატარებელი იყო და იგი თურქულმა კანუნნამეებშიც აისახა [5, 440-441].

სამცხე-ჯავახეთში მიწა, ძირითადად, სახელმწიფო საბატონო და საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდა და ამის მიხედვით იყო წარმოდგენილი მისი დამამუშავებელი მშრომელი ფენა (სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხები), რომლებსაც აღნიშნული მიწა (სახნავ-სათესი) მემკვიდრეობის უფლებით ჰქონდათ, მაგრამ მისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითნებურად გაყიდვა თუ გასხვისება არ შეეძლოთ.

მიწათმფლობელობის გვერდით არსებობდა მიწათსარგებლობის წესიც, რომელიც ვრცელდებოდა სასოფლო ტყეებზე, საძოვრებზე და სათიბებზე. რა თქმა უნდა, აღნიშნული ტერიტორიით სარგებლობა სოფლის ყველა მცხოვრებს შეეძლო, მაგრამ გარკვეული წესების დაცვით. აღსანიშნავია, რომ წარსულში საქონლისათვის საკვებს ძირითადად მემინდვრეობა იძლეოდა (ქერის ბზე, დოლისა და სელის ნამჯა) ოჯახს ნამჯა-ბზე თუ საკმარისი ჰქონდა პირუტყვის გამოზამთრება არ უჭირდა. მიუხედავად ამისა, ყოველი ოჯახი ცდილობდა გარკვეული რაოდენობის თივაც მოემარაგებინა, რადგან ცხვარს ზამთარში ძირითადად თივას აჭმევდა. თივა ჭირდებოდა ასევე გაზაფხულზე მოგებული ძროხებისათვის და უღელში შესაბმელი ხარებისათვის.

მართალია, ცალკეულ სოფელს, თუ რამდენიმე სოფელს, ერთად გააჩნდა საზოგადოებრივ (საერთო) სარგებლობაში მქონე გარკვეული მიწის რაოდენობა (საძოვრებისა, სათიბებისა, თუ ტყის სახით). მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო სათემო მიწები ან მისი რაიმე სახეხსვაობა, რადგან ყოველი საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები კერძო საკუთრება იყო, რომლის სარგებლობისათვის სოფელი გარკვეულ გადასახადს იხდიდა. ასე, მაგალითად, საბატონო სათიბის გათიბვის დროს ათ ძირ თივაში ბატონს ერთი ძირი ეძლეოდა, ცხრა ძირი სოფელს რჩებოდა. სოფლის მოსახლეობაში სათიბს ოჯახებზე ხშირად საქონლის რაოდენობის მიხედვით ყოფდნენ. ამ შემთხვევაში ერთი ძროხა ოთხ ცხვარს უდრიდა. ჯავახეთის უმეტეს სოფლებთან მდებარე ჭალების გაყოფის დროს 10-15 კაცს ერთად მიუზომავდნენ სათიბს. ამ ჯგუფებს ეწოდებოდა ამფას//ახჩა. საერთოდ, სოფელში რამდენი ამფაც იყო, სათიბებიც იმდენ ნაწილად იყოფოდა, რადგან გადასახადი ერთ ამფაზე მოდიოდა. თიბვისათვის ამფებად გაერთიანება დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს (შეიძლება ითქვას იდენტურიცაა) ხევსურეთში არსებულ ალღუმებად დაყოფასთან. ალღუმებად დაყოფა კი გულისხმობდა სათითების განაწილებას, რომელიც ემთხვეოდა მამებად დაყოფის პრინციპს. სოფელში რამდენი გვარიც იყო, იმდენი ალღუმი ჰქონდათ. შემდეგ კი ალღუმებს გვარის შიგნით ინაწილებდნენ [4, 74]. მკვლევართა ნაწილის აზრით, სათიბების ამგვარად დანაწილება „არის თემურ წყობილებაში მყოფი მიწების განაწილების ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ სათიბი ნაკვეთების განაწილებაში შემორჩა“ [9, 49].

ქართველ ისტორიკოსთა შორის არსებობს შეხედულება, რომ თემური მიწათმფლობელობა გამძლე აღმოჩნდა და მან მთელი ფეოდალიზმის მანძილზე შემოინარჩუნა თავი... ესა თუ ის ფეოდალი ხელს სდებდა თემს საექსპლუატაციოდ, ითვისებდა თემის მიწებს (ძალით, შეწყალებით თუ სხვა გზით) და მის წინაშე პასუხისმგებელი მთელი თემი ხდებოდა. გადასახადი მთელ თემს (სოფელს) მართებდა [2, 42-43].

მიწის განაწილების ზემოთ აღწერილი წესის „თემურ წყობილებაში მყოფი მიწების განაწილების ერთ-ერთი უძველეს ფორმად აღიარება“ მეტის-მეტ არქაიზმად მიგვაჩნია, რადგან ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გადასახადი (გადამხდელი) ამ სათიბისა (გარკვეულ ნაკვეთზე) ერთ ოჯახს ეკისრებოდა. იმდენად, რამდენადაც ერთ ოჯახს უძნელდებოდა მთლიან ნაკვეთზე დაწესებული გადასახადის გადახდა, ამიტომაც ერთიანდებოდა რამდენიმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯახი და კოლექტიურად თიბავდნენ. ამავე დროს, ამგვარი შეამხანაგება კი თავისი შინაარსით, თუნდაც წარმოშობით არ შეიძლება დაუკავშირდეს თემურ წყობილებაში არსებულ რაიმე წესს. საბატონო საძოვრების გამოყენებისას (დაქირავებისას), ფულადი გადასახადის გარდა, ყოველი ოჯახი ცხვარ-ძროხაზე ცალკე გამოსაღებს იღებდა ნატურალური პროდუქტების სახით. ასე მაგალითად, სოფელ უდეში ერთ მეწველ ძროხაზე ბატონს ერთ ოყა ერბოს აძლევდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მეწველ ძროხას ხბო მოუკვდებოდა, მისი პატრონი ამ ძროხაზე გადასახადს აღარ გადაიხდიდა.

ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ამ საზოგადოებრივ სასოფლო მიწების საკუთრებისათვის თითოეულ ოჯახსა თუ მთელ სოფელს გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა სახელმწიფოსა თუ მებატონისათვის. უკვე VII საუკუნიდან შუახანებში არაბთა მიერ გაცემული დაცვის სიგელიდან (ასეთი სიგელი დადებულ იქნა არაბებსა და საქართველოს სამთავროებს შორის) ჩანს, რომ არაბებმა თითოეულ კომლს გადასახადი დააკისრეს ერთი დინარი. ეს არაპირდაპირი მოწმობაა იმის დასადასტურებლად, რომ არაბების მოსვლამდეც ასეთ გადასახადს თითოეული მიწათმოქმედი „სახლი" (ე. ი. გლეხი) ადგილობრივ ფეოდალს უხდიდა[4, 115].

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ეს გადასახდი იყო იმ საერთო (საძოვარი, სათიბი, თუ ტყე) მიწების სარგებლობისათვის, რომლის გადაცემა გლეხის პირად სარგებლობაში არ შეიძლებოდა და რომელსაც საზოგადოებრივი სარგებლობის (მოხმარების) ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ქართულ სამართლის ძეგლებში არაერთგან დაცული ცნობაც.

გიორგი VIII შეუვალობის სიგელში (უბოძა ფილიპე ერგემაძეს, 1453 წელი) აღნიშნულია: „შეგიწყალეთ და გაგანთავისუფლეთ ყოვლისა ფერისა და სათხოვარისაგან... ჩვენგან არა გეთხოვებოდეს: არა მალი, არა ღვინო, არა საჯინიბო, არა საბალახო"...

გიორგი XI წყალობის წიგნში კონკრეტულადაა მითითებული თუ საძოვრის სარგებლობისათვის გლეხს რა უნდა გამოართვას საბალახოს ამკრეფმა (50 სულ ცხვარზე ერთი სული) [7, 453].

დასტურლამალში კონკრეტულადაა მითითებული არა მარტო საბალახე (რომელიც ცხვრის რაოდენობის მიხედვით აიღებოდა), არამედ სოფლის სიდიდის მიხედვით სამენახირეოც (მსხვილფეხა საქონლის ძოვება საერთო სარგებლობის მიწებზე) „ნახირისთავი სძეთ: დიდს სოფელს ხარი, შუთანას ძროხა, პატარას გამოზამთრებული, ამის უმცროსს ცხვარი. თუ ერთი კომლია ერთი შაური [7, 452].

ქართული ისტორიულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯუანშერის ცნობები არჩილის ე. წ. რეფორმების შესახებ, რაც გამოიხატა ერისთავთა მიერ საერისთაოების „მკვიდრად" და „სამამულო" ფლობის უფლების სანქციონირებაში, არის ფეოდალური წყობილების იდეოლოგიურად ისტორიული დაფუძნება [1, 74; 2, 90]. თუ აქამდის ერისთავები საერისთაოების უზურპატორები იყვნენ, თუ აქამდის მათ თავიანთი საერისთაოები სპარსთა და ბიზანტიელთა მკვიდრობის სიგელების წყალობით. ეჭირათ, როცა სამეფო სახლი შემცირებული იყო და ითმენდა ერისთავთა კადნიერებას, ამიერიდან საერისთაოები მათ საშვილიშვილოდ უჭირავთ თვით მეფის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდერძით, როგორც ამ მეფის ქალთა ნამზითევი ტერიტორია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არჩილის რეფორმებით მოხდა არა ფეოდალური კლასის იერარქიული სტრუქტურების ჩამოყალიბება (რომელიც უფრო ადრე უნდა მომხდარიყო), არამედ უცხო სუზერენის შეცვლა (რადგან არჩილამდე ერისთავებს მკვიდრობის სიგელები სპარსთა და ბიზანტელთაგან ჰქონდათ) ქართველით, რაც მის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. ამიერიდან ქართველი ერისთავები უნდა დამორჩილობოდნენ მეფეს და მხოლოდ ასეთი მორჩილების პირობებში მეფეს უფლება არ ჰქონდა ერისთაობა წაერთვა და საერისთაო ტერიტორია მიეთვისებინა.

არჩილის რეფორმებამდე დიდი ხნით ადრე საქართველოს ტერიტორიაზე ბენეფიციუმი უკვე ლენად იყო გადაქცეული. მიწის გამო სენიორისა და ვასალის ურთიერთობა განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ტიპიურ – „გაყოფილ“ ანუ დანაწევრებულ საკუთრების ფორმას ატარებდა. აღნიშნულის სასარგებლოდ არა ერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე მეხუთე საუკუნეში, შუშანიკის წამების მიხედვით, უნდა არსებულიყო ვასალიტეტი, რომელიც ორგანიზებული იყო კანონის ნორმებით. ამ კანონით ყველა ვასალმა იცოდა თავისი ადგილი ფეოდალურ იერარქიაში (ვარქსენი, ჯოჯიკი, ზეპურნი დედანი, აზნაურნი დიდნი და მცირენი და ა. შ.) და არსებული ვასალიტეტი გამსჭვალული იყო კიდეც მემკვიდრეობითი საკუთრების სულისკვეთებით.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, აღმოჩნდება, რომ სამხრეთ საქართველოში დაფიქსირებული საზოგადოებრივი სარგებლობის მქონე მიწები არ შეიძლება ჩაითვალოს სათემო საკუთრებად, რადგან იგი კერძო საკუთრებას შეადგენდა (სახასო, საუფლისწულო თუ საბატონოს სახით, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა) საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდიდან (ჩვენს შემთხვევაში წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით არა უგვიანეს უკვე VII საუკუნიდან მაინც).

ლიტერატურა:

1. *ბერძენიშვილი ნ.*, საქართველოს ისტორიის საკითხები VII თბ., 1975.
2. *ლორთქიფანიძე მ.*, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963.
3. *მაკალათია მ.*, მესაქონლეობა მესხეთში, „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972
4. *პაპუაშვილი თ.*, დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხები. „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 3, 1989.
5. *სვანიძე მ.*, ახალციხის ლივის კანონმდებლობა, თბ., 1968.
6. ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963.
7. ქართული სამართლის ძეგლები, II თბ., 1965.
8. *ჯავახიშვილი ივ.*, თხზ., ტ. VI, თბ., 1988.
9. ***Харадзе Р. А.***, Хевсурское Алгуми - древная форма общественно-экономического объеденения, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, თბ., 1964.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Tina Ivelashvili

KINDS OF LAND-USING IN SOUTH GEORGIA
(Summary)

Land-using in Georgia was different (arable-land, hayfield, pasture etc). In all periods of history the king, the feudal and the church had the right on the land.

But the majority of the population _used the definite rule and paid both money and in kind for using it.

The research showed that the common lands in South Georgia can't be regarded as the property of the community.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ზურაბ კუტალეიშვილი

ნაოსნობის შესახებ მესხეთში

ქართულ ნაოსნობასთან დაკავშირებულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებზე გამოკვლევებით ჩვენი მკითხველი განებივრებული არ არის. აღნიშნული ხარვეზის შევსება ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, როცა გამოქვეყნდა მ. გეგეშიძის, თ. ჩიქოვანის, ჭ. ნიკოლაიშვილის, ზ. თანდილავას, თ. ბერაძის, ც. ნარაკიძის, პ. ცხადაიას, მ. ბერიძის, ზ. კუტალეიშვილის და სხვათა სტატიები თუ მონოგრაფები.

ნაოსნობასთან განუყოფელია „ზღვისპირელთა" მეურნეობა და კულტურული განვითარება, დასახლების პრობლემა, ნავსაყუდლები, ხალხური ნავიგაციური ხელოვნება, მეთევზეობის ადგილი მეურნეობაში, წყალთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, ტერმინოლოგია... ამდენად, ნაოსნობა - მეთევზეობა საკმაოდ მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი და მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი არ იქნება ნებისმიერი ზღვის კიდეზე მდებარე ქვეყნის ისტორია. გამონაკლისი არც საქართველოა [4, 44; 5, 11].

ჩვენი ხალხის მაღალდაწინაურებას საზღვაო საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად მოწმობს ის მდიდარი და მრავალფეროვანი სანაოსნო ტერმინოლოგია, რაც ზღვისპირზე უწყვეტმა ცხოვრებამ და აქედან გამომდინარე ზღვაოსნობის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ დააყენა და ქართველურმა ენებმა დღემდე შემოგვინახა [7]. ამასთან, ზღვისპირზე ბინადრობამ და საერთოდ წყლიერმა გარემომ დიდი როლი შეასრულა ქართველების ეროვნული და ფსიქოლოგიური ხასიათის, სულიერი და მატერიალური კულტურის ფორმირება-განვითარებაში.

ქართული ნაოსნობის შესახებ წერილობითი ცნობები ძვ. წ. I ათასწლეულიდან მოგვეპოვება. არქეოლოგიურ-ეთნოლოგიური მონაცემებით კი საქართველოს ზღვისპირეთში დასახლების ფორმები ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანიდან დასტურდება, ხოლო შემდეგში აქ შეიქმნა წყლიერი ტრანსპორტის ის უძველესი ტიპი, რომელიც ჩვენში „ნიშის" (ნუშა, ნიშა, მორა, ვარცლი) სახელწოდებითაა ცნობილი (ქსენოფონტე, ჰიპოკრატე, და სხვები ნავის ამ სახეობის მესხთა წინაპრებში ფართოდ გავრცელებაზე განსაკუთრებით უსვამენ ხაზს...) და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთშიც) ამ ბოლო დრომდე გამოიყენებოდა შიდამეურნეობრივი სამუშაოებისათვის... ამას გარდა, უცხოურ და წერილობით ძეგლებსა თუ ხალხურ მეტყველებაში უხვად შემონახული სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ნავების, მისი ცალკეული ნაწილების, ქარების, დინებების თუ საზღვაო მარშრუტების და ზღვა - ტბა -

მდინარის მფარველი ღვთაებების აღმნიშვნელი მდიდარი და მრავალფეროვანი ორიგინალური ტერმინოლოგია, ასევე ქართული ნაოსნობის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციების მაჩვენებელია. მართლაც, მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, ჩვენმა ენამ დღემდე შემოგვინახა ნაოსნობა - მეთევზეობის მეტად მდიდარი ლექსიკა, რომლის 60%-ზე მეტი ქართველური წარმოშობისაა, თუმცა, ნაწილი უცხოენოვანიცაა, რაც ბუნებრივი მოვლენა გახლავთ (შედარებისათვის: რუსული საზღვაო ტერმინოლოგიის 90%-ზე მეტი უცხოენოვანია...) აქ დავასახელებთ ქართველურ სანაოსნო სიტყვათა მხოლოდ ნაწილს: აფრა, ბაგე, ბადე, ელესა, ელე, თეთროსანი, კოლხური კამარა, ლარსა, მესეფი, მოსხური ნავი, მხერვალი, ნიშა, ოლეჭკანდერი, ოჩხომელი, საღლაპუნა, საჭე, სიო, ღუზა, შეშაჲ, ჭირნაღი, ხერხემალი, ჯუნდა და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ზღვისპირეთში და შიდა წყლებში დამოწმებული და არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია კონსტრუქციისა და ფუნქციის მხრივ განსხვავებული ნავები. მაგალითად, რიონის აუზში გავრცელებული ნერჩბრტყელა და გვერდებგაშლილი „ოდიშური ნავი“ (ნახ. 1) დიდად განსხვავდება არა მარტო საზღვაო (ღერძიან‖ხერხემლიან‖კილიან), მრგვალძირა, ე. წ. „ჭანური (ლაზური) ნავისაგან“ (ნახ. 2), არამედ ჭოროხზე (ნახ. 3 და 4), მტკვარზე, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში, ალაზანზე, ხობზე და პალიასტომზე (ნახ. 5 და 6), ძველ კოლხეთში (ნახ. 7 და 8), ამ უკანასკნელ დრომდე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში (ისტორიული კოლხეთი) არსებული ნავებისაგანაც (ნახ. 9). ამასთან, სათევზაოდ, ტვირთის გადასატანად, ზღვის ცხოველებზე სარეწაოდ თუ მგზავრთა გადასაყვანად ჩვენში უძველესი დროიდან ვიდრე დღემდე გამოიყენებოდა და გამოიყენება შესაბამისი ტიპის წყლიერი ტრანსპორტი და ტივ-ბორანი (იხ. რუკები). ამ ნავთაგან კონსტრუქციითა და ფუნქციით მკვეთრად განსხვავდება მოსინიკური (resp მოსოხური‖მოსხური, ჰენიოხური) სამხედრო-საზღვაო ხომალდი შავსა და ხმელთაშუა ზღვებში, რომელიც კოლხური კამარას სახელითაც არის ცნობილი (სტრაბონი, ტაციტუსი, ჩელები...) მის მემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენში და ბიზანტიაში (საგულვებელია სხვაგანაც) ფართოდ გავრცელებული საბრძოლო ნავი კატარღა, რომელსაც მოწინააღმდეგის ხომალდის ჩასაძირად უკეთდებოდა რკინის სახნისი (ამ ტიპის ხომალდიც და სახელწოდებაც ჩვენში პირველად „ვეფხისტყაოსანში“ არის ნახსენები). აღსანიშნავია, რომ რუსთაველის მიერ საზღვაო ბრძოლის („ნავი მეკობრე“, მეკობრეებთან ავთანდილის ურნალიანი ხომალდით შეჯახება...) დეტალურად აღწერა, მუსონების, დინებების, ციური სხეულებისა და, საერთოდ, ზღვაოსნობაზე საკმაოდ სრულყოფილი წარმოდგენა, დასტური გახლავთ შუა საუკუნეების საქართველოში საზღვაო საქმის მაღალ დაწინაურებისა, რომლის ფესვები ღრმა ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს.

მართლაც, როგორც ცნობილია, ნაოსნობისას ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია დროის ზუსტი განსაზღვრა, რომლის შესახებ საკმაოდ ორიგინალური ცოდნა ხალხის მეხსიერებამაც შემოგვინახა. ეს და სხვა ამ რიგის ხალხური, ემპირიული გზით მიღებული გამოცდილება ჩვენმა დიდმა წინაპრებმა სათანადოდ გამოიყენეს კიდეც, რის დასტურადაც, ალბათ, შოთა რუსთაველი და საბა ორბელიანი სავსებით საკმარისია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოთქმულის დასტური გახლავთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მათ შორის, მესხეთ-ჯავახეთსა თუ შავშეთ-კლარჯეთში შემონახული კოსმიურ სამყაროზე დაკვირვების შედეგად არსებული ხალხური მონაცემები. აღნიშნულ მხარეში (resp ძველ კოლხეთში), როგორც ზღვაოსნობაში მაღალდაწინაურებულ რეგიონში, ვარსკვთმრიცხველობის დარგიც, შესაბამისად, საკმაოდ განვითარებული სჩანს, რასაც ამაგრებს ქართველურ ენებში არსებული მდიდარი და ორიგინალური ასტრალური ტერმინოლოგია. ერთი ასეთია, მაგალითად, „მემარაგე" (მესტროლაბე) – ნაოსნობისას ხომალდის მარშრუტის წინასწარ მცნობელი და დროის განმსაზღვრელი ცაზე ვარსკვლავების განლაგების მიხედვით: „ჩვეულებაᲘ აქუთ მენავეთა ცად მიმართ ხედვად (ჭვრეტად) – ვკითხულობთ ერთ ძველ ხელნაწერში [2, 231]. „მემარაგეთა", საგანგებოდ ამ საქმიანობაში დასპეციალებული პირებისა და მათი წინასწარმეტყველების შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინების (მაგ: „იცის მარაგის", „მარაგით ზრახვის", აგრეთვე, „მეხომის", „მხერვალის", „მეჭოგრიონის"... შდრ. საბასეულ რწყვის მარეგულირებელ მზის საათს – „ჭორტ-ს, რომლის სინონიმად მას „ქვაკაცი" მიაჩნია) და მისთანანის არსებობა, ასევე დასტური გახლავთ აღნიშნული საქმიანობის საკმაოდ დაწინაურებისა ძველ კოლხეთსა და საერთოდ, მთლიანად საქართველოში. ამასთან, მზის საათების ქართული სახელწოდება ჭორტი (შდრ. დაღესტნ. ჭვი) აშკარად ახლოსაა მხედველობისას წარმოებული მოქმედების აღმნიშვნელ ქართულ ცნებებთან, როგორიცაა, მაგალითად, ჭვრეტა და ჭვირვა. (შდრ.: ხედვა, ცენა, მზერა, ცქერა, ჭვირობა). „ჭორტი" და „ქვაკაცი" საბას სინონიმებად მიაჩნია („ჭორტი-ქვაკაცა? აგებული ნიშნად"). მართლაც, მესხური ჭორტი – მზის საათი და ჭორტის სინონიმად განმარტებული ტერმინი ქვაკაცა, მესხური დარბაზის გვირგვინის ასტრონომიული კალენდრის არსებობა, ნათელს ხდის საბას ლაკონური განმარტების სიზუსტესა და მართებულობას და ახსნას უძებნის საქართველოს მთიანეთში ნაგები ქვაკაცების თუ ქართლური ჭორტების ზირიტად – ნამდვილ დანიშნულებასაც [3, 104].

რუსთაველიც ცის მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვების პროცესს სწორედ ჭვრეტას უწოდებს (ჭვრეტის მოქმედს პოეტი მჭვრეტელად მოიხსენიებს, რომელიც ამ მიზნით მაღალ მთაზე უნდა ავიდეს და იქიდან მოახდინოს დაკვირვება ციურ სხეულებზე – იქეთგოროს... [1]. შდრ.: ნავმშენებლის ნავის ამგის შესატყვისად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხმარებულ ცნებას – „ნავის მოქმედი", რომელიც ასევე ხალხური მეტყველებიდან დამკვიდრდა მწერლობაში.

ამგვარი ხალხური მზის საჭვრეტი მოწყობილობანი მესხთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მრავალგან დასტურდება. მაგალითად, სოფ. ჭობარეთში (ასპინძის რაიონი) დამოწმებული მზის საათი ჩვეულებრივ კალოზე ჰქონდათ გამართული (ხეზე ამოკვოდვილი), მესხური დარბაზის გვირგვინზე აღრიცხული წლიური კალენდარი რომლის მსგავსია სოფ. დოლის – ყანის ეკლესიის კედელზე გაკეთებული კალენდარი და სხვა, რომელთა ანალოგები საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის ცნობილი (მაგ.: სვანეთის ეკლესიებსა და კოშკებზე, გელათსა და ანანურის ეკლესიებზე, სვეტიცხოველზე და ა. შ. ამოკვეთილი მზის საათის მაჩვენებლით რწყვის შემორჩენილი ნიმუშები. [3,100-104; 6].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, აქ მოტანილი მასალა მესხური ხალხური ვარსკვლავთმრიცხველობა-მემარგეობიდან მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი ხალხის იმ დიდი ცოდნა-გამოცდილებისა ნავიგაციურ ხელოვნებაში, რაც ჯერ კიდევ შეიძლება სისტემატური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტი გახდეს. მართლაც, ვარსკლავთა კრებულების სხვადასხვა ჯგუფი (მაგ.: ქარავნის ვარსკლავები, ხარგუთნეული გუთნის დედისა, სადილის მიმტანი ქალის, ფინია, ძაღლისა და მგლის გამოსახულებებით, ხარიპარიები, ბალახის ვარსკლავი, ცისკრის ვარსკლავი...), მათი გამოჩენის, დგომისა და გადაადგილების გზები და ვადები, მათთან დაკავშირებული დროისა და ამინდის აღრიცხვის ცოდნა, მთვარისა და მზის ლიბრი და სხვა მრავალი დაკვირვება ცის სამყაროზე, რაც ნაოსნობასთან უშუალოდაა დაკავშირებული, ჯერ კიდევ მრავალ ახსნას გვპირდება ქართულ ვარსკლავთმრიცხველობის სათანადოდ შეცნობისათვის [3, 107].

ამგვარად, წყლიერი სივრცეები არსებული მარშრუტებით და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებითა თუ აქვაფაუნით აპირობებდნენ ქართველი ხალხის ცხოვრების არა ერთ მხარეს, ხოლო ორ ზღვას შორის მდებარეობამ აზია-ევროპის გასაყარზე ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყანა ორი დიდი ცივილიზაციის – აღმოსავლეთისა და დასავლეთის – შესაყარ-შემაერთებლად ქცეულიყო. ამ პროცესის აქტიური მონაწილე და შემოქმედი გახლდათ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი, მაგრამ ასევე ყველაზე მეტად წამებული კიდეუბანი– მესხეთი, რმლის აღზევების საქმეში თავისი წვლილი ნაწილ-ნაწილ სემოიტანეს კულტურისანმა ხალხებმაც (მიტანელებმა, ხეთებმა, ფინიკიელებმა, ბერძნებმა...), ისევე, როგორც მის დაქცევაში – ბარბაროსებმა, მიუხედავად ამისა, მესხური კულტურა, როგორც კოლხურ-იბერიული ეთნოსის შემადგენელი ნაწილი და შავი ზღვის რეგიონი, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთს ნახევარძმად ერგება, მაინც გადაურჩა სრულ განადგურებას. თუმცა, ამასთან ერთად, ექსცენტრიულმა მდებარეობამ მესხეთის დაწინაურებაც ფრიად დააყოვნა და ნაადრევად დანმჭკნარი, ბედს, მომავალში აუცილებლად ეწევა, რადგან მისი კულტურის მაცოცხლებელი მთავარი არტერია (კოლხეთ-იბერია-საბერძნეთის სახით) ისევ ჰჩქეფს. ამის იმედს, ქართული ნავიგაციური ხელოვნების შესახებ აქ მოტანილი ეს მცირე მასალაც იძლევა, რომელიც მესხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვა, მსგავსს თუ განსხვავებულ მეცნიერებისათვის მეტად ღირებულ ფაქტებთან და მინაცემებთან ერთად, ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას.

ლიტერატურა:

1. *შოთა რუსთაველი*, ვეფხისტყაოსანი. თბ., 1937.
2. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. მასალები. თბ., 1937.
3. *ბედუკაძე ს.*, დროის განსაზღვრის ხალხური სისტემა და მისი ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში". – კრ. შოთა რუსთაველი. თბ., 1968.
4. ***Берадзе Т.***, Мореплавние и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989.
5. *კუტალეიშვილი ზ.*, ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. ***Марр Н.,*** Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. Тексты и разискания по Армяно-Грузинской филологии, кн. II. СПб., 1911.
7. *ორბელიანი სულხან-საბა,* ლექსიკონი ქართული, I-II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებატა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1966, 1993.

Zurab Kutaleishvili

ABOUT BOATING IN MESKHETI
(Summary)

The work is based on the collected ethnographic materials and written sources. It is the first ethno-linguistic research work about this question. The condition and the character of boating is one of the highest indices of this field in Georgia (in Meskheti) from the old times.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. 1

ნახ. 4





ნახ. 5

ნახ. 2



ნახ. 6



ნახ. 3



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ლია მელიქიშვილი

ეთნოკონფლიქტი და საზღვრისპირა ეთნოუმცირესობა
(სეპარატიზმი და ირედენტიზმი)

საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მრავალეროვანი სახელმწიფოა. მის ტერიტორიაზე, საუკუნეების მანძილზე, თავს იყრიდა სხვადასხვა მიზეზით გადმოსახლებული არაქართველი მოსახლეობა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით, აქ ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის ათამდე-კომპაქტურად დასახლებული, რომლებმაც დომინატური ეთნოსის ტერიტორიაზე შექმნეს „ეთნოუმცირესობათა მიკროკუნძულები" (ტერმინი პირობითია). აქედან რამდენიმე მათგანი საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლშია მოქცეული თავისივე ეროვნების ხალხით დასახლებულ სახელმწიფოების მეზობლად. მაგალითად: ჯავახეთში-სომხებით დასახლებული ტერიტორია ესაზღვრება სომხეთს; ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი-აზერბაიჯანს; შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია – ალანიას (ჩრდილო ოსეთი) რესპუბლიკას, პანკისელი ქისტები (ვაინახები) – ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიას; დაღესტნელები (ავარიელები) – დაღესტანს. ასეთ „კუნძულებს" პირობითად I ინოეთნიკური ტიპი ვუწოდეთ. ზოგიერთი არაქართული ეროვნების ჯგუფი კი დაშორებულია თავის ეთნოსს, რადგან მათი ისტორიული სამშობლო უშუალოდ არ ესაზღვრება საქართველოს და ამ ჯგუფების წარმომადგენლები კომპაქტურად და დისპერსიულად სახლობენ რესპუბლიკის შიდა რეგიონებში-ესენი არიან ბერძნები, ასიერელები, ქურთები და სხვა. მათ პირობითად ვუწოდეთ II ინოეთნიკური ტიპი. (არცერთ ამ ტიპს არ მიეკუთვნება აფხაზეთი, თუმცა მისი სასაზღვრო მდებარეობა სეპარატისტული პრეტენზიების ერთ-ერთი ხელშემწობი ფაქტორია. ამასთან, პოლიტიკურ ორიენტაციას იღებენ არა მონათესავე ეთნოსზე, არამედ რუსეთზე. იგი უფრო შუალედურ ტიპს წარმოადგენს).

I ინოეთნიკური ტიპის დასახლებები ავსებენ რესპუბლიკის ბუფერულ ზონებს.

მშვიდობიანობის დროს, ბუფერული მოსახლეობა კარჩაკეტილი და თითქოს მოწყვეტილია სახელმწიფოს საერთო ცხოვრებისაგან, მაგრამ დაძაბულ სიტუაციაში მათი როლი მკვეთრად იზრდება. ისინი ხელს უწყობენ კონფლიქტის შერბილებას ან ორ ეთნოსს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. თუმცა, რიგ შემთხვევაში, I ტიპის ეს კუნძულები შეიძლება თავად იქცეს არეულობის ინიციატორად.

საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ დაძაბული კერები სწორედ I ტიპის რეგიონებში გაჩნდა, იქ, სადაც მოსახლეობა თავის თავს მოსაზღვრე სახელ-

მწიფოში მცხოვრები ხალხის მონათესავედ თვლის, თუმცა, ხშირად, ისინი იმ ქვეყნის ძირძველი მოსახლენი არ არიან.

II ტიპის მოსახლეობისაგან არ არის მოსალოდნელი ღია კონფლიქტის გაჩაღება.

I ინოეთნიკური ტიპის ანუ სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა მისწრაფება ახალი იდენტურობის მოპოვებისაკენ შედარებით ადვილი განსახორციელებელი იყო. მათი წარმოდგენით-გამოეყოფოდნენ საქართველოს, შეცვლიდნენ საზღვრებს და შეუერთებოდნენ მონათესავე რესპუბლიკას, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიმართ (იგი გაიგავებული იყო საბჭოთა კავშირთან) ჯერ კიდევ არ იყო ოპოზიციურად განწყობილი. ადვილი მისახვედრია, რომ ამას მოჰყვებოდა ეთნოტერიტორიული კონფლიქტები, რომელიც შემდგომ შიდა ომში გადაიზრდებოდა. ამ სავარაუდო კონფლიქტში, გამორიცხული არ არის გარეშე ძალების შენიღბული ჩარევა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ასეთი ღია კონფლიქტი მოხდა მხოლოდ ორ რეგიონში (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი), ხოლო ორი, პოტენციურად კონფლიქტური რეგიონი (ჯავახეთი და ქვემო ქართლი) ამ გზას არ დაადგა, რასაც თავისი ახსნა აქვს.

სასაზღვრო ტერიტორიული კონფლიქტები მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი ეთნიკური უმცირესობა „რისკის ფაქტორს" მიეკუთვნება.

მეცნიერებაში ცნობილია ასეთი დაპირისპირების რამდენიმე სახე. მაგალითად, ამერიკელი პროფესორი დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს ამგვარი მოვლენის ორ სახეს. ესაა „სეპარატიზმი და ირედენტიზმი" [1]. სეპარატიზმს ის განსაზღვრავს, როგორც „ჯგუფისა და მის მიერ დაკავებული ტერიტორიის იმ სახელმწიფოს იურისდიქციიდან გამოსვლას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ეს ჯგუფი, ხოლო ირედენტიზმი არის ეთნიკურად მონათესავე მოსახლეობისა და სასაზღვრო ტერიტორიის გაერთიანება და შეერთება იმ მონათესავე სახელმწიფოსთან, რომელიც მზად არის, იგი შეიერთოს. სეპარატიული გზით იურისდიქციიდან გამოსვლას ჩვეულებრივ მოჰყვება ახალი სახელმწიფოს შექმნა, ხოლო ირედენტიზმის შედეგი არის გარკვეული ტერიტორიის მიერთებაანექსია იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც მზად არის შეიერთოს ესა თუ ის ჯგუფი. მაგრამ ეს არ არის უბრალო ანექსია; ამგვარ ანექსიას საფუძვლად ეთნიკური ნათესაობა უძევს [2,145].

საქართველოში არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ექვსი სასაზღვრო რეგიონია: აფხაზეთი, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი ე. წ. სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა და ყვარლის რაიონი.

ამ ექვსი რაიონიდან პოტენციურად შეიძლება ყველგან გაღვივებულიყო კონფლიქტი. რეალურად კი მაღალი რისკის მატარებელი მხოლოდ ოთხია, ხოლო დანარჩენ ორში ღია კონფლიქტი მოსალოდნელი არ არის, თუმცა ყოფითი და სოციალური საკითხები იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც, შესაძლოა ხშირად ეთნიკური კონფლიქტის სამოსელში გახვეული მოგვევლინოს. ოთხიდან ორ რეგიონში (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) ჩამოყალიბდა ღია კონფლიქტი, ხოლო ორში - ქვემო ქართლში-აზერბაიჯანელებმა და ჯავახეთში სომხებმა-საქართველოში განთავისუფლებული მოძრაობის დასაწყისიდა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნვე წამოჭრეს ამ რეგიონის საქართველოდან გასვლის და მეზობელ რესპუბლიკებთან შეერთების საკითხი.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა პოლიეთნიკურ სახელმწიფოს, მოსაგვარებელი აქვს სასაზღვრო ზოლის საკითხი, რისთვისაც საჭიროა გეგმაზომიერი, კარგად გააზრებული პოლიტიკის გატარება, რადგანაც ეს რეგიონები ყოველთვის იქნება დაძაბულობის რისკის მატარებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ექვსი რეგიონიდან ოთხი, მაღალი რისკის შემცველია. მდგომარეობა ამ რეგიონში შეიძლება ასე დავახასიათოთ: მაღალი რისკის მქონე ორ რეგიონში (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) მოხდა ღია კონფლიქტი, ორ რეგიონში კი (ჯავახეთი, ქვემო ქართლი) წინასაკომფლიქტო სიტუაციაა (ტერმინი პირობითია), ხოლო ორი რეგიონის მოსახლეობა (ყვარლის რაიონში ლეკები და პანკისის ხეობაში ქისტები) არ არის ღია კონფლიქტის რისკის მატარებელი, ე.ი. ორის წინასაკონფლიქტო სიტუაცია შეიძლება, გარკვეული მიზეზის გამო, გადაიზარდოს ღია კონფლიქტებში, ხოლო ორ, რისკის არშემცველ, რეგიონში თითქმის გამორიცხულია ღია კონფლიქტი. მაღალი რისკის მატარებელ რეგიონებში (I ტიპი) მოსალოდნელია როგორც სეპარატისტული, ისე ირედენტული კონფლიქტი, რასაც შემდეგი ფაქტორები უწყობს ხელს;

1. კომპაქტურად დასახლება სასაზღვრო ზოლში;
2. მონათესავე ეთნოსის, თანამემამულე ქვეყნის უშუალო მეზობლობა;
3. ეროვნული უმცირესობა პოტენციურად სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობის არც თუ მცირე ნაწილია;
4. აქვთ თავისი ტრადიციული კულტურა, ენა, თვითშეგნება, თვითდასახელება;
5. დომინირებული არიან მიკრორეგიონში;
6. აქვთ ავტონომია ოფიციალური მმართველობით;
7. რეგიონის მმართველობის შემადგენლობა ეთნიკურობით განისაზღვრება;
8. საერთოდ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტი სეპარატისტულ კონფლიქტად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა თავიდან მასაც ირედენტიზმის სახე ჰქონდა. იგი ხან მეზობელ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციას ეყრდნობოდა, ხან რუსეთს უერთდებოდა, მაგრამ ბოლოს სეპარატისტული სახე მიიღო, რადგანაც ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის პრეტენზია გაუჩნდა. დანარჩენ სამ რეგიონში ირედენტული კონფლიქტია ანუ მოსახლეობის გარკეული ნაწილი ამჟავნებს სურვილს შეუერთდეს მეზობელ მონათესავე ქვეყანას, ამათგან ერთში მოხდა ღია კონფლიქტი, ხოლო ორი დანარჩენი აღნიშნულ პრეტენზიებს პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო აღარ აცხადებს, მაგრამ პოტენციურად ირედენტული კონფლიქტის კანდიდატია.

ვნახოთ, რა ხდება დანარჩენ ორ რეგიონში (პანკისის ხეობა და ყვარლის რ-ნი). აქ ღია კონფლიქტი, როგორც ვთქვით, არ არის მოსალოდნელი და არც მაღალი რისკის კონფლიქტური სიტუაციაა, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ხელშემწყობი ფაქტორები აქაც ისეთივეა, როგორც დანარჩენ რეგიონებში, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ისინი პროცენტულად სახელმწიფოს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს

შეადგენენ და, ამასთანავე, უშუალოდ მეზობელ, მონათესავე რესპუბლიკასთან კომუნიკაციის საშუალება შეზღუდული აქვთ, კავშირი მყარდება მხოლოდ მთებზე გამავალი საცალფეხო ბილიკებით. მაგრამ აქაც, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებული ეთნოპოლიტიკური ვითარებაა, რომელიც უფრო მეტად საინტერესოა მეცნიერთათვის, ვიდრე პოლიტიკოსებისათვის. ამ პროცესების მეცნიერული შესწავლა კი მომავალში აუცილებლად დადებითად წაადგება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს.

ამგვარად, სასაზღვრო ზოლში ბინადარ ეთნიკურ უმცირესობაში კონფლიქტური სიტუაცია პირობითად ორი სახისაა: მაღალი რისკის და დაბალი რისკის მატარებელი. მაღალი რისკის მატარებელი ჯგუფები პოტენციურად ღია კონფლიქტის კანდიდატები არიან (ოთხი რეგიონი), ხოლო დაბალი რისკის მატარებელთა კონფლიქტი ძნელად თუ გადაიზრდება ღია კონფლიქტში (ორი რეგიონი). მაღალი რისკის მატარებელ ჯგუფში კონფლიქტი თავის მხრივ შეიძლება ორი სახისა იყოს: 1. სეპარატისტული (აფხაზეთი); 2. ირედენტული (სამხრეთ ოსეთი) და პოტენციურად ღია კონფლიქტის მატარებელი ქვემო ქართლი - აზერბაიჯანელი მოსახლეობით და ჯავახეთი – სომხური მოსახლეობით. ოთხივე რეგიონი დასაწყისში მაღალი რისკის შემცველი იყო, თუმცა ორ მათგანში ღია კონფლიქტი არ მომხრდარა და შეიძლება არც კი მოხდეს, თუ მას არ შეექმნება საამისო პირობები.

ეთნოკომფლიქტს ყოველთვის იწყებენ დესტრუქციული ელიტარული ელემენტები, რომლებიც ხალხით მანიპულირებისათვის იყენებენ ეთნონაციონალიზმს. მასები ამ დროს არ გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე, ისინი მხოლოდ კონფლიქტის მომდევნო ეტაპში იღებენ მონაწილეობას. ამგვარად, ეთნიკურობა შეიძლება არც კი იყოს კონფლიქტის დაწყების ძირითადი მიზეზი. კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად მას შემდეგ ჩამოყალიბდება, როდესაც მასები მიიღებენ მასში აქტიურ მონაწილეობას. კონფლიქტის დაწყებაცა და მისი თავიდან აცილებაც, ამდენად, მოგვარებაც, ძირითადად ელიტარული ძალების კომპეტენციაშია.

შენიშვნა:

1. ირედინტიზმი - [იტალ irredentismo||ireredento - გაუთავისუფლებელი, უცხო ბატონობის ქვეშ მყოფი]-მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 ს-ის დასაწყისის იტალიაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიელებით დასახლებული სასაზღვრო მხარეების (ტრიესტის, ტრენტინოს და ა. შ.) იტალიასთან შეერთებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ირედენტიზმი შეერწყა ფაშიზმს. მართალია, ტერმინმა „ირედენტიზმმა“ დღეს პოლიტიკურ თუ პოლიტოლოგიურ წრეებში პოპულარობა ვერ მოპოვა, მაგრამ ჩვენ ასეთი დაყოფა მართებულად მივიჩნიეთ, რაც თავისთავად საქართველოში კონფლიქტური სიტუაციების უკეთ აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

2. Горовиц Д., Ирредентизм, сепаратизм и самоопределение, в сб.: "Национальная политика в Российской федерации", М., 1993.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Lia Melikishvili

ETHNO-CONFLICT AND ETHNIC MINORITY INHABITING ACROSS BORDER
(separatism and irredentism)
(Summary)

Like many other countries, Georgia is a multinational state. Over the centuries, representatives of various nationalities came to settle here. According to the 1989 census, there were several dozens of ethnic groups here, up to 10 of which lived in densely populated enclaves. They created what may be conventionally termed as "microislands or islets of ethnic minorities". Some of such islets were located in areas bordering on other countries where the population on the other side of the border was ethnically identical. Such as, for instance Armenian settlements in Djavakheti which border on the territory of Armenia; the Azeris in Kvemo Kartli live close to the border with Azerbaijan; the Ossetians in Shida Kartli live close to the border with North Ossetia (Alania); the Kistins (the Chechens) live close to the Georgian border with Chechnya (the Republic of Ichkeria); the Arwars live in areas bordering on Daghestan. We conventionally describe the denizens of such "islets" as "the first alien ethnic type". Some groups of non-Georgian population are isolated from their ethnos to a greater extent, because their historic motherland does not border on Georgia. Representatives of such groups live in compact settlements dispersed over considerable areas in inner Georgia: these are Russians, Greeks, Assyrians, Kurds and others. They may equally conventionally be termed as "the second alien ethnic type".

The recent developments in Georgia show that "tension spots" erupted precisely in the areas of the first type, i. e. where the inhabitants regarded themselves related to the population of the neighbouring states and tended to reunify with it, although more often than not these inhabitants are not aborigines of these places. As for the population of the "islets" of the second type, an open conflict can scarcely be expected to break out there.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ნინო მინდაძე, ნინო ჩირგაძე

სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამედიცინო კულტურის ისტორიისათვის

ისტორიული მესხეთი წარსულში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული მხარე იყო. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და მაღალი კულტურით დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში.

„მესხეთის მაღალი კულტურა შესანიშნავ ნიადაგს ქმნიდა სამედიცინო აზროვნების განვითარებისათვის. აქ იყო კერა ისეთი მნიშვნელოვანი სამედიცინო სატაძრო კულტურის ტენდენციებისა, როგორიცაა ხანძთა (ტაო-კლარჯეთში), სადაც გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდა, აგრეთვე ხანძთის მიერ დაქვემდებარებული მონასტრები, მაგ., საბაწმინდის ქართველთა ლავრაში განსწავლულნი იყვნენ და მკურნალობას ეწეოდნენ“.

„ისეთი უნიკალური კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი, როგორიცაა ვარძია, სწორედ ამ მხარეში იყო აშენებული. ვარძიას „წამლის სასახლეს“ ეძახიან, რადგან აქ აფთიაქი იყო მოთავსებული. ასევე აღსანიშნავია ვანის ქვაბის მონასტერი, რომელშიც იყო სასნეულეც, რომლის წესდება ითვალისწინებდა „სნეულთა და უძლურად მყოფთა ძმათათვის“ მესნეულის თანამდებობას, დღეში სამჯერ სნეულთა „შემოვლას“ და მათ „უშურველ“ უზრუნველყოფას კვებით და სხვა ყოველგვარი საჭიროებით“ [14, 127].

ზემოხსენებული ციტატები მესხეთში მაღალგანვითარებულ ოფიციალურ მედიცინაზე მეტყველებს. ამავე დროს სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ხალხური სამედიცინო კულტურა.

სამცხე-ჯავახეთი ჯანსაღი ჰავით გამოირჩეოდა, რაზეც მეტყველებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „რამეთუ ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანანი უდაბნოთაი მათ და კეთილად შეზავებულ მზისგან და ჰაერისა რამეთუ არცა ფრიადი სიცხეი შესწვავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა... არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიო, უხორშაკოი, უმიწოი, მზვარეი. რამეთუ კაცთა ნახჭნი ფერხთანი არაოდეს თიხიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაი ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული მათ შინა, ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამითაი. ბუნებით მხიარულებაი მიცემულ არს ღმრთისაგან“ [7, 245].

იგივეს გვიმოწმებს ვახუშტიც: „... ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, ცოდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშიანი, მდინარიან-წყაროიან ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თჳნიერ აგარაკთა. ჰავით მშვენი და კეთილი, არამედ ზღის კიდეთა არა ეგრეთი". [2, 120]

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ა. ფრონელი: „მთელ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი საღი ჰავა როგორიცაა ამ მხარეში, რომელიც ჯანმრთელობისათვის მეტად მარგებელია. ასევე ის აღნიშნავს, რომ ეს მხარე მდიდარია სამკურნალო წყლებით" [10, 116]. იგივეს გვიმოწმებს კ. გვარამაძე გაზეთში „ჯვარი ვაზისა", სადაც წერს, რომ „თუმცა ჰავა ხმელი და მარგია ჯავახეთში, რის გამოც ციებ-ცხელებას, მუცელ-კეთილს და მასთან მავნე ჭირს ნებას აცილებული არიან ჯავახეთში, რაიცა ჭაობიან ადგილებში მკვიდრთ უსპობს სიცოცხლესა..."

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამცხე-ჯავახეთში მაინც იყო გავრცელებული მთელი რიგი სხვადასხვა დაავადებანი, რაზეც მეტყველებს ეთნოგრაფიული მასალა. ეს დაავადებებია: კანის, კუჭ-ნაწლავის, ყელ-ყურ-ცხვირის, ბავშვთა ინფექციური და სხვა.

ამ დაავადებათა სამკურნალოდ მოსახლეობა უპირველეს ყოვლისა იყენებდა ადგილობრივ ბუნებრივ საშუალებებს, ასე მაგალითად, სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებს, მაგ., მრავალძარღვას [Plantago major], მარმუჭს [Alchemilla], ასკილს [Rosa canina], მოცვს [Vacciminium mgrillus], და სხვა. განსაკუთრებით გავცელებული იყო ბაქმაზი, სხვადასხვა ხილისაგან უმეტესად კი თუთისაგან) დადუღებული ტკბილი წვენი, რომელსაც ხშირად ხმარობდნენ სხვადასხვა დაავადებების დროს, მაგალიად, ყელის, ღვიძლისა და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთი მდიდარია სამკურნალო წყლებით, რის შესახებაც საყურადღებო ცნობას გვაწვდის ვახუშტი. იგი წერს: „არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, რომელსა უწოდებენ ოცხეს. ზედა არს შენი აბანო და ბანაობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნავს ქართ დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან" [2, 126]. ამავე საკითხს ეხება ვ. ანანოვის ნაშრომი, სადაც იგი წერს, რომ აბასთუმნის წყალი და აქაური კლიმატი ძველთაგან იყო ცნობილი; არსებობს თქმულება, რომ ამ განთქმულ წყლებში ბანაობდნენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებში დაუძლურებული მეომრები [1].

განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობდა სამკურნალო წყლებს და მათ სხვადასხვა დაავადებების დროს იყენებდა. ცნობილი იყო ასპინძის, ნაქალაქევის, თმოგვის, აბასთუმნის, ურაველისა და სხვა სამკურნალო წყლები.

საინტერესოა, რომ სამკურნალო საქმიანობას სამცხე-ჯავახეთში ეწეოდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ქალები უმეტესწილად შინაური წამლებითა და ბალახებით მკურნალობდნენ შინაგან, კანისა და სხვა დაავადებებს, მამაკაცები კი ტრავმების მკურნალობაში იყვნენ დაოსტატებულნი.

საყურადღებოა, აგრეთვე, რომ სამცხე-ჯავახეთში მკურნალობას ეწეოდნენ პროფესიონალები, საოჯახო მედიცინის წარმომადგენლები, რომელთა ცოდნის საფუძველი ხალხურ, ემპირიულ გამოცდილებასთან ერთად, ძველი ქართული სამედიცინო წიგნებიც იყო. ამ პროფესიონალთა შორის გამოირჩევა: მერაბიშვილები, გვარამაძეები და სხვა. გაზეთ

„ივერიაში“ დაცულია ცნობა იაკობ პავლეს ძე მერაბიშვილის შესახებ, რომლის სამკურნალო საქმიანობას თურმანიძეების მოღვაწეობას ადარებენ [4]. მნიშვნელოვანი მასალა იქნა ჩაწერილი განთქმული მკურნალის სტეფანე მერაბიშვილის ოჯახში. სტეფანე მერაბიშვილი ტრავმების მკურნალობას ეწეოდა. დახელოვნებული ყოფილა შარდის ბუშტიდან ქვის ამოღებაში [8]. მეშირიმეობა (შარდის ბუშტიდან ქვის ამოღება) ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო ტრადიციაა [7] იგი დამოწმებულია XI საუკუნის სამედიცინო ძეგლში [11, 336].

აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საქმიანობას ეწეოდნენ სოფლის დალაქებიც, რომელთა უშუალო საქმიანობას კბილის ამოღება და სისხლის გამოშვება წარმოადგენდა.

სამხრეთ საქართველოში დამოწმებულია მრავალფეროვანი მაგიურ-რელიგიური სამკურნალო საშუალებანი, რომელთა გამოყენებას რამდენადმე განსაზღვრავდა რწმენა-წარმოდგენები დაავადებათა შესახებ, კერძოდ, რიგი დაავადებებისა, უმეტესწილად ფსიქო-ნერვული და ბავშვთა ინფექციური (ბატონები) გააზრებული იყო, როგორც შედეგი ირეალური მიზეზებისა და ამიტომ ამ მიზეზებზე ზემოქმედება მაგიურ-რელიგიური მეთოდებით ხდებოდა.

სამცხე-ჯავახეთში დაავადებათა შესახებ არსებულ რწმენა-წარმოდგენებზე საკმაოდ საინტერესო მასალა აქვთ მოპოვებული ალ. ხახანაშვილს[12], ს. მაკალათიას[5], გ. ზედგინიძეს[3] და სხვებს.

ადგილობრივ მოსახლეობას დაავადების გამომწვევ ირეალურ მიზეზად მიაჩნდა: ავი თვალი; ავსულები: ეშმაკი, ქაჯი, ავი ქარი და სხვ; სალოცავი, რომელიც მის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო სჯიდა დამნაშავეს – ასნეულებდა მას.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ამ რეგიონში დავამოწმეთ ისტერიული ფსიქოზის ერთ-ერთი სახე, რომელიც რჩეულობის ინსტიტუტს უკავშირდება. ეს დაავადება იგივე „ქადაგად დაცემა“ ორი სახით წარმოგვიდგება. პირველი გააზრებულია, როგორც სალოცავის მიერ დასჯა, მეორე კი როგორც ნიშანი ღვთაებრივი არჩევანისა. ხშირად ეს ორი ერთმანეთს ემთხვევა.

სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული მონაცემებით, „ქადაგად დაცემული“ სალოცავისგან „დაჭერილად“ ითვლებოდა [15] უნდა გავითვალიწინოთ, რომ ღვთაების რჩეულები მიდრეკილნი იყვნენ ნერვოფსიქიკური დაავადებებისადმი.

სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში; საკმაოდ პოპულარული იყო შელოცვებით მკურნალობაც. ულოცავდნენ გათვალულს, დაუჟმურებულს, შეშინებულსა და სხვა. მოვიტანთ ავი თვალის საწინააღმდეგო შელოცვის ერთ-ერთ გავრცელებულ ვარიანტს:

„ალისასა მალისასა, შეგილოცავ თვალისასა
შინაურისასა, გარეულისასა, ჩაეყაროს თვალში ნაცარი
მისი გლახად შემომხედისა, ადექი და მოუხდინე ჩემი ლოცვაი“.

შემლოცველების როლში გამოდიოდნენ ადგილობრივი მოხუცი ქალები, რომელთა საქმიანობას ზოგჯერ მკითხაობაც წარმოადგენდა. შელოცვებით მკურნალობდა ძირითადად ამ კუთხის მართლმადიდებელი და გრიგორიანი მოსახლეობა. კათოლიკები აღნიშნულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაავადებათა მკურნალობის დროს ეკლესიასა და მღვდელს მიმათავდნენ, მაჰმადიანები კი – მოლას.

ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით ერიდებოდა წმინდა ადგილებს, ძველ საყდრებს, ნასაყდრალებს, ნასაყდრალებზე შემორჩენილ წმინდა ხეებს, სწამდათ, რომ მათი შეურაცხოფა წმინდანის წყრომას იწვევდა და დამნაშავე უთუოდ დაისჯებოდა, „გაიგრიხებოდა", ხელი ან ფეხი გაუჩერდებოდა, კისერი მოექცეოდა და სხვა. ეს რწმენა გავრცელებული იყო როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიანურ მოსახლეობაში, ამიტომ მაჰმადიანები ძველ საყდრებს ერიდებოდნენ და ამის წყალობით არა ერთი ძეგლი გადარჩენილა [2, 713].

ყველაზე ძლიერ სალოცავებად ითვლებოდა პტენის წმ. გიორგისა და ვარძიის ღვთიმშობლის ეკლესია, ხოლო კათოლიკე მოსახლეობაში კი „ბუზმარეთი", რომელიც „სასწაულიან" ადგილად მიაჩნდათ და ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული, ასევე სოფ. უდისა და ივლიტას ეკლესიები. აქ მოჰყავდათ სულიერად დაავადებულნი, უშვილო ქალები და გამოჯანმრთელებას შესთხოვდნენ.

უშვილო და რძეგამშრალი ქალების მშველელად იყო მიჩნეული აგრეთვე სოფ. მურჯახეთში (ჯავახეთი) აღმართული ორი მეგალითი – „ძიქვა" და „ლალია". აქ სრულდებოდა გარკვეული რიტუალი და მსხვერპლად სწირავდნენ ე. წ. შავ საღმრთო მტრედს, ქათამს, ბატკანს და სხვა.

ბავშვთა ინფექციურ დაავადებებს (წითელა, ყივანახველა, ყავავილი) ადგილობრივი მოსახელობა ბატონებს//ანგელოზებს უწოდებდა. გადმოცემით, ისინი ღმერთის კარზე ცხოვრობდნენ, ღვთისგან იყვნენ გამოგზავნილი და ე. ი. ღმერთის წინაშე ვალი უნდა მოეხდათ. მათ „დედად" ზოგ შემთხვევაში წმ. ბარბარეს ასახელებდნენ. ადგილობრივი კათელიკე მოსახლეობა კი ბატონების მფარველად ღვთიმსშობელს, წმ. ელიასა და სამებას თვლიდა. სახადიან ავადმყოფს განსაკუთრებული სიფრთხილითა და მორიდებით ექცეოდნენ, ტკბილ სუფრას გაუშლიდნენ, ბაზმებს დაუნთებდნენ და, ბოლოს, ტკბილი სიტყვითა და ლოცვით გაისტუმრებდნენ.

საყურადღებოა, რომ სოფ. ივლიტასთან (სამცხე) ყოფილა ე. წ. ხველის ტაძარი [6, 52], სადაც ყივანახველით დაავადებული ბავშვები მიჰყავდათ და ევედრებოდნენ მათ გამოჯანმრთელებას; ასევე სოფ. არალში (ეკლესიის ტერიტორიაზე) მდებარეობდა ე. წ. „სასწაულიანი" ქვა და გადმოცემით, ყივანახველის დროს ბავშვებს ამ გულამოღებულ ლოდში აძვრენდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, სამცხე-ჯავახეთის ხალხური მედიცინა გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც ალბათ, ნაწილობრივ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მართლმადიდებელი ქართველების გვერდით აქ სახლობდა სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის მოსახლეობა.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის სამკურნალო ტრადიციების გამოირჩევა რაციონალურობით და ეფექტურობით, რაც განპირობებული იყო ბუნებრივი საშუალებების სამკურნალო თვისებებით, რომელთაგან ზოგიერთი თანამედროვე მედიცინაშიც ცნობილია და აპრობირებულია. ხალხური სამკურნალო საშუალებების ეფექტურობას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეულწილად განაპირობებდა მკურნალობის კომპლექსური ხასათი, რაც ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, ფსიქო-თერაპიულ მკურნალობასაც ითვალისწინებდა (შელოცვები, სხვადასხვა სახის მაგიური ქმედებანი, რელიგიური რიტუალები).

ლიტერატურა:

1. ***Ананов В. С.,*** Абастумань и его целебное лечение, Тб., 1892.
2. *ვახუშტი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
3. *ზედგინიძე გ.,* ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის არქივი 1,67, 1946.
4. ივერია, 1902, № 247
5. *მაკალათია ს.,* მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
6. *მაისურაძე ი.,* ეთნოგრაფიული მასალები, 1939, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერი, №100.
7. *მერჩულე გ.,* გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, თბ., 1982.
8. *მინდაძე ნ.,* სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული დღიურები, 1987.
9. *ტაბიძე გ.,* მასალები სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიური ისტორიული და სხვა აღწერილობა, 1938, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერი № 97.
10 *ფრონელი ა.,* დიდებული მესხეთი, თბ., 1914.
11. *ქანანელი,* უსწორო კარაბადინი, თბ., 1940.
12. ***Хаханов В.,*** Месхи (этнографический очерк), этнографическое обозрение, 19 № 3.
13. *შენგელია მიხ.,* მედიცინის განვითარების ზოგიერთი საკითხი საქართველოში, „საბჭოთა მედიცინა", თბ., 1961..
14. *შენგელია მიხ.,* ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970.
15. *ჩირგაძე ნ.,* სამცხე-ჯავახეთის ეთოგრაფიული დღიურები, 1988.
16. ჯვარი ვაზისა, 1906, № 11..
17. ***Яшвили А.,*** Народная медицина в закавказском крае, Тб., 1904.

Nino Mindadze, Nino Chirgadze

FOR THE HISTORY OF TRADITIONAL MEDICAL CULTURE IN SAMTSKHE-JAVAKHETI

(Summary)

The folk medicine was on a high level in Samtskhe-Javakheti. Here the local population used the natural means of treatment as well as magico-religious ones.

From the natural means of treatment most popular were: vegetable, animal and mineral

ეროვნული
ბიბლიოთეკა

remedies, medicines and ointment made of different combined ingredients.

From the magico-religious means of treatment it is worth mentioning medical charms away, different kinds of magic acts and rituals.

In Samtskhe-Javakheti skilled masters worked in this field - the representatives of family medicine. Their knowledge was based on folk empirico-rational experience and old medical books too.

We must mention out such professionals as: Merabishvili, Gvaramadze, and many others.

In Samtskhe-Javakheti medical traditions are distinguished by its rationalism and efficiency which were conditioned by the natural character of the means of treatment. Some of them are known in modern medicine and even approbated.

In most cases the efficiency was conditioned by the complex character of treatment which implies the use of natural means of treatment and the psychotherapeutic methods as well (charm away, different kinds of magic acts and religious rituals).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ნუგზარ მგელაძე

სამცხური წარმომავლობის გენეალოგიური (ნათესაური) ჯგუფების ისტორიის ზოგიერთი საკითხი აჭარაში

ისტორიულად სამცხესა და აჭარას შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები არსებობდა. ამას, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, საქართველოს ამ ორი უძველესი მხარის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ურთიერთმეზობლობაც განაპირობებდა. შემთხვევითი არ იყო ძვ. წ. III საუკუნეში ფარნაოზ მეფემ ეს ორი ვრცელი მიწა-წყალი ერთ ადმინისტრაციულ გარეთიანებაში – ოძრხეს საერისთავოში რომ მოაქცია. ერთ-ერთი ქართული წყაროს მიხედვით „... მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“. წყაროდან ჩანს, რომ ფარნაოზმა ძვ. წ. III საუკუნეში იბერიის (ქართლის) სამეფო რვა სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად დაჰყო. მან ოძრხოსის წილხდომილ სამფლობელოში მსხვილი საგამგეო შექმნა და მეფემ თავის ერისთავთაგან ერთი (მექვსე) ოძრხის ერისთავად გაგზავნა[14, 24].

ადრე შუასაუკუნეებიდან ოძრხეს საერისთაოში ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი – სამცხე და აჭარა ჩამოყალიბდა. ამ მიდამოებში დასტურდება ძველი სამიმოსვლო გზები, საუღელტეხილო გადასასვლელები. მაგალითად, სამცხე-აჭარის დამაკავშირებელი საქარავნო გზა გადიოდა გოდერძის უღელტეხილზე, რომელიც ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრზე მდებარეობდა. ეს გზა ახალციხეს ბათუმთან აკავშირებდა (4,30). აღნიშნულ სამიმოსვლო და საქარავნო გზებთან დაკავშირებით ქართულმა საისტორიო ტრადიციებმა არაერთი ცნობა შემოგვინახა. შუასაუკუნეებში აბაღასაგან დევნილმა თეგუდარმა შეძლო „არტაან-შავშეთ-აჭარის გზით“ დასავლეთ საქართველოში გადასვლა და ქუთაისს მიღწევა [18; 19]. ცნობილია, რომ დემურ-ყაფთან (რკინის კართან) მესხეთის გზა მრავალ შტოდ იყოფოდა. აქედან ერთი სხალთის, მეორე მარეთის ხეობაში გადადიოდა. ეთნოგრაფიული წყაროები გვიდასტურებენ, რომ აჭარა-სამცხეს შორის არსებული სამისმოსვლო გზებით ახალციხესთან დაკავშირებული იყო ჭვანისა და ღორჯომის ხეობებიც. ვახუშტი ბატონიშვილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიუთითებდა აჭარასა და მესხეთის სხვა თემებს შორის არსებული სამიმოსვლო გზების არსებობაზე. მისი თქმით: „ქვაბლოვანისა და ბოცოსწყლის სათავიდამ გარდავლენ გურიას და აჭარას გზანი, და ჯაყისწყლის გარდავალს აჭარას და შავშეთს გზანი“[1, 134].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემო აჭარის ალპურ ზონებში, რომლებიც ქვაბლიანის ხეობას ებჯინებიან, მთებიდან მონაჟური პატარ-პატარა წყლები ერთად იკრიბება, ღელეებად იქცევა, ნაწილი აჭარისწყალში ჩაედინება, ხოლო ზოგან, მაგალითად, აგარა-საციხურის იაილებზე, მთა კუნჭულეთსა და ნაკაფში, ასევე, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, კონკრეტულად კი ბეშუმის წიწვოვანი ტყის ზოლში ქვაბლიანისკენ მიემართება და მტკვარს უერთდება. უძველესი დროიდან, ტრადიციულად, მტკვრის შენაკადთა სანაპიროებზე მობინადრეთათავის დამახასიათებელი კულტურაც შესაბამისად ამ მდინარეთა მიმართულებებით ვრცელდებოდა. სამცხისკენ მიმართული კულტურის ელემენტთა მსგავს დიფუაზიას აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის მხრიდანაც ჰქონდა ადგილი. ქართველი ხალხის მითითებული ლოკალურრეგიონული კულტურები ყველაზე გამოკვეთილად სამცხე-აჭარას შორის არსებულ ბუფერულ ზონებში ეხლართებოდა ერთმანეთს. ადრეული ხანიდან, განსაკუთრებით ოძრახეს საერისთაოდ ჩამოყალიბების, ხოლო შედარებით გვიან საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ორგანიზმის ფარგლებში სამცხისა და აჭარის წარმოქმნის პერიოდიდან, აჭარისწყლის ხეობისა და სამცხის, კონკრეტულად კი ქვაბლიანის ხეობის მოსახლეობის კულტურული ნაკადები გაცილებით ინტენსიურად სწორედ ბუფერულ ზონებში ხვდებოდა ერთმანეთს [10,43-45].

სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და მესხეთის სხვა თემები მაწყვერელის, კუმურდოელის, იშხნელის, ანჩელის, მტბევარის, ქუთათელის, წყაროსთუელის, ერუშნელის, ფალაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელისა და დადაშნელის სამწყსო ყოფილა [12,53-54; 2,81-85]. როგორც ჩანს, ქართული საეპისკოპოსოების ასეთი დაყოფა იმდროინდელი ადმინისტრაციული მხარეებისა და მათში შემავალი ხეობათა მოსახლეობის ეთნოგრაფიული თავისებურებების, ისტორიული რეალობისა და გეოგრაფიული ზონალობის გათვალისწინებითაც იყო წარმოდგენილი. მოცემული სურათი იმ პერიოდის ანარეკლია, როცა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამხრეთ საქართველო მესხეთის ანუ ზემო ქართლის სახელწოდებით იხსენიებოდა. იმ დროისათვის ეკლესიებში საგალობლები და წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა და სხვადასხვა იდეოლოგიური ორიეტაციები თუ რელიგიური თემები, მათ შორის სომხურ-გრიგორიანული ელემენტები აქ ისე არ ჩანს, რომ მათ ზეგავლენა მოეხდინათ ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ფუნქციონირებაზე. აქ, მოსახლების არც გვაროვნულ-ეთნიკური შედგენილობა იყო ისე ჭრელი, როგორადაც იგი გვიანფეოდალური და საბჭოთა პერიოდის სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა. ამაზე მიუთითებს წერილობით წყაროებში დაცულ ქართულ გვარეულობათა და ფეოდალურ სახლთა მოცემულ რეგიონებში განსახლების ფაქტები. ამ გვარეულობათაგან უნდა გამოიყოს კავკასისძე, ავალისშვილი, ლასურისძე, თაქთირისძე, ხურსიძე, დიასამიძე, შალიკასშვილი, უზნასძე, ფანასკერტელი, კოპასძენი, ჯაყელი და სხვა მრავალი. ბუნებრივია, შუასაუკუნეების სამხრეთ საქართველოში განსახლებული ყველა გვარი ქართული წარმომავლობის არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო, მაგრამ ისინი ქართული ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში იყვნენ წარმოდგენილნი და კულტურულად და ცნობიერად ამ საზოგადოების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა ხეობაში განსახლებული გვარების შესასწავლად უაღრესად ძვირფას წყაროს წარმოადგენს „ტბეთის სულთა მატიანე" (1977), სადაც დასახელებულია შეასაუკუნეებში ცნობილი ბევრი ისეთი გვარი, რომელთაც აჭარაში დღესაც ვხვდებით. „ტბეთის სულთა მატიანე"-ში დასახელებული გვარები ან ამ გვართა ცალკეული ნათესაური ჯგუფი განსახლებულია მაჭახლის ხეობაში, მარადიდში, მაგრამ გამოკვეთილად სამცხური წარმომავლობის გენეალოგიური განტოტებები შეინიშნება ზემო აჭარასა და კინტრიშის ხეობაში. უფრო ზუსტად, სამცხური (მესხური) ელემენტი შედარებით ჭარბად იყო წარმოდგენილი აჭარისწყლის ხეობის სათავეებში, ქვაბლიანის ხეობის მეზობელ დასახლებებში, სადაც დღესაც რამდენიმე დიდი თემი გამოიყოფა. მათგან აღსანიშნავია ღორჯომის, აგარისა და დიდაჭარის თემები. სამცხური ელემენტის დომინირებას ადასტურებს ამ თემთა დასახლების სტრუქტურისა და მორფოლოგიის ანალიზი. აღნიშნულ დასახლებებში გამოვლენილია ძლიერი მესხური ფენა, განსაკუთერებით სამცხური წარმომავლობის მოსახლეობის დაფენება, რაც დასაშვებია ადრე წარმოებული ძლიერი მიგრაციული პროცესების შედეგიც ყოფილიყო. აჭარის მეზობელ მესხურ თემებთან კავშირზე შემთხვევით არ მიუთითებდა ზ. ჭიჭინაძე, რის საფუძველსაც მას საკუთარი საველე მასალები აძლევდა [17, 81]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მიმოქცევა განაპირობებდა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში გარკვეული სიახლეების შემოსვლას, კულტურის ელემენტების შერწყმასა თუ მოტანილი ყოფითი მემკვიდრეობის მკვიდრ გარემოში ადაპტაციას [10,130].

სამცხე-საათაბაგოში პოლიტიკური პროცესების შუქზე მრავალი ისტორიული მოვლენა განვითარდა, რაც მოსახლეობის ინტენსიურ ადგილმონაცვლეობას განაპირობებდა. წერილობითი წყაროები გვიდასტურებენ, რომ ფეოდალურ ხანაში საქართველომ გვარობრივ-ეთნიკური გადაჯგუფება ძირითადად თურქ-სელჯუკების, მონღოლ-თათრებისა და ყიზილბაშ-ოსმალების შემოსევების დროს განიცადა. აჭარაში ლტოლვილი ლაზური, ტაო-კლარჯული, შავშური და სამცხურ-ჯავახური მოსახლეობის გვერდით ჩნდებოდა არაქართული ეთნიკური ელემენტიც, თუმცა ამ უკანსკნელთა შემდგომი განვითარება მკვიდრი სუბსტრატის საფუძველზე მიმდინარეობდა [5,23]. მოსახლეობის მიმოქცევა განსაკუთრებით XVI–XIX საუკუნეებში გახშირდა. იგი სხვადსხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებით (მცირემიწიანობა, რთული სამეურნეო პირობები, ეპიდემიები), სოციალურ-პოლიტიკური (სოციალური ბრძოლა [3, 237-238] და რელიგიური (შარიათის გავრცელება ქრისტიანულ გარემოში) ვითარებით იყო განპირობებული. გვიან მიგრაციებს ძირითადად მიწის უკმარისობა იწვევდა, ხოლო ადრე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს თან ერთვოდა მტრისგან და მოსისხლეთაგან თავდაცვის მიზნით მთიან, მიუვალ და უშიშარ ადგილებში თავშესაფარის ძებნა და დასახლება [8, 69-70].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველქართული წყაროების მიხედვით „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხვარაზმელთაჲსა გამოქცევასა და მოწყუჱდასა და ზედა ლაშქართასა და მრავალთა კაცისშვილთასა წარტყუენვასა და მოოჯრებასა დედა-ქალაქისა ტფილისისა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა საქართველოჲს... დს შუარტყალს (ბუარტყალს?) შინა მყოფი თვინიერ ნეტარისა იოსებისა და მისთა სახლეულთასა არვინ დარჩა ულტოლველი კერძოდ აჭარისათაცა და...“ [13, 118]. ამ გზით აჭარაში არაერთი საგვარეულო უნდა დამკვიდრებულიყო. ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, როცა ნოინი „შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხეთს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს... მანდატურთ-უხუცესი შანსე შეივლტვოდა ქუეყანად აჭარისა და ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისას, და ვარამ გაგელი შეივლტოდა ქუთათისს, და ეგრეთვე ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი, ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა“ [14, 187-188]. შემდგომ, მიგრაციის პროცესებმა განსაკუთრებული მიმართულება და შინაარსი შეიძინა. ოსმალეთის მომძლავრებამ კიდევ უფრო მეტი ბიძგი მისცა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის ახალი ტალღის წარმოქნას. გამუსლიმანების წინააღმდეგი ქართველობა ქვეყნის ქრისტიანულ პროვინციებში სახლდებოდა.

მართალია, დაპყრობითი ომების დაწყების პერიოდიდან აჭარის მოსახლეობის გვარობრივი შედგენილობის გამჭიდროვება ოსმალთაგან მიტაცებული ქართული ოლქების – ლაზური, ტაო-კლარჯული, შავშური მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ დროგამოშვებით აქ პოულობდნენ თავშესაფარს არტაან-კოლასა და სამცხე-ჯავახეთის ცალკეული ოჯახებიც. სამცხიდან ამ პერიოდში ჩანს აჭარაში ჩასახლებული ჯაყელები, თავდგირიძეები, დისამიძეები და გაბატონებულ წოდებრიობათა სხვა წარმომადგენლები [7,38]. თავდგირიძეები, ჯაყელები და დიასამიძეები ძველი გვარებია. ვახუშტი ბაგრატიონი ჯაყელებს, დიასამიძეებს და თავდგირიძეებს სამცხის მკვიდრად მიიჩნევდა [1,25-26]. ამ გვარეულობათა აჭარაში დასახლების ისტორიის შესახებ ჩვენ საუბარი ადრე გამოცემულ წერილებშიც გვქონდა [9,87-92], აქ მხოლოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული გვარების თაობაზე წერილობით წყაროებში შედარებით მრავლადაა დაცული ცნობები, მაშინ, როცა აჭარაში არსებობს რიგი გვარი ან ამა თუ იმ სგვარეულოს გენეალოგიური განშტოება, რომლებიც სამცხური წარმომავლობისაა, მაგრამ მათ შესახებ ლიტერატურულმა ტრადიციებმა ან საერთოდ არ შემოგვინახა ცნობები ან თუ შემოგვინახა, ძალზე მწირი სახით. აღნიშნულ გვართა გენეალოგიის სათავეებთან მისვლა სპეციალურ საველე მუშაობას ითხოვს.

აჭარაში ბევრია ისეთი გვარი, რომლებმაც სათემო ნორმების საფუძველზე საგვარეულო სახელდება შეიცვალეს, დამხვდურის ანუ მფარველის გვარი, სატომო, პირველსაცხოვრისი სოფლის, ეპონიმის თუ წინაპრის ზედმეტი სახელისაგან ნაწარმოები სახელწოდებები მიიღეს. სწორედ ამგვარ ბუდე-შტოთა გამოყოფა გადმოცემებითა და გენეალოგიური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხის აღდგენით თუა შესაძლებელი. გვარისა თუ ბუდე-შტოს გამოცვლა ან მათი ბუნებრივი ზრდა ხდებოდა ისე, რომ ერთი გვარის შიგნით ხშირად სხვადასხვა წარმომავლობის გენეალოგიური ჯგუფი ერთიანდებოდა, რომელთაგან ერთნი შესაძლოა სამცხური წარმოამვლობის ყოფილიყო, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი ან სხვა რომელიმე ხეობის მკვიდრი წინაპრისაგან წარმოქმნილი. მაგალითად, ასე უნდა აღმოჩენილიყო ფლატიენთ ბუდე-ნათესაობა გაერთიანებული სხვადსხვა ხეობასა და სოფელში დასახლებულ სამ გვარში: მგელაძეთა (სოფელი აგარა), ირემაძეთა (სოფელი ირემაძეები) და ღორჯომელაძეთა (სოფელი ღორჯომელაძეები) საგვარეოლოებში. გადმოცემით, მათი სამი წინაპარი დახლოებით ორ საუკუნეზე მეტია სამცხიდან, ქვაბლიანის ხეობის სოფელ ფლატედან ჩამოსახლებულან. ისინი სხვადსხვა საგვარეულოში მფარველობის და ზედსიძეობის გზით შესულან და საკუთარი გენეალოგიური ჯგუფისათვის პირველსაცხოვრისის სახელწოდება დაუმკვიდრებიათ. სამცხეში ფლატიენთების წინაპრები ბაქრაძის გვარს ატარებდნენ. ამ გზით ჩანს აჭარაში ჩამოყალიბებული ბუდე-ნათესაობა მესხიენთი (დიასამიძე, სოფელი ჭალა; მჟავანაძე, სოფელ ცხემლისის უბანი დარგულაი; ასევე, მესხიენთები განსახლებულია კინტრიშის ხეობაში), ყარსლიენთი (ბაკურიძე, სოფელი შუბანი), ახისხელიენთი (გოჩიტაძე, სოფელი ტბეთი), ჯავახითლიენთი||ჯავახეთლიენთი (ცივაძე, სოფელი ცივაძეები, ჭვანის ხეობა). ადგინიენთი||ადვიგიანიენთი (სოფელი ნაღვარევი, ჭვანის ხეობა, ისინი წარმომავლობით ბერძნებია და ახალციხიდან არიან), ახალციხისიენთი, ჯავახიენთი და სხვა. აჭარაში გვხვდება გვარი მესხიძეც.

სამცხიდან აჭარაში გადმოდიოდნენ სეზონურ და დროებით სამუშაოებზე, სავაჭროდ, ესა თუ ის პირი ამა თუ იმ ოჯახს სახლეულში მსახურადაც უდგებოდა და მუყაითობის გამოვლენის შემთხვევაში უვაჟო ოჯახს დაესიძებოდა ხოლმე. დასტურდება ფაქტები, როცა ზედსიძე გვარს იცვლიდა და ცოლის გვარზე ან სიმამრის ძედ ეწერებოდა. მაგალითად, ამ გზით დამკვიდრდა სოფელ აგარაში (ღორჯომის ხეობა) მცხოვრებ გელაძეთა გვარში მესხი მოჯამაგირე, რომლისთვისაც ამ გვარის წარმომადგენლის ყასუმას ქალიშვილი მიუთხოვებიათ. დღეს მისი შტო ბუმბულიენთად იწოდება (8,77). ჭვანის ხეობის სოფელ ტაკიძეებში სოფელ ჭეჭლიდან (ქვაბლიანის ანუ როგორც აჭარაში გამოთქვამენ „ქობლიანი"-ს ხეობა) ჩამოსახლდა ჭაბუკი, რომელმაც დიმიტრაძის გვარი დაიმკვიდრა და ამ გვარის იშიენთების გენეალოგიური ჯგუფის წარმოქმნა განაპირობა. იგი ამ სოფელში ყიფიანების გვარის ხაჯიენთ ბუდე-ნათესაობის ერთ-ერთ ოჯახს ემსახურეობდა. ჭაბუკი მშრომელი ადამიანი გამომდგარა, რის გამოც მისთვის საოჯახო-საგვარეულო და სასოფლო-სათემო ტერიტორიებიდან მიწის ნაკვეთები გამოუყვიათ, ადგილზე დაუქორწინებიათ და დაუსახლებიათ [8,77].

საველე პირობებში გამოვლენილია არაერთი ფაქტი, როცა აჭარაში საპატარძლოები სამცხიდან, ჯავახეთიდან, შავშეთიდან მოუყვანიათ. მათ აღსანიშნავად დღესაც გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მესხურაჲ", შავშურაჲ" და სხვა. ცოცხალი კონტაქტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაპირობებდა სამეურნეო და სოციალური კულტურის ელემენტთა დიფუზიასაც. მაგალითად, მარცვლეული კულტურის სახელწოდებები თვალნათლივ მიუთითებენ არა მარტო მესხეთის სხვადასხვა თემიდან აჭარაში მოსახლეობის მოძრაობაზე, არამედ კულტურულ მონაპოვართა ურთიერთსესხებასა და საერთო კულტურულ მემკვიდრეობაზეც. მაგალითად, დიდაჭარის თემის სოფელ გობაძეებში დასტურდება ადგილის სახელწოდება ნაჯავახურევი. რესპოდენტთა ინფორმაციით, ტოპონიმი მცენარეულ თესლთანაა დაკავშირებული, რომელიც ჯავახეთიდან ყოფილა გადმოტანილი. მოცემულ კუთხეში პურს ჯავახურს უწოდებენ, ხოლო ლობიოს შავშეთურს. ჯავახური თანდათანობით ნაკლებმოსავლიანი გამხდარა, რის გამოც იგი ხმარებიდან გამოსულა.

ამჯერად, ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევძლებთ დასმული საკითხის ამომწურავად განხილვას, რადგან აღნიშნული თემატიკა მრავალ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტს მოიცავს და საველე მასალის სიუხვითაც საკმაოდ ტევადია. მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის ეთნოკულტურული კუთხით გაშუქება თავისთავად გულისხმობს პრობლემის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ანალიზს და შესაბამისად, აჭარის სხვადასხვა ხეობის დასახლების სტრუქტურასა და მორფოლოგიაში სამცხური წარმომავლობის პატრონიმიული ორგანიზაციების – საგვარეულო და უფრო მცირე ნათესაური ჯგუფების გამოვლენა-აღწერასა და კლასიფიკაციას შესატყვისი გენეალოგიური სქემებით, რაც სამომავლოდ პრობლემის ყოველმხრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათებისათვის საჭირო პირობებს შექმნის და ამასთან, მოამზადებს ნიადაგს, რათა საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი აჭარაში მოსახლე გვარების ისტორია.

ლიტერატურა:

1. *ბაგრატიონი ვახუშტი.*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
2. ***Бакрадзе Д.***, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПБ, 1878.
3. *ბერძენიშვილი ნ.*, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.
4. *კაბიძე ნ.*, აჭარა-სამცხის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობიდან. –საქართველოს ეთნოგრაფთა IX რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1987.
5. *მგელაძე ვლ.*, მოსახლეობის მიმოქცევის საკითხისათვის აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მესამე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1964.
6. *მგელაძე ვლ.*, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973.
7. *მგელაძე ნ.*, სამცხე-ჯავახეთიდან მოსახლეობის აჭარაში მიგრაციის საკითხისათვის. – საქართველოს ეთნოგრაფთა IX რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987.
8. *მგელაძე ნ.*, აჭარაში მესხთა მიგრაციის საკითხისათვის. – ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 1989.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. *მგელაძე ნ.*, ქართულ გვარეულობათა კვალდაკვალ.–ჟურნ. „ჭოროხი", I, ბათუმი, 1990.
10. *მგელაძე ნ.*, ფაღავა მ. ანდრია პირველწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები აჭარაში.–„ლიტერატურული აჭარა", №3, ბათუმი, 1999.
11. *მგელაძე ნ.*, სამხრეთ-დასავლური ქართული ტომობრივი გაერთიანებების ადრეული ეთნო-პოლიტიკური და სოციო-კულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი (1. ბიძერთა ვინაობა, ეთნიკური ტერიტორია და ტერმინის ეტიმოლოგია). – დავით ხახუტაიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, ბათუმი., 1999.
12. *ჟორდანია თ.*, ქრონიკები, I, ტფ., 1893.
13. *ჟორდანია თ.*, ქრონიკები, II, ტფ., 1893.
14. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1953.
15. ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977.
16. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
17. *ჭიჭინაძე ზ.*, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.
18. *ჯავახიშვილი ივ.*, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1941.

Nugzar Mgeladze

SOME ISSUES ON THE HISTORY OF GENEALOGICAL GROUPS OF SAMTSKHE ORIGIN IN ACHARA

(Summary)

The work deals with the cultural and historical relations between Achara and Samtskhe reflected in movement and changing of location preconditioned by various economic factors and social-political reasons.

The work is based on ancient Georgian recorded sources and ethnographic data, though many surnames and genealogical groups of surnames are not recorded in the sources and the study of their history today is only possible with the help of field ethnographic materials, genealogical schemes and oral tradition.

There existed close economic and cultural-historical relationships between Achara and Samtskhe. These relations were strengtherned by communication and caravan roads. They stipulated frequent traffic and facilitated contacts, and incited chargings of family locations, and, not infrequently, creations of new families as well by receiving patron's surname, or sale and purchase of lands.

This was the way with the help of which numerous representatives of the surnames were created. The work deals with some surnames and genealogical segments of the same origin.

Since the Middle Ages aggressive wars conducted by the Turks, Khvarazmes and Mongols, and later by the Osmans, accelerated the migration process of the peaceful Georgian population and made the Georgians refugees in their own country. The population fled from the enemy and took refuge in more peaceful christian provinces. Before the Osmans' hegemony in Achara, the most part of the conquered Meskhetian population migrated to Achara. This is the way how such feudal patrimonies of Samtskhe origin as Tavdgiridze, Jakeli, Diasamidze, etc. happened to appear in Achara. Though some of them lost their nobility in Achara, they nevertheless gained their footholds and even became the majority.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ისმაილ მოლიძე, ხალილ კოჩალიძე

დეპორტირებული მესხი ახალგაზრდების ადაპტაცია ქართულ გარემოში

მესხები არიან ტრაგიკული ბედის ხალხი. ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოში თურქეთმა დაიპყრო საქართველოს ნაწილი – მესხეთი და დააწესა აქ ახალციხის საფაშო. XII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება თურქების მიერ მესხეთის მოსახლეობის თანდათანობითი გამუსულმანება. თურქეთი ცდილობდა, რომ მესხები უფრო მორწმუნე მუსულმანები ყოფილიყვნენ, ვიდრე თვითონ თურქები. 1829 წელს მესხეთი შეიერთა რუსეთმა. მეფის რუსეთის კოლონიზატორები მესხებისათვის აქ ხსნიდნენ თურქულ სკოლებს და ამტკიცებდნენ, რომ ისინი არიან თურქები და მათი სამშობლო თურქეთია.

მესხების ნაციონალურმა საკითხმა ვერ იპოვა თავისი სწორი გადაწყვეტილება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. მაჰმადიანი მესხები მიაკუთვნეს თურქულენოვან ნაციონალურ უმცირესობას და 30-იან წლებში თურქული სკოლების მაგივრად გაიხსნა აზერბაიჯანული სკოლები. მხოლოდ 1940 წლისთვის მესხი მოსახლეობის მოთხოვნით, უმეტეს სოფლებში სადაც მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ, გაიხსნა ქართული სკოლები. მაგრამ ისინი დიდხანს არ ფუნქციონირებდნენ – 1944 წლის 15 ნოემბერს მაჰმადიანი მესხების მიმართ განხორციელებული იყო არაადამიანური აქცია – 20 ათასი ოჯახი გადასახლებული იყო საქართველოდან შუა აზიაში. 55 წელი გავიდა იმ დროიდან, მაგრამ დღესაც მაჰმადიანი მესხები გადასახლებაში არიან, რის შედეგაც ქართველი ერის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგვა ემუქრება.

დეპორტირებული მესხების საკითხის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დეპორტირებული მესხი ახალგაზრდების ადაპტაციის პრობლემა.

1993 წლის მარტში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის № 106 განკარგულების საფუძველზე თბილისში ჩამოვიდა დეპორტირებული მესხი ახალგაზრდების პირველი ნაკადი (30 ახალგაზრდა). მათი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი იყო არა სწავლა-განათლების მიღება, არამედ სწორედ მათ უნდა ეთამაშათ მთავარი როლი დეპორტირებული მესხების მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების საქმეში. პირველ ხანებში ახალგაზრდები ქართულ ენას ითვისებდნენ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილ კურსებზე. მას შემდეგ, რაც ახალგაზრდების კონტიგენტი გაიზარდა, ეს კურსები გადატანილ იქნა თბილისის № 138 პროფტექსასწავლებლის ბაზაზე, ხოლო ახალგაზრდები ცხოვრობდნენ ამავე სასწავლებლის საერთო საცხოვრებელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში. აქ შეიქმნა დეპორტირებული მესხი ახალგაზრდების ე. წ. საადაპტაციო ცენტრი. ქართული ენის კურსის გავლის შემდეგ ახალგაზრდა, თუ გაივლიდა გასაუბრებას, ირიცხებოდა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ ფაკულტეტზე. ამჟამად საქართველოში სწავლობს 70-მდე მესხი ახალგაზრდა, ხოლო 31 -მა იმსახურა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

საქართველოში ჩამოსული ბიჭები პირველ ნაბიჯებს ქართულ სამყაროში შესასვლელად სწორედ ქ. თბილისის გლდანის საერთო საცხოვრებელში დგამდნენ, სადაც მათ დედობრივი სიყვარულით ქართულ ენას ასწავლიდნენ მათნაირი ბედის მატარებელი აფხაზეთიდან ლტოლვილი მასწავლებელი ქალები.

ახალგაზრდებს შორის გარკვეული ნაწილი ოჯახიდან მოდიოდა გათვითცნობიერებული იმაში, რომ მისი წარმომავლობა ქართული იყო. ამ კატეგორიის წარმომადგენლები სიფრხილით, მაგრამ მაინც უფრო თამამად მიიწევდნენ ქართულისაკენ, ქართველებისაკენ, მეორენი კი დაბნეული, შეშინებულნი და გაორებულნი იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ ვინაიდან მათი წინაპრები ცხოვრობდნენ საქართველოში, ამიტომ მათაც უნდა აქ უნდა იცხოვრონ, რაც შეეხება ეროვნებას, ისინი თავს თურქებად აღიქვამდნენ და არა ქართველთა შთამომალად.

მასწავლებლის მიერ სწორად წარმართული საუბრებისა და მუშაობის შედეგად, მოკლე ხანში სულ სხვა განწყობილებები იჩენდა თავს. ისინი იწყებდნენ ინტერესის გამოვლენას არა მხოლოდ მესხეთისადმი, არამედ ყოველივე ქართულისადმი, მისი ისტორიისა და კულტურისადმი. ყინული დნებოდა, იწყებოდა ახალი ერა მათ ცნობიერებაში.

საუკუნეები დასჭირდა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკის მესვეურთ, რომ მესხეთის მოსახლეობა ჯერ გაემაჰმადიანებინათ, ხოლო შემდეგ აღმოეფხვრათ მათში ქართული სული, ცნობიერება, ენა, ადათი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის უცილობელი ფაქტიც, რომ ამ პროცესის ბოლომდე მიყვანაში დიდი როლი ითამაშა ჯერ რუსეთის იმპერიამ, შემდეგ კი მისმა მემკვიდრე საბჭოთა კავშირმა.

ახალგაზრდებთან მუშაობის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნულის უკუპროცესს, ე. ი. ეროვნული ცნობიერების აღდგენას მაჰმადიან მესხებში, 20-30 ჯერ უფრო ნაკლები დრო დასჭირდება, თუ, რასაკვირველია, დამხვდურთაგან იქნება თბილი, კეთილშობილური დამოკიდებულება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდების მიერ ქართული ანბანის, მისი ასოების მოხაზულობისა და ქართული ბგერების, მათი გამოთქმების სწრაფი ათვისება.

დასაწყისში ისინი დიდი სიფრთხილითა და შიშით წარმოთქვამდნენ ქართულ სიტყვებს, წინადადებებს, ზოგჯერ წარმოთქმის დროს ისეთ სირთულეებს აწყდებოდნენ, რომ იმედს კარგავდნენ, ვერასოდეს დავეუფლებით სამეტყველო ენასო, მაგრამ თანდათანობით სიძნელეები გადაილახებოდა და კიდევ ერთი ნაბიჯი, ქართულისკენ გადადგმული, საოცარ სიხარულს ანიჭებდათ სამშობლოს მაძიებელ ახალგაზრდებს.

მესხი ახალგაზრდების ქართულ კულტურასთან რეინტეგრაციის საქმეში უპირველესი როლი (და ეს ბუნებრივიცაა) ენიჭება ქართული ენის მასწავლებლებს ქ-ებს ც. კეთილაძეს, მ. წირღვავას, ხ. გადელიას, ნ. ნაჭყებიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათი დამსახურებაა ის, რომ 1993 წლიდან მოყოლებული 4-5 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს შეემატა ქართული ცნობიერების მქონე 60-70 მდე ახალგაზრდა მესხი.

ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ-ნ ცისანა კეთილაძის დამოკიდებულება მესხი ბიჭებისადმი. მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიც ამ ლტოლვილ ქალბატონს უხდებოდა ცხოვრება, იგი დროს პოულობდა, რათა გარდა სკოლის კედლებისა, მის გარეთაც ემუშავა თავის მოწაფეებთან. პარალელურად იგი აწარმოებდა ჩანაწერებს ახალგაზრდებზე დაკვირვებების საფუძველზე.

ეს ჩანაწერები საინტერესოა იმ პროცესის, იმ მეტამორფოზის დასანახად, რომელსაც განიცდიან სამშობლოში დაბრუნებული მესხები.

ამიტომ აქედან მოყოლებული, ძირითადად დავეყრდნობით ამ ჩანაწერთა კონკრეტიკას.

აი, როგორ ფიქრობს ახლად ჩამოსული მესხი ბიჭი ომარი თავის წარმომავლობაზე: „ვერ გამიგია, მასწავლებელო, გუშინამდე თურქი ვიყავი, დღეს კი როგორ ვარ ქართველი". ერთი თვის შემდეგ მასწავლებლის კითხვაზე, რად თვლის თავის თავს, იგი პასუხობს, აბა, რა ვიცი, ალბათ „თურქად" დავიბადე და თურქად გავიზარდე, ისე გული აქეთაც მეწევა. ამ ახალგაზრდამ სწავლა თსუ ახალციხის ფილალში განაგრძო. ბინა მამის ალალ ბიძაშვილთან სოფელ რუსთავში დაიდო. იგი დღითიდღე იცვლებოდა არა მარტო ცნობიერების მხრივ, არამედ ფიზიკურადაც. დაძაბულობა, გაურკვევლობა, გაორების განხდა, რაც გამოსჭვიოდა მის მზერაში და ქცევაში, სადღაც გაქრა და მისი ადგილი შინაგანი რწმენის ბედნიერმა განცდამ დაიკავა. მან სრულიად შეისრუტა შეგნება თავისი წარმომავლობისა, წაიკითხა საქართველოს ისტორია, ჩაუღრმავდა მესხეთის ტრაგიკულ წარსულს და... დარწმუნდა, რომ იპოვა სამშობლო საქართველოს სახით და რაც მთავარია, მან იპოვა თავისი თავი. ამ მდგომარეობამდე მისვლას ხელი შეუწყო ოჯახურმა გარემომ, თბილმა მოპყრობამ, ნათესაური კავშირის შეგნებამ.

ჩამოსვლიდან ერთი-ორი წლის შემდეგ გამოჯავრებით შევეკითხებოდი ხოლმე: „ომარი რა ეროვნების ხარ?", რაზედაც სიამაყით მიპასუხებდა: „მე ქართველი ვარ, ყოველთვის ვიყავი, უბრალოდ ჩემში ქართველს ეძინა".

ს. ა. -ს აღარ ეეჭვება თავისი ქართველობის. როცა თურქული ორიენტაციის მიმდევრები „გვიმტკიცებდნენ" თავიანთ თურქობას, ს. ა. მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა: „გიჟები არიან, მასწავლებელო, რას ამბობენ, როგორ შეიძლება „სვანიძე" და „მარიამიძე" თურქი იყოსო".

აი, რას ყვება დ. ა.: „საშუალო სკოლადამთავრებულმა მუშაობა დავიწყე. ერთ დღეს მამაჩემი მოვიდა და მეუბნება, ჩვენ წარმოშობით ქართველები ვყოფილვართო, გვარად ამბროლაძეო. დავაკვირდი, მთვრალი არ იყო. უფრო შევწუხდი, ავად გამხდარამეთქი". დაახლოებით ერთ წელიწადში ეს ახალგაზრდა თვითონ დარწმუნდა თავის წარმომავლობაში.

1995 წლის ნოემბერში დიალოგი გაიმართა თურქული და ქართული ორიენტაციის მესხებს შორის. ორივე მხარეზე იმყოფებოდნენ ერთმანეთის ნათესავები. მესხი მოსწავლეები მასწავლებლების გარშემო შემოჯარნენ და ძალაუნებურად დაუპირისპირდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროთურქულ ბანაკში მყოფ ადამიანებს. ახალგაზრდებს უკვირდათ მათი „თურქობის“, რცხვენოდათ მათი „უგუნურობის“. ზოგი ჩუმად ჩაიცინებდა და ჩაილაპარაკებდა: „გიჟია არ გეწყინოსო“. ზოგი ასე მსჯელობდა: მასწავლებელო არ გაგიკვირდეთ, ჩვენ ყველანი ასე ვფიქრობდით თავიდან. მადლობა ღმერთს, რომ თვალი აგვეხილა“.

თუ ჩამოსული ახალგაზრდები დასაწყისში შეხვედრების დროს ერთმანეთან მარტოვდებოდნენ, ემიჯნებოდნენ ქართველ ახალგაზრდებს, გადის წლები და სურათი მკვეთრად იცვლება: ისინი ესწრაფვიან ქართველ თანატოლებთან ურთიერთობას და სიახლოვეს, გრძნობენ, რომ ისინი არიან სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

კიდევ რამოდენიმე ამონარიდი ქალბატონ ცისანა კეთილაძის დღიურიდან: „...ვუახლოვდებით ბორჯომს, თვალწარმტაც ხედებს გაფართოებული თვალებით უყურებენ ჩვენი ბიჭები... ახალცხემდე ხშირად ვაჩერებთ ავტობუსს. სამახსოვრო კენჭებს გულის ჯიბეებით აგროვებენ ბიჭები თავისიანებისათვის. ბატონი იასინი ადგილზე ვეღარ ჯდება მღელვარებისაგან. (იგი 14 წლისა იყო როცა გაასახლეს და ყველა სოფლისა და უბნის სახელი ახსოვს). იგი ადგა და სიმპათიურ ქართულ ღაწვებზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. ბიჭები შემოეხვივნენ მას და თვალცრემლიანი უსმენენ. იასინი ასე ამბობს: „ჩემს ღელეში ხვლიკებიც კი მიმელიანო...“. „აღარ მიკვირს, რად გვებრძოდნენ, რად გვართმევდნენ ამ სამოთხე-სამშობლოს, ეს ადგილები ხომ ყველა დუშმანს მადას აღუძრავდა – ამბობს 19 წლის ისო და განაგრძობს – აქედან მკვდარს თუ წამიღებენ, თორემ ცოცხალი თავით საქართველოს ვერ დავტოვებ. მაინტერესებს, როგორ გამიძლებს ჩემი მშობლიური სოფლის მიწა“.

ბატონმა იასინმა ნათესავი მონახა ბაზარში – ნარიმან ვარდიძე. ყნოსვით ვიგრძენი, ნათესავი რომ იყოო. ბიჭები იცინიან, ჩვენც ყნოვით მოვნახავთ ნათესავებსო.

ადიგენი. მოედანზე ადგილობრივი ახალგაზრდები საოცარი სითბოთი და სიყვარულით შეხვდნენ ჩვენ მესხებს. საოცრად ლამაზი დილა გათენდა ადიგენში... აღტაცებული ბიჭები ბრუნდებიან „თავიანთი სოფლებიდან“. ბაადურმა ბაბუამისის სახლიც ნახა. ყველანი აღტაცებულნი არიან მასპინძლობით.

„მე ბედნიერი, მასწ.“ – მეუნება ანვარ პაპიძე.

დიდი მღელვარებით წამოვაღებინეთ მურსალს მიწა, ბალახები, ფოთლები მშობლებისათვის, ბებიისათვის.

შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას. თბილად მიიღეს ჩვენი მესხი ბიჭები.

ერთმა იმერელმა გლეხმა ფართოდ გააღო ჭიშკარი და იმერული გულღიაობით უთხრა მურსალს: მოდით, შვილო, მიწაც და სახლიც ჯერჯერობით ყველას გვეყოფა შემდეგ კი მეორე სახლი ავაშენოთ და ძმურად ვიცხოვროთ. შენისთანა ბიჭები, აბა, სად გვყავს დასაკარგი“.

ძალიან საყურადღებო ფაქტს ვაწყდებით აამვე ჩანაწერებში. აი, ისიც: „მეტეხი. ბიჭები გვთხოვენ შევუძღვეთ ეკლესიაში. უფროსები თავს ვიკავებთ. ახალგაზრდები მუდარაზე გადადიან: გვიჩვენეთ, რა ხდება საყდარში?!“

შეგვყავს. ისინი გაფართოებული თვალებით უცქერიან ყველაფერს, უსმენენ გალობას და ისე მოჯადოვდნენ, რომ არც კი უნდათ საყდრიდან გასვლა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდა ჩანაწერებისა ქალბატონ ცისანას აქვს ყველა თავისი მოწაფის დახასიათებები. ისინი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ თითოეული ყმაწვილის მაგალითზე ნათლად არის ნაჩვენები მათი ეროვნული ცნობიერების აღდგენისათვის არის სიყვარული, სითბო და გულისხმიერება, რომელიც მშობლიური ხალხის წიაღიდან იქნება გამოსული. ეს ფაქტორები გაცილებით უფრო ძლიერია რეინტეგრაციის პროცესში, ვიდრე ნაირნაირი, ძველი თუ ახალი ფსიქოლოგიური მეთოდები, მშრალი თეორიული მიდგომა საკითხისადმი, ათასნაირი ტრენინგები და მისთანანი. ამის დადასტურებაა ზემოთ მოყვანილი ჩანაწერები.

მეორე დიდი ფაქტორი მესხების რეინტეგრაციაში არის მესხეთის მიწასთან სიახლოვე, მისი სურნელების შეგრძნობა, მისი ბუნების სიდიადისა და სილამაზის აღქმა, მისი ისტორიული და კულტურის ძეგლებთან ზიარება. ყველა ეს ფაქტორი პლუს ადგილობრივ მოსახლეობასთან ცოცხალი კავშირი აშკარად დაანახვებს სამშობლოს მოწყვეტილ მესხ ჭაბუკებს, რომ მათი მშობლიური მესხეთი არის საქართველოს ძირძველი მიწა, მისი უძველესი კულტურის მატარებელი, რომ იქ მცხოვრები ადამიანები არიან მათი განუყოფელი ნაწილი, ყოველივე ეს კი საბოლოოდ აგრძნობინებს მათ თავიანთ გენეტიკურ ერთიანობას ქართველ ხალხთან.

ლიტერატურა:

1. ***Гозалишвили Х.,*** - Трагедия Месхов-
2. მასწავლებელ ც. კეთილაძის „სამუშაო დღიური“

Ismail Molidze, Khalil Kochalidze

THE ADAPTATION OF DEPORTED MESKHETIAN YOUTH IN GEORGIAN ENVIRONMENT (Summary)

One of the important problem for Georgia is return of the deported Meskhians. The main direction of the resolution of this problem is adaptation-reintegration of the deported in Georgian environment of their historical unfortune. A reception of the deported youth Meskhians with the aim of adaptation-reintegration began in 1993. After a pass of studying courses of the Georgian language they have been passed at various Universities. As it seems from a pass of courses of the Georgian language, history of Georgia and culture for successful development of adaptation-reintegration.

The adventage must appropriate to relation with a local population, to organize the excursions in historical and cultural places of Meskheti and other regions of Georgia, to fortify a theoretical acquiring knowledge. A pass of compatible legislative measures with the local youth and, that is mainly, must feel warmth and love from the local population. They must get kindly their lost blood and flesh.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ჯულიეტა რუხაძე

ქართული ხალხური დღესასწაულის (ბერიკაობა-ყეენობა) ერთი დამახასიათებელი რიტუალი სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში ისევე, როგორც მთელ საქართველოში ხალხური დღესასწაული ბერიკაობა-ყეენობა იმართებოდა. რომლის დროსაც ბევრი მნიშვნელობანი და საყურადღებო რიტუალი სრულდებოდა, რომლებიც ბუნების ძალთა აღორძინების და აგრარული კულტმსახურებისადმი იყო მიძღვნილი. რიტუალებში ჩანს განაყოფიერების, მოსავლისა და საქონლის გამრავლების დასაბუთებული ხერხები და რწმენა-წარმოდგენები, მდიდარი სამწათმოქმედო ტრადიციები. დღესასწაულში სხვა მრავალ რიტუალებთან ერთად ადგილი აქვს იმ მისტერიებს და რწმენა-წარმოდგენებს, რაც აგრარული ზეიმის და ძველ აღმოსავლურ მისტერიების ანალოგიურია.

მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში დარღვეულია პირობითად შემუშავებული კანონზომიერება, დღესასწაულში შემცირებული ეპიზოდები ივსებოდა დამატებითი სცენებით და ახალ-ახალი თემებით. ასე იქმნებოდა ამ დღესასწაულის ვარიანტები, რომელთაც განაპირობებდა აგრეთვე მთქმელთა სუბიექტური შეხედულებანი, აზროვნებათა ერუდიცია, მხატვრული გემოვნება და სხვა. მაგალითად სამცხე-ჯავახეთში და ბევრ სხვა რეგიონებში ცნობილი ეროტიკული ქმედებები და ლექს-სიმღერები თანდათან გაქრა და მათი ადგილი სხვა ქმედებებმა დაიჭირა. ზოგიერთი მასალის მიმოქცევაში შემოსვლის შემდეგ ახლებურად დადგა ამ აგრარული დღესასწაულის შესწავლის მრავალი ასპექტი, რაც ახალი მეცნიერული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

დღესასწაული მთავრდებოდა იმით, რომ სიმღერებით, ცეკვით, მხიარული შეძახილებით შემოიჭრებოდნენ ნიღბოსანი ბერიკები, რომლებიც საქანელას აბამდნენ, ბუქნაობნენ, ხოლო ზოგ რეგიონში ციგაზე სრიალით იქცევდნენ თავს. აი სწორედ ეს საქანელა და ბუქნა, როგორც ციგაობა დღესასწაულის დასასრულს აუცილებელი იყო. გარდა იმისა, რომ საქანელა ერთგვარ გასართობს წარმოადგენდა და დღესასწაულის საერთო სურათში იყო ჩართული, თავისთავად დღესასწაულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წესჩვეულებას წარმოადგენდა.

როგორც ირკვევა ქანაობას ჩვენში ნაყოფიერების დასაბევებელი მნიშვნელობა ჰქონდა და ძველი ხალხების ყოფაშიც იგივე აზრის შემცველი იყო.

ჩვენი მასალის მიხედვით ქანაობა დიდმარხვის ორშაბათს ყეენობის დროს იმართებოდა. დღესასწაულის დასასრულს მას საღამოს ჩამოჭრიდნენ, თუ საქანელა ჩამოუჭრელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩა, იმ წელს სოფელს უამინდობა, სეტყვა და გვალვა შეაწუხებდა და მოსავალი არ მოუვათ[1, 201]. საქანელაზე ქანაობას მოსავლიანობისათვის, ბარაქისა და გამრავლებისათვის, განსაკუთრებით ერბოს სიუხვის დასაბევებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველიერში ყველა ქანაობდა, მაგრამ აუცილებელი იყო ბერიკა/ყეენისა და ახალგაზრდა ქალებისათვის ნაყოფის უნარის შენარჩუნებისათვის და მისი მინიჭებისათვის. მას სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა, ქართლში ქალები საქანელაზე ქანაობის დროს კალთაში დიდ ქვას ჩაიდებდნენ, ბევრი ერბო გვექნებაო [3, 44].

სამცხე-ჯავახეთში საქანელის ჩამობმას ქანული ეწოდებოდა. ხნიერი ქალები ბავშვებს მიმართავდნენ: „იქანეთ შვილებო, რომ ძროხები ბერწნი არ დარჩეს, ითამაშეთ რომ ძროხები გაგვიმრავლდესო[6, 60].

რიტუალში ყურადღებას იქცევს არა მარტო ყეენის, როგორც ნაყოფიერების ღვთაებად წარმოდგენილი პირის ქანაობა, არამედ ისიც, რომ ქანაობდნენ და ციგაობდნენ დღესასწაულის ველა ახალგაზრდა მონაწილენი. აქ ჩანს ანალოგი ჰომეროსის დროინდელი წესისა: ყურძნის დამწიფების ჟამს, ხის ტოტზე კიდებენ თოჯინას და აქანავებენ. ქანაობა გააზრებულია, როგორც ნაყოფიერების ღვთაების სქესობრივი აქტის იმიტაცია გარესამყაროს ასაღორძინებლად. ლ. შტერნბერგის ვარაუდით ძველ ბერძნულად ლარნაკებზე გამოსახული მხატვრობა საქანელაზე მოქანავე პერსონაჟისა არის მცენარეულის ღვთაება ტყის სული სატირი, რომელიც ვარაუდით ნაყოფიერების იმიტატიურ სექსუალური აქტის გამოვლინებად არის მიჩნეული [8, 466].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა (დარის დარ-ავდრის გამოთხოვებისათვის შესრულებული საკმაოდ ცნობილი ლაზარობა-გონჯაობის რიტუალი. სოფელში მოსიარულე ქალების გუნდი ხელში დაკავებული ცოცხით და მასზე ან ჯვრის გამოსახულებიან ჯოხზე დამაგრებული მორთულ-მოკაზმული თოჯინა/კუკით, რომელსაც წვიმის ან დარის გამოთხოვის დროს წყალს ასხამდნენ ან ნაცარს აყრიდნენ. საყურადღებოა ასევე საკმაოდ ცნობილი ეგვიპტური რიტუალი, რომელიც არაბების ბატონობის დროს ყოველ წელს სრულდებოდა, წვიმის გამოსაწვევად ისინი მდინარეში აგდებდნენ კარგად მორთულ გოგონას [8,466]. ფაქტია, რომ დღესასწაულში თოჯინას იყენებდნენ არა მხოლოდ სანახაობითი მნიშვნელობით. გაწუწული თოჯინა ჩვენ ნაყოფიერების უძველეს სიმბოლურ ხატად გვესახება.

ნათელია, რომ თოჯინას და დღესასწაულის მონაწილეებს, განსაკუთრებით ბერიკა/ყეენს ტოლფასოვანი მნიშვნელობა აქვთ. სწორედ ამის პარალელური მასალაა თოჯინა/კუკის და ბერიკა/ყეენის თავსაბურავის მოსართავად თოჯინის ტარების წესშიც; თოჯინა კვლავ ინარჩუნებს თავის ფუნქციას დღესასწაულის მსვლელობის მთელ მანძილზე. თოჯინა ისევე, როგორც ბერიკა/ყეენი, როგორც სიმბოლო ნაყოფიერებისა კიდევ უფრო დაკონკრეტდა, რადგან ბერიკას/ყეენს ზებუნებრივი გავლენის მოხდენა შეუძლია მცენარეულ სამყაროზე და საერთოდ ნაყოფიერებაზე. ამდენად თოჯინით სიარულს გვალვა-დელგის დროს და დღესასწაულის მთავარი მომქმედი პირის თავსაბურავზე დასკუპებულ თოჯინას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც მათი სქესობრივი აქტის სიმულიაციას აღწერილ რიტუალში.* ეს კი უფრო გვაახლოებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბოლოო აზრთან იმის შესახებ, რომ ხეზე ჩამოკიდებულ თოჯინის ქანაობას მხოლოდ ნაყოფიერების მიზანი ჰქონდა. ხომ არ არის ხე, რომელზედაც ქანაობენ, სიცოცხლის ხე? ამ კითხვის დასმის უფლებას გვაძველს ის, რომ ბერიკა/ყეენი, მისი იდენტური პერსონაჟები და თოჯინა, რომელიც გვალვა-დელგმისადმი მიძღვნილ რიტუალში გონჯაობა-ლაზარობაში ზოგჯერ მხოლოდ ჯვრის გამოსახულებით გვხვდება [2, 50] საკრალურ ხესთან წილნაყარნი არიან.

ბერიკა/ყეენის ქანაობის საშუალებით გადმოცემულია ბუნების აღორძინების იდეა. ქანაობა რიტუალურია, იგი აძლევს ნაყოფიერების ძალას და ამით მისი სტატუსი კიდევ უფრო ძლიერდება. ბერიკა/ყეენი ამ მოქმედებით ემსახურება ხალხს, სოფელს; ყველაფერი რაც ამასთან არის დაკავშირებული ნაყოფიერებით არის გარემოცული.

როგორც ქორწინება-შეუღლების რიტუალს, ასევე ქანაობას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იყო ნაყოფიერების გამომწვევი იმიტატიური სქესობრივი აქტი და, ამდენად, როგორც ფალიკური კულტის გამოძახილი, ბოროტ ძალებთან ბრძოლის ხერხი და ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალება.

ჩანს ქანაობა და ციგაობა აგრარულ დღესასწაულში განვითერებული მაგიური რწმენის გადმონაშთია და ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად ითვლება.

ქანაობა დღესასწაულის უნმიშვნელოვანესი ატრიბუტია და განსაკუთრებულ როლს ასრულებს, თუმცა საკრალურობის თვალსაზრისით მას შეიძლება ბევრი რიტუალი და წეს-ჩვეულება გავუთანაბროთ.

აღნიშნულ დღესასწაულში წარმოდგენილი რიტუალი, რომელიც უხვი მოსავლის მისაღებად სრულდებოდა უშუალოდ იყო დაკავშირებული ნაყოფიერების მაგიასთან და მიწათმოქმედების კულტში დიდ როლს თამაშობდა [8, 466].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქანელაზე ქანაობა ერთიანდება იმ რიტუალურ მოქმედებათა რიგში, რომელთა მიზანია უწყვეტი წრიული მოქმედების გადმოცემა. თავის მხრივ წრიული მოქმედებები შეიცავს ბუნების მარადიული კვდომა-აღორძინების იდეას, ნაყოფიერების ღვთაებათა წასვლა-დაბრუნებას, რაც კვდომისა და აღორძინების კრიზისის მითოსურ ახსნას წარმოადგენს. ასეთივე საკულტო მითოსური იდეის განცხადებას წარმოადგენს რიტუალური ფერხულები (ზოგჯერ მრავალსართულიანი), ორპირული (ორგუნდიანი სიმღერები), მრავალრიცხოვან მონაწილეთა მიერ რიტუალური შემოვლები და ა. შ. საქანელა ნახევარწრეზე მიმოსვლაა და კრავს წრიულ ციკლს, რაც მრავალფეროვან რიტუალთათვის რელიგიურ-მითოსურ საფუძველს წარმოადგენს [7, 149].

---

* ცნობილია, რომ ეგვიპტელები დიონისეს დღესასწაულზე თოჯინას ფლეიტისტებთან ერთად ქუჩაში დაატარებდნენ და მას ქალები უგალობდნენ; ჰეროდოტე ფიქრობს, რომ ეს კულტი მელამპოლს უნდა გადმოეტანა ეგვიპრიტად და ელინებში დაენერგა, იმ განსხვავებით, რომ თოჯინის მაგივრად მათ მხოლოდ ფალოსი დაჰქონდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. *ვარდაველიძე ვ.*, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ახალი წლის ციკლი, თბ., 1939.
2. *ბარდაველიძე ვ.*, ქართულ (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
3. *ბოჭორიშვილი ლ.*, ხალხური დღეობები კახეთში, 1937. ხელნაწერი M 2, 20.
4. ***Гулисов Сел.***, Рустави, об игрушках и разных детских забавах встречающихся в Грузии СМОМПК, II, Тиф. 1886.
5. И. Ч. "Кавказ", 1846. № 1.
6. *მაკალათია მ.*, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი) კრბ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972.
7. *სურგულაძე ი.*, სივრციბრივი ასპექტი ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, მსგ. XXII, თბ., 1987.
8. ***Штёрнберг.*** Первобитная религия в свете этнографии. Л., 1936.

Juliet Rukhadze

ONE CHARACTERISTIC RITUAL OF GEORGIAN FOLK FESTIVAL IN SAMTSKHE-JAVAKHETI

(Summary)

In the Shrovetide week during the berikaoba-qeënoba a swing was set up, and see-sawing was practised, and if there was snow, they used to tobogan. At the qeënoba the swing had to be cut down on Lent Monday. If it remained hanging, that year the village would suffer from bad weather-hailstorm or drought-and the crops would fail. Swinging was important for ensuring a good harvest, fertility and plenty, especially for the abundance of melted butter. All swung and see-sawed, but swinging was of symbolic significance for the berika/qeën and young girls (from the viewpoint of fertility). In Kartli swiniging woman held a large stone in the lap, purporting to bring much melted butter.

In Samtskhe-Javakheti the hanging up of swing was called kanuli ("swinging"). Old women would tell the children: "Swing, Children, so that the cows should not remain barren, play so our cows should multiply".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

თამაზ ფუტკარაძე

სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტთა სამეურნეო-ეკონომიკური ადაპტაციის საკითხები

მიგრაციული პროცესების მართვის სრულყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადასახლების შემდეგ მიგრანტთა ყოფასა და კულტურაში მიმდინარე ცვლილებებისა და ადაპტაციური პროცესების შესწავლას. აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია ცხოვრების ყველა მხარის (მატერიალური, სოციალური, სულიერი) მკვეთრი ცვლილებების აუცილებლობასთან. იგი მიგრანტისაგან მოითხოვს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ძალისხმევას. ფსიქოლოგიურთან ერთად ადაპტაციას ახლავს მატერიალური ასპექტებიც, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისად საცხოვრებელთან, შრომით დასაქმებასთან, ხელფასსა და უმაღლეს სასწავლებელში მოწყობასთან (1,57).

სამცხე-ჯავახეთი პოლიეთნიკური რეგიონია. ანტიქართულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა საქართველოში, განაპირობა დემოგრაფიული დაძაბულობა და ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მკვიდრი ეთნოსი ეროვნულ უმცირესობად აქცია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართული ეთნიკური ელემენტების ჩასახლებამ. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით აჭარელთა სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების სურათის აღდგენა შესაძლებელია XIX ს. მიწურულიდან, თუმცა სავარაუდოა, რომ ინდივიდალური ტიპის მიგრაციები ადრეც იყო შესაძლებელი. ეს პროცესი გაძლიერდა XX საუკუნის შუა ხანებში, 70-იან წლებში გაფართოვდა მიგრაციის გეოგრაფიული არეალი და ადიგენთან ერთად მოიცვა ასპინძის რაიონიც, 1989-90-ნი წლებიდან კი - ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები (ჩუნჩხა, პტენა, კოთელია, აფნია, გოგაშენი, აზმანა, სპასოვკა, 439 ოჯახი).

მიგრანტის ახალ გარემოში დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ადაპტაცია სამეურნეო სფეროში. იგი გულისხმობს გეოგრაფიულ პირობებში საწარმოო შრომის შედეგების, სამეურნეო მიღწევების გამოვლენას, დამხვდურთა კულტურულ-სამეურნეო მიღწევების შეთვისებას, ახალი გარემო პირობებისა და შრომის ხასიათთან მიგრანტის თანდათანობით შეგუებას (2,25). სამეურნეო ადაპტაციის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს შრომითი მიღწევები, საკუთარი შრომითი წარმატებების სუბიექტური განცდა.

სამეურნეო ადაპტაციის დონე და წარმატებები სრულიად განსხვავებულია სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტთა შორის. მომიჯნავე ადიგენის რაიონში აჭარელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახ-ლდებოდა იმიტომ, რომ აქ აჭარის მსგავსად სიმბიოზური ფორმითაა წარმოდგენილი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. რაიონის პირობები იძლევა მომთაბარული მეურნეობის განვითარების, მეურნეობის ტრადიციული წესებით წარმართვის, ანალოგიური სამეურნეო იარაღებისა და სატრანსპორტო საშუალებების (გუთანი, ჯილღა, ფარცხი, მარხილი) გამოყენების შესაძლებლობას, რომელთა გავრცელების მასშტაბები შეზღუდული იყო ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში. ალპური საძოვრების არარსებობა ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტს მთაბარული მეურნეობის განვითარების საშუალებას არ აძლევდა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მეტი წილი მექანიზებულია და შრომას შეჩვეული აჭარელი დაუსაქმებლობას უჩივის, ამიტომ იყო, რომ ადიგენის რაიონში ჩასახლება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა, მაშინ როცა ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში მათი ჩასახლება განაპირობა სხვა რეგიონებში ჩასახლების რეალური შესაძლებლობების არარსებობამ. ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტთა 78 პროცენტი თვლის, რომ საცხოვრებლად გადავიდოდა შავიზღვისპირა ბარში, სათანადო პირობები რომ არსებულიყო. ამასთან, გადამწყვეტი როლი ითამაშა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა, რაც მთავრობის მიერ სხვადასხვა სახის დაპირებების მიცემაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, აჭარელთა მიგრაციებს ამ რაიონებში ნაუცბათევი ხასიათი არ ჰქონია. ისინი წინასწარ ეცნობოდნენ ჩასახლების ადგილის სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებს და შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. ადრეული კონტაქტების მიუხედავად აჭარელი საჭიროდ თვლიდა დამხვდური მოსახლეობისაგან შეეთვისებინა სამეურნეო გამოცდილება, რაც დასტურდება ეთნოგრაფიული მონაცემებით.

მიგრანტებმა გამოავლინეს შრომითი კულტურის მაღალი დონე, ააღორძინეს მებოსტნეობა. წინა საცხოვრისთან მათი კონტაქტები ხელს უწყობს ტრადიციული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. მათ გადმოიტანეს ამ მხარეში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობის, ნიადაგის მოვლა-დამუშავების ე. წ. ნაკელწყლით სახნავი ფართობის გაპატივების, საოჯახო და სამეურნეო ყოფის რიგი ტრადიციული თავისებურებანი. მაგ. აჭარული ახორი, რომლის მთავარი ელემენტია სანარწყალი. ზურგით მიმართულია სახნავი ფართობისაკენ. ახორში დაგროვილი პატივი სანარწყლით გადის გარეთ, „ყანაში". ახორის ასეთი ორიენტაცია დაკავშირებულია მორწყვა-გაპატივების სისტემასთან და გულისხმობს გამდინარე წყლის საშუალებით გათხიერებული ნაკელის გამოყენებას (3,19) ასეთი დაგეგმარება მოსახერხებელია მეახორისათვის და უპირატესობა აქვს ჰიგიენური თვალსაზრისითაც.

სამეურნეო ადაპტაციას ართულებს მიგრანტთა შრომითი მოუწყობლობის საკითხი. აჭარის მთიანეთში სამეურნეო საქმიანობა ემყარება ხელით შრომას. სამცხე-ჯავახეთში (უპირატესად ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ძირითადად მექანიზებულია. ამიტომ მუშახელის ძირითადი ნაწილის დასაქმება არ ხერხდება. აჭარლები გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით. სამუშაო კი არ აქვთ. ზოგიერთ სოფელში (ოკამი, კოთელია, სპასოვკა) ადგილობრივი ხელმძღვანელობის ვოლუნტარისტული მიდგომა კიდევ უფრო ართულებს პრობლემის გადაჭრას. ზოგჯერ მეზობელი სოფლებიდან ხდება მუშახელის დაქირავება, როცა ამ სოფლების მკვიდრთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომითი მოწყობის საკითხი არ გადაჭრილა.

ნინოწმინდის რაიონში (სოფ. სპასოვკა) აჭარლები (ძირითადად ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომიდან) 1989-1990 წლებში ჩასახლდნენ. მერაბ კოსტავას ფონდის მეშვეობით შეისყიდეს 30 სახლი, რომლებშიც ამჟამად 54 ოჯახი ცხოვრობს. მიგრანტთა ნაწილი ცდილობდა გორელოვკაში დამკვიდრებას, მაგრამ სომხების მხრიდან წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობას. აქ კომპაქტური ჩასახლება სურთ ასპინძის რაიონში მცხოვრებ აჭარლებს, ნათესაურ ჯგუფებს, რათა „თავი დაიცვან სომხებისაგან." აჭარლებს აქაურ ბუნებრივ - კლიმატურ პირობებთან შეგუება არ გაჭირვებიათ. პირიქით, აქ მიეცათ ნაყოფიერი მიწის ნაკვეთები, რის ნაკლებობასაც განიცდიდნენ აჭარაში. ამასთან მათ პირველსაცხოვრისში „ხშირი იყო ზვავები და მეწყერი." აჭარლებს მოჰყავთ კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი, მწვანილი. აჭარლებმა თან ჩამოიყვანეს საქონელი, რამაც კიდევ უფრო გაართულა სომხებთან ურთიერთობა საძოვრების ხელში ჩაგდების მიზნით. სომხებს უნდათ, რომ აჭარლებმა შეამცირონ საქონლის რაოდენობა. აჭარლების აზრით „აქ ზეგანია, არაა ხეხილი, სუბტროპიკული კულტურები და ცხოვრების პირობების მოსაწყობად აუცილებელია მესაქონლეობის განვითარება. ადრე იყო ფერმები და ჰყოფნიდათ საძოვრები, ახლაც საკმარისია, მაგრამ სომხებს არ უნდათ ჩვენი აქ დასახლება და პრობლემებს გვიქმნიანო". ყველა ოჯახს აქვს რძის სახელი მოწყობილობა, ამზადებენ ნაღებს, იაღს (კარაქს), დოს(ნადუღს), ყველს. რძის პროდუქტების წარმოების აჭარული წესები მისაღები აღმოჩნდა დუხობორებისათვის. საწვავად იყენებენ შეშას, რომელიც აჭარიდან ჩამოაქვთ, თუმცა ისწავლეს წივის დამზადებაც. აჭარლები ცდილობენ მყარად მოიკიდონ ფეხი და მოიზიდონ თანაკუთხელები. მიგრანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებსაც შემოჰყავთ მუშახელი სხვა სოფლებიდან, თვითონ კი უმუშევრები არიან.

აჭარლები სამცხე-ჯავახეთის ყველა რაიონში მყარად გრძნობენ თავს და ამის მიხედვით აწყობენ თავიანთ სამეურნეო საქმიანობას. ახალქალაქისა და ასპინძის რაიონებში ჩასახლებულმა მიგრანტებმა აითვისეს მემინდვრეობის განვითარების ტრადიციები, მაგრამ ნინოწმინდაში (სპასოვკა) აწყდებიან წინააღმდეგობას სომხების მხრიდან. სომხური მოსახლეობა ცდილობს მიწების მითვისებას, ამიტომაც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების (ე. წ. კოლმეურნეობების) დაშლას, აჭარლებს კი მისი შენარჩუნება სურთ, რადგან უსახსრობის გამო არ შეუძლიათ გამოთავისუფლებული მიწების შეძენა. სომხებისა და ქართველების ამ შეუთავსებლობას კონკრეტული მიზეზი აქვს. სომხები აჭარლებს უბიძგებენ უკუმიგრაციისაკენ, ავიწროვებენ, რათა რეგიონი აქციონ მონოეთნიკურ ერთეულად.

სამცხე-ჯავახეთის ნოყიერი მიწები, ბუნებრივი გარემო აადვილებს მიგრანტთა სამეურნეო ადაპტაციას. გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია ნიადაგის ნაყოფიერებით, შრომითი მიღწევებით. ამასთან, სამეურნეო-ადაპტაციური პროცესების დასაჩქარებლად უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი მოწყობის საკითხის გადაჭრას. წინათ, ყოველ სოფელში ყოფილა ყველ-კარაქის მინი ქარხნები, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ტყავისა და მატყლის დამუშავებას. საჭიროა შესაბამისი საამქროების, საქსოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაბრიკების ან ფილიალების გახსნა, პურის საცხობი თონეებისა და წისქვილების აგება.

ეთნიკური შეუთავსებლობისა და შესაძლო კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, ქართული მოსახლეობის დამაგრება - დამკვიდრებისათვის გადამწყეტი სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფომ. მან უნდა განამტკიცოს თავისი იურისდიქცია, აგრძნობინოს უცხო ეთნიკურ ჯგუფებს ურთიერთადაპტაციის აუცილებლობა, გამოიყენოს იძულების სოციალური იარაღი (4, 185), შემოიღოს საქმის წარმოება ეროვნულ ენაზე, დააკანონოს ეროვნული ვალუტა, მკაცრად გააკონტროლოს მოქალაქეობის და მასთან დაკავშირებული უფლება - მოვალეობების საკითხი.

ლიტერატურა:

1. *ფუტკარაძე თ.*, თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, ბათუმი, 1995.
2. Производственная адаптация сельского мигранта, Кишинев, 1981.
3. *რობაქიძე ა.*, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1966.
4. *შუბითიძე ვ.*, ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998.

Tamaz Putkaradze

PROBLEMS OF ECONOMIC ADAPTATION OF MIGRANTS IN SAMTSKHE-JAVAKHETI

(Summary)

One of the main components of the settlement of migrants in a new area is an adaptation in the economic sphere.

The level and nature of economic adaptation is different between the migrants in Samtskhe-Javakheti. It is still developing successfully in the adjacent region of Adigeni, where the population has been settled voluntarily. But their settlement in Ninotsminda and Akhalkalaki was conditioned by having no real possibilities to settle them in other regions.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

თამილა ცაგარეიშვილი

მცენარეულის გამოყენების ეთნო-ეკოლოგიური კულტურა სამცხეში

ბუნებასთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის პროცესში, ადამიანის გონივრული დამოკიდებულება ბუნებრივ საწარმოო ძალებთან, რომელიც ვითარდება გეოგრაფიული გარემოს ცალკეული კომპონენტების ეკოლოგიური ცოდნის ბაზაზე, საფუძველს უყრის კონკრეტული სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის განვითარებას, განსაზღვარვს მოცემულ გარემოში ადამიანის სამეურნეო შრომის ხასიათს, შრომით ჩვევებს, ტრადიციებს და ეკოლოგიურ შესაძლებლობებს. საუკუნეებიის მანძილზე ბუნებასა და ადამიანს შორის იქმნება ჰარმონია, ურთიერთთანაარსებობა, რაც განპირობებულია უპირველესად ადამიანის მიერ კონკრეტული გარემოს შეცნობით.

ლიკალური არეალის მცენარეულ საფარზე ეთნო-ეკოლოგიური დაკვირვებით საინტერესოდ გამოიყურება მოსახლეობაში მცენარეულის გამოყენების სამეურნეიო კულტურა, რომელიც კონკრეტულ გარემოში ხანგრძლივად წარმოებული დაკვირვებისა და პრაქტიკული ემპირიული საქმიანობის შედეგია. ადამიანი ყურადღებას აქცევს მცენარის არა მარტო ზრდა-განვითარებას, არამედ პრაქტიკულად იყენებს მის სასარგებლო თვისებებს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუთის ხის კულტურა სამცხეში.

მესხეთში გავრცელებულია გამოთქმა: „მესხ კაცს თუთის ხე ერთ მეწველ ძროხას ურჩევნიაო". ხალხური სიბრძნე მიუთითებს თუთის ხის არა მარტო ეკოლოგიურ, არამედ სამეურნეო ყოფაში მის ეკონომიკურ მნიშვნელობაზეც.

საქართველოში მეურნეობის სხვა ფორმების გვერდით მეხილეობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ხალხის შეხედულებით „თუ პური არ მოვა – ღვინო დაგვიხსნის გაჭირვებისაგან. თუ არც ღვინო მოვა – ხილის მოსავალი გვიშველის, თუ არც ეს იქნება, სხვა რომელიმე მცენარე, პირუტყვი, საქონელი, აბრეშუმის ჭია, ფუტკარი ან კიდევ სხვა რამ მაინც შეგვიწყობს ხელს და იოლად გაგვიყვანსო". აქედან ჩანს, რომ წლიური სამეურნეო ციკლი არა მარტო ავსებს ერთმანეთს, არამედ გამორიცხავს მეურნეობის ცალკეული დარგების უპირატესობას ეკონომიკური ზარალიანობის შემთხვევაში. ამიტომაც იყო, რომ, დაპყრობილნი, საქართველოს ეკონომიკური საფუძვლიანობის მოშლის მიზნით, სათიბ-საძოვრების, ვენახების გვერდით ძირფესვიანად ჩეხდნენ კაკლიანებსა და თუთნარებსაც, რიგ შემთხვევაში, საგარეო ფაქტორმაც შეუწყო ხელი ბევრი კულტურული მცენარის სამეურნეო თავისთავადობის მოშლას, რომელიც ხალხმა გამოიმუშავა ხანგრძლივი საწარმოო ექსპერიმენტის გზით. ამ ფონზე საინტერესოდ გამოიყურება თუთის ხის სამეურნეო ნიშან-თვისების გამოვლენა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესწავლა. გავრცელებული მოსაზრებით, თუთა აღმოსავლური წარმოშობისაა. სპეციალურ ლიტერატურაში თუთის ხის სამშობლოდ ასახელებენ: ჩინეთს, ინდოეთს, იაპონიას, ირანს, ამიერკავკასიას.

თუთა გავრცელებულია მთელ საქართველოში. ველური სახით გვხვდება ჭალისა და ვაკის ტყეებში. ნ. კეცხოველი მას კულტურიდან გაგარეულებლად მიიჩნევს[1]. ქიზიყში ველურად მზარდ თუთას ჯალღას უწოდებენ. ტერმინ „თუთას" სულხან-საბა ორბელიანი „სხვათა ენად" მიიჩნევს და ქართულ ტერმინად ჟოლოს თვლის [2, 163

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თუთას ჟოლოს გარდა სხვა სახელიც ჰქონია. ადრეულ საუკუნეებში მას ნაჟუსაც უწოდებდნენ [4] „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ნათქვამია, რომ გარეჯის უდაბნოს სანახავად მოსული მეფისათვის „ნუში, ნაჟუ, თუთუბო, ალადანი და ბროწეული" უნდა მიერთმიათო [3]. ადრეულ საუკუნეებში თუთას სამეფო ხილსაც უწოდებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად გავრცელებულია თეთრი ჯიშის თუთა. ნაყოფმომცემიანობის თვალსაზრისით, ყოფაში არჩევენ უშვილო (უნაყოფო) და მამალ (ასევე უნაყოფო) სახეებს, რომლებიც უფრო მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის გამოიყენება. თუთის სამეურნეო კულტურაში გამოკვეთილად ჩანს დედალი (ნაყოფის მომცემი) ჯიშის გამოყენება. მესხეთში თუთის გავცელების მიზეზი მისი ნაყოფის გამოყენებაში ჩანს, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში ასეთი მასშტაბით არ დასტურდება.

მეთუთეობა მესხეთში შეიძლება დახასიათდეს, როგორც მეხილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც დიდი როლი ეჭირა მოსახლეობის საოჯახო ეკონომიკაში. სადღეისოდ თუთის ხეები წარმოდგენილია სოფ. ხერთვისის, ჭაჭკრის, გოგაშნის, ტოლოშის, საროს, ხიზაბავრასა და ასპინძის კუთვნილ მტკვრის ხეობაში მდებარე ტერიტორიებზე. სამცხეში ადრე მასიურად იყო გავრცელებული თუთის ბაღები, ისინი ამჟამადაც არის მიტოვებულ ნასოფლარებზე.

ველურად მზარდი თუთა კერძოდ ჩიხორიშის, ობოლეთის, გომის (ს. ხიზაბავრის ტერიტორია), ნიჯგორის, ხერთვისისა და ტოლოშის ტყეებშია გავრცელებული.

სამცხეში გავრცელებულია თუთის ჯიშებიდან აღსანიშნავია: ხართუთა, ჭროღა, ფაშა და შავი თუთა.

მოსახლეობა სამყნობად იყენებს ველურ თუთის ნერგს, რომელსაც ბაყილოს უწოდებენ. ბაყილო ითხრებოდა გვიან შემოდგომით. ჩარგავდნენ მიწაში და ამზადებდნენ სანამყენედ. გაზაფხულზე კი დაამყნობენ.

მოსახლეობაში დასტურდება სანამყნე (საძირე) თუთის ნერგის გამოყვანის ადგილობრივი ხალხური წესიც. ნაყოფის მოლევის პერიოდში ჩამოცვენილ მწიფე თუთას ხელით დაჭყლეტდნენ. მას ჩაყრიდნენ წყალში და გააჩერებდნენ რამდენიმე დღე, სანამ თავზე „ამოიგდებდა თესლს". შემდეგ ამოწურავდნენ და მზეზე გაფენდნენ გასაშრობად. გამშრალ თესლს გაზაფხულზე დათესავდნენ ხის გობში ან ნიადაგში. ზემოდან ფიჩხს დააყრიდნენ და შემოლობავდნენ. ორ-სამ დღეში ერთხელ რწყავდნენ თესლის აღმოცენების შემდეგ გამოხშირავდნენ და საძირეს დატოვებენ. როცა „დაჯმუხდებოდა" (ძირი დამსხვილდებოდა), გადარგავდნენ ერთმანეთისაგან ექსვსი-შვიდი მეტრის მოცილებით. ამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანამყენე ნერგს ფიჯი ეწოდებოდა.

მოსახელობაში ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუთის ნერგი ძნელი გამოსაყვანია, „დასაჭერია", რადგან „ბუნებით ნაზია და სათუთი". ამისათვის დაკვირვებით შეირჩეოდა ეკოლოგიურად შესაფერი ადგილმდებარეობა: ვაკე ადგილი, ქვიშიანი ნიადაგი, ნაკლებტენიანი ნიადაგი. ხის ზრდის პერიოდში აუცილებელი იყო ბიჯგის-საყრდენის მიცემა, ხე რომ სწორად გაზრდილიყო რადგან მოსახლეობის დაკვირვებით, სწორ თუთაზე დამყნობაც ადვილია, დარხევაც. „ნამყენ თუთას ბავშვივით მოვლა ჭირდება, წყალი, ნაკელი, მობარვა არ უნდა დააკლდეს".

მოსახელობაში დასტურდება თუთის მყნობის ორი სახე: კვირტზე (კუკურზე) გაზაფხულზე და კალამზე-შემოდგომით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია ქერქის სიმაგრე. ამიტომ პრაქტიკაში მიღებულია ორი, სამი ან ოთხი წლის ფიჯ ძირებზე დამყნობა.

ნამყენ თუთას უწოდებენ აშლამას. აშლამას გაზაფხულზე რგავენ თავისუფალ ადგილას. თავდაპირველად ახალდარგულზე წყალს ასხამენ ყოველდღე, შემდეგ-

თუთის ხის სამეურნეო გამოყენების რუქა (სამცხის ხალხური კულტურა)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეგამოშვებით, რამდენიმე თვის შემდეგ – კვირაში ერთხელ. თუთას ჭია არ უჩნდება, მხოლოდ სიცივე აფუჭებს. ამიტომ აშლამასათვის ამჯობინებენ მყუდრო ადგილს.

თუთის ხის კულტურასთან დაკავშირებით საინტერესოდ გამოიყურება ხალხური ტერმინოლოგია: 1 წლის ჰქვია *ფუსკული*, 2 წლის ნამყენი თუთა, „*მაწოვარა*", ახალმსხმოიარე – *ყალამი*, 3-4 წლის მსხმოიარე თუთა.

თუთის ხის მოვლა-პატრონობის ციკლში შედის: მობარვა, განოყიერება, მორწყვა, გამოხშირვა, გადაბელვა.

მორწყვა იწყება მწიფობის თვიდან (მაისი), რადგან მთხრობელთა გადმოცემით „შედედების თვეა ხორბლისა, ხისა, ყველაფრის რაც მოსულია და მორწყვა ჭირდება".

ნაკელი შეაქვთ ერთხელ, უფრო გაზაფხულზე.

გამოხშირვა იციან შემოდგომით, გადაბელვის დროს გამხმარ ტოტებს ან ძირიდანორი სამი მეტრის სიმაღლეზე ხეს მთლიანად გადაჭრიან.

ხშირად თუთის ხეს რგავენ ან ამყნობენ იმ წელს, როცა ოჯახს ახალი წვრი ემატება, იციან ახალდაბადებულის სახელი შერქმევაც. დღესაც გადმოგვცემენ მოხუცები: „ეს ხე ჩემი შვილის სახელობისაა", „ეს ხე ჩემს სახელობაზე დარგო მამაჩემმა", „ეს თუთა ჩემი კაცის ხნისაა. ის ჩემი შვილის სახელზე დგას, ერთხელ გადავბელეთ მხოლოდ", „ეს თუთა ჩემი შვილის სახელზე დარგო პაპამისმა, ამის გამოსავალსაც მის სახელზე ვინახავთ", და სხვა. სოფ. ტოლოშში ყველაზე მდიდარი თუთის ბაღების პატრონი გვარად თუთაძე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თუთის ხე ძვირფას სამშენებლო მასალად ითვლებოდა უცვეთელა ხე (ნესტს ადვილად იტანს, ძნელად ლპობადი ჭია არ იცის), სამშენებლო მასალად ოდითგანვე ნაკლებად გამოიყენებოდა. ასევე მიუღებელი იყო თუთის გამოიყენება საშეშე მასალად. ამას ხალხი ასე ხსნის: „თუთის ხეს ვინ მოჭრის ან ვინ დაწვავს, მარჩენალს ვინ მოუღებს ბოლოს".

მეთუთეობა ყველაზე მეტად განვითარებულია ს. ტოლოშში, საროში და ს. ხერთვისში, სადაც მრავალწლიანი თუთები დგას. ს. ნარმანში თუთები ტერასებზე ედგათ. ხალხი ტერასებს უწოდებს საქვეს//ტახტს. თუთის ხისთვის კეთდებოდა 5-8 მ სიგანის ტერასი. ხეები ირგვებოდა ერთმანეთისგან 10 მ-ის ხოლო ტერასის კედლიდან – 3 მ დაშორებით. თუთის ბარები ამ სოფლების სიმდიდრედ ითლებოდა. „ჩვენი სოფელი თუთით ცხოვრობდაო" – გვითხრეს ს. ტოლოშში.

სამცხის სამეურნეო ყოფაში დასტურდება თუთის, როგორც მცენარის, ასევე მისი ნაყოფის მრავალგვარი გამოყენება. ამასთან, ხალხურ ყოფაში დადასურდა თუთის ნაყოფის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული პრაქტიკული შრომითი ჩვევები და საშუალებები, ყიდვა-გაყიდვის ფორმები და სხვა.

12-15 ივნისიდან (ძვ. სტ) იწყება თუთობა – ნაყოფის აღება. თუთას არხევენ გარკვეული წესით: სამ ან ხუთ დღეში ერთხელ. ერთი ხე ირხევა თორმეტჯერ, უფრო იშვიათად თოთხმეტჯერ. პირველი დარხევები არყის გამოსახდელად იყო მომდევნოტყლაპისათვის, შემდეგ ბაქმაზისათვის, ბოლო – ხმელისათვის.

თუთის მოსავალი იწყოდა კოდობით (კოდი იტევდა 16 კგ) კოდით წყავდნენ ასევე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაკალს, ქერს, ხორბალს, ფქვილს, სიმინდს და თუთას.

თუთობისთვის სპეციალურად ჰქონდათ გამზადებული საფენები//ჯეჯიმები, რომელსაც ხეს გარშემო შემოუფენდნენ. ხეს არხევდა მამაკაცი. ერთი ხიდან ჩამოდიოდა საშუალოდ სამი კოდი თუთა.

საკარმიდამო ნაკვეთებზე, სადაც სამი-ოთხი ძირი თუთა იდგა ოჯახი თავისი საკუთარი ძალებით ახერხებდა მოსავლის აღებას, დიდ თუთის ბაღში კი, სადაც ძირითადად ტერასული სისტემა იყო, იცოდნენ შრომის გაერთიანება – მოდგამი. ორი, სამი ოჯახი ერთმანეთს შეუთანხმდებოდა მოსავლის აღებაში. თუთობაში ხარჯი არ იცოდნენ, მოსავლი აღების შემდეგ კი ოჯახი პატივს სცემდა დამხმარეებს.

თუთის ნაყოფს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში. თუთისაგან ამზადებდნენ არაყს, სპეციალურ საწურავებში გამოყავდათ თუთის წვენი - შირა, მისგან ამზადებდნენ ტყლაპს, ფელამუშს და ავლებდნენ ჩურჩხელებს//ქომას. აგვისტოს დასაწყისიდან, როდესაც ნაყოფის შაქრიანობა მატულობდა, სამცხეში იწყებდნენ ბაქმაზის კეთებას. თუთის ბოლო მოსავალს ახმობდნენ ხმელად. ხმელისაგან ზამთრობით ხდიდნენ არაყს, იგი გამოიყენებოდა შაქრის შემცვლელად ჩაის სასმელებში.

სამკურნალო თვალსაზრისით გამოიყენებოდა თუთის ხის ქერქი, ფოთოლი, ფესვები//ქოქები, ნაყოფი, ტყლაპი, ბაქმაზი, არაყი.

თუთის ხის ყველა საკვების სამკურნალო თვისება შეცნობილი და გამოყენებული იყო მოსახელობის მიერ. გარდა ამისა, იგი ეკონომიკურ სარგებლიანობასაც აძლევდა ოჯახს: მისგან მიღებული პროდუქტები იყო ძირითადად ყიდვა-გაყიდვის საგანი. იყიდებოდა არა მარტო თუთის ნაყოფი, არამედ მისგან დამზადებული პროდუქტებიც: ტყლაპი, ხმელი, ბაქმაზი, ჩურჩხელა, არაყი. ადრე თუთის ნაყოფი იცვლებოდა ხორბალზე, ქერზე. პრაქტიკაში იყო თუთის ხის მთლიანი მოსავლის გაყიდვა ადგილზე. მაგ., სამოთხ წლიანი თუთის ხის მოსავალში ერთი ძროხას აძლევდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა რეგიონში თუთის ხე გამოყენებული იყო მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. საკვლევ რეგიონში კი, მეაბრეშუმეობის ტრადიციები გავრცელებას ვერ პოულობს. 20-იანი წლებიდან, სამცხეში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შემოიყვანა აბრეშუმის ჭია. მაგრამ მოსახლეობა წინ აღუდგა ამ იდეის განხორციელებას. თუთის ფოთლის „სხვლეპამ" გამოიწვია ნაყოფის შემცირება და რიგ შემთხვევაში ხის გახმობაც. მოსახლეობა მარჩენალი თუთის დაღუპვას ასე იოლად ვერ შეურიგდა და 50-იანი წლებიდან აბრეშუმის ჭია გამოყვანილ იქნა რეგიონიდან. არც ეკოლოგიურმა პირობებმა შეუწყო ხელი მეაბრეშუმეობის განვითარებას, (გაჩნდა ჭიის ავადმყოფობა, ფიჯი თუთის ფოთლებიც არ აღმოჩნდა ყუათიანი აბრეშუმის ჭიისათვის).

თუთის ხე სამცხეში წმინდა ხედ ითვლებოდა. მისი გაუფასურება, გადაგდება, დაწვა ცოდვად ითვლებოდა. თუთისაგან დამზადებულ პროდუქტებს საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა: ტყლაპსა და ჩურჩხელას სწირავდნენ ეკლესიებში, საახალწლო სუფრაზე ბაქმაზი აუცილებელი იყო. ეკლესია-მონასტრების შემოგარენში ძირითადად სამი ხის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურა ვრცელდებოდა: ვაზი, კაკალი და თუთა.

სამცხის სამეურნეო ყოფაში მეთუთეობას შესწავლამ გამოავლინა მოსახლეობის მიერ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გამომუშავებული სამეურნეო კულტურის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც დაფუძნებულია და მიუთითებს ხალხური ემპირიკის იმ დიდ მონაპოვარზე, რომელიც ადამიანის შრომითი ჩვევების, მდიდარი საწარმოო გამოცდილების შედეგად დაგროვდა და გაამართლა მრავალ-საუკუნოვანმა ექსპერიმენტმა.

ლიტერატურა:

1. *კეცხოველი ნ.*, ადამიანი და ბუნება თბ., 1974.
2. *სულხან-საბა ორბელიანი*, სიტყვის კონა თბ., 1993.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. თბ., 1965.
4. *ივ. ჯავახიშვილი*, თხზ ტ. V. თბ., 1986.

Tamila Tsagareishvili

THE USE OF ETHNO-ECOLOGICAL PLANT CULTURES IN SAMTSKHE
(Summary)

The investigation of ethno-ecological plant cultures in Samtskhe. showed that the mulberry tree has a great practical and economic meaning.

In contrast to the other Georgian regions the products made from the fruits of the mulberry tree are widly used in the economy and at the same are ecologically very clean.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

ნატო ყრუაშვილი

ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებანი
(სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)

ქართველმა ხალხმა მომავალი თაობის აღზრდის მრავალსაუკუნოვანი და ამავე დროს მეტად ორიგინალური სისტემა შექმნა. საქართველოს ყოველ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს ამ თვალსაზრისით თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული სისტემის ჩამოყალიბებაში და თვითეული მათგანი ადგილობრივი თავისებურებებით ხასიათდებოდა. საუკუნეების განმავლობაში მესხი ხალხის ყოფაში ბავშვის საოჯახო აღზრდის მრავალი წეს-ჩვეულება ჩამოყალიბდა. აქ, ისე როგორც მთელ საქართველოში, კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ ბავშვის აღზრდა დაბადებისთანავე იწყებოდა და საჭირო იყო იმთავითვე მისი სწორედ წარმართვა.

ველზე მოძიებულმა მასალებმა დაგვანახეს, რომ ოჯახისათვის უპირველეს საზრუნავს ახალშობილის ჯანმრთელობა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე პირველ აუცილებლობად მიაჩნდათ ბავშვის დაცვა ე. წ. ავი სულისაგან. რის გამოც მრავალ-საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული წესების შესრულება უხდებოდათ. კერძოდ, კარებზე ნალის დამაგრება, ზრურბლთან რკინის ჯაჭვის დატოვება, აკვანში რკინის რაიმე ნივთის ჩადება და ცოცხის მიყუდება. მაჯაზე და სამოსზე თვალის მძივის დაბნევა. აღსანიშნავია, რომ თვალის მძივის გამოყენება ერთ-ერთი უძველესი ტრადიციაა *სამცხე-ჯავახეთში.* არქეოლოგთა მოსაზრებით ახალციხის ამირანის გორაზე ბავშვის სამარხში აღმოჩენილ ძვალის გახვრეტილ კბილს, რომელიც ძვ. წ. აღ-ის III ათასწლულით თარიღდება, ავგაროზის როლი უნდა შეესრულებინა[10,196]. იგივე მისიას ასრულებდა ე. წ. ნაწილის შებმა (იგი წარმოადგენდა გულის ფორმის რკინის ჩარჩოს, რომელშიც იდო ამავე ფორმის მინა, გარედან კი ლურჯი ფერის ქსოვილში იყო მოთავსებული და მღვდლის მიერ იყო ნაკურთხი) და ე. წ. ფათენთა. (ეს წარმოადგენდა ლურჯი ფერის ქსოვილით შეკერილ პატარა ბალიშს (5 სმX5 სმ), რომელშიც იყო პურისა და ქერის მარცვლები, სანთელი, ნიშადური და ბზა. ყველა ეს წმინდა ნაწილად იყო მიჩნეული და ამიტომ ბავშვს ვერ მოერეოდა თვალი და ავი სული) [7].

ხალხის წარმოდგენით ავი სული სიბნელეს დაჰყვებოდა, ამიტომ ღამით ოჯახში შესულ ადამიანს „გავლილი" რომ არ შემოჰყოლოდა წესისამებრ ხდებოდა დახრჩოლვა ნატისუსალისა. (ქათმის ბუმბულის, ღორის ჯაგარის, ყველს დატოვებდნენ ბარის პირზე, ცეცხლს წაუკიდებდნენ ე. ი. დაახრჩოლებდნენ და სახლში შემომსვლელს ზემოდან გადაატარებდნენ). ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბავშვს მაინც შეჰყვებოდა „გავლილი",

მაშინ შავ ქათამს დაკლავდნენ და სისხლით შუბლზე და ლოყაზე ჯვარს გაუკეთებდნენ. თვალის აღების შემთხვევაში ნიშადურსა და თაფლს დედის რძეში ალესავდნენ და ასმევდნენ ბავშვს. ეს წესი ზოგად ქართულია და ყველგან გვხვდება. სამცხე-ჯავახეთში ამასთან დაკავშირებით სხვა წესიც არსებობდა, კერძოდ, ბავშვი ვისგანაც თვალს აიღებდა ნამალევად მის ძველ ტანსაცმლის ნაგლეჯს აიღებდნენ, დაწვავდნენ და ბავშვს ზემოდან მოატარებდნენ[7].

მოძიებული მასალების საფუძველზე დაფიქსირდა ისიც, რომ ოჯახი, სადაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი იზრდებოდა, ცდილობდა თავიდან აეცილებინა ბავშვის ე. წ. დაქელვა. მთხრობელთა გადმოცემით დაქელვის უშუალო შედეგს წარმოადგენდა ბავშვის ჯანმრთელობის დაქვეითება: დამბლა, დაკუტება, მხედველობის და მეტყველების უნარის დაკარგვა. ბავშვის დაქელვა, ხალხური წარმოდგენით შეიძლება გამოეწვია ოჯახში შემოტანილ ნებისმიერ ახალ ნივთსა და საკვებს. ქსოვილს, ხორცს, თევზს, ფულს, ფეხმძიმე ქალსაც კი. ბავშვის განკურნებაც ისევ მათი საშუალებით შეიძლებოდა. სამცხე-ჯავახეთში არსებული წესის მიხედვით, დაქელვა რომ არ მომხდარიყო ხდებოდა ოჯახში შემოტანილ ნივთებზე ბავშვის დაყენება და ან ზემოდან შემოტარება.

ხალხური წარმოდგენით ბავშვის დაქელვა შეეძლო მთვარეს და მიცვალებულსაც. ამიტომ აქ არსებული წესის მიხედვით, მიცვალებულის დაკრძალვისას ბავშვს აკვანში არ ჩააწვენდნენ, თუ ბავშვს ეძინა, მაშინ აკვნის თავს ქვაზე დატოვებდნენ. მთვარისაგან დაქელილ ბავშვს კი სახეზე აბრეშუმის მანდილს ჩამოაფარებდნენ და ანთებულ ფურნეში შეახედებდნენ ორ-სამჯერ[7]. მთხრობელთა გადმოცემით, მონათლულ ბავშვს გავლილი არ დახედავდა და არც ადვილად დაიქელებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვის ჯანმრთელობასთან ზრუნვა და მასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხურ მედიცინასთან.

ველზე მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთში ბავშვის აღზრდისას ხალხური პედაგოგიკა ითვალისწინებდა მოზარდის ასაკობრივ თავისებურებებს. აქ ჩამოყალიბებული უყო თავისებური პერიოდიზაცია. კერძოდ: I ერთ წლამდე ბავშვს-„ჩვილი" ეწოდებოდა (აკვანში ჩაწვენამდე კი – „ხოჭიჭი"); II ერთიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვს-ყმაწვილი ერქვა. III ექვსიდან თხუთმეტ წლამდე – ბიჭი, გოგო (ორივეს ერთად კი მორბედი), IV თხუთმეტი წლის ზემოთ – ვაჟკაცი, გასათხოვარი.

აღსანიშნავია, რომ თხუთმეტი წლიდან ვაჟი ოჯახის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა და შეეძლო დაოჯახება. ეს ასაკი გოგოსათვის გათხოვების თითქმის უკიდურეს ასაკად ითვლებოდა. ამას ასაბუთებს სამცხე-ჯავახეთში ხმარებული ანდაზებიც: „თექვსმეტი წლის ქალი ან ქვის ქვეშ, ან ქმრის ქვეშო", „ქალს ქუდი ესროლე და თუ გაუძლო – გასათხოვარიაო", უნდა აღინიშნოს, რომ ქუდის სროლის ტრადიცია არსებობდა ჩრ. კავკასიის ხალხებში. კერძოდ მთიან დაღესტანში[1,152].

ხალხური პედაგოგიკის გაცნობამ დაგვანახა, რომ ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდისათვის ოჯახში დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვის ფიზიკურ აღზრდას. მის უპირველეს საშუალებას, ისტორიულად, გართობა–თამაშობანი წარმოადგენდა. აღნიშნულს ასაბუთებს ივ. გვარამაძის სიტყვებიც: „ბერძნები ოთხ წელიწადში ერთხელ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰმართავდნენ საქვეყნო სათამაშოებს. გამარჯვებულთ დაფნით აგვირგვინებდნენ. ჩვენში საქვეყნოდ თავის გამოჩენა...ყოველ წლივ ყველიერში იცოდნენ ოლიმპიურის ნაირი თამაშობანი უფრო ბევრნაირი სხეულის თამაშობითა"[2]. სამცხე-ჯავახეთში სპორტული თამაშობებიდან განსაკუთრებით გავრცელებული იყო ჭიდაობა. ამიტომ იყო, რომ აქ ცნობილი ფალავნები აღიზარდნენ. კერძოდ, XVII-ს-ში მოღვაწეობდნენ მამა-შვილი დავით და გიორგი ხიზამბარელები, XIX ს-ში კი დათა ხიზამბარელი. მის შესახებ გაზეთი „დროება" წერდა: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერათ არის ნაქცევი...ერთის სიტყვით ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავთ ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს სადამდინ განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა"[3,29]. სამცხე-ჯავახეთში ჭიდაობის ფართოდ განვითარებას ფოლკლორული მასალაც ასაბუთებს: ვალე ცნობილია პურით, უდე სწავლითა და არალი ფალავნებითო"[8].

ხალხური პედაგოგიკა ითვალისწინებდა, რომ სპორტული და გასართობი თამაშობანი (ვეკა-ვეკა, ყოჩი-თანხლა, ჭილი-ჭილი, ლამლუხი, ხელ-ბრუდიანა, მრგვალი ჯორი, ყალა, ტანტრა-ჩილიკი, თავ-მოვლიანა, თვალ-აკრიანა, ექვსკენჭა, ქვიკრიანა, ლახტი და ა. შ.) ხელს უწყობდა არა მარტო ბავშვის ჯანმრთელობას, არამედ მასში ანვითარებდა სწრაფ აზროვნებას, გამბედაობას, გამოუმუშავებდა ნებისყოფასა და ამტანიანობას. ამავე დროს ეს თამაშობანი ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენდა, რამდენადაც თამაშის პროცესი მოითხოვდა ურთიერთ გატანას, დაცვასა და ნდობას. ამჟანიმდელი მდგომარეობით ხალხური გართობა-თამაშობების დიდი ნაწილი მივიწყებულია. ჩვენის აზრით, სავალდებულოა მათი აღდგენა–დამკვიდრება არა მარტო საოჯახო, არამედ სასკოლო აღზრდის შემთხვევაშიც. რამდენადაც თამაში ბავშვისათვის ერთ-ერთ ასაკობრივ აუცილებლობას წარმოადგენს და ამასთანავე ვიზიარებთ ნ. კაპანაძის აზრს, რომ „საყმაწვილო თამაშობანი სინამდვილის, ხალხის შრომისა და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველნიც არიან"[2,46].

შინაურ-საოჯახო აღზრდაში დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვის შრომით აღზრდას ე. ი. შრომის უნარჩვევების გამომუშავებას ადრეული ასაკიდანვე. ამ საქმეში ქალისა და მამაკაცის ფუნქციები შესაბამისად ნაწილდებოდა. ქალის გათხოვებისას სწორედ მისი ხელსაქმის ცოდნას ექცეოდა ყურადღება. მესხური წეს-ჩვეულების მიხედვით პატარძალს საქმროს ოჯახში უნდა მოეტანა თავისი ხელით მოქსოვილი წინდები-მამაკაცებისათვის და გულისპირები – ქალებისათვის. ხოლო საქმროს უქსოვდა ბაღს (ქამარს). შრომით საქმიანობაში ბავშვის ჩართვა 6-7 წლის ასაკიდან ხდებოდა. ამასთანავე, თავიანთი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გოგონებსაც და ბიჭებსაც ევალებოდათ სხვადასხვა საკაცო და საქალო საქმეების შესრულება და თუ ოჯახი რაიმე ხელობას ფლობდა ტრადიციულად მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ამ საქმეში.

რაც შეეხება ბავშვის ზნეობრივ აღზრდას თვითონ ოჯახში დაცული ასაკობრივი და სქესობრივი სეგრეგაცია იძლეოდა საამოდ სანიმუშო მაგალითს. ოჯახური ტრადიციების მიხედვით უმცროსი მორჩილი და პატივისმცემელი უნდა ყოფილიყო, ოჯახის უფროსი წყვეტდა ყველა საკითხს, მისი სიტყვა კანონი იყო და ოჯახის წევრებს შო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის ურთიერთ პატივისცემა სუფევდა. მამაკაცს ქალის თანდასწრებით უხამსი სიტყვა არ უნდა ეთქვა. თავის მხრივ სირცხვილად ითვლებოდა, ქალის თავშიშველი და ფეხშიშველი სიარული. ქალი ფეხზე წამოდგომით უნდა შეხვედროდა თავისზე გაცილებით უმცროს მამაკაცსაც კი, პატარძალი კი პატივისცემის ნიშნად „უმძრახად" უნდა ყოფილიყო მამამთილ-დედამთილთან [6]. ოჯახში ზნეობრივი აღზრდის საფუძველს ქრისტიანული მოძღვრება წარმოადგენდა. ბავშვს დედა და უფროსები ასწავლიდნენ ლოცვებს, ღვთის მოშიშსა და მოყვარულს ზრდიდნენ. საოჯახო აღზრდის ამ ტრადიციამ ფართო ასახვა ჰპოვა მესხ განმანათლებელთა პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. ამრიგად, ზნეობრივი აღზრდის ოჯახური ტრადიციები ბავშვს ასწავლიდა უფროს-უმცროსობის წესების დაცვას, ქალისა და უფროსებისადმი პატივისცემას. ივ. როსტომაშვილი სამართლიანად მიუთითებდა: „უპირველესი იარაღი ზნეობითი მხარის გამოღვიძებისათვის და წარმატებისათვის არის ჯალაბობა, სახლობა, სადაც ხელმწიფობს და სუნთქავს მშობლიური სიყვარული" [5].

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულების გაცნობამ დაგვანახა, რომ ხალხური პეგაგოგიკა დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, შრომით და ზნეობრივ აღზრდას. ამასთანავე, ძველ საოჯახო ტრადიციებზე აღზრდილი ქალიც პრაქტიკულად მომზადებული იწყებდა ცხოვრებას. ბავშვის აღმზრდელი უფროსები და მშობლები იყვნენ. ოჯახი და მშობლები იძლეოდნენ საუკეთესო მაგალითს, მოზარდისათვის. შვილი, თავის მხრივ, მშობლის სახეს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს ანდაზაც: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე". ამიტომაც იყო, რომ დაოჯახებისას სასიძოს და სარძლოს მათი მშობლის მაგალითით არჩევდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხ განმანათლებელთა პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საოჯახო აღზრდის საკითხს. მაგ.: ივ. და კ. გვარამაძეებს, პ. ხარისჭირაშვილს და ა. შ. აღზრდის პირველ კერად ოჯახი მიაჩნდათ, პირველ აღმზრდელად კი-მშობლები. მათ შეხედულებებს აღნიშნულ საკითხში საფუძვლად უდევს სამცხე-ჯავახეთში დაცული საოჯახო აღზრდის ხალხური ტრადიციები.

ლიტერატურა:

1. *გაჯიევი ს. შ.*, ოჯახი და ქორწინება დაღესტნის ხალხებისა XIX-XX საუკუნეებში, 1985, გვ. 152.
2. *გვარამაძე ივ.*, მშობლები და მათი შვილები, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. № 290
3. *ველიჯანაშვილი მ.*, ხიზაბავრის მეგზური, თბ., 1974.
4. *კაპანაძე ნ.*, ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი, თბ. 1986.
5. *როსტომაშვილი ივ.*, როგორი აღზრდა გვჭირდება ჩვენ, გაზ. „დროება", № 8, 1879.
6. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 2194 (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.).
7. *ყრუაშვილი ნ.*, საველე დღიური, 1989.
8. *ყრუაშვილი ნ.*, საველე დღიური, 1998.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. *ყრუაშვილი ნ.*, საველე ღღიური, 1993.
10. *ჩუბინიშვილი ტ.*, ახალციხის ამირანის გორა, თბ., 19

Nato Kruashvili

POPULAR CUSTUMS OF CHILDREN'S UP-BRINGING IN SAMTSKHE-JAVAKHETI
(Summary)

Georgian people created a very old system of children's up-bringing. Samtskhe-Javakheti did its best in it. A lot of customs of children's up-bringing were formed by Meskhi people.

According to the author's opinion the investigation of above mentioned customs showed us that the aim of the family was to take care of child's health, based on the folk medicine.

This question was investigated in Samtskhe-Javakheti as well as in the whole Georgia and it showed us that the folk pedagogy paid the greatest attention to mental, physical and moral up-bringing of a child. It must be noted that the Meskhi scholars' view points were based on the up-bringing customs existed here.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფია

თეიმურაზ ტუნაძე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ღია კერები

კერა მატერიალური კულტურის იმ სფეროს განეკუთვნება, რომელიც ყველაზე უკეთაა საოჯახო ცხოვრების წესთან დაკავშირებული და თავის თავში უამრავ ფუნქციურ დატვირთვას შეიცავს. იგი საოჯახო ყოფის მაკოორდინირებელი ძირითადი ცენტრი იყო და ინტერიერში მას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

ქართველი ერის ყოფით კულტურაში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თ. ჩიქოვანი ორი ტიპის კერას გამოყოფს: ღია და დახურული. დახურული კერა ერთი სახეობით-ბუხრითაა წარმოდგენილი, ხოლო ღია კერის სამ მოდიფიცირებულ სახესხვაობას ასახელებს: „პირველი და ყველაზე მარტივია უშუალოდ მიწაზე გამართული და ქვის ორი ცეცხლგამძლე ბლოკისაგან შედგენილი კერა, რომელიც, ალბათ, ყველაზე არქაულიც უნდა იყოს. მეორეა მრგვალი მოყვანილობის კერამიკული უძირო ჭურჭელი, რომელსაც ტანის შიგნით, პირზე პატარა შვერილ-სადგრები აქვს. ამგვარი კერა ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომმა პერიოდმა არ იცის. იგი მხოლოდ განათხარ მასალაში დასტურდება. რაც შეეხება მესამე სახესხვაობას, საქართველოს მაშსტაბით მხოლოდ თრიალეთში და ჯავახეთის ზეგანზე იყო გავრცელებული. ეს სამხრეთქართული კერაც (პირობითად რომ ვუწოდოთ) მრგვალი მოყვანილობის უძირო კერამიკულ ჭურჭელს წარმოადგენდა და თავისი ფორმა-მოყვანილობით მინიატურული თონის სახეს იმეორებდა“ [1, 48].

ცეცხლგამძლე ქვის ორი ბლოკით შედგენილი მარტივი კერა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რამდენადაც, კონსტრუქციული სიმარტივითა და პრაქტიკულობის წყალობით, აღნიშნული კერა სირთულით არ ხასიათდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ამგვარი კერები, მოქმედი სახით, ფართოდაა გავრცელებული აჭარაში და ქვაბლიანის ხეობის ალპურ საძოვრებზე. ქვის ორი ბლოკით შედგენილი მარტივი კერა განსაკუთრებით ფართო გამოყენებას მესაქონლე ხალხებში პოულობს, რომლებიც ამგვარ კერას პირუტყვის საკვების მოსამზადებლად რეგულარულად იყენებენ. სწორედ ამ მიზნით გამოიყენებოდა იგი უდესა და არალის იალაღებზე, რაც მთის პირობებში ამგავარი კერების გამოყენების საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, რამდენადაც აჭარის ალპურ ზონაში ამგვარი კერები იშვიათია. აჭარის ბარსა და მთისწინა ზოლში იგი საოჯახო მეურნეობის დამხმარე შენობაში იმართებოდა, რომელიც ზაფხულის პერიოდში სამზადის ფუნქციებსაც ასრულებდა. მარეთის ხეობაში იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ქუხნის ცეცხლის“ ან „კერის“ სახელწოდებითაც არის დაფიქსირებული [2, 52], ხოლო ბოლოდროინდელი მონაცემებით მას, როგორც მარეთის ხეობაში, ასევე ზოგადად აჭარაში „ქუხნა“ ეწოდება. აღნიშნული ფორმის მარტივი კერა აჭარაში რკინის ღუმელის ფართო გავრცელებასთან ერთად, კარგავს სამზარეულო ფუნქციას, მაგრამ ერთეული შემთხვევების სახით, როგორც პრაქტიკული და ტრადიციული, აგრძელებს ფუქნციონირებას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქვის ორი ბლოკით შედგენილი კერა სამზარეულო საქმესთან იყო დაკავშირებული, რაზეც მისი კონსტრუქციული აგებულებაც მეტყველებს (სურ. 2). ქვის ორი ბლოკი ერთმანეთის პარალელურად ისე იდგმება, რომ მასზე ჭურჭლის შემოდგმა მოსახერხებელი ყოფილიყო. ქვის გამოყენება ჭურჭლის სადგმად, არათუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არამედ ქართულ-კავკასიური არეალისათვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო [3, 56-70; 4, 177; 5, 428].

ამრიგად, ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა, რომ ქვის ორი ბლოკით წარმოდგენილი მარტივი კერა ზოგადად, კერის საკლასიფიკაციო სისტემაში „მარტივი სამზარეულო კერის“ სახელით აღვნიშნოთ. თანადროულობაში მას რკინის სამფეხი (ზედადგარი) ცვლის, მაგრამ პრინციპი ძირითადად იგივე დარჩა. იგი ცეცხლზე ჭურჭლის სადგამი კონსტრუქციის მოწყობის მცდელობის ლოგიკური შედეგია, რომელიც სათავეს შორეული წარსულიდან იღებს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში, ტრადიციული კულტურის ელემენტთა შემონახულობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას ალპური ზონა იმსახურებს. მთა კულტურის ელემენტთა მდგრადობით ყოველთვის გამოირჩეოდა და ეს თავისებურება ცეცხლის სანთები ადგილის უძველესი ფორმების შემონახულობაშიც ვლინდება.

საცხოვრებელში ცეცხლის სანთების ერთ-ერთ უძველეს ფორმას ღია კერა-საცეცხლური (ყვერბი, შუაცეცხლი) წარმოადგენს. დარბაზული ტიპის სახლებში და აჭარის ალპურ ზონაში ფიქსირებული საცეცხლურები მიუთითებს, რომ ეს იყო მიწური იატაკის ნაწილში მოწყობილი ოთკუთხა ქვაფენილი, რომლის უკანა მხარეს მართკუთხა ფორმის ქვის კერა იდო (სურ. 1). ქვაფენილი უშუალო ცეცხლის სანთებს წარმოადგენდა, ქვის კერა კი შეშის თავის ჩამოსადებად გამოიყენებოდა. დარბაზის ინტერიერში კერის ქვაფენილს უფრო ფართო ადგილი ეჭირა, აჭარაში ფიქსირებული ღია კერები კი ზომით მცირეა და ოთახის შუა ნაწილიდან კედლისკენაა გადაწეული. ცეცხლის სანთების მოწყობა აღნიშნული წესით ხალხურ ცოდნა-გამოცდილებასა და შიდასაოჯახო საქმიანობაზე იყო დამყარებული. მართკუთხა ფორმის ქვის კერის გაჩენა ცეცხლის ნთებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ჩვენი აზრით იმ დროის მონაპოვარია, როცა ცეცხლის სანთებ საშუალებას კვეს-აბედი და კვარი წარმოადგენდა. როგორც აღინიშნა ქვის კერის ძირითადი დანიშნულება შეშის თავის ჩამოდება იყო. ხალხური გადმოცემით წარსულში კვეს-აბედით მიღებულ ცეცხლის ალს, კერძოდ, გაღვივებულ აბედს კერის ქვის ძირში დარჩენილ, დანახშირებულ შეშებზე დადებდნენ, ზედაც წვრილად დატეხილი ხმელი ფიჩხის ტოტებს მიუწყობდნენ და სულის შებერვით

ცეცხლს გააღვივებდნენ. ამის შემდგომ ხმელ შეშას მიუწყობდნენ, მაგრამ შეშას თავისი სიმძიმით ცეცხლი, რომ არ ჩაექრო, თავს კერის ქვაზე ჩამოუდებდნენ. ანალოგიურად ხდებოდა ცეცხლის ანთება კვარის შემთხვევაში. კერის ქვაზე დალაგებულ შეშას ქვემოდან ანთებულ კვარს ამოუდებდნენ. ცეცხლის ნთების პროცედურის გაიოლების გარდა ქვის კერის გაჩენა სამზარეულო მოთხოვნითაც იყო გაპირობებული. ქვის კერა და მასზე დალაგებული შეშა სათანადო შემაღლებას ქმნიდა, რაც კეცის გასახურებლად გამოიყენებიდა. ყოველივე ეს თანდათანობით, ეტაპობრივ ხასიათს ატარებდა და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა.

ქვის კერითა და ქვაფენილით შედგენილი კერები ქართული ხალხური საცხოვრებლის ყველა ტიპისათვის იყო დამახასიათებელი,რომლებიც მიწური იატაკით ხასიათდებოდნენ. დარბაზული ტიპის საცხოვრებელს ამგვარი კერა ბოლომდე შემორჩა, ხოლო აჭარაში ერთეული შემთხვევების სახით, ალპურ ზონაში გვხვდება.

ქართველ ხალხში რკინის იარაღ-ინვენტარის დამუშავება-შემკობის მაღალი კულტურა რკინის კერების გავრცელებაშიც გამოიხატა. რკინის კერა ნაწილობრივ ან მთლიანად გრეხილი ტანისა იყო (სურ. 3). „გარეგანი შეხედულებით იგი ქვის კერას ჰგავდა. იგი შედგებოდა მარჯვენა, მარცხენა ფეხებისა და მათ შორის გამწვდომი ბრტყელი გამრისაგან“ [6,100]. კერის ქვაფენილზე რკინის კერა იმ ადგილზე იდო სადაც წარსულში კერის ქვას ჰქონდა ადგილი მიჩენილი. სხვადასხვა ფორმის რკინის კერები აღმოსავლეთ საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში კერის სახელწოდებით იგი მხოლოდ სვანეთში გვხვდება (სურ. 5). ჯავახეთში მას „კერია“ ერქვა და მასზე ისე, როგორც ქვის კერაზე, შეშას ალაგებდნენ (სურ.4), [7, 179]. დარბაზული ტიპის შუაცეცხლიან სახლებში რკინის კერა, ქვის კერის მსგავსად, ანთებული შეშის თავსაყრდენს წარმოადგენდა და მასზე თიხის კეცის გახურება ხდებოდა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაში დაცული ღია კერა შემდეგ ქვესახეობებს აერთიანებს:

1. მარტივი სამზარეულო კერა. იგი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

2. მრგვალი ფორმის უძირო კერამიკული ჭურჭელი, რომელიც მინიატურული თონის სახეს იმეორებს და პირთამდე მიწაში იყო ჩადგმული. იგი მხოლოდ თრიალეთში და ჯავახეთის ზეგანზე იყო გავრცელებული. მისი არსებობა საწვავი მასალის (წივა) სპეციფიკურობით უნდა ყოფილიყო შეპირობებული [1, 50-51].

3. მართკუთხა ფორმის ქვის კერა, რომელიც საქართველოში ასევე საყოველთაოდ იყო გავრცელებუილი.

4. რკინის კერა. იგი ფუნქციურად ქვის კერას ცვლის და ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. *ჩიჭოვანი თ.,* ეთნო-არქეოლოგიური ეტიუდები. თბ., 1989.
2. *ჩიჭოვანი ვ.,* კერა აჭარულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV. თბ., 1976.
3. *ჩართოლიანი მ.,* ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961.
4. ***Агаширинова С.С.,*** Материальная культура Лезгин XIX - начало XX вв. М., 1960.
5. Народы Кавказа. т. I. М., 1962.
6. *რეხვიაშვილი ნ.,* კერასთან დაკავშირებული საოჯახო რკინის ნივთები.-ძეგლის მეგობარი, 12, თბ., 1967.
7. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნების ისტორიისათვის, III-2, თბ., 1986.

სურათების აღწერილობა:

სურ. 1. საცეცხლური ქვის კერით.
სურ. 2. მარტივი სამზარეულო კერა.
სურ. 3. ქართული კერა (ნ. რეხვიაშვილის მიხედვით).
სურ. 4. ჯავახური „კერია" (მასალები. . . . , თბ., III-2, სურ. 22).
სურ. 5. სვანური კერა (მ. ჩართოლანის მიხედვით).

Teimuraz Tunadze

TRADITIONAL OPEN-TYPE HEARTHS IN SOUTH-WESTERN GEORGIA
(Summary)

According to archaeologiacal and ethnographical sources two types of hearths are typical for Georgia: open and close.

In traditional mode of population of south-western Georgia several types of open hearths are preserved:

1. Simple, kitchen hearth, typical for the whole Georgia.
2. Round-shaped ceramic vessel without a bottom, as usual, buried in ground up to the neck. Similar to tone-special, spherical clay oven with plain bottom for bakery, this type of hearths are known only in Trialeti and Javakheti plateau.
3. Rectangular stone hearth, typical in Georgia.
4. Iron hearths of various shapes, which replace the stone ones.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1.

სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამართალმცოდნეობა

ალექსანდრე ლეკიშვილი

სისხლის სამართლის დანაშაულები, სასჯელთა სახეები და სამართალწარმოება ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ან როგორც იგი თავიდან იწოდებოდა „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე" [1, 42] შედგენილი უნდა იყოს XIII-XIV საუკუნეებში.

„ბექას სამართალის წიგნი უნდა XIII საუკუნის დამლევის ან XIV საუკუნის დამდეგის ძეგლად ვიცნათ, აღბუღას სამართლის წიგნი კი XIV საუკუნის მეორე ნახევრისად. მაშასადამე, ამ ორი ძეგლის შედგენილობის დრო ერთი საუკუნით უნდა იქნეს გადაწეული" [2, 109].

აღნიშნული და სხვა უტყუარი მონაცემებით წიგნის ერთი ნაწილი ეკუთვნის სამცხე-საათაბაგოს გამგებელ ბექა მანდატურთუხუცესს, ხოლო მეორე–მის შვილიშვილს, ამავე საათაბაგოს ამირსპასალარს აღბუღას. იგი შედგება შესავლისა და 98 მუხლისაგან.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ერთი ფეოდალური სამთავროსთვის იყო განკუთვნილი. ეს სამთავრო კი იმ დროისათვის არც ძალიან მცირე იყო. ჟამთაამღწერლის ცნობით, იგი ვრცელდებოდა „ტასისკარისაგან ვიდრე სპერამდე ,ვიდრე ზღვამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ხევი, ხოლო ჭანეთი სრულად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან" ბექას სამთავროს ეკუთვნოდა, აგრეთვე, „ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორა და კარი", ამათ შორის „ქუყანანი, ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტი კლარჯეთისანი" [1, 26]. როგორც აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, სამცხის სამთავრო მოწინავე იყო და ფეოდალური საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა. აქ მოქმედი ბექა-აღბუღას კანონები საქართველოს სხვა სამთავროებშიც გავრცელდა და მოქმედ სამართლად იქცა. იგი კარგად ასახავს და წარმოაჩენს იმ პერიოდის ქართული სამართლებრივი კულტურის მაღალ დონეს.

წიგნში აღიარებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, დადგენილია დანაშაულში თანამონაწილეთა დიფერენცირებული პასუხისმგებლობა, დამთავრებული დანაშაული გამიჯნულია დანაშაულის მცდელობისაგან.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებადაა მიჩნეული და სხვა.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დანაშაულისა და სასჯელის გარდა მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა საკუთრების უფლება, გირავნობა,

ნასყიდობა, მემკვიდრეობა, სესხი, ჩუქება, განქორწინება, სამართალწარმოება და მრავალი სხვა.

წინამდებარე თემაში შევეცდებით მიმოვიხილოთ სისხლის სამართლის დანაშაულობების, სასჯელთა სახეების და სამართალწარმოების არსებული და ჩვენს მიერ მოძიებული ზოგიერთი ფაქტები.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, როგორც ასეთი, დანაშაული და სასჯელი არაა მოხსენიებული. დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვებია: „უწესონი საქმენი", „დასაურვებელი საქმე", „ავი საქმე"; ხოლო დამნაშავეს „ავის მქმნელი", „ავის მოქმედი კაცი", „მოავე კაცი" ეწოდებოდა.

სასჯელის მნიშვნელობით იხმარება სიტყვები: „სამართალი", „ბჭობა", „პატიჟი", „საპატიჟო", „დასაურვებელი პატიჟი", „საპატიო", „საურვებელი", „საუპატიო", „სისხლი", „გერში" და სხვა.

საზღაურის გადახდას „სისხლის ურვება", ანუ „სისხლის ზღვა" ეწოდება [1, 187].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით *სისხლის სამართლის* დანაშაულებად განხილულია შემდეგი მუხლები:

მკვლელობა: 1, 4, 7, 15-17, 22, 36, 38, 96-97; *სხეულის დაზიანება*-5,6, 8, 18; *შეურაცყოფა* 18-21; *ცილისწამება* 40, 50, 86; *სქესობრივი დანაშაული* 23, 26, 41; *ქალის მოტაცება* 24, 27, 39, 41, 46-47; *ცოლის ან ქმრის დაგდება* 29, 30, 32, 46; *გაძარცვა* 12-14, 17, 19, 25, 33, 35, 37, 47, 80, 97; *ქურდობა* 62-63, 65-66, 92; *ღალატი* 33, 40, 59 და სხვ.

აღნიშნული და სხვა დანაშაულებისათვის კანონმდებელი აწესებდა სასჯელის სხვადასხვა სახეს, რომელთაგან გავრცელებული იყო: *სისხლი, პატიჟი, სამსახურის შეკცევა, საპირო, სანახშირო, გერში, ნაპარავის* ორკეც საზღაური; გამაწბილებელი სასჯელები–*გაძევება, შეჩვენება და შერისხვა, სიკვდილით დასჯა, დამსახიჩრებელი სასჯელები, ხელთ შეპყრობა, მამულისაგან გაყენება, ჩამომცრობა.*

მითითებული დანაშაულებისა და სასჯელთა ცალ-ცალკე განხილვა დიდი მოცულობის მასალაა, რაც ცალკეული კვლევის თემაა, ამიტომ შევეცდებით გავაანალიზოთ უფრო გავრცელებული, უფრო აქტუალური და იმ დროისათვის პროგრესული და ჩვენ სინამდვილესთან მისადაგებული.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის მიხედვით პროგრესული იდეა, ის რომ სასჯელის დაურვებამ შეცვალა შურისძიებისა და სისხლის აღების ინსტიტუტი მატერიალური საზღაურებით, რომელიც დამნაშავეს უნდა მიეცა დაზარალებულის ნათესავებისათვის, მოკლული პირის, საპატიო გვარის მამულისა და პატივის მიხედვით, დანაშაული განხილულია როგორც კერძო ხასიათის ბოროტმოქმედება, რომელიც მიმართულია პიროვნების ან მისი ქონების წინააღმდეგ. ამიტომ, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, სისხლიც მთლიანად დაზარალებულ ან მის უახლოეს ნათესავს უნდა აუნაზღაურდეს დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიერ. მაგრამ, მატერიალური ზიანის გარდა, სამართალი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, თუ რამდენად გამოიხატა დამნაშავის მოქმედებაში ბოროტი განზრახვა. წინასწარი განზრახვით დანაშაულის ჩადენა ხდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მტრობით“ და „ღალატით“ ან „ბედითა ხელითა“ ე. ი. ნებით. აგრეთვე, დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს „უბედით“ ე.ი. უნებლიეთ. განუზრახველად სასჯელთა განსაზღვრისას კანონმდებლობას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოებები.

სისხლის დაურვების ანუ საზღაურის გადახდის ერთეულად ბექა-აღბუღას სამართალში მითითებულია თეთრი, რომელიც შემდეგნაირად იანგარიშებოდა:

– დიდებულის სასჯელი-40000 თეთრი;
– პირველი რიგის აზნაურისა-20000 თეთრი;
– მეორე რიგის აზნაურისა და საპატიო ვაჭრის -12000 თეთრი;
– მესამე რიგის აზნაურისა -6000 თეთრი;
– რიგითი ვაჭრისა–6000 თეთრი;
– მსახურისა და სიკეთეზე ცნობილი გლეხისა–1000 თეთრი;
– ყმა გლეხისა–400 თეთრი[4, 25].

დანაშაულის ჩადენის ადგილის, პირობებისა და სიმძიმის მიხედვით, სამართლის წიგნი დამნაშავეს დაზარალებული პირის სასარგებლოდ აკისრებს ორკეცი, ერთნახევარი, სრული, ნახევრისა და მესამედი სისხლის დაურვებით.

ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, დამნაშავემ მკვლელობისათვის სისხლი უნდა ზღოს, ჭრილობისათვის–„გერში“, თავდასხმისათვის–„თვით ზედდასხმის წესით დაუურვოს“ ანუ დასხმულობის წესით დასხმულობა დაუურვოს და სხვა. დასხმულობის დაურვება თავდასხმისათვის დაწესებული სპეციალური საზღაურია [4, 192].

„სისხლი“, როგორც სასჯელის არსი სწორად აქვს განმარტებული ივ. ჯავახიშვილის: „სისხლი ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდაო“ [2, 98]. მაშასადამე, სისხლი სასჯელია, რომლის დაურვება ფულადი ან ქონებრივი სახით ხდება.

ბექა-აღბუღას სამართალში სასჯელად ცალკე აღნიშნულია „პატიჟი“, როგორც სასჯელის განსაკუთრებული სახე და იგი დაწესებული იყო მძიმე ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროს, როგორიცაა მკვლელობა, ღალატი, თავდასხმა, ეკლესიის დაწვა, გაძარცვა და სხვა, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს საერო ან სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

„პატიჟი“ ქონებრივი საზღაურის ნაწილია.

ბექას სამართლის 47-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმე სხვას ძალადობით ცოლს მოსტაცებს, დამნაშავემ ორკეცი სისხლი უნდა გადაიხადოს უპატიურად ქცევისა და შეურაცხყოფისათვის (დაუურვოს ცოლის წაგვრისა საპატიჟო–სისხლისა ორი ნაწილი). ამასთან, დამნაშავე ვალდებულია დაუბრუნოს დაზარალებულს მოტაცებული ქონება და გადაუხადოს თავდასხმისათვის დაწესებული საზღაური; „საპატიჟო“ ამ შემთხვევაში ორკეცი ქონებრივი სასჯელია.

ნაპარავის ორკეცი საზღაური, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, გათვალისწინებულია გატაცებული ქონების ასანაზღაურებლად.

„ნაპარავი იგი მისცეს და ერთი ეზომ სხვა“, ორკეც ქონებრივი საზღაურის საჯარიმო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასჯელია.

ბექას სამართლის მიხედვით გათვალისწინებულია გამაწბილებელი სასჯელები. დამნაშავეს, რომელიც თავს დაესხა ოჯახს შერცხვენისა და შეურაცყოფის მიყენების მიზნით, დამამცირებელი სასჯელი უნდა შეეფარდოს–ბოროტმოქმედი „ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლითა შვიდითა ბიჯთა ჩაათრიონ და მას კაცსა მეხრემან სამი შოლტი ამოჰკრას "(მუხ. 13).

თუ ცოლშვილიანი კაცი ქმარშვილიან ქალთან, ან ნათესავი ნათესავთან მრუშობას ჩაიდენს ბოროტმოქმედი მამაკაცი „ნიფხვითა ოდენ შიშველი და ყელსაბელიანი უბანთა გაჭირვებული მოავლინო" (მუხ. 23) [3, 89].

დამნაშავის გაძევება და გადახვეწა, რომელსაც ბექა-აღბუღას სამართალი სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს, ძველი ტრადიციით განმტკიცებული წესებია და მათ სამართლის წიგნში სანქციის მნიშვნელობა აქვს მიღებული.

თუ დიდებულის მიერ დიდებულის მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე კანონით დადგენილ სისხლის ოდენობას ვერ გადაიხდის, „გაძევებული უნდა იქნას, მამული უნდა ჩამოერთვას და ათაბაგსა და მაწყვერელს გადაეცეს (თუ ვერ ამოვიდოდეს, გადაიხვეწოს და მამული პატრონისა აქუნდეს–ჯაყელსა და მაწყუერელსა"). ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როცა აზნაური აზნაურს მოკლავს („თუ ვერ ამოუვიდოდეს გადაიხვეწოს და მამული აგრევე პატრონმა დაიჭიროს... სისხლის გარდახდომამდინ")

სასჯელის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს დამნაშავის „ხელთ მიცემა", ე.ი. ბოროტმოქმედი პირის დაზარალებულის განკარგულებაში გადაცემა. ბექას სამართლის 36-ე მუხლის მიხედვით, თუ მკვლელობა ჩადენილია ისე, რომ ამის შესახებ დამნაშავის პატრონმა წინასწარ არაფერი იცოდა, მაშინ პარტონმა ბოროტმოქმედი დაზარალებულის ნათესავებს უნდა გადასცეს ადგილ-მამულით („პატრონი მამულითურთ მას გაუპატივებულთა ხელითა მისცემს") და რაც უნდა, დამნაშავეს ის უყონო. კანონის ასეთი მითითება, ცხადია, სიკვდილ-სიცოცხლის უფლებასაც გულისხმობს (თუმცა, სიკვდილით დასჯა, როგორც განსაკუთრებული სასჯელი, ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით პირდაპირ არაა მითითებული.)

ბექა-აღბუღას სამართალი იცნობს სასჯელის ისეთი სახეს, როგორიცაა „ხელთ შეპყრობა" ანუ დაპატიმრება. ბექას სამართლის მე-18-ე მუხლი ადგენს: თუ კაცმა მისი მომდურავი კაცი მისსავე ადგილმამულში ნახოს და მტრობისა და სამდურავის გამო „შეიპყრას და სახლში მიიყვანოს, სადა გინდა სასამართლოს შეიყარნენ", სისხლის ნახევარი უნდა დაუურვოს და წაღებული ქონებაც უკლებლივ უნდა მისცესო. ასეთი ქმედება ითვლებოდა პატრონის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. დიდებულთა, აზნაურთა და სხვა ვასალთა „ხელთ შეპყრობა მხოლოდ ათაბაგს შეუძლია, დაპატიმრების უფლება მხოლოდ პატრონის კომპეტენციას შეადგენს"[3, 253-254].

განხილული და სხვა სასჯელები იმის საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ქართული ფეოდალური სამართლის კოდექსია, რომელიც აკანონებს გაბატონებული კლასის პრივილეგირებულ მდგომარეობას, იცავს მათ ქონებრივ და უფლებრივ ინტერესებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის წიგნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ იცნობს მძიმე სასჯელების–წამებით, სიკვდილით დასჯისა და დამასახიჩრებელი სასჯელების მრავალ კვალიფიციურ სახეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების სხვა ქვეყნების სისხლის სამართალში.

სამართლის წიგნში გატარებულია იდეა, რომ სასჯელი არის დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალება, რომ მომავალში „ათი საქმე ნუ ვისგანმე გაადვილდებისო".

სასჯელის ერთ-ერთ მიზანს სამართლის წიგნის მიხედვით დაზარალებული პირის დაკმაყოფილება შეადგენს. ეს ამოცანა მკაფიოდ არის გამოხატული სისხლის დაურვებასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. დაზარალებულის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა დამნაშავის „ხელთ მიცემა" და მისი „მამულის დაჭირვა".

აძევებდა რა ბოროტმოქმედს, ამით კანონი არა მარტო აშინებდა სხვას, არამედ შესაძლებლობას ართმევდა თვით დამნაშავეს ახალი დანაშაულის ჩადენისათვის.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით *სასამართლო წყობილებას* და *სამართალწარმოებას* *დათმობილი* აქვს მთელი რიგი მუხლები: პატრონი–ათაბაგი და მაწყუერელი; 1,4, 18, 22, 25, 33, 40; ბჭე და ბჭობა: 3, 4, 20, 27, 34, 84, 88, 90, 97; შუაკაცი: 6, 13, 39, 49, 52, 83-84, 92; ფიცი და მოფიცარნი: 4, 27, 33, 35, 37, 62-63, 65-66, 85-86, 91, 97; მოწმე: 16, 50, 86, 91-92; წერილობითი საბუთები: 60, 68-72, 76.

სამართლის წიგნის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების უმღლესი წარმომადგენლები არიან პატრონი-ათაბაგი და მაწყუერელი ეპისკოპოსი, რომელთა კომპეტენციაში შედის მძიმე დანაშაულის განხილვა (მკვლელობა, თავდასხმა, ღალატი და სხვა). ძმამ თუ ძმა ან ახლო ნათესავი მოკლა, საქმე ათაბაგსა და მაწყუერელს უნდა მოხსენდეს, რადგან ასეთი დანაშაული „საღმთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი". დამნაშავეს ჩვეულებრივი სასჯელის გარდა საეკლესიო სასჯელიც უნდა დაედოს–„ეპისკოპოზმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოსო". ასეთი მძიმე კატეგორიის საქმეთა განხილვისას ათაბაგი, როგორც უმაღლესი საერო ხელისუფლების წარმომადგენელი და მაწყვერელი, როგორც უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელი. ერთდროულად და თანასწორად ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას; თუმცა, იყო ისეთი საქმეები, რომელთა გამგებლობა მაწყვერლის იურისდიქციაში შედიოდა და ათაბაგი მის უფლებებში ვერ ჩაერეოდა (სულისა და ეკლესიის საქმე, ქორწინებისა და ოჯახის საქმეები).

სამართლის წიგნის შესაბამისი მუხლების ანალიზიდან ირკვევა, რომ სამართალწარმოების დარგში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა *შუაკაცთა ინსტიტუტს*. შუაკაცებს სხვადასხვა სადაო საქმეებისა და დანაშაულებების განსახილველად ირჩევდნენ. შუაკაცებს ანუ მედიატორებს უნდა გაერჩიათ მსუბუქი ჭრილობის საქმეები, მათ უნდა შეარიგონ მოდავე მხარეები–„საპატიო კაცთა შუა შემოსვლითა... დავაურვებინოთ". შუაკაცები საპატიო კაცთა რიცხვიდან უნდა იქნენ არჩეულნი, რაც გულისხმობს არა მარტო ხნიერსა და გამოცდილ ადამიანებს, არამედ ქონებრივ მდგომარეობასაც [4, 122].

შუაკაცთა სასამართლო იყო მომრიგებელი სასამართლო, რომელიც აირჩეოდა მოდავე მხარეების მიერ.

„ბჭე“ ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, ნამდვილი მოსამართლე ანუ ხელისუფლების წარმომადგენელია, მისი სასამართლო ხელისუფლება საჯარო ხელისუფლების მიერ დაკისრებული მოვალეობაა. ბჭე ნამდვილი მოსამართლეა და მის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს.

სამართლის წიგნის მიხედვით, შუაკაცთა და ბჭეთა სასამართლოს თავისუფალი მართლშემოქმედებისათვის დიდი უფლება-მოვალეობა აკისრია. სასამართლო საქმე განიხილეთ, შეაფასეთ და თქვენი შეხედულებით გადაწყვიტეთო, ეუბნება მოსამართლეს კანონმდებელი. ცხოვრებაში „მრავალგვარი საქმენი არიან“ და ასეთი საქმეების განხილვისას მოსამართლემ უნდა დაადგინოს საქმის ვითარება, რასაც „ბჭეთაგან კარგი გამონახვა უნდაო“[4, მუხ. 92].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, დამამტკიცებელ საბუთთა მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს ფიცი და მოფიცარნი–დასახელებული და დაუსახლებელი მოფიცარნი.

„მრავალგვარნი ასეთნი საქმენი არიან, ზოგს საქმესა შიგან რომელნიმე დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე შეუსახნენ და ზოგსა–დაუსახელებელნი და ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა“ [4, მუხ. 4].

დასახელებული მოფიცარნი არიან მოწმეები გარეშე უცხო პირთაგან, დაუსახელებელი კი–მოწმეები გვარისეული მოფიცარნი.

მოფიცართა დასახელება იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა საქმე მძიმე ხასიათს ატარებდა.

მტკიცებულების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, აგრეთვე, წერილობითი საბუთები.

ამდენად, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, სამართალწარმოებას განსაკუთრებული ადგილი აქვს მინიჭებული და აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ჭეშმარიტების დადგენისას.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ რა სიახლეები იქნა აღმოჩენილი წინამდებარე თემის საკითხების კვლევისას. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოკვლეულ იქნა ივ. გვარამაძის ავტოგრაფული ხელნაწერი, გადმოწერილი საათაბაგოს მიტროპოლიტ ეგნატეს კუთვნილი სჯულისკანონიდან (საარქივო მასალა), რომელიც შეიცავს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მუხლებს. აღნიშნულ ხელნაწერზე, ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში (ავტორები *ილ. აბულაძე, მ. ქავთარია, ც. ჭანკიევა*) მითითებულია, რომ კრებული შეიცავს მცირე სჯულისკანონს.

დასახელებულ ხელნაწერთა აღწერილობაში კანონი არასწორადაა მითითებული, რადგან ჩვენ ვიცნობთ სჯულისკანონს, რომელსაც საერთო არა აქვს ივ. გვარამაძის ხელნაწერებში მითითებულ კანონებთან. იგი არის ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის კანონები.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ივ. გვარამაძის ეს ხელნაწერი ქართული სამართლის ისტორიის არცერთ მკვლევარს არა აქვს მოხსენიებული, რაც ცალკე კვლევის საგნად მიმაჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1 *ი. დოლიძე*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

2 *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1927; *მისივე*, თხზ., ტ., VI თბ ., 1982.

3 *ი. დოლიძე*, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963.

4 ბექა-აღბუღას სამართალი (ახალციხის მუზეუმის ხელნაწერი, №47).

5 ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1987.

Alexander Lekishviley

THE CRIMINAL OFFENCE, THE KINDS OF PUNISHMENT AND THE LAW-SUIT IN BEKA-AGHBUGHA'S BOOK OF JURISPRUDENCE.

Sammary

Having studied Beka-Aghbugha's book of jurisprudence of feudal Georgia of the XIII -XIVcc, one could see that the judgement of infringement was very important that time.

The subject to speak is especially marked in this book; the reasons of decision in many kinds of punishments, the role of responsibility in the participation and the premeditated offence, kinds and rules of punishments are especially picked out.

Besides of it in Beka-Aghbugha's jurispurudence book there are the most important institutions as the right on the property, the security, buyings, the heredity, the debt, the deed and so on. Studyng above mentioned institutions gave us the chance to think that this Book was the best text-book in the Jirisprudence not only in South feaudal Georgia but all over it.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

თამაზ გამყრელიძე

მესხეთ-ჯავახეთი – საერთოქართველური წინარე საშობლო

საერთო-ქართველური ენა მისი დაშლის წინა პერიოდში არქაული ლექსიკური და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით შესაძლებელია, ლოკალიზებული იქნეს მცირე კავკასიონის (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის) დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის მთიანეთში.

ქართველური მიგრაციების პირველ ტალღას, რომელიც მიმართული იყო დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ – კოლხეთის დაბლობისკენ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში საერთოქართველური ენიდან უნდა გამოეყო მისი ერთ-ერთი დიალექტი და დასაბამი მიეცა სვანური ენის წარმოშობისათვის, რომელიც გავრცელდა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში და ზედ დაეფინა აქ ადგილობრივ, როგორც ჩანს, ჩრდილოდასავლურკავკასიური ტიპის ენებს, რომლებიც ამგვარად სუბსტრატად იქცნენ სვანური ენისთვის.

თანდათანობით სვანური ენა ჩრდილოეთისკენ, დიდი კავკასიონის ქედის მიმართულებით განდევნა მომდევნო მიგრაციულმა ტალღამ, რომელიც პირველს მოჰყვა დაახლოებით ცხრა საუკუნის შემდეგ და მიაღწია შავი ზღვის ნაპირებს საერთოქართველური ენის თავდაპირველი გავრცელების არეალიდან გადასახლების პროცესში, რომლისგანაც გამოიყო მისი დასავლური დიალექტი (სწორედ ამ დიალექტმა მოგვცა შემდგომში „კოლხური"–„ზანური" ანუ მეგრულ–ლაზური – ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ენა).

დასავლეთ მცირე კავკასიონის – ქართველური ტომების ამ უძველესი კერის ფარგლებში დარჩენილი საერთოქართველური ენის დიალექტები საფუძვლად დაედო ქართულ ენას, რომლის მატარებელნი განსახლდნენ დასავლეთის მიმართულებით და განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაეფინენ კოლხური ენის მატარებელთ, რამაც გამოიწვია მისი გაყოფა ორ დამოუკიდებელ დიალექტად და შემდგომში მეგრული და ლაზური (ჭანური) ენების წარმოშობა, აგრეთვე ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რასაც მოჰყვა აქ გავრცელებული აღმოსავლურკავკასიური ტიპის ენების განდევნა.

ქართველური ტომების ამ მიგრაციამ განაპირობა საერთოქართველური ენის დაშლა და მისი დიალექტების ექსპანსია მისი გავრცელების თავდაპირველი არეალის ფარგლებს გარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

მიხეილ ქურდიანი

საერთო-ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებისათვის („მეხი“, „მეხები“)

1.1. საერთო-ქართველური ენა იმ ეტაპზე, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ მის დაშლას სისინა (ქართულ) და შიშინა (საერთო-სვანურ-ზანურ) ენებად, გაყოფილი იყო ორი დიალექტურ არეალად—დასავლურად და აღმოსავლურად. დასავლურ არეალში შემდგომში წარმოიშვა შიშინა ენა, რომლის შემდგომმა დიფერენციამაც მოგვცა ისტორიულად დადასტურებული სვანური (შიშინა-ა) და ზანური (შიშინა-ო) ენები; სვანური ქართველთა პირველსაცხოვრისის ჩრდილო-დასავლეთში, ზანური კი სამხრეთ-დასავლეთში. აღმოსავლურ არეალში შემდეგში წარმოიშვა სისინა (სისინა-ა) ენა-ქართული (მ. ქურდიანი, 1996) თავად საერთო ქართველური ფუძე-ენა ფონოლოგიურად შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც სისინა-შიშინა-ა ენა. ფუძე-ენის ასეთ დახასიათებას საფუძვლად უდევს გ. მაჭავარიანის თვალსაზრისით საერთო ქართველურში სიბილანტთა სამი რიგის არსებობისა და შუა სიბილანტური რიგის ასახვის შესახებ ქართველურ ენებში: ქართულში ის შეერწყა წინა სიბილანტურ რიგს, ე. ი. გასისინდა, ხოლო სვანურსა და ზანურში ტრანსფორმირდა უკანა სიბილანტურ რიგად, ე. ი. გაშიშინდა (გ. მაჭავარიანი, 1965).

1.2. საერთო-ქართველური ენა არც დასავლური და არც აღმოსავლური დიალექტური არეალების ფარგლებში არ იყო ერთგვაროვანი, რასაც ადასტურებს არა მარტო ფონეტიკური დუბლეტების არსებობა, მაგ.:



(მომაწოდა მ. ჭირაქაძემ) და სხვ. არამედ საერთო ქართველური ეთნოსის შემადგენელ ტომთა ფუძე-ენის ფუნქციონირების ქრონოლოგიურ დონეზე, ისტორიულ-შედარებითი მეთოდით რეკონსტრუირებული სახელების სიმრავლეც.

1.3. საერთო-ქართველურ დონეზე, აღდგება შემდეგი სატომო თუ ტომთა გაერთიანების სახელები (საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ჩემეული სქემიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომდინარე, იხ. მ. ქურდიანი-1996, საერთო-ქართველური დონის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია შესადარებელი მასალის პოვნიერება როგორც სისინა-ა, ე. ი. ქართულ ასევე ერთ-ერთ შიშინა ე.ი. სვანურ ან ზანურ ენაში, ოდენ შიშინა ენებში პოვნიერი მასალა, იძლევა რეკონსტრუქციის საშუალებას მხოლოდ სვანურ-ზანური ენობრივი ერთობის ქრონოლოგიური დონისათვის):

1) ს. ქ. *ქართ-ი

ქართ. ქართ-ულ-ი; ქართ-ლ-ი; ქართ-ლ-ელ-ი; ქართ-ულ-ი;

სვან. მƶ-ქართ „ქართი//ქართოელი*; ჩართ-უ-ელ<*ქართ-უ-ელ (გვარში ჩართოლან<ჩართუელ̄ან<*ქართუელ̄ან იხ. ე. ოსიძე-1997)

ზან. ქორთ-უ//ქართ//ქართ-ელ-ი"; ქორთ-ულ-ი „ქართ-ულ-ი"; გვარი „ქორთუა"

(შდრ.ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე-1990,332; სადაც მეგრული და ლაზური ქორთ-უ თარგმნილია როგორც „ქართველი" ამ ე. ი. ეროვნული სახელის მნიშვნელობით სვანები იყენებენ ტერმინს: მƶქრთუელ ან ქართუელ, მრავლობითში: ქართუელარ; მეგრელები კი შესაბამისად მხოლობითში ქართუელ, მრავლობითში: ქართველები იხ. აგრეთვე მ. ქურდიანი-1999)

2) ს./ქ.* თუშ-ი

ქართ. თუშ-ი; თუშ-ურ-ი; თუშ-ეთ-ი

ზან* თუსქ-ი (ბერძნ. Τοῦσχοι) გვარი ტუსკია<* თუსქია

ორივე ეს სახელი საკუთრივ ქართულ (სისინა-ა) ენაზე მეტყველ ტომთა გაერთიანებას თუ ცალკეულ ტომს აღნიშნავს;

3) ს./ქ. * ს, უან-ი

ქართ. სვან-ი; სვან-ურ-ი; სვან-ეთ-ი.

ზან. შონ-ი „სვანი"; შონ-ურ-ი „სვანური"

სვან. მუშ-უან „სვანი"; შუან „სვან-ეთ-ი;

ლუ-შნ-უ „სვანური"

(იხ. ჰ. ფერნიხი, ზ. სარჯველაძე-1990-283)

4)ს./ქ.* ლას, ხ-ი

ქართ.* ლასხ-ი (იხ. გვარი: ლასხიშვილი)

სვან. მƶ-ლაშხ „ლაშხი"

(მ. ქურდიანი, 1984) ორივე ეს სახელი საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის შემდგომ სვანურ (შიშინა-ა) ენაზე, მეტყველ ტომთა გაერთიანება თუ ცალკეულ ტომს აღნიშნავს.

5) ს./ქ. * მ-ეგრ-ელ-ი ‖ მ-ეგრ-ან-ი

ქართ. მ-ეგრ-ელ-ი; მ-ეგრ-ულ-ი; ეგრ-ის-ი.

ზან. მ-არგ-ალ-ი <* მ-აგრ-ალ-ი „მეგრელი", მ-არგ-ალ-ურ-ი „მეგრული"

მ-აკრ-ონ-ი <* მ-აგრ-ონ-ი „მეგრელი" (აგრ>აკრ ქ. ლომთათიძის წესის თანახმად: ქ. ლომთათიძე-1996)

6)ს./ქ. * წ, ენ-ი

ქართ. *წ, ენ-ი „ჭანი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვან.* წენ-ი <* ჭენ-ი (ბერძნ. Ἡνιοχοι)
ზან. ჭან-ი
(იხ. ბ. გიგინეიშვილი-1975)

ორივე ეს სახელი საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის შემდგომ ზანურ (შიშინა-ო) ენაზე, მეტყველ ტომთა გაერთიანებას თუ ცალკეულ ტომს აღნიშნავს.

საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიური დონიდან მომდინარე ყველა ზემოთ დასახელებული ეთნონიმი დღესაც ცოცხალია.

1.4. აქ ჩამოთვლილ ეთნონიმთა გვერდით არსებობს კიდევ ერთი ეთნონიმი, რომლის რეკონსტრუქცია ხერხდება საერთო-ქართველური ენის დონეზე და რომლის იდენტიფიცირებაც რომელიმე ცალკეულ ქართველურ ტომთან ან ტომთა გაერთიანებასთან ცალსახად არ ხერხდება, რადგან ამ სახელწოდებით სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მოიხსენიებენ სამივე ქართველურ ენაზე მეტყველი ტომები-ქართები, სვანებიც და ზანებიც, ეს ეთნონიმია მესხი.

ამ ეთნონიმის საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუქციის ორი ვერსია შეიძლება იქნეს განხილული, როგორც კომპარატივისტული მეთოდის თვალსაზრისით სანდო:

ს./ქ. * მოსხ-ი	ს./ქ. *მასხ-
ქართ. * მოსხ-ი	ქართ. მესხ- მესხ-ი; მესხ-ურ-ი; მესხ-ეთ-ი
სვან. *მოსხ-ი	მეგრ//ლაზ.[მოსხ-]
ზან. *მოსხ-ი > მუსხ-ი	ქართ. მესხ-(<*მასხ-უმლაუტის გზით)
(ნ. ხაზარაძე-1993 33-36)	(იხ. ჰ. ფერნიხი, ზ. სარჯველაძე–1990, 210)

მე უფრო მეორე ვერსიას (ს/ქ *მასხ-ი) ვუჭერ მხარს, შედარებით ვრცლად ამაზე ქვემოთ მექნება ლაპარაკი, რაც შეეხება ამ ეთნონიმის დროსა და სივრცეში ფუნქციონირებად ფონეტიკურ ვარიანტებს, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ადგილას, სხვადასხვა ენაზე და დამწერლობის სხვადასხვა სისტემით იყო დაფიქსირებული, მათ ურთიერთმიმართებასა და სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისებს იხ. ნ. ხაზარაძე-1984 და ნ. ხაზარაძე-1993; აგრეთვე ნ. მარი-1912 ი. ჯავახიშვილი-1950, პ. ინგოროყვა-1954 კ. წერეთელი-1954, გ. მელიქიშვილი-1965, ი. დიაკონოვი-1968, თ. მიქელაძე-1974 და სხვ.

1.5. ყოველივე ზემოთქმული ასეთი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

ს./ქ. * მასხ-ი ‖

ქართ. *მასხი.მესხი	სვან. *მასხი. მესხი	ზან. *მოსხი.მუსხი
ბერძნ. Μέσχοι		Μόσχοι ‖ Μόσοχ
ლათ. Mesḫoi		Mōšok
ებრ. Mešk Mešek		
Mašk Mešek		
ასურ. -		Mušku (‖ Mošku)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის რომ ეს ტერმინები სხვადასხვა ეპოქისაა და მაგ. მესხ ფუძის შემცვლელი ვარიანტები მოსხ-ფუძის შემცვლელ ვარიანტებზე, ბევრად უფრო გვიან ჩნდებიან წყაროებში, არ შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებად ჩაითვალოს, რადგან მათი მიღება ო-ხმოვნიანი ვარიანტისაგან გამორიცხულია და ამდენად უნდა ვივარაუდოთ რომ ა/ე ხმოვნიანი ვარიანტები უბრალოდ უფრო გვიან დაფიქსირდა წერილობით წყაროებში.

1.6. სავარაუდოა, რომ სწორედ *მასხი იყო საერთო-ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდება, რომელიც საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად მემკვიდრეობით ერგოთ ახალწარმოშობილ ეთნოსებს (იმ ბგერათშესატყვისობის მიხედვით გაფორმებული, რომელიც კანონზომიერი და რეგულარულ ხასიათს ატარებდა ქართველურ ენათა შორის) და კიდევ რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, დღევანდლამდე ფუნქციონირებს, როგორც სატომო ან ტომთა გაერთიანების სახელები. დღეს მესხი ქართების ერთ-ერთი ტომის თვითსახელწოდებაა, ხოლო ქართველთა სხვა ტომს („ტომებს")—თუშებს („ხევსურებს, ფშაველებს") ამ სახელით მოსოხ ‖ მოსოქ იცნობენ მეზობელი კავკასიელი ტომები (მაგ. ხუნძები).

ანალოგიისათვის: საერთო-სლავური ეთნოსის თვითსახელწოდება „სლავი" ფიგურირებს, როგორც დღევანდელი დასავლურ-სლავური ეთნოსის „სლოვაკ"-ის, ასევე სამხრეთ-სლავური ეთნოსის „სლოვენ"-ის თვითსახელწოდებაში.

2.1. პროფ ნანა ხაზარაძემ საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა მესხების ეთნიკური ვინაობისა და განსახლების პრობლემებს (ნ. ხაზარაძე-1984) რომელშიც ამ დროისათვის ცნობილი ყველა წყაროს გაანალიზების საფუძველზე ამ პრობლემათა ყველაზე ადექვატური გადაწყვეტა მოგვცა. ნ. ხაზარაძემ ახალი ფაქტებისა და არგუმენტების მოხმობით განამტკიცა მესხების (მოსხების, მუშქების) ქართველური სამყაროსადმი კუთვნილების თვალსაზრისი და აჩვენა მათი განსახლებების გეოგრაფია ძვ. წელთაღრიცხვის XIV საუკუნიდან ახ. წელთაღრიცხვის II საუკუნის ჩათვლით.

ასირულ, ლუვიურ-იეროგლიფურ და ურარტულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობითა და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით ავტორი მესხების (მოსხების ‖ მუშქების) გამოჩენას ცენტრალურ ანატოლიაში XIV-XIII საუკუნებით (ძვ. წ.), ხოლო ზემო ევფრატის რაიონში XII საუკუნით (ძვ. წ.) ათარიღებს.

ძვ. წ. XII-VII საუკუნეებში ტერმინით „მუშქთა ქვეყანა" წინა აზიის ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებული რაიონი აღინიშნებოდა ერთი აღმოსავლეთში ევფრატის ზემო წელიდან ტიგროსის ზეთავეებისა და ზემოწელის მარცხენა ნაპირის ჩათვლით, ხოლო მეორე დასავლეთში მდ. ჰალისის (ყიზილ-ირმალის შუა წელის სამხრეთით.

ძვ. წ. VI-V საუკუნეებში მოსხები ბინადრობენ მდ. ჰალისის შუა წელიდან თითქმის მდ. ჭოროხის სათავეებამდე, ზღვისპირელი ტიბარენების სამხრეთით. ძვ. წ. V ს. დასაწყისიდან IV-II ს-ს მიჯნამდე მდ. ჭოროხის სათავეებიდან მდ. მტკვრის ზემო წელის ჩათვლით მდებარეობს ბერძნული წყაროების მოსხთა ქვეყანა-„მოსხიკე".

სტრაბონის (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) მიერ მოხსენებული მოსხური მთები, ნ. ხაზარაძისეული ლოკალიზაციით წარმოადგენენ მოსხების ქვეყნის სამხრეთ საზღვრს და მოიცავენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭოროხ-მტკვრისა, ჭოროხ-ევფრატისა და ევფრატ-არაქსის წყალგამყოფ ქედებს (ნ. ხაზარაძე-1984, ნ. ხაზარაძე-1998).

2.2. აქ ჩამოთვლილი მოსხები (მუშქები) ერთი გამონაკლისის გარდა უეჭველად და ცალსახად ზანურენოვანი არიან. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური მასალაც (თ. მიქელაძე-1974) და ბერძნული წყაროებიც: მოსხები ახ. წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებშიც კი ზანურად მეტყველებენ.

ერთადერთი გამონაკლისი ევფრატისა და ტიგროსის ზემო წელის მესხები(მოსხები ‖მუშქები) აღმოსავლეთის მესხები უნდა იყვნენ (დასავლეთის მესხების-ჰალისის შუა წელის სამხრეთით მოსახლეთა-ზანურენოვნება ჩემთვის უეჭველია) აქ ძირითადად ნარევი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო—ზანებისა და ქართების ტომთაგან შემდგარი, ქართების პრიმატით.

ამ ტერიტორიის მოხსენიება „მუშქების ქვეყნად" არ ნიშნავს, რომ აქაური მესხებიც ო-ხმოვნიანი სახელით სარგებლობდნენ, უბრალოდ მათი ქვეყნისათვის გამოყენებული იქნა ამ რეგიონში უკვე კარგად ცნობილი ტერმინი, რომელიც ერთ-ერთ მონათესავე და ამ გაერთიანებაშიც შემავალი ტომის აღმნიშვნელი იყო.

ჩვეულებრივ მონათესავე ტომები ერთიანდებოდნენ ხოლმე ლაშქრობებისა და დაპყრობითი ომების ჩასატარებლად. ანალოგიისათვის ვიკინგთა ლაშქრობებიც იკმარებს, როგორც ჩანს აღმოსავლეთ მუშქებთან დაკავშირებითაც ამავე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

2.3. სვანთა მონაწილეობაზე ასეთი ტიპის სამხედრო ექსპედიციაში უნდა მეტყველებდეს ჭანთა სახელწოდების სვანური ფორმის ჰენიოხ-ის დაფიქსირება უცხოენოვან წყაროებში არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ეს ბუნებრივია სვანთა იქ მკვიდრობის გამო (სვანური ნასესხობა ბერძნულში) არამედ სომხეთშიც (როგორც ზანთა სამკვიდროში, ასევე კიდევ უფრო სამხრეთითაც, (სადაც ის ზანური „θιαυν"‖„Τζάοι" (ჭანის) გვერდით ფუნქციონირებს.

მეორე ასეთი სახელი უნდა იყოს ქართთა თვითსახელწოდების სვანური ფორმა ქაშდ, რომელიც ბიბლიაშია დადასტურებული (ურ-ქაშდიმ).

ცნობილია, რომ საერთო-ქართველური სთ კომპლექსი აისახა ქართველურ ენებში არა მოსალოდნელი და კანონზომიერი შესატყვისობებით: ქართ.-სთ: სვან. შთ: ზან. შთ არამედ: ქართ. თ: სვ. შდ: ზან. თ. ე.ი. ქართულსა და ზანურში დაიკარგა კომპლექსის პირველი, სიბილანტური წევრი, ხოლო სვანურში კომპლექსის მეორე წევრი დენტალური ყრუ-ფშვინიერი გამყლერდა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი-1965)

ზემოთ გამოვთქვი საერთო-ქართველური ფუძე-ენაში დუბლეტების არსებობის ვარაუდი, ეფიქრობ აქაც ასეთივე შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ებრაულ ქაშდიმ-ში -იმ მრავლობითის ნიშანია (შდრ. ნ. მარი-1908 და ი. ჯავახიშვილი-1913).

2.4. საკუთრივ ქართების მონაწილეობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს კარდუხების სახელის პოვნიერება კიდევ უფრო სამხრეთით: ჩრდილო მესოპოტამიაში არსებობს მოსაზრება კარდუ (Kardu) > ქართუ პროცესის შესახებ. დისიმილაციით სი სონანტთან დ-ს მეზობლობის გამო (ქ. ლომთათიძე-1996). ჩემი აზრით, აქ ამოსავალი ქართუ უნდა იყოს, რომელიც ან რ სონანტთან თ-ს ასიმილაციით არის მიღებული: ქართუ>ქარდუ>გარდუ (გრაფიკულად გარდუ ‖ კარდუ) ან ქ. ლომთათიძის იმავე წესის თანახმად: ქართუ>ქარტუ>კარტუ (გრაფიკულად ასევ გარდუ ‖ კარდუ) იხ. აგრეთვე მ. ქურდიანი-1999 წ.

3.1. ქართველური ტომების მათ დღევანდელ საცხოვრისიდან ასე შორს, სამხრეთში პერმანენტულმა მოხსენიებამ სათავე დაუდო არაერთ მოსაზრებას ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ: ი. ჯავახიშვილი ქართველურ (და სხვა კავკასიელ)ტომებს კავკასიაში სამხრეთიდან მოსულად მიიჩნევდა (ი. ჯავახიშვილი-1950). ს. ჯანაშიას შემდეგ (ს. ჯანაშია-1943), ქართველები კავკასიის უდავო ავტოქტონებად მიიჩნევდა, სადავოდ მხოლოდ მათი პირველსაცხოვრისის ლოკალიზაცია ითვლება.

ერთ-ერთი ასეთი ვერსიის თანახმად: „საერთოქართველური ენა მისი დაშლის წინა პერიოდისა შეიძლება ლოკალიზებულ იქნეს არქაული ლექსიკური და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის მთიან ადგილებში (ამიერკავკასიის მთიანეთი) (თ. გამყრელიძე, ვიაჩ. ივანოვი-1984)

3.2 საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე, რეკონსტრუირებადი ლექსიკა (გეოგრაფიული ლანდშაფტი, ფლორა და ფაუნა) ქართველთა პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციას მავარაუდებინებს დიდი კავკასიონის სამხრეთკალთებიდან ზემოხსენებულ მოსხურ მთების ჩათვლით (თანამედროვე ე.წ. სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი)ჩრდილოეთიდან. სამხრეთისაკენ, დასავლეთით კი შავზღვამდე.

სწორედ აქედან ხორციელდებოდა ქართველურ ტომთა ექსპანსია სამხრეთისაკენ ყველა ხელსაყრელ მომენტში და იქ ტერიტორიათა ოკუპაცია, რასაც არქეოლოგიური მასალაც ცხადყოფს (თ. მიქელაძე-1974)

4.1. ჩვეულებრივ „მესხი“ განიხილება „ტაოხი“, „კოლხი“, „ჰენიოხი“, „კორდუხი“ ტიპის ეთნონიმებთან ერთად და ითვლება იმავე სტრუქტურის სიტყვად: მეს-ხი (ტაო-ხი, კოლ-ხი და სხვ). სპეციალურ ლიტერატურაში არის ამ სიტყვის ეტიმოლოგიზების არაერთი ცდა (იხ. ნ. ხაზარაძე-1993)

4.2. ერთ-ერთი შესაძლებელი ეტიმოლოგია ეთნონიმ მესხისა შეიძლება იყოს „თავდამსხმელი“, „მარბიელი“: *მ-ასხ-ი > მ-ესხ-ი (უმლაუტის გზით). მიმღეობა ასხ-ზმნური ძირიდან (თუ, რა თქმა უნდა, ასხ- ძირში საერთო-ქართველურ დონეზე აღსდგა ს ფონემა, როგორც ეს * მასხ-ში გვაქვს და არა ს) ეს ვარაუდი მესხი-ს შესაძლო ეტიმოლოგიის შესახებ გამიზიარა პროფ. ა. არაბულმა, მისივე ცნობით ამავე ფორმითა და მნიშვნელობით ეს სიტყვა შემორჩენილია ქართული ენის ხევსურულ დიალექტში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი თვითსახელწოდება არ იქნებოდა მოულოდნელი, ისეთი მეომარი ხალხისაგან, როგორებადაც მესხები წარმოდგებიან ასირიული, ლუვურ-იეროგლიფური, ურარტული თუ ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით.

5.1. ახალი წელთაღრიცხვის VIII-X საუკუნეებში მესხეთი უკვე მთლიანად ქართიზებულია, მეტიც ის გაგებულია როგორც „ზემო ქართლი" და შედგება ცხრა მხრისაგან: 1. სამცხე 2. ჯავახეთი, 3. არტაანი (კოლა-არტაანი), 4. აჭარა, 5. ნიგალი, 6. შავშეთი, 7. კლარჯეთი, 8. ტაონი (იმიერი და ამიერი ტაო), 9. სპერი (იხ. პ. ინგოროყვა-1954), მესხეთსა და ზღვას შორის ჭანეთია (ლაზეთი).

5.2. ამჟამად, XX საუკუნის დასასრულს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთისაგან შედგება, ის საკუთრივ ქართული (ქართულენოვანი) მხარე, და მის ოდინდელ ზანურ მოსახლეობაზე მხოლოდღა ჯავახეთის საერთო-ქართველურიდან ნამემკვიდრევი, ალბათ სატომო სახელის (ეთნონიმის), ზანური ფორმა (ს./ქ.* ძევეხ-‖* ძევახ-:ქართ* ძევეხ ‖ ძევახ: ზან. ჯავახ.) და არცთუ მრავალრიცხოვანი სუბსტრატული ტოპონიმიკა მეტყველებს.

ლიტერატურა:

1. *თ. გამყრელიძე, ვიჩ. ივანოვი,* 1984 Индоевропейский язык и индоевропеицы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры. т. 2 Тбилиси. Издательство Тбилисского университета, 1984.

2. *თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი*-სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. თბილისი, მეცნიერება, 1965.

3. *ბ. გიგინეიშვილი,* ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის:საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორია სერია თბ., 1975 №1 გვ.115-124.

4. *ი. დიაკონოვი,* Предыстория армянского народа (История Армянского Нагорья с 1500 по 500 г. до н. э. Хурриты, лувийцы, протоармяне)б Ереван. Издательство Академии Наук Армянской ССР., 1968.

5. *გ. თოფურია,* ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები. I. მესხ-ეთნონიმის ისტორიისათვის (წინასწარი მოხსენება): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XVII. თბილისი, მეცნიერება., 1970, გვ. 118-122.

6. *პ. ინგოროყვა,* გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბილისი. საბჭოთა მწერალი, 1954.

7. *ქ. ლომთათიძე,* სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.

8. *ნ. მარი,* Основы таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, спб., 1908.

История таблицы термина "абхаз" Известия Академии наук, 1912 стр. 697-706.

9. *გ. მაჭავარიანი,* საერთო-ქართველურიკონსონანტური სისტემა თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1965.

10. *გ. მელიქიშვილი,* საქართველოს, კავკასიისა დამახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი. მეცნიერება., 1965.

11. *თ. მიქელაძე,* ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უძველეს მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულებში). თბილისი. მეცნიერება, 1974.

12. *ე. ოსიძე,* რამდენიმე საერთოქართველური ფუძის შესახებ: გიორგი როგავას (საიუბილეო კრებული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი. ქართული ენა. გვ. 141-145, 1997.

13. *ჰ. ფერნიხი, ზ. სარჯველაძე,* ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

14. *მ. ქურდიანი,* მასალები ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონისათვის:ენა და აზროვნება, I. სამეცნიერო სესია მიძღვნილი აკად. ნიკო მარის დაბადებიდან 120 წლისთვისადმი. 1984 წლის 25 დეკემბერი. მოხსენებათა თეზისები. თბ., გვ. 10-13.

საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1996, №1 გვ. 9-17.

ტერმინი ქართველი და მისი მართებული არეების მიხედვით ცვლადი მნიშვნელობები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები 1999 წლის 24, 27-29 დეკემბერი. სესია ეძღვნება საქ. მეცნ. აკად. წევრი-კორესპონდენტს, პროფესორ ივანე გიგინეიშვილის დაბადების 90 წლისთავზე. თბილისის. ქართული ენა. გვ. 1999, 52-55.

ხშულ-თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის მქონე ენათა მკვეთრების (აბრუპტივების ასახვის წერისათვის წყვილეულებრივი სისტემის მქონე ენათა დამწერლობებში ძველი წინა აზიის მაგალითზე: საენათმეცნიერო ძიებანი VIII თბილისი. ქართული ენა, 1999, გვ. 69-74.

15. *კ. წერეთელი,* ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ"-ის ისტორიისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №2, 1954, გვ. 111-118, 1954.

16. *ნ. ხაზარაძე,* საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები). თბილისი. მეცნიერება., 1984.

„მესხი" ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის: საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი. მეცნიერება. 1993, გვ. 21-41.

მოსხების ქვეყნის („მოსხიკე"-ს) წარმოქმნისა და დაცემის თარიღის საკითხისათვის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. შრომების კრებული I. თბილისი ახალციხე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 172-177.

17. *ი. ჯავახიშვილი,* ქართველი ერის ისტორია. წიგნი I და II. თფილისი. სტამბა „შრომა" (გარეკანზე 1914), 1913.

ქართველი ერის ისტორიის შესავალ. წიგნი პირველი. საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.

18. *ს. ჯანაშია,* საქართველოს ისტორია. ნაწ. 1. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. სახელმწიფო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი. სახელგამი. (ი. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის თანაავტორებით), 1943.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Mikheil Kurdiani

ON SELF-NAME OF THE COMMON-KARTVELIAN ETHNOS ("MESKH", "MESKHS")

Summary

The Common-Kartvelian language, on the stage, which immediately preceded its differentation into whistling and hushing languages, within this dialectical area was not homogeneous. It is corroborated by names of Kartvelian tribes that are reconstructed by means of historical-comparative method for the chronological level of function of the Common-Kartvelian parent language. These are: Kart, Tush (later-tribes or associations of tribes, who spoke proper Georgian, or whistling-a language), Svanh, Lashkhi (later-tribes or associations of tribes, who spoke proper Svan, or hushing-a language), Megrel, Tchan (later-tribes or associations of tribes, who spoke proper Zan, or hushing-o language)-these ethnonyms live today.

Alongside with them there is one more ethnonym that is reconstructed on the Common-Kartvelian parent language. It is difficult to identify it with separate Kartvelian tribe or association of tribes, because under this name in various historical epochs and in various geographical areas there are mentioned tribes, speaking all three Kartvelian languages-Karts, Svans and Zans. This ethnonym is Meskh.

Possibly, that just Meskh was a self-name of the Common-Kartvelian ethnos that was transferred to new tribes, originated by differentiation of the Common-Kartvelian parent language (formulated according to the sound correspondence that had regular character among these languages). During saveral thousand years up to now it functions as name of Cautribes or associations of tribes. Today Meskhi is a self-name of one tribe of Karts, and their neighbor Caucasian tribes under this name mention the second tribe of Karts (Tushs). (Similarly, a self-name of the Common-Slavic ethnos "Slaves" appear today as a Western-Slavic ethnos "Slovak", and as well as a self-name of the Southern Slavis ethnos "Slovene").

Usually "Meskh" is considered together with ethnonyms of the type "Tao-hi", "Kol-hi" and is considered as a word of the same structure "Meshi". in the special literature there are several attempts of etymology of this word.

In the paper it is expressed a view, that one possible etymology of the ethnonym "Meskh" may be "fighter", "raider". M-askh-i > M-eskh-i > M-eskh-i (via umlaut) from verbal root of the participle askh- According to information of Prof A.Arabuli, under the same form and meaning this word has survived in the Khevsurian dialect of the Georgian language.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

ტარიელ ფუტკარაძე

პალატალიზებული ხმოვნების ისტორიისათვის ქართული ენის სამცხურ-ჯავახურ დიალექტში

სამცხურსა და ჯავახურს ჩვენ ერთ დიალექტად წარმოვადგენთ (შდრ., შ. ძიძიგური, 1970, გვ. 139; I. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, I. ქავთარაძე, 1961; ა. მარტიროსოვი, 1984; გრ. ბერიძე, 1988 და სხვ.).

შენიშვნა: ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში სამუშაო ტერმინად გამოყენებული გვქონდა ტერმინი „მესხურ-ჯავახური"; კერძოდ, ვწერდით: ტერმინში „მესხეთ-ჯავახეთი" იგულისხმება სამცხე და ჯავახეთი. „მესხეთ-ჯავახეთის" არჩევა სამუშაო ტერმინად მხოლოდ ტრადიციით არის შეპირობებული (ტ. ფუტკარაძე, 1986, გვ. 4). შემდგომ გამოქვეყნებულ ნაშრომებში (ბ. ჯორბენაძე, 1989 და მ. ბერიძე, 1993) განვითარდა აზრი, რომ ლინგვისტურ ლიტერატურაშიც სასურველია, დამტკიცდეს ტერმინი სამცხურ-ჯავახური; ამდენად, ფაქტიურად, რეალურად დადგა არა მხოლოდ მესხურად და ჯავახურად წოდებული დიალექტების ერთ კილოდ განხილვის, არამედ მის აღმნიშვნელად ტერმინის „სამცხურ-ჯავახურის" დამკვიდრების აუცილებლობის საკითხიც (სათანადო მსჯელობა და ლიტერატურის დაწვრილებით მინოხილვა იხ. მ. ბერიძე, 1993, 13).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სამცხურ-ჯავახურში, მსგავსად მოხეურისა, უ და ო ბგერები ძირითადად გამოვლინდება უი და უე კომპლექსების ნაცვლად; მაგ., გოლი (გველი), კორცხი, შონიერი, ქოყანა, ყოლიფერი, ქოშ, გორდზე, ქოვრი (ქვევრი), ძოლი (ძველი, ჩონ, ჩონი, გოყოფა (გვეყოფა)... მეტათეზისი: ოქსი (ექვსი), შოგინახა (შეგვინახა)...შული, შულდისარი, შუდჯერ...ძმისთუნ და სხვა (ა. მარტიროსოვი 1984, 13). აქვე აღსანიშნავია, რომ ა გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში.

საინტერესოა იმის დაფიქსირებაც, რომ თურქულიდან ნასესხებ იმავე სიტყვებში აჭარულში არც პალატალიზებული ა და არც ო და უ ბგერები გამოვლინდება: ყველა სათანადო პოზიციაში აჭარულში მხოლოდ ა, ე, ო, უ ფონემები ჩანს.

ა. მარტიროსოვისვე დაკვირვებით, პალატალიზებული ხმოვნები ძირითადად უფროსი თაობის მეტყველბაში დასტურდება.

მ. ბერიძის აზრით, „ძირითადად, უმლაუტიანი ხმოვნები მიიღება კბილბაგისმიერ ვ-ს მეზობლობაში ი და ე ხმოვნების ლაბიალიზაციით"; იქვე აღნიშნულია, რომ ხშირად უ მიღებულია უ-სგან და წარმოადგენს უ→ü→ვი პროცესის შედეგს. ეს პროცესი სომხურში, როგორც წესი, წარმოდგენილია საბოლოო საფეხურით; ü გვაქვს მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ, სადაც ფონემატური სტრუქტურა კრძალავს ვ-ს გამოვლენას: კალოები→კალუები→ კალუები; ძალოები→ძალუები→ძალუები“ (მ. ბერიძე, 1993, 19).

ჩვენი აზრით, სამცხურ-ჯავახუთში, და საერთოდ, ქართულში, იქ, სადაც გვაქვს მეორეული ო‖ო, უ‖უ ბგერები, ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ წყვილბაგისმიერი ნაპრალოვანი სონორი+ი‖ე. ამის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ ის, რომ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში, ვ. ალოფონთან შედარებით, ძირითადია უ (დაწვრილებით იხ. ტ. ფუტკარაძე, ა. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე, 1998, არამედ ისიც, რომ შეუძლებელია ლაბიალური ხმოვნისათვის წინა საფეხურად მივიჩნიოთ კბილბაგისნიერი თანხმოვანი +ი‖ე.

თუნდაც ვ-ს პოვნიერება სადავო რომ არ იყოს, უ‖ო-ს წინა საფეხურად უი‖უე უნდა დავსახოთ: ვი→	i→ u და ვე→ueé→ o ყოველ შემთხვევაში, ui, ue კომპლექსები u, o-ს ნაცვლად იმ დიალექტში ვლინდება, სადაც იშლება პალატალიზებული ბგერების არტიკულაცია-აღქმის ჩვევები.

რაც შეეხება კალოები→კალუები→კალუები პროცესს: u-ს არსებობა ვ-ს , აკრძალვის გამო, ჩვენთვის მისაღებად და არგუმენტირებულად არ ჩანს (ასევე მიუღებელია გრ. იმნაიშვილის, ა. მარტიროსოვის და სხვათა პოზიციები; მათი კრიტიკისათვის (იხ. მ. ბერიძე, 1993). კვლევის ამ ეტაპზე უფრო ლოგიკურად გვეჩვენება შემდეგი ვარაუდი: პალოები→პალუები→პალუები→პალუიები (→პალიები) პროცესი, ერთი მხრივ, შეპირობებულია ხმოვანთკომპლექსის გამარტივების ტენდენციით (ოე→უე), მეორე მხრივ კი –პერცეფციულ ბაზისში პალატალიზებული ხმოვნის ეტალონის არსებობით (ueé→ue; e-ს გავლენით ხდება u-ს პალატალიზება)და მესამე მხრივ-მორფონოლიგიური აკრძალვით; კერძოდ, მორფემათა ზღვარზე ფერხდება ueé→ue→o პროცესის განვითარება; მრავლობითი რიცხვის ნიშნის პოვნიერება აუცილებელია, ამდენად ue კომპლექსი გვაძლევს ue-ს, ეს უკანასკნელი კი-uie-ს, შემდეგ კი, პალატალიზებული ხმოვნების შემოჭრა-დამკვიდრების ხელისშესაშლელად, ენაში არსებული თვითიმუნიზაციის ტენდენციის გამო, ხდება დელაბიალიზება (დაწვრილებით იხ. ტ. ფუტკარაძე, 1998; შდრ., გრ. იმნაიშვილი, 1953, 176; მ. ბერიძე, 1993, 55); შდრ. მაგ., შეგროვება→შეგროება→შეგრუება (შდრ., აჭარ., შეგრუება!)→შეგრუება (ინგილოური!)‖შეგრუიბა‖შეგრიება (სამცხ.)...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: სამცხურ-ჯავახურში u და o ხმოვანების გამოჩენა მხოლოდ ue, ui კომპლექსების ნაცვლად, უნდა აიხსნას თურქული ენის გავლენით აქაურ ქართველთა პერცეფციულ ბაზისში o-ს და u-ს ეტალონთა გაჩენით. თურქულის გავლენის შემცირებასთან ერთად, თანდათანობით, მომავალი, ახალგაზრდა თაობების მეტყველებაში ისევ ui, ue კომპლექსების „გავლენის“ ალბათობა მატულობს.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უმლაუტიანი ხმოვნები (ჩვენი ტერმინოლოგიით პალატალიზებული ხმოვნები–ტ. ფ.) არსებობს ქართლურ მეტყველებაშიც (გრ. იმანიშვილი, 1974, 134; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 293...); ა, o, u ხმოვანები მართლაც დასტურდება სოფ. რეხას მოსახლეობის მეტყველებაში, მაგრამ, ვინაიდან ისინი ჩამოსახლებულნი არიან ჯავახეთიდან, მათი მეტყველებაც სამცხურ-ჯავახურის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და არა ქართლური დიალექტისა. უმლაუტიანი ხმოვნები (ჩვენი ტერმინოლოგიით პალატალიზებული ხმოვნები – ტ. ფ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსებობს ქართლურ მეტყველებაშიც (გრ. იმანიშვილი, 1974, გვ. 134; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 293...); ä, ö, ü ხმოვნები მართლაც დასტურდება სოფ. რეხას მოსახლეობის მეტყველებაში, მაგრამ ვინაიდან ისნი ჩამოსახლებულნი არიან ჯავახეთიდან, მათი მეტყველებაც სამცხურ-ჯავახურის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და არა როგორც ქართლური დიალექტისა. ამგვარად, ქართლურში პალატალიზებული ხმოვნების პოვნიერებაზე ვერ ვილაპარაკებთ.

ლიტერატურა:

1. *გრ. ბერიძე,* ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

2. *მ. ბერიძე,* სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.

3. *ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე,* ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.ს

4. *გრ. იმნაიშვილი,* უმლაუტი ინგლისურში, იკე V, თბ., 1953.

5. *გრ. იმნაიშვილი,* ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

6. *ა. მარტიროსოვი,* ქართული ენის ჯავახური დიალეტი, თბ., 1984.

7. *ტ. ფუტკარაძე,* სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1986.

8. *ტ. ფუტკარაძე,* თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

9. *ტ. ფუტკარაძე, ა. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე,* 1998-ტ. ფუტკარაძე, ა. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე, უ//ვ? და უ ბგერათა განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში-I ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.

10. *შ. ძიძიგური,* ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.

11. *ბ. ჯორბენაძე,* ქართული დიალექტოლოგია, I თბ., 1989.

Tariel Putkaradze

ON THE HISTORY OF PALATALIZED VOWELS IN SAMTSKHE JAVAKHIAN DIALECT

Summary

Ö and ü are anticipated as the medial stage of the natural processes of we↔o and wi↔u in the Georgian language. As a rule ö and ü are not revealed in Georgian as their standarts are not represented in the perceptual basis of Georgians.

In the perceptual basis of Georgians of Samtskhe-Javakhian the standards of palatalized vowels were established by the influence of the Turkish Language.

This phenomenon supported the activization of the potential process as we↔ö and wi↔ü.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

მერაბ ბერიძე

შუაკარავის ისტორია-ეტიოლოგიისათვის

მემთეულობა სამცხე-ჯავახეთში სამეურნეო საქმიანობის გავრცელებული ფორმა იყო. ბევრი ადგილის სახელი დაუკავშირდა „მთას".

შუაკარავი ახალციხიდან 80 კმ-ზე მდებარეობს ალპურ ზონაში. ადრე იგი ეკუთვნოდა ანდრიაწმინდას, მისი ზედა მთა იყო (ქვედა მთად იყენებდნენ *ოხუმასა* და *ბადალიენთ ჭალას).* მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან შუაკარავი გადაეცა *აბისა* და *ჭაჭარაქის* მოსახლეობას.

აღმოსავლეთიდან შუაკარავისაკენ ადის გზა ანდრიაწმინდიდან, გაივლის *ანდას, სათიბებს, თეთრწყაროს* და *ბრმა წყაროს.* ასევე ადის გზა ჩრდილოეთიდან სოფ. *ხაკის, ტაბახმელის* და *აბის ქვედა მთის* გავლით.

შუაკარავში არის ნასოფლარი. ვაკე ადგილია, დასავლეთიდან მას ესაზღვრება *შაბანელის მთა,* ხოლო აღმოსავლეთიდან სოფ. *ღრელის* საძოვრები და *თიქანი.* შაბანელის ძირშია სოფ. საძელის ფერმები. ჩრდილოეთიდან შუაკარავს აკრავს ტყე და *საღორე* ხევი.

შუაკარავს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნასოფლარი *ჭოჭები* და ჩაუდის *ჭოჭების ღელე,* რომლის ფერდობებსაც ჰქვია ლიშხები. ჭოჭები სათავეს იღებს შუაკარავიდან და შედის ტყეში. მის სათავეშია წყარო – *ბოტიგამხეთქი.* ოთხიოდე კილომეტრზე შუაკარავიდან არის ქვიანი ადგილი *ქვანსობილა,* ხოლო სამხრეთით წითელქვებზე გამომავალი წყარო – *წითელწყარო* და აქლემის სადგომი, საძოვარი. სამხრეთ-აღმოსავლეთით არის *ჩახრილო//ჩხრიალო* (წყარო) და *ჩხრიალოს (ჩახრიალოს)* მთა, რომლის ფერდობებზე სათიბებში ბევრია წყალი.

შუაკარავის სამხრეთ კალთებზეა ნასოფლარი *ოდუნდა,* რომელიც გადმოსცქერის ნასოფლარებს: *კანტიეთსა* და *ხრიანს.*

როგორც ითქვა, შუაკარავი ნასოფლარია, მაგრამ დღეს ამ სახელით მხოლოდ ნასოფლარი არ არის ცნობილი. შუაკარავი ვრცელი ტერიტორიაა, დაახლოებით 100 ჰექტარი, რომელსაც სათიბებად და საძოვრებად იყენებენ, ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს ეს სახელი.

ხალხური ეტიმოლოგიით „ერთ-ერთი ბრძოლის დროს შუაში იდგა დიდი კარავი და ამიტომ დაერქვა სახელი".

სახელი გამჭვირვალეა და შეიძლება ასე დაიშალოს: *შუა კარავი.* სავარაუდებელია, რომ იყო, ვთქვათ ზემო კარავი, ქვემო კარავი და აქედან – შუაკარავი, მაგრამ ასეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ არ ჩანს. თუ ხალხურ ეტიმოლოგიას გავემიჯნებით, შეიძლება სხვა ვარაუდი, რომ ორ მთას შორის *შაბანებელსა* და *ჩხრიალოს* შორის მდებარეობის გამო ეწოდება ამ მთას შუაკარავი. არის თუ არა შესაძლებელი, რომ ადგილს წოდებოდა კარავი – სბას მიხედვით, „საჩრდილობელი"–ეწოდების სახლთა სამგზავროთ ნარმათა და ლართა შეკერილთა, გინა ქოხთა მალიად აგებულთა".

ვფიქრობთ, სწორედ ამ საკითხთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ნასოფლარის *არეშის* სახელი.

ადგილობრივთა მეტყველებაში გამოითქმის, როგორც *არეში*, ისე *ჰარეში*, ოღონდ, როდესაც დაჟინებით გაამეორებინებ, ჰაეს აღარ ამბობენ, ე. ი. უფრო გავრცელებული ვარიანტი არის არეში.

ნასოფლარი მდებარეობს ჯავახეთის პლატოს პირზე, გადასცქერის დღევანდელ *თმოგვს, თმოგვის ციხეს, ვერთაყნის* ქვაბებს. მთლიანად კი მტკვრის ხეობას, რომელშიც მოჩანს მტკვრის გარდა, ორი შესანიშნავი ტბა – წუნდის და ბერთაყნისა. ბოლო დრომდე იგი იყო ნასოფლარ *დანკალის* ტერიტორია *დანკალსა* და *კუმურდოს* შორის, დანკალის აღმოსავლეთით. იგი ზის ჯავახეთის პლატოს კბოდეს გაყოლებულ სოფელთა რიგში, კერძოდ, თუ აფნიიდან მოვყვებით: *აფნია, ბოგაშენი, დანკალი, ჯიუტმაილა, არეში, კუმურდო*. ჩამოთვლილ ადგილთაგან ყველაზე ადრე არეშია დაცლილი მოსახლეობისაგან, რადგან სხვებს (ნასოფლარებს) ჯერ კიდევ აქვთ შერჩენილი ნასახლარები, ეკლესიები და სხვა.

არეში ცნობილია სვეტით. „ბაზისი და მასში ჩასმული ქვის ოთხკუთხედი მოგრძო სვეტი 1942 წლის აგვისტოში აღმოაჩინეს ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებმა არეშის ნასოფლარში (ახალქალაქის რაიონი). დაცვის მიზნით 1959 წელს გადატანილი იქნა კუმურდოს ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად დგას [1,77]".

ბოგაშნელთა მტკიცებით, გ. კაპანაძეს, როდესაც იყო ახალციხის მუზეუმის დირექტორი, წაუღია *არეშიდან* ექსკავატორის გამოყენებით „დიდი გახვრეტილი შავი ქვა, კიდევ რაღაც მოჩუქურთმებული ქვები". ბაზისს აქვს წარწერები, რომელთა პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იგი IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს, ხოლო მოხსენიებულ პირთა მიხედვით 881-891 წლებით შეიძლება შემოვიფარგლოთ[1,77]. წარწერაში დაფიქსირებულია ჩვენთვის საინტერესო ნასოფლარის სახელი, ამიტომ მოვიყვანთ მას: „ძემან გურგენ კურაპალატისამან, შესწირა არ(ე)შტი ს(ა)ყდრ(ი)სა კ(უ)მ(უ)რდ(ო)ჲსასად[1,79]".

ფრჩხილებში მითითებულია ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა გამოტოვებული ასოები (დაქარაგმებული). ამ წარწერაში *კუმურდო* უფრო ადრე მოიხსენიება, ვიდრე ტაძარი აშენდებოდა. *არეშტი*, რომელიც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც არშტი[1,77], დღევანდელი *არეშია*. ეს უცილობლად დასტურდება იმითაც, რომ ნასოფლარს, სადაც სტელა იდგა, დღეს ასე ჰქვია, ამიტომ *არშტის* ვარიანტი უნდა გამორიცხოს. რაც შეეხება - ტი და ბოლოებას, ასეთი დაბოლოებები თუ ბგერათკომპლექსები შეიძლება ჩამოსცილდეს ჯავახეთის ტოპონიმიაში. შდრ.: ვერტაში – ვერტა; განძანი - განძა; ფოკანი – ფოკა და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არეში არ აღუწერიათ „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ შედგენისას. როგორც ჩანს, იგი ძალიან ადრეა გაუკაცრიელებული. სხვა რაიმე ცნობა არეშის შესახებ საისტორიო წყაროებში არ გაგვაჩნია.

არეში საკმაოდ გავრცელებული სახელი ყოფილა[2]. ლ. ჭილაშვილს განხილული აქვს ჯავახეთის არეშის გარდა ოთხი პუნქტი: *ჰერეთში* (ყვარელის რაიონი), არაგვის ხეობაში და შირვანში (აზერბაიჯანში), რომელთაც შეიძლება დავუმატოთ ქალაქი *არიშიც*, რომელიც ეგვიპტეში მდებარეობს და რომლის შესახებაც ცნობას ვხვდებით IX საუკუნის ეგვიპტელი ავტორის... თხზულებებში[2,164]. ნ. ჭილაშვილი წერს:„ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვავარაუდებინებს, რომ სახელთა იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და საქმე უნდა გვქონდეს რაღაც ნიშნით გამორჩეულ ზოგად სახელთან, რაც განსაკთრებით არის ნიშნეული, პუნქტების სახელდებაში ახალი ელემენტის გაჩენა საგულისხმოა IX საუკუნის ახლოს[2,165]“.

არეში ეტიმოლოგიას მეცნიერი უკავშირებს არაბულ ზმნას *არშ*, რომლისგანაც მიღებული უნდა იყოს სახელი – ტახტი, კარავი[2,164-165]. ამ აზრს „ამაგრებს ის გარემოება, რომ მისი გამოჩენა მაინცდამაინც არაბების საქართველოში მძლავრობის ხანას ემთხვევა. ადრე ეს სახელი არსად არ არის დაფიქსირებული. ასეთი სახელის აღმოცენება ზემოთ აღნიშნული *არეშების* ადგილზე ალბათ ცალკეულ სამხედრო ოპერაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ახალი სახელის გაჩენა ქრონოლოგიურადაც ამის მიხედვით უნდა იყოს განსაზღვრული[2, 165].

საომარ ოპერაციებსა და კარავს თუ დავუკავშირებთ სახელს, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა ვითარებაში იყო ჯავახეთი IX საუკუნის ახლო ხანებში არაბობის ხელში, როდესაც არეში ერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, იცვლებოდა სოფლის სახელი, ან ახალ ადგილზე ჩნდებოდა იგი. საინტერესოა, IX საუკუნეში სტელაზე დაფიქსირებულია უკვე ახლადშექმნილი სახელი. არც ეს არის მოულოდნელი.

არეშის ფონეტიკურ ვარიანტად მიჩნეულია არიში, ამიტომ არიშიანთა გვარი ჰერეთში და საარიშიანო დაკავშირებულია არეშთან[2,168-173]. თავდაპირველად არიშიანი „სახელი ჩანს“[11], ხოლო შემდეგ „ჰერეთის ერისთავი იღებს მეფის კარზე არიშიანის ადგილზე ჯდომის უფლებას, რაც ცხადად განმარტავს არიშიანის წარმოშობით საგვარეულო და უფლებრივად სახელმწიფოებრივ სტატუსს. ცხადია, სახელი ისეთნაირად არის ნაწარმოები ადგილის მიხედვით, როგორც ორბელიანი, ბედიანი, დადიანი და სხვა [2,171]“.

წყაროებში ამ ფუძიდან ნაწარმოები გვარები სხვაც გვხვდება: „უცხოური წარმომავლობის სიტყვა იქცა არა მხოლოდ ადგილის აღმნიშვნელ სახელად, ის ჰერეთის არეშის მიხედვით საგვარეულო სახელწოდებაში აისახა. სხვა შემთხვევაში ვხვდებით მისგან ნაწარმოებ გვარებს და სახელებს, როგორიცაა არეშიშვილი, არეშიძე...[2,171]

მართალია, არეში და არიში ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ არეშისაგან – იანის დართვის შემდეგ მიგვეღო არიშიანი ასიმილაციის გზით. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს *არეშიშვილი* და *არეშიძე*, სადაც ფუძე არეშად არის წარმოდგენილი. *არეშიძე* საკმაოდ გავრცელებული გვარია საქართველოში ამ გვარისას 960 -ს ითვლიან[3,26]. არეშ- ფუძიდან გარდა ზემოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნული არეშიშვილისა, გვაქვს ამ გვარიდან მიღებული არაქართულად გაფორმებული *არეშოვი*. ეს ფორმა ჩნდება მე-19 საუკუნეში[4,220]. „არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის მემამულეები[4,220]". მოგვიანებით *არეშოვები* სომხად „მონათლეს" (ვარხუნო, ეცო, დურნუკი, ენაგეთი)[4,220]. ასე რომ, დღეს, თბილისსა და მცხეთაში გავრცელებული გვარი *არეშოვი* გასომხებული ქართველებია. არეშოვის ფონეტიკური ვარიანტია *არეშვი*.

ზემოთ ლ. ჭილაშვილის მიერ ნაჩვენები იყო გეოგრაფიული პუნქტიდან (არეში) მიღებული სახელი არიშიანი, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს და სარწმუნოა, მაშინ უნდა დავუშვათ სხვა პროცესიც, კერძოდ, არიშიანისაგან მივიღეთ არეშიძე და არეშიშვილი, რადგან თუ ადგილის სახელიდან მივიღებდით აღნიშნულ გვარებს, მაშინ უეჭველად უნდა გაჩენილიყო წარმომავლობის – ელ სუფიქსი, როგორც ეს მოხდა სხვა შემთხვევაში (შდრ. ბანძელაძე, კახეთელიძე და სხვა.) არიშანში – იან მაწარმოებლის ჩამოშორების შემდეგ არიშ//არეშ გაგებულ იქნა საკუთარ სახელად და გაფორმდა მოგვიანებით გვარის მაწარმოებელი სხვა სუფიქსებით. ამიტომ მივიღეთ არეშიშვილების პარალელურად არეშაშვილებიც[4,219], მითუმეტეს, რომ არეშიშვილები აზნაურებიც ყოფილან, მოგვიანებით მემამულეებიც[4,220] და იქნებ შეიძლება მათი დაკავშირება არეშიანთა ცნობილ საგვარეულოსთან. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ „არეშიშვილები ცხოვრობდნენ სოფ. არეშევანში (მოგვიანებით ვარხუნო)[4,219]."

არეშის ეტიმოლოგიის გარკვეულ პრობლემას ქმნის სტელის წარწერის დაბოლოება - ტი. არაბულიდან არეშ სიტყვის შემოსვლა უნდა მომხდარიყო ენაში, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე და შემდეგ დარქმეოდა ადგილს.

დღეს რომ ეს სიტყვა ლექსიკაში არ გვხვდება და არც ლიტერატურით დასტურდება, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ასე მოხდა *კალა*-ს შემთხვევაში, ციხის აღმნიშვნელად როდესაც შემოვიდა ეს სიტყვა ენაში. ბევრი *კალა//ყალა* გვხვდება დღევანდელ საქართველოს ტოპონიმიაში, მაგრამ იგი კვლავ ქართულმა ციხემ შეცვალა, ისევე, როგორც თურქული ადა (კუნძული, მახევარკუნძული, მდინარის მონაკვეთი). თავის დროზე ამ სიტყვამ ამოაგდო ენიდან (დიალექტიდან) შესაბამისი ობიექტის სახელი ხერთვისი, მაგრამ ადგილი საბოლოოდ მაინც ვერ დაიმკვიდრა ენაში, შემოგვრჩა მხოლოდ ტოპონიმიაში. ამდენად არეშიც, როგორც კარვის აღმნიშვნელი სახელი, გაქრა არაბობასთან ერთად. ამიტომ სავარაუდებელია, რომ არეში თავის დროზე შეიძლება გაფორმებული ყოფილიყო რომელიმე მაწარმოებელთან, უბრალოდ დაბოლოებით. ასეთი ჩანს - ტი. იგი დაფიქსირებულია სამხრეთ საქართველოში - ტ-ი // ტ-ა (შდრ. შვიდრევანტა) თავისი ფშვინიერი – თ-ი//თ-ა და მჟღერი – დ-ი დ-ა ვარიანტებით, რომლებიც ადგილის სახელს აფორმებდნენ.

არეშის ენიდან ამოვარდნას ხელი შეუწყო *კარავის* უფლებების აღდგენამ, შუაკარავის შესახებ არსებობს გადმოცემა: „თამარ მეფე თავის ლაშქარს მტერთან საბრძოლველად აცილებდა. ისინი ერთ დიდ მთაზე დაბანაკებულან, გაუშლიათ სამი კარავი. მტერს თამარის ჩუმად შეპყრობა განუზრახავს და მოღალატეებისათვის უკითხავთ, თუ რომელ კარავში იყო თამარი. მოღალატეს უთქვია – *შუაკარავშიო*. მტერს თამარი ვერ ჩაუგდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელში. ისინი დამარცხებულან. თამარს მოღალატეები დაუსჯია. იმ ადგილს კი სამუდამოდ შერჩა სახელი *შუაკარავი*". მეორე ვარიანტი: „დიდი მთაა სამხრეთით სოფელ *ტბეთის* მახლობლად. გადმოცემით სოფელ ტბეთში უსწავლია შოთა რუსთაველს. *შუა კარავში* უცხოვრია თამარ დედოფალს. როდეცა მას შახთან ჰქონია ჩხუბი (ბრძოლა), აქ ყოფილა დაბანაკებული თავისი ჯარით. წერილი მიუტანიათ შოთასგან თამარ დედოფლისათვის. ტბეთიდან წერილის მომტან კაცისათვის თამარის კარავი უჩვენებიათ ყველაზე შუაში ყოფილა. აი, ადგერ *შუაკარავი* იქ ცხოვრობს თამარ დედოფალიო და აქედან დარქმევია ამ მთას *შუაკარავი*[5]." თუ ამ თქმულებებს მოვაშორებთ თამარ მეფის სახელს, როგორც სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა თქმულების სამკაულს, დაგვრჩება ბრძოლებთან დაკავშირებული თქმულება. ბრძოლებთან დაკავშირებული სახელი. ადვილი სავარაუდებელია, რომ სწორედ საბრძოლო *კარვის* გამო შერქმეოდა ამ ადგილს სახელი ისევე, როგორც *არეში*.

ლიტერატურა:

1. *ვ. სილოვავა*, *კუმურდო* (ტაძრის ეპიგრაფიკა), თბ., 1994.
2. *ლ. ჭილაშვილი*, *არეში*, თბ., 1991.
3. *ა. სურგულაძე*, *ა. თოთაძე*, *გვარ სახელები საქართველოში*, თბ., 1997.
4. *ი. ახუასკილი*, *ქართული გვარ-სახელები*, თბ., 1994.
5. თქმულება მოგვაწოდა თსუ ახალციხის ფილიალის თანამშრომელმა გ. ქურასბედიანმა.

Merab Beridze

ABOUT SHUAKARAVI'S HISTORY-ETYOLOGY

Summary

The name Shuakaravi would be connected to the fighting tent. The tent as a place name, only in Arabic variant, is meeting us in Javakheti as Areshi.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

მარინე ბერიძე

თხოვნითი ბრძანებითის საკითხისათვის სამცხურ-ჯავახურში

სამცხურ-ჯავახურში ფართოდ არის გამოყენებული თხოვნით-წაქეზებითი შინაარსის II პირის ბრძანებითი, რომელიც II კავშირებითის ფორმას იყენებს. ბოლო ხმოვანი ამ ფორმებში ყოველთვის მახვილიანია და გრძლად წარმოითქმის, ინტონაციურად კითხვის ელფერსაც შეიცავს: გააკეთო̄! წახვიდე̄! დაჭრა̄!... როცა წინადადება შერწყმულია და რამდენიმე ფორმა ასეთი ბრძანებითისა ერთმანეთს მოსდევს, ეს ინტონაცია მხოლოდ უკანასკნელს ახლავს: „მოხვიდე, მოიტანო̄!", „გოგოჯან, წახვიდე, მამაშენ საჭმელი წაულო̄!" სამცხურ-ჯავხურის თხოვნითი ბრძანებითი ორგვარ მნიშვნელობას გვიჩვენებს: „წახვიდე̄!".

1. კარგი იქნება, რომ წახვიდე, წადი, რა! 2. წადი, რატომ არ მიდიხარ, წადი, რაღა!

მსგავსი მოვლენა დადასტურებულია ინგილოურშიც. აქაც თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად ‖ კავშირებითია გამოყენებული: შენ მე მოგოშოლ, ახლა შენ მე მომოშოლო! სამცხურისაგან განსხვავებით ინგილოურის თხოვნით-წაქეზებით ფორმებში გაბატონებულია მხოლოდ ო-თი ნაწარმოები კავშირებითები: მამცო, შეხუდო, მიიტანო...

გრ. იმნაიშვილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ინგილოურში დამოწმებული ო ნაშთი იყოს ფშაურისებრი -ოდი სუფიქსისა [1, 246]. ზოგი მკვლევარი კი თხოვნითი ბრძანებითის აღნიშნული ფორმების არსებობას უცხოენოვანი გარემოს გავლენად მიიჩნევს და თვლის, რომ ასეთი ფორმები კალკირებაა აზერბაიჯანული ენის პირობითი კილოსი, რომელსაც მეორე პირში თხოვნა – ბრძანების ემოციურ-ექსპრესიული ა ნაწილაკი დაერთვის [2, 35].

ამ მოსაზრებათა გაზიარება ჭირს. ვფიქრობთ, ამ მოვლენის საფუძველი ქართული ენის შინაგან ბუნებაშია საძიებელი.

საქმეს ერთგვარად ართულებს ის ბუნდოვანება და სიჭრელე, რაც საერთოდ ახლავს ბრძანებითობის საკითხს ქართულში.

ბრძანებითი თანამედროვე ქართულში ცალკე ნაკვთად არ გმოიყოფა. მას განიხილავენ კილოს კატეგორიებში, მაგრამ დღეს ხომ დაპირისპირებანი: თხრობით-ბრძანებითი, კავშირებით-ბრძანებითი მხოლოდ სემანტიკური ხასათისაა, რადგან ბრძანებითი გადმოიცემა ან ერთი, ან მეორე კილოს ფორმებით. სირთულეა დიალექტების კვლევის დროსაც – აქ ჩნდება საჭიროება, გავმიჯნოთ ე. წ. კატეგორიული („ნამდვილი ბრძანებითი", „საკუთრივ ბრძანებითი") ბრძანებითი და ე. წ. თხოვნითი ბრძანებითის ფორმები. თხოვნითი ბრძანებითი დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტთა ერთი ნაწილისათვის. ძირითადი საშუალებები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი გამოხატვისა ასეთია:

ა). ბრძანებითის ან სხვა კილოს ფორმას დაერთვის ნაწილაკი: გაგეთეღ, გაკეთიღ (თუშ.), გაამზადეღა (ფშ.)...(3)

ბ) ამა თუ იმ ნაკვთის ფორმა ინტონაციისა თუ კონტექსტის მიხედვით იძენს ბრძანებითობის გაგებას: სამცხურ-ჯავახურისა და ინგილოურის ზემოთ აღნიშნულ ფორმებს აქ გვერდით უდგას ფშაური გააკეთოდი, გააკეთოდე ფორმებიც. ამათგან პირველი ხოლმეობითის ფორმაა და ფშაურში თხოვნით-ბრძანებითს, ან როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, მომავლის ბრძანებითსაც გამოხატავს ხოლმე. გაამზადოდე, გააკეთოდე ტიპის ფორმები დამოწმებულია მთიულურშიც. ესენი კავშირებითებად არიან მიჩნეული[4].

ე. წ. კატეგორიულ ბრძანებითად ქართულში მიჩნეულია ნამყო ძირითადის II S პირის ფორმით გამოხატული ბრძანებითი.

ის, რომ ნამყო ძირითადის II S პირის ფორმებზე დაყრდნობილ ბრძანებითს განსაკუთრებით პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ბრძანებითობის გამოხატვის როგორც ძველ, ისე თანამედროვე სისტემაში უდავოა. სრწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ თავდაპირველი ბრძანებითის ფორმები II პირისა და წართქმითი შინაარსისა უნდა ყოფილიყო[5]. ამასთან, ბრძანებითის სფეროში უკვე ძველსავე ქართულში ჯიუტად იჭრება თხრობითი და კავშირებითი კილოს სხვადასხვა ნაკვთთა ფორმები და თითქმის ჩვენს თვალწინ ყალიბდება ამ კატეგორიის სრულიად ახალი სისტემა.

თანამედროვე ქართულში ცალკე ნაკვთი ბრძანებითის გამოსახატად არა გვაქვს. მას შემდეგ, რაც მოიშალა ბრძანებითის ძველი სისტემა, საერთოდ დაიკარგა I ბრძანებითი, II ბრძანებითის III პირის ფორმები შეიცვალა II კავშირებითის ფორმებით, მოიშალა დაპირისპირება ბრძანებითსა და ნამყო ძირითადის ფორმათა შორის, პირის ნიშნის ქონა – არქონის მიხედვით – ფაქტიურად ბრძანებითის გამოხატვის გრამატიკული საშუალება ქართულში აღარა გვაქვს. ბრძანებითობის გამოხატვის ფუნქცია თანდათან ეკისრება სრულიად განსხვავებული ნაკვთისა და კილოს ფორმებს და გაირჩევა ინტონაციისა და კონტექსტის მიხედვით.

ბრძანებითის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა ძველ ქართულშივე იწყება და საშუალება გვაქვს, თვალი გავადევნოთ მთელ ამ პროცესს. ძველსავე ქართულში II ბრძანებითის III პირის ფორმებს (აღაშენენ, აღაშენედ) ენაცვლება II კავშირებითის ფორმები: აღაშენოს, აღაშენონ. ძველსავე ქართულში მრ. რ. I პირის ბრძანებითის გამოსახატად გამოიყენებოდა I და II კავშირებითის ფორმები: შევიყუარნეთ, ვილოცვიდეთ, თაყუანის ვსცემდეთ... კ. კუბლაშვილი ძველ ქართულში ადასტურებს II პირის დადებითი ბრძანებითის გამოსახატად II კავშირებითის ფორმათა გამოყენების ფაქტებს:

„პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუასი შენი“.

„ოდეს ამას ფყოფდე, ღ̃სა ყოვლად შევეარასცოდო, ̃ად დაიმარხნე ̃ყ-ნი მცნებანი და სიმართლითა ხვდოდი“.

„... აწ განუტეო მონაი შენი, უფალო, მსგავსად სიტყვისა შენისა მშვიდობით“[6].

ეს მაგალითები განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ზუსტად თანხვდება სამცხურ-ჯავახურის თხოვნითი ბრძანებითის ფორმებს. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ძველ ქართულში დადასტურებული ეს ფორმები არ გამოხატავენ ბრძანებითს[7, 233].

კ. კუბლაშვილი იმოწმებს უკუთქმითი ბრძანებითის (არ გააკეთო), I და II პირის წართქმითი ბრძანებითის (გავაკეთოთ, გააკეთოს) ფორმებს და II პირის ფორმის ამავე ფუნქციით (წართქმითი ბრძანებითის) გამოყენებასაც ქართულისთვის ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს[6]. ამის საწინააღმდეგო აზრს ავითარებს გ. ნინუა, რომელიც აღნიშნულ მოვლენას უცხოენოვანი გარემოს გავლენის შედეგად თვლის [7, 232]. ჩვენი აზრით, II კავშირებითის ხსენებული ფუნქციით გამოყენების ფაქტი არ შეიძლება განხილულ იქნას იმ მოვლენათა გათვალისწინების გარეშე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, კავშირებითის ფორმათა ასეთი „გააქტიურება" ბრძანებითის სისტემაში ძველი ქართულიდან დღემდე, უთუოდ გვიბიძგებს იქითკენ, რომ ეს მოვლენაც არ მივიჩნიოთ მხოლოდ უცხო ენების გავლენად.

რა თქმა უნდა, კავშირებითის ბრძანებითის სისტემაში დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმან, რომ გარკვეული მოდალური ნიუანსებით ეს კილოები ერთმანეთთან ახლოს იდგა. ეს პირველ რიგში იყო მოქმედების სასურველობის მოდალობა. თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით ნახმარ კავშირებითს ემატებოდა კატეგორიულობის მოდალობაც. ამ კატეგორიულობის „არ" ნაწილაკით გაძლიერებამ მოგვცა უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები. „ნამდვილ ბრძანებითებად ესენიც ვერ ჩაითვლებიან (ბრძანებითი მხოლოდ წართქმითი კატეგორიაა)[8], მაგრამ გააკეთე – არ გააკეთო! პარადიგმა დღეს მტკიცედ არის ჩამოყალიბებული ქართულად მოლაპარაკისათვის. ასევე არ არის „ნამდვილი" ბრძანებითი არც მრ. რ. I და III პირის ბრძანებითები, რომლები აგრეთვე II კავშირებითის ფორმებით გადმოიცემიან, მაგრამ ქართულად მოლაპარაკისათვის არსებობს პარადიგმა:

———————	ავაშენოთ
ააშენე	ააშენეთ
ააშენოს	ააშენონ

II პირში კავშირებითის ფორმა რომ ვერ დამკვიდრდა, ეს ბუნებრივიცაა – აქ მას დახვდა ძლიერი „მეტოქე" ნამყო ძირითადის II პირის ფორმაზე დაყრდნობილი ბრძანებითის სახით. მაგრამ რაკი დიალექტებში გვაქვს II პირის კავშირებითით გადმოცემული ბრძანებითი, თეორიულადაც მოსალოდნელი რაკი იყო, – რატომ უნდა ჩავთვალოთ ძველ ქართულში დამოწმებული თუნდაც მცირერიცხოვანი ფორმები მაინცდამაინც ბერძნულის გავლენად?

უნდა ითქვას, რომ გარდა II კავშირებითისა, მოქმედების სასურველობის, საჭიროების, აუცილებლობის მოდალურ ნიუანსებს სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ხარისხით გადმოსცემს ქართული ზმნის ყველა ნაკვთის ფორმა, როგორც ნაწილაკებთან, ან სხვა მოდალურ ელემენტებთან ერთად, ისე – ცალკეც.

ბრძანებითის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს:

აწმყო: ამ ნაკვთის ფორმა ჩვეულებრივის უკუთქმითი ბრძანებითის ფუნქცით: ნუ აკეთებ! ნუ ტირი!... დიალექტებსა და სასაუბრო მეტყველებაში შეიძლება გამოხატოს დადებითი შინაარსის ბრძანებაც: მიდიხარ დღესვე და ეუბნები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მყოფადი: ჩვეულებრივია: ნუ გააკეთებ! ნუ იტირებ!... შეიძლება გამოხატოს დადებითი ბრძანებაც: წახვალ და ეტყვი! ხვალვე მიხვალ, გააკეთებ და უკან დაბრუნდები!

მყოფადის კავშირებითი: ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო ამ ნაკვთით კავშირებითის გამოხატვა. შდრ.: მომიტანდე, შემასმევდე...

I თურმეობითი: იმდენი გიტირია, მომკვდარხარ!

გაგიხარია, მე იმას დღე ვაჩვენე!

და: არამც გაგიხარია!

წყევლის ფორმულებში შემორჩენილია ნამყო ძირითადზე დაყრდნობილი უკუთქმითი ბრძანებითიც: შენ არ გაიზარდე! შენ არ გაიხარე! და სხვა.

ამ ნუსხას ავსებს არ გააკეთო! და გააკეთო! და ეს უკანასკნელი ფორმა თეორიულად დასაშვები კი არ არის მარტო, არამედ დადასტურებულია დიალექტებსა და ძველ ქართულში.

ბრძანებითი უნივერსალური კატეგორიაა, და ბუნებრივია, ბევრი თვისება უნივერსალური აქვს. ვფიქრობთ, აღნიშნულ მოდალობათა გადმოცემის საკითხი ქართულში უფრო ღრმა და გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს. ერთის თქმა კი შეიძლება, II კავშირებითის ფორმათა გამოყენება II პირის ბრძანებითის ფუნქციით ქართული ენის შინაგანი შესაძლებლობის დადასტურებაა და არა უცხო ენის გავლენის შედეგი. ის, რომ გარკვეული მსგავსება შეიძლება დავინახოთ სხვა ენებთან, ბრძანებითობის კატეგორიის ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე მოვლენად უნდა აღვიქვათ.

ლიტერატურა:

1. *გრ. იმნაიშვილი*, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ. 1960 წ.
2. *ვ. ჯანგიძე*, Ингилойский диалект в Азербаиджане, Вопросы грамматической и интерференции, 1978 г.
3. *გ. ცოცანიძე*, ფშაური კილო, თბ. 1978 წ.
4. *მ. კობაიძე*, მთიულურის ფონეტიკური თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1990 წ.
5. *ფ. ერთელიშვილი*, რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს? თსუ შრომები, ტ. 61, თბ. 1956 წ.
6. *კ. კუბლაშვილი*, ბრძანებითის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ XI, 1952-53 წ.
7. *გ. ნინუა*, კავშირებითისა და ბრძანებითის ფუნქციების შესახებ, „მაცნე", №1, თბ. 1967 წ.
8. ქ. ლომთათიძე, ბრძანებითის შესახებ, მოხსენების ხელნაწერი.
9. *ა. მარტიროსოვი*, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, 1984 წ.

Marine Beridze

Summary

To express command with the II conjoined form in Samtskhe-Javakhetian and other dialects must be the fact caused by the natural phenomenon of the Georgian language and not the result of the influence of other languages.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

ნარგიზ ახვლედიანი

ანთროპონიმური წარმომავლობის ზანური გეოგრაფიული სახელები

ტოპონიმიის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე ხალხის სოციალურ-კულტურული ყოფისა და ისტორიის გასაცნობად. გეოგრაფიულ სახელებში ხშირად ასახულია ეთნონიმიკაც. ე. ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე [1,07]. ტოპონიმიაში ნათლადაა ასახული ეთნონიმიკაც. ამა თუ იმ ტერიტორიის, აგრეთვე პირველმფლობელის, ან აქ ადრე თუ ამჟამად მცხოვრები პიროვნების გვარი, სახელი, მეტსახელი. ამდენად, ისტორიული ანთროპონომიის შესწავლის საქმეში ტოპონიმიას ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით გვარსახელებიდან მომდინარე რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს, რომლებიც ზანური წარმომავლობისად მიგვაჩნია.

*პაპა*ხ-სიმინდი, საყანე ადგილი (შუახევის რ-ნი). ადგილობრივი ინფორმატორის მიხეილ ფუტკარაძის ცნობით, „ვიღაც ერთი მოხუცი იყო და სიმინდი მოყავდა". ქართული „პაპ"-პაპ-ი‖„პაპა", მეგრული „პაპ"-„პაპ"-უ"‖„პაპა", ლაზური „პაპ", „პაპული" [2,152],[3,246]. მეგრულში „პაპა" მღვდლის, ხუცესის მნიშვნელობით გვხვდება. „პაპა"-მღვდელი, ხუცესი[4,122], [5,501]. უ-პაპური ქიᲔანა ანუ უმღვდლო ქვეყანა. პაპანწყური‖პაპანწყუალა (დაქცევა, დანგრევა) ამ სახელწოდების ტბა ან ადგილი არის ხეთაში (ზუგდიდის რ-ნი). პაპანწყუ-პანწყუ-ნამეწყრი ფერდობი ს. ციზეთსა და საშურლაოში [6,106] ლეგენდა მოგვითხრობს: ერთ მღვდელს გლეხები ნადში ეხმარებოდნენ (ნოდი Ეუნდე). მღვდელმა საღამოს, ჩვეულებისამებრ, უმასპინძლა გლეხებს, მაგრამ ცხვრის ნაცვლად მათ ძაღლი შეუწვა, გლეხებმა ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეჭამეს იგი, მაგრამ მღვდელი ასეთი უმსგავსი საქციელისათვის მწარედ დაისაჯა. გლეხების წასვლის შემდეგ მღვდელი მთელი თავისი კარ-მიდამოთი გადაიჩეხა უფსკრულში და იმ ადგილას წარმოიშვა ტბა. ამ შემთხვევის გამო ადგილმა მიიღო სახელწოდება „პაპანწყვილი" თუ „პაპანწყური"-(მღვდელი დაქცეული) [5,50]. აჭარაში (ორთაბათუმი) არის ტოპონიმი „პაპაშლავა", ადგილობრივი ინფორმატორის ჟუჟუნა ქიქავას ცნობით, „ამ ადგილას მორევია (საშიში ადგილია), ხშირი ყოფილა უბედური შემთხვევა (წყალმა იცის ჩახვევა, ჩათრევა). მამია ფაღავას ცნობით, აქვე თამარის ციხის ნანგრევებია შემორჩენილი". მსგავსი შინაარსისეული დატვირთვის ტოპონიმები ხშირია აჭარულში, რომელიც დაქცევა, დანგრევა, გაწყდომასთანაა დაკავშირებული: „ოჭყვადური", „ვერნები", სოფლის ზემოთ მთაზე ყოფილა მოზრდილი ტბა, რომელიც „გამსკდარა", მთაც მოხეთქილა და სოფელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ტბიყელი“ წაულეკავს. ამის შემდეგ ამ ადგილს „ვერნები“ (ე. ი. გავერანებული) დარქმევია [7,2]. შუახევის რაიონში დადასტურებულია ტოპონიმები: „პაპაჭალა“-სახნავი (ტომაშეთი). „პაპაყანა“ საყანე (ფუშრუკაული, შუახევის რ-ნი). რაც შეეხება კომპოზიტის მეორე ნაწილს, დასავლეთ საქართველოში წარმოებულმა ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა ახოობის (მიწათმოქმედების უძველესი სისტემის) არაერთი მეთოდი. თოხით მიწათმოქმედება (ახოობა) დასავლეთ საქართველოს მთაგორიან რაიონებს შემორჩათ. ამ რეგიონის მთის სოფლები გამოირჩევა არამარტო მაღალი მდებარეობით, არამედ მთის ფერდობების დიდი დაქანებით, რელიეფის ძლიერი დასერილობით, მაღალი ტენიანობით. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში მცირემიწიანობის გამო გლეხები იძულებულნი იყვნენ სახნავ-სათესი ტყის მიწები გამოეყენებინათ. ტყე გაეჩეხათ, მოეწვათ და ციცაბო ფერდობზე ეთესათ. ეს იყო ახოს მიწათმოქმედება. 3-4 წლის შემდეგ ძველ ადგილს მიატოვებდნენ, მას შემდეგ, რაც მიწის ნაყოფიერება დაეცემოდა და სხვა ადგილზე გაკაფავდნენ ტყეს. ძველ ნაყანევს კი 15-20 წლის შემდეგ მიუბრუნდებოდნენ [8,7-8], რაც შეეხება ტოპონიმ „პაპახო“-ს ეტიოლოგიას, იგი შეიძლება მღვდლის (სახნავ-სათესს) სამიწათმოქმედო ადგილს, ტერიტორიას აღნიშნავდა. „პა პა“-ადამიანის საკუთარი სახელიც შეიძლება ყოფილიყო. შუახევის რაიონში დასტურდება სოფელი „პაპოშვილები“.

კერკეტაში-სოფლის უბანი (ს. სარფი, ხელვაჩაურის რ-ნი). „კერკეტი“-მაგარი, მეტისმეტად მკვრივი საგანი, მაგარნაჭუჭიანი ნიგოზი. „ბოლო ხანს კერკეტი კაკალი მეტი გამრავლდა, მის გარჩევაში სული აგრძება კაც(ს)“. კერკეტს, გადატანითი მნიშვნელობით, უტეხ, ჯიუტ ადამიანზე იტყვიან: „ნამეტანი კერკეტიაო“.

„კერკეტი“ ამავე მნიშვნელობით გვხვდება გურულში, იმერულსა და ლეჩხუმურში [9,228] შდრ.: საბა: „კერკეტინო“-კაცნი ღამის ბოროტად მავალთა შემპყრობელნი [10,367].

ლაზურად „კერკეტა“ იგივეა, რაც აჭარულსა და სხვა დიალექტებში. ძველ ქართულში „კერკეტი“ არ ჩანს, არც ილია აბულაძის ძველ ქართულ ლექსიკონში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბასეულ „კერკეტონ“-ს სრულიად განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „კერკეტი“ იმერულ-ლეჩხუმური დიალექტის კუთვნილებაა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები და დიალექტოლოგიური ლექსიკონები გვიჩვენებენ, რომ „კერკეტი“-ზანური წარმომავლობისაა, ხოლო რაც შეეხება ტოპონიმის ეტიოლოგიას, იგი ვინმე „კერკეტი“-ს კუთვნილ ტერიტორიას აღნიშნავდა.

ამრიგად, აჭარის ტოპონიმიაში ზანურ ლექსიკურ თუ ტოპონიმურ სუბსტრატზე დაკვირვება და მათი კვლევა მომავალშიაც უთუოდ ბევრ საინტერესო სიახლეს წარმოგვიჩენს.

ლიტერატურა:

1. *ახვლედიანი გ.*, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟ. „მნთობი“, თბ., №2. 1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. *Г. А. Климов*, Этимологический словар картвельских языков, м., 1964.
3. *სარჯველაძე ზ., ფენრიხი ჰ.*, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
4. *ჭარაია პ.*, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
5. *ყოფშიძე ი.*, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
6. *ცხადაია ც.*, ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 1998.
7. *თანდილავა ზ.*, ლეგენდა სოფელ ვერნებზე; საქ. მეცნ. აკად. „მაცნე". (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, თბ. 1978
8. *ჩიჯავაძე ნ.*, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში /ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი/ თბ., 1976.
9. *ყლენტი ს.*, გურული კილო, თბ., 1936.
10. *ორბელიანი ს.ს*, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

Nargiz Akhvlediani

ZANURI GEORGRAPICAL WORDS

Summary

In this work there is an analysis of Zanish substrat's tracts in Adjarian region. There is an experiment of etymology words such as:
Papakhor Kerketashi.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოთვალსაზრისი

კლარა ბარათაშვილი

მაჰმადიან მესხთა გვარების შენარჩუნება

ადამიანთა საზოგადოების უძველესი ტრადიცია-გვარების ტარება-დამახასიათებელია ქართველებისთვისაც.

გვარეულობის წარმოშობა გამოწვეული იყო ადამიანის გამოყოფის აუცილებლობით, მისი გარკვეული ადგილით ადამიანთა ჯგუფში და გვარში.

გვარების წარმოშობამდე არსებობდა გვარეულობის სახელი. პირველყოფილ წყობილების ადამიანები ცხოვრობდნენ როგორც კლანურ, ასევე დიდი გვარეულობით. იმისათვის რომ თავი გადაერჩინა და არ გაქრალიყო, ადამიანი იძულებული გახდა სოციალურად დაკავშირებოდა განსაზღვრულ გვარეულობას.

გვარეულობა გამოდიოდა ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების გამაერთიანებელ მფარველის როლში. როცა ადამიანი გამოხატავდა საკუთარ მე-ს ამით ის ადასტურებდა, რომ ეკუთვნის გარკვეულ გვარეულობას.

ძველ საქართველოში გვარეულობის წოდება მთავრდებოდა „იანთი"-ზე. სადაც სუფიქსი „იან" აღნიშნავს გარკვეული გვარეულობისადმი მიკუთვნებას, დაბოლოება „თი" კი აღნიშნავდა მრავლობით რიცხვს.

გვაროვნული სახელის დაბოლოება „იანთი" არის ძველი ფორმა, რომელიც არსებობდა გვარის ჩამოყალიბებამდე.

შემდგომში დაბოლოება „თი" ამოვარდა და დარჩა სუფიქსი „იან".

ასე ჩამოყალიბდა გვაროვნული სახელი და საბოლოოდ გვარი „იანი"-ს დაბოლოებით. ასეთი გვაროვნული სახელები უფრო მეტი ხარისხით შემონახულია სვანებში, მთიან ადგილებში მცხოვრებლები იყვნენ სოციალურად იზოლირებული.

გვაროვნული სახელები ასეთი დაბოლოებით გარდაქმნილი გვარებად, დღესაც არსებობს სვანებში.

მეგრელებთან გვაროვნულ სახელებს ჩამოცილდა ასო „ნ" და დარჩა მხოლოდ დაბოლოება „ია", რის გამოც მეგრელთა გვარები, როგორც წესი, მთავრდება „ია"-ზე.

საზოგადოების შემდგომი განვითარებისას პირველყოფილი წყობა დაიშალა და წინა რიგში გამოვიდა არა საერთო, არამედ კერძო საკუთრება. აუცილებლობამ დიდი გვარეულობისა აზრი დაკარგა.

ამ დროისათვის წამოიწია არა გვარეულობამ (თავისი სახელწოდებით), არამედ პიროვნება-ადამიანმა, როგორც საკუთრების მფლობელმა.

იმისათვის, რომ სოცილაურად დაამკვიდროს საკუთრების უფლება თავისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობისადმი, საჭირო გახდა მიეცა მათთვის თავისი სახელი, რათა არავინ შეხებოდა მათ მემკვიდრეობას.

რადგანაც ოჯახის მთავარი გახდა არა გვარეულობა, არამედ კონკრეტული ადამიანი, მისმა მემკვიდრეებმა მიიღეს ოჯახის მთავრის სახელი დაბოლოებით „ძე".

ეს არის შემდეგი საფეხური გვარის წარმოშობისა საქართველოში და თანაც უძველესი.

მოგვიანებით გვარები ჩამოყალიბდნენ „შვილი"-ს დაბოლოებით, თავდაპირველი მნიშვნელობით „ვიღაცისაგან დაბადებული".

ამგვარად შევაჯამოთ.

დასაწყისში გვაროვნული სახელი „იანი"-ს დაბოლოებით, შემდეგ – უბრალოდ „იანი" (ძირითადად სვანებში), „ია" (ძირითადად სამეგრელოში). როგორც ამათთან ასევე სხვაგანაც-გარდაიქმნა გვარებად.

შემდეგ დამკვიდრება თვით გვარების დაბოლოებით „ძე" და „შვილ"-ზე.

პირველი გვაროვნული გვარები ქართულ წყაროებში მოხსენებული არიან დაახლოებით VIII საუკუნეში. ამ დროიდან საქართველოში იწყება გვარების ტარების ტრადიცია და მტკიცედ მკვიდრდება კულტურულ ცხოვრებაში.

გვარების წარმოშობა და განვითარება მესხეთში ხდებოდა ისეთივე წარმოებით, როგორც მთლიანად საქართველოში, ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მესხები არიან ქართველი ერის შემადგენელი ნაწილი.

ყველა ეს ხალხი, ანდა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ქართველურ ტომებს, ეს დადასტურდება უტყუარი მონაცემებით და წყაროებით; მაგალითად, სუფთა ქართული გეოგრაფიული ანდა ეთნიკური დასახელებები მრავალ ადგილებსა და ხალხების ძველი მიდიის, სომხეთის, კოლხიდის და კაპადოკიისა, ჰეკატეს ინფორმაციით (ცხოვრობდა დაახლოებით 550 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომ „მოსხი" (=მესხი) კოლხური ტომია" (დღევანდელ დღემდე არავინ არ უარყოფს, რომ მესხები არ იყვნენ მესხი-ქართველები)"[1].

ამგვარად, ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დაფიქსირებულია უძველესი გვაროვნული სახელი მოლოზნიანთი, რომელმაც შემდეგში განიცადა ტრანსფორმირება გვარ მოლოზნიშვილში.

ახალციხის რაიონის სოფ. ხეოთში იყო ნუზღაანთი. მესხეთის გამოკვლეულ სოფლებში ნაწილობრივ გვხვდება გვარები დაბოლოებით „იანი": იოსელიანი (ყარათუბანი), ისპარიანი (ზედა ოშორა), ყიფიანი (ს. აწყური), ორბელიანი (ს. ხეოთი, ხერთვისი) და სხვა. ასპინძის რაიონის სოფ ორფონაში კი არსებობდა მეგრული ფორმა გვარისა-ჭანტურია.

XVII საუკუნემდე მესხები იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, როგორც დანარჩენი მოსახლეობა საქართველოსი.

XVI საუკუნეში ოსმალეთმა გამოიყენა საქართველოს სისუსტე, მოიტაცა მესხეთი და უწოდა მას „გურჯისტანის ვილაეთი" ანდა „ახალციხის ფაშალიკი".

1578 წლიდან თითქმის სამი საუკუნე მესხები იმყოფებოდნენ თურქეთის უღლის ქვეშ.

იმისათვის, რომ განმტკიცებულიყვნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე, თურქებმა ჩაატარეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესხეთის აღწერა, შეადგინეს რეესტრი გადასახლებისა, ეგრეთ წოდებული „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი".

ახალციხის ფაშალიკის მოსახლეობა ნაჩვენებია როგორც ქრისტიანები და ჩაწერილია „გურჯი-ოღლი" („ქართველიშვილი").

ეს მეტსახელები შემონახულია დღევანდელ დღემდე. ასპინძის რაიონის სოფ. ზედა ოშორის აღწერაში 1839 და 1842 წლებში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი ალი გურჯი-ოღლი, „მცხოვრებთა სიაში, რომლებიც დაკავებული იყვნენ ხვნა-თესვით (1847წ)". ს. აბში ირიცხება ისმაილ გურზინ ოღლი, ასევე 1850 წლის აღწერაში ახალციხის რაიონის სოფელ ტყემლანაში დაფიქსირებულია ვინმე ყარამან გურჯი-ოღლი – 40 წლის. ამ წიგნში[2] მოინახება ქართული გვარები მესხებისა, რომლებსაც არ განუცდიათ ისლამიზაცია და გათურქება.

ს. ტყისუბანში ირიცხება დემეტრასძე და პაპიძე, ს. ჩორჩანში ხურსციძე, ხერთვისში ვაჩნაძე, ზატელისძე, ს. ტოლოშში ვეფხისძე, მოხეში და წყორზეშო მახარობლიძე, ზიკილიაში-გიორგაძე, გურასამიძე, კეხოვანში-დარისპანიძე, აბასთუმანში ყურაბელისძე და ა.შ.

XVII ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო მესხთა თანდათანობითი, მაგრამ შენელებული პროცესი ისლამიზაციისა, დაიწყო პროცესი ქართული ფეოდალურ-იერარქიული სტრუქტურისა ანდა ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, რომელიც ეფუძნებოდა მიწათმოქმედებას, გვაროვნულობას, მემკვიდრეობითობას.

მხარეში დამყარდა თურქული სოციალურ-პოლიტიკური წყობა (ოსმანობა). ამ დროიდან არც მესხი ჯაყელები ან სხვა მესხი ფეოდალები უკვე არ იხსენიებიან თავისი გვარებით, მხოლოდ მაჰმადიანური სახელებით მინიჭებული ტიტულებით და წოდებებით მის საფუძველზე ქართულმა გვარმა დაკარგა თავისი ფუნქცია[3].

ე. ვეიდენბაუმი კავკასიაში მოგზაურობისას 1888 წელს წერდა სამცხეს შესახებ: „...ოლქი მოექცა თურქების ძალაუფლების ქვეშ, რომლებიც თავდაპირველად კმაყოფილდებოდნენ ხარკის აღებით, და არ ერეოდნენ შიდა საქმიანობაში, შემდეგ (17 საუკუნის I ნახევრიდან) მოითხოვეს მემკვიდრე მმართველობისაგან ისლამის მიღება, 18 ს. ნახევრიდან კი ჩამოაცილეს მართვიდან მთავართა გვარები და დაიწყეს თვითნებურად მმართველი პოსტების დანიშვნა ოლქში თავის ნებაზე, შეცვალეს ათაბაგის ტიტული ახალციხის ფაშის წოდებით, რომელიც დაუმორჩილეს ერზრუმის სერასკირს. ახალციხე გახდა საყრდენი-პუნქტი თურქების დასავლეთ კავკასიაში... თურქული პოლიტიკა მოქმედებდა ისეთი წარმატებით, რომ ამჟამად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა სამცხესი ეკუთვნის მუსულმანობას და დაავიწყებდა თავისი ქართული წარმოშობა ისე, რომ უკვე ოფიციალურ ანგარიშებში ახალციხის ფაშალიკის მცხოვრები იწოდებოდნენ თურქებად"[4].

ვახუშტი თავის ნაშრომში „გეოგრაფია საქართველოსა" 1745 წელს შემდეგნაირად აღწერს მესხებს:

„მამაკაცები და ქალები მსგავსნი არიან ქართველების, მაგრამ უფრო წყნარად და ტკბილად მოუბარი, ტანადი, ენერგიული, შეუპოვარი, ბრწყინვალე, მცოდნე და ხელოვნების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოყვარულია, მაგრამ არა ეხლა მაჰმადიანობის გამო. რწმენით 1626 წლამდე, 314 წლიდან ქართული წელთაღრიცხვამდე ყველანი იყვნენ ქრისტიანები ქართველებთან და შედიოდნენ ქართველი კათალიკოსის სამწყოსში, ამჟამად მთავარი და წარჩინებულები არიან მაჰმადიანები, გლეხები კი ქრისტიანები, კლარჯეთში გლეხთა უმეტესობა მაჰმადიანია, ხოლო ის, ვინც კვლავ ქრისტიანობას მისდევს, რჩებიან სამწყოს გარეშე, რადგანაც არ ეყმობიან ქართვლის კათალიკოს, ბერძნებს კი მათ საზრუნავად არ სცალიათ, რის გამოც იმყოფებიან ეპისკოპოსისა და მღვდლების გარეშე, მხოლოდ ზოგიერთი (მღვდელთმსახურები) ქადაგებენ ქართლში. მათი ენა იგივე თვით ქართულია, ახლა კი მაღალჩინოსნები ზეიმობისას და კრებებზე ლაპარაკობენ თათრულად, სახლში და ურთიერთ მეგობრული საუბრისას კი საუბრობენ ქართულად.

...მამაკაცები და ქალები იგულისხმება ისევე, როგორც აღვწერე ისინი. გლეხები კი აგრძელებენ მაჰმადიანობაზე გადასვლას ძლიერი შევიწროების მიზეზის გამო"[1].

ვახუშტი აჩვენებს რამოდენიმე ქართულ გვარებს მესხებისა, როგორც ქრისტიანებისა –ასევე მაჰმადიანებისა:

„... როჩიკაშვილი არის შალიკაშვილი ის ჩამოვიდა სამცხიდან. შიდა ქართლიდან კი ა,ილახორი, მაგრამ ეს გვარი არ არის, ეს არის შტალმეისტერის წოდება, როგორც უწოდებენ სპარსელები, მისი" გვარი კი არის ზედგინიძე და ის მეფის მიერ არის აყვანილი მთავრის წოდებაში... ავალისშვილი. როცა ხეობა დარჩა ქართლის მეფის განკარგულებაში, მაშინ ერთი ძმა დარჩა აქ, ხოლო მეორე კი – სამცხეში...

მაჩაბელი ამბობს, რომ ის არის ანჩაპისძე და ჩამოვიდა აფხაზეთიდან, მაგრამ გვარი ახალია. ხერხეულიძე იყო სამცხეში და ამბობს, რომ ის არის ოსი და მისი მოსვლა მოხდა გაყოფის შემდეგ.

კიდევ მესხები ამილოხარიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი მოვიდნენ სამცხედან თათრების დროს.

... აზნაურები კი ცოტაა. სამცხეში კი – ჯაყელი. –ეს ახლა ათაბაგია და არის ახალციხის ფაშა; შალიკაშვილი, თადგიტ/ძე, დიასამიძე, ქობულიძე, გოგებაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბათაშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხვები უკვე გვარებით არ სარგებლობენ, მხოლოდ ფაშად და სანჯაკებად იხსენებენ"[1].

მაგრამ გვიანდელი საარქივო მასალების შედარებისას გამუსლუმანებული მესხეთში გამოვლინდება შემდეგი გვარები: შალიკაშვილი (გვხვდება ს. სამყურში, აწყურში), ამილახვარი (ვალე, ზაზალო), ზედგინიძე (მოხე), ავალიშვილი (ზედა ოშორა, ჭარალი), მაჩაბელი (დიდი და პატარა აგარა, ურაველი, შალოშეთი), ხერხეულიძე (ზაზალო, უდე, ურაველი, ხურო), დიასამიძე (ასპინძა, კლდე, შურდო), ქობულიძე (ხერთვისი), ჯაყელი (ჯაღისმანი, არჯანა, სხვილისი).

ეს ლაპარაკობს იმას, რომ მესხებს არ სურდათ შერწყმოდათ უსახო მუსულმანურ ერთიანებას. მისწრაფება საკუთარ გვაროვნულობისაკენ იყო უძლიერესი.

მესხები უსათუოდ აჩვენებდნენ თავიანთ კუთვნილებას ქართული ფუძისადმი, რაც გამოიხატებოდა ქართული გვარით ანდა გვაროვნული სახელით.

რადგანაც თურქებს არ ჰქონდათ გვარების ინსტიტუტი ისინი ადამიანს აფიქსირებდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკუთარი სახელით და მამის სახელით, ამატებდნენ სიტყვას „ოღლი“–„შვილი“.

მაგალითად, მამედ ჰასან ოღლი, ალი სალახ ოღლი. მესხი მუსულმანები, ძირითადად ეწერებოდნენ არა მამის სახელით, არამედ გვაროვნულობის სახელით, რომლებიც ადრე იყო გვარი.

ჩამოაცილეს ქართული დაბოლოება „იანი“, „შვილი“, „ძე“, ემატებოდა სიტყვა „ოღლი“. ამგვარად მივიღეთ: ლომი-ოღლი, სარაჯ-ოღლი, ჯავახ-ოღლი, ტატო-ოღლი, გოგი-ოღლი, მუტი-ოღლი, კორკოტ-ოღლი, ბექა-ოღლი და სხვა.

იყო შემთხვევები, როცა ქართული დაბოლოება არ ჩამოცილდებოდა, მაგრამ მთელ გვარს ემატებოდა დაბოლოება „ოღლი“.

მიღებული იქნა საინტერესო ტავტოლოგია: ჭიკაძე-ოღლი („შვილი-შვილი ჭიკოს“) (ს. თისელი), კოპაძე-ოღლი, პოთურაძე-ოღლი (საყუნეთი), კიკნაძე-ოღლი, ჩუაძე-ოღლი (კლდე), ბოძაძე-ოღლი (ზედა ოშორა), შამალაძე-ოღლი(ფხერო).

იყო დრო, როცა ისინი წერდნენ თავის მეტსახელს სახელთან და მამისახელთან ერთად. ამრიგად, „თიფლისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახურ სიებში“ 1886 წლისა დაფიქსირებულია სულეიმან მუსტაფა ოღლი ჭიკო (აწყური), კამილ დადა ოღლი ზანდირ, სულეიმან ახმედ ოღლი თეთრო (ზედა ოშორა), იბრაიმ ალი ოღლი ბერო, სადიხ მუსტაფა ოღლი კახო (ვალე) და სხვა. უეჭველად, ეს მეტსახელები ადრე იყვნენ გვარები-ჭიკოშვილი, სანდარიშვილი, თეთრაძე, ბერიძე, კახიძე.

იყვნენ ისეთებიც კი, ვინც მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ძველ გვარებს.

ამგვარად, უძველესი საუკუნეებიდან დღევანდელ დღემდე შეუცვლელად მოდის გვარები: ერისთავი (ადიგენი), გურგენიძე (აწყური), მაცაბელი (შალოშეთი), ტატიძე, გოგნაძე (კლდე), ამილახვარი (ზაზალო), იორდანიძე (საყუნეთი), მახარაძე (მოხე), თადგრიძე (ციხისუბანი, ნამნიაური), ავალიშვილი (ზედა ოშორა), ბარატაშვილი, აბულაძე, პეტაშვილი, ჩილაშვილი (უდე), ვაჩნაძე (ხერთვისი) და ა.შ.

მხოლოდ 1829წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი უერთდება რუსეთის იმპერიას. რუსეთის იმპერია ატარებდა რა ქართველი ხალხის გათიშვის პოლიტიკას, მეფის ხელისუფლებამ ჩათვალა მესხი მუსულმანები თურქებად და გახსნა მესხეთში თურქული სკოლები.

ამ დროისათვის მაჰმადიანი მესხები თავს აღარ თვლიდნენ ქართველებად, იმიტომ, რომ „ქართველი“ მათთვის გაიგივებული იყო „ქრისტიანთან“. ადგილობრივ კათოლიკებს უწოდებდნენ „ფრანგებს“. იმხანად აზიაში ყოველ ევროპელს „ფრანგს“ ეძახდნენ. ისე, როგორც ფრანგთა ქვეყნის წარმომადგენელს, დასავლეთ ევროპიდან. ამიტომ იმ მესხებს, რომლებმაც იტალიელი მისიონერებისათვის კათოლიკობა მიიღეს, ფრანგები შეარქვეს, დღემდე მათ „ფრანგებს“ ეძახიან. მათ თვითდასახელებად იქცა „იერლი“, ე. ი. ადგილობრივი, მკვიდრი ძირძველი, მოსულთაგან განსხვავებული (ქურთები, თარაქამები, ყარაფაფახები) ან „გურჯუდან დონმა“ – „ქართველთაგან მოქცეული“, ანუ ქრისტიანთაგან მოქცეული.

გრაფინია უვაროვა თავის „მოგზაურის ჩანაწერებში“ წერს 1891 წელს. „... ზედა და ქვედა აჭარა მოთავსებული გურიისა და არსიანის მთებს შორის ძველთაგანვე ცნობილია სამცხეს სახელით ანდა ზემოქართლით“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ადგილის მცხოვრებნი ამჟამად ისლამის აღმსრულებლობას მისდევენ და მათ ხშირად თვლიან თურქებად, რაც აბსოლიტურად შეცდომაა, რადგან ესენი არიან სუფთა ქართველები, დიდხანს მყოფი თურქების გავლენის ქვეშ და მხოლოდ 1626 წლიდან დაიწყეს მაჰმადიანობის მიღება.

თურქული ენა გამოიყენება ქართულთან ერთად, სწავლობენ თურქულ ენას მედრესებში, რომლებიც არიან ყოველ მეჩეთში, რის გამოც სავსებით უცნობია ქალებისათვის და პატარა ბავშვებისათვის. ამ ქართველებს მთლიანად დაავიწყდათ მამათა რწმენა,... ამაყობენ თავისი სუფთა ქართული ლაპარაკით"[6].

„XVII ს. ნახევრიდან ჭოროხის აუზი და ზედა მტკვრის ნაწილი ცნობილია დასაწყისშივე როგორც მესხი (სტრაბონის მიხედვით), შემდეგ კი – საათაბაგო, ჩათვალეს თურქეთის პროვინციად. მესხეთმა მიიღო ქრისტიანობა IV ში., ეს ქვეყანა ჯერ კიდევ VIII ს. გახდა ბაგრატიონობის დინასტიის აკვანი.

ლიტერატურულმა ენამ აქ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია, ვიდრე სქართველოს სხვა კუთხეში. უმეტესი ნაწილი ბიბლიის მთარგმნელებისა და საეკლესიო მოღვაწენი მწერლები იყვნენ ამ კუთხიდან; მათ შორის ავტორი „ჯიქის ტყავისა" („ვეფხისტყაოსანისა").

ამ პერიოდში იქმნება საუკეთესო ნიმუშები ქართული ხელოვნებისა: ჭედურობისა, ხუროთმოძღვრებისა, ხატწერისა...

თურქების ბატონობისას ამ კუთხის მოსახლეობამ თანდათანობით დაკარგა ზნე-ჩვეულება, რწმენა და ნაწილობრივ ენაც.

„ტაძრები ნაწილობრივ იქნა მიტოვებული და დანგრეული, ხოლო ზოგ მათგანში სწავლობენ ყურანსა და თურქულ გრამატიკას"[7].

არაა გასაკვირი, რომ მესხი მუსულმანები ასეთ მდგომარეობაში უფრო სწრაფად კარგავდნენ ქართულ ცნობიერებას.

1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, მესხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი-აჭარა, რომელიც ოსმალთა უღელქვეშ იმყოფებოდა, დაუბრუნდა დედა სამშობლოს. მიუხედავად დიდი წნეხისა, თურქული ადმინისტრაციის მხრიდან, აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული თვითშეგნება და მასთან ქართული გვარებიც.

აჭარის დაბრუნებით საქართველოში აღდგა „ქართველი მაჰმადიანის" ფენომენი და ქართული პატრონიმები მაჰმადიანებში. ეს ვითარება აისახა მაჰმადიან მესხებზეც, რომლებმაც დაინახეს, რომ შეიძლება იყო ერთდროულად მაჰმადიანი და ქართველიც.

შედეგმაც არ დაახანა. უკვე 8 წლის შემდეგ, ახალციხის მაზრის 1886 წლის აღწერისას გამოჩნდა 300-ზე მეტი ქართული გვარი. მათი მფლობელები თავს უწოდებენ ქართველ მაჰმადიანებს. ამასთანავე, სოფლებში, სადაც ადრე არ იყო დაფიქსირებული ქართული გვარები, მაგალითად: მლაშე (16 კომლი), ნამნიაური (7 კომლი), ტოლოში (11 კომლი), ჩორჩანი (16 კომლი), ზანავი (24 კომლი), ზედა ოშორა (67 კომლი) და სხვ., ახლა გამოჩნდა გვარები შემდეგი რაოდენობით: მლაშე 11 გვარი, ნამნიაური 7 გვარი, ტოლოში 6 გვარი, ჩორჩანი 10 გვარი, ზანავი 8 გვარი, ზედა ოშპრა 28 გვარი და ა.შ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ დოკუმენტებში 60%-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლეობა თავს თვლის „მაჰმადიან-სუნისტებად" ქართული ეროვნებით.

ყველაზე დიდი ზიანი მესხთა ქართულ ცნობიერებას საბჭოთა ხელისუფლებამ მიაყენა. ჯერ იყო და ისინი, ეთნიკურად ქართველები, 1923 წ. ჩაწერეს აზერბაიჯანელებად, მასობრივად გადაუკეთეს ქართული გვარები აზერბაიჯანულად და მესხეთი გადააქციეს აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად.

შემდეგ კი – 1944 წელს თურქების სახელით გაასახლეს საქართველოდან. ამჯამად მუსულმანი-მესხები გაფანტულნი არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. დამახასიათებელია, რომ ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა ქართული გვარები. დღემდე ატარებდნენ ქართულ გვარებს მუსულმანი-მესხები: ტატიძე(კლდე), დემეტრაძე, პაქსაძე(ტყისუბანი), დვალიძე(საირმე), ზაუტაძე(ბოგა), აბულაძე, ბარათაშვილი, კიკნაძე (უდე), ინასარიძე (გიორგიწმინდა), ბერიძე, სვანიძე(მუგარეთი), მაკარიძე(ადიგენი), შუბლაძე (შურდო) და სხვ.

ბევრს ახსოვს თავისი ქართული გვარი, თუმცა მათი უკულმართი ბედის გამო დაკარგული აქვთ: ზუბალაშვილი(ასპინძა), ბოლქვაძე(პლაძე), ტაბატაძე (კლდე), ცენტერაძე (ლელოვანი), თავაძე (სამყურე), კაკუნაშვილი (სვირი), ფუტკარაძე (საირმე), თურმანიძე (ზარზმა), ვაჩნაძე (ხერთვისი) და ა.შ.

სამშობლოში დაბრუნებული მესხები ცდილობენ დაიბრუნონ ქართული ეროვნება და გვარი. საქართველოში ამჟამად მცხოვრებმა მესხებმა დაიბრუნეს უძველესი გვარები: აბაშიძე (კიკინეთი), ამილახვარი (ზაზალო), ბექაძე(ორფოლა), ვარსკნელიძე(ტობა), ერისთავი(მარილი), იმნაძე (პლატე), კოჩალიძე(ზანავი), მოლიძე (ანდა), მამისაშვილი (ჩურჩუტო), ხოსაძე (ქვედა ოშორა), ხუციშვილი(წახანი), შაგანიძე (არზნე) და სხვ. ბევრი.

აი, მაგალითი, იორდანიძის გვარის მტკიცედ შენახვისა სოფელ საყუნეთიდან. ეს გვარი ფიგურირებდა ყველა არსებულ აღწერებში:

1595 წ. დიდი დავთარი	1839 წ.	1850 წ.	1863 წ.	1873 წ.	1944 წ.	მესხთა ცნობით
იორდანისძე	იორდან ოღლი	იორდან ოღლი	იორდან ოღლი	იორდან ოღლი	იორდანიძე	იორდანიძე

უძველესმა გვარმა, დაფიქსირებულმა ჯერ კიდევ XVI ს. განვლო მთლიანი საუკუნეები, არ შეიცვალა თავისი ფესვები. ეს არის ნიმუში მესხების გასაოცარი ერთგულებისა თავისი გვარისა და ეროვნულობის მიმართ. მე ვიცი მესხი ქალი – გულჯან იორდანიძე, რომელიც დაბრუნდა სამშობლოში და ამაყად ატარებს ძველ გვარს. ყვება, რომ არავითარმა უკულმართობამ ბედისა და ისტორიისა ვერ აიძულა მათი გვარეულობა, რომ დაშორებოდნენ თავის ქართულ გვარს.

მიუხედავად მესხების რთული ისტორიული ბედისა, რომ მოყვნენ ხანგრძლივ ისლამიზაციაში, მათ მტკიცედ შეინარჩუნეს თავისი გვარები და არ დაივიწყეს თავისი ძირითადი ფესვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ეს კულტურული ტრადიცია მტკიცედ აკავშირებს მუსულმან მესხებს თავის სამშობლოსთან და თავის ხალხთან.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფია". შესავალი და შენიშვნები მ. ჯანაშვილსა. ტიფლისი, 1904 წ.

2. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი" („ეფტერი მუფფასალ Vილაყეტი ურცუსტან"). წიგნები 1-3 საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 1941, 1947, 1958 წ.წ.

3. *შ. ლომსაძე,* „მესხეთი და მესხები" (რუსულ ენაზე). თბილისი, 1999წ.

4. *ე. ვეიდენბაუმ,* „მეგზური კავკასიის შესახებ". ტიფლისი, 1888წ.

5. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახური სიები, 1886 წ. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი.

6. *გრაფინია უვაროვა,* „მეგზურის შენიშვნები". კავკასია (ფოცხოვის უბანი) (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1891 წ.

7. *პ. ნადეჟდინი,* „კავკასიის მხარის გეოგრაფიის ცდა" (რუსულ ენაზე). ტულა, 1891 წ.

8. *კ. ბარათაშვილი,* „მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები". თბილისი 1997 წ.

Klara Baratashvili

PRESERVING FAMILY NAMES BY MOSLEM-MESKHETIANS.

Summary

The most ancient tradition of human society - carrying family names - is characteristic to the Georgian as well. In Georgian clan name before a family name. In ancient Georgia appeared the name of a clan used to end on "ianti" , the suffixes "ian" means belonging to a certain clan and the ending "ian" remains.

Georgian family names formed by means of the ending "iani" are widely kept among the Svans; Megrelian ending "ia", is formed from the same "iani" only last letter 'n" was lost. During the further development of the society, private property together with the owner himself and his heirs become the leading category, and the letters take the name of the family head with the ending "dze" (son); later family names with the ending "svhili" were formed (born by somebody).

The first names appeared in Georgia approximately in the VIII century and have been fixed ever since.

The Meskhetian family names had been formed according the same rule, as in the other parts of Georgia, as the Meskhetians belong to the Georgian nation. Till the XVII century they were the Christian Orthodox but in the XVI century Turkey captured Meskheti and the forcible Islamisation and Turkisation of the region was carried out.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

In 1595 the Turks conducted the general census of the Meskheti - "Extensive Roll of the Gurdjistan Vilayet". (Defteri mufassal Vilayeti Gurgustan), in which the whole population was registred as Christian and "Gurdji ogli" (son of a Georgian). In this book ancient Georgian family names, maintained by Meskhetians today, can be found.

Turkisation of the region resulted in the partial loss of the Christian culture, Georgian self - consciousness and family names. As the Turks had no family name institution they used to register a person by his first name or his father's name adding a word ogli (son). Struggling for preserving their originality - Moslem - Meskhetians used to tell their family or clan names or at least the root of the clan name, instead of their fathers' names.

In 1829 as the result of the Russian - Turkish war a part of Meskheti was given back to Georgia. But Moslem - Meskhetians were considered Turks and not Georgians by Russion Empire. This fact redoubled their difference between Georgian Christians, as the Turkish schools and medresses were opened.

As the result of the policy, the word "Georgian" denoted only "Christian" for the Moslem-Meskhetians. This fact reflected on the Georgian family names, a part of which was lost again. After the Russian-Turkish war of 1878, Adjaria and a part of Meskheti were returned to Georgia. Adjarians inspite of the pressure from the Turkish authorities maintained Georgian family names and considered themselves Georgians.

All this gave rise to the "Moslem-Georgian" phenomenon and during the census of 1886-more than 300 representatives of Georgian Meskhetian families called themselves-Moslem-Georgians.

The most powerful blow to the Georgian self-consciousness was made during the Soveit period. First being ethnically Georgians they were reckoned to Azerians. Their Georgian family names were forcefully and totally changed into Azerian names; then in 1944 they were doported from Georgia as "Turks".

At the being Moslem-Meskhetians are scattered about the number of the Former Soviet Union Republic.

Most of them remember their family names; some of them have been able to maintain them. Those having returned to Georgia are restoring their original family names.

Despite the hard historical fate the Meskhetians staunchly maintained their Georgian family names or a root of their clan names'. Just exactly this cultural tradition firmly binds the Moslem-Meskhetians to their native-country and people.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

გურამ ბედოშვილი

ტოპონიმ სამცხის შესახებ

საენათმეცნიერო, აგრეთვე, ისტორიოგრაფიული ლიტერატურიდან საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარის („ქვეყნის") საკუთარი სახელი *სამცხე* ეთნონიმ *მესხი*-საგან მომდინარე ერთეულადაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისის არსებობა (სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრება) პლატონ იოსელიანის სახელთან არის დაკავშირებული. [1,53]. ადრეულ ხანებში, შუა საუკუნეებიდან, ვიდრე ვახუშტი ბატონიშვილის ეპოქამდე (და, მოგვიანებითაც) ორი, ამასთან, ურთიერთგამომრიცხავი, ვერსია იყო ცნობილი: ა) ტოპონიმი *სამცხე* (აგრეთვე *მცხეთა*) წარმომდგარია ლეგენდური მცხეთოსისაგან; ბ) ტოპონიმ *სამცხის* წარმოქმნას საფუძვლად უდევს სუმბატ ბივრიტიანის მიერ დემოთსა და ლომსიაში *სამი ციხის* აგების ფაქტი [2, 121] ამ უკანასკნელ თვალსაზრისს (*სამი ციხე→სამცხე*) ზოგიერთი მეცნიერი დღესაც სარწმუნოდ თვლის. რაც შეეხება სამცხის ანთროპონიმულ წარმომავლობას (მცხეთოსი), მან თავისი დამაჯერებლობა მაშინ დაკარგა, როცა პლ. იოსელიანის ზემოხსენებული ვარაუდი (სა-მესხ-ე→სა-მცხ-ე) გახდა ცნობილი: *სამესხე→სამცხე*. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ახლებური თვალსაზრისი საუცხოოდ მოერგო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. ზემოაღნიშნულმა ვერსიამ მაშინ უფრო მოირთო სარწმუნოობა და დამაჯერებლობა, როცა მას დიდმა ივ. ჯავახიშვილმაც დაუჭირა მხარი [3,431]. თავის „ქართველი ერის ისტორიის" პირველსავე გამოცემაში იგი წერდა: „ქართების დაბინავებას უნდა კახებისა, კუხებისა და ქართების აღრევა მოჰყოლოდა. ამ აღრევის დროს ქართებს გაუმარჯვნიათ. ამგვარივე აღრევა ქართებს იბერნარევს მესხებთანაც მოსვლიათ. აქაც გამარჯვება ქართებს დარჩენიათ და მესხების სახელი მხოლოდ ერთს კუთხეშიღა, სამცხეში, შერჩენილა [3, 437]. ეს თვალსაზრისი (მესხი‖სა-მესხე‖სამცხ-ე) ჩვენში საქრესტომათიო ჭეშმარიტად ითვლებოდა და მას დღესაც არაერთი მკვლევარი მისდევს.

განსხვავებული თვალსაზრისი გამოითქვა 1980-იან წლებში, როცა ეჭვის ქვეშ დადგა ტოპონიმ მცხეთის ეთნონიმ მესხი-საგან წარმომავლობის ძველთაძველი ვერსია [4, 187-196]. ამას მოჰყვა მეორე წერილი, რომელშიც ასევე უარყოფილი იყო სამცხის სა-მესხ-ე ფორმისაგან მიღების შესაძლებლობა [5, 3-13]. ორივე შემთხვევაში ტრადიციული ვერსიების (მესხ-ეთ-ა→მცხეთა; სა-მესხ-ე→სა-მცხ-ე) მიუღებლობა ენობრივი წინააღმდეგობებით იყო მოტივირებული. კერძოდ, შენიშნული იყო, რომ ეთნონიმური წარმომავლობის, აგრეთვე, გვარ-სახელთაგან მომდინარე ტოპონიმები, სადერივაციო ელემენტებად არასოდეს არ იყენებდნენ სა——ე თავსართ-ბოლოსართს; ქართულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ონომასტიკონში არასოდეს გვქონია და, არც შეიძლებოდა გვქონოდა სა-ქართველ-ე, სა-მეგრელ-ე, სა-ზან-ე, სა-ინგილ-ე, სა-ჯავახ-ე, სა-თუშ-ე, სა-ფშავლ-ე... ტიპის წარმონაქმნები. თუ ანალოგიური წარმოების სახელებს ფუძედ ეთნონიმი აღმოაჩნდებათ, მაშინ აფიქსებად უეჭველად სა———-ო გვექნება! (წესი უგამონაკლისოა"): სა-ჯავახ-ო, სა-ზან-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ქართველ-ო, სა-გურამ-ო, სა-ბართიან-ო, სა-ციციან-ო... ამ წესიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა ენაში არსებულიყო სა-მესხ-ე, მით უმეტეს, სა-მესხ-ეთ-ი ფორმა, რადგან, ვიმეორებთ, სა———-ე კონფიქსი ეთნონიმური ტოპონიმების საწარმოებლად ქართულმა ენამ საერთოდ არ იცის. ტოპონიმი სა-მცხ-ე ეთნონიმური შინაარსისა რომ ყოფილიყო, მაშინ სა-მცხ-ო უნდა გვქონოდა და არა სა-მცხ-ე.

ჩვენ ვავითარებდით ახლებურ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ტოპონიმი *სამცხე* მიღებული უნდა ყოფილიყო არა თეორიული (არარსებული) *სა-მესხ-ე* ფორმისაგან, არამედ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შინაარსი ტერმინისაგან *სა-მცხეთ-ო*, რომელიც მცხეთის სვეტიცხოვლის იურისდიქციის ქვეშ არსებული ვრცელი ტერიტორიის ერთ-ერთი „ქვეყნის" სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამგვარი ვარაუდი „ქართლის ცხოვრების" ტექსტმაც დაადასტურა. აქ ვკითხულობთ: „შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაც ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო" [6, 18-14]. სამცხეთარ-ი კი სხვა არაფერია, თუ არა მცხეთის ეკლესიის საგამგებლოში მცხოვრები ხალხი (შდრ. ოპიზ-არ-ი, ოლთის-არ-ი, მტბევ-არ-ი").

მაშასადამე, ტოპონიმი *სამცხე* ნაშთი ყოფილა *სა-მცხეთ-ო* ტერმინისა. ეს პროცესი *სამცხეთო-ს* ბოლო -თო მარცვლის მოკვეცის გზით განხორციელებულა. ანალოგიური ფონეტიკური პროცესი ქართულ ტოპონიმიაში ერთო ხშირად დასტურდება. შდრ. *სანე* (←სანება‖სამება), *ნოსტე* (←ნოსტევი), *ჭულე* (←ჭულევი), *კარბი* (←კარბისი) *საწირე* (←საწირეთი), *გორდი* (←გორდიდი) და მისთ.

ჩვენს ამ ვარაუდს საინტერესო წყაროთა მონაცემებიც ამაგრებს: ცნობილია, რომ არაბობამდელ ხანაში ისტორიული სამცხე მასში შემავალი ქვეყნებითურთ (შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ნიგალისხსევი...) მცხეთის სვეტიცხოვლის იურისდიქციაში შემავალი მხარე იყო, რაც საუცხოოდ არის ასახული ადმინსტრაციულ-პოლიტიკურ ტერმინში *სა-მცხეთ-ო*. აღნიშნული ტერმინი წერილობითი წყაროებში პირველად VIII საუკუნის 70-იან წლებშია დადასტურებული (არაბ ისტორიკოსებთან). აქედან გამომდინარე *სამცხეთო*-საგან *თო* მარცვალმოკვეთილი *სამცხე* ფორმის მიღება VII-VIII საუკუნეების ენობრივ მოვლენად უნდა ვცნოთ.

თვალსაზრისი: *სა-მცხეთ-ო→სა-მცხ-ე* („მცხეთის ეპარქიაში შემავალი ქვეყანა") ქართველი ისტორიკოს-არქეოლოგთათვის, ასევე, მხარეთმცოდნეებისა და ეთნოგრაფებისათვის ახლებური კვლევის ფართო პერსპექტივებს ქმნის, თუმცა სპეციალისტთა ერთი ნაწილი ჯიუტად განაგრძობს ტრადიციული თვალსაზრისებისადმი ლამის მონურ მორჩილებას და ყოველნაირი ხერხით ცდილობს *სამცხის სამესხე* ტერმინისაგან წარმომავლობის მტკიცებას, რაც, რა თქმა უნდა, ტენდეციურობითა და ხელოვნორობით არის აღბეჭდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. *პლატონ იოსელიანი,* საქართველოს ძველადარსებული და ახლანდელი ქალაქები (რუს. ენაზე), ტფილისი, 1850.

2. *ვახუშტი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

3. *ივ. ჯავახიშვილი,* ქართველი ერის ისტორია I, თბ. 1960.

4. *გ. ბედოშვილი,* მოსაზრებანი ტოპონიმ მცხეთის წარმოშობის შესახებ: კრებ. საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

5. *გ. ბედოშვილი,* ტოპონიმ სამცხის ისტორიისათვის: კრებ. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.

6. ქართლის ცხოვრება ტ. II სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959.

Guram Bedoshvili

ABOUT TOPONYM-SAMTSKHE

Summary

Traditionally toponym Samtskhe is formed according to the ethnonym -Meskhi with the adding prefix "sa" and suffix "e" e.g. sa-mtskh-e. The author develops the new version. He remarks that in Georgian literature toponyms formed from ethnonyms with prefix "sa" and suffix "e" don't exist. If the toponym is ethnonymic, we have prefix "sa" and suffix "o" e. g. Sa-kartvel-o (Georgia), Sa-zan-o (Zaneti -one of the oldest parts of Georgia) Sa-megrel-o (Megrellia), Sa-ingil-o, etc.

It is impossible to have Sa-kartvel-e, Sa-megrel-e, That's why it was really an ethnonymic word. Samtskhe must be formed from the administrative -political term, sa-mtskhet-o, that means "the territory belonged to Mtskheta eparchy "Svetitskhoveli Sakmo". This consideration is strengthened with the historical aspects.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

ვასილ კუზიბაბაშვილი

კვლავ მარცვლოვანი უ-ს, უმარცვლო უ-სა და კბილბაგისმიერი ვ-ს შესახებ

ეს საკითხი არაერთგზის ყოფილა სპეციალისტთა მსჯელობის საგანი.

[უ] და [ვ] ფონემათა დისტრიბუციის დადგენა სხვადასხვა დროს სცადეს: არნ. ჩიქობავამ [11,87], ი. იმნაიშვილმა [4, 307-310], ფ. ერთელიშვილმა [3,80-84], თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა [2,40], გ. როგავამ [6,122], ზ. სარჯველაძემ [7, 46-50], ტ. ფუტკარაძემ [9,27-28], და სხვ. მკვლევარებმა.

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში შენიშნულია ვ-ს მონაცვლეობა უ-სთან და, პირიქით, უ-ს მონაცვლეობა ვ-სთან:

ა) ვ ენაცვლება უ-ს: მართვე, ესვას, აქვდეს, უკვდავი, ზღვაჲ...;

ბ) უ ენაცვლება ვ-ს: თაყუანისცემა, შეხუაბთ აღხ/ჰუმართე, მშუა, მოსულაი და სხვ.

ზ. სარჯველაძე შენიშნავს, რომ „[ვ]: [უ] ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა ძველ ქართულში უმნიშვნელო იყო, რაც უნდა იყოს ოპოზიციის მოშლის ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზი“[7,46-50].

საყურადღებოა ი. იმნაიშვილის დაკვირვება კბილბაგისმიერი ვ-ს დაწერილობაზე შემდეგ სიტყვებში: ადვილი, ქართველი, პირველი, ჭინჭველი, იანვარი, რვა, რვალი, ფქვილი, ქვა, ქველი, საზღვარი, ყველი, საფუძველი, წყვილი, ცვალება, წვალება, ხვალე[4,8].

ამათგან ამჟამად ზოგიერთი სიტყვა ფონეტიკურად სახეცვლილია ქართული ენის დიალექტებში; სახელდობრ: რვა→რუა, ქვა→ქუა, ფქვილი→ფქულ(ი), წყვილი→ წყული, ყველი→ყოლ(ი).

აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს ზოგ დიალექტში უ-ს მონაცვლეობა ვ-სთან (რა თქმა უნდა, ამ მონაცვლეობის მიზეზად მიჩნეული უნდა იქნას ხმოვანთან მისი მეზობლობა. ხმოვნის უშუალო მეზობლობაში უ-ს გადასვლა ვ-ში წინ უსწრებს უ→ŭ პროცესი, ე. ი. ვ←ŭ←უ: გოვკეთა „გაუკეთა“, ოვლი „აუღია“, გოვხარდა „გაუხარდა“ (შდრ. ფერეიდნული ხმოვნის მომდევნოდ ŭ→ვ: გოვხარდაყ(=გაუხარდათ), შოვიდაყ(=შეუვიდათ); შდრ. ჯავახურში ხმოვნის წინა პოზიციაში უV→ŭV: საშუალება→ საშვალება, ტყუილი→ტყŭილი[1,61].

ასევე აღსანიშნავია აუ→ავ და ეუ→ევ ფონეტიკური პროცესი ქართული ენის დიალექტებში. მაგ.: აქავროვაჲ „აქაურობა“, ყარავლი „ყარაული“, გოზავრი (←გოზაური); შდრ. აჭარ., ჯავახ. აუ→აŭ→ავ: შავრათ „შაურად“, აქავრელი, სადავრელი, დანაშავლი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანალოგიურად – ეუ→ეუ→ევ: გამზევრება „გამზეურება“, დატევლი „დატეული“, დეკევლი „დეკეული“...

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგ დიალექტში ადგილი აქვს ო-ს მონაცვლეობას ვ-სთან: ო→ŭ→ვ:

ა)S_3 პირის ნიშნის ო→ŭ: იყŭ, ეთქŭ (თუშ.); ბ) სხვათა სიტყვისა და წოდებითი ბრუნვის ნიშნის ო→ŭ→ვ: უზღოვ←უზღოო, თქვავ←თქვაო, თოლიავ←თვალიაო; ძმავ←ძმაო... ანალოგიური ფონეტიკური პროცესთან უნდა გვქონდეს ჯავახურშიც: ქალოვ, წამოვ... [1,78]; „ქალოვ“ ფორმაში საქმე უნდა გვქონდეს მიმართვის ფორმასთან (ქალოვ←ქალოŭ←ქალოო), „წამოვ“ ფორმაში კი – სხვათა სიტყვის ო - ნაწილაკდართულ ო-ს მონაცვლეობას ვ-სთან (წამოვ←წამოŭ←წამოო).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული ენის დიალექტებში იკრძალება ორი ხმოვნის უშუალო თანმიმდევრობა და ორ ხმოვანს შუა ჩნდება ხმოვანთგამყარი. მაგალითად (ძვ. ქართ.): იწროვებაჲ, უშჯულოვო, სიცრუვეჲ. ძუვა, ყრუვი...[10,27]; შდრ. ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული სიტყვა-ფორმები: შუვაჲ, ყუვაჲ, ჟუვარ (ინგილ), შხუვილი, ყმუვილი, ბუვი, ცრუვი, ყრუვი, რუვი [5,68].

ცალკე კვლევას მოითხოვს „რვა“, „ქვა“ ტიპის ფორმები.

არნ. ჩიქობავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „...მახვილიანი უ-ნი+ა უცვლელი რჩება, ო-ნად არ გადადის, მახვილის ტარების პოტენცია სიმპტომია იმისა, რომ უ-ნი წარმოადგენს სრულ ხმოვანს, რომელიც მარცვალს ქმნის; ფაქტია, რომ მარცვალ მქნო უ-ნი+ა ო-ნად არ გადადის, არკვევს (ჩვენი აზრით) იმ უ-ნის (ბრჯგუს) ბუნებას, რომელსაც +ანი გვაძლევს ონს; ცხადია ის მახვილის ტარების შემძლე არ უნდა ყოფილიყო. მას მარცვლის შედგენა არ შეეძლო – იგი უმარცვლო იყო“[11,73].

ფაქტია, რომ დიალექტებში არა გვაქვს: ქუა→*ქო, რუა→*რო. მაგრამ გვაქვს: ქოშ‖ქო (←ქუეშ თავქო „თავქვეშ“), გვაქვს: თოლ(ი) („თვალი“) და არა გვაქვს *თოლ(ი), გვაქვს ყოლ(ი) („ყველი“) და –*ყოლ(ი), გვაქვს კურტ(ი)(„კვირტი“) და – ქართულში არა გვაქვს „კურტი“ შედგენილობის სიტყვა-ფორმა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას: ა) დიალექტებში ვე→ო[ო] და [ო] თავისუფლად მონაცვლეობენ (ჩონ‖ჩონ) „...ამდენად უმლაუტიზებულ ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად ვერ მივიჩნევთ; საქმე გვაქვს ბიფონემატურ ელემენტებთან“ ბ) ქართული ენის დიალექტში ო: ო ფონემატურ ოპოზიციას ქმნიან, ე. ი. ფუნქციონალური დატვირთვა აკისრიათ, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია მეორეულია. ეს სიტყვა-ფორმები ან ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებია, ან – უცხო ენიდან შემოსული სიყვები. მაგ.: ყოლ(ი) („ყველი“), ყოლ (აზერბ. гол „მკლავი“), კურტ(ი) („კვირტი“), კურტ(ი) (აზერბ. „კრუხი“); ზოლ(ი) („ძვალი“), ზოლ(ი) („ძველი“)...

მესხურში გვხდება როგორც ვა კომპლექსის ო-დ ქცევის, ასევე – ვე-ს ო-დ ქცევის შემთხვევები. სახელდობრ: კომლი, მარხო, ჩონ‖ჩონი [1,60].

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჯავახურში უმლაუტიანი ხმოვნები გვხვდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე – ქართულ სიტყვებშიც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯავახურში „უმლაუტიანი ხმოვნები თურქული ენის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეგავლენითაა გაჩენილი, ისე როგორც ჲოტაციის ზოგი შემთხვევა და ნეიტრალური ხმოვანი *ɤ*"[1,23].

ჩვენი აზრით, ქართული ენის დიალექტებში (ინგილოურში, მოხეურში, ფერეიდნულში, ჯავახურში) და ქართველური ენებიდან სვანურში უმლაუტიანი ხმოვნების, ასევე ირაციონალური *ɤ* ხმოვნისა და ჲ-ის (ჲოტაციის) დამკვიდრებას ხელი შეუწყო უცხო ენობრივმა გარემომ (კონტაქტმა), მაგრამ აღნიშნული ხმოვნების პოვნიერება სხვა ქართულ დიალექტებშიც გვარაუდებინებს, რომ მათი წარმოქმნის საფუძველი თვით დიალექტის შინაგანი პოტენციითა შეპირობებული [12, 343]; მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა სიტყვა (საკუთრივ ქართული მასალა) ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება; სახელდობრ: ა) უმარცვლო უ+ი→ü: წüმაჲ, კüცი... უმარცვლო ü+ე→ö: ჩö‖ჩö(ი), კö‖ცხი... ბ) კბილბაგისმიერი ვ+ი→ü: შüული, წყüული (ინგილ., ჯავახ., მოხ.), ვყüდი→ყüდი‖ყüდი→ყüდი... მომდევნო ვ ალაბიალებს წინა ხმოვანს: ჯავახ. კჲდö‖კüდö (←კüდევ), ისö (←ისევ); შდრ. ინგილ. კüდö, ბö‖ვრ, თö‖ვზ... როგორც ჩანს, ინგილოური, ჯავახური და ქართული ენის ზოგი სხვა დიალექტი ანალოგიური მოვლენით ხასიათდება და ივი, აქედან გამომდინარე, თვით ქართული ენის ბუნებით უნდა აიხსნას.

ვა (üა), ვი (üი), ვე (üე) კომპლექსების (ო←ვა‖üა, ü←ვი‖üი, ö←ვე‖üე) ქცევის წინაპირობად მიჩნეულია ვ-ს ფონეტიკური თავისებურება, მისი სწრაფვა გაწყვილბაგისმიერობისაკენ.

ვა‖üა→ო, ვე‖üე→ö, ვი‖üი→ü ფონეტიკურ პროცესს განიხილავენ როგორც ბგერათშერწყმას, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ჯერ ხმოვნის ასიმილაციასთან ლაბიალობის მიხედვით: ვა‖üა→üო→ო (ძüალი→ძüოლი) შემდეგ კი გამლაბიალებული ვ-ს‖ü-ს დაკარგვასთან ლაბიალური ხმოვნების წინ, რასაც ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა მოითხოვს.

კერძოდ: ვა‖üა→üо→ო: თüალი→თüოლი→თოლ(ი), ძüალი→ძüოლი→ძ/ზოლ, ვამბობ→ვომბობ→ომბობ/ვ+ვარ, ვახტანგ→ვოხტანგ→ოხტანგ‖ოხთანგ (მოხ.); ვი//üი→üü→ü: წüიმაჲ→წüüმაჲ→წüმაჲ, შვილი→შvüლი→შüული, ვტირი→ტvüრი→ტüüრი→ტüრი/ვარ; ვე‖üე→üö→ö: ძüელი→ძüöლი→ძ/ზöლ(ი), ყველი→ყüöლი→ყöლ(ი), ვჩეჩ→ჩvüეჩ(თüშ.)→ჩüეჩ→ჩüöჩ ჩö‖ჩöჩავვარ (ინგილ.), ვგრეხ→გრüეხ→გრüöხ→გრöხ ‖ გრöხავვარ... შდრ. ძველი ქართულში დადასტურებული ვ→ü ფონეტიკური პროცესი – მეტათეზისის შემდგომ: თავყანისცემა→თაყüანისცემა, შევხაბთ→შეხüაბთ, აღვხ/ჰმართრ→აღხ/ჰüმართე და სხვ.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტიც.

ზ. სარჯველაძე წერს: „ყურადღებას იქცევს კონტამინირებული ფორმები, როცა დაწერილია ü, ისე ვ-ც: ქüველის, მცüვალებელნი, იშüვა, საზღüვართა, მწüვალებელთა..." [7,48].

კონტამინაციურ დაწერილობად კი მიჩნეულია ისეთი ფორმების არსებობა, სადაც ერთდროულად წარმოდგენილი როგორც ამოსავალი ფორმის, ისე მისგან მიღებულის ყველაზე არსებითი ელემენტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე: ამოსავალი ფორმაა ქვა, რვა და მისგან მიღებული – ქüა, რüა... კონტამინაციური დაწერილობა დიალექტებში – ქüვაჲ, რüვაი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლუვი, ცრუვი... ჩვენი ფიქრით, მახვილის გადაწევა უნდა მომხდარიყო არა ვ→ŭ: ქვა→ქŭა, რვა→რŭა... არამედ კონტამინირებული დაწერილობის (ქŭვაჲ, რŭვაჲ, შŭვაჲ, ყრŭვი...), ან ვ-ს გაჩენისას, სიმულტანურად მომხდარა მახვილის გადაწევა წინა ხმოვანზე (ქŭ́ვაჲ, რŭ́ვაჲ); ესე იგი მახვილს კი არ უქცევია უმარცვლო ŭ მარცვლოვან u-დ, არამედ ვ-ს ჩართვისას ŭ ხმოვანს მოუთხოვია მახვილი.

დაბოლოს: იმ დიალექტებში, სადაც გვაქვს ვ – ჩართული ვარიანტები (ქŭ́ვაჲ, რŭ́ვაჲ), ŭ წარმოადგენს სრულ ხმოვანს და მახვილის მატარებელია, ხოლო იმ დიალექტებში კი, სადაც გვაქვს ვ – ჩაურთველი ვარიანტები „ქŭაჲ", „რŭაჲ" ფორმები ŭ უმარცვლოა და, როგორც წესი, მახვილს არ დაირთავს.

ლიტერატურა

1. *გრ. ბერიძე*, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
2. *თ. გამყრელიძე*, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
3. *ფ. ერთელიშვილი*, უმარცვლო ŭ ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 96, თბ., 1963.
4. *ი. იმნაიშვილი*, ქართული ენის საისტორიო ქრესტომათია, I, თბ., 1949.
მისივე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბილისი 1982.
5. არამ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
6. *გ. როგავა*, ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში: ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XVIII, 1958.
7. *ზ. სარჯველაძე*, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
8. *თ. უთურგაიძე*, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
9. ტ. ფუტკარაძე, ŭ სონანტი, ვ სპირანტი თუ ვ//ŭ სონორი? XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბ., 1997.
10. *აკ. შანიძე*, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
11. *არნ. ჩიქობავა*, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში:ჩვენი მეცნიერება, № 2-3, თბ., 1923.
12. *ბ. ჯორბენაძე*, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

Vasil Kuzibabashvili

ABOUT SYLLABIC "U", NONSYLLABIC "U" AND DENTAL "V".

In the work we can see the transition of va||**ŭ**a, vi ||**ŭ**i and ve||**ŭ**e into o, **ö**, **ü** in the dialects of the Georgian language.

One of the main reasons of transition of above mentioned complexes are getting rid of oppositionad pairs o:**ö**, and u:**ü**. We have kva→k**ŭ**a, and not *ko but we have k**ö** (-kues). we have tol and not "tol(i)" Firstly this would form the homonymous pairs and secondly, to be more important in "K**ŭ**a", "r**ŭ**a", "s**ŭ**aჲ" types "v" is inserted in some dialects of the Georgian language so we have contamination (Kuvaჲ, ruvaჲ, suvaჲ-) here "u" is sylabic and carries a stress. As a rule syllabic "ŭ",+a doesn`t give us "o" (Arnold Chicobava). So we'll have no *ko, *ro and *k**ŭ**oჲ, *r**ŭ**oჲ (o←va) because such sequance is fordidden in the Georgian Language, when v-introductory variant (k**ŭ**vaჲ) is natural.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

ვახტანგ მაღრაძე

მესხეთისა და ჯავახეთის მიგრაციის სურათი ეთნონიმებისაგან (მესხი, ჯავახი) ნაწარმოები გვარების მიხედვით

მესხეთი – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდებაა. ანტიკური ხანის წყაროებში (სტრაბონი, ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24) მოიხსენიება „მოსხიკეს" სახელწოდებით. მესხეთი ტერიტორიულად მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველები – მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც. IX-X სს-ში მესხეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ბაგრატიონთა სამეფო (ცენტრი არტანუჯი). მესხეთი საქართველოს სამეფოს დიდმხელე ერისთავთა, სამცხის სპასალარ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სამფლობელო იყო. ამ საგვარეულოს მიერ ათაბაგის სახელოს დამკვიდრების შემდეგ საათაბაგოდ იწოდებოდა [1].

ქართული გვარების წარმოშობაში აქტიურად მონაწილეობს და განსაკუთრებულ ფენას ქმნის ეთნონიმთაგან მიღებული გვარსახელები. ამჯერად საქართველოს ამ ძირძველი კუთხის (კერძოდ, მესხეთისა და ჯავახეთის) ეთნონიმებისაგან წარმოქმნილ გვარებს შევეხებით.

ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნზე [2] დაყრდნობით მესხ- და ჯავახ- ეთნონიმებისაგან ექვს-ექვსი გვარია მიღებული; მუსხი ერთ სახეობას გვაძლევს – მუსხელიშვილი 221 (თბილისში – 106, დმანისში – 84, ბოლნისში – 16) ერთეულია.

ყველაზე მეტი (4054) უფორმანტო, გაუფორმებელი გვარი არის მესხი.

ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემულია მესხ- ეთნონიმისაგან მიღებული გვარის საერთო რაოდენობა და ამ გვარების გავრცელებულობის მიხედვით პირველ სამ ადგილზე მყოფი ქალაქი:

№	გვარი	რაოდენობა	რაიონი
1.	მესხი	4054	თბილისი-1171, ქუთაისი-452, საჩხერე-297
2.	მესხია	1637	ზუგდიდი -702, წალენჯიხა452, თბილისი–208
3.	მესხიძე	1374	ჭობულეთი–718, ქარელი–232, თბილისი–103
4.	მესხიშვილი	1345	თბილისი–405, ზესტაფონი–175, გურჯაანი–157
5.	მესხაძე	226	ქუთაისი–67, ამბროლაური–43, თბილისი–36
6.	მესხელი	40	თბილისი–31, რუსთავი–5, გორი–2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მეორე ეთნონიმ ჯავახ-ს, ესეც ექვს გვარს გვაძლევს[1] და აქ უკვე გაბატონებულ პოზიციას იჭერს სწორედ გვაროვნული სართებით გაფორმება, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილისაა ჯავახიშვილები –6893 ერთეული.

ჯავახიშვილები, ქართლის ფეოდალური საგვარეულო XIV-XIX სს-ში წარმოდგა თორელთა ძირითადი განშტოებიდან, რომელიც XII ს-ში დამკვიდრდა შიდა ქართლში, თეძმის ხეობაში (ახლანდელი კასპის რ-ნი) და შექმნა იქ თავისი საფეოდალო (XV საუკუნიდან სათავადო) საჯავახიანო. გვარის დამფუძნებელი იყო XIII-XIV სს მიჯნაზე მოღვაწე ჯავახ თორელი, გამრეკელ თორელის შვილი. სახელი ჯავახი თორელთა საგვარეულოში დამკვიდრდა ჯავახეთში მათ სამამულე მფლობელობასა და გამგებლობასთან დაკავშირებით. ჯავახის შვილები თორელ-ჯავახიშვილებად, ხოლო შვილიშვილები და მომდევნო თაობა ჯავახიშვილებად იწოდებოდნენ[3].

„როგორც ეტყობა XIII საუკუნის დამდეგს სამძივართა საგვარეულოში (უკეთ, საგვარეულოს იმ შტოში, რომელიც დამკვიდრებულია თეძმის ხეობაში) შემოდის სახელი ჯავახი და შეიძლება XIV საუკუნის პირველ ნახევარში ისინი იწოდებოდნენ ჯავახიშვილებად“ (ლ. მუსხელიშვილი). ი. მაისურაძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას: სახელი ჯავახი XIV საუკუნეზე უფრო ძველია: ჯავახ აფაქის ძე მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში[4].

ცხრილში არ მოვათავსეთ ჯავახოვი (33 ერთეული, აქედან თბილისში – 17, მარნეულში – 12, რუსთავში–3).

№	გვარი	რაოდენობა	რაიონი
1.	ჯავახიშვილი	6893	თბილისი-2312, თელავი-736, გორი-554
2.	ჯავახაძე	1267	ქუთაისი –556, წყალტუბო-392, თბილისი–160
3.	ჯავახიძე	489	ბორჯომი–127, თბილისი–82, ხელვაჩაური–29
4.	ჯავახია	423	თბილისი–116, სენაკი–116, მარტვილი–59
5.	ჯავახი	112	გორი–46, კასპი–32, თბილისი–19
6.	ჯავახიანი	22	ზესტაფონი–14, მარნეული–4, სამტრედია–3

როგორც ცხრილების შეჯერებით აშკარა ხდება, თვითონ მესხეთ-ჯავახეთში ამ ეთნონიმებისაგან ნაწარმოები გვარები არ დასტურდება. გამონაკლისია *მესხიძე* აბასთუმანში, *ჯავახიშვილი* სოფ. საყუნეთში, *ჯავახიძე* სოფ. დერცელში.

ბუნებრივიცაა, მესხეთ-ჯავახეთიდან (ისევე როგორც სხვა კუთხეებიდან) მიგრირებული მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი წარმომავლობა გვარებს (ზოგ შემთხვევაში ჯერ სახელს) დაედო საფუძვლად. ის სამი გვარი კი, ალბათ, ზემოთ დასახელებულ სოფლებში ოცს არ აღემატება და, ამის გამო, ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნში ვერ მოხვდა.

თუ შევადარებთ ამ ორი ეთნონიმისაგან მიღებულ გვარებს, მათი არეალი თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს. მიგრაცია, როგორც ეტყობა, ძლიერი იყო. ბუნებრივია, გადინება უფრო ინტენსიურად ქართლშივე მოხდა– 5765 ერთეული, იმერეთში – 2297, კახეთში–1447, სამეგრელოში –1329, აჭარაში –747, რაჭაში –43.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი მხარეა გამონაკლისი, იზოლირებულია გურია, რომლის ირგვლივაც ყველგან ფიქსირდება აღნიშნული გვარები.

საქართველოს რუკაზე მითითებულია მესხეთ-ჯავახეთიდან რომელი გვარი, რომელი მიმართულებით გავრცელდა და დამკვიდრდა.

ინფილტრაციის შედეგად ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრებულმა მოსახლეობამ შემოინახა თავისი წარმომავლობის ეთნონიმები და აწარმოა ზემოთ დასახელებული გვარები, რისი წყალობითაც, ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ მიგრაციის პროცესსა და არეალს.

ლიტარატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 6, თბ., 1983.
2. *ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე,* გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
3. ქსე, ტ. 11, თბ., 1987.
4. *ი. მაისურაძე,* ქართული გვარსახელები, თბ., 1981.
5. *კლარა ბარათაშვილი,* მაჰმადიანი მესხების ქართული, თბ., 1997.

Vakhtang Maghradze

MIGRATION REVIEW OF MESKHETI AND JAVAKHETI REGIONS IN COMPLIANCE WITH THE ETHNONYM (MESKHI, JAVAKHI) LAST NAMES

Summary

Meskheti-general name of historical South-West Georgia (Zemo Kartli), that has been mentioned in the manuscripts of ancient ages (Strabon). Javakheti is also included in Meskheti.

Many Georgian last names have been originated from ethnonyms as formed and non-formed types.

The following last names have been derived from ethnonyms: Meskhi (non-formod), Meskhia, Meskhidze, Meskhishvili, Meskhadze, Meskheli, Javakhi (non-formed), Javakhia, Javakhidze, Javakhishvili, Javakhadze.

As a result of infiltration population settled at new settlement areas has preserved ethnonyms of its origination and has derived the above mentioned last names. Based on this we have an opportunity to observe the processes and areas of migration.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო მელიქიძე

ბორჯომის ხეობის ოიკონიმები

ბორჯომის ხეობა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრისა და მისი მარჯვენა შენაკადების (შავი წყალი, გუჯარეთის წყალი, ნეძვურა და სხვა). „ხეობის ფართობი 1180 კვ. კილომეტრია[1,3]". უძველეს პერიოდში ის მოიხსენიება „თორის მხარედ", „მტკვრის ხეობად", ან უბრალოდ, ამ ადგილს, ტაშისკარიდან აწყურამდე „ხეობას" უწოდებდნენ. ქ. ბორჯომის გაჩენისა და მინერალური წყლების აღმ ჩენის შემდეგ, მას ეწოდა „ბორჯომის ხეობა", ეს სახელწოდება შედარებით ახალია და უნდა შერქმეოდა XIX საუკუნის დასაწყისში ან ცოტათი ადრე.

ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ ამ ხეობაში არსებული სოფლების სახელებს XVI საუკუნიდან ვიდრე დღემდე. დღეს ბორჯომის ადმინისტრაციულ რაიონში 42 სოფელია. მაგრამ ისტორიულად უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ისტორიული მასალებიც. როგორც ცნობილია, ვახუშტი ბატონიშვილს თავის „აღწერაში..." მოცემული აქვს ხეობის სოფლები, ეს არის XVI საუკუნის მიწურული; ვახუშტისთან შემდეგი ოიკონიმები დასახელებული:

1. დვირი
2. დგვარი
3. ტაძრისი
4. მოქცევი
5. საკვირიკე
6. ზორეთი
7. ქვაბი (ქვაბისხევი)
8. დემოთია
9. ეშმაკთუბანი
10. მალაჩათუბანი
11. დღვაშისხევი
12. ლიკანი
13. მაყურაზ
14. ლომსათუბანი
15. ეკლესიისკარი
16. ნახუცვარათუბანი
17. იანკათუბანი
18. მელქუაძე
19. ზღასთავი
20. გომნა
21. ნუა
22. ყვიბისი
23. ციხისჯვარი
24. ჭალა
25. თორი
26. გორისთავი
27. ჭობისხევი
28. ჩითახევი
29. დაბა
30. სერსემი(ცემი)
31. წაღვერი
32. სამზიოსხევი
33. გოგოსუბანი
34. ყურსოფელი
35. ვიკრათუბანი
36. ქამარზა
37. ნეძვი
38. ახალდაბა
39. ხოხაშენი
40. პეტრესციხის რაბათი
41. ვანთა
42. ფაფა
43. ღამზა
44. ზნახა
45. მძოვრეთი
46. ზუზნა
47. სადგერი (ქაშვეთი)
48. კიმოთისმანი
49. რველა
50. ზანავი
51. კორტანეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

52. ბუზათუბანი
53. ბაკურიანი
54. მიტარბი
55. სავანელი
56. ქიმერეთი

„გურჯისტანის ვილაჲეთის დიდ დავთარში", რომელიც შედგენილია ოსმალთა მიერ XVI-საუკუნის ბოლოს, ხეობაში შემდეგი სოფლებია დასახელებული[3,469-495].

პეტრეს ლივა

1. პეტრეს ნაჰიჲე

1. ეშმაკთუბანი
2. დღვაშიხევი
3. ლიკანი
4. მაყურაზ
5. ლომსათუბანი
6. ეკლესიისკარი
7. ნახუცვარათუბანი
8. ინანკათუბანი
9. მელქუაძე
10. ზღასთავი
11. გომნა
12. ყვიბისი
13. ციხისჯვარი
14. ჭალა
15. თორი
16. გორისთავი
17. ჭობისხევი
18. ჩითახევი
19. დაბა
20. სერსემი (ცემი)
21. შოღლათუბანი
22. სამზიოსხევი
23. გოგოსუბანი
24. ყურსოფელი
25. ვიკრეთუბანი
26. ქამარზა
27. ნეძვი
28. ახალდაბა
29. პეტრესციხე
30. ყვერბილი
31. ხოხაშენი
32. ვანთა
33. ფაფა
34. ღამზა
35. ზნახა
36. ზორეთი
37. ზუზნა

ქაშვეთის ნაჰიჲე

1. სადგერი (ქაშვეთი)
2. კიმოტისმანი (ტიმოთისუბანი)
3. რველა
4. ზანავი
5. კორტანეთი
6. ბუზათუბანი
7. ბაკურიანი
8. მიტარბი
9. სავანელი
10. ქიმერეთი

შედარებით ნაკლები რაოდენობის სოფელი აქვს დასახელებული XVIII საუკუნის გამოჩენილ გერმანელ მოგზაურს ე. გიულდენშტედს, ის წერს: „... სურამიდან ზეით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) არის: ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრესციხე, ჭობისხევი, ყველა ეს სოფელი განადგურებულია და ამსათან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის [4,217-219]".

შემდეგი უფრო სრული წყაროა იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა", რომელიც შესრულებულია ორი მეფის – ერეკლე მეორისა და გიორგი XII დავალებით 1794-1799 წლებში [5,33-45,6] სოფლები აღწერილია ხეობების მიხედვით;

გუჯარეთის ხეობა

1. ბაგინეთ
2. გულსუნდა
3. გუჯარეთი
4. ედოთი
5. კუწათუბანი
6. ჩრდილის უბანი
7. სხალნარი
8. მომწვარა ან მაწვნარა
9. სარბიელა
10. გომარეთი
11. წყაროსუბანი
12. მიტარბი (მიტარები)
13. მეკოჟური
14. რუისი
15. ღელისუბანი
16. ღინტური

ჰეობას რაჲცა სოფლები მიეწერება სამეფო, საავალიშვილო, სათავადო, სააზნაურო და ეკლესიისა, არიან ესენი:

1. სარმანიშვილი
2. ახალდაბა
3. ნეძვი
4. ქიმერეთი
5. კორტანეთი
6. ზანავი
7. რვილი
8. ყვიბისი
9. სავანისხევი
10. ეშმაკთუბანი
11. წუა ანუ ნუა
12. ნადაბური
13. თორი
14. ციხისჯვარი ‖ კარნიგომი
15. შუაუბანი
16. ციხისჯუარი ‖ „პეტრეს ციხედ ხმობილი აწ"
17. ვარდის სოფელი
18. ფაფა
19. ჭალა (მოსახლე)
20. ლიკანი
21. ყვერბილი
22. ჭობისხევი

სადგრის ხეობაში სამეფო სოფლები, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო არიან ესენი:

1. დაბა
2. თედიანთ უბანი
3. წაღვი (წაღვერი)
4. შუღლათუბანი
5. უზნარიანი
6. კიმოთისუბანი
7. გოგას უბანი
8. ეკლობანი
9. ყერძენი
10. კეცხოელი
11. ზემია
12. ბაკულიანი
13. ცცემი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ მიერ 1973-1980 წლებში ჩაწერილი სოფლებისა და ნასოფლარების სახელები ბორჯომის ხეობაში:

1. არაშენდა, ნასოფლარი, საკირე
2. ახალდაბა, დაბა*
3. ბაკურიანი, დაბა*
4. ბაკურიანის ადეზიტი, დაბა*
5. ბალანთა, სოფელი**
6. ბანისხევი, ნასოფლარი, ყვიბისი
7. ბერისახტრები, ნასოფლარი, ყვიბისი
8. ბეშეთი, სოფელი,* ვარდგინეთი
9. ბორნიღელე, ნასოფლარი, დვირი
10. ბორჯომი, ქალაქი*
11. გვარამძეები, ნასოფლარი, ბორჯომი
12. გვერდისუბანი, სოფელი
13. გომნა, ნასოფლარი, ციხისჯვარი
14. გუჯარეთი, სოფელი*
15. დაბა, სოფელი*
16. დაბაძველი, ნასოფლარი, ჭობისხევი
17. დაღლიაშვილების ხევი,უბანი,ბორჯომი*
18. დგვარი, სოფელი*
19. დემოთია, ნასოფლარი, ქვაბისხევი
20. დვირი, სოფელი*
21. დიდი თონეთი, ნასოფლარი, ღინტური
22. დიდი მიტარბი, სოფელი*
23. დიდი ორწო, ნასოფლარი, საკირე
24. დიდი ჭაჭარაქი, ნასოფლარი, ახალდაბა
25. ეშმაკთუბანი, ნასოფლარი, ბორჯომი
26. ვაშლოვანი, უბანი, ბორჯომი*
27. ვარდევანი, სოფელი*
28. ვარდგინეთი, სოფელი*
29. ზანავი, სოფელი
30. ზორეთი, ნასოფლარი, ქვაბისხევი
31. თელვანი, ნასოფლარი, წაღვერი
32. თორი, ნასოფლარი, ბაკურიანი
33. კახისი, ნასოფლარი, ჭობისხევი
34. კეჩხობი, ნასოფლარი, წაღვერი
35. კვისინეთი, ნასოფლარი, დვირი
36. კიმოთესუბანი, სოფელი*
37. კორტანეთი, სოფელი*
38. კოშკიღლე, ნასოფლარი, ბორჯომი
39. ლარები, დასახლება, ჭობისხევი*
40. ლიბანი, დასახლება, პატრაცემი*
41. ლიკანი, უბანი, ბორჯომი*
42. ლომისმთა, ნასოფლარი, ქვაბისხევი
43. მაღლა ბეშეთი, ნასოფლარი, ვარდგინეთი
44. მაჭარწყალი, სოფელი*
45. მელათუმანი, ნასოფლარი, საკირე
46. მზეთამზე, სოფელი*
47. მოქცევი, ნასოფლარი, ქვაბისხევი
48. მოლითი, სოფელი**
49. მოლოზანა, ნასოფლარი, ქვაბისხევი
50. ნაბახტარი, ნასოფლარი, ბაკურიანი
51. ნადარბაზევი, ნასოფლარი, ბაკურიანი
52. ნეძვი, ნასოფლარი, ახალდაბა
53. ოდეთი, სოფელი*
54. ოდიანი, ნასოფლარი, დიდი ცემი
55. ომანეთი, ნასოფლარი, ბაკურიანი
56. პანტნარი, ნასოფლარი, ბაკურიანი
57. პატარა თონეთი, ნასოფლარი, ღინტური
58. პატარა მიტარბი, სოფელი*
59. პატარა ორწო, ნასოფლარი, საკირე
60. პატარა ცემი, სოფელი*
61. პატარა ჭაჭარაქი, ნასოფლარი, ახალდაბა
62. რველი, სოფელი*
63. სადგერი, სოფელი*
64. სავანელი, უბანი, ახალდაბა*
65. საკირე, სოფელი*
66. საკოჭავი, ნასოფლარი, ბაკურიანი
67. ტაბაწყური, სოფელი*
68. ტაძრისი, სოფელი*
69. ტბა, სოფელი*
70. უზნარიანი, ნასოფლარი, წაღვერი
71. ფაფა, უბანი, ბორჯომი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

72. ფოთოლეთი, ნასოფლარი, ახალდაბა
73. ფურღნალი, ნასოფლარი, სადგერი
74. ქვაბისხევი, სოფელი*
75. ქიმერეთი, ნასოფლარი, ახალდაბა
76. ღვთისმშობელი, სოფელი*
77. ღინტური, სოფელი*
78. ყვერბილი, ნასოფლარი, ბორჯომი
79. ყვიბისი, სოფელი*
80. ყურუმსები, ნასოფლარი, ბაკურიანი
81. შოღლათუბანი, ნასოფლარი, წაღვერი
82. ჩითახევი, დასახლება*
83. ცამცები, ნასოფლარი, კიმოთესუბანი
84. ცემი, სოფელი*
85. ციხისჯვარი, სოფელი*
86. წაღვერი, დაბა*
87. წირელისოფელი, სოფელი*
88. წითელუბანი, ნასოფლარი, ყვიბისი
89. წინუბანი, სოფელი*
90. ჭალა, ნასოფლარი, ბორჯომი
91. ჭიხარულა, სოფელი**
92. ჭობისხევი, სოფელი*
93. ხულევი, ნასოფლარი, ბაკურიანი
94. ჯოყოეთი, ნასოფლარი, ბანისხევი

ამ სიაში არ არის ისტორიული წყაროებში („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", ვახუშტი ბატონიშვილისა და იოანე ბატონიშვილის შრომები) მოცემული ოიკონიმები:

1. ბაგინეთი
2. გულსუნდა
3. ედოთი
4. კუწათუბანი
5. ჩრდილისუბანი
6. სხალნარი
7. მომწვარა‖ძამწვარა
8. სარბიელა
9. გომარეთი
10. წყაროსუბანი
11. მეკოჟური
12. რუისი
13. ღელისუბანი
14. სავანისხევი
15. ნუა
16. ნადაბური
17. ციხისჯვარი ‖კარნაგომი
18. შუაუბანი
19. ციხისჯვარი‖ „პეტრეს ციხედ ხმობილი აწ"
20. ვარდისოფელი
21. თედიანთსოფელი
22. გოგასუბანი
23. ეკლობანი
24. ყერძენი (ყურძენი)
25. ზემია
26. კეცხოელი
27. ცცემი
28. საკვირიკე
29. მალაჩათუბანი
30. დღვაშისხევი
31. მაყურაზ
32. ლომსთაუბანი
33. ეკლესიის კარი
34. ნახუცვართუბანი
35. იანკათუბანი
36. მელქუაძე
37. ზღასთავი
38. გორისთავი
39. სერსემი
40. სამზიოსხევი
41. გოგოსუბანი
42. ყურსოფელი
43. ვიკრათუბანი
44. ქამარზა
45. ხოხაშენი
46. ვანთა
47. ღამზა
48. ზნახა
49. მძოვრეთი
50. ზუზნა
51. ბუზათუბანი
52. სარმანიშვილი***

---

*–აღნიშნულია დასახლებული პუნქტები

**–ადმინისტრაციულად მიეკუთვნება ბორჯომის რაიონს, ტერიტორიულად კი ჯავახეთშია (ახალქალაქის რაიონი).

*** – სარმანიშვილი‖სარმანიშვილისკარი ადმინისტრაციულად ხაშურის რაიონშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეობაში XVI საუკუნის ბოლოდან დღემდე, ისტორიული წყაროებითა და ზეპირი გადმოცემებით დადასტურდა 147 სოფელი და ნასოფლარი, დღეს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით[6], ბორჯომის რაიონში არის 43 სოფელი, აქედან ერთი-სარმანიშვილისკარი, ხაშურის რაიონს ეკუთვნის, 4 სოფელი ჯავახეთშია (ბალანთა, ტაბაწყური, ჭიხარულა, მოლითი), ეს სოფლები ტერიტორიულად ისტორიული წყაროებითაც არ არის ხეობაში. ბორჯომის ხეობაში დღეს ფაქტობრივად 35 სოფელია, დანარჩენი 10 დასახლებული პუნქტი, რომლებიც ჩვენ მიერ მოტანილ სიაში ჩითახევი, ბეშეთი, ლარები–ცალკე დასახლებებია, ვაშლოვანი და ლიკანი სოფლები იყო, ახლა ისინი ბორჯომის შემადგენლობაშია, დაღლიაშვილების ხევი (საკაძის ქუჩა), ეშმაკთუბანი, ფაფა (ახალი უბანი)–ბორჯომის უბნებია, კეჩხობი–წღვერის, ხოლო სავანელი–ახალდაბის უბანია, ხოლო ნუა, ბორჯომის ძველი სახელია). 147 სოფელი, ბუნებრივია, ერთდროულად არ უნდა ვიგულვოთ, ეს არის ჯამი იმ დასახლებული პუნქტებისა, რომლებიც XVI საუკუნიდან სხვადასხვა დროს იყო ხეობაში და ჩვენამდე მოაღწია მცირე ნაწილმა. აქ გასათავალისწინებლია შემდეგი გარემოებანი:

1. ზოგი სოფელი ადგილს იცვლიდა და შესაძლებელი იყო ახალ ადგილზე გადასულ საცხოვრისს რაიმე გარემოების გამო სხვა სახელი მიეღო, მომავალ თაობებს ადვილი შესაძლებელია დავიწყებოდათ წინაპრების თავდაპირველი სოფლის სახელი. მაგ., სულ ახლახან, 50 წლის წინათ ნეძვის პატარა და დიდი ჭაჭარაქის, ქიმერეთის, ზორეთის, ფოთოლეთის მოსახლეობა გადაასახლეს ახალდაბაში, ბორჯომში, ქვაბისხევში, ახალციხის რაიონში და სხვაგან. ბუნებრივია, ერთი-ორი თაობის შემდეგ ძნელად, რომ ვინმეს ახსოვდეს აღნიშნული სახელები.

2. ძნელბედობის დროს ბევრი სოფელი უკაცრილედებოდა, შემდეგ მათი აღდგენა-განახლება აღარ ხდებოდა. ამ შემთხვევაში უმეტესად იკარგება სოფლის სახელი. დღეს ბევრია ნასოფლარი, მაგრამ მათი სახელების მიგნება შეუძლებელია.

3. ერთმა და იმავე სოფელმა სხვადსხვა დროს შესაძლებელია სახელი იცვალა ფონეტიკურად, ან მოგზაურმა, აღმწერმა, ჩამწერმა და სხვ. სწორედ ვერ ჩაწერეს სახელები (მაგ. ზემო აღნიშნული ნუა-წუა, ბორჯომის სახელი), უცხოენოვანი მოსახლეობის მოსვლის დროს თარგმნეს ან სულაც ახალი სახელი უწოდეს უკვე დაცარილებულ საცხოვრისს.

4. ზოგჯერ ძალზე შეუსაბამო ცვლილებებია სახელებისა, რომელთაც ცალკე კვლევა სჭირდებათ. მაგ., ცცემი-ცემი, ყურუმსები-ყურსოფელი, ყერძენი-ყურძენი, კეჩხობი-კეცხოველი, ზეამზია-მზეთამზე, წაღვი-წაღვერი და სხვ.

ზოგი სოფლის სახელი დღესაც ცოცხალია ხალხში, მაგრამ ვერც მთხრობელებით და ვერც ისტორიული წყაროებით, ვერ ხერხდება მათი ლოკალიზაცია. მაგ., ორწო, არაშენდა, ნადარბაზევი, ნაბახტარი, მაყურაზი, მელქუაძე, ხოხაშენი, ვანთა, ღამზა, ზნახა, ზუზნა, მალაჩათუბანი (გვარი მალაჩინი გორშია, ამ გვარის წარმომადგენლებმა არ იციან წარმომავლობა), ბუზათუბანი და სხვ.

სოფელმა სხვადსხვა მიზეზის გამო იცვალა ადგილი ან ძველი სოფლის ადგილას დასახლდა მეორე სოფელი, რომელმაც მოიტანა თავისი სახელი და დაარქვა პუნქტს, ან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხდა სახელში ფონეტიკური ცვლილებები და, როდესაც არ არის დადგენილი მათი ლოკალიზაცია, ან ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა, ძნელია ზუსტი სახელის განსაზღვრა, და შეიძლება ერთი პუნქტის სახელად რამდენიმე ტოპონიმი მოგვევლინოს; მაგ., ნადარბაზევი–თორი, ყურუმსები–ყურსოფელი, სადგერი-ქაშვეთი, ლომისმთა–ლომსათუბანი, სერსემი-ცცემი–ცემი, ყერძენი-ყურძენი, ვარდისოფელი-ვარდევანი, მძოვრეთი–მზოვრეთი–ზორეთი, დღვაშები–დღვაშისხევი, შოღლათუბანი–შუღლათუბანი და სხვ. მრავალი ასეთი ტოპონიმი აქვს გაანალიზებული ს. ჯიქიას,[3] ვ. აბულაძეს[1] და სხვებს. ნაწილი ტოპონიმებისა აშკარად წარმოქმნილია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში: პატარა მიტარბი, ვაშლოვანი, წითელსოფელი, ღვთისმშობელი, ლიბანი, მაჭარწყალი, პატარა ცემი, გვერდისუბანი და სხვ.

ამრიგად, ბორჯომის ხეობის ოიკონიმები 4 საუკუნის მანძილზე მეტად ჭრელ სურათს იძლევა, დღეს თუ ხეობაში 38 სოფელია, ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ ეს ციფრი გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო. დღეს წერილობითი წყაროების ანალიზის გარეშე, ნამდვილი სურათის აღდგენა შეუძლებელია. ასეთი სამუშაოს ჩატარება აუცილებელია, რათა მომავალში დღევანდელი ვითარების აღდგენა არ გაძნელდეს, იმავე ბორჯომის ხეობის არეალის-გუჯარეთის ხეობაში ჩვენ მიერ 20 წლის წინათ ჩაწერილი 700-მდე მიკროტოპონიმის ახლიდან აღნუსხვა შეუძლებელია დატრიალებული ტრაგედიის შედეგად... ასევე, შიდა ქართლისა და აფხაზეთის დასახლებაც კმარა. შიდა ქართლის ტოპონიმიური აღწერა მოასწრო თსუ ონომასტიკის ლაბორატორიამ, აფხაზეთსა კი ვერა, –გასაგები მიზეზების გამო. თითოეული რაიონის ნასოფლარების სახელების გამოვლენა, მათი ეტიმოლოგია, ლოკალიზაცია ხელშესახებ მასალას მოგვცემს საქართველოს ისტორიის, ენის, ეთნოგრაფიისა და კულტურის კვლევისათვის.

ლიტერატურა:

1. *ვ. აბულაძე,* ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბ., 1983.

2. *ვ. ბატონიშვილი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941

3. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, აკად. ს. ჯიქიას გამოკვლევითა და რედაქციით, თბ., 1958, წიგნი III.

4. *ე. გიულდენშტედი,* მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962.

5. *ი. ბავრატიონი,* ქართლ-კახეთის აღწერა, გამოსცემს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986. საქართველოს ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1977.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Sergo Melikidze

BORJOMI GORGE IOKONYMS

Summary

The work contains the names of Borjomi gorge villages and old-settlement during four centuries beginning from the XVI century till now based on historical sources and writing down in the places (150 names). It is said that the number of villages today is less (42 units than it was before).

The reasons of losing and reducing the villages are also given.

Such work is necessary to be done in all regions of Georgia because without it the research work of Georgian toponyms is impossible.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

მიხეილ ქამადაძე

-იან- სუფიქსით შტოგვარების წარმოების საკითხისათვის ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში

როგორც ცნობილია, ამჟამინდელი მესხეთი ისტორიულად სამცხედ იწოდებოდა. საკუთრივ მესხეთი გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში მდებარე კუთხეები: სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი, აჭარა...[1, 374]. ამდენად ამ კუთხეების მეტყველებაში არსებული მსგავსი ენობრივი თავისებურებანი სავსებით ბუნებრივია, რადგან ისტორიული ეს რეგიონი ქართული ენის ერთ, კერძოდ, სამხრულ დიალექტურ ჯგუფს ქმნიდა.

მსგავსი ენობრივი მოვლენები ხელშესახებია ყველა დონეზე (ფონეტიკურ-გრამატიკული, ლექსიკური...). მსგავსება თავს იჩენს აგრეთვე ონომასტიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს -ი-ან- სუფიქსით შტოგვარების წარმოება.

ქართულ პატრონიმულ მორფემებს შორის ყურადღებას იქცევს კუთვნილება – ქონების თუ წარმომავლობის მაჩვენებელი -ი-ან- სუფიქსი, რომელიც ამჟამად უპირატესად სვანურ გვარსახელებს აწარმოებს. ძველად ასეთი დაბოლოების გვარები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ -იან- სუფიქსი შემდეგ შეუცვლია ძე-ს ან შვილ-ს. ამის გამო -იან-ფორმანტს თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს და გარკვეულ შემთხვევაში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ფორმა მრავლობითია [7, 122-123]. -ან-, როგორც პატრონიმული სუფიქსი, კრებითი მნიშვნელობის მაწარმოებელ უძველეს ქართველურ ელემენტადაა მიჩნეული[2, 35].

გარკვეულია, რომ -ი-ან- ბოლოსართი მჭიდრო კავშირშია აღმოსავლეთ საქართველოსა და რაჭაში გავრცელებულ ტოპო-პატრონიმულ ლექსემებთან. ქართლსა და კახეთში იგი გამოყენებულია ერთი გვარის მქონე ადამიანთა კრებულის, მთელი საგვარეულოს შტოს აღმნიშვნელად. ამის მიხედვით „მჭედლიაანი“ ანუ „მჭედლიანი“ მჭედლიშვილების ერთობლიობაზე მიუთითებს. ასეთი კრებითი საგვაროვნო სახელები გეოგრაფიულ სახელებად იქცნენ, რადგან მთელი საგვარეულო შტოთი დასახლებულ პუნქტთა აღნიშვნის საფუძველიც გახდნენ. მაგ., კახეთში: მელაანი (მელაშვილებით დასახლებული სოფელი). „მირზაანი (მირზაშვილებით დასახლებული სოფელი) და ა. შ. ამგვარი სახელებისაგან -ებ-იანი მრავლობითი რიცხვის ფორმებიც იწარმოება: მჭედლიანები (მჭედლიშვილები), ასევე -ნარ-თანიანიც: მჭედლიანნი... ანალოგიური ფორმები განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართული ენის აღმოსავლური და სამხრული დიალექტებისათვის[3, 65-66]. ამ მხრივ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიშანდობლივია ერთი ხალხური ლექსი:

„ციციაანთ სუფრა შერცხვეს,
ჯავახიანთ გალობაო,
კარებამდის არ მიგყვება
თარხანიანთ წყალობაო“ [2, 37].

ანალოგიური მაგალითები უხვადაა მესხურში. მიხ. თამარაშვილის წიგნში გვხვდება ასეთი გვარსახელები: „კრუხიჭამიანთ იოსეფისძე ბატონჯანა“, „ბაღინანთ გრიგოლ“, „ფირალანთ იაკობ“, „მაქანდარიანთ სიმონა“[4]. შდრ. გვარსახელები: კრუხიჭამიაშვილი, ბაღინაშვილი, ფირალაშვილი, მაქანდარაშვილი, ფალიაშვილი, სადათიერაშვილი. მოცემული სახელ-გვარები ინვერსიული წყობით ასე იქნება: გრიგოლ მაქანდარიანთი, სტეფანე სარიანთი, პეტრე ხუციანთი... ხუციანთი უკვე დამოუკიდებელი სიტყვაა, გასუბსტანტივებულია. ფორმანტისეული ნ ზოგჯერ გაუჩინარებულია და პარალელურად გვხვდება: ხუციანთი||ხუციათი, ფირალანთი||ფირალათი, ბაღინანთი||ბაღინათი, მამულანთი||მამულათი... სამცხე-ჯავახეთის ძველ სოფლებში გვარეულობათა დასახელება სასაუბრო მეტყველებაში ამავე წესით ხდება, მაგალითად, პეტათი (პეტაშვილი), ბალახათი (ბალახაშვილი), აბულათი (აბულაძე), გიქოთი (გიქოშვილი). ჩანს, ამ ფორმის პატრონიმებმა სათანადო გვარშტოებით დასახლებული პუნქტების აღნიშვნაც იკისრეს, მოხდა მათი ტოპონიმიზაცია, როგორც ეს კახეთში (მელაანი, მირზაანი...). მესხეთ-ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში -იანთ რთული სუფიქსი ასიმილაციის შედეგად -იენთ- ფორმად იქცევა და გვაქვს ასეთი სახის შტოგვარები: მჭედლიენთი, ხუციენთი, თარხნიენთი [3, 66-68].

-იანთ- რთული სუფიქსი ჩანს მესხეთ-ჯავახეთში დადასტურებულ შემდეგ ტოპონიმებშიც: გეჯიანთ წყარო – წყარო, სათიბი; ბაღდვიენთ ყანა – სახნავი (ერკოტა), დოდოლაანთ სერები-სახნავი (როკეთი) – ასპინძის რ. [5, 157, 162]; ღვდლიენთსეული, მაზმიენთსეული, ბოშეენთსეული [6, 45-46]. შდრ. ჭყარტიენსეულაჲ-სახნავი (პანტნარი, ხულოს რ.). აქ -იენთ (|| -იენ-, -ეენთ-|) სუფიქსიან სახელებს -ეულ- ფორმანტიც დაერთვის.

-იანთ- სუფიქსი ხშირად აწარმოებს შტოგვარებს შავშეთ-იმერხევში, რაც კარგადაა ასახული ამ მხარის ტოპონიმიაშიც. მაგ.: აბრამიენთი, ბათიენთი, ბუქრიენთლები, იზილიენთი, იხტრიენთი, კოსოლიენთი, კუკულიენთი, ლაზიენთი, მამადიენთი, მეხრიენთი, მიქელყმიენთი, მოსიენთლები, ხევრიენთი, მჭედლიენთი, მაზმიენთი, თემურიენთი, თუთიენთი, ცეცხლაძიენთი და სხვ. მრ.

შტოგვარებს თუ ოჯახის სახელებს აჭარაში, კერძოდ, ზემო აჭარაში -იან- ფორმანტი აწარმოებს (ამ ფუნქციით სხვა სუფიქსებიც გვხვდება), რომელიც ასახულია ტოპონიმიაშიც. მაგ.: ცეცხლიანთი სოფ. იაკობაძეების უბანი (ხულოს რ.), ჭედლიენთები სახნავი (წაბლანა, ხულოს რ.), ჭედლიანთი სოფ. დარჩიძეების უბანი (შუახევის რ.), ხუციენთი სოფ. ღურტის უბანი (ხულოს რ.) ხუციანთები სოფ. ვაშლოვანის უბანი (ხულოს რ.) და ა. შ. ჩამოთვლილ მაგალითებში აღნიშნულია ვინმე ცეცხლას (ცეცხლაძის), მჭედლის (მჭედლიშვილის), ხუცის (ხუციშვილის) შთამომავლობა და ამ საგვარეულობით დასახლებული ადგილები, ე. ი. საგვარეულო კრებულის სახელი ტოპონიმად არის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქცეული. მაწარმოებლად გამოყენებულია -იან- რთული სუფიქსი და მისი სახეცვლილი ფორმა -იენთ-, რომელსაც ხშირად ერთვის მრავლობითის -ებ- ფორმანტი. ანალოგიური გაფორმების სახელები ხშირად დასტურდება ზემო აჭარაში [9; 10]. როგორც შენიშნულია, ასეთი სახელწოდებანი შტო-გვარის სახელთაგან არის მიღებული მეტონიმიის გზით [11, 41].

ზემოაჭარულ მეტყველებაში -იანთ- სუფიქსით ოჯახის სახელების წარმოება იმდენად გავრცელებულია, რომ ერთ გვარშიც კი მიუთითებენ განაყოფ ოჯახებზე. მაგ., სოფ. დიდაჭარაში გობაძეების გვარში გამოყოფენ: ქიტიენთი, ემრულანთი; შავაძეებში -ჰაწაშუანთი, ზემოანთი, ბექირანთი, გედუგანთი... ასეთი ფორმები ზეპირი მეტყველებიდან ადვილად გადადის ტოპონიმიაში.

ამრიგად, -იანთ- რთული სუფიქსით შტოგვარების წარმოება მესხურ-ჯავახურში, შავშეთ-იმერხეულსა და ზემოაჭარულში ერთნაირ სურათს გვიჩვენებს. შეიძლება ითქვას, იგი ერთ იზოგლოსას ქმნის.

ლიტერატურა:

1. *ბ. ჯორბენაძე*, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
2. *ს. ჯანაშია*, თუბალ-ტაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბ., 1959.
3. *ი. მისურაძე*, ქართული გვარსახელები /სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები/, თბ., 1980.
4. *მიხ. თამარაშვილი*, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902.
5. *ი. სიხარულიძე*, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის /ტოპონიმიკა/: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.
6. *მ. ბერიძე*, ჯავახეთი /ტოპონიმიკური ანალიზი/. თბ., 1992.
7. *ა. შანიძე*, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973.
8. *ნ. ცეცხლაძე*, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. ბათუმი, 1999 /ხელნაწერი/.
9. *ვ. მგელაძე*, ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973.
10. Н. В. Мгеладзе, Система кровного родства в Аджарии. Батуми, 1988.
11. *ბ. ჯორბენაძე*, ონომასტიკური გულანი. თბ., 1993.

Michael Kamadadze

FOR THE QUESTION OF FAMILY NAME PRODUCTION BY IAN-SUFFIX IN THE SOUTH-WEST DIALECTS OF GEORGIAN LANGUAGE

Summary

The family-name production by Ian-suffix in the South-West dialects of Georgian language, namely in Meskhet-Djavakheti, Shavsheti-Imerkhevi and upper Adjara shows just the same picture. We can say, that it makes one izoglos.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე

ბერიკაობა-ყვენობის ზოგიერთი ელემენტის პირენეული პარალელების ანალიზისათვის

ეთნოკულტურა ტიპოლოგიური თუ გენეტური ერთიანობის კვლევა ნიშნავს ამ ერთიანობის ძიებას ერთმანეთისაგან მთელი ეპოქებითა და ვრცელი ტერიტორიით დაშორებულ ეთნოსებს შორის. თითოეული მათგანი დიდი დროის მანძილზე თავის დამოუკიდებელ გზას გადის და ამიტომ ისინი ისე ცილდებიან ერთმანეთს, რომ საერთოს დაჭერა ძალიან ძნელდება. ამ სიძნელეს ისე ვერ გადალახავს მკვლევარი, თუ ამა თუ იმ ხალხების ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები არ იქნა განხილული ურთიერთშეპირისპირების გზით, თუ არ გაფართოვდა შესადარებელი ობიექტების გეოგრაფიული არეალები. მაშინ შესაძლებელი იქნება მსგავსება-განსხვავებათ დადგენა, ან უარყოფა. ჩვენ ამ დებულების კვალდაკვალ გადავწყვიტეთ შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე გამძლე საგაზაფხულო დღესასწაული – ბერიკაობა-ყვენობა პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხთა დღესასწაულების („fiesta", „fista") ფონზე. როგორც ცნობილია, ერთი და იგივე საწესჩვეულებო რიტუალი შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ხალხებში. გამონაგონები, ადამიანთა წარმოდგენები, ზოგჯერ წეს-ჩვეულებებიც კი ემთხვევა გეოგრაფიულად დაშორებულ არეალებში. პირენეის (ანუ იბერიის) ნახევარკუნძული ევროპის დასავლეთ ნაწილშია, ხოლო საქართველო ევროპა-აზიის გასაყარზეა განთავსებული. ჩვენ მიერ ესპანეთში სავალე სამუშაოების ჩატარების პერიოდში მოვიძიეთ ისეთი მასალა, რომლის შედარება-შეპირისპირების ცდა სამცხე-ჯავახეთის სოფელ უდეში მოპოვებული მასალასთან, მოგვცემს გარკვეული მსჯელობის საშუალებას სამომავლოდ. ესპანეთში მოძიებული მასალიდან ჩვენ შემოვიფარგლებთ მხოლოდ ესპანეთის ბასკეთის ერთ-ერთ პროვინციაში–გიპუსკოაში (Gipuzkoa) გავრცელებული დღესასწაულის ზოგიერთი ელემენტის წარმოდგენით, რომელსაც შეუდარებთ ესპანეთის სხვა არეალში, კერძოდ კატალონიაში, დადასტურებულ დღესასწაულს და განვიხილავთ მას ბერიკაობა-ყვენობასთან მიმართებაში.

80-იან წლებში დოც. მზია ზაქარიაძესთან ერთად დაგვევალა მოგვეძიებინა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დასაარსებლად ექსპონატები სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ჩვენ ხშირად გვიწევდა წლის სხვადასხვა დროისათვის დამახასიათებელი დღესასწაულებისა და საწესჩვეულებო რიტუალების ჩაწერა. სწორედ ამ დროს გვაქვს მოძიებული პარუნაშვილებისა და პეტაშვილების გვარის წარმომადგენლებისაგან, მეტადრე 80-

წელს გადაცილებული ინფორმატორებისაგან ბერიკაობა-ყეენობის ამსახველი სიუჟეტები და მათი ყოველგვარი ქმედებანი. (ამ ნაშრომის შექმნისათვის ძალიან გამომადგა ეს მასალა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ამ ორი გვარის ხალხს სოფ. უდეში!)

ბერიკაობა-ყეენობის შესახებ ქართულ და უცხოურ ენებზე არსებობს საკმაო ლიტერატურა, რომელთა შორის მნიშვნელობანია აკად. ივ. ჯავახიშვილის[1], ექვთიმე თაყაიშვილის, ნ. მარის, ვ. ბარდეველიძის, დ. ჯანელიძის[2], ს. მაკალათიასა და სხვათა შრომები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია წელს გამოცემული ცნობილი ქართველი ეთნოლოგის ქ-ნ ჯულიეტა რუხაძის შესანიშნავი წიგნი „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში", სადაც ავტორი ქვესათაურში „წყაროები და ისტორიოგრაფია" განიხილავს სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებას ბერიკაობა-ყეენობის შესახებ. პროფ. ჯ. რუხაძეს მიაჩნია, რომ ბერიკაობა და ყეენობა არ არის ორი დღესასწაული. „ყეენობაში ბერიკაობისაგან განსხვავებული რაიმე ახლის დანახვა ძნელია. ყეენობა ბერიკაობის ერთ-ერთი ეპიზოდია და მის ბუნებრივ დასასრულს წარმოადგენს. ახალი შინაარსით შევსებულ ორშაბათ დღეს ხალხმა ყეენობა დაარქვა, თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და სხვადასხვა დროის ბრძოლის ამსახველ დღესასწაულად აქცია. ყეენობა იწყება გაზაფხულზე. დიდმარხვის პირველ ორშაბათს, მას „ყეენობის ორშაბათსაც" უწოდებდნენ. რაც შეეხება ბერიკაობას, იგიც იწყება თებერვალში ან მარტში მოძრავი დღესასწაულის – ყველიერის დროს და გრძელდება ერთ კვირას, მას „ყველიერის კვირასაც" უწოდებენ"-წერს პროფ. ჯ. რუხაძე[3].

ბერიკაობა-ყეენობას სხვადასხვა სახელი ჰქვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგი მას ბერიკაობა-კეკენობას უწოდებს, სხვანი კუმეტობასა და ა. შ. სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ს. უდეში ბერიკაობა-ყეენობა უკავშირდება ნაყოფიერებას. ბუნების გაღვიძებას, „ხეში წყლის ჩადგომასა" და სხვა სასიცოცხლო მომენტებს. ერთი კვირის განმავლობაში ბერიკები და ყეენები აშარჟებენ, სარკაზმით ამკობენ ისტორიულ პერსონაჟებს. მათი სიუჟეტების პერსონაჟები იშვიათად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდებით. ძალიან საინტერესოა მესხურ-ჯავახური ნიღბები, რომლებიც ცხვრის ან თხის ტყავისგან არის დამზადებული. ცნობილი ეთნოგრაფი რ. ბლეიხშეინერი თავის ნაშრომში „Masken und Gestnachsbränche bei den Volkern des Kaukaus Osterreichshe Zeitschrift Volkskude, Vien №5, 6, 1952. Kongre βheft [4,6] ქართულ ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულს უდარებს ევროპის ქვეყნებში, გავრცელებულ ხალხურ საწესჩვეულებო რიტუალებს, რომლებიც ისევე, როგორც საქართველოში, უკავშირდება ნაყოფიერების კულტს. იგი მიუთითებს აგრეთვე ანტიკური კულტურის გავლენაზე. რ. ბლეიხშტეინერის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ მესხურ-ჯავახური ბერიკაობა-ყეენობა თავისი ფორმითა და შინაარსით ნაწილობრივ წააგავს ესპანეთში გავრცელებულ fiesta-ს, რაც შეეხება ბასკეთში, კერძოდ გიპუსკოას პროვინციაში, გავრცელებულ დღესასწაულს, მას ეწოდება სან-მიგელის festa (იგი მომდინარეობს ესპანური fieste-საგან), რომელიც ბასკი ქალის გარასისა და მისი სატრფოს მიგელის სასიყვარულო ამბებზეა აგებული. ამ დღესასწაულის წინა დღეებში მწყემსები ჩამოდიან თავიანთი სადგომებიდან, მოჰყავთ თითო-თითო თხა და ცხვარი, კლავენ მათ, ატყავებენ, ცეცხლზე აშრობენ, იკერავენ მისგან ტყაპუჭს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავსაბურავს–ნიღაბს თხის ან ცხვრის თავისაგან, ფეხზე ტყავის ქალამნებს (თასმებიანი პაჭიჭები) იცვამენ, რათა უკეთ იცეკვონ ცერული (ქალმაც და კაცმაც), აიღებენ დოლს, სალამურს, რომელზეც ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად უკრავს დოლზე, ხოლო პირით, ხელების დაუხმარებლად უკრავს სალამურზე. სიმღერის ტექსტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ხასიათისა, ზოგჯერ ძალიან უწმაწურიც. ბერიკების როლს ბასკეთში ბერცოლარები (ვულგარული მომღერლები, ტრუბადურები) ასრულებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დადებითი პერსონაჟები არიან. ხალხს ისინი ძალიან უყვარს. მათ კი არ დევნიან, პირიქით, სახლშიპატიჟებენ, ასაჩუქრებენ, ეფერებიან. მათი ნიღბებიც არ არის ძალიან სარკასტული და ბავშვებისათვის საშიში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშვიათ გამონაკლისს, როცა ბერცოლარები მგლის ტყაპუჭსა და მისი თავისაგან გეკეთებული ნიღბით არიან შემოსილნი. რადგან მგლის მოკვლა ძალიან ძნელია, ამიტომ „მგელ-კაცა"– ბერცოლარებს ნაკლებად შევხვდებით, მით უფრო გიპუსკოაში ჩვენს 85 წლის ინფორმატორს ხუან ოჩოას, თავად უნახავს „მგელიკაცა" ბერცოლარი. თავად მის გვარშიც ჩანს ძირი „ოჩო", რაც ბასკურად „მგელს" ნიშნავს, ბოლო a̲ არტიკლია. იგი რაღაცნაირად სანიმიგელის დღესასწაულს უკავშირებს მისი გვარის წარმოშობას. ეს დღესასწაული წინარე ქრისტიანული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ქრისტიანობაში წმინდა მიგელის დღესასწაულის სახით შევიდა. სან-მიგელის შესახებ ბევრი თქმულება არსებობს ბასკეთში, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოდის. ჩვენ აქვე გვინდა მოვიხმოთ პერსონაჟები ქართული ფოლკლორიდან – ოჩოკოჩი და ოჩოპინტრე, რომელთა პირველი კომპონენტი „ოჩო" მეგრულად ნიშნავს „თხას". ხოლო იმ ბერცოლარს, რომელიც თხის, ცხვრის თუ მგლის ტყაპუჭითა და მათი ნიღბებით არიან შემოსილნი–„ოჩო-გისას", „ოჩო-გისონას"(otxo-giza, otxo-gizona)-ს უწოდებენ ბასკები, რაც ქართულად ნიშნავს „მგელკაცას", „ვაცკაცას"(თხა), „ვამპირს", „ფანტომს", „მაქციას". შესაძლებელია ძველი ბასკის ცნობიერებაში „მგელი" და „ვაცი" (მეწინავე თხა), ორივე ერთი და იმავე მნიშვნელობით აღიქმებოდა. ამდენად, „ოჩოკოჩი", „ოჩოპინტრე" otxo-giza, otxo-gizonal (ოჩოგისა, ოჩო-გისონა) შესაძლებელია განვიხილოთ სავარაუდო პრაბასკურ-ქართველურ სიბრტყეზე. რაც შეეხება ბასკ იმპროვიზატორს ბერცოლას (bertsolari) მას ბასკი ენათმეცნიერები ასე შლიან berts, რომელიც ბასკურად ნიშნავს „დოლს", შემაერთებელი ინფიქსია, ხოლო lari პროფესიის აღმნიშვნელი სუფიქსია, ე. ი. „დოლზე დამკვრელი" ხომ არ შეიძლება ამ სიტყვაში ber კომპონენტის გამოყოფა, რომელმაც შესაძლებელია გვაფიქრებინოს „ბერიკა"-სთან სიახლოვეზე. ბასკისათვის რთულია bertsolari-ში ber-ის გამოყოფა, რადგან ber ბასკურად უკავშირდება არ „ბებერს", „ძველს", „ხნიერს", არამედ იგი ბასკურად ნიშნავს „ახალს". მართალია ზოგჯერ ეტიმოლოგია არ არის სანდო, მაგრამ ამის არშემჩნევა, რასაც ლინგვისტისა, თუ ეთნოგრაფის თვალი ხედავს კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ არ იქნება სწორი-ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია...

ამგვარად, ქართულსა და პირენეულ დღესასწაულებში დანახულ საწესჩვეულებო რიტუალებს ზოგიერთი საერთო ელემენტი ღრმა ეთნო-ლინგვისტურ შესწავლას მოითხოვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. *ივ. ჯავახიშვილი*, „ქართველი ერის ისტორია, წიგნი", I, 1951.
2. *დ. ჯანელიძე*, „ქართული თეატრის ისტორია", 1918 წ.
3. *ჯ. რუხაძე*, „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში", თბ., 1999.
4. *R. Bleichsteiner,* Masken und Gestnachsbruche... 1952, #5, 6 , Vein, Kongre βheft.

Greta Chantladze-Bakradze

SOME ELEMENTS OF THE 'BERIKAOBA-KEENOBA FOR THE ANALYSIS OF PYRENEES PARALLELS

summary

There's considered the rite of Georgian celebarution the Berikaoba Keenoba with its conception, there's analysed its geoyraphical area of spread. There's presented to consider the rites of the Berikuoba-Keenoba one of the regions of Georgia in Samtskhe-Gavakheti which looks like the Fiesta, the celebration in Spain, and is spread in Basquet and in Katalonia, and some elements, for example: clothes, masks and acts of Fiesta are the same as in the Berikaoba-Keenoba.

Ther're elements of the Berikaoba-Keenoba and the Basques still remember them, and these are reflected in their celebrations, it is also spread in some of the peoples celebrations in Pyrennes island countries.

This event may consider in the typical way if we discover any elements of Georgian riten in Basque Fiesta, then we can consider these events on the genetical area.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

ნინელი ჭოხონელიძე

ერთი ლექსიკური ომონიმის შესახებ

პოლისემიასა და ომონიმიას შორის ურთიერთმიმართების გამორკვევა, მათი შესწავლა როგორც ზოგადენობრივი, ისე წმინდა ისტორიული თვალსაზრისით ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური საკითხია.

თუ სად თავდება სიტყვის პოლისემიურობა და სად იწყება ომონიმია მკვლევართა მიერ სადავო საკითხადაა მიჩნეული. მათ განსასხვავებლად სხვა საშუალებებთან ერთად, როგორიცაა მაგ., ომონიმური სიტყვებისათვის შესაბამისი სინონიმური წყვილების დაძებნა და შედარება, სხვა სიტყვებთან დერივაციული კავშირების დაძებნა თუ სხვა ენებში მათ შესაბამის ერთეულებთან შეპირისპირება, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ომონიმური ცალებისა და პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიისა და წარმომავლობის გარკვევა, მათი ეტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინება. ამასთან რაკი სალიტერატურო ენაში ხშირად სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფიქსირდება ესა თუ ის სიტყვა, ამიტომ სიტყვის ომონიმურობისა და პოლისემიურობის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იყოს საკუთრივ დიალექტური მონაცემებიც.

ამჯერად ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ აჭარულსა და ჯავახურ დიალექტებში დადასტურებულ სიტყვას სოხრა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჯავახურ დიალექტს პირობითად ვხმარობთ, რადგან როგორც არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, ჯავახურს იმდენი რამ აქვს საერთო მესხურთან, რომ ამჟამად მის ცალკე, დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფა გაჭირდებოდა, ვიდრე სრული სახით არ იქნება შესწავლილი ის მსგავსება და განსხვავება, რომელიც არსებობს ამ დიალექტურ ერთეულთა შორის (არ. მარტიროსოვი, 1984, გვ. 4).

აჭარული და ჯავახური დიალექტური ლექსიკონები ამ სიტყვის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდიან.

სოხრა (თ. დიალ. surha): 1. მდარე, ცუდი; 2. გად. ბეგარა; სოხრათ ზმნს. უგულოდ, გულგრილად, უხალისოდ, ნაძალადევად (საქმის გაკეთება); „შენ სულ მასე იცი, ყველამჟერ სოხრათ კიდეფ ხელი“ (აჭარ., ნიჟარ.), „გააკეთე ხეირიანათ, სოხრა ხუ არ არის, შვილო“ (ჯავახ., ბერ.), „ქრისტიანებს ხშირად ამუშავებდნენ სოხრაზე“ (ჯავახ., ბერ., მარტ.).

როგორც ვხედავთ, სოხრა აღნიშნული ლექსიკონების მიხედვით პოლისემიური სიტყვაა და მის მნიშვნელობათა შორის კავშირი ლექსიკოგრაფების მიერ ახსნილია როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორით გამოწვეული გადატანითობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოვადგენთ თითოეული მნიშვნელობის ისტორიას ცალ-ცალკე.

ბეგარის მნიშვნელობის სოხრა იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც მე-11-13 საუკუნეთა წერილობით წყაროებში დადასტურებული იმავე მნიშვნელობის სუხრა. ო და უ ხმოვნების მონაცვლეობა ქართულში ცნობილი ფაქტია (ივ. ქავთარაძე, 1964, გვ. 262). ქართულ წერილობით ძეგლებში სუხრა და მისგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

ვით სამსახურებელი ციხეთაჲ არაი ზედა სდებია და, ჟამთა შლილობისათა შინა ოდესმე, მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა მათ ზედა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითა არაი ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიხდია, გარდაგუიგდია და ყოველისაგანვე გაგუითავისუფლბიან (ქსძ., II, 2). გლეხსა არ სუხრაობაი, არ გენდგაობაი, არ მოწიგნურებაი, არ საბანჯრე, არ სახმარი და არაისთანაი არა (ქსძ, II, 45,2). ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიხსენებია, იგი და ანუ წაღმართ მოიგონ, იგიცა, ყუელაი უბაჟოდ და უსახრაოდ ყოვლისა სასეფოისა გამოსავლისაგან ჰქონდეს (მრავ. 96,15).

მუსუხრაობა‖მესუხრეობა – შრომითი ბეგარა. არა უკმს ეპისკოპოსთა ანუ მოყუასთა ვიეთმე იძულებაჲ ნაყოფთმრთუმელობისათჳს, ანუ მესუხრაობისათჳს (დ.სჯ; 168,42, სარჯ.). არავის აიძულებდნენ ნაყოფის შემწირველობად, ანუ მესუხრეობად რაითურთ (იქვე, 154, 29).

ლექსემა სუხრა აჭარულსა და ჯავახური დიალექტების გარდა შემონახული უნდა იყოს ქართულ ქალაქურ ჟარგონშიც. გაასუხარა (ქართ. ებრაელთა მეტყველებაში გაასოხარა) – „გაყიდა". მაგ. ეს საათი გამისუხარე; რა შმოტკა გაასუხარა. კ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ŚIIP(shr)ძირიდან, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს „ყიდვა-გაყიდვა", „გაცვლა-გამოცვლა". ჟარგონში დამოწმებული სიტყვა მიღებული უნდა იყოს ფორმიდან sōhēr, რაც წარმოადგენს Qal თემის მოქმედებითი გვარის მიმღეობას „ვაჭარი, ის ვინც ყიდის" (კ. დუმბაძე, 1979, 32). ჩვენი აზრით, სუხრა ძვ. ქართულში ებრაული ცოცხალი მეტყველებიდან, კერძოდ, ებრაელი ვაჭრების პროფესიული ლექსიკიდან ნასესხები სიტყვაა. საქართველოში მცხოვრები ებრაელები უძველესი დროიდანვე მისდევდნენ სააღებმიცემო საქმეს, მევახშეობას, ცნობილია ისიც, რომ XI-XII საუკუნეთა საქართველოში აზნაურთა შემდეგ როგორი პრივილიგირებული ფენა იყო ვაჭრები, ამასთან როგორ „იზრახებოდა ენა ებრაული ქართლსა შინა". ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ებრაული პროფესიული სიტყვა ზეპირი გზით დამკვიდრებულიყო ჩვენში.

აჭარულსა და ჯავახურში იგი ძველი ქართულის ზეპირი მეტყველების ნიმუშს, მის არქაიზმს წარმოადგენს, ქალაქურმა მეტყველებამ კი ჟარგონის სახით შემოგვინახა. რაც შეეხება მის ებრაულ და ქართულ მნიშვნელობებს „ყიდვა-გაყიდვა" და „ბეგარა", მათ შორის, ვფიქრობთ, გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს, რადგან ხშირად ნასესხები სიტყვა საგნობრივ მიმართების მიხედვითაც მოსწყდება ხოლმე პირველ წყაროს და ახალ გარემოში მისი მნიშვნელობა დამოუკიდებლად იცვლება. შემოსული სიტყვები არა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ სემანტიკურ თავისთავადობას იძენენ, არამედ მოხმარების სფეროს მიხედვითაც თავისებური გზით მიდიან და, შესაძლებელია აღარც შეინარჩუნონ წყარო-ენისათვის დამახასიათებელი ელფერი (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 379).

აჭარულსა და ჯავახურში დადასტურებული „მდარის", „ცუდის" აღმნიშვნელ სოხრას შ. ნიჟარაძე, გრ. ბერიძე უკავშირებენ თურქულ დიალექტურ ფორმას surha. ჩვენი ისტორიიდან კარგადაა ცნობილი აჭარის, სამცხე-საათაბაგოსა და თურქულ ენობრივ სამყაროს შორის თუ არა მიმართება არსებობდა, ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ამ დიალექტებში „მდარის", „ცუდის" აღმნიშვნელ თურქულ surha ცოცხალი მეტყველებიდან ფონეტიკურად ცვლილი სოხრას ფორმით შემოსვლა. მაგრამ ერთს კი აღვნიშნავთ, რომ იგი ახალი ნასესხობა უნდა იყოს, რადგან არ დასტურდება იგი საბას „სიტყვის კონაში", რომელშიც ფიქსირებულია მე-17 საუკუნის დასასრულისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის თურქული ენის ცოცხალი გამოთქმებით, თურქული დიალექტური მასალა (ც. აბულაძე, 1968). გარდა ამისა, საბა ხანგრძლივად იყო ემიგრირებული ახალციხეში, რომელიც იმ დროისათვის ოსმალთა მფლობელობაში იყო და ჯავახურში ნასესხები თურქული სიტყვა საბას, რა თქმა უნდა, ეცოდინებოდა და სათანადო კვალიფიკაციასაც მისცემდა თავის ლექსიკონში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აჭარულ და ჯავახურ დიალექტურ ლექსიკონებში პოლისემიურ სიტყვად მიჩნეული სოხრა 1. მდარე, ცუდი 2. გად. ბეგარა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული მეტყველების ნაწილების ფონეტიკურ დამთხვევასთან: სოხრა მდარე, ცუდი თურქ. surha, სოხრა „ბეგარა"← ებრ. sōhēr. ამიტომ ისინი სათანადო დიალექტურ ლექსიკონებში ცალცალკე უნდა აისახოს, როგორც დამოუკიდებელი ლექსემები.

ლიტერატურა:

1. *ც. აბულაძე*, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968.
2. *კ. დუმბაძე*, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეკან მარდი, II, თბ., 1979.
3. *არ. მარტიროსოვი*, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
4. *ბ. ფოჩხუა*, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
5. *ივ. ჯავთარაძე*, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.

შემოკლებათა განმარტება:

აჭარ. ნიჟ. – შ:. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971.

დ. სჯ., სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

მრავ. – ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124 წ.), მრავალთავი, IX., თბ., 1981.

ქსძ. II. – ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

ჯავახ. ბერ., მარტირ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981; არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Nineli Chokhonelidze

FOR ONE OF THE LEXICAL HOMONYMS

Summary

In Azharian and Djavakhian dialectical dictionaries word "Sochra" is considered as a polysemial one, that is explained so: 1. Inferior quality; 2. Figuratively -duty.

According to the statistical point of view it may be a lexical homonym, as diacronically, alternative, different generation's, various speech of parts concided to each other phonetically, because of it they must be placed in different dialectical dictionaries: 1. Sochra "Inferior quality, bad" ← Turkish Surha; 2. Sochra : "duty" ← Jewish Sōhēr.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

გიორგი ჯავახიშვილი

გიორგი ლეონიძე - მესხურ-ჯავახური სიტყვების მოკალმასე

1946 წელს გიორგი ლეონიძემ სამცხე-ჯავახეთში იმოგზაურა. მაშინ შექმნა დიდმა პოეტმა ლექსთა ციკლი და თავის უბის წიგნაკში სალექსიკონო მასალები ჩაიწერა.

გიორგი ლეონიძეს თავის უბის წიგნაკში უმთავრესად დაფიქსირებული აქვს მცენარეული, საოჯახო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ახსნა-აღწერილობანი. ზოგიერთ სიტყვას პოეტმა კახური, გარეკახური და ქიზიყური შესატყვისები მიაწერა და საილუსტრაციო ჩანახატებიც დაურთო.

ზემოხსენებული უბის წიგნაკიდან ჩანს, რომ დიალექტური ლექსიკის ზოგიერთი ნიმუში პოეტს ადრევე ჰქონდა ჩაწერილი, მაგრამ მოგვიანებით, მათი ახალი ან განსხვავებული მნიშვნელობა დაადასტურა.

მკითხველს უცვლელი სახით ვთავაზობთ პოეტის მიერ ჩაწერილ მესხურ-ჯავახურ სატყვებს. უბის წიგნაკიდან ირკვევა, რომ გიორგი ლეონიძემ აღნიშნული სატყვები შემდეგში უკვე გამოცემულ ლექსიკონებს შეუდარა და შემოწმების დასტურად მათ ხაზი გადაუსვა, ხოლო განმარტებები უცვლელად დატოვა.

ამრიგად, ხელთა გვაქვს გიორგი ლეონიძის მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩაწერილი 300-ზე მეტი სიტყვის ლექსიკონი. ვფიქრობთ, რომ იგი სპეციალისტებს კარგ სამსახურს გაუწევს.

ჯავახეთი

ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ ᲝᲜᲘᲡᲘᲛᲔ — მთხრობელი
ᲛᲐᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲡᲝ — მთხრობელი

ჭოჭონიკი - *ურმის დანდალი*
თარი - *ურმის ზენარი*
ყვარნა - *კვარნა ურმისა*
ბასხი - *მრგვალი ხე, რომელიც კეთდება შუა დანდალის ზედ, რომ ურემს მეტი სიმაგრე ჰქონდეს.*
ბასხი - *კვარნების შუა ურმის უბეზე (უბის ზედა მხარე) დაფარული ხის ნაჭერი.*
თერო - *ბალახია, ფოთლით წაგავს ჭინჭარს. ერთ მტკაველზე მეტი ძირი აქვს, რომელიც შავი ფერისაა. გაუფცქვნელი იჭმევა.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჩიტა - გაშლილ ფოთლიანი მცენარე. ძირი აქვს მიწაში გრძლად და მრგვალი, ტანის ფერია. იჭმევა როგორც ფოთოლი, ისე ძირი.

კოპრჩხილა - მცენარეა, სამყურას წააგავს ფორმით, თუმცა ზომით მასზე დიდია. ხმარობენ მწნილად.

კვლიავი - სურნელოვანი მცენარეა. იხმარება საჭმლის შეზავებისათვის გამხმარი სახით.

აპუტარაკი - სიმინდის მაგვარი მცენარეა, როგორც ბორჯომში.

წიწილწყვეტია - თავყვითელი მცენარეა, ღერო იჭმევა

ყვავისგულა - თავთეთრა ბალახი, ყანების სარეველაა.

კარჩხანა - პატარა თევზია ერთგვარი.

ლიფსიტა - პატარა თევზია ერთგვარი, კარჩხანაზე პატარა.

ციცხვაკოვზა - თავკომბალა.

ბაჩაჩა - დაბალი ტანის კაცი.

აყლაყუდა - მაღალი (ტანის) კაცი.

ფიჯი - დაბალი უშნო კაცი.

ჩირქინი - მახინჯი ადამიანი

ქვებუდანი - მელა, გველაძუა კაცი.

კოჭატა - 1) დაბალი ტანის ქალი.

2) პატარა ნიჩაბი, ნაგვის ასაკრეფი

საგველა - გრძელ ჯოხზე დახვეული მჩვრები, რომლითაც გამოსწმენდიან.

ჩარალული - ფურნის მთავარი კარების გვერდით პატარა კარები.

ლაფათა - ბალიში ტარიანი ლავაშის ამოსაკრავი თონეში.

საენდო - ნახვრეტი მილი თონის ძირში, ჰაერის სამუშაოდ.

ჭოჭიალა - სამგოგორიანი ბავშვის ფეხის ასადგმელი.

ტალენქი - თეფში (ჩვეულებრივი).

კოჭობი - პატარა ქოთანი

ატოლი - მიწავაშლას მაგვარი ნაყოფია, ამოდის ყანაში.

ხარიკუდა - ბუსუსიანი მცენარეა, გაფცქვნილი იჭმევა.

ზღრუბლი - კარების ზღურბლი

ფარვაზი - გამაგრებულ ნახევარ კარებს გარედან მიკრული რეიკა რომ აქვს.

ყაზმა - წერაქვი

ჭინჭილა - პატარა დოქი წყლისა

კათხა - ყანწი

ფარატინი - ქალმის ტყლაპი

ბანდი -

ვარია - სადღვებელი

ვარიკა - პატარა ქათამი

ყუბური - დანის ბუდე, ქამარზე ჩამოკიდებული

ჩერდანი - დანის ბუდე, ქამარზე ჩამოკიდებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩორჩიტო - *რჩოლი (გ.კახ.) - წნელის რკალი, ურმის მორგვის და ჭინჭილას შუა.*
ბუილა - *ჭინჭილაქი*
ბაბა - *ტახტის ზევით მიკრული ფიცრის პატარა თარო.*
საქვო - *ტახტი*
ზარფუში - *ზარფუში*
ლულუკი - *ზარფუშის ლულა, რომელიც აერთებს საარყე ქვაბს და გასაციებელ მილს.*
თოხმახი - *მარილის სანაყავი თუჯისა.*
მისასაქრი - *ბუხრის მისაფარებელი, რომელიც იცავს ბოლს ქარისაგან. წაავავს არნადს, რომლის ტარი ჩამაგრებულია ბუხარში.*
არნალი - *არნალი*
კაბლო - *კაბლო*
ზალო - *ტყავის შოლტი*
ასაკრავი - *ორი დაგრეხილი ტყავის შოლტი, რომლითაც ულელს ამაგრებენ ურმის თავზე.*
ჩაჩანაკი - *ჯაჭვის შუაში მბრუნავი ნაწილი, რომ ჯაჭვი არ დაიგრიხოს.*
ჭაპანი - *მსხვილი თოკი*
საწკეპი - (*საწყვეტი - კახ.*) - *შოლტის ბოლოზე მობმული მოკლე თასმა.*
ადა- *პატარა კუნძული მდინარეში.*
ბილაზოგი - *სამაჯური*
თასპა - *კრიალოსანი*
ქეჩა - *ნაბდის ქულა*
ხერძალი - *Насилка, ჯინი*
თავანი - *სახლის ლამფა (ჭერი)*
ოჭლაგი - *დაბამბული ჟილეტკარასავით*
ხანა - *ფარდაგის მოსაქსოვი იარაღი*
ფიჩვი - *ფარდაგი*
ქირქიტო - *ნაქსოვის დამბეჭდავი ბეჭი, ხისაა.*
ჰოვა - *პატარა ქირქიტი თუჯისა*
სათითარი - *სათითე*
ბაშლული - *მოქსოვილი და თავზე ჩამოსაცმელი, იფარავს სიცივისაგან. უჩანს მარტო პირისახე.*
ტიტა - *საჭმელი ბალახი*
ჰოვერა - *მცენარეა, ამოდის ნამუშევარ, განოყიერებულ მიწაში, მოხარშული იჭმევა.*
ჰოროვანდი - (*მეთენგა-ბორჯომი*) - *მცენარეა*
ლახანა - *კომბოსტო*
შალღამი - *მცენარეა (როგორც ბორჯომში)*
სისხახვი - (*ციცკიხახვი-ბორჯომი*) - *მრავალწლიანი ხახვი*
ბუნული - *ბულული*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძირი (თივისა) - *ძირი*

(მ) თაია - *თივის დიდი ძირი გრძელი*

თულო - *დავრეხილი თივის თოკი.*

დვირი - *ხე, რაშიაც მიმაგრებულია საკვეთი და სხვა (ქიზიყ.-ლვილი)*

ღირღიტა - *გუთნის პატარა თვალი*

ცანლი - *რკალი ან თოკი, რომელშიც გაივლის მთელი გუთნის ჯაჭვი. გაკეთებულია გუთნის შოლტკავზე.*

ბეწვა - *გათლილი ხე, რომელიც მავრდება მარხილის მოკაუჭებული ნაწილის ძირზე.*

ფიგი - *ცერცვის მაგვარი მცენარეა.*

გოგორა - *ურმის თვალი*

სალტა - *რკინა, შემოკრული*

ლორცოფინა - *(ლენციფა) -შხამიანი მცენარე*

ბატბატა - *შხამიანი მცენარე*

ღრიანჭველა - *მცენარეა, იზრდება მეტრზე დიდი, გაუფცქვნელი ღერო იჭმევა.*

ძეწნი - *ტირიფი(ძერწვი-მეგრ, ზეწნა-გურ.) - ტირიფი*

ქილარი - *საცივარი ოთახი*

თონა - *(აბზინდი-გურ. მანიკი-მეგრ.) - ქამრის შუა ბალთა,რომელშიაც იკერება ქამარი.*

სირთღა - *პატარა ფრინველია.*

ქვაკოღა - *პატარა ფრინველია.*

ყვინჩა - *(სკვინჩა-გურ. კვინჩა-მეგრ.) პატარა ჩიტია ერთგვარი.*

ღიმი - *ატოლიას ღერო.*

ერდო - *მიწურ სახლის ჭერის სარკმელი.*

მატუკი - *მცენარეა, ძირი იჭმევა.*

კოპჭა - *დუგმა.*

ფაგი - *დანგრეული სახლი.*

ჯუდამო - *ჯუდი ადამიანი.*

დალაბი 1) *თახჩა,* 2) *წისქვილის ქვა.*

გუგუმი - *სპილენძი ჭურჭელი.*

მაშრაფები

მაშრაფა - *თუნუქი ან სპილენძის კრუჟკა.*

თათმანი - *ფელჩატკი*

ქუდუნა - *ბალახია ერთ.*

ქუდა - *შურია*

ჯვალო - *მოქსოვილი ტომარა*

ხორტალი -*მატყლის დასართავი, თითის ტარი*
-*დაწნული მატყლის პატარა თოკი.*

ქაში ქარშაკი - *როგორც ჩვენში*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩელტი - ლასტი.

ჯანჯუხა - ჩურჩხელა

აკოში - ფქვილის პატარა ტარიანი ხის ხელსაწყო (ნიჩაფის მაგვარი, მხოლოდ ნაპირები აწეული აქვს,) რომლითაც დაფქულ ფქვილს ყრიან მეშოკებში.)

თეში - დიდი თითის ტარი, რომლითაც ძახავენ მატყლის ნართს.

-მრგვალი ხე, რომლითაც ათხელებენ ცომს სალავაშედ.

უნდავი - მრგვალი ხე, რომლითაც ათხელებენ ცომს სალავაშედ.

ყალაღი - ნედლ წივას კედელივით რომ გაამწკრივებენ გასახმობად.

ახოჩი - ბოსელი (საერთოდ)

გზირი - გზირი

კაჭაჭი - საერთოდ ხმელი ბალახი.

ხვეწი - ხის კოვზის ამოსათლელი რკინის იარაღი.

ბაკლა - ცერცვანი მცენარეა. ცეცხლზე დიდი მარცვალი აქვს.

ჭორანკალი - ჭორიკანა ადამიანი.

ფალავარი - კაჩების კოჭებ ზევით რომ ხეა, რომელსაც უჭირავს კედელი.

ანყოლი - კარების კოჭი, რომელზედაც ჰკიდია კარები.

თაუშავი - საუჩველი (საქონლისა)

დერეფანი - დერეფანი.

ბაქანი - სახლის წინ დალაგებული ბრტყელი ქვები, რომლებზეც ადამიანები დასხდებიან ხოლმე.

ტაბაკი - ტაბაკი?

მაქვი - თუჯის ზურგამოწეული ფირფიტა, რომელსაც სდებენ სამ ქვაზე, რომელთა შორის ცეცხლი ანთია. ამობურთულ მხარეზე აცხობენ პურებს.

ჰალხაში - ქვისგან შემოღობილი საქონლის საზაფხულო ბაკი.

ფისკვილი - ფუნჯიანი ბაწარი, რომელიც ქულიას შუაშია ხოლმე მობმული და ფუნჯი ჩამოჰკიდებს გვერდით?

სალათა - წნელისაგან მოწნული მრგვალი ხახალი (როგორც კასპში), იმით გობიდან ამოიღებენ ხოლმე გარეცხილ ხორბალს.

კიდობანი - სკივარი

ხეჩარკეტი - სწორე ხე, რომელსაც ბოლოში აქვს რკინა. ამ ხით ურევენ ფურნეში ცეცხლს.

გვენი - ფიცრის კუთხეების გასაზომი იარაღია დურგლებისა.

ქვიშტარა - სალაშინის მაგვარი იარაღი.

თაღბოლავი - ხელეჩოს, ცულის და სხვა სალესავი.

მტუტე - ძლაშე.

ქინსირი - თუ ხელეჩოს და სხ. პირი ძლიერ გაფუჭებული აქვთ, გამოლესავენ ქარსით, რომელიც მაგარი და ხორკლიანია.

- ტალახიანი ადგილი.

ლიშხო - სახლის სინოტივე. ამბობენ: „სახლი დალშხაო“, როცა ნოტიო გამოვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კედლებზე.

პინა - ხის ჯამი, ჩვეულებრივი ჯამის ტოლაა.

საქლამი - ტომარა

აბზინდა - სურნელოვანი ბალახია, რომელსაც ტახტის ქვეშ შეინახავენ, რომ ტილი და რწყილი ამოწყდესო.

ჩიგლამა - თხელი ჩითი.

ტარლი- დამჯდარი თივა, მოჭრილი ბაძით და დაწყობილი გასაშრობათ.
აქედან ახალციხეა

ბელყაიში - თასმა, რომელსაც ახვევენ ტაჩკის სენაზე და სედოლკაზე გაატარებენ.

ლავარძაღლა - მრავალძარღვა.

მახარა - მოთეთრო დიდი ვაშლი, აქვს წითელი ზოლები.

თავრეჟული - მგარი ჯიშის მსხალი, ხმარობენ მწნილად.

ნანაძირი - მსხალია ერთგვარი, გულაბის ტოლია, ძრიელ ტკბილია დამწიფებისას.

კვირისტავა - მსხალია ერთგვარი, როცა მწიფდება, შიგნით შავდება.

მარიამა - პატარა მსხლის ჯიშია, იზრდება კაკლის ოდენა, შენახული სახლში მწიფდება და შავდება.

ტიმარა - თევზია ერთგვარი, ულვაშებიანია, ტუჩები აქვს ძლიერ მსუქანი, იზრდება დიდი ზომისაც.

ფლტეჩი - ფატეჩი

თოხავჯი - მოკლე თავგასქელებული ჯოხი, რომელსაც ხმარობენ მატყლის გარეცხვის დროს.

ტყლაპი - ტყლაპი (ქალმისა)?

ხანდი - მორგვი (ურმისა)

ბანაგადი - შტრიპკიანი პაჭიჭი, ჩუსტებზე რომ იცომენ.

თურაფლა - ჩუსტი (ჩვეულებრივი)

ჭინჭიქი - გათლილი ხის, ან ფიცრის პატარა ნაჭერი, რომელსაც სიცივით გასთლიან და ცულით ოდნავ გაპობილ კოჭში, ან ბოძში ცერად ამაგრებენ. ჩაქუჩის დარტყმით ზედ ჰკიდებენ ტანისამოსს თუ სხვა რამეს.

სისაონი - ჩვეულებრივი ხელის ხერხი.

ქიშა - ოთხლიტრიანი დოქი.

აყეფებული - ხალხის რწმენით, ახალი ზოგი მკვდარი საფლავიდან ადგება სუდარით და მივა ვისთანმე და დააღრჩობს, აქედან, მკვდარს ეძახიან აყეფებულს.

ხოველა - სვია.

ატოლი - მიწისვაშლას მავვარია, სხვაგანასცანა სწერია.

ნიღრი - ცულის წვერი.

კატარი - ფიჭვი.

ხეჭრელა - ხეა ერთგვარი, იზრდება წვრილად. აქვს შავი კანი თეთრ წერტილიანი, ხმარობენ მენახირეები კომბალად.

უზნი - წვრილტანიანი ხეა, რომელსაც ხმარობენ ხელში დასაჭერად ჯოხებად, მისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანი იხმარება ძროხის მუცლის წინააღმდეგ?

სექვი - *გრძელი ტახტი. (როგორც პატარძეულში)*

ქომონი - *დიდი მრგვალი პური ფურნისა.*

ძეწნი - *ტირიფი.*

არუნა - *კავი(სახვნელი).*

მანჭუა - *გუთნის ხელის საჭერი.*

ჯიღლია - *ბორბლებიანი კავი (სახნავი).*

კარაპანი - *ოთხბოძიანი ჩარდახი, რომლის ქვეშ ინახავენ ურემს და სხ.*

ბერა - *ბერა (ცხვრებისა).*

ხაფანგი - *ბუხრის დასახური ტარიანი ფიცარი. ხმარობენ, რომ სიცივე არ ჩამოვიდეს.*

ქარსანგი - *ხის დიდი ჯამი.*

რუბი - *ხის კასრი, ჩადის 10 გირვანქა.*

ხელამბარი - *პატარა ამბარი (ბელელი)*

ოჯახი - *ბუხარი*

სამკვრავი - *ბოძზე გამაგრებული ფიცრის ნაჭერი, ჭრაქის დასადგმელი.*

ერსი - *ცელის გამოსაკვრევი პატარა გრდემლი.*

ხარო - *ბელლის თვითოეული ნაწილი. სხვადასხვა ხაროში იყრება სიმინდი, ქერი და სხვ.*

ჯინჯილი - *პატარა ძეწკვი.*

კოტრიელა - *ბზრიალა.*

ბიზი - *სადგისი.*

აყირო - *გოგრა შავკანა, იჭმევა.*

ავაზანი - *წყლის ნავი.*

ყარყარა - *ჭერის კოჭებ შუა შიგნიდან დარჩომილი ალავი, სადაც ათას წვრილმანს ინახავენ.*

თავკაპო - *ხარის დასაბმელი რკალის თასმა, რომლითაც რკალი იკეტება.*

კაპრაში - *წნელი, რომელიც დაგრეხის დროს ტყდება და არ იგრიხება. ხმარობენ აგრეთვე ყველა იმის სახელად, რაც არ იგრიხება და დაგრეხის დროს ტყდება. მაგ. კაპრაში შეიძლება მსხვილი ბალაზიც იყოს.*

ხრჩოლი - *წნელის რგოლებიანი გრეხილი, რომლითაც ბაგაზე ამაგრებენ ხარის დასაბმელ რკალს.*

ფშანი - *წვრილ ტანიანი დაბალი ხეა. უტოტოა. ხმარობენ კალათების, გოდრების, დასაწნავად.*

ძარი - *დიდი გოდორი, რომლითაც ნაკელს ზიდავენ მინდორში. სდებენ ურემზე.*

ჩათანი - *ძარზე დიდი გოდორი, რომელშიც ინახავენ სიმინდის ტაროებს (სიმინდიანას).*

ხორხოტო - *სველია.*

სათირი - *მოკლე ტარიანი, სქელ პირიანი დანა, რომლითაც ჰკეპავენ ხორცს.*

ღვარნაში - *ნიაღვარი.*

ჭოჭი - *ჭაობიანი ალავი.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზარი - ბირდაბიარი (ხერხი).

ხანდაკი - ყანის პირას ამოჭრილი პატარა კანაფა, რომ ხალხმა და საქონელმა არ იაროს ყანაზე.

სარო - ბალახიანი მთისა, ჭინჭარივით აქვს ბუსუსები, მოსოსნი ფერიასყვავილები აქვს. ვისაც თავის სტკივა იმის წვენით იბანენ თავს.

ნეგო - ჩაის ფოთლის მაგვარი ფოთლიანი მცენარე. სურნელოვანია, მისგან ხარშავენ ჩაის.

ასისთავა - ბალახია, მოგრძო ფოთლიან თავზე იკეთებს ორ ყვავილს, ლურჯი ფერისას.

ოქროღილა - ბალახია.

ვირისგვერდა - ბალახია, ცერცოვანია, ოთხი მარცვალი აქვს. სჭამენ.

ღალაღუნტა - მიწის ზევით ამოდის მხოლოდ ფოთოლი, ძირი შავია, გაფრცქვნილი იჭმევა.

პრიჭიტა - ქვიან ადგილას ამოდის, მოთეთრო ყვავილი აქვს, სურნელოვანია.

გარსი - ფოშტა (ფიცარი).

ბარბალუკა - ბანებზე ამოდის, ხშირ თესლიანი მცენარეა?

კორკატინა - მცენარეა, ღილების მაგვარ ნაყოფს ისხამს, ნაყოფს სჭამენ.

კუნუნი - სიმინდ გაცლილი სიმინდის ტარო.დანდი–ჭარხაკიას ღვედი.

გუგუმი - სპილენძის თუნგი.

ფამფარა - რძიანი მცენარეა ერთგვარი.

აყვერება - როცა მცენარე გამოისხამს თესლებს.

ჩიტაწკეპლა - წითელი სწორი და წვრილი ტანის ხეა ერთგვარი.

ბარკლია - ჩიტაწკეპლა.

ზესვლა - ადრეულ მსხლის მტრედის კვერცხის ტოლაა, ძლიერ წყლიანია.

ალიბუხარი - ქლიავია ერთგვარი, მოყვითალოა, მრგვალია, მჟავე გემოსია.

კარკუნტელი - შავი ქლიავია, მრგვალი, მჟავე გემოსია.

ქერდიკა - პური და ქერი ერთად შერეული.

გლერმი - ეკლიანი, ბუქოვანი მცენარეა. გაჭრილი ფესვიდან გამოდის ცხიმი, რომელსაც ეძახიან „გლერმის ერბოს“ ამ ერბოს იღებენ დანით და სჭამენ.

რაკრაკა - თეთრი წითელზოლებიანი, მოგრძო ვაშლა, თესლი რაკუნობს.

სობა - თეთრი, წითელზოლებიანი მოგრძო ვაშლი, ძლიერ ტკბილია.

ფოლიო - მთის მცენარეა, სამყურასავით ყვავილი აქვს, მხოლოდ ფერით მოყვითალოა, ხმარობენ წინდების შესაღებავად.

ღვალეშმაკა - ძლიერ დიდ ფოთლიანი მთის მცენარეა, ამოდის ჭაობიან ადგილას.

ქარაქოზი - ამოდის ქვაზე, ფერფლოვან მონაცრო ფერისაა; აძრობენ ფრჩხილით, ღეჭავენ პირში, ნერწყვი უწითლდებათ. ასეთ ნერწვით იღებავენ წითლად ხელებს.

ურო - (ბალახი).

ღოჯი - დესვი (საერთოდ).

შავტრაკა - მოთეთრო ფერის მრგვალ ფოთლიანი მცენარეა, ლურჯი ყვავილი აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაფცქვნილ ღეროს სჭამენ.
ჭელი - *რასაც ცელი გაიტანს.*
ღვარვჭული - *შეგოვილი ქუდები?*
დედო - *პურის ხაში.*
დოლაბი - *1) წისქვილის ქვა. 2) თახჩა.*
სალა - *მოწნული ხახალი*
დოღობაჭი - *დოას შეჭამანდი.*
ყურუთი - *დამრგვალებული, გამხმარი მზეზე, დო.*
ჭირიხტა - *პურის ნაჭერი ამოვლებულ გათქვეფილ კვერცხში და ერბოში შემწვარი.*
ჭუმბური - *დაფხვნილი პური მოშუშულ ერბოში.* √
ღალაღუნტა - *ფართო ფოთლიანი ბალახია, გაფრცქვნილი იჭმევა.*
მისინძირა - *მზესუმზირა.*
ყვავილფრჩხილა - *კოფჩხილა.*
მიხრიკი - *პატარა მსხალია ერთგვარი.*
ბლაჩუნა - *დავარდნილი კაცი, ხალხს რომ ვერ მიჰყვება.*
ბოქშუა - *მსხალია ერთგვარი.*
თარფი - *წყალში ბოძებზე გაკეთებული პატარაქოხი, საიდანაც იჭერენ თევზებს.*
ჩეჩილი ყველი - *ძაფებად რომ იხდება, ხოლმე.*
ფოშტური - *ფხვიერი ყველი.*
ჩიტაწკეპლა - *ბუჩქნარია, იხმარება საცოცხედ.*
ქოშა - *კედლის კუთხის დიდი ქვები.*
კვირისტავა - *პატარა ზომის მსხალია.*
ლოთხუმი - *ერბოში შემწვარი ცომის პატარა ნაჭრები.*
ჯუბე - *ჩაღრმავებული ალაგი.*
ბუკიანი - *კუზიანი.*
კუწუწი - *სიმინდის ტარო მარცვლებ გაცლილი.*
გედელა - *გიდელა.*
ერდო - *საერთოდ ბანი, სხვაგან ეძახიან მხოლოდ საბოლეს.*
ეტე - *ხმარობენ თქმაში, მაგ. „ეტე რა მოსვლა იმ კაცს“.*
თერო - *ბოლქვიანი მცენარეა, იცის ნაყანებში, ნაყოფი ცილინდრულია, იჭმევა.*
გულმოთინა (ნიგოზელა–გ. კახ.) - *ეკლიანი ბალახია გულს ჭამენ, ჩვენშიც იცის.*
მეროლი - *ორთითი, სამთითი.*
თავანი - *ჭერი, ლამფა.*
ჩათარნი - *სასმინდე მოწნული, სდგას ბოძებზე (ნალია)*
ზირზა - *კარების დასაკეტი დუგამ.*
ჭახრაკი - *ძაფის საგრეხი ხელსაწყო.*
თეფუში - *(თათას?) ხის მგვალი ფოდნოსი, რითაც სადილზე პურს მოიტანენ.*
ქესტანა - *თეთრი გოგრაა.*
მამლითვალა - *მცენარეა, ისხამს მარწყვის მაგვარ ნაყოფს.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმადე - პატარძალს როცა წაიყვანენ საქმროსთან, თან გაჰყვება ნათესავებიდან ვინმე ვაჟი, რომელიც უნდა იჯდეს ქორწილში პატარძალთან.

მახაჩობელი (ჯავახ.) - ცხენოსანი, რომელიც ყველაზე ადრე მივა ნეფის ოჯახში, რომ რძალი მოგვყავსო.

სანიჭარი - ქორწილში ფულს რომ მოაგროვებენ.

გადასაწყვეტი - როცა ქალს დანიშნავენ, მაშინ მიუტანენ საჩუქრებს (მატერიას, ფეხსაცმელს და სხვ.)

დარბაზი - ოთახი, სადაც ინახავენ ოჯახის ლოგინს, ხორბალს და სხვა.

ჯინჯოთი - მჩვარი, რომლითაც ცხელ წყალში ჭუჭყიან ჭურჭელს რეცხამენ.

ჰავანგი - თუთუნის საჭრელი ხელის მანქანა.

დავანაგი - დადანავი გ. კახ. სამწყემსო მსხვილი ოჯახი.

კაკუტა - კოჭიძაფის ხის ნაწილი, რომლებზედაც ახვევია ძაფი.

კიტანა - პატარა ბოჭკა, რომელშიც ავროვებენ შესადღვებად რძეს, ან მაწონს.

ქაქული–ჭაქუნი - (გ. კახ.) დაზნექილი ხე, რომლის თავსა და ბოლოს ვედრები ჰკიდია მით ზიდავენ წყალს რუსები. ჭაქული მხარზედა დადებული.

საკინძო - საუკლო.

კოდი - მცენარეა ეკლიანი. კედლებს შემოაცლიან. გულს სჭამენ, იზრდება მიწის ზედაპირზე, დაბალი მცენარეა.

ანაკვეთი - ქატო

პაჭანიკი - პაჭიჭი

პაიჭი - სამკლავე, რომელსაც დედაკაცები იკეთებენ მუშაობის დროს.

Giorgi Javakhisvili

GIORGI LEONIDZE-PRAISER OF MESKHET-JAVAKHETIAN WORDS

Summary

In 1946 Giorgi Leonidze travelled in Samtskhe-Javakheti. During his travel the great poet wrote down about 300 lexical units of Meskhet-Javakhetian dialect. He had mainly given the explanation and description of plants, agricultural instruments and household equipments. The poet compared them to Kakhetian, out-Kakhetian and Kizikian vocabulary. Illustrations are also added.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კიკნაძე

აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“[1,479-81], სადაც მოთხრობილია ეპიზოდი უზუნ-ასანის მიერ მესხთა დარბევისა, ვკითხულობთ:

„მოვიდა [უზუნ-ასანი] სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყუერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტეანენი, მღვდელნი და მონაზონნი და ერისკაცნი, წარტყუევნეს სრულიად სამცხე. აიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თჳსსა და ტყვე ჰყვეს ხატი აწყუერისა ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა[2]. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს, ვიდრემდის მწირობდნენ მუნ შჳდ წელ“

რამდენიმე პერიოდის შემდეგ მეისტორიე უბრუნდება ხატის ამბავს (ხანი გასულია, უზუნ-ასანი აღარ არის ცოცხალი):

„მაშინ ოდეს მოვიდეს უზუნ-ასან მძლავრითა ლაშქრითა და წარიყვანეს ხატი იგი აწყუერისა ღმრთისმშობელი ქვეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევითარი რისხვა ღმრთისა მოავლინა: არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამისთჳს საქმისა და იტყოდეს: რაჲ-მე არს ესე?“. რომელნიმე იტყოდეს: „შეცდომით იქმნა“. ხოლო სხუანი სხუასაცა რასამე მიზეზსა მოიღებდეს. ხოლო უბრძნესსა კაცთა მის ქუეყანისათა ესრეთ თქუეს: „ოდეს-იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დიდისა საყდრიდაღმენ ფიცარი ერთი, შემკული მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიღეთ. და მგზავრობასა მას ჩუენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხრსა ჩავასუენით უღრმესსა ადგილსა ბარგისასა და, ვითარცა განთენდის, აღმოვიდის სიღრმისაგან და მაღლად მჯდომარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინევდის. და საქმე ესე უეჭველად მისგან იქმნა ქუეყანასა ჩუენსა და, თუ გნებავს განრინება ჭირისა მისგან, იგი მოვიძიოთ და ქუეყანასა მათსა განუტეოთ. მაშინ მოიძიეს წმინდა ესე ხატი და, ჰპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს: მოვედით და დავაკრათ კიცუსა უჯედსა და, უკეთუ წარვიდეს მართლიად გზასა თჳსსა, უწყოდეთ, რამეთუ ამისგან არს ყოველი. და უკეთუ მიიქციოს სხჳთ კერძო, მაშინ შეხდომით რამე იქმნა და არა ამისგან“.

როგორც ვხედავთ, რეალურ ისტორიულ თხრობაში შემოდის მითოსური პლანი, სახელდობრ, აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივი თავგადასავალი. გვეცნობა ძველი მითოსი ქვეყნიდან გაუჩინარებულ ღმერთზე. ქვეყანა, რომელიც დატოვა ღმერთმა, მისმა პატრონმა, მოთქვამს, გლოვობს და ეს გლოვა რიტუალურია. „კაცო, ვის გამო

შექმნილხარ ასე? – ვკითხულობთ ერთ ბაბილონურ ტექსტში, – ადაპა, ვის გამო შემოსილხარ ძაძით?" „ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა, მათ გამო შევქმნილვარ ასე. მათ გამო შევმოსილვარ ძაძით".

ძველი მითოსის მიხედვით, როცა ქვეყნიდან ღმერთი იკარგება, ქვეყანაში წყდება ნაყოფიერება, რადგან მასშია ნაყოფიერების გარანტია. ჩვენს თქმულებაში კი ხატი იმ ქვეყანას ართმევს ნაყოფიერებას, სადაც დატყვევებულია. მტერს მიაქვს ხატი, როგორც დოვლათი, მაგრამ ნაცვლად ქვეყნისათვის კეთილდღეობის მოტანისა, იგი უნაყოფობით სჯის ქვეყანას, რადგან ეს მტრული ქვეყანაა. ამგვარად ისჯება ფილისტიმელთა ქვეყანა იმის გამო, რომ მათ ქალაქებში იმყოფება ტყვედ წაყვანილი უფლის კიდობანი (1მეფ. 5:1-6).

მესხნი ტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რომელიც შევედრებულია ღვთისმშობლის ხატს, და გადაიხვეწებიან უცხო მხარეში – ქართლში. მესხთათვის რომ ქართლი უცხო ქვეყანაა, ეს სავსებით შეესაბამება ფეოდალური ხანის ტომობრივ თვითშეგნებას. დაკარგულია ერთიანი საქართველოს განცდა. თუმცა ეს სხვა საკითხია. აქ ის არის საგულისხმო, რომ ხატდაკარგულ მესხებს ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი ქვეყანა ხატის გარეშე, მათთვის ქვეყანა და ხატი ერთი მთლიანობაა. მათ აღარ დაედგომებათ იმ მიწაზე, რომელიც მოკლებულია ხატის მფარველობას. და ისინი ტოვებენ მას. ასევე ერთიანია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ისრაელიანთა რელიგიურ-ეროვნულ შეგნებაში მიწა და უფალი (იაჰვე). ეზეკიელის წიგნში ისრაელიანთა ბაბილონში გადასახლებას წინ უსწრებს უფლის მიერ ჯერ ტაძრის და მერე მიწის დატოვება (ეზეკ. 10:16-18). უტაძრო და უუფლო მიწა რელიგიურ საზრისს კარგავს და გამოუსადეგარია საცხოვრებლად რჩეული ერისათვის.

ნიშანდობლივია, რომ მესხთა ექსორიობა და ხატის ტყვეობა შვიდ წელიწადს გრძელდება. „შვიდი", როგორც საკრალური რიცხვი ქანაანურ სამყაროში ის რიცხვია, რომელიც გამოხატავს ნაყოფიერება-უნაყოფობის ერთმანეთის მონაცვლე პერიოდებს[3]. ქანაანურ მითოსში ლაპარაკია შვიდ უნაყოფო წელიწადზე, იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაში ნაყოფიერების ღვთაება გაუჩინარებულია. შვიდი ნაყოფიერი წელიწადის მეუფე არის ბაალი (უფალი), შვიდი უნაყოფოსი – მოთი (სიკვდილი). ასე, მესხეთში მეუფებს სიკვდილი, რამაც აიძულა მესხები მწირობის ქვეყანაში გადასახლებულიყვნენ.

„მწირობდნენ მუნ შჯდ წელს" – წერს მემატიანე და ამ სიტყვებით ის გამოთქვამს სავსებით მითოლოგიურ ჭეშმარიტებას, რომელიც თუ უნივერსალური არ არის, ყოველ შემთხვევაში, დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებათა რელიგიური ცნობიერებისათვის. საქართველო კი ისტორიულ-კულტურულად მას ეკუთვნის. მესხთა „მწირობა" უცხო ქვეყანაში მხარს უბამს მათი სათაყვანებელი ხატის ტყვეობას უცხო ქვეყანაში. „მწირობა" აქ „ტყვეობის" ბადალია. როგორც „ტყვე", ისე „მწირი" ის ადამიანია, რომელიც მოშორებულია თავის ქვეყანას. მწირიც და ტყვეც უპირისპირდება „მკვიდრს". მესხები მკვიდრნი მხოლოდ მესხეთში შეიძლება ყოფილიყვნენ, ქართლი და საქართველოს სხვა ნებისმიერი მხარე მათთვის მწირობის ქვეყანაა. ასევე აწყურის ღვთიმშობლის სამკვიდრო მესხეთია, სადაც ის ავლენს თავის კეთილისმყოფელ ძალას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხო ქვეყანაში მას უბედურება მოაქვს.

შვიდი წლის თავზე, როცა უცხო ქვეყანა მიხვდება უნაყოფობის მიზეზს, აწყურის ხატს ათავისუფლებენ: ხატს დააკრავენ უხედნელ კვიცზე და გაუშვებენ. ასე იქცევიან ფილისტიმელები, რომლებსაც დიდი ზიანი მიადგათ მათ ქვეყანაში კიდობნის ტყვეობით. ისინი ხბორებიან მეწველ ძროხებს შეაბამენ ურემში, რომელზეც კიდობანია შედგმული. თუ ძროხებმა ხბორების ზმუილს არ ათხოვეს ყური და ისრაელის საზღვრისკენ გაეშურნენ, კიდობნის ბრალი ყოფილა ეს ზარალი. და ასეც მოხდა: ძროხები გაემართნენ ისრაელის საზღვრისკენ და გადალახეს საზღვარი (მეფ. 6:14).

ცხადია, აწყურის ღვთისმშობლის თქმულების ამ ეპიზოდს არქეტიპად ბიბლიური ეპიზოდი უნდა ჰქონდეს, რომელმაც ქართულ ფოლკლორში ფართო გავრცელება ჰპოვა. საქართველოს ბევრ კუთხეში დადასტურებულია ანდრეზი მტრული ქვეყნიდან (სპარსეთი, ლეკეთი, ხორასანი...) თავდახსნილი ხატის დაბრუნებისა ხარის რქებზე ან ურემზე[4, 74-75].

ხატი ხელცარიელი არ ბრუნდება თავის წილხვდომილ ქვეყანაში. მეისტიორიე გვიამბობს, რომ მას თან დატვირთული ცხენები წამოყვნენ, „რომელთა ზურგები ჩადრეკილები დღესცა ჰქადაგებს მაშინდელსა სასწაულსა". სამცხეში შესვლისას მან სასწაულებრივი ელვარებით გაანათა მთელი სამცხე და იმ ადგილს სასწაულის აღსანიშნავად „ელავსი" ეწოდა. ნიშანდობლივია სამცხის მკვიდრთა სიტყვები, რომელთაც მათ მეისტორიე ათქმევინებს: „კურთხეულ არს მოსლვა შენი, დედაო სახიერისა ღმრთისაო, რასათჳს დაგჳტევენ ესოდენთა ჟამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ მიერ ვიხილეთ საღმრთო ნათელი ძისა შენისა?". ჩანს, იმ შვიდი წლის მანძილზე, სანამ ღვთისმშობლის ხატი ტყვეობაში იმყოფებოდა, სამცხე ბნელით იყო მოცული.

მესხთა დაბრუნებას ქართლში მწირობიდან მეისტორიე კვლავ ბიბლიური სასწაულით გადმოგვცემს: ქართლის მეფე კონსტანტინე აკავებდა მათ, „ვითარცა იგი ოდესმე ფარაო ისრაელთა". იმართება ბრძოლა არადეთთან[5] მესხთა წინამძღოლ ყვარყვარე ათაბაგსა და ქართლის მეფეს შორის. სასწაულებრივად („რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს") იმარჯვებენ მესხნი და მშვიდობით ბრუნდებიან სამცხეში.

აწყურის ხატის საქართველოში გამოჩენა წმ. ანდრია მოციქულის სახელთან არის დაკავშირებული. ანდრია მოციქულის საქართველოში „მიმოსვლის" მიხედვით, ამ ხატმა სასწაულებრივი ძალა პირველად დიდ-აჭარაში, „ქვეყანასა ქართლისასა" გამოაჩინა, როცა უწყლო ადგილას წყარო აღმოაცენა, ხოლო მეორედ – ქვრივი დედაკაცის გარდაცვლილი შვილის გაცოცხლებისას. მესამედ ხატის ძალა არტემისისა და აპოლონის კერპების დამხობაში გამოჩნდა. კერპების დამხობაც ბიბლიური მოდელის მიხედვით არის გადმოცემული. ამ ამბავში აშკარად იკითხება კვლავ უფლის კიდობნის არქეტიპული ქმედება, როცა მან, ფილისტიმელთა კერპის – დაგონის ტაძარში დამწყვდეულმა, დალეწა კერპი (მეფ. 5:20-4).

თხუთმეტი ასეული წლის შემდეგ, როგორც დავინახეთ, აწყურის ხატი კვლავ აჩენს, ამჯერად ტყვეობაში, თავის სასწაულმოქმედ ძალას. იქმნება ხატისა და ხალხის ერთიანი ისტორია. ხატი, ქვეყანა და მისი მოთაყვანე ხალხი ურღვევ კავშირშია მოაზრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1 *იხ.* ქართლის ცხოვრება II, 479-81.

2 სხვა წყაროში ამგვარად არის გადმოცემული ეს ფაქტი: „ქორონიკონსა როგ [ე. ი. 1486 წელს] იაღუბ ყაენი მოვიდა, ახალციხე და აწყვერი აიღო. და აწყვერისა ღვთისმშობელი დატყუევდა კე (25). ბატონმა მანუჩარმა დაიხსნა“ (პარიზის ქრონიკა, გვ. 39).

ქრონიკაში კიდევ რამდენჯერმე იხსენიება ხატის წარტყვევნის ფაქტი: „ქორონიკონსა სლდ [ე. ი. 1546 წ.] აწყურის ღთისმშობელი ტყუედ წაასუენა ციხისჯუარს იმერელმა მეფემ ბაგრატ“; „ამავე ქორონიკონსა [1553 წ.] ციხისჯუარიდამან აწყურისა ღთისმშობელი ტყუედ წაასუენეს იმერითს“ (გვ. 43).

3. გავიხსენოთ ფარაონის სიზმრები, რომლებმაც წინასწარ მოასწავეს შვიდი ნაყოფიერი და შვიდი უნაყოფო წელიწადი (დაბ. 41:26-31).

4. *ზ. კიკნაძე*, ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

5. არადეთის ბრძოლა ისტორიული ფაქტია, რომელიც მოხდა 1483 წელს.

Zurab Kiknadze

THE ICON IN CAPTIVITY

Summary

The subject of the present paper is a legendary story of capture and miraculous deliverance of the icon of the Virgin (from Atskuri, Meskheti), and the voluntary sojourn of its servants (Meskhetians) in the strange land. The archetype of this story is obviously the widespread myth of the death and resurrection of the god of fertility.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურათმცოდნეობა

ნინო აფციაური

ქართველთა გაქრისტიანების საკითხები „წმ. ნინოს ცხოვრების“ სომხურ სვინაქსარულ რედაქციაში (ჰაისმავურქებში)

ქართველთა გაქრისტიანების ისტორია მოთხრობილია ქართველთა განმანათლებლის „წმ. ნინოს ცხოვრების“ ციკლში, რომელშიც ერთიანდება ქართული და უცხოური (ბერძნული, სომხური) ვერსიები. „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსია შემონახულია სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ [4, 234] და სომხურ სვინაქსარულ კრებულებში ე. წ. ჰაისმავურქებში.

ჰაისმავურქი ლიტურგიკული ხასიათის სადღესასწაულო კრებულია, რომელიც ღვთისმსახურების დროს იკითხებოდა. მასში შედიოდა ნაციონალური, ზოგადქრისტიანული და მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა დღესასწაულები. გრაბარისეული (ძველი სომხური) სახელწოდება „ჰაისმავურქი“ სიტყვასიტყვითი თარგმანით ნიშნავს „ამასვე დღესა“, „ამ დღეებში“ მოსახსენებელ სადღესასწაულო წიგნს. კრებულის სომხური სახელწოდება მომდინარეობს ერთსა და იმავე დღეს რამდენიმე დღესასწაულის აღნიშვნიდან. ხშირად განმეორებადი სიტყვათკავშირიდან „ჰაისმ ავურ“ – „ამასვე დღესა“ წარმოდგება კრებულის სომხური სახელწოდებაც – „ჰაისმავურქი“ [2,9]. მისი წარმოშობა ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის გავლენას უკავშირდება. იოსებ კონსტანტინოპოლელმა X საუკუნის ბოლოს ბერძნულიდან თარგმნა სვინაქსარი. სწორედ მას მიიჩნევენ პირველი სომხური ჰაისმავურქის ავტორად.

სამეცნიერო ლიტერატურაში სომხურ ჰაისმავურქებს ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფენ: 1. ტერ-ისრაელის (XIII ს-ის II ნახევარი), 2. კირაკოზ არეველცის (XIII ს-ის II ნახევარი), 3. გრიგოლ ანავარზელის (XIV ს-ის I ნახევარი), 4. გრიგოლ ხლათეცის (XV ს-ის I ნახევარი). თითოეული მათგანი ისტორიულ პირთა სახელებთანაა დაკავშირებული [2, 54].

სომხურ ჰაისმავურქებში ვხვდებით „ნინოს ცხოვრების“ თავისებურ ვერსიებს, რომლებსაც „ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები შეიძლება ვუწოდოთ [3, 151-163].

ჩვენი მიზანია ქართველთა გაქრისტიანების საკითხების კვლევა „ნინოს ცხოვრების“ სომხური სვინაქსარული რედაქციების მიხედვით. ამისათვის შევისწავლეთ „ნინოს ცხოვრების“ სომხურ სვინაქსარულ რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხები. მათი მონაცემები შევუდარეთ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ციკლში გაერთიანებულ სხვა თხზულებებს. დავადგინეთ სომხურ სვინაქსარულ რედაქციათა პირველწყარო და სხვა ზეპირი თუ

წერილობითი წყაროები. ჰაისმავურქების მიხედვით შევისწავლეთ წმ. ნინოსა და გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის როლი და მნიშვნელობა ქართველთა მოქცევის საქმეში. განვსაზღვრეთ ჰაისმავურქებში დაცული ცნობების მნიშვნელობა ქართველთა გაქრისტიანების საქმეში.

„ნინოს ცხოვრების" სომხური სვინაქსარული რედაქციების შინაარსის გასაცნობად შევეცდებით წარმოვადგინოთ საერთო სქემა, ტექსტებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად. წმ. ნუნე ერთ-ერთი რიფსიმიანთაგანი იყო. იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მიაღწია ქ. მცხეთას. წმ. ნუნე ქრისტეს სახელით კურნავდა სნეულთ. მან უქადაგა ქართველებს ჭეშმარიტი ღმერთი. სანადიროდ წასულ მეფე მირიანს მთებში გზა დაუბნელდა. მან პირობა დადო, თუ განსაცდელს გადაურჩებოდა, ნუნეს ღმერთს ემსახურებოდა. მაშინვე განათდა. მირიან მეფემ და მისმა ნახარარებმა წმ. ნუნესაგან ისწავლეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ნუნემ სანდო კაცები გაგზავნა სომხეთში წმ. გრიგოლთან იმის გასაგებად, თუ რის გაკეთებას ურჩევდა გრიგოლი მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. წმ. გრიგოლმა ბრძანა კერპთა მსხვრევა და ჯვარის აღმართვა, ვიდრე უფალი ქართველებს უწყალობებდა მწყემსსა და წინამძღოლს. წმ. ნუნემ დაამსხვრია კერპები, მათ ადგილას კი ჯვრები აღმართა. ყველა თაყვანს სცემდა ჯვარს. როცა ნახეს, რომ ჯვარი გათლილი ხე იყო და არა ოსტატთა ნახელავი, შეურაცხყვეს და არაფრად ჩააგდეს ის. ღმერთმა ჯვარზე ცით მოავლინა ნათლის სვეტი, ისმოდა ანგელოზთა ხმა. ამის შემდეგ ქართველები მოექცნენ სარწმუნოებაზე და თაყვანი სცეს ჯვარს, რომელიც სასწაულებრივად კურნავდა. წმ. ნუნემ დამოძღვრა ქართლის სხვა მხარეებიც და აღესრულა ქრისტეს მიერ. ქართველებმა პატივით დაკრძალეს იგი. ზოგადად ასეთია ის ძირითადი სქემა, რომელიც საერთოა „ნინოს ცხოვრების" სომხური სვინაქსარული რედაქციებისათვის, თუმცა მათ შორის საკმაო სხვაობაც არსებობს. ტერ-ისრაელის ჰაისმავურქში დაცული „ნინოს ცხოვრების" სათაურში და ტექსტში ნათქვამია, რომ წმ. ნუნესთან იყო წმ. ქალწული მანე, რომელიც ასევე რიფსიმიანთაგანი იყო [3, 152]. კირაკოზ ერეველცისთან კი ვკითხულობთ, რომ რიფსიმიანები სომხეთში მისვლამდე ედესაში ჩავიდნენ, შემდეგ კი ეკელუცის გავარს მიაღწიეს. იქ მთაზე დარჩა ერთი მათგანი, სახელად ამანი, რომელმაც გამოქვაბულში დაიდო ბინა [3, 155]. გრიგოლ ხლათეცის ჰაისმავურქი აკონკრეტებს, რომ მანი დარანალის მთაზე დარჩა. ამ მხრივ საინტერესოა აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია", რომლის მიხედვით გრიგოლ განმანათლებელი სომხეთის მოქცევის შემდეგ სწორედ დარანალის გავარში, მანის ქვაბებში დაიდებს ბინას [1, 481].

ტერ-ისრაელის ჰაისმავურქისაგან განსხვავებით, კირაკოზ არეველცი წმ. რიფსიმიანთა მოკლე ისტორიას გვთავაზობს, გრიგოლ ხლათეცისთან კი დაწვრილებით არის აღწერილი რიფსიმიანთა მგზავრობა სომხეთში ჩასვლამდე. მასში „რიფსიმეანთა მარტვილობისაგან" განსხვავებით ტოპონიმები კიდევ უფრო დაკონკრეტებულია [3, 158-159].

„ნინოს ცხოვრების" სომხურ სვინაქსარულ რედაქციებში განსხვავებული ფორმით გვხვდება ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის სახელი და ტიტული. ტერ-ისრაელის ჰაისმავურქი მას მიჰრან-მიჰრდატ იშხანად ასახელებს, გრიგოლ ხლათეცისთან კი მირიანი მიჰრან მეფედ, სპარსთა მეფის ძედ იხსენიება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაისმავურქებში განსხვავებული ფორმით გვხვდება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს სახელიც – ნუნე, ნუნი. მისი ქადაგებათა საზღვრებიც სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი.

ჰაისმავურქები განსხვავდებიან ასევე წმ. ნინოს სასწაულქმედებათა ამბების თხრობისას. ტერ-ისრაელისაგან განსხვავებით, კირაკოზ არეველცი და გრიგოლ ხლათეცი არაფერი იციან წმ. ნინოს მიერ მირიანის ძის განკურნების შესახებ. ჰაისმავურქებში სხვადასხვაგვარად არის წარმოჩენილი სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის თრდატის როლი და მისი კავშირი მირიან მეფის მოქცევასთან. მათში არაეთგვაროვნად არის შეფასებული გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის მნიშვნელობა ქართლის მოქცევის საქმეში.

ამრიგად, საერთო სქემის მიუხედავად, „ნინოს ცხოვრების" სომხურ სვინაქსარულ რედაქციებში სხვაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

თავისთავად საინტერესოა „ნინოს ცხოვრების" სომხური სვინაქსარული რედაქციების პირველწყაროს საკითხი. ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით ჰაისმავურქების მონაცემები შევუდარეთ „ნინოს ცხოვრების" ციკლში გაერთიანებულ ტექსტებს. ამ თავლსაზრისით ჰაისმავურქები უშუალოდ უკავშირდებიან „ნინოს ცხოვრების" სომხურ ვერსიას, რომელიც მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაშია" დაცული [4, 234], თუმცა მთელი რიგი სხვაობანი აქაც დადასტურდა. მოვსეს ხორენაცისთან არაფერია ნათქვამი წმ. მანეს შესახებ, მან არც მირიანის ძის ავადმყოფობის შესახებ იცის რამე. მოვსეს ხორენაცი ნუნეს ერთ-ერთ რიფსიმიანთაგანად მიიჩნევს, ჰაისმავურქები კი „რიფსიმიანთა მარტვილობის" შესახებაც გვაწვდიან ცნობებს. ხორენაცისაგან განსხვავებულად არის წარმოჩენილი თრდატ მეფისა და გრიგოლ განმანათლებლის როლი „ნინოს ცხოვრების" სომხურ სვინაქსარულ რედაქციებში. ჰაისმავურქების მონაცემები ზუსტად არ იმეორებს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში" დაცულ ცნობას წმ. ნინოს ქადაგებათა საზღვრების დასახელებისას. მირიან მეფე ხორენაცისთან მიჰრან ქართველთა წინამძღოლად იხსენიება. გრიგოლ ხლათეცის ჰაისმავურქში მირიან მეფე სპარსთა ძედ არის დასახელებული. ხორენაცისაგან განსხვავებით, ტერ-ისრაელის ჰაისმავურქი მირიან მეფის ძის ავადმყოფობის შესახებაც გვაწვდის ცნობებს. მსგავს ცნობებს კი სწორედ ქართულ წყაროებში ვხვდებით. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით მირიანი იყო ძე სპარსთა მეფის ქასრე არდაშირისა, სასანიანისა [5, 64]. წმ. ნინოს მიერ მირიან მეფის ვაჟის განკურნების ამბავიც ქართული ტექსტებით დასტურდება. „ნინოს ცხოვრების" ქართულ ტექსტში ვკითხულობთ: „კუალად სხუასა ჟამსა მცირე ძე მეფისაჲ შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მჯურვალებისათაჲ... ხოლო წმიდამან ლოცვანი ზედა დაასხნა და ვედრებაჲ შეწირა უფლისაჲ და განკურნებული მისცა დედასა თვსსა" [7, 65].

ჰაისმავურქებში დაცული ქართლის გაქრისტიანების ისტორიის შედარებამ „ნინოს ცხოვრების" ციკლის სხვა თხზულებებთან ცხადყო, რომ „ნინოს ცხოვრების" სომხური სვინაქსარული რედაქციები უკავშირდება, როგორც „ნინოს ცხოვრების" სომხურ ვერსიას (მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია"), ისე ქართულ წყაროებს („ცხორებაჲ ნინოჲსი", „ქართლის ცხოვრება").

მნიშვნელოვანია ჰაისმავურქების მონაცემები ქართველთა განმანათლებლის ვინაობის

საკითხის კვლევისას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ნინოს ცხოვრების“ სომხურ სვინაქსარულ რედაქციებში დაცული ცნობები ქართველთა მომაქცეველის ვინაობაზე, რადგან მკვლევართა ერთი ნაწილი სომეხთა განმანათლებელს – წმ. გრიგოლს მიაწერს ქართველთა მოქცევასაც.

ჰაისმავურქების მიხედვით ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინოა, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ტექსტებში წმ. გრიგოლიც იხსენიება. ნუნემ ქართველებს უქადაგა ჭეშმარიტი ღმერთი. მისი ქადაგების შემდგომ ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. წმ. ნინომ დაიმოწაფა, დამოძღვრა და გაანათლა ქართველი ხალხი. ქართველები მას წინამძღოლს და განმანათლებელს უწოდებდნენ [3, 162].

„ნინოს ცხოვრების“ სომხურ სვინაქსარული რედაქციების მიხედვით, წმ. გრიგოლი მხოლოდ სომეხთა განმანათლებელია [3, 160]. მისი დამსახურება ქართველთა მოქცევის საქმეში მხოლოდ წმ. ნინოს დარიგებებით ამოიწურება. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ძალზე საინტერესოა ჰაისმავურქებში დაცული „წმ. გაიანეანთა მარტვილობა“. ტექსტში ნათქვამია, რომ წმ. ნინო სთხოვს გრიგოლ განმანათლებელს მოვიდეს და მონათლოს ქართველები. იქვე მითითებულია, რომ გრიგოლი არ წავიდა იბერთა ქვეყანაში, რადგან არ ჰქონდა მღვდლობის პატივი. მან უბრძანა ნუნეს ჯვრის აღმართვა და ქართველთა დამოძღვრა, ვიდრე თვითონ წავიდოდა და კურთხევას მიიღებდა. ამის შემდგომ გრიგოლი მოვიდოდა და მონათლავდა „ახლადმორწმუნებს ქართველთაგან და სომეხთაგან“ [3, 162]. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „წმ. გაიანეანთა მარტვილობაში“ გამოთქმული ვარაუდი წმ. გრიგოლის ქართველთა ნათლისღებაში მონაწილეობის შესახებ „ნინოს ცხოვრების“ სომხური სვინაქსარული რედაქციებით არ დასტურდება. „ნინოს ცხოვრების“ ქართული ვერსიების მიხედვით, საბერძნეთიდან ჩამოსული მღვდელთმოძღვრების, მღვდელთა და დიაკონთა მოსვლის შემდგომ ნათელ იღეს ქართველებმა. ქართველთა ნათლისღება იოანე ეპისკოპოსის, ზოგიერთი რედაქციით კი ევსტათი ანტიოქიელის სახელებთანაა დაკავშირებული. საბერძნეთიდან ქართლში მათი ჩამოსვლის შემდგომ „ნათელი მიიღო მირიან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან მათმან და წარემართა მეფეს და ყოველი ქართლი ქრისტეანობასა მოსწრაფებითა დიდითა“ [6,86].

ჰაისმავურქებში ვხვდებით ქართველთა მოქცევის საქმეში წმ. გრიგოლის ღვაწლის თანდათანობითი გაფართოების მცდელობას. ტერ-ისრაელის ცნობებით, წმ. ნუნე გრიგოლს ეკითხება, როგორ მოიქცეს მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. წმ. გრიგოლმა ქართველთა განმანათლებელს ურჩია კერპთა მსხვრევა და ჯვრის აღმართვა. კირაკოზ არეველცის და გრიგოლ ხლათეცის ჰაისმავურქების მონაცემებით, წმ. ნინო სთხოვს გრიგოლ განმანათლებელს გამოუგზავნოს ქართველებს წინამძღოლი. იმავე ჰაისმავურქებში დაცულ „წმ. გაიანეანთა მარტვილობაში“ კი ნათქვამია, რომ წმ. ნინო სთხოვს გრიგოლს, მოვიდეს და მონათლოს ქართველები [3, 162]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნული (Vg) და არაბული (Va) რედაქციები,სადაც თითქოს ამ ხაზის განვითარების ერთგვარი შეჯამებაა მოცემული, როცა წმ. გრიგოლი ნათლავს ქართველთა მეფეს [8, §152. 9, §164] და მათ ქვეყანაში აგზავნის წინამძღოლს [8, §151. 9, §163].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ არის გამორიცხული, რომ ჰაისმავურქებში ადგილი ჰქონდეს წმ. გრიგოლის ღვაწლის შეფასებაში პირველ პროცესის დასაწყისს – გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლისა და მნიშვნელობის კვლავ, ხელახლა კავკასიის მაშტაბით გაფართოვების მცდელობას.

ამრიგად, „ნინოს ცხოვრების" სომხური სვინაქსარული რედაქციების ფაქტობრივი მასალა, ხშირად პირველწყაროსაგან განსხვავებული, საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართველთა გაქრისტიანების, წმ. ნინოსა და გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლის შეფასებისა და ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა:

1. *ავათანგელოსი*, სომხეთის ისტორია, ერევანი, 1983 (სომხურ ენაზე).
2. *ავდალბეგიანი მ.*, „ჰაისმავურქები" და მათი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, ერევანი, 1982 (სომხურ ენაზე).
3. *აკინიანი ნ.*, ქრისტიანობის შემოსვლა სომხეთსა და საქართველოში, ვენა, 1949 (სომხურ ენაზე).
4. *მოვსეს ხორენაცი*, სომხეთის ისტორია, ტფილისი, 1913 (სომხ. ენაზე).
5. ქართლის ცხოვრება, ტ., I თბ., 1955.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964.
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971.
8. *Марр Н.Я.*, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием. СПБ. , 1905.
9. *Garitte G.*, Documents pour l' etude du livre d'Agathange, Vatican, 1946.

Nino Aptsiauri

THE QUESTIONS OF CONVERTING TO CHRISTIANITY OF GEORGIANS ACCORDING TO "ST. NINO'S LIFE`S" ARMENIAN SINAXARIS PUBLICATIONS.

Summary

The history of converting to christianity of Georgians is given in the book of "St. Nino's Life". Georgian and foreign (Greek and Armenian) versions are united. The Armenian version of "St. Nino's Life" is kept in "The History of Armenia" by the Armenian historian-Movses Khorenatsi and in the Armenian sinaxaris collections so called "haismakurkis". The latter often differs from the origin and has a great importance in converting to Christianity of Georgians, in appreciating the activity of St. Nino and in studying the history of Georgian - Armenian relations.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ახვლედიანი

წარმართული მსხვერპლშეწირვის კვალი ერთ მესხურ ლექს-სიმღერაში

მესხურ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული ლექს-სიმღერა „მამლი მუხასაო". იგი კომპოზიტორმა ვ. მაღრაძემ ჩაიწერა და მის მიერ შედგენილ მესხურ ხალხურ სიმღერებში შეიტანა, ამასთან, საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა „მამლი მუხასას" ფერხულის მელოდიის, შინაარსისა და შესრულების ხასიათის შესახებ, ყურადღება გაამახვილა მესხური „მამლი მუხასას" სიმღერისა და ინტონაციების სვანურ პარალელებზე [1, 187].

მესხურ ლექს-სიმღერას ბევრი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული საკითხი უკავშირდება.

გამოკვლევაში მესხური ლექს-სიმღერა „მამლი მუხასაო" მუხისათვის მამლის შეწირვის კვალის გამოვლენის ასპექტით გვაქვს განხილული. ამ თვალსაზრისით ლექს-სიმღერა დღემდე შეუსწავლელია.

ვარიანტების შედარება ავლენს, რომ მესხური ლექს-სიმღერა დიდ მსგავსებას იჩენს კახურსა და აჭარულთან. მოვიტანოთ მესხური ვარიანტის ნაწყვეტი:

„მუხა წონწილებს, წონწილებს, მამლი მუხასაო,
წონწილებს და წაიქცევა, მამლი მუხასაო,
შიგაც რომ წყალი დგებოდა, მამლი მუხასაო,
იქაც რომ თევზი ჩნდებოდა, მამლი მუხასაო".

ლექს-სიმღერის როგორც მესხურ, ისე კახურ ვარიანტში უძველესი რწმენა - წარმოდგენებია დაცული. ვაჩვენოთ კახური ვარიანტიც:

„მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო,
მუმლი რაჭრაჭებს წასაქცევადაო,
მუხა წაიქცა, მუხის ნაგლეჯში
წყარო გაჩნდა, წყარო ხერგისა,
შიგ თევზი გაჩნდა, თევზი კალმახი" [2,68].

მესხურსა და კახურ ვარიანტებს შორის განსხვავებაცაა. კახურ ვარიანტს არა აქვს მისამღერი, ამასთან, აქ მუმლი მოიხსენიება (და არა მამლი), რომელიც მუხას გარს ეხვეოდა და მის წაქცევას ლამობდა. მიუხედავად ამისა, კახური ვარიანტი ახლოა მესხურ ვარიანტთან. ორივე ვარიანტშია თქმული მუხის ნაგლეჯში წყლის ჩადგომისა და თევზის გაჩენის შესახებ, რომელიც სიმბოლოა ხელახალი დაბადების, სიცოცხლისა და ნაყოფიერების. კახურ ვარიანტში ძველი სიმღერის მნიშვნელობა კარგად არის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაცული.

მესხურ და კახურ ვარიანტებთან დიდ მსგავსებას იჩენს აჭარული ვარიანტი. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ აჭარული ვარიანტი:

„ვაი, თუ მუხა წოწინაო,
მუხა ძირს მოხეთქილაო,
აბა მისხა ნახეთქზედაო,
კიდევ წყალი ჩამდგარაო.
შითა თევზი გაჩენილა,
კიდევ თევზი კალმახიო
აბა, შადე რისაო?
ბადე აბრეშუმისაო...“[3, 23].

კახური და აჭარული ვარიანტები კითხვა-მიგებითი ხასიათისაა, რაც იმას ნათელყოფს, რომ კახეთსა და აჭარაში ეს ტექსტები შრომის სიმღერებად იყო გამოყენებული, კახეთში - თოხნურში, აჭარაში - ნადურში იმღერებოდა.

მესხური და აჭარული ვარიანტები არაფერს გვეუბნება მუხაზე დახვეული მუმლის შესახებ, ამასთან, მესხურ ვარიანტში მუმლი კი არა მამალია, რომელიც მუხას შეეწირებოდა, ხოლო კახური ვარიანტი, მართალია ახლოა მესხურ ვარიანტთან, მაგრამ აქ მუმლი მოიხსენიება.ამ მხრივ კახური ვარიანტი დიდ მსგავსებას ავლენს ქართულ ხალხურ პოეზიაში უაღრესად პოპულარულ ლექს - სიმღერასთან - „მუმლი მუხასაო“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, როგორც პატრიოტული შინაარსის სიმღერამ. „მუმლი მუხასაო“ ათასი რბევითა და ბედუკულმართობით გაწამებული ქართველი ერის გამამხნევებელი სიმღერაა. ლოცვასავით წარმოთქვამდა ყოველი ქართველი: „მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო“, „მუმლი დაიხრჩვაო, მუხა გადარჩაო“.

წარმოშობით „მუმლი მუხასაო“ ძალიან ძველია. იგი ხუთ-ექვსბგერიან წყობაშია გაშლილი, რაც კომპოზიტორ დ. არაყიშვილის გამოკვლევით, ჩვენი წარმართული სიმღერების დამახასიათებელია. შორეულ წარსულში ლექს-სიმღერა „მუმლი მუხასაო“ სულ სხვა წესთან იყო დაკავშირებული და, მაშასადამე, მისი ფუნქცია სულ სხვა იყო, მაგრამ ისტორიული განვითარების მანძილზე ახალი აზრი და ფუნქცია შეიძინა და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებას მიეცა[4, 380-389].

„მუმლი მუხასაო“ ზოგადქართული საგაზაფხულო საწესჩვეულებო სიმღერაა, რომელიც თავდაპირველად მცენარეული ღვთაების (მუხის) გარდაცვალება-აღდგომის სადიდებელი უნდა ყოფილიყო. იგი შემდგომში პატრიოტულ სიმღერად იქცა - მუხა - საქართველოს სიმბოლოდ, მუმლი მის მტრად[5, 381].

„მუმლი მუხასას“ მესხური, აჭარული, კახური, ქართლური ვარიანტები, მსგავსებისდა მიუხედავად, შინაარსობრივად ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულია, მაგრამ საერთო ყველა ვარიანტში ისაა, რომ მათში მუხის კულტის კვალია აღბეჭდილი. მუხა საღვთო ხეა, სიმბოლო სიცოცხლისა და ნაყოფიერებისა, დაკავშირებული წყალთან, ცის, ქუხილისა და წვიმის ღვთაებებთან.

მესხური ვარიანტის მისამღერში „მამლი მუხასაო“ მუხისათვის მამლის შეწირვის

ჩვეულებაა არეკლილი. ეს ჩვეულება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება და ანალოგიები ეძებნება სხვადასხვა ხალხთა საკულტო წესებთან და მითოლოგიურ წარმოდგენებთან.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა მამლის შეწირვის რიტუალი.

ჩვენი წინაპრები მუხას, როგორც ტოტემს, თაყვანს სცემდნენ, ზვარაკად მამალს სწირავდნენ. ამ რიტუალს აღწერს კონსტანტინე გამსახურდია რომან „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში". აქ ძველი წარმართული წეს-ჩვეულებაა მხატვრულად გაცოცხლებული. არსაკიძის მიერ მუხისათვის წითელი მამლის შეწირვას, ასევე სისხლის პკურებას, საკრალური დანიშნულება აქვს.

მუხას ღვთაებად თვლიდნენ წარმართი ქართველები. მუხა ხშირად იხსენიება სხვადასხვა ფოლკლორულ ჟანრებსა და ტოპონიმიკაში.

მუხის თაყვანისცემის ძველთაძველი რწმენა ფართოდ აისახა და დამკვიდრდა მხატვრულსა და რელიგიურ შემოქმედებაში[6, 133-135].

სამსხვერპლო მამლის დაკვლის ჩვეულება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა საკულტო წესებში პოულობს პარალელს.

ბიზანტიის იმპერატორისა და მწერლის კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913 - 953) თხზულებაში „იმპერიის მართვის შესახებ",[6] რომელიც ემყარება როგორც კონსტანტინეპოლში მყოფი რუსი ელჩების თუ ვაჭრების ზეპირ ცნობებს, ისე, როგორც ჩანს, ჩვენამდე მოუღწეველ წერილობით წყაროებს, დაცულია ცნობა სამსხვერპლო მამლების შესახებ. კონსტანტინე პორფიროგენეტი გადმოგვცემს, რომ რუსი მოქალაქეები წმინდა გრიგოლის კუნძულზე ასრულებდნენ მსვერპლშეწირვის რიტუალს. ისინი წირავდნენ ცოცხალ მამლებს უზარმაზარ მუხას.

ყველაზე ადრინდელი ცნობა სამსხვერპლო მამლებზე X საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელ მწერალს ლევ დიაკონს ეკუთვნის. იგი გვაცნობს, რომ რუსი მეომრები კიევის მთავრის სვიატოსლავის (945 - 972) მეთაურობით 971 წლის გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დამდეგს გარს შემოერტყნენ დერესტრის (თანამედროვე სილისტრია - ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. აღმოსავლეთ ბულგარეთში მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე). ამ დროს მათ შეასრულეს წარმართული მსხვერპლშეწირვა: მსხვერპლად შესწირეს თოთო ბავშვები (წყალში დაახვრჩვეს) და მამლები, რაც ბიზანტიელებთან ბრძოლაში დაღუპული რუსი მეომრების დაკრძალვის წესის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა[8].

მამლისა და ქათმის (დედლის) მსხვერპლშეწირვა გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ სლავების „საამშენებლო მსხვერპლშეწირვის" ("Строительная жертва") რიტუალში. საამშენებლო მსხვერპლის შესახებ ლეგენდები ქართულ მითოლოგიური გადმოცემებითაც და ქართული ქრონიკებითაც დასტურდება.

მამლების მსხვერპლშეწირვა იცოდნენ აფრიკის ხალხებშიც.

მუხისათვის მამლის შეწირვის წარმართული ჩვეულების ნაშთი უნდა იყოს ვენდების ჩვეულება, რომლის მიხედვით შუა სოფელში ორ ივლისს მუხის ხეს რგავდნენ, მის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვერზე რკინის მამალს ამაგრებდნენ, ხოლო ამის შემდეგ მამკაცები და ქალები მუხის გარშემო ცეკვავდნენ და ამასთან, მის გარშემო შინაურ ცხოველებს არბენინებდნენ. მათ სწამდათ, რომ ამ სარიტუალო მოქმედებით შეძლებდნენ საქონლის ნაყოფიერების გაზრდას.

კვლევით ირკვევა, რომ მესხური ვარიანტის „მამლი მუხასაოს" მისამღერში („მამლი მუხასაო") წარმართული მსხვერპლშეწირვის, კერძოდ, მუხისათვის მამლის შეწირვის, კვალია შემონახული, ამასთან, თვალნათლივ ჩანს, რომ ზვარაკად მამლის შეწირვის ჩვეულება უძველესი რელიგიური კულტისა და რიტუალის გამოხატულებაა. იგი ანალოგიებს სხვადასხვა ხალხების სათანადო წეს-ჩვეულებებთან და მითოლოგიურ წარმოდგენებთან პოულობს და ცალკეულ ქვეყანაში თავისებური სახით ვლინდება.

ლიტერატურა:

1. *ვ. მღრაძე,* ქართული (მესხური) ხალხური სამღერები, თბ. 1987, № 15.

2. *თ. მამალაძე,* შრომის სიმღერები კახეთში, თბ. 1969.

3. *ჯ. ნოღაიდელი,* აჭარული ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1967.

4. *ვ. კოტეტიშვილი,* ხალხური პოეზია, თბ., 1934, შენიშვნები.

5. *მიხ. ჩიქოვანი,* აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, კრებული „ლიტერატურული ძიებანი",V,1948.

6. *ივ. ჯავახიშვილი,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1959.

7. ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, მუზეუმის მოამბე, III, 1927;

8. *მიხ. ჩიქოვანი,* დემეტრეს წმინდა მუხმ. წიგნში: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ. 1971, გვ. 44-51;

9. *ვ. ახვლედიანი,* ცხოვრების ხის სიმბოლური სახეები ქართულ ფოლკლორსა და ძველ მწერლობაში, ჟურნ. „რელიგია", 1995, № 11-12.

Givi Akhvlediani

THE TRACE OF MAKING A SACRIFICE IN THE MESKHETIAN SONG

Summary

The Meskhetian Song "Cock to the Oak" belongs to the Spring cycle songs performed during Easter festivals. In the refrain of the song is preserved the old custom of making a sacrifice to the oak. This ancient custom was observed in a different way in the regions of Georgia. The cult preserved in the Georgian song from Meskheti is connected with ancient cults and mythological beliefs and it has analogies in the folklore of Russians, Bulgarians, Africans etc.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურათმცოდნეობა

რევაზ მიშველაძე

თანამედროვე სამცხე-ჯავახეთის ლიტერატურული ცხოვრება

ამ ხუთიოდე წლის წინათ სამცხე-ჯავახეთში შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის განყოფილება. ამ განყოფილების თაოსნობით საქართველოს ამ ძირძველ ისტორიულ მხარეში ლიტერატურულმა ცხოვრებამ ახალი სიცოცხლე შეიძინა. სისტემატური ხასიათი მიიღო მწერალთა შეხვედრებმა მკითხველთა ფართო აუდიტორიასთან, ახალი წიგნების, ხელნაწერების განხილვამ.

გამოვიდა და უკვე პოპულარული გახდა მწერალთა ყოველთვიური გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი", რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ავთანდილ ბერიძე. მესხეთის გამომცემლობამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გამოიყვანა ასპარეზზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა პოეტ ზვიად ბერიძის 1999 წელს გამოცემული ორი წიგნი – „სხეულს მიღმა" და „სადაც კალმახები ქვირითობენ".

საინტერესო ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს თსუ ახალციხის ფილიალი. ახალციხის უნივერსიტეტში ლიტერატურული ხუთშაბათების შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. უკვე გამოვიდა „ლიტერატურული ხუთშაბათობების" სამი კრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური მეცნიერებანი

ავთანდილ სილაგაძე

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაციის საკითხები

ჩვენი ქვეყნის კურსს ეკონომიკური რეფორმების გარდაუვალად განხორციელების გზაზე მალე გამოეხმაურნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი,ევროკავშირის–„TACIS“,გერმანიის ტექნიკური დახმარების ფონდი და სხვ.), რომლებმაც 1992 წლიდან უკვე მოავლინეს თავიანთი წარმომადგენლები მომავალი თანამშრომლობის გეგმების შესადგენად. ასეთი თანამშრომლობა პირველ ეტაპზე ძირითადად ინსტიტუციონალურ და მცირე მასშტაბებით ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, მათთან თანამშრომლობა იმიჯს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას სხვა ქვეყნებთან და უცხოელ ინვესტორებთან მომავალი მჭიდრო კონტაქტების დამყარებაში. სამწუხაროდ, პირველ ეტაპზე საქართველო მზად არ აღმოჩნდა ასეთი ურთიერთთანამშრომლობისათვის. ეს მოხდა მოგვიანებით, ძირითადად 1993 წლის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდიდან დაწყებული არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ეკონომიკური რეფორმების გზაზე მათი აქტიური თანამშრომლობის გარეშე. შედეგად მივიღეთ ფინანსური დახმარებები. მათ შორის ბოლო წლებში ამოქმედდა მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას საქართველოს რეგიონების (მათ შორის ახალციხეში) სოციალური ობიექტების მშენებლობაში.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა დიდი დახმარება გაუწიეს ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციის პროცესს. მოკლედ შევეხოთ ამ პროცესის განხორციელების საკითხებს.

1991 წლის 9 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“, რომლის შემდეგაც იწყება სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაცია. კანონის თანახმად განსაზღვრულ იქნა პრივატიზების 2 ფორმა–*აუქციონი და კონკურსი*. აღნიშნული კანონი არ არეგულირებდა მიწის საკითხებს–მიწა მოსახლეობას გადაეცა მუდმივ სარგებლობაში.

პრივატიზების პრაქტიკულ განხორციელებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების შესაქმნელად. 1992 წლის 11 აგვისტოს დამტკიცდა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც I ეტაპზე ითვალისწინებდა „მცირე საწარმოთა“ პრივატიზებას, II ეტაპზე კი მასობრივ პრივატიზებას ვაუჩერების გამოყენებით, რომელსაც წინ უძღოდა მსხვილი საწარმოების აქციონირების პროცესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „მცირე პრივატიზების“ პროცესი 1993 წლის I ნახევრიდან დაიწყო მეტად რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში.

„მცირე პრივატიზება“, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ვაჭრობის, კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა სფეროების მცირე საწარმოებს. იგი ძირითადად კონკურსებისა და აუქციონების გზით ხორციელდებოდა. ამან გარკვეული წინააღმდეგობები შექმნა საწარმოთა შრომით კოლექტივებთან, რომლებიც ამ გზით ვერ ხდებოდნენ მესაკუთრეები. ისინი ხშირად პროცესს აფერხებდნენ. ამ „ჩიხიდან“ გამოსვლას ემსახურებოდა სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულება. მასობრივი პრივატიზების დაწყებას წინ უძღოდა მსხვილ საწარმოთა აქციონერების პროცესი.

ბევრი დისკუსია მიმდინარეობდა ვაუჩერიზების პროცესის ირგვლივ. განსხვავებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციებიც ამ საკითხში. მართლაცდა, მას ჰქონდა დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები. დადებითთაგან უნდა ითქვას, რომ ვაუჩერებმა დააჩქარა პრივატიზების პროცესი, ვინაიდან არამსყიდველუნარიან მოსახლეობას გაუჩნდა ქონების უფასოდ შეძენის დამატებითი საშუალება, რამაც უზრუნველყო მოკლე დროში სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის ტრანსფორმაცია.

„მსხვილი პრივატიზება“ პირველ ეტაპზე შეეხო მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მსხვილ ობიექტებს სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებითა და მათი აქციების საჯარო გაყიდვის გზით. პარალელურად დღის წესრიგში დადგა პუროროდუქტების სისტემის რეორგანიზება-პრივატიზების პროცესიც.

საპრივატიზებო სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები 3 ჯგუფად დაიყო:

1) სახელმწიფო შეკვეთებისა და საბაზო პროგრამებით მუშაობისა და ვიწრო პროფილის შენარჩუნებით 10 წლიანი ვადით;

2) სამედიცინო პროფილის შენარჩუნებით ვადა 10 წელი;

3) პირობითი შეზღუდვის გარეშე.

1995-1996 წწ. განხორციელდა ყოფილი სახელმწიფო ბანკების „ბინსოცბანკის“, „ექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“, „შემნახველი ბანკისა“ და „აგრობანკის“ აქციონირება-პრივატიზება. შესაბამისად, ჩამოყალიბდნენ სააქციო საზოგადოებები (ს.ს.): „საქართველოს ბანკი“, „გაერთიანებული ქართული ბანკი“ (ექსიმბანკის, შემბანკისა და ინდუსტრიაბანკის ბაზაზე) და „აგრობანკი“. იყო ერთი პრობლემა, რომელიც ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი. ეს იყო შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები რომლებიც პრაქტიკულად მთლიანად გაუფასურდა, რამაც მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ეს პრობლემა დღესაც სრულყოფილად მოგვარებული არ არის. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იყო შემნახველი ბანკის პრივატიზებისას ბანკის მთლიანი ქონების ნახევრის მეანაბრეებზე (მათი სურვილის შემთხვევაში) უსასყიდლოდ გადაცემა.

ბანკებისა და საწარმოების შედარებით წარმატებული პრივატიზების მიუხედავად, კვლავ რჩება მათ შორის ე.წ. „ჩატეხილი ხიდი“. მხედველობაში მაქვს მაღალი საპროცენტო განაკვეთი (25-ზე მეტი წლიური), რომლითაც საწარმოები იშვიათად თუ სარგებლობენ და ის რომ ვინც კრედიტს ასეთი განაკვეთით იღებს, მასაც გარკვეული პერიოდის შემდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრობლემები უჩნდება.

ყურადღებას იპყრობს ჩატარებული და მიმდინარე აუქციონები „ნულოვანი საწყისი" ფასით. ასეთი აუქციონები ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოქალაქეს, მათ შორის უცხოელს, მათ მიერ კონკრეტული საწარმოების აქციებზე ჩარიცხული ნებისმიერი თანხით. ამისათვის ყველა ქალაქში, რაიონში გასხნილია საბანკო ანგარიში. მონაცემები დახურულია–ისინი აუქციონის დამთავრების შემდეგ თავს იყრის საქართველოს ეროვნულ ბანკში, რომელსაც ხსნის სპეციალური კომისია. საბოლოო შედეგები გადაეცემა ქონების მართვის სამინისტროს, რომელიც განსაზღვრავს აუქციონის კურსს ანუ ყოველ შეტანილ 1 ლარზე შეძენილი აქციების რაოდენობას. ამ მეთოდით ყველა აქციის პრივატიზება გარანტირებულია. ბოლო ეტაპზე რესტრუქტურიზება-პრივატიზება მიმდინარეობს ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სფეროში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის № 437 ბრძანებულება „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ", რომლის შესაბამისად „საქენერგოს" ბაზაზე ჩამოყალიბდა 3 დამოუკიდებელი–გენერაციის, გადაცემათა დისპეტჩერიზაციისა და განაწილების (დისტრიბუციის) სექტორები. I და III-ში შემავალი საწარმოები გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებად–დაიწყო მათი პრივატიზებაც, უპირველეს ყოვლისა, დისტრიბუციის ობიექტებით–მიმდინარეობს საერთაშორისო ტენდერები. არის პირველი შედეგიც–1998 წელს ს.ს. „თელასის" აქციათა პაკეტი (75%) შეისყიდა ამერიკულმა კომპანიამ „AES"-მა, რომელმაც აქციათა პაკეტის შესასყიდად გადაიხადა 25,0 მლნ აშშ დოლარი და ტენდერის პირობებით მანვე კომპანიაში 10 წლის განმავლობაში უნდა დააბანდოს 84,0 მლნ-მდე $-ის ინვესტიცია.

ამჟამად გრძელდება ენერგეტიკის ობიექტების ნაწილის პრივატიზებისა და ნაწილის (უპირატესად გენერაციის) 25 წლით მართვის უფლებით გადაცემისათვის ტენდერები. ამასთან, საქართველოს ზოგიერთი დისტრიბუციის კომპანია და გენერაციის ობიექტი ინვესტორებისათვის შეთავაზებულია „ლოტებად". ეს პროცესები ფირმა „მერილ ლინჩის" კონსულტაციებით მიმდინარეობს.

ტელეკომუნიკაციების სექტორში არსებული საწარმოების ს.ს. „საქართველოს ელექტროკავშირის" (აქციათა 75%) და შპს „საქართველოს ტელეკომის" (51%) პრივატიზება ან მართვის უფლებით გადაცემა განხორციელდება ამჟამად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული საინვესტიციო ბანკის მეშვეობით.

მიმდინარეობს ფოთის ნავსადგურის რესტრუქტურიზების პროცესი.ევროკავშირის (TACIS) ექსპერტთა მიერ შემუშავებულია ნავსადგურის რესტრუქტურიზების სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია. სულ ქვეყანაში პრივატიზებულია 15,0 ათასამდე, ობიექტი, მათ შორის 1000-მდე მსხვილი საწარმოა. საექსპერტო შეფასებით კერძო სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 80-მდე პროცენტია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ პრივატიზებული ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უმოქმედოა. ზოგიერთი მათგანის ამოქმედების პერსპექტივები არც სჩანს. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას კანონმა „გაკოტრების შესახებ", რომელიც ძალაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევიდა 1997 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა, ჩემი აზრით არადამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, მიგვაჩნია, რომ მაინც რჩება პრობლემა, რომელთა მოგვარება აუცილებელია. ასე მაგალითად:

-,,საკუთრების უფლების შესახებ"კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ დასრულებულა სახელმწიფო ქონების გამიჯვნა რესპუბლიკურ,ავტონომიურ და მუნიციპალურ საკუთრებად. სერიოზული ხარვეზებია მოქმედ საგადასახადო სისტემაში;

ვერ მოხერხდა სახელმწიფო მონოპოლიის მოშლა მეურნეობის რიგ სფეროებში, სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ სრულად ვერ განთავისუფლდნენ სამეურნეო ფუნქციებისაგან, რაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის კორუფციას;

სრულად არ არის ამოქმედებული ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი;

ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვის მექანიზმები;

საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს მუნიციპალური დახმარების პროექტების პრაქტიკულად ამოქმედება კონკრეტულ რეგიონებში. ამასთან, უნდა გაფართოვდეს ამ დახმარების მასშტაბები, სფეროები და სხვა.

Avtandil Silagadze

INTERNATIONAL FINANCIAL ORGANIZATIONS AND THE PROBLEMS OF STATE PROPERTY TRANSFORMATION

Summary

The article deals with the considerable role played and being played by international financial organizations such as the World Bank, the International Monetary Fund, the European Union (TACIS), the Germany Technical Help and others in the current economic reform in Georgia (among them the privatisation and social development of regions).

Meanwhile, in the article it is pointed out and analysed the evolutional process of current problems in the transformation of state property of the country.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა გელაშვილი

მეცხოველეობის ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში მთავარი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას, რადგან ქვეყნის სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფა უპირველესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. „სასურსათო დამოუკიდებლობა უფრო გადაუდებელი საქმეა, ვიდრე დამოუკიდებლობა სამხედრო თვალსაზრისით. ქვეყანამ, რომელიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რასაც მისი ბუნებრივი შესაძლებლობები იძლევა. ასეთი მიდგომა სრულად აისახება ამ ქვეყნის მთავრობის მიერ გაწეულ აგრარულ პოლიტიკაში"[1,89].

მესხეთი ოდითგანვე ითვლებოდა კლასიკური მიწათმოქმედების და მეცხოველეობის რეგიონად. აქ წარმატებით ვითარდებოდა ისეთი დარგები, როგორიცაა: მარცვლეული კულტურების წარმოება, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა და სხვ.

XVI საუკუნეში საქართველოს ამ კუთხეში მეცხოველეობის შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" და „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი", რომელიც ოსმალო მოხელეებმა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის მიზნით 1595 წელს შეადგინეს.

დავთრის ანალიზიდან ირკვევა, რომ „სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული პირობები და მდიდარი, ნაყოფიერი საკვები ბაზა: დიდი რაოდენობით არსებული საძოვრები, იალაღები, სათიბები; საქონლის საკვებად გამოიყენებოდა მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები: უგრეხელი, იონჯა, ფიგი (ბარდა), ყოლანგარი და სხვა"[2,42-43].

მეცხოველეობა მესაქონლეობის დარგებიდან საათაბაგოში ყველაზე მეტად იყო განვითარებული. „დავთარში გატარებული 711 სოფლიდან მეცხვარეობას მისდევდა 633 სოფელი. სულ დავთრის მიხედვით 292288 თავი ცხვარი იყო, საშუალოდ ერთ კომლზე 23 ცხვარი მოდიოდა, ყოველ სოფელში კი 300-400 სული იყო, მაგრამ იყო სოფლებიც, სადაც ჰყავდათ 1000 და უფრო მეტიც. დავთრის მიხედვით 80959 ღორი, 100120 ათასი ფრთა ქათამი და მსხილფეხა საქონელი, ბლომად იყო თევზი, განსაკუთრებით ჯავახეთში, ხოლო რაც შეეხება მეფუტკრეობას, გადასახადების ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში 45788 სკა იყო. დაახლოებით კომლზე 3-4 სკა მოდიოდა, ხოლო ერთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელში 50-80 სკა"[3,137].

პირუტყვის სულადობის ზრდას ხელს უწყობდა ბუნებრივი სათიბ-საძოვრები. ყველაზე მეტი რაოდენობით სათიბ-საძოვრები დავთრის მიხედვით ჰქონდა ახალციხის ლივას, რაც ირკვევა გადასახადებიდან. „ახალციხის ლივას შეწერილი ჰქონდა 13525 ახჩა, მთელი გადასახადის 21%. საძოვრებითა და იალაღებით გამოირჩეოდა აგრეთვე არტაანის ლივა (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე), რომელსაც შეწერილი ჰქონდა 12243 ახჩა, გადასახადის 19 %,...სულ, დავთრის მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს 711 სოფლიდან 694 სოფელს ჰქონდა საძოვარი და მასზე შეწერილი წლიური გადასახადი 64372 ახჩას შეადგენდა"[3,142].

სამცხე-საათაბაგოში სათიბები და საძოვრებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 55 %-ს შეადგენდა, რაც დაახლოებით 250000 ჰექტრის ტოლია. აქ არსებული სათიბები და საძოვარ-იალაღები იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს ამ კუთხეში XVI საუკუნეში დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა.

სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობის განვითარების დონის გასარკვევად მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება *ვახუშტი ბატონიშვილს*. იგი ამ რეგიონის აღწერისას მეცხოველეობასთან დაკავშირებით წერს: „პირუტყუნი ყოველნი მრავალნი...ცხოვარნი, მრწოელნი და ჯოგნი მრავალი"[4,660-672].

მაგრამ მესხეთს ჰქონდა ეკონომიკური სიდუხჭირის წლებიც. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ახალციხის მაზრის სოფელ ქუნცის გლეხობის მიერ მთავრობისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „უკანასკნელი ჟამისაგან ვართ აოხრებული, გაცარცული, დარბეული, თათრის, ოსმალთა ხელიდან, რომელიც დარჩენილი ვართ ცის ქვეშ, მშიერი, ტიტველი, არა გვაქვს პური, არც ჭურჭელი, 50 დესეტინა გვრჩება დაუთესავი...მშიერი ვიხოცებით"[5,12].

1930 წლიდან დაიწყო კოლექტივიზაციის პროცესი, რომელიც ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. კოლექტივიზაცია მასიურად 1935-38 წლებში მიმდინარეობდა და დამთავრდა 1939 წელს. „მთავარი ის არის, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა ახალციხის რაიონში, რომელმაც მთლიანად შეცვალა ისტორიულად გაწამებული ხალხის ცხოვრება"[6,101].

თუმცა 90-იან წლებში გატარებულ აგრარული რეფორმის გამო დაიშალა კოლმეურნეობები და საზოგადოებრივი მეურნეობები (საბჭოთა მეურნეობები) და მათ ბაზაზე შეიქმნა გლეხური (ფერმერული) და საიჯარო მეურნეობები.

დღეისათვის საკვლევ რეგიონში თუ გადავხედავთ მეცხოველეობის განვითერების დონეს და საწარმოო მიმართულებებს, დავინახავთ, რომ იგი ვერ პასუხობს რეგიონის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა 1970 წლიდან დღემდე საკვლევ რეგიონში პირუტყვის სულადობის, პროდუქტიულობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დონე. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1970 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობაში ირიცხებოდა 140715 სული მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის სახელმწიფო სექტორში 95686 სული. აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლადაა გაზრდილი 1980-85 წლებში, კერძოდ 17573 სულით, ხოლო 1995 წელს შემცირებულია 1980 წელთან შედარებით შესაბამისად– 40556 და 58788 სულით. შემცირების ტენდენციით ხასიათდება ღორის, ცხვრის და თხის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულადობაც.

1980 წელთან შედარებით ღორის სულადობა 1995 წელს შემცირებულია 21228 სულით, ხოლო 1999 წელს 21107 სულით, ცხვრისა და თხის სულადობა ამავე წლებში შესაბამისად 245602 და 229780 სულით. დაბალია, აგრეთვე, ცხვრის სულადობაში ნერბების ხვედრითი წილი (42-43%).

სულადობის შემცირებამ თავის მხრივ უარყოფითი გავლენა იქონია პირუტყვის პროდუქტიულობისა და პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებზეც, კერძოდ, 1980 წელთან შედარებით 1995 წელს რძის წველადობა შემცირდა 450 კგ-ით, ხოლო 1999 წელს 630კგ-ით. დაბალია აგრეთვე ძროხების ხვედრითი წილი მსხვილფეხა რქოსანი პპირუტყვის შემადგენლობაში, რამაც გამოიწვია რძის წარმოების შემცირება.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1990-95 წლებში რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციით იყო გამოწვეული. გაძვირდა პირუტყვის საკვები, მედიკამენტები და სხვ. ამიტომაა, რომ ის თანაფარდობა, რომელიც მეცხოველეობის ძირითადი სახის პროდუქციის საკვლევი რეგიონისა ხვედრით წილს წარმოადგენს რესპუბლიკაში, მეტ-ნაკლებად მდგრადია და 1990-95 წლებში შესაბამისად რძის წარმოებაზე 6,5-7,8, წონამატის წარმოებაზე 3,4 და 2,7, მატყლის წარმოებაზე 1,9 და 2,3 %-ს შეადგენს.

საკვლევ რეგიონში დაბალია აგრეთვე ინტენსიურობის დონე, განსაკუთრებით 1990-95 წლებში. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირებულია 1995 წელს 1980 წელთან შედარებით 8,5 სულით, ცხვრის სულადობა–18 სულით, ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე ღორების სულადობა 39,7 სულით, ფრინველი–ყოველ 100 ჰა მარცვლეულის ფართობზე–32 ფრთით.

რეგიონში მეცხოველეობის ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირება გამოწვეულია პირუტყვის მოვლა-შენახვის და კვების პირობების გაუარესებით. ამასთან ერთად უაღრესად დაბალ დონეზეა სანაშენე და ვეტერინარული მომსახურება.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სავარგულების სტრუქტურასა და ტრანსფორმაციაზე. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 394077 ჰექტრიდან საძოვრებს უკავია 70,1 %, სახნავს-2,4%, სათიბს-8,0%.

საძოვრების მაღალი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემადგენლობაში იმის დამადასტურებელია, რომ რეგიონში არსებობს საუკეთესო პირობები პირუტყვის გამოსაკვებად.

კერძო სექტორში შეიმჩნევა მიწის არასასურველი ტრანსფორმაცია–სათიბის შედარებით დაბალინტენსიურ სავარგულში–საძოვარში გადასვლა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ფართობებიდან სახნავის უმეტესი ნაწილი კერძო სექტორში–გლეხურ მეურნეობებშია, რაც აუთვისებელი და მიტოვებული მიწების დამუშავებით მოხდა.

შესასწავლი რეგიონის რაიონებში ზამთრისა და საზაფხულო საძოვრების გამოყენებაში დისპროპორცია არსებობს, რაც იწვევს, ერთი მხრივ, საძოვრების გადატვირთვას და მეორე მხრივ, არასრულად გამოყენებას. ამ დისპროპორციის აღმოფხვრისა და საზაფხულო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძოვრების სრულად და ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფარის სტრუქტურაში ნერბის ხვედრითი წილი 60-დან 75%-მდე გაიზარდოს, რაც საშუალებას მოგვცემს ცხვრის და თხის სულადობა ზამთრის პერიოდში შემცირდეს, ხოლო ზაფხულის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდოს, ვინაიდან ცხვარი 10-11 თვე იალაღზეა და მხოლოდ 1-2 თვე ბაგურ კვებაზე, ბუნებრივი საკვები-კი ყველაზე იაფი ნედლეულის წყაროა.

რეგიონის ბუნებრივი საკვები სავარგულების ტრანსფორმაციის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საძოვრების ფართობების ზრდის მიუხედავად მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების პრობლემები რეგიონში ჯერ კიდევ გადაუჭრელია, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ იმით, რომ საძოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი მაღალ მთებშია და გამოიყენება მოკლე პერიოდის განმავლობაში: სუბალპურ ზონაში110-120 დღე, ალპურ ზონაში-85-60 დღე, მეორე მხრივ საძოვრების მოუვლელობისა და არასწორი ექსპლუატაციის გამო სათანადო ყურადღება არ ექცევა საძოვრების რაციონალურად გამოყენებას-საძოვართბრუნვას, ნაკვეთმორიგეობას და ზედაპირულ გაუმჯობესებას, რის შედეგადაც მცირდება როგორც საკვები კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა, ასევე მოსავალიც, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარებაზე. ეს უკანასკნელი კი პირუტყვის სულადობასა და პროდუქტიულობაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეცხოველეობის დარგში არსებულ მდგომარეობიდან გამომდინარე მიგვაჩნია:

1. გლეხური მეურნეობების ბაზაზე შეიქმნას ოპტიმალური ზომის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც დასაბუთებული იქნება ტექნიკურად, ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად შესაბამისი კვებისა და საკვებწარმოების პარამეტრებით.

2. შეიქმნას მოზარდი პირუტყვის გამოსაზრდელი და სასუქი ფერმერული მეურნეობები რეგიონის თითო რაიონში ერთი მაინც. ამ ფერმერულმა მეურნეობებმა მოზარდი შეისყიდონ გლეხური მეურნეობებიდან 3-4 თვის ასაკში. მათი გამოზრდა მოხდეს ინტენსიური კვებით და მოვლა-პატრონობით, ხოლო პირუტყვს რეალიზაცია გაუკეთდეს 17-18 თვის ასაკში. ამისათვის საჭიროა ფულადი სახსრები, რაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ კრედიტებით და უცხოური ინვესტიციებით უნდა მოხდეს.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ღონისძიების გატარება საგრძნობლად გაზრდის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას.

ლიტერატურა:

1. *პ. კოლუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი* სასურსათო პრობლემებიდან სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბ., 1999.

2. *მ. მკალათია*, მესაქონლეობა მესხეთში, კრ., მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1972.

3. *მ. სვანიძე*, სამხრეთ, დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, თბ., 1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. ვახუშტი ბატონიშვილი–აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
6. საქ. ცენტრალური არქივი, ფ. 17, საქმე 7551.
7. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ისტორიიდან, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემის მოამბე", თბ., 1988.
8. სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის და სურსათის რეგიონალური სამმართველოს 1990-99 წლის მონაცემები.

Tina Gelashvili

THE HISTORIC AND MODERN CONDITION OF STOCK-RAISING IN SAMTSKHE-JAVAKHETI

Summary

The subject of this work is the historical and modern condition of stock -raising in Samtskhe-Javakheti, especially the showings of live-stock, the productivity and the producing and also the intensive level of live-stock on every 100 hectare of agricultural lands.

The reasons of their reducing are studied and development of cattle-breeding is also planned.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური მეცნიერებანი

კონსტანტინე გვიშიანი

სამცხე-ჯავახეთის მხარის მრეწველობაში კერძო სექტორის ფორმირებისა და განვითარების მიმდინარეობის თავისებურებანი

სამცხე-ჯავახეთში მრეწველობის განვითარებას განაპირობებს მხარის ბუნებრივი პირობები, სანედლეულო ბაზა, სატრანსპორტო ქსელი, მეწარმეობის ტრადიციები და მისი სპეციალიზაციის დონე, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა თავისებურებები.

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ქვეყნის სასაზღვრო ზოლში სამრეწველო საწარმოების მშენებლობა შეზღუდული იყო, რის შედეგადაც საზღვრისპირა რეგიონებში უმნიშვნელო მოცულობის სამრეწველო საწარმოები არის დაფუძნებული, უმეტესი მათგანი აგროსამრეწველო ხასიათის-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელია.

სამცხე-ჯავახეთში, რომელიც 6 ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს სწარმოებდა ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის მოპოვება როგორიცაა: დიატომიტი, ტექნიკური აქატი, ანდეზიტი, თაბაშირი, ბაზალტი, მინერალური წყალი „ბორჯომი", ნახშირორჟანგი გაზი, მსუბუქი შემავსებელი -პემზა, სხვადასხვა შემცველობის თიხები და სხვა. ძლიერი სანედლეულო ბაზა არის აგროსამრეწველო საწარმოებისათვის, ხორცის, რძის, ხილ-ბოსტნეულის ლუდისა და ხილის წყლების-სასურსათო პროდუქციის სამრეწველო წარმოებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში გათვალისწინებულ იქნა რა მხარის დემოგრაფიული პირობები-სამუშაო ძალის მიგრაციის შესაჩერებლად საქართველოში მოქმედმა მძლავრმა საწარმოებმა სამცხე-ჯავახეთში შექმნეს და დაამკვიდრეს თავიანთი ფილიალები, რითაც მნიშვნელოვნად გაადიდეს წარმოება, გაზარდეს რენტაბელობისა და მოგების დონე.

სამცხე-ჯავახეთის მრეწველობას თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა საქართველოს მრეწველობის საერთო მაჩვენებლებში. 1988 წელს მხარის სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოებულ იქნა 154,1 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია (ამ მაჩვენებელში არ შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებული მსხვილი სამრეწველო საწარმოების ფილიალების მიერ წარმოებული პროდუქცია). მხარეში ფუნქციონირებდა 42 სამრეწველო საწარმო (რესპუბლიკაში ფუნქციონირებული სამრეწველო საწარმოების 3,32%; სამცხე-ჯავახეთში წარმოებული სამრეწველო პროდუქცია რესპუბლიკაში წარმოებულის 1,25%-იყო) სამრეწველო საწარმოებიდან მსხვილ საწარმოთა რიგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეკუთვნებოდა მხოლოდ სამრეწველო გაერთიანება „ბორჯომი", რომელიც წელიწადში –19 - 22 მილიონი მანეთის პროდუქციას აწარმოებდა. ყველა რაიონში გარდა ასპინძის რაიონისა ფუნქციონირებდა ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანებათა წვრილი საწარმოები (ლუდის, ლიმონათის და ხილის წყლების ქარხნები, მინერალური წყლების „ფლატესა" და „ვარძიის" ჩამომსხმელი საწარმოები, ხე-ტყის სახერხი საამქროები, თაბაშირის ქარხანა, მსუბუქი შემავსებლის სამსხვრევი საამქროები, კარიერები და სხვა). ცალკე ფუნქციონირებდა ხორცის, რძის და ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები.

სამცხე-ჯავახეთში კერძო სექტორის შექმნას მრეწველობაში საფუძვლად დაედო საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება 'საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის შესახებ (1991 წლის 9 აგვისტოს №341-12) და კერძო სექტორის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „კანონს მეწარმეობის შესახებ (მოქმედებაში შევიდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად 1995 წლის 1 მარტიდან)

სამცხე-ჯავახეთის მხარის მრეწველობაში კერძო სექტორის ფორმირება ორი ძირითადი წყაროს ხარჯზე წარიმართა:

1. სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერაციული, კოლექტიური და საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაციით;

2. კერძო კაპიტალის ხარჯზე, როდესაც მეწარმე ან მეწარმეობის მსურველი თავისი საკუთარი კაპიტალით აფუძნებს წარმოებას.

მრეწველობის დარგში რეფორმები სამცხე-ჯავახეთის მხარის ყველა საწარმოს შეეხო. სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ყველა სამრეწველო საწარმო პრივატიზაციას დაექვემდებარა. გამოყენებულ იქნა პრივატიზაციის თითქმის ყველა ფორმა. შედარებით მსხვილი და საშუალო საწარმოო გაერთიანებები დანაწევრდა და ცალკე გაიყიდა. შეიქმნა სააქციო საზოგადოებები. დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები. ხოლო კერძო კაპიტალის გამოყენებით საფუძველი ჩაეყარა ინდივიდიალურ საწარმოებს. 1999 წლისათვის სამცხე-ჯავახეთის მრეწველობა 157 საწარმოოს ითვლიდა. აქედან სახელმწიფო საწარმოები მუნიციპალური საკუთრების საწარმოთა ჩათვლით 12,7%-ს შეადგენდა,კერძო საწარმოების ხვედრითი წილი კი 80,2% იყო, გარდა ამისა შერეული საკუთრების 9 საწარმოო მოქმედებდა (5,7%) კოოპერაციული საწარმოების ხვედრითი წილი 1,9%-ით განისაზღვრა (3 საწარმო).

სამცხე-ჯავახეთის მრეწველობის საწარმოოთაგან 1999 წელს სააქციო საზოგადოებად ითვლებოდა – 14 საწარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო – 30, ინდივიდიალური - 82 საწარმო.

როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს სამცხე-ჯავახეთში 1996 წელს წარმოებული იქნა 13850 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია, რომელთაგან კერძო საწარმოებზე მოდის 29,47%-ი, 17 კერძო საწარმოში მუშაობდა 608 მუშაკი. კერძო საწარმოებმა სულ გადატვირთეს რესპუბლიკის შიგნით და რესპუბლიკის გარეთ წარმოებული მთლიანი პროდუქცია (4082 ათასი ლარის) აქედან 1,78 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია გადაიტვირთა დსთ.-ს ქვეყნებში.

(იხილეთ ცხრილი №1).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძო სექტორის ფორმირებისა და განვითარების შესახებ სამცხე-ჯავახეთის მრეწველობაში (1996-1999 წლები)

№	მაჩვენებლების დასახელება	1996 წელი		1997 წელი		1998 წელი		1999 წელი	
		სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	სამრეწველო საწარმოები საკუთრების ყველა ფორმის მიხედვით (ერთეული)	84	100	133	100	145	100	157	100
	აქედან სახელმწიფო საკუთრების საწარმოები მუნიციპალურის ჩათვლით	61	72,6	40	30.0	35	24.1	20	12,7
	კერძო საკუთრების საწარმოები	17	20,2	89	66,9	99	68,2	126	80,2
2	კერძო სამრეწველო საწარმოები ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით (ერთეული)	17	100	89	100	99	100	126	100
	სააქციო საწარმოები (ს.)	-	-	8	8,9	12	12,1	14	11,1
	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები (შ. პ. ს)	3	17,6	18	20,2	26	26,3	30	ъ23,8
	ინდივიდიალური საწარმოები (ი. ს.)	14	82,4	63	70,9	61	61,6	82	65,1
3	სამრეწველო პროდუქციის წარმოება (ათასი ლარი) აქედან კერძო სექტორში	13850 4082	100 29,4	20064 14560	100 72,5	12587 11968	100 950		
4	სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი აქედან კერძო სექტორში	3457 608	100 17,6	3314 1825	100 55,1	2531 2138	100 84,4		
5	გადატვირთული პროდუქცია (ათასი ლარი) აქედან კერძო საწარმოების მიერ	10659 4082	100 38,3	18415 14560	100 79,1	12252 11455	100 93,5		
6	საექსპორტოდ პროდუქციის გადატვირთვა (ათასი ლარი) აქედან კერძო საწარმოთა მიერ	2345 1780	100 75,9	8303 4678	100 56,3	150,6 150,6	100 100		

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საწარმოების სტრუქტურა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების

მოცულობა სამცხე-ჯავახეთში 1998 წელს.

№ რიგზე	ადმინისტრაციული	კერძო საკუთრების საწარმოები				წარმოებული პროდუქცია 1998 წლის		
	რაიონის დასახელება	სრული	აქედან ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმების მიხედვით			სულ	აქედან წარ-მოებული კე-რძო	ხვედრითი წილი საერთო წარმოებ. %
		ერთეული	ს.ს.	შ.პ.ს.	ი.ს.	(ათასი ლარი)	საწარმოების მიერ (ათასი ლარი)	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ადიგენის რაიონი	13	-	5	8	114,1	114,1	100
2	ასპინძის რაიონი	16	-	6	10	331,3	317,4	95,8
3	ახალქალაქის რაიონი	18	1	1	16	894,1	872,3	97,5
4	ახალციხის რაიონი	37	3	4	30	980,3	744,8	75,9
5	ბორჯომის რაიონი	32	9	12	11	9967,3	9643,1	96,7
6	ნინოწმინდის რაიონი	10	1	2	7	300	277	92,3
7	სულ სამცხე-ჯა-ვახეთის მხარეში	126	14	30	82	12587	11968,7	95,1

1997 წელს საერთოდ სამცხე-ჯავახეთის მრეწველობაში აღმავლობას ჰქონდა ადგილი. სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა და მისმა მოცულობამ 20,06 მილიონ ლარს მიაღწია. (მატებამ 6,2 მილიონი ლარი შეადგინა). მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის წარმოება კერძო სექტორში. მთელ წარმოებულ პროდუქციაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი 79% -ით განისაზღვრა. მხარის მრეწველობის პროდუქციიდან დსთ-ს ქვეყნებში გადაიტვირთა 8,3 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია, რომელთაგან 56, 3 %-ი კერძო სექტორზე მოდიოდა.

1998 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება სამცხე-ჯავახეთში დაეცა. წარმოება შემცირდა 7,57 მილიონი ლარით. თუმცა კერძო სექტორის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციის წარმოებაში 95%-ით განისაზღვრა. სასაწყობო ნაშთმა (მზა პროდუქცია, რომელიც არ გადაიტვირთა) კერძო საწარმოებში 513 ათასი ლარი შეადგინა.

კერძო სექტორის ფორმირებისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე – 1998 წელს სამცხე-ჯავახეთის რაიონების მიხედვით წარმოდგენას გვაძლევს №2 ცხრილი. მონაცემები მეტყველებენ რომ კერძო სექტორის საწარმოოთა ქსელი ფართოვდება ბორჯომის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონებში ეს ქსელი ჯერ კიდევ მცირეა ნინოწმინდის და ასპინძის რაიონებში.

კერძო სამრეწველო საწარმოები სპეციალიზაციის მიხედვით რაიონების თავისებურების და ტრადიციების გათვალისწინებით სხვადასხვაა. კერძო მეწარმეები აწარმოებენ პურის ცხობას, მარცვლეულის გადამუშავებას, ბორჯომისა და სხვა მინერალური წყლის ჩამოსხმას, ლიმონათის ჩამოსხმას, არყის წარმოებას, ხე-ტყის დამუშავებას, რძისა და ხორცის პროდუქტებსა და ნახევარფაბრიკატებს, ბუნებრივი ნედლეულის ამოღებას და ა. შ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამცხე-ჯავახეთის მხარეში მრეწველობის დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. მრეწველობაში ტრადიციული კავშირების მოშლამ, ენერგეტიკულმა დეფიციტმა, გასაღების ბაზრის დაკარგვამ, პროდუქციის კონკურენტუნარობამ, გარადმავალი პერიოდის განმავლობაში შექმნილმა ობიექტურმა და სუბიექტურმა სიძნელეებმა, საწარმოთა ტექნიკურმა და ორგანიზაციულმა ჩამორჩენილობამ – მრეწველობის როლის სტრატეგიული მნიშვნელობის შეუფასებლობამ, ერთიანი სამრეწველო პოლიტიკის უქონლობამ, მხარეში მრეწველობის განვითარების პროგრამისა და საერთოდ დარგის კონცეფციის უქონლობამ, რეფორმების გაჭიანურებულმა გახანგრძლივებამ, კრიმინალური მოტივებისა და სერიოზული შეცდომების დაშვებამ პრივატიზაციის დროს სამცხე-ჯავახეთის მხარის მრეწველობამ უდიდესი დეფორმაცია განიცადა და დღემდე არ არის დაძლეული კრიზისი, დარგის განვითარება სახელმწიფო დახმარების გარეშე მეტად ძნელი იქნება.

2. სამცხე-ჯავახეთში მრეწველობის შემდგომი განვითარება გარდაუვალი აუცილებლობაა, ვინაიდან იგი ქმნის პირობებს შრომითი რესურსების დასაქმებისათვის. წარმოადგენს მხარის ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და კულტურული განვითარების ძირითად ფაქტორს. იგი ქმნის საფუძველს მხარეში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის, უმუშევრობის დაძლევისათვის, მოსახლეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისათვის, წარმოადგენს დინამიურ წყაროს საინვენსტიციო რესურსებისათვის.

3. კერძო და სახელმწიფო სექტორების სწორი შეთანაწყობის, მათი მუშაობის კორდინაციისათვის, საბაზრო ურთიერთობების რეგულირებისათვის სახელმწიფო მმართველობამ საჭიროა კომპლექსური ღონისძიებები გამოიყენოს მხარეში მრეწველობის განვითარებისათვის.

ლიტერატურა

1. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული ტომი I, II, III და IV თბ., 1996-1999 წლები.

2. საქართველოს მრეწველობა 1986-1997 წლებში (სტატისტიკური კრებული) თბილისი 1999 წელი.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1996, 1997, 1998 წელს (სტატისტიკური კრებულები) თბ., 1997, 1998 და 1999 წლები.

4. სამცხე-ჯავახეთის მხარის სტატისტიკური სამმართველოს მასალები.

Kostantine Gvishiani

Summary

The work is about the economical situation of industry, its role and share in the industry of our republic, the sources of formation of private sector and future plans of developing of economy.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური მეცნიერებანი

გ. კვინიკაძე ნ. ჯღარკავა

შრომითი რეზერვების ფორმირების დემოეკონომიკური პრობლემები სამცხე-ჯავახეთში

შრომითი რეზერვების ფორმირების პრობლემა აუცილებელია განვიხილოთ დემოეკონომიკისა და სოციალურის, როგორც ორი ურთიერთდაკავშირებული სისტემის მიზეზ-შედეგობრიობის ფონზე. იგი ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე პრობლემურ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი სახელმწიფო მართვა განიხილება როგორც ხალხთმოსახლეობის კომპლექსური პოლიტიკა[1]. ამავე დროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ თავისებურებათა განსაზღვრას, რომელიც თავის მხრივ, განპირობებულია ამა თუ იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ადგილით მოსახლეობის აღწარმოებაში, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ზრდაში.

ეკონომიკის განვითარებით დეტერმინირებული დემოგრაფიული პროცესების განვითარება, თავის მხრივ, ზემოქმედებს ეკონომიკაზე. ეს ზემოქმედება სხვებთან ერთად შრომითი რეზერვების რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების მეოხებითაც ხდება. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება უფრო მეტად ამ პროცესის რაოდენობრივ მხარეზე ზემოქმედებს, რადგან მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია სქესსა და ასაკზე. როგორც ცნობილია, ახლგაზრდობას ხნიერ თაობასთან შედარებით ახალი ცოდნის ათვისებისა და ახალი ეკოლოგიური გარემოსადმი შეგუების მეტი უნარი ახასიათებს. ამ ნაკლს ხნიერი თაობა წლობით დაგროვებული გამოცდილებით ავსებს, მაგრამ აქვე არ უნდადაგვავიწყდეს, რომ, თანდათან, რაც უფრო დრო გადის, მიღებული ცოდნის მოძველება მით უფრო სწრაფად ხდება და უკვე ხნიერი ასაკის მუშაკებს სულ უფრო მეტად უძნელდებათ ახალი ტექნიკისადმი ადაპტაცია. ეს ნათლად ვლინდება კომპიუტერიზაციის პროცესში, როცა ახლებური აზროვნება მეტად გამოცდილ მუშაკებსაც უჭირთ. განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ეკონომიკაში დასაქმებულობის ხარისხი. ახალგაზრდობის სულ უფრო დიდ ნაწილს სწავლის პროცესი ეკონომიკაში შრომითი მოღვაწეობიდან წყვეტს. მდედრობითი სქესის მოსახლეობაც თავისი გენერაციული ფუნქციის გამო იძულებულია საკმაოდ ხანგრძლივად მოწყდეს სამუშაოს. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს ახასიათებთ დასაქმების განსხვავებული სტრუქტურები, რაც ნათლად ჩნდება მოსახლეობის დაბერების პროცესის შესწავლისას.

ეკონომიკისა და მოსახლეობის განვითარების ურთიერთკავშირი რეგიონულ ასპექტში უფრო მკვეთრი და აშკარა შედეგებით გამოიხატება. ამიტომ მის რეგიონულ-სტრუქტურულ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის საჭიროება მატულობს ცალკეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების, წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურის, მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის, პოპულაციის ტემპების მეტისმეტ თავისებურებათა გამო.

დემოეკონომიკური კვლევის თვლსაზრისით მეტად საინტერესო რეგიონს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთი, რომელიც მოსახლეობის კვლავწარმოების გამოკვეთილი რეჟიმით ხასიათდება. საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალი შობადობით გამოირჩევიან სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქალები, სადაც შემცირების მიუხედავად შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნდა შობადობა. ეს განაპირობა სოფლის მოსახლეობის მაღალმა ხვედრითმა წილმა, აქაურ არაქართველ მოსახლეობაში შობადობის ტრადიციული დონის სიმყარემ, აგრეთვე ზემო აჭარიდან ჩამოსახლებული ახალგაზრდა კონტიგენტების საგრძნობმა რაოდენობამ, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაახალგაზრდავება. ეს მხარე პოტენციურად ყველაზე მეტად ინარჩუნებს მოსახლეობისა და შრომითი რეზერვების ბუნებრივი მატების პერსპექტივას.

შრომითი რეზერვების ფორმირების რაოდენობრივი მხარის მნიშვნელოვანი კომპონენტებია მოსახლეობის ბუნებრივი მატების განმსაზღვრელი მაჩვენებლები – შობადობა და სიკვდილიანობა. მისი დინამიკა ასეთ სახეს იძლევა (ცხრ 1).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები
სამცხე-ჯავახეთში
(ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით)

*ცხრილი 1**

	1980	1985	1990	1995
შობადობა	21,5	24,8	19,5	14,7
მოკვდაობა	7,4	7,9	7,4	7,7
ბუნებრივი მატება	14,1	16,9	12,1	7,0

როგორც ვხედავთ, შობადობის შემცირების ტენდენცია დაიწყო 90-იან წლებში. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა გაზარდა ოჯახში ყოველი ახალი წევრის შემატების ეკონომიკური ტვირთი. განხილულ პერიოდში შობადობის კოეფიციენტი 1,5-ჯერ შემცირდა, მაგრამ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით იგი ყველაზე მაღალია. რაც შეეხება მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს, მრავალი ათეული წლის მანძილზე სამცხე-ჯავახეთშიც დაბალი და სტაბილური დონით ხასიათდება. შობადობაში ცვლილებები და განსხვავებანი პირადაპირ აისახა ბუნებრივი

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული პირველადი მასალის საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატების ცვლილებებშიც. 1980-85 წლებში ადგილი აქვს ზრდის ტენდენციას, ხოლო 1990 წლიდან იგი მნიშვნელოვნად მცირდება და 1995 წლისათვის 12,1-დან 7,0%-მდე ეცემა.

შობადობის შედარებით მაღალი დონის შენარჩუნების ერთ-ერთ პირობას სამცხე-ჯავახეთში, როგორც აღვნიშნეთ წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი (66,5%). ამასთან აღსანიშნავია, რომ ვერტიკალური ასაკის სოფლის მოსახლეობის ქალთა ნაყოფიერების დონე მაღალია[2,30].

შობადობის დაცემის ტენდენცია, რომელიც 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისის შედეგად განვითარდა, უფრო ზუსტად აისახება შობადობის სპეციალური კოეფიციენტების მიხედვით. როგორც შობადობის სპეციალური კოეფიციენტების შეფასების შკალითაა განსაზღვრული ყოველ ყოველ 1000 ვერტილური ასაკის ქალზე 64-ზე ნაკლები დაბადება ითვლება დაბალი დონის შობადობად, 64-100 -საშუალო დონედ, 101-120 საშუალოზე მაღალ დონედ. საქართველოს რეგიონებს შორის სამცხე-ჯავახეთი არის ერთადერთი რეგიონი, სადაც შობადობის სპეციალური კოეფიციენტი საშუალო დონეზეა შენარჩუნებული (64, 8%)[3].

რეგიონის შრომითი რეზერვების ფორმირების ცვლილებების ახსნა შეუძლებელია აგრეთვე დემოგრაფიული დაბერების პროცესის ანალიზის გარეშე. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გამომწვევი მიზეზებია: ა) შობადობის დონის შემცირება; ბ) მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა სიკვდილიანობის შემცირებით; გ) მოსახლეობის მიგრაცია.

დაბერების პროცესის მოკლე მონაკვეთში განხილვა ყოველთვის არ იძლევა დასაბუთებული დასკვნების გაკეთების საშუალებას. იგი უნდა განიხილებოდეს დიდი პერიოდის განმავლობაში.

ასეთ შემთხვევაში დაბერების პროცესის დაჩქარებაში სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამორიცხვა შეუძლებელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დროზე სიკვდილიანობის შემცირებამ, რომლებსაც ეგზოგენური ფაქტორები იწვევდნენ, განაპირობა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პირველი ეტაპი. შემდგომ კი, რადგანაც სიცოცხლის ხანგრძლივობის ბიოლოგიური შესაძლებლობა ზღვარდებულია, მისი ზეგავლენა დაბერების პროცესზე შემცირდა.

დაბერების პროცესი მეტად თვალნათლივ გამოიხატება ა. სოვის დაბერების ინდექსის მეშვეობით. ესაა 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის შეფარდება 20 წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან. 70-იანი წლებიდან უკანასკნელი აღწერების მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის დაბერების ინდექსი სამცხე-ჯავახეთში 1,72-ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის დაბერების ეკონომიკური პრობლემა მდგომარეობს შრომითი ასაკის მოსახლეობის მოხუცებაში. საქმე ისაა, რომ შრომითი ასაკის მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელიც უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს იწვევს რიგ გარემოებათა გამო. ესაა კონტიგენტი, სადაც უფროს ასაკთან შედარებით მაღალია შრომის მწარმოებლურობა, ამასთან ახალგაზრდობის ხვედრითი წილის შემცირებამ

შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესის შეფერხება. დემოგრაფიული დაბერების, მის ეკონომიკურ შედეგებთან დამოკიდებულების განსაზღვრისათვის, აგრეთვე შრომითი პოტენციალის ფორმირებაში, მნიშვნელოვანია შრმისუნარიან კონტიგენტში შიგაასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის დახასიათება და მისი რეგიონული თავისებურებების დახასიათება. ასაკობრივი სტრუქტურის შედარება გვიჩვენებს, რომ მართალია 50-59 წლის შრომითი ასაკის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც შეეხება 40-59 წლის მოსახლეობას,მას განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია; გაიზარდა 20-29 წლის ასაკის მოსახლეობა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა 30-39 წლის ასაკის მოსახლეობა.

მოსახლეობის დაბერების დონის ზრდის კვალობაზე იზრდება მოხუცი და ხანდაზმული მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მოდის შრომითი ასაკის მოსახლეობაზე. აღნიშნული მოვლენა ცნობილია დემოგრაფიული დატვირთვის სახელწოდებით. დემოგრაფიული დატვირთვის დონე ჩვენს მიერ გაანგარიშებულია 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის შეფარდებით შრომითი ასაკის მოსახლეობასთან, რომლის მიხედვითაც შრომითი ასაკის ყოველ 100 კაცზე მოდის 32 მოხუცი.

შრომითი რეზერვების ფორმირებაში არსებით როლს ასრულებს აგრეთვე მიგრაცია. მიგრაციულ ნაკადებში უდიდესი უმრავლესობა შრომით ასაკში მყოფი მოსახლეობაა. ამიტომაც, რეალურად, მოსახლეობის მიგრაცია მიგრანტთა სტრუქტურით, მიგრაციის მიზეზებითა და შედეგებით, არსებითად იგივეა, რაც შრომითი რეზერვების მიგრაცია. ასე, რომ შრომითი რეზერვების ფორმირების დემოგრაფიული პრობლემების შესწავლაში მნიშვნელოვანია მიგრაციული პროცესების ანალიზი. ერთ-ერთი არსებითი წინააღმდეგობა კი რომელიც მოსახლეობის მიგრაციის ანალიზს ართულებს, ესაა საინფორმაციო ბაზის არასრულყოფილება. ამ მხრივ უფრო არასასურველი წინააღმდეგობები გვხვდება მიგრაციის რეგიონული ანალიზისას. შრომითი მიგრაცია, რომელიც სეზონურ ხასიათს ღებულობს ადრეც იყო დამახასიათებელი რეგიონის არაქართულ მოსახლეობაში, მაგრამ 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს იგი ძლიერ გაიზარდა. ემიგრაციის მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობის ნაკლებად გაუმჯობესება და ეთნიკურ-კულტურული გარემოთი დაუკმაყოფილებლობაა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სომეხი ემიგრანტები ძირითადად მიემართებიან არა სომხეთისკენ, არამედ რუსეთისა და სხვა ქვეყნებისაკენ.

რეგიონის დემოგრაფიულ განვითარებაში მიმდინარე პროცესებმა გამოავლინეს შემდეგი ძირითადი ტენდენცია: ხდება მოსახლეობის შობადობის შემცირება, მაგრამ იგი შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში იზრდება მოსახლეობის მედიანური ასაკი. რაც შეეხება მოკვდაობის მაჩვენებელს, იგი გარკვეულად სტაბილური ტენდენციით ხასიათდება. ზემოთ აღნიშნული ძირითადი ტენდენციები და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესები მოითხოვს აღნიშნული პროცესების მართვის კომპლექსურობის აუცილებლობას, რაც ბუნებრივია დღის წესრიგში აყენებს სამცხე-ჯავახეთში ხალხთმოსახლეობის კომპლექსური რეგიონული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების აუცილებლობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. *Г. Квиникадзе*, Географические проблеми региональной политике использование трусовых ресурсовю Авт. дисю Тб., 1989.

2. *ბ. ტუბაშვილი* – შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თბ., თსუ 1990, გვ. 30.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

4. Статистика населения с основании демографии М., Финансы и статистика 1990 ст., 132.

G. Kvinikadze N. Jgharkava

DEMO-ECONOMICAL PROBLEMS OF FORMATION OF LABOUR RESERVES IN SAMTSKHE-JAVAKHETI

Summary

The article is about some aspects of demo-economical processes and the basic tendencies which characterize this process in Samtskhe-Javakheti.

Having analysed the statistical materials, the authors showed that the tendency of reducing of birthrate in the region had already begun which would certainly influence the process of re-production of labour reserves. They also showed the basic irrelevance between the number of labour reserves, from one hand, and the economical and social potencial of the region, on the other hand.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური მეცნიერებანი

ზურაბ მაღრაძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მისი განვითარების პერსპექტივები

კაცობრიობა ამჟამად იმყოფება მეცნიერების ყოველმხრივი განვითარების გზაზე და ცხადია, მისი მომავალი დიდად იქნება განსხვავებული წარსულისაგან. მეცნიერული პროგრესის სულ უფრო სწრაფი ტემპი გვაიძულებს ყოველ დარგში რეკომენდაციების მრავალმხრივი ვარიანტი დავამუშავოთ, სანამ შევუდგებოდეთ მეცნიერული დასკვნების პრაქტიკულ დანერგვას. ამავე დროს, ესა თუ ის მეცნიერული რეკომენდაცია სამეურნეო საქმიანობის სრულყოფის საბოლოო ნაბიჯი როდია. ეს არის მომავლის მრავალვარიანტული და რაც შეიძლება ობიექტური სურათი, რომელიც გვიხასიათებს საქმიანობის შესაძლო მანევრირებას. რაც უფრო მანევრირებადია საქმიანობა, მით უფრო ხელსაყრელია მისი შედეგები. მაგრამ ვიდრე მანევრირებას მივმართავდეთ უნდა გავითვალისწინოთ ტრადიციები, წარსულში ჩამოყალიბებული გამოცდილება და ტექნოლოგიები, ადაპტაციისა და მოტივირების მასშტაბები, ისტორიული კომუნიკაცია გარე სამყაროსთან ა. შ. და შემდეგ უნდა ვიფიქროთ ინოვაციების დანერგვასა და მართვის ახალ მოდელებზე.

სამცხე— ჯავახეთი, ისტორიული ზემო ქართლი ანუ მესხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარია. ჯანსაღი ჰავა, წიწვნარი ტყის მასივები, მინერალური წყლების სიუხვე და სხვა წინაპირობას ქმნის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქ ადამიანი უძველესი დროიდან დასახლებულა და სამეურნეო ცხოვრება დაახლოებით 5 ათასი წლის წინ დაუწყია.

ჯავახეთი მდიდარი და ბარაქიანი მხარეა. მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, ვიდრე მას თურქ–ოსმალები დაიპყრობდნენ, იგი ქართლთან ერთად საქართველოს პურის ბელელს წარმოადგენდა. ისტორიულად მომდინარე მისი სოფლის მეურნეობა ფრიად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"–ს მიხედვით ჯავახეთის მადლიანსა და ბარაქიან მიწა–წყალზე ბევრი სიკეთე ყოფილა. ვრცელსა და ნოყიერ იალაღებზე წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის უამრავი ჯოგი მიმოდიოდა. მისი ტბები და მდინარეები მდიდარი ყოფილა თევზით. არა თუ წარსულში, დღეისთვისაც კი ჯავახეთის წყლებში თევზი ჯერჯერობით კიდევ საკმაო რაოდენობითაა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით მოძალადე თურქ–ოსმალოებს თევზჭერის გამოსაღებით დაბეგრილი ჰყოლიათ ტბისპირა მოსახლეობა. ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ჯავახეთში თევზჭერას რეწვის ხასიათი უნდა ჰქონოდა.

საქართველოში დღემდე საუკეთესოდ ითვლება ჯავახური თაფლი, რომელსაც თავის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროზე დიდ რაოდენობით აწარმოებდნენ. ჯავახეთი ცნობილი იყო აგრეთვე საუკეთესო და უხვმოსავლიანი პურეულით. რაც წერილობით წყაროებთან ერთად სამეურნეო დანიშნულების ძველი ხალხური მატერიალური კულტურის ძეგლებითაც აშკარად დასტურდება. აქ შუასაუკუნეების მანძილზე მისდევდნენ ქერის, ქერჭრელის, დიკის, ასლის, იფქლისა და დოლისპურის ჯიშის ხორბლეულის კულტივიზაციას. საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ აგრეთვე ოსპი, ბარდა, ცერცვი, მუხუდო, სელი და სხვა მემინდვრეობის კულტურები, რომელთაგან ბევრმა თავი ვეღარ შემოინახა და მთლიანად გაქრა სამეურნეო ცხოვრებიდან. ამჟამად უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ გვიანფეოდალურ ეპოქაში ჯავახეთისათვის დამახასიათებელი იყო მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობა – მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მეთევზეობა.

ჯავახეთში ძველი მიწათმოქმედების მაღალკულტურულ დონეზე მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკურად დაწინაურებული მოდიფიცირებული ნაირსახეობანი. მაგ, სალეწი, საფარცხი, სანიავებელი, სახვნელი, სატრანსპორტო საშუალებები მ. შ. „ბჯის ურემი", „სახლის ურემი" და სხვა. ეს ფაქტობრივი მონაცემები იმის მაუწყებელია, რომ სატრანსპორტო საშუალება – ქართული ორბორბლიანი ურემი ჯავახეთში ძველთაგანვე გამოყენებული ყოფილა. სამხრეთ საქართველოს ეს რეგიონი მარცლეულის შესანახი ჭურჭელ–სათავსებითა და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების სიმრავლით ხასიათდებოდა. ჯერ კიდევ შემორჩენილია მათი ამსახველი რეალიები – საქონლის ღია სადგომების, ზეთსახდელი ქარხნების, ხორბლეულის მიწისქვეშა საცავების, ქვითკირის ხაროების ნანგრევები. აქა იქ ძთლიანი სახითაა შემონახული ხის ბეღლები – ლაზამბარი და ხელამბარი, საფქვილე შელესილი გოდრები, ჩანახები და მრავალი მისთანანი. ხარო ხორბლეულის შესანახ, მიწის ქვეშ სპეციალურად ამოშენებულ საიდუმლო საცავს წარმოადგენდა. ჯავახური ხარო, მუდამ ქვიტკირით იყო ამოყვანილი და მოყვანილობით ქვევრის ფორმას იმეორებდა. ხაროთა უმრავლესობა სიმაღლით 3 მ-ს აჭარბებდა. მისი მოცულობა ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ხორბლის ჩაყრამდე ხაროს წინასწარ ამოაშრობდნენ, ცეცხლს ჩაუნთებდნენ. მერე გაანიავებდნენ, ფსკერზე გამხმარ თივას მოაფენდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაყრიდნენ შიგ გამშრალ ხორბალს. თავდახურულ ხაროზე აუცილებლად მიწის სქელი ფენა უნდა დაყრილიყო, რომელსაც საგულდაგულოდ მოასწორებდნენ. ასე საიმედოდ ინახავდა ვლეხი მოწეულ ჭირნახულს. ხარო მიწისქვეშა საცავს წარმოადგენდა, რომლის მიგნება არათუ მტერს ზოგჯერ პატრონსაც უჭირდა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საშუალო მოცულობის ხაროში 200 — 250 ფუთი ხორბლეული ეტეოდა. ხაროში ხორბლის შენახვის ხანგრძლივობა ნიადაგსა და ხორბლის ჯიშზე ყოფილა დამოკიდებული. კარგად გამომშრალი ხორბალი, სათანადო ნიადაგურ პირობებში თითქმის თხუთმეტი წელი ინახებოდა. ყოველივე იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ჯავახეთის წარსული სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი მემინდვრეობა მართლაც მასშტაბური ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის" მიხედვით გვიანფეოდალური ხანის ჯავახეთში, ქართველებს, სხვა სასოფლო–სამეურნეო კულტურებთან ერთად სელიც საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ. ამაზე მეტყველებს ხალხური ზეთსახდელი ქარხნების გავრცელების სიხშირე. ჯავახეთში იშვიათია ისეთი სოფელი,სადაც ზეთსახდელების ნაშთები არ მოიპოვებოდეს. ზეთსახდელების ნაშთები ამჟამადაც საკმაოდ თვალნათლივ დასტურდება სომხებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასახლებულ ისეთ სოფლებში როგორიცაა: თორია, დილითი, განძა, ჯიგრაშენი, კოთელია, მურჯახეთი, ბარალეთი და სხვა. ჯავახეთში ორნაირი სელი ითესებოდა – ბრტყელი და გრძელი. გრძელი სელის ბოჭკოსაგან კარგი ქსოვილი მზადდებოდა. ბრტყელი სელიდან კარგი და ბევრი ზეთი გამოდიოდა. ქვის კალოზე გალეწილი, მოხალული და დაწნეხის შედეგად მიღებული სელის ზეთი გამოიყენებოდა საჭმლის დასამზადებლად, ჭრაქისათვის და ხალხურ მედიცინაში. გვიანფეოდალურ ხანასა და XIX საუკუნეში აქაური ზეთი გასაყიდად გაჰქონდათ იმერეთში, შიდა ქართლში, მეზობელ სომხეთსა და თურქეთში. ამას გარდა გაწურული სელის მასა – კოპტონი გამოიყენებოდა საქონლის მაღალკალორიულ საკვებად, რომელიც ეძლეოდა მუშა და ბაგურ კვებაზე მყოფ საქონელს, რადგან რძეს მაღალცხიმიანობას აძლევდა. ასევე მაღალცხიმიანობით გამოირჩეოდა ამ რძისაგან დამზადებული ყველი.

ქვისაგან გამოქანდაკებულ ცხვარ–ვერძებთან და ცხენებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჯავახეთი მათი გავრცელების ერთ–ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს საქართველოში. საქონლის სხვადასხვა ჯიშების შეჯვარების შედეგად გამოჰყავდათ უფრო გამძლე, მეტი რძის მომცემი და ხორციანი მსხვილფეხა საქონელი. როგორც ცნობილია, ფართო მასშტაბის მესაქონლეობის წარმოებისათვის აუცილებელია განვითარებული ბალახთესვის კულტურა და რაც მთავარია, ნოყიერი იალაღების დიდი სავარგულები. ამას გარდა საჭიროა აგრეთვე კარგად მოწყობილი საქონლის საზამთრო სადგომები. ისტორიული ჯავახეთის სამეურნეო ყოფაში ეს სამი აუცილებელი პირობა სინქრონულად ავსებდა ერთმანეთს. წარსულში საქართველოს ამ კუთხეში არსებობდა საძოვრების მოვლა–პატრონობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია. ჯავახეთის იალაღები მხოლოდ ადგილობრივად წარმოებული მესაქონლეობისათვის როდია განკუთვნილი . როგორც ცნობილია, მის იალაღებზე საქონელი მოედინებოდა ქართლიდან, კახეთიდან, თუშეთიდან. ჯავახეთი თრიალეთთან ერთად საქართველოს უმთავრეს საიალაღო საძოვარს წარმოადგენს. აქ არსებობდა საქონლის სხვადასხვა სახის სადგომები. საქონლის დიდ სადგომებს ქართველები „ხალხამებს“ უწოდებდნენ, პატარებს კი – „ბერას“.

დიდი მასშტაბის მესაქონლეობა, როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით, X – XIII სუკუნეების სამხრეთ საქართველოში იშვიათი არ ყოფილა. გავიხსენოთ საქართველოს ისტორიაში ცნობილი ერთი მაგალითი, რომ XIII ს–ის ოციან წლებში ჯავახეთში შემოჭრილი თათარ–მონღოლთა ურდოები პირველად კახა ერისთავის საქონლის ურიცხვ ჯოგებს გადაეყარნენ. „დავთრიდან“ ირკვევა, რომ სამცხე–საათაბაგოში რეგისტრირებული 711 სოფლიდან მეცხვარეობას მისდევდა 633 სოფელი. აქ საშუალოდ ერთ კომლზე 23 თავი ცხვარი მოდიოდა. საათაბაგოში 292288 თავი ცხვარი იყო და მისი საერთო ღირებულება ოსმალეთის იმდროინდელი ბაზრის ფასების მიხედვით დაახლოებით 30 მლნ. ახჩას შეადგენდა. ეს კი მაშინ საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა იყო. მესხეთში უპირატესობა ეძლეოდა მუშა პირუტყვს, რადგან მარცვლეული კულტურების ხვნა–თესვა და ლეწვა–დაბინავება მოითხოვდა გამწევი საქონლის დიდ რაოდენობას. რაც შეეხება მეღორეობას საშუალოდ ერთ კომლზე „დავთრის“ მიხედვით 7 ღორი მოდიოდა. ღორის ხორცი ზამთრობით ქართველის ერთ-ერთი მთავარი საკვები პროდუქტი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯავახეთის ნოყიერბალახიანი საძოვრების დიდი ფართობები, უამრავი წყაროები, მდინარეები და ტბები თავის დროზე ნადირ–ფრინველის გამრავლებასაც უწყობდა ხელს, და უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეს სამხრეთი კუთხე ფაუნითაც მდიდარი იყო. გადმოცემების მიხედვით, არც თუ ისე შორეულ წარსულში ბევრი ყოფილა გარეული ღორი, კურდღელი, წავი, კაკაბი, მელა, მგელი, გარეული თხა, ირემი და ბევრი სხვა ცხოველი. ნადირ–ფრინველის სიუხვის გამო ჯავახეთი ერთ–ერთ ყველაზე კარგ სანადირო მხარედ ითვლებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, მტრების გაუთავებელი შემოსევების შედეგად დაიწვა და გაიჩეხა ტყეები, მოისპო ნადირ–ფრინველიც, მათი ზოგიერთი სახეობა სრულიად გადაშენდა.

მეხილეობას რაც შეეხება, ეს დარგი განსაკუთრებით სამცხის რაიონებში იყო განვითარებული. ხეხილის ბაღები ვრცელდება ზ.დ. 1400–1500 მ სიმაღლემდე. ახალციხის რაიონი ხილის ადგილობრივი ჯიშებით მდიდარი მხარეა. ალბათ ეს იყო მიზეზი ახალციხეში საკონსერვო ქარხნის შექმნისა ყოფილ საბჭოთა წლებში. მესხური ვაშლისა და მსხლის ჩირი ძველთაგანვე დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთსა და უცხოეთში. 1912 წ. პარიზის გამოფენაზე მესხური ვაშლის ჯიშმა „აბილაურმა“ ოქროს მედალიც მოიპოვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა პერიოდში რეგიონის სოფლის მეურნეობა მთლიანად იყო ორიენტირებული კავშირის აგრარულ პოლიტიკაზე, რამაც ზაგავლენა მოახდინა რეგიონში დარგის სპეციალიზაციაზე. მეკარტოფილეობა სოფლის მეურნეობის ერთ–ერთი წამყვანი დარგია. საბჭოთა წლებში ზოგ კოლმეურნეობაში 1ჰა-ზე 200-230 ც კარტოფილი მოჰყავდათ. ძირითადი ჯიშებია: მაჟესტიკი, ადრეული ვარდისფერი და სახალხო. მებოსტნეობა დამხმარე დარგია და მას უმეტესად სარწყავი ზონის მეურნეობები მისდევდნენ.

სამცხე–ჯავახეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით მოკლედ შევეხებით იმ ძირითად სადღეისო პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ცხოვრებამ კარგა ხანია დღის წესრიგში დააყენა. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასოფლო–სამეურნეო წარმოების განლაგება არა ერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. მ. შ. მთავარი ფაქტორებია ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები. გარდა ამისა სოფლის მეურნეობის განლაგებაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გადამამუშავებელი მრეწველობის ხელსაყრელობა და ჰარმონიულობა სოფლის მეურნეობის დარგთან, ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარების დონე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, საერთო საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და ა. შ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბუნებრივია მოიშალა რეგიონის მთლიანი ტექნიკურ-ეკონომიკური სისტემები. ადრე არსებული საწარმოო აგროტექნიკა დღეისათვის ნაკლებად გამოსადეგია, რაც სერიოზულ ბარიერებს ქმნის რეგიონის ეკონომიკური აღმავლობისათვის. თუმცა ქვეყნის მმართველი წრეებისა და მეცნიერ–ექსპერტების მიერ კარგად მოზომილი და მოფიქრებული პროგრამა, რომელიც აგრარული პოლიტიკის კონცეფციის სახელითაა ცნობილი სამცხე–ჯავახეთისათვის მეტად მისადაგებულ ინდიკატურ გეგმად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუ გვსურს, რომ მყარი საინვესტიციო–საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით განვავითაროთ სოფლის მეურნეობა პირველ რიგში საჭირო გავითვალისწინოთ მისი ბუნებრივი პირობები, ტრადიციები და შემდეგ საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად დავგეგმოთ

დარგის საწარმოთა მიმართულებები. რეგიონის ეკონომიკური ზრდისათვის საჭიროა ტრადიციული და ახალი დარგების შეთანაწყობილი განვითარება, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო ბაზრის გაჯერება ხარისხიანი და უსაფრთხო საკვები პროდუქტებით.

ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციების საშუალებით საჭიროა საირიგაციო სისტემების მოწესრიგება. სამცხის რაიონებში უნდა მოხდეს ხეხილის ძველი ჯიშების აღდგენა–გამრავლება. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ვაზის, ქართველი კაცის ამ საამაყო და სათაყვანებელი კულტურის აღდგენაც. ეს არამარტო ეროვნული საქმეა, არამედ იგი აღკვეთავს მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის პროცესებს. რაც შეეხება სელის კულტურას, მისი აღდგენა იმითაცაა გამართლებული, რომ სელის ზეთი მნიშვნელოვნად შეცვლის ერბო–კარაქს და გარკვეულ ადგილს დაიკავებს როგორც შიდა ისე საგარეო ბაზრებზე. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მეაბრეშუმეობის განვითარებას, რის გარანტიასაც თუთის ხეების სიუხვე იძლევა. ამ პერსპექტიული და მაღალშემოსავლიანი კულტურების დანერგვით გაიზრდება რეგიონის შემოსავალი. მეცხოველეობის განვითარებაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ძირითად პირობად საკვები ბაზის გაფართოება უნდა მივიჩნიოთ. ყურადღება გასამახვილებელია მთის მდიდარი საზაფხულო საძოვრების ათვისება–ექსპლოატაციაზე. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მეთევზეობისა და მეფუტკრეობის განვითარებას. საუცხოო კლიმატური პირობები, თაფლოვანი მცენარეები, მთის სტეპის ყვავილების სიუხვე პირობებს ქმნის არომატული და მაღალშაქრიანი თაფლის უფრო ფართოდ წარმოებისათვის. რასაც გასაღების ბაზარი ნამდვილად გააჩნია.

ყოველივე ზემოთხსენებული უნდა განხორციელდეს მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის დანერგვით, ახალი ტექნოლოგიებისა და მართვის ახალი სისტემების ათვისებით, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებით; კერძოდ, საბანკო–საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო, სახაზინო, სადაზღვევო, სამარკეტინგო, ფასწარმოქმნის, ინჟინერინგული, სალიზინგო, პრივატიზების, საკადრო, საკონსულტაციო, საინფორმაციო, სამეცნიერო, საერთაშორისო, სამელიორაციო, სასურსათო, საკანონმდებლო, მუნიციპალური და სხვა სახელმწიფო თუ, კერძო ბიზნეს–პროგრამების სრულყოფით. სწორი ტერიტორიული დაგეგმვის, რეგიონალური მართვის კომპლექსურ–დარგთაშორის სტრუქტურის შეხამების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დანერგვის პარალელურად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს თანამედროვე მენეჯმენტის გაუმჯობესებას აგრობიზნესის სისტემაში.

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება რეგიონულ დონეზე სოფლის მეურნეობის განვითარების უშუალო არგუმენტია. საშუალოვადიან პერიოდში ძირითადი პრიორიტეტები იქნება ადგილობრივი სურსათით მოსახლეობის მოთხოვნის უზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, გრძელვადიან პერსპექტივაში ტრადიციული და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოება, რათა საექსპორტო შემოსავლებმა უზრუნველყონ არა მარტო სურსათზე მოთხოვნის დაბალანსება, არამედ უცხოური ვალუტის რესურსების ფორმირება. ამდენად საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტული იქნება მარცვლეულის, კარტოფილის, მცენარეული ზეთის, მეცხოველეობის პროდუქტების და ხილის წარმოება. შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობა, საკონსერვო და ლუდ–ლიმონათის საწარმოთა განვითარების უპირატესობით. მცირე საკონსერვო საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ გლეხებისა და ფერმერებისაგან ხილის შესყიდვა–გადამუშავება და საგარეო ბაზრებზე პოზიციების აღდგენა. ყველა ეტაპზე პრიორიტეტულია საკუთარი თესლისა და ნერგის წარმოება, სანაშენო საქმე მეცხოველეობაში. სასურსათო რესურსების ფორმირება განხორციელდება უპირატესად კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით. ამავე დროს, რეგულირებისათვის სახელმწიფომ შეიძლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიყენოს რეზერვების ფორმირების მექანიზმი მწარმოებელთაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვით. რეგულირებისას არ უნდა იქნეს გამოყენებული არამიზანმიმართული სუბსიდირების მექანიზმები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უახლოეს მომავალში დას. საქართველოდან ექსპორტირებული ძირითადად იქნება ჩაი, ციტრუსი და სხვა, ხოლო აღმ. საქართველოდან ღვინო, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამცხე – ჯავახეთში წარმოებულმა მარცვლეულმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოთხოვნა პურისა და პურ–პროდუქტებზე.

ამდენად, კარგად გათვლილი რეგიონული აგრარული პოლიტიკა და ეკონომიკური სტრატეგია მიგვიყვანს სამეურნეო ცხოვრების კეთილდღეობამდე. იმედია უახლოეს პერიოდში სამცხე–ჯავახეთი თავისი ტრადიციული და ახალი დარგებით ჩაებმება არამარტო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სივრცეში. და რეგიონის სოფლის მეურნეობა თავისი პოტენციით იქნება საფუძველთა–საფუძველი საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ქვეყანაში მდგრადი, დინამიური სოციალურ–ეკონომიკური ურთიერთობების საბოლოოდ დამკვიდრებისა.

ლიტერატურა

1. *დ. კოპორიძე*, სამცხე-ჯავახეთი – წარსული და დღევანდელობა. თბ., 1987.

2. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, თბ., 1997.

3. *თ. ჩიქოვანი*, ჯავახეთი. თბ., 1982.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია. 2. თბ., 1982..

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის ვაძღოლის სისტემების შესახებ. თბ., 1977.

Zurab Magradze

THE ARRANGEMENT OF AGRICULTURAL PRODUCTION IN SAMTSKHE-JAVAKHETI REGION

Summary

The following questions are described in this work

Natural resources of Samtskhe-Javakheti; Javakheti historical fauna; „A Big List of Gurjistani"; Historical facts; Monuments of material culture; Places of a storage of a grain; Oilresearch factory; Rich mountain steppes; Accommodation and specialization of region agricultural; The factors, acting on accommodation; Technologies and experience of last ; Traditions of fruit-growing; Production of grain cultures; Influence of the Soviet period to an agriculture of region; Today's problems; Perspectives of development of beekeeping and silk-worm culture;Priority directions; Economical regulation of agrarian market; Social and productional Infrastructure; Shaping of food resources; State mechanism for reserves shaping; New models govern; Dinamical social-economical relations.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ მჭედლიძე

ბიზნესის განვითარების ტერიტორიული ასპექტები

საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ხელშეწყობა გულისხმობს რეფორმის სისტემურ განხორციელებას. საბაზრო ურთიერთობებზე მართვად გადასვლას, რეფორმის ცენტრის გადატანას რეგიონებზე და ფირმებზე. ცხადია, რეფორმა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ ბიზნესის, ცალკეული ფირმების, მეწარმეების როლი ამ პროცესში, რადგან რეფორმა პირველ რიგში უშუალოდ მათ ეხება და მათი ინტერესები ყოველმხრივ უნდა იყოს გათვალისწინებული.

ჯერჯერობით ეკონომიკური პირობები ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში არახელსაყრელია, ამიტომ აუცილებელია მისი რეგულირება. ბიზნესის განვითარების პრობლემების თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევა დღესდღეობით ძალიან ნელა მიმდინარეობს. აუცილებელია ამაღლდეს ბიზნესის ფუნქციონირების როგორც ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი, ისე ტექნოლოგიური ასპექტების მეცნიერული უზრუნველყოფის დონე, რათა საკუთარი მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებიდან გადავიდეთ კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაზე.

დღეს საქართველოში ბიზნესური აზროვნების შესაბამისად ახლებურად დგება რეგიონალური ეკონომიკის პრობლემა. თუ ადრე აქცენტს ბიზნესისათვის მიუღებელ მაჩვენებლებსა და კრიტერიუმებზე ვამახვილებდით დღეს ბიზნესის მოტივაციებმა სრულიად ახალი და რადიკალურად განსხვავებული მიდგომა მოითხოვა.

ამის შესაბამისად, თითოეულმა რეგიონმა (მხარემ) და რაიონმა უნდა შეიმუშაოს თავისი სპეციფიკისათვის მორგებული ეკონომიკის განვითრების ბიზნეს-პროგრამა და მასზე დაყრდნობით გაშალოს ეკონომიკური რეფორმებისა და ბიზნესის განვითარებაც. ამის გარეშე ვერცერთი რაიონი (რეგიონი) ვერ შეძლებს რაციონალურად გამოიყენოს ადგილობრივი პოტენციალი (რესურსები), სწორად ააგოს მენეჯმენტი (მართვა) და შექმნას რეალური პირობები თითოეული რგოლის (სფეროს) მომგებიანი ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს რეგიონები განვითრების დონეების, მეურნეობის სპეციალიზაციისა და სტრუქტურის, ქვეყანაში თითოეული მათგანის როლისა და ადგილის მიხედვით დიდად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. გვაქვს კარგად განვითარებული და სუსტად განვითარებული რეგიონები. ყოველივე ეს კი (რეგიონალური თავისებურებების მრავალფეროვნება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსხვავებანი რეგიონებში) მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს და განხორციელდეს ისეთი რეგიონალური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიტიკა, რომელიც დაემყარება დიფერენციულ მიდგომებს რეგიონების მიმართ მათი თავისებურებებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. რათა შემცირდეს ეს განსხვავებანი, ამაღლდეს შრომითი და მეურნეობრივი აქტივობა სუსტად განვითარებულ რეგიონებში, შეიზღუდოს ეკონომიკური და სოციალური მოტივებით გამოწვეული შიდარესპუბლიკური მიგრაციები.

სახელმწიფოს მხრივ ხელშემწყობი რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა გადაიქცეს მხარდაჭერა მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტერიტორიულ ასპექტში.

სრულიად ნათელია, რომ დღეისთვის მცირე ბიზნესის როგორც ქვეყნის ეკონომიკის სრულუფლებიანი სექტორის განვითარების ძირითადი წინააღმდეგობა უკავშირდება ძველი ორგანიზაციულ-საწარმოო სტრუქტურების კონსერვაციას, უწყებრივ თვითიზოლაციას და პროდუქციის პროფილის ცვლილების დაბალ ათვისებას. ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარების და დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება აუცილებელია უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის ფარგლებში, რომელიც უნდა მოიცავდეს სახელმწიფო საკუთრების, ისე ფულადი, საგადასახადო-საბიუჯეტო და საკრედიტო სისტემების რადიკალურ გარდაქმნას და გამომდინარეობდეს სრულფასოვანი სასაქონლო ბაზრების შექმნის თანდათანობით გადასვლის სტრატეგიიდან. მცირე ბიზნესის ბაზაზეა შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება და რეფორმების სოციალური ბაზის ჩამოყალიბება.

სწორედ რეგიონებმა უნდა ითამაშონ წამყვანი როლი საერთოდ ბიზნესისა და მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში, რადგან მცირე ბიზნესის გაძლიერება ხელს უწყობს არა მარტო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას, არამედ აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ პირობებსაც აუმჯობესებს, ქმნის სამუშაო ადგილებს და მოიზიდავს გამოუყენებელ რესურსებს საწარმოო საქმიანობაში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1998 წელს საქართველოს მრეწველობაში 3 131 საწარმო არსებობდა, რომელთაგან 1176(28%) მოცემულ პერიოდში უმოქმედოდ იყო. ამ საწარმოთაგან 2 704 (86%) მცირე საწარმო იყო და აღნიშნულ პერიოში 40% არ მოქმედებდა.

1998 წელს მრეწველობაში მთლიანად პროდუქცია 2,7%-ით შემცირდა 1997 წელთან შედარებით, მაშინ როდესაც მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია 7,6%-ით გაიზარდა და 128,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანობაში მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 16%-ია.

მრეწველობის 18 მსხვილი დარგიდან 13 მათგანში მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, 1997 წელთან შედარებით, გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპი დამახასიათებელი იყო სამთომომპოვებელი მრეწველობისათვის, ხე-ტყისა და ხის ნაწარმის წარმოებისათვის (152,5%-იანი ზრდა). მართალია, კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოება მთლიანობაში 1998 წელს შემცირდა, სამაგიეროდ თითქმის 400%-იანი ზრდა იყო დამახასიათებელი მცირე საწარმოების მიერ ხორცისა და კონსერვაციისათვის, 490%-იანი ზრდა ნაყინის წარმოებისათვის და ა. შ.

თუ რეგიონულ ჭრილში გადავხედავთ მცირე ზომის საწარმოებს, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი საწარმო განთავსებულია თბილისში (731). ყველაზე მეტი გამოყენებული რეზერვი კახეთის რეგიონშია, სადაც არსებულ მცირე საწარმოთა 58% ფუნქციონირებადია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასევე აღსანიშნავია აჭარის რეგიონი, სადაც ეს მაჩვენებელი 54%-ია და ქვემო ქართლი (48, 4%). რაც შეეხება მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ამ მხრივ ყველაზე მეტი მოცულობის პროდუქცია წარმოებული იქნა თბილისში (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის 37%), მეორე ადგილზეა შიდა ქართლი, რომელზეც 13,5% მოდის, მესამეზე კი ქვემო ქართლი (12,5%). ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 1998 წელს გააჩნდა გურიის მხარეს, სადაც საწარმოების წარმოებულმა პროდუქციამ გასულ წელთან 40,7 %-ით მოიმატა, ასევე აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმი (40%-იანი ზრდა) და ქვემო ქართლი (38, 5%). მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი პროცენტულად ერთ-ერთი ყველაზე მეტად მწარმოებელი რეგიონია (13,5% ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა) 1998 წელს აქ ადგილი ჰქონდა წარმოების კლებას, რომელმაც 14,8% შეადგინა. ასევე წარმოების სერიოზული შემცირება (16,7%-იანი) მოხდა აჭარის რეგიონის მცირე საწარმოებში. კახეთში წარმოება 12,1%-ით შემცირდა. მთლიანობაში 1998 წელს საქართველოს 11 რეგიონიდან 7-ში მცირე საწარმოების წარმოებულმა პროდუქციამ ზრდა განიცადა (იხ. ცხრილი 1).

მცირე საწარმოების მიერ სამრეწველო საქონლის წარმოება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

*ცხრილი №1**

რეგიონები	მოქმედ საწარმოთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1998 წ.	პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი
საქართველო	2 704	128, 6 მლნ.	7,6%
თბილისი	731	47,3 მლნ.	15,7%
აჭარა	119	3,5 მლნ.	-16,7%
გურია	113	6 მლნ.	40%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	102	2,4 მლნ.	09%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	298	10,6 მლ.	0,9%
იმერეთი	621	14,5 მლნ.	1,7%
კახეთი	180	4,9 მლნ.	-2,1%
მცხეთა-თიანეთი	118	2,9 მლნ.	1,6%
სამცხე-ჯავახეთი	91	3,2 მლნ.	-3,6%
ქვემო ქართლი	161	15,9 მლნ.	38,5%
ზემო ქართლი	170	17,3 მლნ.	-4,8%

მცირე ეკონომიკის ტერიტორიული და დარგობრივი ასპექტების განხილვა მოწმობს იმას, რომ თითოეულ რეგიონში წარმოების ზომის ოპტიმალური სტრუქტურა ყალიბდება რესურსული პოტენციალის და ადგილობრივი ბაზრის მოცულობის რეალური სიდიდიდან გამომდინარე. სანედლეულო და შრომითი რესურსების ათვისება-გამოყენების, შიგასამომხმარებლო

* სოციალური და ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტი, თბილისი, 1998.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაზრის გაჯერების პრობლემები ყველაზე ეფექტიანად, მოკლე დროში შეიძლება გადაწყდეს ტერიტორიულ ჭრილში, ადგილობრივი სამეწარმეო ინიციატივის ამოქმედების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ყველა რეგიონს გააჩნია შესაბამისი ბუნებრივ-სანედლეულო, ეკონომიკური და სოციალური წანამძღვრები ინდუსტრიული ტიპის მცირე და საშუალო წარმოების ეფექტური განვითარებისათვის და სწორედ მათ ფუნქციონირებას უკავშირდება პირველ რიგში სუსტად განვითარებული რეგიონების განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს მცირე მეწარმეობის სექტორი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. დიდ ქალაქებში განლაგებული მცირე საწარმოები;
2. სხვა მცირე საწარმოები, განლაგებული უფრო განვითარებულ რეგიონებში.
3. მცირე საწარმოები, განლაგებული ნაკლებად განვითარებულ პრიორიტეტულ ზონებში.

კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა შეიძინა რეგიონულმა პოლიტიკამ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ბევრი რეგიონი, პირველ რიგში კი სატრანსპორტო დერეფნის მიმდინარე რაიონები და ქალაქები ეკონომიურად თანდათან ამოქმედდა და დაწინაურდა. შეიცვალა მათი სამეურნეო სპეციალიზაციის პროფილი, დასაქმების დონე და სტრუქტურა. გაჩნდა შიგა მიგრაციული პროცესები, გაძლიერდა საზღვარგარეთული ინვესტიციების სწრაფვა ასეთი რეგიონებისადმი.

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოში არის უმდიდრესი, მაგრამ სუსტად განვითარებული რეგიონები, ამიტომ საჭიროა ამ რეგიონების საინვესტიციო პირობების საფუძვლიანი შესწავლა და ინვესტორების შემოყვანა ადგილებზე რათა შემცირდეს რეგიონებს შორის განსხვავებანი.

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, მას არ უჭირავს ისეთი ტერიტორიული განლაგება, როგორც მაგალითად, ფოთს ან ბათუმს (განვითარების ამ ეტაპზე ის სუსტად განვითარებული რეგიონია), მაგრამ ამ მხარეს გააჩნია უდიდესი პოტენციალი, შესაბამისი ბუნებრივ-სანედლეულო, ეკონომიკური და სოციალური წანამძღვრები, რათა უახლოეს მომავალში ის გახდეს კარგად განვითარებული რეგიონი.

როგორც ვხედავთ საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის საკმარისი არ არის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, იმის აღიარება, რომ აუცილებელია გექონდეს რეგიონების განვითარების სახელმწიფო პროგრამები. ამასთან, ერთად, საჭიროა რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმები, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები.

Merab Mchedlidze

THE TERRITORIAL ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF BUSINESS

Summary

The economical conditions for developing business is still unprofitable in Georgia, that's why it is necessary to regulate it. Regional economic problems will arise according to new business thinking. Samtskhe-Javakheti region does not have such location as Poti and Batumi, but it has corresponding natural raw-materials, economical and social praconditions in order to become a well-developed region in future.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეო ურუშაძე

მესხეთის ნიადაგები და მათი თავისებურებანი

მესხეთის ნიადაგები შესწავლილია მთელი რიგი მკვლევარების მიერ (Клопотовский, 1948; საბაშვილი, 1965; საქართველოს ნიადაგები, 1983; ურუშაძე, 1997). ამავე დროს მთელი საკითხები ჯერ კიდევ გაურკვეველია და დასაზუსტებელი.

ლიტერატურაში მესხეთის ნიადაგების არსებული დარაიონების მიხედვით (საბაშვილი, 1965) გამოიყოფა ახალციხის მთათაშორისი ქვაბულის ქვეოლქი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ახალციხის ქვაბულის ვაკისა და მთისწინების ტყე-ველის და ტყის ნიადაგების, ახალციხის ქვაბულის მთა-ტყეთა ნიადაგების და ახალციხის ქვაბულის მთა-მდელოს ნიადაგების ზონებს.

ახალციხის ქვაბულის მდინარეების ჭალის ტერასებზე გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია განუვითარებელი პროფილი, შრეებრივი აგებულება, ღორღიანობა, კარბონატულობა. ეს ნიადაგები ხასიათდება ტუტე რეაქციით, ძირითადში თიხნარი მექანიკური შედგენილობით, შთანთქმის საშუალო ტევადობით, ჰუმუსის მცირე შემცველობით და დაბალი ნაყოფიერებით.

მდინარეების პირველ და მომდევნო ტერასებზე ვითარდება ზონალური ნიადაგები, კერძოდ მდელოს-ყავისფერი ნიადაგები. ეს ნიდაგები ხასიათდება შედარებით მძლავრი პროფილით, ზედაპირიდან გაკორდებით, კარბონატულობით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის მცირე შემცველობით და ამავე დროს ღრმა ჰუმუსირებით, შთანთქმის საშუალო და მაღალი ტევადობით, შედარებით მაღალი პროდუქტულობით. ამ ნიადაგებს გააჩნიათ ალოგიკური ნიადაგების ზოგიერთი თვისებები, მაგალითად შრეებრივი აგებულება და სხვ.

განსაკუთრებულ ქსეროფიტულ ადგილებში ლოკალური გავრცელებით გამოირჩევა რუხი-ყავისფერი ნიადაგები. ეს ნიადაგები ხასიათდება ტუტე რეაქციით, კარბონატულობით ზედაპირიდან, ზოგიერთ შემთხვევაში დამლაშებით, შთანთქმის საშუალო და მაღალი შემცველობით, ჰუმუსის დაბალი შემცველობით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, პროფილის შუა ნაწილში წვრილი ფრაქციის დაგროვებით „in situ", საშუალო ნაყოფიერებით.

ახალციხის მთისწინეთში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ყავისფერი ნიადაგები. ცნობილია, რომ ეს ნიადაგები პირველად აღწერილი და გამოყოფილ იქნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მესხეთში გავრცელებულია ყავისფერი ნიადაგების კლასიკური ნიმუშები. ეს ნიადაგები გამოირჩევა საკმაოდ მძლავრი პროფილით, კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი პროფილით, რომელიც იცვლება ალუვიური ჰორიზონტით. ამ B ჰორიზონტში აღინიშნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექის ფრაქციის და ფიზიკური თიხის დაგროვება „in situ", რაც ყავისფერი ნიადაგების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამ ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ნეიტრალურიდან სუსტი ტუტე რეაქცია, ჰუმუსის საშუალო შემცველობა, საშუალო და მაღალი შთანთქმის ტევადობა, საკმაოდ მაღალი ნაყოფიერება.

მთა-ტყის ზონა ძირითადში წარმოდგენილია ყომრალი ნიადაგებით, მათ შორის ყომრალი სუსტად არამაძღარი, ყომრალი მჟავე, ყომრალი გაეწერებული.

ყომრალი სუსტად არამაძღარი ნიადაგები უშუალოდ ემიჯნება ყავისფერ ნიადაგებს. ისინი ხასიათდება სუსტად მჟავე რეაქციით, შედარებით მძიმე მექანიკური შედგენილობით, შთანთქმის საშუალო და მაღალი ტევადობით. სუსტი არამაძღრობით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, საკმაოდ მაღალი ნაყოფიერებით.

ყომრალი მჟავე ნიადაგები ყომრალი სუსტად არამაძღარი ნიადაგებისაგან განსხვავებით გამოირჩევა მჟავე რეაქციით, შთანთქმის საშუალო ტევადობით, არამაძღრობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით, თიხნარი მექანიკური შემადგენლობით და საშუალო ნაყოფიერებით.

ყომრალი გაეწერებული ნიადაგები ვითარდებიან ნაძვნარების და ნაწილობრივ ფიჭვნარების ქვეშ, გავაკებულ ადგილებში ტყეების გავრცელების ზედა ნაწილში. სხვა ყომრალი ნიადაგებისაგან განსხვავებით, მათთვის დამახასიათებელია გაეწერებული A_2 ჰორიზონტის არსებობა. ამ ნიადაგების ბუნება დღემდე გაურკვეველია და კამათს იწვევს. დაუდგენელია რითია გამოწვეული გაეწერებული ჰორიზონტის არსებობა – „ნამდვილი" გაეწერებით თუ ე. წ. „ცრუგაეწერებით". საერთოდ კი გაეწერებული ჰორიზონტი გაღარირებულია წვრილი ფარქციებით და ხასიათდება ყველაზე მჟავე რეაქციით.

ტყის სარტყელში მცირე ფართობებზე გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ფორმირდებიან კარბონატულ ქანებზე.

ტყისა და სუბალპურ სარტყლებს შორის გამოიყოფა გარდამავალი ე. წ. სუბალპური ტყეების ზოლი. აქ გავრცელებულ ტანბრეცილების და გართხმული ბუჩქნარების ქვეშ ფორმირდებიან მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები. მათთვის დამახასიათებელია მჟავე რეაქცია, თიხნარი მექანიკური შედგენილობა, ჰუმუსის მაღალი შემცველობა, არამაძღრობა, შთანთქმის საშუალო ტევადობა და მაღალი ნაყოფიერება.

სუბალპურ სარტყელში გაბატონებულია მთა-მდელოს ნიადაგები. ეს ნიადაგები ხასიათდება მცირე ან საშუალო პროფილით, მჟავე რეაქციით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, დაბალი შთანთქმის ტევადობით, არამაძღრობით.

მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ნიადაგების შეჯერება მსოფლიოში აღიარებული ფაო-ს ნიადაგების ნომეკლატურასთან. ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგანაც დღემდე ჩვენში გაბატონებული მიდგომების მიხედვით ძირითადი ყურადღება ექცეოდა პროცესებს და არა პროფილის მორფოლოგიურ და ანალიტიკურ ნიშნებს. უკანასკნელი უფრო პერსპექტიული გამოდგა, რადგანაც შეხედულებები ნიადაგურ პროცესებზე ძირითადში სუბიექტურია და ერთიანი შეხების წერტილის მონახვა ცალკეულ ავტორებს შორის საკმაოდ ძნელია. ფორმალურ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დამყარებული აღმოჩნდა და მას წარმატებით იყენებენ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში.

მესხეთის ნიადაგების შეჯერება ფაო-ს ნომეკლატურასთან მოგვცა შემდეგი შედეგები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალუვიური კარბონატული ნიადაგები- calcaric fluvisols, მდელოს-ყავისფერი-eutric and calcaric camisols, calcic kastanozems, რუხი-ყავისფერი- calcic kastanozems, ყავისფერი -eutric cambisols, calcic kastanozems, ყომრალი სუსტად არამაძღარი-eutric cambisols, ყომრალი მჟავე -dystric cambisols, ყომრალი გაეწერებული eutric and dystric cambisols, ნეშომპალა-კარბონატული-rendzic leptosols, მთა-ტყე-მდელოს-humic and eutric cambisols, მთა-მდელოს-lithic leptosols

გამოყენებული ლიტერატურა

1. *სამშვილი მ.*, საქართველოს ნიადაგები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბ.., 1965.
2. საქართველოს ნიადაგები, გამომცემლობა „განათლება", 1983.
3. *ურუშაძე თ.*, საქართველოს ძირითადი ნიადაგები, გამომცემლობა „მეცნიერება", 1987.
4. *Клопотовский Б.А.*, Почвы в зоне виноградарства Месхети, Труды института почвоведения, в.1, 1948.

Teo Urushadze

THE SOILS OF MESKHETI AND THEIR PECULIARITIES

Summary

In Meskheti there are the following typies of soils: alluvial, grey-cinnamonic, meadow-cinnamonic, cinnamonic, brown forest weakly unsaturated, brown forest acid, brown forest podzolized, raw-humus calcareous, mountain-forest-meadow and mountain-meadow.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამალია შაყულაშვილი

აგროსამრეწველო ბიზნესი კრიზისიდან გამოსვლის აუცილებელი პირობაა

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახალი ტენდეცია, რომელიც მსოფლიო ტენდენცია ხდება. ცხოვრება ცხადყოფს, რომ ტექნიკური პროგრესის მრავალი საკითხის გადაწყვეტა და სამომხმარებლო მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება ყველა ქვეყანაში დამოკიდებულია საწარმოების ეფექტურ მუშაობაზე. მცირე ბიზნესის გარეშე შეუძლებელია ამერიკის წარმოდგენა.

არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავღნიშნოთ, რომ კრიზისიდან გამოსვლის აუცილებელი პირობაა მეურნეობრიობის მრავალწყობიან ფორმებზე გადასვლა, რაც თავის მხრივ მოითხოვს არა მარტო ახალი ტიპის საწარმოთა წარმოქმნას, არამედ მეურნეობრიობის ახალ სისტემებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს აგროსამრეწველო ბიზნესის ფუნქციონირებას.

აგროსამრეწველო მეწარმეობა დღეს უკვე ფეხს იკიდებს და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილების შესაბამისად იგი უნდა ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სახით. როგორც მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე და საშუალო ბიზნესი მიმართულია მონოპოლიების წინააღმდეგ და ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საქონლით ბაზრის გაჯერებას და რეზერვების ეფექტურ გამოყენებას.

აგროსამრეწველო ბიზნესის არსი მდგომარეობს შემდგომში. ვინც აწარმოებს ნედლეულს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ნედლეული მანვე უნდა გადაამუშაოს და გაუკეთოს რეალიზაცია ე.ი. ნედლეულის მწარმოებელმა საბოლოო მოგება თვითონვე უნდა გაითავისოს. ჩვენთან ეს ციკლი დაცალკევებული და ხშირად დაპირისპირებულიც იყო. თითოეული საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, რაც ზიანს აყენებს ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების განვითარებას.

აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შესაბამისი დარგების სინთეზი, რომლის აუცილებლობამ წარმოშვა აგროსამრეწველო ინტეგრაცია. ამ დროს ხდება სოფლის მეურნეობის დაკავშირება მომიჯნავე სფეროსთან, ანუ რაც იგივეა სასოფლო-სამეურნეო შრომისა და სამრეწველო შრომის ინტეგრაცია, რომელიც ვლინდება ყველა სტრუქტურულ დონეზე, ყველა რგოლში მიკრო და მაკრო დონეზე.

მაკრო დონეზე აგროსამრეწველო ინტეგრაცია სახალხო მეურნეობის ურთიერთდამკავშირებელი დარგების ერთობლიობაა, რომლებიც მონაწილეობდნენ სასოფლო-

სამეურნეო ნედლეულის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, შენახვის, მიწოდების, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საწარმოო საშუალებების წარმოებისა და მომსახურების პროცესში.

მიკრო ინტეგრაცია, ანუ საწარმოთა დონეზე აგროსამრეწველო ინტეგრაცია შეიძლება განხორციელდეს:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და მისი გადამამუშავებელი საწარმოს ორგანიზაციული გაერთიანებით.

2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შიგნით დამხმარე სამრეწველო საწარმოს აღმოცენებითა და მისი შემდგომი განვითარებით. სასოფლო სამეურნეო საწარმოების აგროსამრეწველო საწარმოდ, აგროფირმად, აგროკომბინატად გადაქცევის გზით. თანამედროვე ეტაპზე ინტეგრაციის ეს ფორმა უფრო მყარი და პერსპექტიულია ვიდრე პირველი.

მიკრო დონეზე ინტეგრაციის პროცესი წარმოშობს და ავითარებს დარგთაშორის კავშირების ახალ ფორმებს. ძირეული ცვლილებები შეაქვს წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სტრუქტურასა და დარგობრივ-ფუნქციური სტრუქტურის დახვეწას, რითაც ხელს უწყობს მიგრაციული პროცესის შენელებას, მოსახლეობის პროფესიული სტრუქტურის გაუმჯობესებას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით აღმოფხვრასა და სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

ცხადია, გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულის წყაროსთან მიახლოება და წარმოების ინდუსტრიალიზაცია ააღვილებს აგრეთვე შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას, სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და რენტაბელურად მუშაობას.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის ჩამოყალიბება და მათი ორგანიზაციულ-ეკონომიკური დასაბუთება, მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, ვინაიდან იგი ეხება მეურნეობათა ინტერესების ფართო წრეს, რომელიც განსაზღვრულ გავლენას ახდენს ტექნიკისა და სამუშაო ძალის რაციონალურ გამოყენებაზე, წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციაზე, რისთვისაც უნდა ჩატარდეს არსებული საწარმოთა განვითარების დეტალური ანალიზი, შეირჩეს ინტეგრაციის ისეთი პერსპექტიული ფორმა, რომელიც მცირე დანახარჯებით უზრუნველყოფს მაღალ მოგებას, განისაზღვრება გაერთიანებების ოპტიმალური სიდიდე, განვითარების ხანგრძლივი პერიოდის პროგრამა და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის ორგანიზაციული სქემის განვითარების დასაბუთება, განსაკუთრებით მესხეთის მაღალმთიან რეგიონებში, კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს, რაც უნდა ემყარებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კულტურების მოვლა-მოყვანა უხდებათ მძიმე ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. ინტეგრაციის დროს კი მცირდება ნედლეულის გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა. მრეწველობიდან მიღებული ხარჯებით იფარება აგრარული სექტორიდან მიღებული ზარალი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქედან ცხადია, ინტეგრაციის ეს ფორმა ამართლებს და მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მოსავლის აღების შემდგომ პერიოდში ნედლეულის დანაკარგები ხშირად 25-35% შეადგენს. ამ დანაკარგის თავიდან აცილება კი სურსათის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ამრიგად, აუცილებელია სოფლის მეურნეობის კავშირი მრეწველობის შესაბამის დარგთან. რაც საშუალებას გვაძლევს ნაკლები დანახარჯების პირობებში ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია და შევუნარჩუნოთ ყველა პროდუქტს კვებითი ღირებულება, მინიმუმადე შევამციროთ დანაკარგები. როგორც ვიცით, ნედლეულის წარმოება ნაკლებად რენტაბელურია, ხოლო მისი სამრეწველო გადამუშავება მაღალრენტაბელური. წინანდელი შეუსაბამობის თავიდან აცილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიზნესის მანევრირებადი მეთოდების გამოყენება, მიუხედავად იმისა, რა სახის საწარმოსთანაც არ უნდა ჰქონდეს მას კავშირი.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ აუცილებელი და მიზანშეწონილია მეურნეობებში მალფუჭებადი პროდუქციის პირველადი გადამუშავების საწარმოების მოწყობა-ექსპრეს დამუშავება, რაც გულისხმობს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც გააადვილებს პროდუქციის ტრანსპორტირებას, შენახვასა და რეალიზაციის ოპერაციებს. ამისათვის საჭიროა ნედლეულის საკუთარი წარმოების 25%-ზე მეტი, დანარჩენი კი შეიძლება მიიღოს კოოპერირებაში შემავალი მეურნეობიდან.

სოფლის მეურნეობის შერწყმა მრეწველობასთან ყოველმხრივ უწყობს ხელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში მცირე საწარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

როგორც ვიცით, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში გაბატონებული დარგია სოფლის მეურნეობა. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ეკონომიკური ზრდის ნებისმიერი პროგრამის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ თვალსაზრისით. სამცხე-ჯავახეთის მეცხოველეობა მეხილეობის ზონაში ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის მიწის რესურსებისა და მიწის სახელმწიფო სამმართველოს მონაცემებზე დაყრდნობით რეგიონში 389840 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან ივარით კერძო პირებზე გაცემულია 6550 ჰექტარი სას. სამ. სავარგული, მათ შორის სახნავი 3346 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 116 ჰა, სათიბი 6610 ჰა, საძოვარი 55029 ჰა.

აღნიშნულ ფართობებზე მოჰყავთ ძირითადად მარცვალი, ბოსტნეული, მაგრამ დღემდე არცერთ ფერმერს, იმათაც კი რომლებსაც ივარით ააქვს 10-15 ჰექტარი სახნავი მიწის ფართობი არ გააჩნიათ მცირე გადამამუშავებელი საამქროები და მოწეული სას. სამ. პროდუქტი წინანდებურად ყოველგვარი წარმოების პირობების გაუთვალისწინებლად დაბალ ფასებში რეალიზდება, რაც ნიშნავს მთელი წლის ნამუშევრის წყალში გადაყრას, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

რეგიონის ეკონომიკის გაჯანსაღების, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში

ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად ხელი შეუწყოთ კარტოფილის, შაქრის ჭარხლისა და სელის კულტურის მოვლა-მოყვანის საკითხს, სადაც შესაძლებელია და ხელმისაწვდომი გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება და სბოლოო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება.

რაც შეეხება სელის კულტურას, მას დიდი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების გარდა, თესლის ზეთად გადამუშავების შემდეგ მიიღება მეორადი პროდუქტი-კოპტონი რომელიც 25%-მდე ცილებს, 30%-ზე მეტ უაზოტო მონელებად პროტეინს და 6% ცხიმს შეიცავს, ძვირფასი კონცენტრირებული საკვებია ცხოველებისათვის, განსაკუთრებით მოზარდი პირუტყვისათვის. მისი ერთი ცენტნერი, საკვები ღრებულების მიხედვით ფასდება 1,15 ც. საკვებ ერთეულად.

ხოლო შაქრის ჭარხლის ძირების ქარხანაში გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენი დურდოსა და ბადაგის სახით საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის, ამასთან ბადაგი რომელიც 60%-მდე შაქარს შეიცავს საუკეთესო ნედლეულია სპირტის წარმოებისათვის.

თავისთავად, ბუნებრივი რესურსების უკმარისობა შესაძლოა ეკონომიკური ზრდის დაბრკოლებად გახდეს. შეიძლება გავზარდოთ ძირითადი კაპიტალის მოცულობა, გავაუმჯობესოთ სამუშაო ძალის ხარისხი, განათლებისა და პროფესიული მომზადების დახმარებით ბუნებრივი რესურსების გაფართოება.

ჯავახეთის რეგიონში ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მრავალდარგოვანი სოფლის-მეურნეობის, საკურორტო, ტურისტული მეურნეობის განვითარებისათვის. სანედლეულო ბაზა საფუძველს ქმნის მომპოვებელ-გადამამუშავებელი მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

ამ მხრივ თუ განვიხილავთ ახალციხის რაიონს, იგი მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით. აქ მოიპოვება მურა ნახშირი, დიატომიტი, აქატი, თაბაშირი, ბუნებრივი საშენი ქვები.

ქისათიბის დიატომიტის ხარისხი არ ჩამოუვარდება მსოფლიოში სახელგანთქმულ ლაბირიკის დიატომიტს. სბადოს გეოლოგიური მარაგი 11 მილიონი ტონით განისაზღვრება. რაიონის ტერიტორიაზე მეტად საჭირო და ძვირფას მასალას წარმოადგენს, ტექნიკური აქატი. მისი გამოყენება ხდება მრეწველობის მრავალ დარგში დაწყებული, ელექტრონიკიდან დამთავრებული სამედიცინო და კოსმოსური მრეწველობით. ამდენად ახალციხის აქატი და დიატომიტი შეიძლება ჩაითვალოს სტრატეგიულ მასალად აღმშენებლობის გზაზე მდგარი ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალციხის რაიონის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლება ვალის ფერადი ქვების დამამუშავებელი საწარმო, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი რესურსები დღეისათვის სრულიად გამოუყენებელია.

ახალციხის რაიონში დღეისათვის მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოების სახით ფუნქციონირებს შემდეგი საწარმოები: სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ახალციხე" (ხორც კომბინატი), შ.პ.ს. პურის საცხობი, შ.პ.ს. ფირმა „ვარძია", შ.პ.ს. ინდივიდუალური ლიმონათის ჩამოსასხმელი საწარმოები, შ.პ.ს. CO_2-ნახშირმჟავა გაზი და სხვა. რომელთა შემოსავალი მთლიანად წელიწადში ძალიან მცირეა, ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ყველა მათგანი მუშაობს ნაყიდ, შემოტანილ ნედლეულზე.

როგორც ვიცით, წყლის რესურსებით რაიონი ერთ-ერთი მდიდარი მხარეა რესპუბლიკაში, და კარგი პირობებია ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის.

ახალციხის ტერიტორიაზე მოედინება ამიერკავკასიის ყველაზე დიდი მდინარე მტკვარი. როგორც ცნობილია მისი საერთო სიგრძეა 1364 კმ, მათ შორის 185 კმ თურქეთის, ხოლო 390 კმ საქართველოს ტერიტორიაზეა, აქედან ახალციხის რაიონის ტერიტორიაზეა 40 კმ. მისი პოტენციური ენერგეტიკული სიმძლავრე საქართველოს ტერიტორიაზე უდრის 2,58 მილიონ კილოვატ საათს, ხოლო ენერგიის შესაძლო გამომუშავება 22,6 მილიარდ კვტ. საათს.

ახალციხის რაიონის ტერიტორია მდინარე მტკვრის ენერგეტიკული გამოყენების მიზნით ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ადგილია. რადგან აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარება წარმოუდგენელია ელექტროენერგიის გარეშე, რაზედაც დიდადაა დამოკიდებული განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგებში, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა, პირველ რიგში ვითვალისწინებთ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, არსებული საწარმო ძალთა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის, ენერგეტიკის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საპროექტო ინსტიტუტის „თბილპროექტის" მონაცემებით ახალციხის რაიონის ტერიტორიაზე ამჟამად აშენდეს მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესი, რომელთა საშუალო წლიური გადამუშავება იქნება 170,5 მილიონი კილოვატ საათი. რითაც რაიონი მთლიანად დააკმაყოფილდებოდა ელექტროენერგიით და შესაძლებლობა ექნებოდა გაეყიდა კიდეც, ამასთან გადიდდება მრეწველობის პოტენციალი, პროდუქცია, დასაქმდება მუშახელი და სხვა.

ეკონომიკის განსაკუთრებულად ჩამორჩენილი დარგების განვითარებისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, ახალი პროდუქტების, სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისათვის, ინდუსტრიალიზაციის და აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის რეგიონი ფინანსურ დახმარებას საჭიროებს.

არსებული კრედიტების პირობები განვითარებადი ქვეყნებისათვის მძიმეა, ამასთან დაკავშირებით შეგვექმნას შესაძლებლობა კრედიტის შელავათიან პირობებში მისაღებად.

კრედიტების ვადა დადგინდეს პროექტის პირობიდან გამომდინარე. გრძელვადიანი კრედიტის ვადა განისაზღვროს 15-20 წლის ვადით, 3-5 შელავათიანი წლებისას. შელავათიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ კრედიტის დაფარვა მოხდეს ექვსთვეში ერთჯერ, და პროცენტის დონე საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს 0,75. აქ ვითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის თავისებურებებს, რომლის განვითარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორთან.

დაბოლოს, აგროსამრეწველო ბიზნესი შესაძლებელს ქმნის აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა დარგის საწარმოთა ურთიერთობებს, კონკურენცია გავუწიოთ ერთმანეთს, რაც მკვეთრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ბიზნესის საწყისები. თბ., 1992.

2. *ო. სალარეიშვილი, ე. ბარაიშვილი,* ბიზნესის ორგანიზაცია მართვა და ანალიზი. ტომი I-II, თბ.,1994.

3. *ო. ქუშლაშვილი,* ბიზნესის ორგანიზაცია, გამომცემლობა „მნათე", 1995.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ, თბ., 1982.

5. ერვინ როდე - ბანკები ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, „სარანგი" ქუთაისი, 1993.

Amalia Shakulashvili

AGRO-INDUSTRIAL BUSINESS-IS THE INDISPENSABLE CONDITION OF GOING OUT FROM CRISIS

Summary

The work is about the important questions having arisen in modern agrarian politics and the ways how to solve these economical crisis.

Having analysed the agricultural conditions in cattle-breeding and fruit-growing in Samtskhe-Trialeti the author put ahead the new and the old problematic questions.

The conclusions and sentences having done by analysis, will help the specialists to establish the new agrarian politics.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იულია შუბითიძე

მემინდვრეობის ტრადიციების აღდგენა მესხეთში

სასოფლო-სამეურნეო კულტურულ მცენარეთა შორის მარცვლოვნები და განსაკუთრებით კი პურეული მცენარეები ეკუთვნის გეოგრაფიულად ყველაზე ფართოთ გავრცელებულ და მსოფლიო წარმოების მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობის მცენარეთა ჯგუფს. ეს მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ დანიშნულებიდან, რომელიც მოცემული აქვს ამ მცენარეთა პროდუქტს ადამიანის ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო პირობებში. მთელი კაცობრიობის არსებობის მანძილზე პურეული მცენარის მარცვალი წარმოადგენდა ყოველგვარ და ამასთან აუცილებელ ძირითად საზრდოს. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა მას ცივილიზაციის განვითარების ყველა საფეხურზე და ასეთივე მნიშვნელობა ექნება მისი არსებობის ნებისმიერ პერიოდში.

ადამიანის ცხოვრებაში მარცვლეულის ასეთი დიდი მნიშვნელობა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებიდან, რომ მისი მარცვლის შემადგენლობაში უაზოტო და აზოტურ ნივთიერებათა ისეთი შეფარდებაა, რომ ადამიანის გაჭირვების დროს შეუძლია თავისი არსებობა მარტოოდენ პურით შეინარჩუნოს, როდესაც ამის თქმა სხვა პროდუქტზე არ შეიძლება.

მარცვალი გამოიყენება არა მარტო საკვებად პურის სახით, არამედ საშუალებას იძლევა, მისი სხვადასხვაგვარი გადამუშავებისათვის. იგი მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენს კვების მრეწველობისათვის და ფართო გამოყენებას პოულობს მეცხოველეობის დარგის მომარაგებაში მდიდარი, ნოყიერი კონცენტრირებული საკვებით, სწორედ ამიტომაა ადამიანის ცხოვრება ასე მჭიდროდ დაკავშირებული მასთან.

ისტორიულად სამცხე-ჯავახეთის ძირითად დარგად გვევლინებოდა მარცვლეულის წარმოება და საერთოდ მიწათმოქმედება იყო ის მძლავრი ბერკეტი, რომელიც ხელს უწყობდა ამ მხარის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას. იგი ძველთაგანვე საქართველოს შემადგენლობაში შემავალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ერთეული იყო მდიდარ ბუნებრივ საძოვრებთან ერთად საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედებით. „მესხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველ ტომებს პური იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთ გაჰქონდათ, მისდევდნენ ისინი მევენახეობა-მეღვინეობას და ბლომად აშენებდნენ შინაურ საქონელს“[1,4-6].

მესხეთი ოდითგანვე საქართველოს პურის ბელლად იწოდებოდა. ვინაიდან ამ მხარის ნიადაგი – კლიმატური პირობები ხელსაყრელია მისი წარმოებისათვის. საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად მესხეთი ერთ-ერთი საინტერესო კუთხეა, რომელსაც მიწათმოქმედების და კერძოდ მემინდვრეობის მაღალი კულტურული ტრადიციები გააჩნია. მის მეურნეობაში ძველთაგანვე წამყვანი კულტურა იყო ხორბალი. მესხეთის ტერიტორიაზე თავმოყრილია ხორბლის მრავალი სახეობა და ვარიაცია. „განსაკუთრებით კარგად არის

შეგუებული ადგილობრივ კლიმატურ პირობებს დოლის პური, დიკა, შავფხა, ასლი, ჭვავი და რიგი პურეულის იაროვიზაციის როგორც საშემოდგომო ისე საგაზაფხულო ციკლით"[2,9-10].

ამასვე ამბობს ივანე ჯავახიშვილი, როცა წერს: „საქართველოს მთელი ჩრდილო მთიანეთის მცირე მოსავლიანობის გამო ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორედ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბელელს ჯავახეთი, შიდა – ქართლი და ქვემო– ქართლი, შემდეგში ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელიანოდ წოდებული თემები წარმოადგენდა, უამათოთ თვით საქართველოს დედაქალაქს ტფილისსაც უჭირდა"[3,421].

ანალიზებს რა „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარს" მ. სვანიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ მესხეთში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მარცვლეულის წარმოება. ამას ისიც ადასტურებს, რომ „დავთარში" მარცვლეულზე შეწერილი გადასახადის ჯამი მთელი გადასახადების ჯამის დაახლოებით 70%-ს შეადგენდა[4,8-12].

მხარის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი, რომ მარცვლეულის წარმოება და მასთან ერთად მეცხოველეობა იყო ამას გვიდასტურებს ჩვენს მიერ გამოკითხული ადგილობრივი მოსახლეობაც.

„ჩვენი ძირითადი საქმიანობა იყო ხვნა-თესვა და შინაური საქონლის მოშენება. არ იყო ოჯახი რო ორი ძროხა, მოზარდი საქონელი და თხუთმეტ სულამდე ცხვარი არა ჰყოლოდა, მაგრამა იყო ოჯახებიცა, რომელთაც ათი და მეტი სული საქონელი ჰყავდა, სამოც სულზედა მეტი ცხვარი. გაზაფხულზედა აპრილის ბოლოს მოვრჩებოდით ხვნა-თესვას და მივდიოდით მთაშიდა. იმიტომა რომა გაზაფხულის სათესავი ცოტა გვქონდა, რადგანაც შემოდგომითა ვთესდით ხორბალსა და გვქონდა ჩვენთვინა სამყოფი პურიცა და ერბოცა და ხორციცა"[5].

სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ მარცვლეულის წარმოებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მოიპოვება ჯავახეთის ზეგანზე და ახალციხის ქვაბულზე. ჯავახეთის ზეგანზე გავრცელებულია ნოყიერი ნიადაგები, მაღალმთიანი შავმიწები. ეს მიწები გამოირჩევა პუმუსის დიდი რაოდენობის შემცველობით და ფართო გამოყენებას პოულობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ჯავახეთის გარდა აღნიშნული მიწები გვხვდება სამცხის მაღალმთიან ზოლში, ხოლო ახალციხის ქვაბულის ზოლში და მის ფსკერზე გავრცელებულია ალუვიურ-კარბონატულ თიხიანი ნიადაგები, რომლებიც ასევე ხელსაყრელია მარცვლეულის წარმოებისათვის.

ისე როგორც მთლიანად საქართველოსათვის სამცხე-ჯავახეთის მხარისათვისაც დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა, სადაც სასოფლო-სამეურნეო ხვნა-თესვა მიმდინარეობს 800 მეტრზე ზღვის დონიდან (ახალციხის რაიონი) და ვრცელდება 2000 მეტრამდე (ნინოწმინდის რაიონი). მხარის ყველაზე დაბალი აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა იანვრის თვეშია და იგი -29–41^{0}C-ია, ხოლო მაქსიმალური აბსოლიტური ტემპერატურა 39^{0}C. ჰაერის სინოტივე 64-79 %-ის ფარგლებში მერყეობს, ატმოსფერული ნალექები, რომლითაც ღარიბია ეს მხარე, 500-700 მმ-ია წელიწადში და უფრო მეტად გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოდის, რაც ხელშემწყობ ბუნებრივ პირობებს ქმნის მარცვლეულის საშემოდგომო ჯიშების ვეგეტაციისათვის და საერთოდ არსებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომპონენტების სითბური ჯამი, სინოტივე და ნალექების რაოდენობა საშუალებას იძლევა 1400-1500 მეტრის სიმაღლეზედაც წარმოებული იქნას მარცვლეული.

სამცხე-ჯავახეთის მხარის მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა (მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემებით) 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 228378 კაცს შეადგენს, ხოლო მიწის მთლიანი ფართობი 628 138 ჰექტარს. მოსახლეობის ერთ სულზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგული 1,75 ჰა. მათ შორის: სახნავი – 0,35; მრავალწლიანი ნარგავები -0,01; სათიბი-0,14; და საძოვრები-1,2 ჰა.

მოსახლეობის პირადმფლობელობაშია მიწის მთლიანი ფართობის 8%. მათ შორის: სახნავი მიწის -51; მრავალწლიანი ნარგავების -91, სათიბის -4,9 და საძოვრის-0,2%, იჯარით გაცემულია მიწის მთლიანი ფართობის -5,9%.

საქართველოში 1998 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი ნათესი ფართობი შეადგენს 616128 ჰა-ს. აქედან მარცვლოვნებს ეკავა 378350 ჰექტარი. მთლიანად წარმოებული იყო 597794 ტონა მარცვლეული მათ შორის ხორბალი -144629 ტონა, სიმინდი-420220 ტონა, საშუალო შემოსავლიანობა შეადგენდა 15,8 ცენტნერს ჰექტარზე, მათ შორის ხორბალი-15,8 ც/ჰა, სიმინდი-20,5 ც/ჰა.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში 1998 წლის ანალოგიური მაჩვენებლები ასეთია: მთლიანი ნათესი ფართობი შეადგენს 62275 ჰექტარს, აქედან მარცვლეულის ნათესი ფართობი იყო 22790 ჰექტარი, მთლიანად წარმოებული იყო 23019 ტონა მარცვლეული. აქედან ხორბალი-6032 ტ., სიმინდი -1853 ტ., ქერი -127447 ტ., შვრია -1971 ტ., ამ კულტურათა საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 10,1 ცენტნერს ჰექტარზე, მათ შორის ხორბალი - 11,4 და სიმინდის -1,2, ქერის -9,1, შვრიის-7,4 ცენტნერი ჰექტარზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხარის მარცვლეულის მოსავლიანობა ჩამორჩება რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს და მსოფლიოში მარცვლეულის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელსაც (მსოფლიოში იგი 26 ც.-ს შეადგენს ჰექტარზე), ამიტომ საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მიექცეს ამ დარგის შემდგომ აღმავლობას მოსავლიანობის ზრდის თვალსაზრისით.

სამცხე-ჯავახეთში წარმოებულია საქართველოში წარმოებული მარცვლეულის 3,9%; მათ შორის: ხორბალი -4,2%, სიმინდი -0,4%. მხარეში წარმოებული მარცვლეული მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 100,7 კგ-ია, რაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას ამ დარგის პროდუქციით, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ექსტენსიური, ასევე ინტენსიური რეზერვები. მხარეში ჯერ კიდევ არის იჯარით გასაცემი სახნავი მიწის თავისუფალი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის მიმართ მწარმოებლის დაინტერესებაა საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანი რეზერვია მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები, რომლებიც გამოსულია მწყობრიდან და ამოძირკვას საჭიროებს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რამდენიმე ათეული წლის უკან სწორედ მარცვლეული კულტურების ფართობის შემცირების ხარჯზე ხდებოდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობის ზრდა. უხეშად ირღვეოდა ამ კულტურისათვის ფართობის შერჩევის პრინციპი დასაშვები დახრილობის და ექსპოზიციის ფართობის ნაცვლად იგი შენდებოდა ვაკეზე გამასივებულ, ერთ დროს მარცვლეულის წარმოებისათვის გათვალისწინებულ საუკეთესო მიწებზე. მესხი მეურნე ვაკე ადგილას არასდროს უთმობდა მრავალწლიან ნარგავს. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ის დიდებული ტერასული მეურნეობა, რომლითაც განთქმულია ეს მხარე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით სამცხე. იმის გამო, რომ მხარე მთაგორიანია, მისი მეშვეობით მნიშვნელოვნად მცირდებოდა მიწის ეროზია და წვიმის მიერ ჩამორეცხვები.

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა გლეხურ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების ზრდის ტენდენცია. მხარეში პრივატიზებული მიწის დაახლოებით 47,4% უჭირავს მარცვლეულს. ამიტომ საჭიროა გლეხური მეურნეობების ხელშეწყობა ტექნიკის მომსახურეობით, აგრეთვე მაღალხარისხოვანი თესლით, მინერალური სასუქითა და სხვა საჭირო მასალის კომერციული მიწოდების ორგანიზაციით. კერძო სტრუქტურებთან და გლეხურ მეურნეობებთან უნდა დაიდოს ხელშეკრულებები სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის შეძენის თაობაზე (მყარი გარანტიებით).

აღდგენილი და გამოყენებული უნდა იქნას ის მდიდარი ისტორიული ტრადიციები, რომელიც მხარეს გააჩნია ამ დარგის პროდუქციის წარმოებაში. საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული იყო რაციონალური საშუალებანი, რომელთა მეშვეობით მიღებული იყო მაღალი მოსავლიანობა: ნიადაგის შერჩევა მისი თავისებურებების გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში მისი დასვენება, თესლბრუნვა, ნიადაგის გასუფთავება, ორგანული სასუქებით და საკვები ბალახებით განოყიერება, დროულად და ხარისხიანად დათესვა, ხარისხოვანი თესლის შერჩევა. მოსავლის დროზე აღება – დაბინავების წესები ქართველი გლეხის მიერ შემუშავებული იყო საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიური შრომის დაკვირვების და გამოცდილების შედეგად. რაც ოსტატურად იყო შეხამებული ადგილობრივ პირობებთან. ამიტომ ჩვენს მიერ მაქსიმალურად უნდა იქნეს გაანალიზებული და გამოყენებული წინაპართა ტრადიციები.

ლიტერატურა

1. *ლ. დეკაპრელევიჩი*, შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები (რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა) თბ., 1938.

2. *ვ. მენაბდე*, საქართველო ხორბლის უძველესი ქვეყანა, თბ., 1950.

3. *ივ. ჯავახიშვილი*, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1930.

4. *მ. სვანიძე*, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, თბ., 1984.

5. *ა. ბერიძე*, ახალციხის რაიონი სოფელ მუგარეთის მკვიდრი, 89 წლის.

6. სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო სტატისტიკის და მიწის მართვის, სამმართველოს 1998-99 წლებს მონაცემები

Iulia Shubitidze

THE RE-ESTABLISHMENT OF THE TRADITIONS OF FIELD-CROP CULTIVATION

Summary

The main role in solving the food problems in Georgia belongs to the production of cereals. Historically the field- cultivation was the traditional field of agriculture in Samtskhe-Javakheti: According to the ethnographical materials the cereals produced in the region satisfied the local population.

Nowadays everything is radically changed. Its production is reduced to the minimum.

It would be hetter use both extensive and intensive reserves and re-establish the historical traditions.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ხარიტონაშვილი

რეგიონული ეკონომიკის თეორიული პრობლემები

თანამედროვე სიტუაციაში ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის პრობლემები. ეს შეეხება, როგორც მსოფლიო, ისე ჩვენი ქვეყნის რეგიონულ სტრუქტურასაც, რომლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს მესხეთის ეკონომიკა.

საკუთრივ მესხეთისა და საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება წარმატებით მოხდეს მხოლოდ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ფონზე.

რეგიონული ეკონომიკის სადღეისო პრობლემების დაძლევის საწინდრად ეკონომისტთა ერთი ნაწილი თავისუფალი მეწარმეობისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დაცვას მიიჩნევს. ამერიკელი ეკონომისტი ჩ. რობერსონი, გერმანელი ქ. სტეფესი და სხვები მიიჩნევენ, რომ რეგიონებისათვის აუცილებელია აგრარულ-სანედლეულო სპეციალიზაცია. მათთვის საჭირო არ არის პროტექციონიზმი და ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. მათ შეუძლიათ სამრეწველო პროდუქცია შეიძინონ მსოფლიო ბაზარზე, თავიანთ პროდუქტებზე გადაცვლის გზით.

აღნიშნული ეკონომისტები იცავენ რეგიონული მეურნეობის მონოკულტურული განვითარების გზას, თანაც ურჩევენ, რომ მათ ყურადღება გაამახვილონ შრომატევად წარმოებაზე, რაც დაეხმარება რეგიონებს ისარგებლონ წარმოების ფაქტორით. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ შრომის ფაქტორით, სამაგიეროდ ისარგებლონ კაპიტალის ფაქტორით.

განსაკუთრებული პოზიცია უკავიათ განვითარებადი ქვეყნების ეკონომისტთა მნიშვნელოვან ნაწილს. არგენტინელი ბ. პრებიში, ბრაზილიელი ს. ფურტადო, მექსიკელი ო. ფლორესი, ვენესუელელი ჰ. ნაიობრე და სხვები მიიჩნევენ, რომ რეგიონული ეკონომიკის ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ შრომის არსებული საერთაშორისო დანაწილების კარდინალური გარდაქმნების საფუძველზე შეიძლება[1, 187].

ისინი მიიჩნევენ, რომ ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა გეზს იღებს მოგებაზე, იგი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს განვითარებისათვის საჭირო სამეურნეო სტრუქტურას. კონკურენციულ ბრძოლას ყოველთვის არ მივყავართ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. კონკურენციული ბრძოლიდან აღმოცენდება მონოპოლიები, რომლებიც არღვევენ საბაზრო მექანიზმს. საზოგადოებრივი კაპიტალის ინტერესები წინააღმდეგობაშია ინდივიდუალური კაპიტალის ინტერესებთან, რაც კრიზისს წარმოშობს. ამის დასაძლევად აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება. ჩვენი ეკონომიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღესდღეობით გარდამავალ მდგომარეობაშია, საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობაშია. განვითარებულ საბაზრო სისტემამდე ანუ ცივილიზებულ ბაზრამდე მისასვლელად ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. გადასვლა დაიწყო ტოტალიტარული ეკონომიკიდან საბაზროსაკენ და მის შემდეგ შერეულისაკენ. საბაზროსაკენ გარდამავალი ის არ შეიძლება იყოს საბოლოო ჯამში იმიტომ, რომ ბაზარი არის ფორმა მეურნეობრიობისა და არა ეკონომიკური სისტემა.

როგორც არ უნდა ვაქებდეთ საბაზრო ეკონომიკას, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, ის არასრულყოფილია და შორსაა მასზე მიწერილი ჰარმონიისაგან და შესაძლებლობისაგან ყველა და ყველაფერი არეგულიროს. საბაზრო სისტემას ბევრი ნაკლოვანება აქვს; ისინი მწვავედ და ნეგატიურად გამოვლინდებიან ეკონომიკის განვითარების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებში.

საბაზრო ეკონომიკის არასრულყოფილება იქიდან გამომდინარეობს რომ მას:

1. არ შეუძლია შეინარჩუნოს არაკვლავწარმოებითი რესურსები;

2. არა აქვს გარემომცველი სფეროს დაცვის ეკონომიკური მექანიზმი;

3. არ შეიძლება არეგულიროს გამოყენებული რესურსები, რომლებიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის;

4. არ უქმნის სტიმულებს კოლექტიური სარგებლობის საქონლებისა და მომსახურეობის წარმოებას (გზები, ხიდები, განათლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი);

5. გარანტიას არ აძლევს მოქალაქეთა უფლებას შრომაზე და შემოსავლებზე, არ უზრუნველყოფს შემოსავლების გადანაწილებას;

6. არ უზრუნველყოფს ფუნდამენტალურ გამოკვლევებს მეცნიერებაში;

7. ორიენტირებულია არა სოციალურად აუცილებელი საქონლების წარმოებაზე, არამედ იმათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ვისაც ფული აქვთ[2, 278].

ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ.

სახელმწიფო საჭიროა აქ და მაშინ, სადაც და როდესაც საბაზრო მექანიზმი ეფექტს არ იძლევა.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას დიდ ყურადღებას აქცევენ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.კეინსი, ამერიკელი ე. ჰანსენი, პ. სამეულსონი, იტალიელი ა. პეზენტი, შვედი კ. ეკლუნდი, ქართველი ე. მექვაბიშვილი და სხვები.

სახელმწიფომ, რომ შეძლოს ეფექტიანად წარმართოს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და დამოკიდებული არ იყოს ვისიმე ეკონომიკურ სიძლიერეზე, მას უნდა ჰქონდეს თავისი წარმოება. ამით სახელმწიფო თვითონ უნდა გახდეს ეკონომიკის სუბიექტები.

სახელმწიფომ უნდა არეგულიროს მატერიალური დოვლათის განაწილება და განსაკუთრებით გადანაწილება. უზრუნველყოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე. მათი პირადი და ეკონომიკური თავისუფლება.

მესხეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევას და საზოგადოებრივი კვლავწარმოების უზრუნველყოფას.

გარდამავალ პერიოდში აუცილებელია მესხეთის რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდაქმნა; პირველ რიგში წარმოების განვითარება.

სახელმწიფომ უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ფინანსების, ფულადი და საკრედიტო სისტემის სტაბილურობა. ამ სფეროში პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ინფლაციასთან, ასევე საკრედიტო რესურსების მისაღწევად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ვინაიდან მტკიცდება მესხეთის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები. ისინი საჭიროებს ისეთ კაპიტალურ დაბანდებას, რომელსაც ვერ შეძლებენ ცალკეული, ყველაზე მსხვილი ბიზნესმენებიც კი. ასეთი სიტუაციაა შექმნილი აქატ-დიატომიტის საქმეში. ამ წარმოების პრივატიზაციის შემდეგ, ვინაიდან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არარენტაბელურია აქატ-დიადომიტის ნედლეულის სახით საზღვარგარეთ გატანა, საჭირო გახდა წარმოების გამართვა მზა ნაწარმის დასამზადებლად, რომლისთვის სამყოფი კაპიტალი მის მფლობელებს არ გააჩნიათ.

რადგან დღესდღეობით მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა ვერ ხერხდება, რეგიონის ეკონომიკური განვითარების საფუძვლად რაციონალურად მოწყობილი სოფლის მეურნეობა უნდა მივიჩნიოთ. ამ დარგის განვითარებასაც მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედით ვერ მოხდება.

ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს უცხოური კაპიტალის მოძალება ავტომატურად გადაჭრის ჩვენს ეკონომიკურ პრობლემებს. არც ერთი ქვეყანა არ დაეხმარება სხვას ისე, რომ შემდეგ იგი მისივე კონკურენტი გახდეს. ამდენად, წარმატების გასაღები თვითონ უნდა ვიპოვოთ.

პრობლემების გადაჭრა შეიძლება მოხდეს შიდა ინვესტირებით. ჩინეთში მოხდა შიდა ინვენსტირება. ჩინეთში ინვესტიციების 40% სახელმწიფოზე მოდის.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ყალიბდება საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე შერეული მოდელის ესა თუ ის სახესხვაობა. ამ ქვეყნებში საბაზრო გარდაქმნები ხორციელდება ზემოდან ინიციატივით და არა ქვემოდან საყოველთაო მხარდაჭერის ვითარებაში. ასეთ სიტუაციაში, ფრიად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირებაში [8, 137].

თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორ ბატონ მერაბ ბერიძესთან აქტუალურ ინტერვიუში ჩვენი მეზობელი თურქეთის არდაგანის გუბერნიის ფოსოფის რაიონის გამგებელ რამაზან ალთინოქი მიუთითებს, რომ მესხეთის „რეგიონის სტიმულირება, სახელმწიფოს დახმარება კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ზოგიერთი დარგიდან გადასახადი არ უნდა აიკრიფოს. მაგალითად, მესაქონლეობის განვითარების მიზნით ამ დარგიდან ან არ უნდა აიკრიფოს გადასახადი, ან-ძალიან მცირე რაოდენობით. უნდა განვითარდეს სასაზღვრო ვაჭრობა. აქ მომსახურე სხვა რეგიონებიდან მოსულ მოსამსახურეებს (ექიმებს, მოსამართლეებს და სხვა) უნდა მიეცეთ დამატებითი ანაზღაურება[11, 2].

მესხეთის რაიონში მდებარეობს საქართველოს საკვანძო საბაჟო სამსახურები. სასურველია, სახელმწიფო პროტექციონიზმის პროგრამით, საბაჟო პუნქტებში განხორციელდეს ისეთი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს სამამულო წარმოების განვითარებას. საჭიროა დაწესდეს დაბალ ტარიფები და ქვოტები იმპორტულ ნედლეულზე, ხოლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოსატანი მზა ნაწარმის ზოგიერთ სახეობებზე–მაღალი ტარიფები და ქვოტები. პარალელურად უნდა მოხდეს სამამულო მზა პროდუქციის ექსპორტის წახალისება, რათა მიღწეულ იქნას აქტიური სავაჭრო ბალანსი.

ლიტერატურა:

1. *М. Ярошевский,* Теория периферийной экономики, М., 1972.
2. *В. Баликоев,* Ощая экономическая теория, Новосибирск, 1996.
3. *ჯ. კეინსი,* დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1996.
4. *Е. Хансен,* Послевоенная экономика США, М, 1982.
5. *პ. სამეულსონი, უ. ნორდაჰაუსი,* ეკონომიკსი , თბ., 1995.
6. К. Эклунду, Эффективная экономика, М., 1991.
7. *ე. მექვაბიშვილი,* სახელმწიფო და ეკონომიკა თბ., 1996.
8. Теория переходной экономики, ч. 1, М., 1998.
9. Тория переходной экономики, ч. 2, М., 1998.
10. Это дело Государство - заботиться об укреплении регионов, "НГ Регионы", №11,1999.
11. *მ. ბერიძე,* აქტუალური ინტერვიუ, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 1999 მარტი.

Jemal Kharitonashvili

THEORETICAL PROBLEMS OF REGIONAL ECONOMICS

Summary

One of the actual subjects in modern situation are the regional economic problems.

The structural reforms of economy of Meskhneti region especially the development of production are necessary to make progress in the transitional period. For the economical development of Meskheti region the government must provide the macroeconomical balance, the stability of state finances and the money -creditorial system.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასტრონომია

ევგენი ხარაძე

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია
(დაარსების მოკლე ისტორია)

სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ეწყობა, დაკავშირებულია ფილიალის დაარსების 10 წლისთავისადმი და მიეძღვნება ფრიად მნიშვნელოვან და ფართო თემას, რომელიც ჩამოყალიბებულია როგორც „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა" და გულისხმობს, სხვა აქტუალურ პრობლემებს შორის ასტრონომიის განვითარების საკითხების განხილვასაც.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ფართო თემისათვის, როგორც აქ დავასახელეთ, შესაფერისად მდიდარი მასალა არ გაგვაჩნია, ამ მხარეში იმ ნაგებობათა ნაშთების დეფიციტია, რომლებიც უნდა მოწმობდნენ ძველად ცის მოვლენათა და შესაბამის დაკვირვებათა და გაზომვების წარმოებათა ძველი დროის ფაქტებს. ეს კი საერთოდ ასტრონომიული აზროვნების განვითარების საფუძველია.

მაგრამ ზოგიერთი მოვლენა, რაც მსოფლიოს მეცნიერების გლობალურ განვითარებას ახასიათებს და რასაც ცივილიზაციის შემდგომი განვითარება მოითხოვს, გულისხმობს აგრეთვე ცაზე დაკვირვებათა პუნქტების სიმეტრიულ განაწილებას, რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა მრავალი ახალი ეფექტური ხერხებისა და მეთოდების მრავლად დანერგვისა და გამოყენების აუცილებლობაზე, ამიტომ ჩვენი მოკლე წერილის დანიშნულებად განვსაზღვროთ ის, თუ რა შეიძლება ვივარაუდოთ ახლო მომავალში იმისათვის, რომ ჩვენს მხარეში შეიქმნას პირობები ასტრონომიული მეცნირების საფუძვლების სასკოლო სწავლების, ეფექტიანობისა და ცოდნის ფართოდ გავრცელების სასარგებლოდ.

ამისათვის აუცილებელია წინასწარ გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი, მსოფლიო ასტრონომიის განვითარების ისტორიიდან. XIX საუკუნე გამოირჩევა ტელესკოპური ასტრონომიის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდით ამერიკისა და დასავლეთ ევროპის კონტინენტების მიწაზე განლაგებული, და დიდი დიამეტრების ობიექტივებით და ამრეკლავი სარკეებით აღჭურვილი ტელესკოპების გამოყენების წყალობით. სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტებმა მისცა კაცობრიობას საშუალება უფრო ღრმად შეეღწია მის ირგვლივ უსაზღვროდ გავრცელებულ სამყაროში, ანუ დაენახა უფრო შორს, უფრო ღრმად და უფრო დეტალურად აღეწერა ასტრონომიული მოვლენების, ვარსკვლავებისა და სხვა ციურ მნათობების ცვლილებებისა და მსვლელობის ხასიათი და თვისებები, რომელთა შესახებ ცნობების პირველი მაუწყებელნი ანუ მაცნენი ის სხივებია, რომელთაც მნათობები გამოასხივებენ

და რასაც ადამიანი უხსოვარი დროიდან თვალით ცაზე და XVII საუკუნიდან ტელესკოპის ფოკუსში ხედავს, ხოლო XIX საუკუნიდან ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე აფიქსირებს.

ამ წარმატებებთან ერთად ამერიკელთა გამოცდილებამ ისიც უჩვენა, რომ მნათობთა გამოსხივება, რომელმაც თვალამდე ან ტელესკოპამდე მისაღწევად დედამიწის ატმოსფეროც უნდა განსჭოლოს, ბევრად ჰკარგავს თავის მაცნეობობის უნარს, თუ ისეთი გზა არ გამოიარა ატმოსფეროში, რომელიც განსაკუთრებულად კეთილმყოფელი არ იქნა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით, ეგრეთ წოდებული ჰაერის ტურბულენტობის სიმცირით და სხვა ხელსაყრელი თვისებებით, რომელიც საგანგებოდ შერჩეული უნდა იქნეს წინასწარ ჩატარებული საცდელი დაკვირვებებითა და შესწავლით. სხვა სიტყვებით, წამოიჭრა ახალი ამოცანა: ახალი ასტრონომიული ობსერვატორიების ასაგებად საგანგებო პროგრამით შერჩეული ადგილების წინასწარი გამოვლინება. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე გამომჟღავნდა დიდი განსხვავება ამერიკა-ევროპულსა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის (უმთავრესად რუსეთის ასტრონომიული ობსერვატორიების ეფექტიურობის დონეებს შორის, უკანასკნელი შესამჩნევად ჩამორჩა პირველებს). ზემოთ აღწერილი ვითარების გამო რუსეთის მოწინავე ასტრონომებმა წამოიწყეს საბჭოთა კავშირის სამხრეთის მთიან რაიონებში ახალი ასტრონომიული ობსერვატორიისათვის სათანადოდ შერჩეული ადგილის ძიება საგანგებო ექსპედიციების მეშვეობით. ამ ფრიად დაგეგმილ ღონისძიების პირველ ეტაპზე, 1929-31 წლებში, კვლევა ჩატარდა შუა აზიის სამხრეთ, მთიან რაიონებში, კავკასიაში ყარაბაღში, საქართველოში: ცივგომბორზე, შუამთაში, ბაკურიანში, ცემში, წაღვერში და კურორტ აბასთუმნის მიდამოებში. დაკვირვებათა სტატისტიკურმა დამუშავებამ და ანალიზმა, რაც განხილული იქნა სანკტ-პეტერბურგის (იმ დროს ლენინგრადის სახელწოდებით ცნობილმა) სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტების მიერ. აღიარეს აბასთუმნის მიდამოების ატმოსფერული პირობების უპირატესობა ასტრიონომიული კვლევის ეფექტიანობისათვის და რეკომენდაცია მიიღო, მაშინვე ჩამოყალიბულიყო საცდელი სამთო ობსერვატორია აბასთუმანში, ორი მხარის—ლენინგრადის ინსტიტუტის და თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიისა და მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების ერთობლივი ორგანიზაციული და მატერიალური ძალისხმევით. ქართულმა მხარემ იკისარა ადგილზე აბასთუმანში საორგანიზაციო და მცირე სამეურნეო სამშენებლო ხარჯების გაღება, ლენინგრადმა—ადრე დაწყებული, სპეციალურად მომავალი სამთო ობსერვატორიისათვის დაგეგმილი საცდელი ტელესკოპისა და სავარსკვლავო ელექტროფოტომეტრის დამზადება, ასევე პირველ წლებში კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა [1]. ეს პირობა აუცილებელი იყო, რამდენადაც იმ დროს საქართველო ამ მხრივ სრულიად მოუმზადებელი იყო, რაც შეეხება საცდელ ტელესკოპს ანუ სარკიან რეფლექტორს, მის კონსტრუქციაზე ლენინგრადის ინსტიტუტს მუშაობა რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა დაწყებული, მისი ამრეკლავი სარკე სულ 33 სანტიმეტრიანი იყო. დღეს ეს იარაღი მხოლოდ სამუზეუმო ექსპონანტს თუ წარმოადგენს. მაგრამ ფაქტობრივად ეს არის რუსეთში (იმ დროს საბჭოთა კავშირში) ოპტიკურ-მენისკური მრეწველობის პირველი პირმშო და საფუძველი, რომელიც შემდგომში ისე განვითარდა, რომ ექვსმეტრიანი ამრეკლავი სარკიანი ტელესკოპიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი შეიქმნა, რომელიც ამჟამად კავკასიონის მთაშია 2000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და წარმატებულად მუშაობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. მაგრამ სამუზეუმო ექსპონანტის უფლება მას მოპოვებული აქვს სხვა, მეორე გარემოების გამო. ზემოთ ნახსენები ლენინგრადის თათბირის შემდეგ ლენინგრადის ინსტიტუტმა, (იმ დროისათვის თითქმის დამთავრადა ტელესკოპის დამზადება), გადაწყვიტა საჩუქრად გადასცეს იგი აბასთუმანში დასაარსებლად განზრახული ობსერვატორიისათვის. იმ დროს დიდი მეცნიერი ნიკო მარი პეტერბურგში ცხოვრობდა. მას სთხოვეს რამდენიმე სიტყვის ქართული ასოებით ჩვენება, რათა საქართველოში საჩუქრად გამზადებულ საცდელ რეფლექტორზე ქართულად ამოეტვიფრათ სიტყვები „საასტრონომიო ინსტიტუტისაგან", რაც ამჟამად ცოტა არ იყოს არქაულად ჟღერს. რამდენიმე წლით გვიან, 1934 წელს, საგულისხმოა, რომ როცა ბატონი ნიკო მარი აბასთუმანში ჩამობრძანდა თავისი ავადმყოფი ვაჟის პროფ. იური მარის სანახავად, იგი ერთ ღამეს ეტლით ავიყვანეთ ჩვენს მთაზე, რადგან არ იყო მზად საავტომობილო მისასვლელი, მან ინტერესით დაათვალიერა ის საცდელი ტელესკოპი და მეტიც: მის ფოკუსში „ცხენისთავად წოდებული" გალაქტიკური ნისლეული, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

შემოდგომის თათბირის რეკომენდაციის ერთსულოვნად მიღების საქმეში თავისი დადებითი როლი ითამაშა, იმანაც, რომ გახმაურდა შემდეგი ფაქტიც. XIX საუკუნის დამლევს აბასთუმანში ორი ზამთრის ღამე გაატარა პეტერბურგის უნივერსიტეტის ასტრონომიის პროფესორმა ს. გლაზენაპმა, რომელიც უფლისწულის გიორგი ალექსანდრეს ძის კარის აღმზრდელად ითვლებოდა და ამ დროს აბასთუმანში სამკურნალოდ ჩასულ ახალგაზრდა გიორგის ახლდა და, გასართობად, თუ გასანათლებლად, უნივერსიტეტის სასწავლო ტელესკოპიც ჩამოიტანა, რომლითაც თავად ს. გლაზენაპს საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სისტემატური დაკვირვებები ჩაუტარებია აბასთუმნის ცაზე გაბნეული მჭიდრო ვარსკვლავთ წყვილების გამონასახების ხარისხზე, რაც ყურადღებას იქცევდა თავისი განსაკუთრებით მაღალი თვისებებით. ს. გლაზენაპმა გამოაქვეყნა ეს, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მიღებული შედეგი საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ცნობილმა ამერიკელმა ასტრონომმა ბერ ჰამმა „დიდად შეაქო აბასთუმნის ცის გამორჩეული თვისებები მათი სისტემატური ასტრონომიულ დაკვირვებათა და კვლევის ეფექტიანობის თვალსაზრისით [2].

ერთი სიტყვით, აბასთუმნის მიდამოებმა მიიღო აღიარება, როგორც მანამდე გამოკვლეულ რეგიონთა შორის გამორჩეული პირობების მფლობელმა. წინასწარ გამოკვლევათა სრული პროგრამა ძალიან ფართო აღმოჩენა, მისი სრულად განხორციელება დიდ დროსაც მოითხოვდა, დიდ დაფინანსებას, და ახალი ობსერვატორიების სათანადო ტელესკოპებით და სხვა იარაღებით აღჭურვა და საჭირო კადრების მომზადება თავისათვის მოითხოვდნენ არც თუ მცირე დროს. ყველა ამის გათვალისწინებით, გადაწყვეტილი იქნა, ახალი ობსერვატორიის გამართვა გადაუდებლად, არსებულ საშუალებათა გამოყენებით. 1932 წლის 8 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსებაზე (დამაარსებელი და დირექტორი ე. ხარაძე). 1937 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრას დაევალა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასტრონომთა გეგმიანი მომზადება (კათედრის გამგე ე. ხარაძე).

კურორტ აბასთუმნის მიმდებარე მთა ყანობილის ფერდობზე აჩქარებულად დაიწყო სათანადო მშენებლობა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გამართავა.

დღეს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ფართოდ ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომელიც აქტიურ დაკვირვებებსა და კვლევას ეწევა და თანამშრომლობს უცხოეთის რიგ ინსტიტუტებთან თანამედროვე ასტრონომიის რამდენიმე მიმართულებით, სახელდობრ, მზის ფიზიკური მოვლენების, მათი დედამიწის პროცესებზე გავლენის, ელექტრონიკისა და მზის დაბნელებასთან დაკავშირებული პრობლემების, მთვარისა და პლანეტების ზედაპირული მახასიათებლების, ობსერვატორიაში დამუშავებული და დანერგილი მეთოდების გამოყენებით და, რა თქმა უნდა, დიდ სამყაროს ანუ ვარსკვლავებისა და გალაქტიკების ევოლუციური მოვლენების სისტემატურ შესწავლას.

1992 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ჩამოყალიბდა სპეციალური კათედრა, რომელსაც განაგებს დოცენტი რევაზ ჭიღლაძე, რომლის გეგმაზომიერი სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობა მოიცავს სწორედ ზემოთ დასახელებული პლანეტებისა და მთვარის ევოლუციურ ცვლილებების შესწავლის პრაქტიკულ მეთოდურ და თეორიულ საკითხებს.

ფილილში ასტრონომების მომზადება გამოცხადებულია ახლად შემოღებული სამსაფეხურიანი სისტემით ანუ მაგისტრატურისა და ასპირანტურის ჩათვლით, რამაც ახალციხისა და მეზობელი რაიონების ახალგაზრდებში აღძრა გაძლიერებული ინტერესი ასტრონომიის მეცნიერების დაუფლებისადმი. ჩვენ უკვე გვაქვს აღნიშნულის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი.

ლიტერატურა:

1. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი №74, 1999.
2. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი №45, 1974

E. Kharadze

THE ABASTUMANY ASTROPHYSICAL OBSERVATORY

Summary

In this work one can find the short history of the foundation of Abastumany astrophysical observatory.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასტრონომია

ვიქტორ ჯაფიაშვილი, რევაზ ჭიღლაძე

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის წვლილი სამცხე-ჯავახეთის მხარის კულტურულ ცხოვრებაში

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. მისი დამაარსებელი და 60 წლის განმავლობაში უცვლელი დირექტორი, ამჟამად კი-საპატიო დირექტორი, გახლავთ ბატონი ევგენი ხარაძე[1], რომელსაც 1999 წლის 31 ოქტონბერს დაბადებიდან 92 წელი შეუსრულდა.

თუ რამ განაპირობა ე. ხარაძის დაინტერესება ასტრონომიით, ამაზე თვითონვე მოგვითხრობს ერთ-ერთ ინტერვიუში [2], ასევე დაწვრილებით გვიამბობს იგი სხვა ინტერვიუში [3] იმის შესახებ,თუ როგორი პერიპეტიებით მიმდინარეობდა ჯერ აბასთუმნის "საცდელი ობსერვატორიის" დაარსების საკითხის გადაჭრა, შემდეგ კი-რა დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა სრულიად ახალგაზრდა დირექტორს, რათა მოეპოვებინა გერმანული ფირმის ცაისის წარმოების 40 სანტიმეტრიანი ობიექტის მქონე რეფრაქტორი თავისი აქსესუარებითურთ. ეს იარაღი გამოყენების შესაძლებლობებით მეორე ადგილზე იყო "პულკოვოს ცნობილი 26-გოჯიანი „დამსახურებული ტელესკოპის შემდეგ..." და ისახებოდა რეალური პერსპექტივა აასტრონოგიული კვლევის ისე წარმართვისა, რომ საქართველოს წვლილი ასტრონომიული მეცნიერებაში, თუ კონკურენციას ვერ გაუწევდა მუშაობაში მყოფ ამერიკულ გიგანტურ ტელესკოპებს, მაინც წონადი იქნებოდა და ღირებული, საზრუნავად და საბრძოლველად". ბოლოს და ბოლოს 40-სანტიმეტრიანი ტელესკოპი-რეფრაქტორი, ეს დიდი მონაპოვარი, როსტოვიდან ზღვით მოადგა ფოთს, იქიდან რკინიგზის 11 ვაგონით გააგრძელა გზა ბორჯომამდე, ბორჯომიდან ავტომანქანებით აბასთუმნამდე, ხოლო აქ-ხარებით ყანობილის პლატომდე, ჯერ კიდევ მხოლოდ საურმე გზით".

აი, ასე შენდებოდა ასტროფიზიკური ობსერვატორია სამცხე-ჯავახეთის ულამაზეს კუთხეში, უძველესი ოძრახეს (შემდგომში ოძრხეს, ოცხეს და აბასთუმნის) მიდამოებში, ყანობილის მთაზე.

რატომ დაარსა ბატომნა ევგენიმ ობსერვატორია მაინცდამაინც აბასთუმნის მიდამოებში? ეს გარემოება არ ყოფილა შემთხვევეითი. მე-19 საუკუნის ბოლოს რუსმა ასტრონომმა, პროფესორმა სერგეი გლაზენაპმა, ორი ზამთრის სეზონი გაატარა აბასთუმანში, სადაც ახლდა იქ სამკურნალოდ მყოფ დიდ თავადს, იმპერატორ ალექსანდრე II-ს ვაჟს გიორგის, როგორც კარის მასწავლებელი. ს. გლაზენაპმა აბასთუმანში ჩამოიტანა პეტერბურგის უნივერსიტეტის კუთვნილი მცირე ზომის ტელესკოპი-რეფრაქტორი, რომლითაც აკვირდებოდა ციურ სხეულებს. ამ დაკვირვებათა გამოქვეყნებული შედეგების გაცნობის

შემდეგ ამერიკელმა ასტრონომმა შ. ბერნ ჰამმა დაწერა, რომ თუ ვიმსჯელებთ პროფესორ გლაზენაპის დაკვირვებათა მონაცემებით (და არაფერია იმაზე უფრო დამარწმუნებელი, რასაც დაკვირვებები ამჟღავნებსო) აბასთუმნის ატმოსფერულ პირობებზე უკეთესი არსადაა, გარდა ჰამილტონის მთაზეო [4]. სწორედ ეს ვითარება გახდა გადამწყვეტი, როცა „1930 წელს საქართველოში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო პეტერბურგის ექსპედიციამ, რომელსაც ადგილი უნდა შეერჩია მომავალი ასტრონომიული ობსერვატორიისათვის, რასთან დაკავშირებითაც აქ დაიწყო ატმოსფერული პირობების კვლევა ცივგომბორის, შუამთის, ბაკურიანი-ცემის და აბასთუმნის შემოგარენში“ [3]. ამ ექსპედიციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ე. ხარაძეც.

ასტრონომიული დაკვირვებისათვის ყანობილის მთის ატმოსფერული რეჟიმის მაღალი თვისებები ბრწყინვალედ დადასტურდა ობსერვატორიის შემდგომი მუშაობით. აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ახლადაარსებულ ობსერვატორიას მხოლოდ მცირე ზომის ასტრონომიული ინსტრუმენტები გააჩნდა, მაგრამ ბატონი ევგენის დიდი მეცადინეობით ეს იარაღები, საუკეთესო ატმოსფერულ პირობებთან შერწყმით, ყოველთვის გამოიყენებოდა ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე მყოფ სინათლის მიმღებ აპარატურასთან კომბინაციაში. ამასთანავე, გამოკვლევის მეთოდების შერჩევა ისე ოსტატურად ხდებოდა, რომ მიღებული დაკვირვებითი შედეგები შემდგომში წარმატებით გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნების გასაკეთებლად და უზრუნველყოფდა გამოქვეყნებული შრომების მაღალი მეცნიერულ დონეს. უმთავრესი ამ დასკვნათაგანი ასახულია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საინფორმაციო-საანგარიშო სამეცნიერო სესიაზე (თბილისი, 15-16 ოქტომბერი, 1992 წ. ე. ხარაძის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში: „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მუშაობა 1932-1992 წლებში“[5].

და, ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1932 წელს სრულიად ახალგაზრდა (24 წლის!) ბატონი ევგენის მიერ დაარსებული აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია წარმოადგენდა არა მარტო ფუნდამენტალური კვლევებისათვის განკუთვნილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, არამედ იგი იყო ქართული კულტურის ერთადერთი მნიშვნელოვანი კერა უაღრესად რთულ ეთნიკურ მდგომარეობაში მყოფი იმდროინდელი სამცხე-ჯავახეთის მხარეში. ობსერვარვატორიის დასათვალიერებლად ჩამოსული უამრავი (ყოფილი საბჭოთა კავშირის თუ უცხოეთის შლაგბაუმით მოწყვეტილი) მოქალაქეები ობსერვატორიასთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობოდნენ აგრეთვე ამ მხარეს. ისტორიულ ძეგლებს და რწმუნდებოდნენ ქართველი ხალხის უძველესი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის არსებობაში. უდავოა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დაარსებით სამცხე-ჯავახეთის მხარეს შეემატა ახალი მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო და კულტურული კერა. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ კერაში მოღვაწეობენ აგრეთვე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები. რომელნიც ფილიალში მომუშავე სხვა მეცნიერ–მუშაკებთან და პედაგოგებთან ერთად, მრავალ სპეციალობათა გვერდით, დიდი რუდუნებით. ამზადებენ აგრეთვე პროფესიულ ასტრონომებსაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ვ. ჯაფიაშვილი. ვარსკვლავთმრიცხველობის ქართველი ბურჰუხა. „მეცნიერება და ტექნიკა“ №6, 1997.
2 ინტერვიუ ბატონ ევგენი ხარაძესთან. ჟურნ „ფიზიკა“.№1 1998.
3 ე. ხარაძე აგრძელებს პასუხს ჩვენს შეკითხვებზე. ჟურნ „ფიზიკა“, №2 1998.
4 აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტინი №74, 1999.

V. Japiashvili R. Chighladze

THE ROLE OF ABASTUMANY ASTROPHYSICAL OBSERVATORY IN THE CULTURAL LIFE OF SAMTSKHE-JAVAKHETI.

(Summary)

The work is about the brief history of foundation of Abastumany astrophysical observatory, the role of academician. E. Kharadze in its foundation and the role of Abastumany observatory in the cultural life of Samtskhe-Javakheti.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასტრონომია

აბულაძე ო. შენგელია ნ.*

ატმოსფეროს გამჭვირვალობის გამოკვლევა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 1938-98 წწ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, რუსი ასტრონომი გლაზენაპი აბასთუმნიდან პატარა ზომის რეფრაქტორით აწარმოებდა მჭიდრო ორმაგი ვარსკვლავების დაკვირვებას. გლაზენაპის დაკვირვებებმა უჩვენა, რომ აბასთუმნის ასტროკლიმატური პირობები-მაღალი გამჭვირვალობა და ატმოსფეროს სტაბილურობა–ხელსაყრელია ასტრონომიული დაკვირვებისათვის.

სპეციალური ექსპედიციის მიერ ასტროკლიმატის გამოკვლევამ უჩვენა, რომ აბასთუმნის მახლობლად მთა ყანობილზე ატმოსფეროს ახასიათებდა მაღალი გამჭვირვალობა რის საფუძველზე მიღებულ იქნა მთავრობის გადაწყვეტილება ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი მაღალმთიანი ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობის შესახებ.

თავდაპირვლად გლაზენაპის ყოფილ გუმბათში (აბასთუმანი) დადგმულ იქნა საბჭოთა კავშირში დამზადებული პირველი 33 სმ-ისნი რეფლექტორი, რომელითაც 1932-36 წწ-ში წარმოებდა ცვალებადი ვარსკვლავების ფოტოგრაფიული და ფოტოელექტრული დაკვირვებები. 1937 წელს ობსერვატორია გადავიდა მთა ყანობილზე, ზღვის დონიდან 1650 მეტრ სიმაღლეზე, პირველი საბჭოთა ასტრონომიული დაკვირვებითი ბაზა, რომელიც მდებარეობს მთაზე და უზრუნველყოფილია ყველაზე უფრო ხელსაყრელი ასტროკლიმატით. ასტროკლიმატი არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ადგილის ვარგისიანობას ასტრონომიული დაკვირვებების ჩასატარებლად. ეს ფაქტორებია: მოწმენდილი დღისა და ღამის რაოდენობა; ატმოსფეროს გამჭვირვალობა; ჰაერის გაჭუჭყიანების ხარისხი; ღამის ცის ფონის სიკაშკაშე, რომელიც ყველაზე მეტად დამოკიდებულია ცის განათებით ახლომდებარე დასახლებული პუნქტებით; ატმოსფეროს ოპტიკური მახასითებლების მდგრადობა (სტაბილურობა) და ნისლზე და ნამის გაჩენის სიხშირე.

1937-38 წწ-დან მთა ყანობილზე, პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში, დაიწყო სხვადსხვა ტიპის ცვალებადი ვარსკვლავების ინტენსიური ფოტოელექტრული დაკვირვებები. ფოტოელექტრული დაკვირვებებისათვის აუცილებელია ზუსტად გათვალისწინებული იქნას დედამიწის ატმოსფეროს მიერ სინათლის სხივის შესუსტება (ატმოსფერული ექსტინცია), რადგანაც ატმოსფერული ექსტინციის კოეფიციენტის დახმარებით გამოითვლება ვარსკვლავების და ციური ობიექტების ატმოსფეროს გარეთა ვარსკვლავიერი

*–ქუთაისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. 1

სიდიდეები შემდეგი ფორმულით:

$$m_0=m_z-k_\lambda x$$

სადაც m_0–არის დასაკვირვებელი ობიექტის ატმოსფეროს გარეთა ვარსკვლავიერი სიდიდე, m_z–დაკვირვებული ვარსკვლავიერი სიდიდე, x–ჰაერის მასა, k_λ –ექსტინციის კოეფიციენტი.

ამიტომაც ატმოსფერული ექსტინციის გათვალისწინება ითვლება მნიშვნელოვან ეტაპად ფოტოელექტრული დაკვირვებების დროს და მისი განსაზღვრის სიზუსტეზეა დამოკიდებული ფოტოელექტრული სამუშაოების შედეგები. მართალია ატმოსფერული ექსტინციის სწორ და ზუსტ გათვალისწინებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ ექსტინციის გამორიცხვის სიზუსტე ბუნებრივია დამოკიდებულია სწორად შერჩეულ დაკვირვების მეთოდიკაზე. ატმოსფეროს ექსტინციის კოეფიციენტი k_λ და გამჭვირვალობის კოეფიციენტი P_λ დაკავშირებულია შემდეგი ფორმულით:

$$k_\lambda=-2.5\lg p_\lambda$$

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ექსტინციის კოეფიციენტები კარგად გამოკვლეულ იქნა ვ. ნიკონოვის [1] 1944-48 წწ-ში და ო. აბულაძის [2] მიერ 1968-73 წწ-ში, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა დაკვირვების და დამუშავების მეთოდიკა ატმოსფერული ექსტინციის კოეფიციენტების განსაზღვრისათვის. მოძებნილ იქნა კავშირი ექსტინციის კოეფიციენტებს შორის სხვადასხვა ფილტრებისათვის, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

ობსერვატორია	B	V	B-V
მთა ჰამილტონი (აშშ)	$22.^m 08$	$21.^m 20$	$0.^m 88$
მთა ჯუნიპერო სერა პიკი	22.94	21.93	1.01
ინგლის-ავსტრალიის	23.5	22.5	1.00
აბასთუმანი	22.5	21.6	0.90

$$kb=0.107+1.087\ kv$$
$$\pm.006 \qquad \pm.027$$
$$ku=0.371+1.499\ kv$$
$$\pm.017 \qquad \pm.071$$

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც kb –ექსტინციის კოეფიციენტი ლურჯ ფილტრში; kv–ყვითელ ფილტრში და ku–ულტრაიისფერ ფილტრში.

ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე გამოთვლილ იქნა ღამის ცის ფონის სიკაშკაშე აბასთუმნისათვის, რომელიც შედარებულია სხვა ობსერვატორიებისას. შედეგები მოცემულია ცხრ. 1-ში.

შემდგომში ვგეგმავთ აბასთუმანში განსაზღვრული იქნას ფოტოელექტრული დაკვირვებებით ღამის ცის ფონის სიკაშკაშე, დროის სხვადსხვა მომენტში, ე.ი. თუ როგორ იცვლება ღამის და წლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ აბასთუმნის სიახლოვეს არა არის დიდი დასახლებული და სამრეწველო პუნქტები, ამიტომაც აზიმუტალური ეფექტი არ შეინიშნება. როგორც ჩანს, სიტუაცია არ შეიცვლება ათეული წლების განმავლობაში.

ჩვენი ამოცანის მიზანს შეადგენს ატმოსფეროს გამჭვირვალობის გამოკვლევა მთა ყანობილისათვის 1938-98 წწ-ში, წლების, თვეების, სეზონების და ტალღის სიგრძეების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია სხვადსხვა ავტორების მიერ. მონაცემებში ვიძლევით ღამის საშუალოებს და შემდეგ ყოველი წლის საშუალოს, რადგანაც ვ. ნიკონოვის [1]

ცხრ. 1

თვეები	kv	pv	დაკვირვებათა რიცხვი n
იანვარი I	0.210	0.824	32
თებერვალი II	0. 205	.828	22
მარტი III	.211	.823	20
აპრილი IV	.226	.812	25
მაისი V	.252	.795	11
ივნისი VI	.250	.794	15
ივლისი VII	.264	.784	15
აგვისტო VIII	.252	.795	15
სექტემბერი IX	.225	.813	39
ოქტომბერი X	.216	.820	30
ნოემბერი XI	.211	.823	20
დეკემბერი XII	.205	.828	19

ცხრ. 2

სეზონები	kv	pv	n
ზამთარი	0.207±0.003	0.827±0.002	73
გაზაფხული	.229 .021	.810 .014	56
ზაფხული	.255 .008	.791 .006	45
შემოდგომა	.217 007	.818 .005	39

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ატმოსფეროს ექსტენცია ღამის განმავლობაში სტაბილურია და ძალიან მცირედ იცვლება. უნდა აღინიშნოს, რომ ატმოსფერული ექსტინციის კოეფიციენტები მაქსიმალურია 1964-68 წწ-ში. ამის მიზეზია ინდონეზიაში, მთა აგუნზე 1963 წელს ამოფრქვეული მძლავრი ვულკანი, რომელმაც დედამიწა შემოიარა, გავრცელდა ყველა განედზე და რამდენიმე წელს ატმოსფეროში განაპირობა ოპტიკური მოვლენები.

თვეებისა და სეზონების მიხედვით ყველა წლებისათვის (1938-98 წწ.) ატმოსფერული ექსტინციისა და გამჭვირვალობის კოეფიციენტები მოცემულია ცხრ. 2 და ცხრ 3-ში.

ობსერვატორია	H	kv	დაკვირვების პერიოდი	ღამეების რაოდენობ
1. ჰამბურგი, გერმანია	40 მ.	0.45	–	–
2. ტარტუ, ესტონეთი	67	.43	–	–
3. პულკოვი, ლენინგრადი	75	.34	1952-53	6
4. გოლესოვოო, კიევი	150	.50	–	–
5. ყირიმის ასტრ. ობს	570	.28	1966-73	72
6. მთა სტომლო, ავსტრალია	768	.40	1963	3
7. ლიკის, მთა ჰამილტონი, აშშ.	1283	.33	1964-65	5
8. ბოიდენის, სამხრეთი აფრიკა	1387	.25	1957-59	12
9. ასტროფ. ინსტიტური, ყაზახეთი	1400	.25	1961	8
10. რადკლიფი, სამხრეთი აფრიკა	1542	.26	1962-63	8
11. აბასთუმანი, მთა ყანობილი	1650	.22	1938-98	147
12. მთა პალომარი, კალიფორნია, აშშ	1706	.22	1969-71	64
13. მთა ვილსონი, კალიფორნია, აშშ	1742	.23	1960-62	9
14. კიტ პიკი, არიზონა, აშშ	2064	.17	1957-69	286
15. მაკ დონალდი, ტეხასი, აშშ	2070	.17	1960-64	93
16. საო, ზელენჩუკი, რუსეთი	2070	.18	1976-80	99
17. სეროო ტოლოლო, ჩილე	2200	.12	1968-69	24
18. ლოველი, არიზონა, აშშ	2210	.15	1955-61	66
19. ლა სილა, ჩილე	2330	.14	1975-78	55
20. მთანევადა, ესპანეთი	2600	.17	1969-71	18
21. მთა მაიდანაკი, ყაზახეთი	2700	.18	1977-78	28
22. ალმა-ატა, მაღალმთაიანი სადგური	3000	.15	1976-78	–
23. პიკი ტესკოლა, რუსეთი	3100	.12	1973	–

ცხრ3.

ცხრ. 2 და ცხრ. 3-დან მკვეთრად ჩანს, რომ ექსტინციის კოეფიციენტების მნიშვნელობები ზაფხულის თვეებში მაღალია, ვიდრე ზამთარში. კოეფიციენტების გაზრდა იწყება აპრილიდან, ივლისს-აგვისტოში აღწევს მაქსიმუმს და ოქტონმბრის შემდეგ იწყებს კლებას და აღწევს მინიმალურ მნიშვნელობას დეკემბერ-მარტში. ექსტინციის გაზრდის მიზეზი ზაფხულის თვეებში გამოწვეულია ძირითადად დედამიწის ატმოსფეროში მტვრის ნაწილაკების მომატება. ამ მონაცემებიდან მკვეთრად ჩანს, რომ ექსტინციისა და გამჭვირვალობის კოეფიციენტები თვეების და სეზონების მიხევით იცვლება მცირე დიაპაზონში.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სხვადასხვა ექსტინციის სიგრძეებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაზღვრული ატმოსფერული ექსტინციის კოეფიციენტები შევადარეთ თეორიულად გამოთვლილს [4]. შედეგები მოცემულია. ნახ. 1.

ნახ. 1-დან მკვეთრად ჩანს, რომ დაკვირვებული სიდიდეები ახლოსაა თეორიულთან, რაც ადასტურებს აბასთუმნის გამჭვირვალობის განსაკუთრებულობას.

რადგანაც აბასთუმნის ობსერვატორიისათვის განსაზღვრული გვაქვს ექსტინციის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა ($0.^{m}219$), საინტერესოა ჩვენი მონაცემები შევადაროთ მსოფლიოს სხვა ობსერვატორიის მონაცემებს, რომელიც შეკრებილი გვაქვს სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურიდან. ცხრ. 3-ში მოცემულია კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობები 23 წამყვანი ობსერვატორიისათვის.

ცხრ. 3-დან ნათლად ჩანს, რომ ატმოსფეროს გამჭვირვალობა აბასთუმნის თავზე საკმაოდ მაღალია და არ ჩამოუვარდება პალომარის და ვილსონის (კალიფორნია, აშშ) წამყვანი ობესრვატორიების გამჭვირვალობის კოეფიციენტებს.

ატმოსფეროს ესქტინციის გამოკვლევებმა წლების, თვეების, სეზონების და ტალღის სიგრძეების მიხედვით გვიჩვენა, რომ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში არსებობს ხელსაყრელი ატმოსფერული პირობები მაღალი სიზუსტის ფოტოელექტრული დაკვირვებებისათვის. ამის დასტურია ის მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები, რომელიც შესრულებულია ამ მიმართულები და გამოქვეყნებულია წამყვან სამეცნიერო ლიტერატურაში.

ლიტერატურა:

1 Никонов. В. Б. Бюлл. Абастум. астрофиз. обс., 1953, №14
2 Абуладзе О. П. _Бюлл. Абастум. астрофиз. обс., 1980, №53
3 Абуладзе О. П. _Бюлл. Абастум. астрофиз. обс., 1975, №46
4 Мартинов Д. Я. -Курс практической астрофизики, Москва, 1977.

O. Abuladze. N. Shengelia

THE INVERSTIGATION OF TRANSPARENCY OF ATMOSPHERE IN ABASTUMANY ASTROPHYSICAL OBSERVATORY IN 1938-98.

(Summary)

From the moment of the foundation of Abastumany astrophysical observatory and at present the question of photoelectric study is still going on with the control of atmospheric transparency.

As the result of it, one can see a vivid picture of climatic changes in seasons and months.

Abastumany astrophysical observatory is compared with the other World leading ones and the conclusion was drawn that Abastumany territlory is the best place for astrophysical searching works.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოლოგია

ნიკო სხირტლაძე, ბეჟან თუთბერიძე

რა ბუნებრივი სიმდიდრე იპოვება მესხეთ-ჯავახეთის წიაღში

მესხეთ-ჯავახეთი, ისე როგორც მთლიანად საქართველო, ერთობ მდიდარია არამეტალური წიაღისეულით, რაც შეეხება მეტალურ წიაღისეულს, ასეთები აქ ძალიან ცოტაა და ერთეული გამოვლინებებით არის წარმოდგენილი. არამეტალური წიაღისეულებიდან თავისი მასშტაბურობით –დიდი მარაგებით ინტერესს იმსახურებს მოსაპირკეთებელი ქვები, სხვადასხვა სახის საამშენებლო მასალა, რომელთა შორის დიდი მარაგებით ხასიათდებიან სხვადასხვა ვულკანური წარმონაქმნები: მეტწილად ლავები, ვულკანური ტუფები, წიდები, ობსიდიანებისა და ბერლიტების სახით. მნიშვნელოვანი მარაგებით არის გამოვლენილი ცეოლითები, ბენტონიტური თიხები, კაჟმიწის მინერალები აქატი-ქალცედონი, ოპალი და სილიციუმით მდიდარი ქანი-დიატომიტი, სულფატებიდან კი თაბაშირი. ახალციხის რაიონში ცნობილია მურა ნახშირის სამრეწველო მნიშვნელობის საბადო. გამოვლენილია საღებავების დასამზადებლად ვარგისი ნედლეული. მესხეთის ტერიტორიაზე იშვიათი როდია მინერალური წყლები, რომელთა შორის ზოგი თერმულია. რაც შეეხება მეტალურ წიაღისეულთ, ასეთებიდან შეიძლება დასახელებულ იქნას ჰემატიტის გამოვლინება ჯავახეთში-სამსრის ქედში და ოქროსი ადიგენის რაიონში.

ქვემოთ ძალზე მოკლედაა დახასითებული ამ მინერალური ნედლეულის საბადოები და გამოვლინებები.

ბენტონიტური თიხები, ეს მეტად საჭირო ბუნებრივი ადსორბენტი, მესხეთის თითქმის ყველა რაიონში გვხვდება, მაგრამ თავისი მასშტაბურობით, მაინც ახალციხის, კერძოდ კი, ვალეს საბადო იმსახურებს ყურადღებას. აქ სხვადასხვა ფერისა და სიმძლავრის ფენები (1,5-2 მ.). საერთო ჯამში ათეულ მეტრების რიგისაა და მიმართებაზე, გავრცელებაც დიდი აქვთ. ბოლო დროს ეს საბადო სპეციალურად იქნა დაძიებული, მარაგი გამოთვლილია და ექსპლუატაციისათვის მზად არის, ვალეს ბენტონიტური თიხები თავისი თვისებებით გუბერნიის ცნობილ მათეთრა თიხებს უტოლდება. ზოგიერთი მისი ნიმუში მაღალკოლოიდურ თვისებებს ამჟღავნებს.

ბოლო დროს ამ ტიპის თიხები ასპინძის რაიონში, ს. თმოგვის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იქნა მიკვლეული. თიხა მწვანე ფერისაა და ამიტომ რელიეფში ადვილად შესამჩნევია. თმოგვის თიხა მაღალ ადსორბციულ თვისებებს ამჟღავნებს და სპეციალურ დაძიებას იმსახურებს.

ცეოლითური ნედლეული. ეს ახალი სახეობაა მინერალური ნედლეულისა, რომელსაც

ფართო გამოყენება აქვს მრეწველობასა დასოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში მას იყენებენ როგორც სითხეების, ისე გაზების გასაწმენდად მავნე მინერალების მოცილების მიზნით და სხვ. სოფლის მეურნეობაში კი ნიადაგის თვისებების გასაუმჯობესებლად, სასუქად, მეფრინველეობაში და მეცხოველეობაში საკვების დასამატებლად და სხვ. ამ თვისებების მქონე მინერალური ნედლეული ცეოლითშემცველი ქანების სახით ჯერ ახალციხის, შემდეგ კი ასპინძის რაიონში იქნა აღმოჩენილი. ორივე შემთხვევაში ცეოლითიანი ქანები დანალექი წარმოშობის არიან და დიდი რაოდენობით (70-80%), შეიცავენ ცეოლითურ მინერალს ფართო გავრცელება აქვთ და სამრეწველო მნიშვნელობის საბადოებს ქმნიან. ცნობილი არის ახალციხის დეპრესიის ჩრდილო და სამხრეთ ბორტში. ასეთი ქანები ჯერ მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე გვხვდება სოფ. აწყურის მიდამოებში, შემდეგ კი მარცხენა მხარეს მდინარე წრიოხის წყალზე და გურკელ-წინუბნის გავრცელებით სოფელ ფოკა-სვირის მახლობლად მთავრდებიან.

დასავლეთით ცეოლითების რაოდენობა რამდენადმე მცირდება და ჩნდება ცეოლით-კარბონატული ქანი (მერგელი), სოფ. ანის რამდენადმე დასავლეთით მთავრდება. აი, ამ ადგილებში ცეოლითური მინერალი ასეთი სახესხვაობით არის წარმოდგენილი: ანალციმი, ჰეილანდიტ-კლინოპლიტონითი და ფილიბსიტი. დეპრესიის სამხრეთ ბორტში ცეოლით-შემცველი ქანები ურავლის ხეობაში გვხვდება სოფ. ოხერასთან ახლოს, სადაც ახალი სახეობის ცეოლითი გვხვდება ლომონტიტის სახით ანალციმთან და ჰეილანდიტთან ერთად. ყველგან აქ ცეოლითშემცველი ქანები სამრეწველო მნიშვნელობის არიან.

სამრეწველო მნიშვნელობის საბადო იქნა აღმოჩენილი ასპინძის რაიონში ერკოტა-იდუმალა-ოთას ზოლში. ცეოლითური მინერალების ასოციაცია ასეთია: ახალციმი, კლინოპ-ტინოლიტ-ჰეილანდიტი, მაგრამ საკმაო რაოდენობით ჩნდება თიხის მინერალი-ლომონტიტი. საინტერესო ცეოლითი—მორდენიტის შემცველი ქანები იქნა აღმოჩენილი სოფ. თმოგვის მიდამოებში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე თმოგვის ციხესთან ახლოს. აქაც ცეოლითშემცველი ქანები სამრეწველო მნიშვნელობის არიან. აღსანიშნავია, რომ ამ ქანებთან ერთად ბენტონიტური თიხების გამოსავლებიც აღინიშნება. ეს უკანასკნელნი გამოყენების თვალსაზრისით, როგორც ადსორბენტები დიდ ინტერესს იმსახურებენ.

თაბაშირი-ახალციხიდან სამხრეთ-დასავლეთით 12 კმ მანძილზე სოფელ წყალთბილას მიდამოებში თაბაშირის ლინზისებური ფორმის, 30 მ სიმძლავრის სხეულია ცნობილი. მასში თაბაშირის თხელი ფენებისა და ძარღვების გამონაყოფები ჩანს გაჯთან ერთად. თაბაშირის ძარღვების სიმძლავრე 0,11 მ, მისი საერთო რაოდენობა 90% შეადგენს, დანარჩენი 70% გაჯია. ეს საბადო კუსტარულად მუშავდება. მარაგი რამდენიმე მილიონი ტონაა.

კაჟის მინერალები და ქანები. აგატი –მესხეთის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ახალციხის დეპრესიად იწოდება, მდიდარია აგატის სამრეწველო საბადოთა გამოვლინებით. დეპრესიის ფარგლებში გამოყოფენ –ჩრდილო და სამხრეთ აგატშემცველი ზონებს.

ჩრდილო აგატშემცველ ზონაში შედის სამრეწველო მნიშვნელობის უბნები: შურდოს, ბოგას, სვირის, ნოხტევის, ფერსას, გურკელის და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხრეთ ზოლში შედიან ჰამაჯის და რუსთავის ჯგუფი. აქ აღსანიშნავია: საბელის, აბის, ორალის, ზიარეთის, წყალთბილას, და სხვა საბადიოები და მადანგამოვლინებები. არის სხვა მცირე გამოვლინებები, ძირითადად ისევ ახალციხე-ასპინძის რაიონებში.

საინტერესოა ოპალის გენეტიკური ტიპი გამოჩენილი ხეების გაკაჟების გზით. ასეთი ცნობილია გოდერძის უღელტეხილის ფარგლებში. ამ მინერალის თხელი ფენები დიატომიტის საბადოს ფარგლებშიც აღინიშნება. მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე კაჟმიწიან ქანებს შორის უმთავრეს, დიატომიტია. აღნიშნულ რეგიონში ყურადღებას იქცევს ქისათიბის დიატომიტის საბადო, რომელიც ამავე სახელწოდებით სოფლის მიდამოებში მდებარეობს–მდ. ურავლისწყლის მარცხენა მხარეზე. აქ დიატომიტის შემცველი წყების საერთო სიმძლავე 160-190 მ-ია, ხოლო საკუთრივ დიატომიტის ფენების ჯამური სიმძლავრე მეტად ცვალებადია და მაქსიმუმს 9,5 მ-მდე აღწევს. მნიშვნელოვანია ასევე ჭობარეთის დიატომიტის გამოვლინებები, რომელიც იგივე სახელწოდებით სოფლის მიდამოებშია განვითარებული. ყურადღებას იმსახურებს სოფელ ხონას მიდამოებში გამოვლინებული დიატომიტის საბადო, სადაც დიატომიტის ფენის სიმძლავრე 4-მ-დეა. დიატომიტის გამოსავლები დადგენილია ასევე სოფლებთან: დილისკარი, კორხისა, და სხვა მიდამოებში, რომლებიც უფრო დეტალურად შესწავლას საჭიროებენ.

მოსაპირკეთებელი ქვები და სხვა სამშენებლო მასალა: მოსაპირკეთებლად ვარგის ქვებს მესხეთ-ჯავახეთში მრავალ ადგილას ვხვდებით, მაგრამ უფრო ხშირად ახალციხე-ასპინის რეგიონში, თუმცა ასეთი ქვები ადიგენის რაიონში და ახალქლაქის ზეგანზედ იშვიათი არ არის. ახალციხე-ასპინძის რაიონში ასეთი ქანები მცირე ინტრუზიგებისა და დაიკების სახით გვხვდებიან. ამ ფორმებით გამოვლენილი არიან ფუძე შემადგენლობის სუბტუტე ქანები–ტეშენიტების, კამპტონიტების და მონჩიკიტების სახით. ტეშენიტების მცირე ინტრუზიგები და დაიკები გვხვდებიან ზოგჯერ კამპტონიტებტან ერთად -კოპაძე, საყუნეთსა და წნისში სოფელ ოხერასთან. ცალკე ტეშენიტებს–ვარნეთში, ჰაბიეტში, მუსხსა და ჰაბიეტს შორის, რუსთავში და სხვა ადგილებში ვხვდებით. მონჩიკიტები გავრცელებულია ახალციხის ჩრდილოეთით. ასეთივე ქანები ცნობილი არის ადიგენის რაიონში –ადიგენსა და სოფ. მლაშეს შორის, ახალციხის რაიონშივე გვხვდება მიკროგაბრონები (სოფ. მიქელწმინდა) და ცეოლითიანი დიაბაზები და ბაზალტები (ქისათბ-ურავლის ზოლზე). ჩვენი მონაცემებით მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელ ქვებად ვარგისია ახალქალაქის ზეგანზე, სოფ. ფოკასთან გავრცელებული, თითქმის შავი ფერის ანდეზიტ-დაციტები და ვულკან პატარა აბულის აღმოსავლეთ კალთაზე მიკვლეული მოვარდისფრო-მომწვანო ანდეზიტები, რომლებიც ადვილად იხერხება და მისადგომადაც ძნელი არ არის. უკანასკნელ დროს ფართო გამოყენება ჰპოვა დოლერიტ-ბაზალტებმა, როგორც მოსაპირკეთებელმა მასალამ. ასეთი ქვების ულევი მარაგია ახალქალაქის ზეგანზე და მტკვრის ხეობაში სოფ. სარო-ხიზაბავრის -ასპინძის რაიონში. ეს ქვებიც კომერციული თვალსაზრისით დიდ ინტერესს იმსახურებს.

მოსაპირკეთებლ მასალად არის მიჩნეული ჭობარეთის გამარმარილოებული კირქვები, რომლებიც ადრევე იყო აღმოჩენილი მაგრამ უგზოობის გამო მისი მოპოვება შეჩერებულია.

ნამდვილი კირქვები ცნობილია აგრეთვე მტკვრის ხეობაში ნაქალაქევის მინერალური წყლების უბანზე. მოსაპირკეთებლად და საამშენებლოდ არის გამოყენებული სხვა მაგმური ქანებიც, უმთავრესად ანდეზიტები და ანდეზიტ-დაციტები. მესხეთ-ჯავახეთში იშვიათად თუ შეხედვებით ისეთ ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც ამ ქანებით არ იყოს აგებული, თანაც ქანების ეს ჯგუფი უზარმაზარ ტერიტორიას იკავებს ჯავახეთისა და ერუშეთის ზეგანზე და აგრეთვე არსიანის ქედზე და მდინარე ქვაბლიანის მარცხენა მხარეზე მდებარე ე.წ. ფერსათის პლატოზე. ამ ადგილებიდან ხეობაში დაშვებული ლავის ნაკადები ადვილად მისადგომი არიან, ამიტომ მშენებლებს არ უძნელდებათ საჭირო მასალის ამოსაღები ქვასატეხების გახსნა. ასეთ პირობებში ქვების შერჩევა ფერის მიხედვით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ცნობილი ისტორიული ძეგლები—ზარზმა, უდე, საფარა, ვარძია, ზედა ვარძია და ბევრი სხვა ასეთი ქვებით არის გაშენებული.

მესხეთ-ჯავახეთში დიდი მარაგებია ვულკანური ლავებისა და წიდებისა. ვულკანური ტუფების მძლავრ გამოსავლებს ვხვდებით მტკვრის ხეობაში თმოგვი-ვარძიის ზოლში და მდინარე ქვაბლიანის ხეობაში, გოდერძის უღელტეხილის ფარგლებში.

მესხეთ-ჯავახეთს დიდი მარაგი აქვს ვულკანური წიდების, რომელთაგან ნაწილი ექსპლუატაციაშია —ოკამი-სულდა, დილიფა, სათხე, თავშანთავა და სხვა რიგი კონუსების სახით გამოვლენილი სამსარის, ჯავახეთის ქედის და მტკვრის ხეობის, უმთავრესად ასპინშის რაიონში.

ობსიდიანები, ბერლიტები და მარკენიტები. ამ სახის მინერალური ნედლეული ადრევე იყო ცნობილი ჯავახეთის ქედის ჩრდილო ნაწილში, თავფარავნის ტბის ნაპირზე, შემდეგში ასეთივე ქანები აღმოჩნდა, მდ. მტკვრის ხეობაში, სოფ. ტოლოშის და ხერთვისის მიდამოებში (ასპინძის რაიონში). ამავე ქანებით არის აგებული ჯავახეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში (ნინოწმინდის რაიონში) ცნობილი ვულკანური მასივი-ჩათახი. ყველა ამ ქანს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მურა ნახშირი. მესხეთის ტერიტორიაზე სათბობ მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია ახალციხის მურა ნახშირის საბადო, რომლის ექსპლუატაცია 1931 წლიდან დაიწყო. საბადო მდებარეობს მდინარეების ფოცხოვისა და ქობლიანის ორივე მხარეს - ძირითადად ვალესა და პამაჯის რაიონში, საერთოდ კი ახალციხის დეპრესიის ფარგლებში. ნახშირის გამოსავლების სამი უბანი გამოჰყვეს: ვალე-პამაჯის, ჩურჩუტო-ჩიხელის და არალი -უდის, საბადო დეტალურად არის დაძიებული და მარაგები გამოთვლილია.

მინერალური საღებავები. ასეთი მასალა მიკვლეულია ადიგენის რაიონში მდ. ქვაბლიანის შენაკადის, ძინძას ხეობაში, სოფ. უთხის უბნთან ახლოს. ეს არის მცირე სიმძლავრის 0,5-1 მ (მუმიის ფენა, წარმოქმნილი ბაზალტური ქანის გამოფიტვის შედეგად. ამოსავლები დაძიებას იმსახურებს.

მინერალური წყლები.—მესხეთის ტერიტორია მინერალური წყაროების სიუხვით ხასიათდება. მათ შორის უმეტესობა ნახშირმჟავიან ტიპს მიეკუთვნება, ნაწილი კი უნახშირმჟავო-თერმულს. მინერალური წყლის პირველი გამოსავალი, აწყურის დასავლეთით სოფ. ფერსაში გვხვდება. ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიან ტიპს მიეკუთვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყლის t 16^0 უდრის მთავარი გრიფიდან ამომდინარე, წყლის დებეტი 5000-6000 ლ.

ფოკა ეს მინერალური წყარო ფერსისაგან დასავლეთით 5 კმ-ზე გვხვდება, თავისი შემადგენლობით ფერსის წყლის ანალოგიურია. წყლის საერთო დებეტი 15000 ლ. რამდენადმე დასავლეთით სვირ-ტატანისის უბანზე მცირე დებეტიანი, ფერსის წყლის ანალოგიური შემადგენლობის მინერალური წყარო გამოედინება.

ფლატე ეს წყარო ადიგენის რაიონში მდ. ქვაბლიანის ერთ-ერთი მცირე, მარცხენა შენაკადის ნაპირზე გამოდის, მთავარი გზიდან 3 კმ-ზე, წყალი მრავალი გრიფონით ამოდის ზედაპირზე L=15 საერთო დებეტი 200000 ლ-ია. შემადგენლობით მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიან ჯგუფს. მინერალიზაცია 26 გ.

ღაღვა ფლატეს წყაროდან ჩრდილო დასავლეთით ამოედინება. ქვაბლიანის შენაკადის მდ. ღაღვას წყლის მარცხენა მხარეზე 10-12 კმ, ღაღვასა და დერცელიდან. შემადგენლობით ეს არის ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, წყლით დებეტით 2000 ლ.

აბასთუმანი ძველთაგანვე ცნობილი მინერალური წყლების გამოსავალებია მდ. ოცხზე გამოედინება სამი წყაროს სახით. საერთო დებეტი 1 მილ. ლიტრს შეადგენს. t=48^0 შემადგენლობით სულფატ-ქლორიდულია.

წყალთბილა ვალის სამხრეთით გამოედინება სოფ. წყალთბილასთან. ბალნეოლოგიური მნიშვნელობის წყალია 24^0 t-ით, თანაც სუსტად მინერალური შემადგენლობით, სულფატო-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი წყალია, საერთო დებეტით 25000 ლ.

ახალციხე კარგად ცნობილი ნახშირორჟანგიანი მინერალური წყალია, რომელიც, ქალაქის ფარგლებში მდ. ფოცხოვზე ხიდის მშენებლობის დროს იქნა აღმოჩენილი. შემადგენლობით წყალი ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიან-მანგანიუმიან ტიპს შეესატყვისება 19 მ/ლ, მინერალიზაციით, t=37^0 დებეტი 750-800 ათასი ლიტრი.

ურაველი ძველთაგანვე ცნობილი წყაროა, რომელიც მდ. ურავლის მარჯვენა ნაპირზე გამოედინება. შემადგენლობით ჰიდროკარბონატულ კალციუმ-მაგნიუმის ტიპს მიეკუთვნება, რომელშიც 14% ნატრიუმიანი ბიკარბონატია. საერთოდ დებეტი 60-70 ათასი ლიტრია.

ასპინძა რაიონულ ცენტრიდან 2 კმ-ის დაშორებით მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამოედინება ახალციხე-ახალქალაქის გზის მახლობლად. წყალი რამდენიმე გრიფინით ამოდის ზედაპირზე. საერთო დებეტი 800000 ლ. t 39-40 გრადუსს შეადგენს, შემადგენლობით ქლორიდულ-კალციუმ-ნატრიუმიანი ტიპია.

ოშორა ესეც ასპინძის რაიონსი მდ. ოშორის ხეობაში მდებარეობს 1300 მ, აბსოლიტურ სიმაღლეზე. შემადგენლობით სულფატ-კარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი ტიპია t=37-43^0 ფარგლებშია.

ხერთვისი აღმოჩენილი იქნა მდ. ახალქალაქის წყლის მარცხენა ნაპირზე მდინარის შესართავიდან 1-1,5 კმ-ის მანძილზე. შემადგენლობით ურაველის წყლის ანალოგიურია, მხოლოდ მცირე განსხვავებით, უმთავრესად კი ქლორიდებისა და სულფატების შემცველობით. წყლის t-13^0-მდეა.

ნაქალაქევი ეს წყარო ხერთვისისა და ნაქალაქევს შორის მდებარეობს. ამოედინება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაზთან ერთად, ამ წყაროს შემადგენლობით ესენტუკის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№17 წყაროს ანალოგიურად მიიჩნევენ. წყლის ტემპერატურა 37-43 ^{0}-ის ტოლია, დებეტი მაღალია.

ვარძია მდ. მტკვრის ხეობაში, ვარძიის ისტორიული ძეგლის მიდამოებში მდებარეობს. შემადგენლობით ნაქალაქევის წყაროს ანალოგიურია. უკავშირდება გაზის საკმაო რაოდენობა.

ამავე რაიონში, ვარძიიდან ზევით 12-13 კმ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ე.წ. ოლოდას მიდამოებში ცნობილია მინერალური წყლის გამოსავლები. შემადგენლობით ურავლის წყლის ანალოგიურია. ამ წყაროს ზევით მდ. მტკვრის მარჯვენა კლდოვან ნაპირზე ცნობილია მრაკვალის მინერალური წყარო, შემადგენლობით ოლოდას ანალოგიურია. მოითხოვს დამატებით შესწავლას.

მეტალური მინერალები. ამგვარი წიაღისეული წარმოანქნები მესხეთ-ჯავახეთში მხოლოდ ორ რეგიონშია მიკვლეული. ერთი ასეთი ადიგენის რაიონში, მდინარე ქვაბლიანის ხეობაში, სადაც გამოვლენილია პოლიმეტალური გამადნება ოქროს მინარევით. მეორე– სამსრის ქედში ჰეპატიტის სახით. ორივე გამოვლენა შესწავლის პროცესშია.

ლიტერატურა:

Белянкин Д. С. Петров В. П. Тешенито-кампгонито-мончикитовые ингрузин окрестностей г. Ахалцихе. АНСССР. Труди ин-та геологических наук. вып. 21 сер. петрографическая 1940.

Природные ресурсы Грузинской ССР. Т.2-3. Изд. АНСССР М 1959.

Схиртладзе Н. И. Осадочные цеолиты Грузии изд. ТГУ 1991.

Тутберидзе Б. Д. Молодой вулканизм восточной части Джавахского нагорья. Тб., 1970.

Минеральные ресурсы Грузии и проблемы их рациональной разработки, Мецниереба, Тб., 1991.

N. Skhirtladze, B. Tutberidze

NATURAL RESOURCES IN BOWELS OF MESKHET-JAVAKHETI

Summary

In the article shortly was defined almost all deposits and outcrops of different mineral resources which are known for today on the territory of Meskhet-Javakheti Indicated the location and character of raw materials. Designated possibility of practical using of mineral resources founded in last period-zeolites, perlites marecanites, building stones. Here we cannot give you full geological picture of mineral resources location because of volume of article. We can only say that the most part of above mentioned deposits were formed during Cenozoic time, from 60-70 million years till present time.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა (მ. ბერიძე) 3

I ისტორია

1. გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, *„მუშქაია; მუშეხ“* და *„დაიენი; დაიანი“* ასურულ ლურსმულ ტექსტებში. 5
2. ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, ბიბლია და მესხების ძველი ისტორია. 10
3. მ. ს ა ნ ა ძ ე, ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე. 15
4. გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის საამშენებლო წარწერა. 25
5. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ეკლესიის მოდელი საფარიდან ხუროთმოძღვრის გამოსახულებით და წარწერით. 29
6. ც. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ნასოფლარ მოღნისის ისტორიიდან 36
7. დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მესხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა)..40
8. რ. გ ო გ ო ლ ა უ რ ი, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 20-40-იან წლებში. 49
9. ზ. ც ი ნ ც ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფია XIX ს-ში. 55
10. რ. ყ ა ვ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ 60
11. ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი - წარჩინებული მესხური გვარის შთამომავალი. 72

II. არქეოლოგია

12. მ. გ ა ბ უ ნ ი ა, უძველესი ადამიანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში 77
13. ი. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, სამცხე-ჯავახეთი ძვ.წ. II ათასწლეულში 82
14. რ. კ ვ ი რ კ ვ ა ი ა, რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VI სს.) სამარხები ბორჯომის ხეობაში. 93
15. ც. ლ ა ფ ა ჩ ი, ადრებრინჯაოს ხანის გორანამოსახლარები ბარალეთის ტერიტორიაზე. 103
16. ვ. ლ ი ჩ ე ლ ი, ანდრია მოციქული—არქეოლოგიური რეალობა. 108

III. ეთნოგრაფია

17. რ. თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიიდან. 111
18. თ. ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მიწათსარგებლობის სახეები სამცხე-ჯავახეთში. .116

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19. ზ. კ უ ტ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ნაოსნობის შესახებ მესხეთში 121
20. ლ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოკულტურული დიალექტი და საზღვრისპირა ეთნოუმცირესობები 129
21. ნ. მ ი ნ დ ა ძ ე, ნ. ჩ ი რ გ ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამედიცინო კულტურის ისტორიიდან. 134
22. ნ. მ გ ე ლ ა ძ ე, სამცხური წარმომავლობის გენეალოგიური (ნათესაური) ჯგუფების ისტორიის ზოგიერთი საკითხი აჭარაში. 140
23. ი. მ ო ლ ი ძ ე, ნ. კ ო ჩ ა ლ ი ძ ე, დეპორტირებული მესხი ახალგაზრდების ადაპტაცია ქართულ გარემოში 148
24. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ხალხური დღესასწაულის (ბერიკაობა-ყეენობა) დამახასიათებელი რიტუალი სამცხე-ჯავახეთში. 153
25. თ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებულ მიგრანტთა სამეურნეო ეკონომიკური ადაპტაციის საკითხები. 157
26. თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, მცენარეულის გამოყენების ეთნოეკოლ-ოგიური კულტურა მესხეთში. 161
27. ნ. ყ რ უ ა შ ვ ი ლ ი, ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებები (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე). 167
28. თ. ტ უ ნ ა ძ ე, სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ღია კერები 172

IV. სამართალმცოდნეობა

29. ა. ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი, სისხლის სამართლის დანაშაულები, სასჯელთა სახეები და სამართალწარმოება ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით. . . . 177

V. ენათმეცნიერება

30. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, მესხეთ-ჯავახეთი - საერთო ქართველური წინარე სამშობლო. 184
31. მ. ქ უ რ დ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებისა-თვის („მესხი“, „მესხები“). 185
32. ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, პალატალიზებული ხმოვნების ისტორიისათვის ქართული ენის სამცხურ-ჯავახურ დიალექტში 194
33. მ. ბ ე რ ი ძ ე, შუაკარავის ისტორია-ეტიოლოგიისათვის 197
34. მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე, თხოვნითი ბრძანების საკითხისათვის სამცხურ-ჯავახურში. 202
35. ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ანთროპონიმული წარმომავლობის ზანური გეოგრაფიული სახელები 206

ეროვნული
ბიბლიოთეკა

36. კ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, მაჰმადიან მესხთა გვარების შენარჩუნება. 209
37. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ტოპონიმ „სამცხის“ შესახებ. 218
38. ვ. კ უ ზ ი ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, კვლავ მარცვლიანი უ-ს, უმარცვლო
უ-სა და კბილბაგისმიერი ვ-ს შესახებ 221
39. ვ. მ ა ღ რ ა ძ ე, მესხეთისა და ჯავახეთის მიგრაციის სურათი ეთნონი-
მებისაგან (მესხი, ჯავახი) ნაწარმოები გვარების მიხედვით. 225
40. ს. მ ე ლ ი ქ ი ძ ე, ბორჯომის ხეობის ოიკონიმები. 228
41. მ. ქ ა მ ა დ ა ძ ე, -იან- სუფიქსით შტოგვარების წარმოების საკითხი-
სათვის ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში. 236
42. გ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე-ბ ა ქ რ ა ძ ე, ბერიკაობა-ყვენობის ზოგიერთი
ელემენტის პირენეული პარალელები. 239
43. ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ერთი ლექსიკური ომონიმის შესახებ 243
44. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მესხურ-ჯავახური სიტყვების მოკალმასე. 247

VI. ლიტერატურათმცოდნეობა

45. ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები. 257
46. ნ. ა ფ ც ი ა უ რ ი, ქართველთა გაქრისტიანების საკითხები „წმ. ნინოს
ცხოვრების“ სომხურ სვინაქსარულ რედაქციაში (ჰაისმავურქებში). 261
47. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, წარმართული მსხვერპლშეწირვის კვალი ერთ
მესხურ ლექს-სიმღერაში 266
48. რ. მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე, თანამედროვე სამცხე-ჯავახეთის ლიტერატურული
ცხოვრება 270

VII. ეკონომიკური მეცნიერებანი

49. ა. ს ი ლ ა გ ა ძ ე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და
სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაციის საკითხები 271
50. თ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მეცხოველეობის ისტორიული და თანამედროვე
მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში. 275
51. კ. გ ვ ი შ ი ა ნ ი, სამცხე-ჯავახეთის მხარის მრეწველობაში კერძო
სექტორის ფორმირებისა და განვითარების მიმდინარეობის თავისებურებანი 280
52. გ. კ ვ ი ნ ი კ ა ძ ე, ნ.ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, შრომითი რეზერვების ფორმირე-
ბის დემოეკონომიკური პრობლემები სამცხე-ჯავახეთში. 285
53. ზ. მ ა ღ რ ა ძ ე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება ისტო-
რიულ მესხეთში და მისი განვითარების პერსპექტივები 290
54. მ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, ბიზნესის განვითარების ტერიტორიული ასპექტები. .296
55. თ. უ რ უ შ ა ძ ე, მესხეთის ნიადაგები და მათი თავისებურებანი. 300
56. ა. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, აგროსამრეწველო ბიზნესი — კრიზისიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლის აუცილებელი პირობა. 303
57. ი. შ უ ბ ი თ ი ძ ე, მემინდვრეობის ტრადიციების აღდგენა მესხეთში. 309
58. ჯ. ხ ა რ ი ტ ო ნ ა შ ვ ი ლ ი, რეგიონული ეკონომიკის თეორიული
პრობლემები. 313

VIII. ასტრონომია

59. ე. ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის
ასტროფიზიკური ობსერვატორია. 317
60. ვ. ჯ ა ფ ი ა შ ვ ი ლ ი, რ. ჭ ი ღ ლ ა ძ ე, აბასთუმნის ასტროფიზიკური
ობსერვატორიის წვლილი სამცხე-ჯავახეთის მხარის კულტურულ ცხოვრებაში...321
61. ო. ა ბ უ ლ ა ძ ე, ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ატმოსფეროს გამჭვირვალობის
გამოკვლევა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 1938-98 წწ.-ში. . .324

IX. გეოლოგია

62. ნ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, ბ. თ უ თ ბ ე რ ი ძ ე, რა ბუნებრივი სიმდიდრე
იპოვება მესხეთ-ჯავახეთის წიაღში 329

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში ქვეყნდება თსუ ახალციხის ფილიალის 10 წლისთავისადმი
მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.
კონფერენციის მდივანი: *თინათინ გელაშვილი.*

აიწყო და დაკაბადონდა ახალციხეში, ა. ო. „პროგრესში“

206.

23.45
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი34/351